5) ეთ: სუჯუნის ეკლესიასა: მის: კურთხეულისა: ჭილაძის: ასულისა: და თანა: მეცხედრისა: ჩუენისა: დედოფლისა: შატრანისა: ნესტან დარეჯანისა: სუ

6) ღისა: სახსრად: და: სათხად: ჩუენდა: სადღეგრძელოდ: და ძეთა: ჩუენთა: აღსაზრდელად: განახლდა: ქვასა: სამას: ოცდა: ათ-ოთხმეტსა:

ქრონიკონი უდრის 1646 წელს.

3. ხატი წმიდა გიორგისა, 26×22 სანტიმეტრი, ვერცხლი-სა, ნაჭედი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი და გვი-რავს ვეშაპს. აშია უფაილებით არის შემკობილი. ხატი ქართული ხე-ლობის არის, მაგრამ ეკუთვნის არა უადროეს მე-XVII—XVIII სა-უკუნისა. ზემოთ ასომთავრული წარწერა აქვს:

1) სო.პო.ი.ჩ.ნ.ს. ჩ.ო. ძ.უ. ყყყყ.

2) ძყ. შუ. ძუ.ი.ჩ.ჩ.ძყყყ

3) ძუ.ჩ.ს. ძ.უ.ს. ძ.ჩ. ჩ.ო.ყ.უ.ყყ[შყყყ]

4) ძუ.ჩ.ს. ძ.უ. ს.ჩ. უჭარამთ:

„სუჯუნის წმიდაო გიორგი, შეიწირე და გაუმარჯვე ბატონს გიორგის, რომელმან მოგატე[დინე] ხატი შენი, ამინ“.

აქ მოხსენებული ბატონი გიორგი ან გიორგი ლიპარტიანი უნდა იყოს, კაციას ძე, რომელიც ცხოვრობდა მეჩვიდმეტე საუკუნის და-

სასრულს და მეთვრამეტეს დასაწეისში, ან გიორგი, ოტია დადიანის ძე, რომელიც სწინს 1788 წელში¹⁾. უფრო ამ უკანასკნელს უნდა ეკუთვნოდეს.

4. ხატი წმიდა გიორგისა, 28,5 × 24 სანტიმეტრი, ნაჭედი, ქართულის ხელობისა, დაზიანებული. წმიდა გიორგი ფეხზედ ღვას. მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა მახვილზედ უძევს. მარცხენა მკლავზედ მოკლებული აქვს თასმით ფარი. მახვილის ტარის თავი ფრინველის თავის გამოხატულობას წარმოადგენს. ხატი შემოკობილია უკავილების მსგავსი ჩუქურთმებით. ზემოთ უწერია ასომთავრულით: „წ 2 გ 1“. ზურგზე, ვერცხლის ფიფარზე შემდეგი მხედრული წარწერაა:

1) ქ: ჰო ეოველთა ქრისტინეთა ზღუდეთ მცველთ და შემსავდრებულთ მხნეთ

2) მხედარო ქრისტესა ჰვიდ წილ უძლეველო ღვაწლით შემოსილო დიდო მრწამ

3) ეო მთავარო წმიდაო გიორგი სუჭუნისათ ჩვენ ქრისტეს მიერ გურთხ

4) ეულმან მამ ჭურბდიდელმან ჩხეიქემ ჰატონმან ევდემოს ვიკულისსმ

5) ეთ და მოვინდომეთ სასოებით მოსავმან და მადიდებულმან ტაძრისა შენისამ

6) ნ ვიკულეთ და ვიკულისმოდგინეთ კბადრეთ და შემოგწირეთ მდინრე ესე შესწირა

7) ვი ესე. ასე რომე კოდორი ვამეუ დადიანისკან და ელენე დედოფლისკან ჰირვე

8) ჯად შემოწირული ყოფილიყო და სჭყოინდლოთ სახასოთ ყოფილიყო და ჟამთა ვითა

9) ვითარებისათა²⁾ ელიავა გოგის მისთვის დაეჭირა აწე ზვენ გამოგვიერთმევიას ხელ

10) ახლა შენთვის შემოგვიწირავს და ჩვენდა სახასოთ დაგვიჭირავს კოდორს სამი კვამლო

¹⁾ იხ. Brosset. Hist. de la Géorgie, t. II, livr. 1, p. 648.

²⁾ აქ სიტყვის ნაწილი „ვითა“ შეტომით არის განმეორებული.

11) კაცი სოკიორე შელია მისი სახლის კაცები თვალიკაც ქობულა და ხობონაი გა[ც]

12) უღია მათის სახლის კაცითა მამული და ალაგითა სხუა აქური ხარტახები მამული

13) და ალაგები ჩვენთვის დაგვიჭირავს აწე რამანტ ძემან კაცისამან შეუქმან ანუ დედოფალ

14) მან გინა უფლის წულმან დიდმან ანუ მცირემან ანუ რამანტ ძემან კაცისამან ანუ

15) ჩვენმა შემდგომმა ჭეონდიდელმან უკუნისამდე ეს ჩვენგან კარიგებული

16) მამული და ეს წიგნი თქვენ მოგიშალეს და ან ის გლეხები გასცეს ან

17) იმ გლეხების კაცებაში კერიოს და იშუამაფლეს და კაცება მიინდომეს

18) მასამცა რისხავს თავად დამბადებელი ღთი და მარტვილისა ღთის

19) მშობელი და ეს წმინდა გიორგი სუჟუნისა და უოველნი წმინდანი ღთისანი ზე

20) ცისანი და ქვეყნისანი უხორცოთა ძაღნი მათმან დიდების მადლმან ნუ იხსნას

21) ნუცა¹⁾ იხსენების სული მისი ნუცა წირვითა და ღოცვითა ნუცა

22) [იერუ]სალიმს წასვლითა ნურას საღთოსა საქმითა წვეულ და შეჩვენებულ იუოს სული და

23) [კ]ორცი მისი ამინ.

მეორე ნაწილზე ხატის სისქისა სწერია:

1) ჭ. ჩხეიძე. ევდემოს. ჭეონდიდელისაგან კოდორს; სამი გვამლი კაცი გოგი

2) ელიავსათვი გამაერთმია და წმინდის გიორგის სუჟუნისათვის შეეწირა

3) და ჩვენ ღიპარტიანის შეიღმან ჭეონდიდელმა ხატონმა გაბრიელ კუადად

¹⁾ აქედან დაწყებული ხატის სისქეზედ სწერია.

4) განვანდეთ¹⁾²⁾ ჩვენცა დაკვირვებები და გუ-
რითვან

5) ჩხაიძე მახარობელი გამფიქვანეთ და შეჯიას შეჯვარეთ იგიც
ჩვენ შევსწირეთ

6) ჩვენცა სადღეგრძელოთ და სულისა³⁾ ჩვენისა სახათ რათა
ჩვენცა ნაწილი

7) გვაქუნდეს დღ

8) ესა განვით

9) ხვისასა ამინ.

პირველ გვერდზე ზემოთ:

1) ქ ჰი უთველთა ქრისტიანეთა შემწეთ და შესავდრებელო
შვიდ წილ უძლეველო

2) დგაწლ შემოსილო... (სხვა არ არის).

მეორე წარწერაში მოხსენებული ღიპარტიანის შვილი გაბრიელ
ჭეონდიდელი იყო შვილი გიორგი ღიპარტიანის და ცხოვრობდა მე-
თვრამეტე საუკუნის დასაწყისში⁴⁾. ჭეონდიდელი ევლემონ ჩხაიძე
იუთს მოღვაწე მეზიდმეტე საუკუნის დასასრულისა, წინამოადგილე
გაბრიელისა.

5. ხატი წმიდა გიორგისა, საკეცი, სრულად ისეთივე ხელო-
ბისა, როგორც წინა ნიმურში აწერილი, 13,2 X 11,5 სანტიმეტრი,
ვერცხლისა, ნაკედი, ოქროთ დაფერილი. ხატის მეორე გვერდზე
მოჩანს წმიდა გიორგის ნაწილები. სხვათა შორის თითიც. შუა-
ში წარწერილია ნაწილების სახელები: „წის გის ქელი; წის გი
ნაწილი; ჭტი კორდი“. წინა პირზე გამოქანდაკებულია წმიდა გი-
ორგი ფეხზე მდგომარე შუბით და რომაულის ტახისამოსით, ორი-
გინალური, წარწერა: „წ.ა გი“ (ხუცური ასომთავრულით). მეორე
გვერდზე მხედრულათ აწერია:

1) ამ სიტყვიდან წარწერა გაგრძელებულია ხატის მეორე პირზე ზე-
მოლამ, წინა წარწერის თავში.

2) აქ ორი სიტყვა აღარ განირჩევა, მოჩანს ნაწილები: გო...ბატისა.

3) ეს ორი სიტყვა გამეორებულია.

4) Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

- 1) მხედართ მთავარო შვიდ წილ უძლეველო მოწამეო
- 2) გიორგი შვეამგევე ხატი ესე ჰატოსნისა სახი
- 3) სა შენისა მოსაგზნ სახელისა შენისამან
- 4) დადიანის კაცის ძემან მამა ჭეონ
- 5) დიდელ მიტროპოლიტმან
- 6) ბესარიონ და შვეამგევე
- 7) ჰატოსანითა ძელითა
- 8) და წათა ნაწილ
- 9) ებითა და დაგასგენ
- 10) ე სუჟუნისა ეკლესიასა
- 11) სახსრად და საოხად სულთა
- 12) ჩვენთა ქეს აქეთ
- 13) ჩღჟზ.

ბესარიონ ჭეონდიდელი იყო დადიანის კაცის მეორის ძე და კადაიცგაჲა 16 ივლისს 1828 წელს. დამარხულია მარტვილში¹⁾.

6. ხატი დიდი წმიდა გიორგისა, გერცხლისა, ნაჭელი, ქართულის ხელობისა. ზემოთ უზის ერთი თვალი. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, შუბით გმირაგს გეშაძს. წარწერა ხუცურია: „წდა გრი“. აშებზე ბალახის მსგავსი გრეხილებია, ღამაზი; გრეხილებში ანგელოზნები მოჩანან, ქვემო აშია და ნაწილი მარჯვენა აშიისა დაზიანებულია, სრულიად არ არის დაცული აგრეთვე მხედრული წარწერა ქვემო აშიაზე:

- 1) ქ: ღთ და დადიანის ძე ბატონი ჭეონდიდელ მ[იტროპო]
- 2) ლიტი გრიგოლის ბძანებით შვეამგევი ხ[ატი ესე მე]
- 3) ხოშტარია თეოდორეა ფინც წაიცი[თხოთ შენდობა ბძანეთ]

ხატს ძეწკვი აქვს. ეს ხატი აღბათ ჭარის წინ სატარებელი იყო. გრიგოლ ჭეონდიდელი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ერთს მის სიგელს უზის თარიღათ, 1760 წ. ხოშტარიუბი აბაშის მცხოვრებნი არიან დღესაც.

7. ხატი წმიდა გიორგისა ფერადებით დახატული, 29×23,5 სანტიმეტრი. წმიდა გიორგი ზის თეთრ ცხენზედ და გმირაგს გე-

¹⁾ Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

2) მრინაჲს ფეხებზეს ჯიჲსი. ოცობაჲ. ჯი-
რჲჲჲ. ჯიჲსიჲსი. ოცობაჲ. ოცობაჲ. ოცობაჲ.
მგელი მრინაჲსიჲსი მგელი

3) მრინაჲსიჲსი მრინაჲსიჲსი მრინაჲსიჲსი.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. ოცობაჲ.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.

4) მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.

5) მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.

6) მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.

7) მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.
მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი. მრინაჲსიჲსი.

უქარაგმით:

„ქ. დაფარა ცანი შევნიერებაჲს მისმა. ხოლო სიწმიდითა მი-
სითა ადიესო უოველი ქვეყანა!“

„ქ. ეჲ, შენ, შეიღ წილ უძლეველო და უოველთა მოწამეთა
უზეშთაესო, უმწვერვალებო, ახოვანო მხედარო, დიდო მოწამეთა გი-
ორგო, წმიდაო სუფუნისო! მე, ფრიად ცოდვილმან, მისაგმან ჰატი-
ოსნისა ტაძრისა შენისამან, ფაღვას ქალმან როდამ, ვინებუ, ვიგულ-
მოდგინეთ, გადრეთ კინი ესე შესწირავი, ესე დაფარა და პერე-
ქელი¹⁾, შემგობილი თვალთა და მარგალიტითა; ჩვენდა ცოდვითა შე-
სანდობლად და მეუღლისა ჩემისა ჰატრონის ჩიკა[ნის] გიორგისდა
ამ სოფელს წარსამართებლად, სადღეგრძელოდ, და ცოდვილისა სუ-
ლისა ჩვენისათვის საცხოვნებლად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრ-

1) ეს პერექელი სუფუნის ეკლესიაში დაცულია და წარმოგვიდგენს
იმ გადასაფარებელს, რომელსაც რუსულათ უწოდებენ ВОЗДУХЪ.

დელად. და მიუძღვანეთ მამას და მოძღუარსა¹⁾ ჩვენსა ჭეონდიდელ მიტროპოლიტს, ძმას ჩვენსა დოდობერიძესა²⁾ ევდემონს, რათა შენგან მოვიდოთ დიდი წყალობა და შენდობა ცოდვათა. ხოლო მიმთხვევნო და ამომღებნო სიწმიდისანო, ღვთისათვის შენდობას ეოფდეთ ჩვენ ცოდვილისათვის. ქრისტეს აქათ ჩღკზ“.

14. ასეთივე ხელობის ზერეკქელი, შუაში იესო ქრისტეს სურათით და ფრთებსე ქერუბიმ-სურაბიმივით.

15. მეტაფრასი სუცური ორ სვეტად, გადაწერილი „გუგანთლე-ბუღესისა მთაგრის დადიანის კაცის ძის მამა ჭეონდიდელის მიტროპოლიტის ბესარიონის ბრძახებით წელსა ქესით ჩეგბ, ფებერვლის ზ“.

ბოლოს მხედრულათ უწერათ:

„აღვსწერე მეტაფრასი ესე ბრძახებითა მეუფისა ჩემისა მაღალ უდ უსამღვდელოესისა ჭეონდიდელ მიტროპოლიტის ბესარიონისათა მე. მონამან მისმან ჭეონდიდელის მონასტრის კანდეჯაჟა მღვდელ-მა ეგნატიმ“...

16. წმიდის გიორგის რკინის ოროლები ერთი დიდი და ერთი მცირე.

17. ბუკი სზიდენძისა.

18. იესო ქრისტეს თავი, 24×19 სანტიმეტრი, თაბშირისა (კიპსისა), ლამაზი, ახალი, ვერობიული ხელობისა.

ს ო ფ ე ლ ი ა ბ ა შ ა .

სოფელ აბაშაში, ხუთ ვერსზე სადგურ აბაშიდან, ეკლესია წმიდის გიორგისა ახალია, ხისა. აქ საურადღებოა მარტო წმიდის გიორგის ხატი ვერცხლისა, ქართულის ხელობისა, ლამაზი, მაგრამ არა ძველი. უნდა ეკუთვნოდეს მე-XIX საუკუნის დასაწყისს. ხატი ზომით 34×26 სანტიმეტრი, შემკობილია 9 ქვით. სახე და ტანი

¹⁾ ეს სიტყვა კარგათ არ განიხივეთ და ამიტომ საეჭვოდ ვტოვებთ.

²⁾ ვინაითგან სიტყვას „ლობერიძესა“ ქარაგმა აქვს, ამიტომ გვგონია, „ლოლობერიძეთ“ უნდა წავიკითხოთ „ლობერიძის“ მაგიერ.

წმიდანის ძრეულ გამოხერვილია. წმიდანი ფეხზე მდგომარეა, რომაულის სამარი ტანისმოსით. მარჯვენა ხელში უჭირავს შუბი, მარცხენა დაუდვია უვაფილებიან ჩუქურთმით შემკობილს ფარზედ. მარჯვენა კუთხიდან ხატის სხივები მოდის. აშია ლამაზი აქვს ხატს უვაფილების მსგავსი ჩუქურთმებით შემკობილი. ზემოთ ასომთავრულით აწერია: „წ ა გ ი“.

კ ა დ ა რ ი.

სოფელი კადარი მდებარეობს შვიდ ვერსზედ სადგურ აბაშიდან. აქ დაცულია ძველი ეკლესია, უცუმბათო, აკურით ნაშენი, ოთხკუთხედი გუმბისა, უბრალო ბაზილიკა. სიგძე აქვს 18¹/₂ ადლი, განი 10 ადლი და 12 კოჭი. შესავალი აქვს სამხრეთით და დასავლეთით. ფანჯრები აქვს ხუთი, სამი აღმოსავლეთით და ორი დასავლეთით. დახურულია უავრით. სამხრეთის და დასავლეთის მხრით წინეთ ეკლესიას ეგვტრები ჭჭონია, მაგრამ შემდეგ მოუშლიათ. ეკლესია საზოგადოთ ძრეულ დაზიანებულია. ეკლესიის გარედან ურადლებას იქცევენ ლამაზი ჩუქურთმიანი ნათელი ქვები, რომელნიც ჩაუტანებიათ აკურის კედელში სამხრეთის კარის ზემოთ და მარჯვნივ და მარცხნივ. ეს ქვები თავის გრებილიანი ჩუქურთმებით ამშვენებენ სამხრეთის კარის შესავალს. ამ ჩუქურთმების მიხედვით ეკლესია უნდა იყოს აშენებული არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა. შიგნით ეკლესია წინეთ სულ მხოტუელი ეოფილა კარგი ფრესკებით, მაგრამ ესლა უმეტესი ნაწილი მხატვრობისა ან სულ გაფუჭებულია, ან შეეთთრებული. საკურთხეველში უფრო უკეთ არის შენახული მხატვრობა. ზემოთ აქ დახატულია მაცხოვარი, ესლა დაზიანებული, მას ქვემოთ იესო ქრისტეს მოწაფენი, „წ ა ვ ტ რ ე, წ ა ვ ლ ე, წ ა ფ ი ლ ი ბ ე“ და სხვა სულ ათი; ქვემოთ ეკლესიის მამანი, სულ ცხრა: „წ ა რ ო მ ა ნ ო ზ, მ დ ვ დ ე ლ - მ ო ძ დ ვ ა რ ი; გ რ ი გ ო ლ ი დ ი ო ლ ო ნ ი, წ ა ნ ი კ ო ლ ზ, წ ა ი ე ო ქ რ ო ზ ი რ ი, წ ა ბ ა ს ი ლ ი“ და სხვა. ამათ უველას ხელში აქვსთ ეტრატები და ეტრატების წარწერანი მსხვილი ასომთავრულით არის. თვით ეკლესიაში მხატვრობიდან კიდევ განიჩნევა: ხარება, ფე-

რისცვალება, ლაზარეს ადგიანა. ქვემოთ ჩრდილოეთის კედელზე მოჩანს მთავარანგელოზების, მიქელ და გაბრიელ, წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი. დასავლეთისკენ ჩრდილოეთის კედლის უფროსი სურათები დადიანებისა, ქმარი, ცოლი და შვილი და ერთი კიდევ სხვა ჰირი, მაგრამ სურათები ძირიელ გაფუჭებულია და ძლივსაა ეტყობა მხოლოდ ზემო ნაწილი. ისტორიულნი პირები უფროსან აგრეთვე წარმოდგენილნი დასავლეთის კედელზეც, რომელიც ესაა შეთეთრებულია. მხატვრობის შემკობილებანი, სხადც დაცულია, ძირიელ ღამაზია. ზოგიერთები თ. კიუნეს ჩვენ ფერადებით გადმოვადებიან. კანკელი ეკლესიისა ახალია. ძველი ხატები აქ არ არის დაცული.

ო ნ ტ ო ფ ო .

სოფელი ონტოფო მდებარეობს რვა კერსზედ სადგურ ახაშიდან. წმიდა ბარბარეს ეკლესია აქ ახალია. ხატი წმიდა ბარბარესი ამ ეკლესიისა ვერცხლის არის, 28 X 20 სანტიმეტრი, ქართულის ხეობისა, შემკობილია ხუთის ლაღით. ზემოთ ხუცურათ აწერია: „წა ბარბარა“. ქვემოთ მხედრულათ:

- 1) ქ. ეს წმიდა ბარბარეს ხატი შევამკვეთ ონტოფელმა
- 2) დეკანოზის იოვანემ ნადარეის(შ)ვილმ(ა) ჩვენის სულის
- 3) საოხად ქანს 1762.

ს ე ფ ი ე თ ი .

სოფელი სეფიეთი მდებარეობს 18 კერსზედ სადგურ ახაშიდან. სეფიეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესია ერთი უძველესთაგანი ეკლესიაა სამეგრელოში, ქვით და აგურით ნაშენი, გეგმით ტიპური ბაზილიკა არის სამნაწილადი შიგნით. საკურთხეველი მომრგვალებულია გარედანაც. აღმოსავლეთისკენ, ზემოთ სახურავის შესაერთან ცხვრის თავის ქანდაკებაა. შესავალი აქვს დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით. ფანჯრები ცხრა: სამი აღმოსავლეთით, ოთხი დასავლეთით.

თით და თითო სამხრეთით და ჩრდილოეთით. დასავლეთის მხრით მიშენებული აქვს ეკვტერი შეშდგის დროისა. თვით ეკლესიის ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილები (ნეფები) გაშლილი თაღებით უერთდება შუა ნაწილს. როგორც მოწმობს გარეთ შენახული ერთი ჰატარა სვეტის კვარცხლბეკი, წინეთ ეკლესიას ქვის კანკელი ჰქონია, მაგრამ ესლა სულ უბრალო ხის კანკელი აქვს. შიგნით ეკლესია სულ მოხატულია, მხატვრობა დაბალი ხარისხის არის და ისიც ზოგ ადგილას ძრიელ გაფუჭებული, მაგალითად დასავლეთის ეკვტერში. უფრო შერჩენილია მხატვრობა საკურთხეველში და ეკლესიის შუა ნაწილში ზემოთ. სამხრეთის და ჩრდილოეთის ნეფები სულ შეთეთრებულია კირით და მათში მხატვრობის ნასახიც აღარა სჩანს. ფრესკებზე უოგელგან ხუცური წარწერებია. აღმოსავლეთის ფანჯრის ზემოთ შიგნიდან კედელზე სწერია ასომთავრულით:

1) **ՄՆԻԿՆԻ. ԿԿԽԿԻՆ:**

2) **ԿԻԿ: ԿՕՆԸՆԸԿԻՃ: ԿԿԻ**

3) **ՄՄՆԻՃ: ՆՕՆՆԻԿ:**

4) **ՄՆ: ՈՒՃ ԸՒՃ.** უქანაკმოთ:

„დახატა¹⁾ ეკლესია ესე კოხალაძემა ჭეონდიდელმა ზოსიმე. შეუნდგნეს ღმერთმან, ამინ“.

ჭეონდიდელი ზოსიმე კოხალაძე უოფილა დახატული მარტვილის დასავლეთის ეკვტერში, მაგრამ სურათი სულ დაღუპულა და ესლა მარტო თავი მოჩანს. ჩვენ არ ვიცით როდის ცხოვრობდა ზოსიმე კოხალაძე, მაგრამ იგი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ზოსიმე ჭეონდიდელს პირველათ არ მოუხატვნიებია სეფიეთის ეკლესია. ის ძველ დროშიაც მოხატული უოფილა, მაგრამ მხატვრობა დროთა ვითარების გამო გაფუჭებულია და ზოსიმეს მეორედ დაუნატავს. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება ეკვტრის ფრესკის წარწერაში. სამხრეთის კედელზე დასავლეთის ეკვტრისა დადასნები და სხვა დიდებულები არიან დახატულნი, მაგრამ თავები აღარც ერთს არ შერჩენიათ, მარტო ტანები მოჩანს. აქ შუაში ნახევარ სვეტზედ წარწერა უოფილა, თავი გაფუჭებულია და ქვემოთ ასომთავრულით იკითხება:

¹⁾ უნდა იყოს დახატა, ანუ დახატვინა.

დ: **ყხყ: ცხკყჩქ**
ღყკღკი: ზყბ
ზყ: ზყ: ცყრცყრც
ხბრ: ხბრხბყ: ზყ[ღ]
ხღკყჩქ: ზღყჩქ
ყრყ: ყხყ: ღრ.

და: ესე ჭილაქმა
აბრამი. მერ
მე მე ჭყონდიდელ-
მან ზოსიმე კაბა-
ლაქმან დაყასტვი-
ნე ესე, ამინ.

ამ წარწერის მიხედვით პირველი დამხატვა სეფიუთის ტაძრის კვეტრითურთ ეოფილა აბრამი ჭილაქე. შემდეგ მეორეთ დაუნატვინე-ბია ზოსიმე კაბალაქეს. მარჯვნივ და მარცხნივ ამ წარწერისათხ-ათხი დიდებულთ სურათებია, უგელა უსათ, მაგრამ მდიდრულ და საუურადლებო ტანისამოსებში. ერთის გარშემო მოჩანს ხუცური ასაკები: . . . **ღრ ზხბ** . . . **ღ** . . . **ყჩ** . . . შეიძლება ნიშნავდეს: „დადანი ლიპარ“. მეორეზე მარჯვნივ მოჩანს ასაკები: **ღყბ** . . . **ზღ**. უნდა ნიშნავდეს: „თოფურიქ დავით“. თოფურიქები არიან კიდევ დახატული კვეტერში დასაჯელეთის კარის მარცხნივ. ერთ ამგვარ სურათზედ ჩვენ ამოვიკითხეთ: **ხღკ ზყრცყრც** **ღბრცბრც**, უნდა ნიშნავდეს: „მამუზბედი (ანუ მამისბედი) თოფურია“. ეს თოფურია მდალის ტყავის ქედით არის დახატული. დასაჯელეთის კარის ზემოთ რგოლში წელს-ზევითი სურათია შეფურის ტანისამოსით და აქეთ-იქით დიდებულები არიან. წარწერები არ იკითხება. კარის მარჯვნივ ქვემოთ კიდევ რამდენიმე დიდებულის სურათია გაფურებული. ერთზე ჩვენ ძლივს გავარჩიეთ წარწერა: **ყხღცყმყრც ბბრყღყჩქ**, — ელაჭიში რიგავა. ეს გვარი რომ გაიკონა სეფიუთის მხათე, რომელიც ჩემთან იყო, გავუვირდა და მკითხა: საიდან შეიტყუეთ ეს გვარი? მე ვუთხარი, აი აქ მხატვრობაზე ამოვიკითხე მეტი. და მერმე დაუმატა: „დიდება შენს სხელს დმერთო, რომ სიმართლეს არ დაკარგავო!“ მე ვკითხე, რა სიმართლეს ეძებ შეთქი. და მან ასე მიაშბო: მე რიგავა ვარო, წინეთ ჩვენი გვარის კაცები ეოფილან აქ დიდებულები და ესენი ეოფილან სულ აქ დახატულები, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულან თოფურიქები, ჩვენი გვარის კაცების სურათები წაუშლიათ და თავიანთი დაუნატავთო.

ეს გადმოცემით მთელმა სოფელმა იცის, მაგრამ ნაშთი ანაჲის შეუმჩნევეა დღემდისა. მეორე სურათზე აქ მოჩანს ასოები: **წიღი** **ქაქუცა** (?). დიდებულების სამი სურათი უოფილა კიდევ ეკვტერის ჩრდილოეთ კედელზე, მაგრამ ესა სულ გაფუჭებულია. სხვა საკლესიო სურათებთა შორის ეკვტერში ემჩნევა კიდევ ფრესკები: „წიღი გიორგი“ (დასავლეთის კარის მარცხნივ) და ერთი შესვეტი. ეკლესიის კარის ზემოთ: დედა ღვთისა ჩვილადი თხზი ანკლოზითურთ, ქვემოთ წიღი გიორგი ცხენით, მარჯვნივ ორი წმიდანი კიდევ, ერთი მათგანი ხმლით ხელში.

საკურთხეველის ცაში ეკლესიის დასატულია მაცხოვარი წარწერით **IC XC** და გაშლილი სახარებით ხელში, რომელზედაც იკითხება: „მე ვარ: ნთლი: სელსა“, მაცხოვრის მარცხნივ ღვთის-შობილია დასატული წარწერით: **გაგაღი იღის** და მთავარანგელოზი. მარჯვნივ იოანე ნათლის მცემელი და მთავარანგელოზი. ფრთასან მთავარანგელოზებს სიმბოლოები აქვთ ხელში წარწერებით: **ქაქუცა**. ამთ ცოტა ქვემოთ ქერახებია. ქვემოთ საკურთხეველის კედელზე ქვის აშის უგლის, რომლის ქვეშ ასომთავრულით სწერია: „[და-მოსავლეთიდან] ვიდრე დასავლეთამდე ქებულ არს სახელი უფლისა, რომელსა ნუბავს ცხოვრება“. ამას ქვემოთ მთელი რიგია იესო ქრისტეს მოწაფეებისა, შუაში ჰეტრე და მავლე და აქეთ-იქით დახარჩენი ათი მოწაფენი. ამთ ქვემოთ დიდი ნიშია ამოვსებული, რომელიც წინეთ ფანჯარათ უოფილა და ამ ნიშში დასატულია ხელებ აშუკრილი წმიდანინო წარწერით: **ქაქუცა**. მხატვრობა ულამაზოა, მაგრამ ეს ერთად ერთი მაგალითია ჟერ-ჟერობით ცნობილი წმიდანინოს სურათისა ეკლესიის კედელზე დასავლეთ საქარაველოში. მარჯვნივ და მარცხნივ წმიდა ნინოსა დასატულია მთელი რიგი წმიდათა ეკლესიის მამათა: წიღი გრგელ, წიღი იე: ოქრზრი: წიღი ბსლი და სხვა. ამთ ეტრატები აქვთ ხელში ხუცურის წარწერებით. თვით ეკლესიაში, შუატანში, ჩრდილოეთის თადის ნაწილზე შემდეგი სურათებია: ფერის ცვალება, ამაღლება, ჯვარცმა. სამხრეთის თადის ნაწილზე: ნათლის-ღება, მირქმა სვიმეონისი, შობა. თადებზე დასავლეთისკენ: იოჲაკე და ანა, კოზმან და დამიანე, წიღი ეკატერინე, წიღი ბაღბაღე.

ანას სურათის ზემოთ წითლური ასომთავრულით აწერია: **ԲՇ
ՎՄԿ: ՄԿ: ԿԻՆ: ՆՆԿ: ԵՂԿՄՆՆ ՄԳՆԿՆԸ:**

უქარაგმით: „წმიდა გიორგი, შეიწყალე იოანეს სული ცა-
კარლისშვილისა“.

სხვა სურათებიც ბევრია, მაგრამ გაფუჭებულები, წაბლული
წარწერებით.

ჩრდილოეთის კედელთან კვლესიაში დიდი ქვა არის სსსფლავ-
სი უშნო ასომთავრული წარწერით, მაგრამ წარწერა ისე გაფუჭებუ-
ლია, რომ ამოკითხვა მთელი აზრისა შეუძლებელია. განიჩევა მხო-
ლოდ ცალკე ასოები. ასეთივე გაფუჭებული წარწერანი ქვა ემჩნევა
კიდევ გარედან დასავლეთის ეკვტრის ჩრდილოეთის კედელზე. კვლე-
სია გარედან და ზოგ ადგილას შიგნითაც შეთეთრებულია კირით.

ხ ა ტ ე ბ ა.

იშვიათია ჩვენში ძველი ეკლესია, რომელიც ასე დარბი იუოს
ძველი ხატებით, როგორც სუფიეთი. აქ დაცულია მხოლოდ:

1. მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა, 20,4×20 სანტიმე-
ტრი, უთვლად უშნო ხელობისა. ანგელოზი ფრთხასანია, მოაქვრილი,
ცალ მხარზე ჯვარი აქვს, ცალ მხარზე მახვილი. ხატს ამკობს ოთხი
ქვა. როგორც თვით ხელობა უშნოა, ისეთივე გასაოცარი უშნო მხე-
დრული წარწერა აქვს მარცხნივ ამიზე:

- 1) ქ.: თამი ზის¹⁾ და: . ოთიას: . და: . ოტიასა
- 2) მომჭედია: . თარაგლის(სი) ხატი: ჯვარ
- 3) თ: . წყაღე ამინ.

კვანებ ეს წარწერა ასე უნდა გავიგოთ:

„თამიზის (შეიძლება იუოს თამიურაზის) და ოთიას და ოტიას
მომჭედია მთავარანგელოზის ხატი. ჯვართ შეიწყალე, ამინ“.

2. ჰატარა ხატი წმიდა გიორგისა. წამლით ნახატი და ხუცუ-
რის წარწერით: „წა გიორგი“. წმიდანს ცხენზე მჯდომარეა, გე-
შაშს გამიარეს. მარცხნივ მხედრული წარწერა აქვს:

1) ამ სიტყვის ნაწილებს შორის ასეა დედანზე დატოვებული ადგი-
ლი და არც წაბლული ასოები ვმჩნევა.

„შემოვსწინე მთავარანგელოზის ეკლესიას აზნაურმან როსტომის ძემა იოვანე თოფურიაშან სადღეგრძელოთ ჩემდა ჩემის ძირის ეკლესიას წელს ჩემე ღვინობისთვის იე“.

ბანძა, გედიდი კარი.

აქ მთავარანგელოზის ეკლესია არის ახალი, ქვისა და შიგ მთავარანგელოზების ხატია ერთი ვერცხლისა, 29×24 სანტიმეტრი, ქართულის მდარე ხელობისა, ჩვიდმეტის ქვეით, მათ შორის ერთი ბეჭედაა არაბულის წარწერით აუიუზედ, მეორეზე ძველი რომაელების დმერთი მერკურთისა გამახატული. ზემოთ ერთი პატარა სიმრგვლეა (дробница) ცამეტის ძვირფასი ქვით შემკობილი. აშის ჰტუელა ბაღახის მსგავსი გრეხილებით მოჩუქურთმებული. მეორე კვერდზე მხედრულათ აწერია:

- 1) ქ: დიდნო მთავარნო ზეცისა.
- 2) ძაღთანა: მიქაელ: და: გაბრიელ:
- 3) ადგიშენე: ხატი: ესე: მე: ფაღვამ:
- 4) ხუხუმ: შენდა: სადიდებლად: ჩემ
- 5) სა: ამ: სოფლისა: სადღეგრძელოდ: მას:
- 6) საუკუნოსა: ჩემისა: სულისა: საოხად და:
- 7) სახსრად:

ხატი უნდა ეკუთვნოდეს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს.

ბანძა, შაური კარი.

ეკლესია აქაც ახალია ქვისა წმიდის გიორგის სახელებად აშენებული. ხატი წმიდა გიორგისა, 27×21 სანტიმეტრი, ვერცხლის არის, ქართულის ხელობისა. წმიდა გიორგი ცხენით არის წარმოდგენილი, ვეშანს გმირავს შუბით. ზემოთ ხუცურათ აწერია: R¹ K¹ 14. აშის შემკობილია ვეზვილების მსგავსი ჩუქურთმებით. ხატის უზის ცნრა ძვირფასი ქვა ზემო ნაწილზე.

მეორე გვერდზე მხედრული წარწერა:

„წელს ჩემს-სა ივლისის ეზ-სა. წმინდა გიორგი, ჩვენ მოსაგ-
მან შენმან თავადმან ფაღვამ კაცამ და მეცხედრემან ჩემან ზეფის-
შვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე შენი საფასითა
ჩვენითა სულისა ჩვენისა სახად და ძეთა ჩვენთა წარსამართლებად“.

ეკლესიას დიდი ეზო აქვს ჩვეულებრივად დიდრისი ხეებით
შეშვებული. ახალ კვირას აქ დიდი ხალხი იკრიბება და, სხვათა შო-
რის, ჩვეულებათ აქვსთ ძირიანათ რომელიმე დიდი ხის მოთხრა. ფა-
ღვას გვარი უმეტესად ეხლაც ბანსაში ცხოვრობს.

მ ა რ ტ ვ ი ლ ი .

მარტვილი ერთი საუკეთესო ტაძრის თავის მდებარეობით, ხე-
ლოვნური სტილით, ისტორიული მნიშვნელობით და მასში დაცული
არქეოლოგიური ნაშთებით არა თუ მარტო სამეგრელოში, არამედ
მთელ საქართველოში. ღამაზი გუმბათიანი ეკლესია. აგებულია შა-
დალს გორაკზე ცხენის წყალს და აბაშის შუა, საიდანაც თქვენ ბე-
შლებათ საუცხოვო სურათი იმერეთის და სამეგრელოს ვაკე-მინდვრე-
ბის თავის წალოც-ბაღნარით და სოფლებ-დავებით და აგრეთვე სუ-
რათი ლეჩხუმისა და სვანეთის მთა-გორაკებისა. სიტყვა მარტვილი
წარმ.ს.დგება ბერძნული სიტყვიდან *μαρτυρ*, რომელიც ნიშნავს წა-
შებულს. ძველი მებრედი სახელი იყო ადგილისა ჭყონ-დიდი, ესე
იგი დიდი მუხა. ამიტომაც ამ მონასტრის მღვდელთ-მთავრები იწოდებო-
დნენ ჭყონდიდლებად. ჭყონდიდლები პირველი ვეზირები იყვნენ ძველს
დროში საქართველოს მეფეებისა და, რასავეირველია, მათი საკათედ-
რო ტაძრიც დიდებული უნდა უოფილიყო. თუ რა თანამდებობა,
დინსება და პატივი ჭყონდიდლებს საქართველოში, ამას
ვტყობილობთ სხვათა შორის დაწერილებით ჩვენ მიერ ახლად ნა-
პოვნ „ეკლემიის კარის კარიკებიდან“. გადმოცემა მოგვითხრობს,
რომ ტრაპიზი მარტვილის ეკლესიის დადგმულია იმ მუხის ძირზე,
რომელიც მოჭკვეთა ანდრია მოციქულმა, ოდეს მებრედი მოაქცია.
დიბუას აზრით მარტვილი აშენებულია იმ ადგილზე, სადაც წინეთ

საკერძო ტაძარი იყო და ზოგიერთი ნამტერევეები ამ ტაძრის ჩუქ-
 ლეუღია მარტვილის ეკლესიის კედლებში. დიბუსს შემდეგ მარტვი-
 ლის ეკლესია სრულიად განუახლებიათ და გარედან ეკლესიას დაუკარ-
 გაგს ძველებური სახე და უმეტესი ნაწილი იმ ქანდაკებათა ნაშთე-
 ბისა, რომელნიც ჩატანებული უოფილა ძველ კედლებში, და აგრეთვე
 გამკრალა უველა წარწერებიც. ვინაითკან მარტვილის მონასტერი სა-
 გამოდ ცნობილია ლიტერატურაში¹⁾, ამიტომ ჩვენ დაწვრილებით მის
 აღწერას არ გამოუდგებით.

ვიტყვიით მხოლოდ, რომ საერთოდ მიღებული აზრი, ვი-
 თამც მარტვილის ეკლესია აშენებული იუთს მათე საუკუნეში აფხა-
 ზეთის მეფის გიორგი II-ის მიერ (912—957) შეცდომათ მი-
 გვანია. მათე საუკუნეში აგებულია მხოლოდ დასავლეთის შუა ეგ-
 ტერი ეკლესიისა და არა თვით ეკლესია. მარტვილის ეკლესიის თაგ-
 დაპირველი გეგმა სრულიად ისეთი იყო, როგორც ჯვარის ეკლესიი-
 სა მცხეთის მახლობლად, ატენის სიონისა და ძველი შუამთისა კა-
 ხეთში. ამ გეგმის ეკლესიები ეკუთვნიან მე-VII—VIII საუკუნეს.
 ხოლო მათე საუკუნის ეკლესიები, რომელთაც ჩვენამდის მოუღწე-
 ვიათ, სულ სხვა გეგმისა არის და ამის ცხად მაკალითს გვადლეგს
 თარიღიანი ეკლესია კუმორდოსი, აშენებული აფხაზეთის მეფის ლეონ
 II დროს 964 წელს. რომ დასავლეთის შუა ეგეტერი მართლა აშე-
 ნებულია მათე საუკუნეში, ამას მოგვითხრობს წარწერა, რომელიც
 ბროსეს გადმოუწერია და რომელიც ეკლესიის განახლების დროს მე-

¹⁾ ნახე: Dubois, Voyage autour de Caucase, t. III, p. 39—
 48. Brosset, Voyage archéologique. Rapp. VII, p. 11—17. Resu-
 mé, p. 8. მიხივე, Explication de diverses inscriptions, extrait des
 Mémoires de l'Académie... VI série, t. IV, p. 85—87, pl. VII,
 № 25, 26. Муравьевъ, Грузія и Армения, ч. III, стр. 246—260.
 Д. Бакрадзе, Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства,
 стр. 96—97. Павлиновъ, Христіанскіе памятники Кавказа. Мате-
 ріалы по Арх. Кавказа, Моск. Арх. Общ., вып. III, стр. 46—57.
 Кондаковъ и Бакрадзе, Опись памятникамъ древности въ нѣко-
 торыхъ храмахъ и монастыряхъ Грузіи, стр. 66—79. თ. ჟორდანი-
 ნია, ქრონიკები, I, გვ. 89, 174—175, II, გვ. 172—174.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამქრალა. ბრძისეს ასე მოჭეავს ეს წარწერა:

**ჰფი ზფიზრე ზ ცხიყრე
ზიზყიზი ზე ყიყი ზეზიზრე . .**

ცოტა ზემოთ მარჯვნივ:

შს . . ცხი ზ ზიზრე. ზ: ზიზიზი ზიზი:

დამატებით ბრძისე ასე კითხულობს და სთარგნის წარწერას:

[დამერთა შეიწყაღე] შეიყე აფხაზთა [და ქართველთა ორთავე შინა] ცხოვრებათა აღაშენა წმინდა ესე სანათლა[ცი]... დასაბამითგანთა წელთა ა(?). ქორთიკონსს სივ:

ქორთიკონსი ამ წარწერისა უდრის 996 წელს. ამ დროსაფხაზეთის მეფეთ იყო ბაგრატ III (978—1014). ცხადია, რომ ეს წარწერა მოგვიტანხრობს დასავლეთის ეგვიტის აშენებაზე და ამ ეგვიტურს სანათლავს უძახის აღბათ მიტომ, რომ ეს ადგილი ბავშვების სანათლავად უოფილა დანიშნული. წინეთ უმაწვილებს ნათლვიდენ ეკლესიაშა. რომ დასავლეთის შუა ეგვიტური შემდეგ არის მიშენებული, ამას ცხად ჰყოფს ის გარემობა, რომ დასავლეთის ფანჯარა ეკლესიისა დახშულია ეგვიტის გამო და კიდევ უფრო ის ფაქტი, რომ შესანიშნავი ქანდაკებანი, რომელიც ამკობდა ამის (ფრიზს) დასავლეთის ფასადისა დაცულია ზემოთ მეორე სართულში ამ დასავლეთის ეგვიტისა. ამგვარივე ძველი ამია შერჩენილია კიდევ აღმოსავლეთის შუა ტანზე ეკლესიისა. წინეთ ნაწევრები ამგვარ ქანდაკებათა უოფილა გაბნეული სხვა კედლებშიც, რაც სწინს დიბუას მოწმობით, მაგრამ განახლების დროს დაკარგულა.

დასავლეთის მხრით ფანჯარას ზემოთ შუა ეგვიტისა უოფილა კიდევ დიბუას დროს და დიბუას გადმოულია შემდეგი წარწერა:

ჰყ ყყ ჰჰჰ „ქრისტე, შეიწყაღე მიქელ
ღზღზი ოზზი კალატონი ოზიზარი“.

ამ წარწერიდან სწინს, რომ კალატონი, ანუ კალატონი, რომელსაც უშენებია მარტივლის ეკლესიის დასავლეთის შუა ეგვიტური, უოფილა ოზიზიდან, ჭოროხის ხეობიდან, სადაც იყო ძველი ოზიზის მონასტერი.

ფანჯარას ზემოთ დასაფლეთის შუა კვებრისა დღემდის დაცულია მხოლოდ მშვენიერი ქანდაკება იესო ქრისტესი, წარწერით ზემოთ: **ԻԿ ԿԿ**. მარჯვენა კელი ქრისტეს ცაღ აპურთბილი აქვს, ხოლო მარცხენაში უჭინავს სახარება ჯვართ შექმობილი და აქეთ-იქით სიგძეზე მსხვილი გამობერეილი ასტუბით სწერია:

ԶԿԿ	ԶԻԶ	მე ვუც ცაღ
ԿԾ	ԿԿԸ	კელი ჩე-
ԸԾ	ԻԿԸ	მი, ვფუ-
ԿԿ	ՄԸ Կ	ცო მარ-
ԿՆ	ԸԿԸ	ჯვენესა ჩემ-
ԻԶ	ԸԿԸ	სა, და ვთქვა:
ԿԿԾ	ԿԸ	„ცხოველ
ԸԾ	ԿԶԿ	ვარ მე უფ-
	ԾԿԿ	ნისამდე“ ¹⁾ .

როგორც ქანდაკება, ისე ეს წარწერა გამობერეილი ასტუბით ძრიელ წააგავს კუმურდოს ქანდაკებათ და წარწერებს. ეს არც საკვირველია, რადგან ორივე ნაშთი მეათე საუკუნეს ეკუთვინის.

ჩრდილოეთის კედელზე ბრასეს დროს ეოფილა შემდეგი წარწერა: **ԿԿ ՄԿ . . . Բ ՕԿԿՆԿՆ**, ესე იგი: „ქრისტე შეიწყაღე... თქრობირი“.

შუა კვებრის დასაფლეთისა მიშენებულეი აქვს მარცხნივ კვებრის მიძინებისა და მარჯვნივ მთავარანგელოზთა, უკანასკრელი უფრო გვიანია და უშნო. ხოლო ერთიცა და მეორეც სასაფლაოა დადიანებისა. მარჯვენა კვებრის დასაფლეთის კარზე მხედრულათ აწერია:

„წელსა ჩელჭ-სა იენისის კღ-სა კეგდრისა ამის წინამძღვარი დოდაბერიძე გერასიმე გედრებით [ცხოვ]კთ აღმოშობითხველთა ამისთა შენდობას გვიბრძანებდეთ. თქვენ შენდობილ იუვენისა ამინ. კეგ-

¹⁾ ეს ტექსტი შედგენილი უნდა იყოს დაბადების შემდეგი ადგილების მიხედვით: გამოსვლა **IX, 29**; ესაია **LXII, 8**; გამოცხადება იოანეს **I, 18**. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ პირველ ორი სიტყვის მაგიერ ბროსე კითხულობს: „მიყუ“. მაგრამ ეს შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ტექსტში **მ** და **ი** კარგათ განირჩევა და აქ **მ** არის.

ტერი განვასხვავებ და სიძველის[გან] დაუხურავისკან ჩამონგრეული შეგვასმე და დაგხურე ეტ“.

გორაკის ზემო ნაწილი მარტვილისა, სადაც შენობებია, ვრცელი არ არის. შუაზე დგას თავი ეკლესია. სამხრეთ-დასავლეთისკენ ეკლესიისა ამართულია ოთხკუთხედი მაღალი სვეტი, რომელზედაც მესვეტის საცხოვრებელი ეკლესია-თახანია. აღმოსავლეთის ნაწილზე ამ ეკლესიისა მოჩანს ქანდაკება წელზედგომი სვიმეონ მესვეტისა და საზოგადოთ ეს ნაწილი და მხარე სვეტისა შემკობილია ჩუქურთმებით და გრებილებით, მაგრამ ეტუობა უფლა ეს შედარებით მერმეა მიმართული რაღაც სხვა შენობის ნაშთებიდან. დიბუას დროს აქ კიდევ ცხოვრობდა მესვეტე და დღეული იყო კიბე, რომლის საშაფლებითაც ხალხი ადიოდა და ჩამოდიოდა, რათა მიეღოთ ღობე-კურთხევა მესვეტისგან. მურავიფოს დროს აქ იყო მესვეტე იესე, რომელიც წინეთ გამხარტოვებული ცხოვრობდა ტეში და რომელიც მოყიდა აქ მესვეტის რომანოზის გადაცვალების შემდეგ. ჩრდილოეთის მხრით ეკლესიისა ფერდოზე პატარა თლილის ქვის სამ საართულიანი ეკლესიისა არის ჭყარის გეგმისა სრულიად შებურვილი სურათი. სილამაზე ამ ეკლესიისა სწორეთ მომხიბვლავია და მართლ ამის სანახავად დირს რომ კაცი გაემგზავროს მარტვილში. ამ ეკლესიას სახელსდებენ ჩიქოვანების ეკლესიათ. კარების ჩარჩოებზე მხედრული წარწერაც მოჩანს უბრალო შავის მუღნით, მაგრამ ესლა ჩარჩოები დამაფულისა შეკეთების გამო და მოჩანს ძლივს მხოლოდ შემდეგი სიტყვები:

„...თქვენისა ფარვისამან სახლთუხუცესმან ჩიქოვანმა გიორგიმ საცხოვრებელად მჩრობლთა შინა ცხოვრებათა თვით და მუედლისა ჩემისა...“

ამ ეკლესიისაში: რომელიც ესლა გაუქმებულია, ეოფილა ხის კანკელი ფიციარზე დახატული ხატებით. ზოგიერთი მათგანი აქვე აწევია. ზედ წარწერები ხუცურად ასეთია: „წმ დიმიტრი, მარკოზ, წმ გიორგი, წმ ოქრობირი, იე ნათლისმცემელი, იე ქე, მირქმა, წმ ფილიპე, წმ ტვი დავით, ედ წმ, წმ ანდრია, წმ ზაქარია, წმ პე, წმ თედორე, წმ ინე მახარობელი“...

წინეთ კედლები ამ პატარა ეკლესიისა მოხატული ეოფილა ფრესკებით, მაგრამ ესლა მხატვრობა ჩამოცვინული და ჩამოკრძახილია.

- 31) ანოზ მორავ უხუცესმან ანუ ქალმან
- 32) ვინმემ ანუ დიდმან გინა მცირემან
- 33) ესე ოთხი ჯვარი ამ ეკლესიას გამოსწიროს
- 34) და ანუ ერთმანერს(sic) სუმიანდუღუფ(sic) მოაშოროს
- 35) და რითაც საქმით ამ ეკლესიას დაუკარგოს შენ
- 36) შერისხენ თავად დაუსაბამოვ ღმერთო და მარ.
- 37) ტვილთა ღ'თის მშობელო ცხოველს მუთოველო
- 38) ჯვარო მისი სული და ხორცი ჯოჯობეთს
- 39) შინა დაანთქ და იუდასთანა მკვიდრად იჩინე
- 40) სატანჯელსა მას დაუსრულეებელსა. წ
- 41) დამატკიცებელნი ამისნი აკურთხენეს ღმერთმან
- 42) იმინ.

1. სამიტროპოლიტო ჯვარი, 15 X 9 სანტ., სულ ოქროსია, საუცხოვრთ შემკობილი ბერძნულის მიღანქრით და ძვირფასი თვლებით, მარგალიტებით, ფირუშებით, ზურმუხტებით და ამითვისტოებით. წინა ზირზე ჯვარისა წარმოდგენილია გამობურვით განჭვდილი ჯვარცმა ქრისტესი, კბელი უსახელო ტანისამოსით, შედალიონების სურათებით ღვთის მშობლისა და იოანე ნათლის-მცემლისა მარცხნივ და მარჯვნივ და შთავარ-ანგელოზებით ზემოთ და ქვემოთ. წარწერები ბერძნულია. თავების სიმრგვლე წმიდანებისა შემკობილია ბიზანტიურის ხელობის მიღანქრებით. მეორე ზირზე ჯვარისა წარმოდგენილია ასეთივე ხელობის სურათი ღვთის-მშობლისა ჩვილი. მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ ღვთის-მშობლისა ჯვარის ფრთებზე შედალიონების მსგავსად მახარობლებია წარმოდგენილი: მათე ზემოთ, მარკოზ ქვემოთ, ლუკა მარცხნივ, იოანე მარჯვნივ. აქეთ და იქით ღვთის-მშობლის თავისკენ თითო მიღანქრის ვარსკვლავია. მაროალს ამობს მეცნიერი ნ. კონდაკოვი, ვისაც ეს ჯვარი არ უნახავს, უოვლად შეუძლებელია წარმოდგენას იქანიის საუცხოვო ხელობების შესახებ ამ ჯვარისა. იმავე მეცნიერის განმარტებით ჯვარი ეკუთვნის მე-VIII—IX საუკუნეს და გამოცხადებული უნდა იყოს კონსტანტინეპოლიდან ერთ-ერთ ჭეონდიდლისათვის მე-IX ანუ მე-X საუკუნის დასაწყისში.

2. მეორე სამიტროპოლიტო ჯვარიც შესანიშნავია თავის ხე-

ლობით, მილანქრიანი ბიზანტიური ხელობისა და ეკუთვნის კონდაკოვის განმარტებით მე-X საუკუნეს. ეს ჭვარი ისე კარგად არ არის მოღწეული ჩვენამდის, როგორც ჰინჯული. ჭვარი ოქროსია, $18 \times 11,5$ სანტ., შთა ნაწილებია დაცული, შემკობილია ძვირფასი ქვებით და შემოზღუდულია ჭვარის სახედ რვა მილანქრიანი სიმრგვალით, რომლებშიაც ძვირფასი ქვები უთვლია წინეთ, მაგრამ ესაა არც ერთში აღარ მოიპოვება და თვით მილანქარიც დაცულია მხოლოდ სამს სიმრგვალიში. ფრთებზე ჭვარისა მილანქრით გამოხატულია: ზემოთ ღვთის-მშობელი, ქვემოთ იოანე ოქროპირი, მარცხნივ წმიდა დიმიტრი, მარჯვნივ წმიდა ნიკოლოზი. იოანე ოქროპირი სრულად არის გამოხატული, სხვები წელს-ზევითია. წარწერები სახელებისა უკვლას ბერძნული აქვს.

3. ზანგია წარმოგვიდგენს ერთს მილანქრის მუდლიონს, გარემომოცულს მარგალიტებით, რომლის წინა ჰინჯე მილანქრით გამოხატულია ჯოჯოხეთის წარტყვენა იესო ქრისტეს მიერ ბერძნულის წარწერით. იესო ქრისტე სდგას ორს შავ კარზე და ორივე ხელით ამოჭყავს ადამი ჯოჯოხეთიდან, რომლის გვერდით მოჩანს ევანგ. ხელობა ბიზანტიურია, ძრეულ ლამაზი და კონდაკოვის განმარტებით ეკუთვნის მე-XI საუკუნეს.

4. სანაწილე ოქროსია, ზომით 9×6 სანტ. და თავის გამოხატულობით მოგვაცანებს არაბულს ციფრს 8. წინა ჰინჯე ნაქსოვია ოქროს მავთულებით და შემკობილია ძრეულ ხშირი ძვირფასი ქვებით, ფირფიტებით, ზურმუხტებით და ქარვის ნამცვერებით, შუაში უხის საფირფიტა, შიგნით კოლოფია ნაწილებისათვის. მეორე გვერდზე მხედრული ძნელი გასარჩევი წარწერა მოიპოვება, რომელიც აღდენხანს უცნობი იყო. ჩვენ ამ წარწერას ასე ვკითხულობთ:

- 1) ქ. რწ. სხვათა: წინასწ
- 2) რმტუეულთა. ქადაგბული. თვა
- 3) ლით: იხილე: და ხელით. მსახე
- 4) საშოთ: ბერწისათ: შახმვად: მკად
- 5) რელო. უაველთ: ნაშბთ: უმეტესო. იოვანე
- 6) გვედრები გურეული: ქაიხოსრო
- 7) ხილეულთა. და უხილაჟთა. მტერთა შემუს

8) რასა: მოწყალე: უკ ნათელდებული

9) იესო: ღთა: ჩემი.

უქარაგმით:

„რომელმან სხვათა წინასწარმეტყველთა ქადაგებული თვალთი იხილე და ხელით მსახურ[ე], საშოდ ბერწისათ შხმვად მკადრელო, უოველთ ნაშობთ უმეტესო იოანე, გიგადრები გურიელი ქაიხოსრო ხილულთა და უხილავთა მტერთა შემუსრვასა. მოწყალე უკ ნათელდებული იესო ღმერთი ჩემი“.

აქ მოხსენებული ქაიხოსრო გურიელი უნდა იუოს გურიელი ქაიხოსრო I, ვანტანგ I შვილი, რომელიც გადაიტვალა 1658 წელს, ან ქაიხოსრო II, გიორგი III შვილი, რომელიც გადაიტვალა 1689 წ. 1). უოველ შემთხვევაში წარწერა მე-XVII საუკუნეს ეკუთვნის.

5. ამავე უფრაში მოთავსებულია მშვენიერი ღვთას-მშობლის ხატი 56,2 X 44,2 სანტ., თერადებით დახატული, რომლის წინა პირი ერთხელ შემკობილი უოფილა მილანქარით და შეიძლება ძვირფასი ქვებითაც, მაგრამ საბინგუსს გაუძარტვავს და წინა პირი ახლად შეუჭვია. ძველი ხუტური წარწერა მოაქრვილს სურგზე შერჩენილა, ცოტადანად ზემოთ გაფუჭებული:

- 1) ჭ ნჯჳ ნჯჳჳ[ტ] ზღ... ჳტრ ////////////////
- 2) ჳჯჳჯჳჯ: ორტნჯ: ...ნო.ზნტ: რჳზღ: //////////////
- 3) ტო.ტრ: ნო.ზნჯ: ნ . . ჳ:... //////////////
- 4) ჳტხჳჳნტ: ჳტხ ჳჳრჳზნჯ: ჳჯტ ჳჳრჳნტჯ: ჳჳრჳჯრ: ჳჯტჯ: ////////////// 2)

5) ოჳჳტრ: [ჳჯტ] ჳჳო.ჳჳზღ: ჳო.ზნჯ: რჳზღ: ორტნჯ: ჳჳო.ჳჳზო: ჳჯჳრტო.ზო: ოჳზ[ჳ]

6) რტნჯ: ჳნ.ჳჳრჳჳნჯ: ჳო.ზნჯჳო: რჯრჯნჯ: ჳჳრჯნჯ: სნ.რჳზნჯნჯ: ჳო.ტხ: ჳტ.ტჳრჯ: [ჯჳ]

1) იხ. Бахрадзе. Арх. Пут. по Гурii и Адчарѣ, стр. 336.

2) ამ ოთხთავე სტრიქონის ბოლოს მიკერებული აქვს შემდეგ დროში ვერცხლის ნაქრები სხვა ხუტურის ხელით დაწერილი ასოებით, რომელთაც ჩვენს წარწერასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

7) ჳ: ႠႡႢႣႤႥ: ႧႨႩႪႫႬ: ႭႮႱႲႳႴႵ-
 ႶႷႸ: ႹႺႻ: ႼႽႾႿ: ႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾ

8) ႠႡႢ: ႣႤႥႧႨႩ: ႪႫႬႭႮ: ႯႰႱႲႳ-
 ႴႵႶႷ: ႸႹႺ ႻႼႽႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾ-
 ႿႾႿႾ

9) ႿႾႿႾႿ: ႾႿ: ႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ-
 ႿႾႿႾႿ: Ⴟ: Ⴟ: ႯႰႱႲႳႴႵ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ:

10) ႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႯႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺ-
 ႻႼႽႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ ႿႾႿ

11) ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ-
 ႿႾႿႾႿ: ႯႰႱႲႳႴႵ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿႾႿႾႿ [ႿႾႿ]

12) ႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ-
 ႿႾႿႾႿ: ႿႾႿ: ႯႰႱႲႳႴႵ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ

13) ႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿ-
 ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿ:

14) ႿႾႿႾႿႾႿ: ႯႰႱႲႳႴႵႶႷႸႹႺ: ႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿ-
 ႿႾႿႾႿ: ႿႾႿ ႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿႾႿႾႿႾႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ: ႿႾႿႾႿ:
 ႿႾႿႾႿႾႿႾႿ:

ჟჟჟჟჟჟჟჟ:

„ქ. სმ სსსსსს [რ] და . . . ერთ . . . მამას, დმერთს . . . სულოთ
 წმინდითურთ სულის, ს . . . ბ . . . ასკობით არს ქმნილს, კაცქმნითა ჟე-
 ნჯან კაცთა . . . დმერთი [კაც] მუოფეულად, ყოფულად წმინდაო დმრთის
 მშობელო, ქალწულო ოდიგიტრისა მსგავსებისა მოსახეო, ხატისა
 შენისა სიწმიდისასა. შორს მცირედთა ამა ნივითა მომძღუანე აღმს-
 კობად უღუ, ლელა, და მემურდომით მოქენე მათეთის, რომელი სს-
 წუთროსა ღვინ ჟეუჟენ ჩემთვის, შუგილითურთ ზვიადი და გიორგი
 იოსებ დედაფალო!“

„ქ. ჰ, უბიწო დმრთის მშობელო, ქალწულო, ოდიგიტრისა
 ბწყენჯალო სსხეო, მოქენე ესე შენდამო წყალობისი, ახლად მამ-
 კობი კინთა მიერ, უღირსი მანდატურთ უხრეკი ბედანი დადანი
 და მუედლე, კობოვ, მე უღირსი ნუშაქი, ქართლისა ერისთვისა
 ასული ძითურთ გიორგით და ივანეთ კვიოსენ, ყოფულად უხრწნელო,
 რაჟმს დაჯღეს ქე შენი განკითხვად დღესა მას სსმინელსა.“

ზემო აღნიშნული წარწერა ასე სრულად პირველად იკითხება ჩვენს ლიტერატურაში¹⁾. აქ თითქმის ორი სხვა და სხვა წარწერა არის, მაგრამ ხელი და გამოხატულობა წარწერის ასოების სრულად ერთგვარია და ერთ დროს დაწერილი. ბედან დადიანი და მეუღლე მისი ხუმაქი, ქართლის ერისთავის ბეგას ასული, კარგათ ცნობილნი არიან ჩვენს ისტორიაში და ცხოვრობდნენ მე-XIII საუკუნეში, მაგრამ უღუ და ლელა სხვა წყაროებიდან არა სჩანან და არ ვიცით, როდის ცხოვრობდნენ. თუ ესენი თანამედროვენი არ არიან ბედან დადიანისა²⁾, უნდა ვიფიქროთ, რომ ხუმაქის და ბედანის ხატის განახლება დროს გადაუწერინებიათ ახლად ძველი წარწერა ხატისა, რომელიც შემდეგ კიდევ დაზიანებულა და ისე მოუღწევია ჩვენამდის. ამ პირთ კიდევ შევხვებით ჩვენ სოპის წარწერების კარჩევის დროს.

6. ამავე უფრაში არის ხატი ღვთის-მშობლისა ჩვილელი, ნატკედი, წელს-ზევისი, შემკობილია თვლებით, პირის სხე წამლით არის დახატული. ამიები შემკობილია ბალახის მსგავსი გრეხილებით. ხელობა ქართულია დაქვეითების ხანისა, მე XVII საუკუნისა. ზემო და ქვემო ამიზე მხედრული წარწერაა. მარჯვნივ ერთი ნაწილი წარწერისა აკლია და აზრით აღდგენილ სიტყვებს ფრჩხილებში ვსვამთ.

1) ქ. ეჭა: უფლად: საგალობლო: ღთისა: სძალო: ქალწულო: შვიდთა: ცათა: უმადლესო: და ქერთინთა: უზეშთაეს

2) თ.: უთველთა ქრისტიანეთა: სსო: და: შესვედრებულო: დედაო: ნათლისო: უფლად: წმიდაო. მარტვილთ

3) ა: ღთის: მშობელო: გვედრები: მოსავი: დმრთაები-სა: შენისა: დადიანი: ლევან: ძე: კელმწიფისა: მანუჩარისა:

4) რომელმან: განგახსელით: სხე: შენი: ჟამთა: ვითარებისა: გან: სრულობით: მომლილი: და: დამტრეული

5) იყო: და: ახალს: ხეზედან:

6) [ხელ]ახლა: მოვაჭე

1) შეადარე თ. ჟორდანი: ქრონ. I, გვ. 174. Описание пам. др. стр. 80—81.

2) თ. ჟორდანი უღუს და ლელას შვილებითურთ მეთერთმეტე საუკუნის პირებათ თვლის. იქვე.

7) [ღანეთ ხე]ენის: ვერცხლით: იქროს: წყლით: დღურ-
ჯით: ხეების: აყლით: და მარგალიტით: ზეჲ

8) [შველ]: კურთხეულით: სხურველით: ხეწის: ა. ი. ი.
ფლის: შინაის: თას: შვესკრით: ხეწის: ღვე

9) [იფლიას]: ჰერონის: ნესტანდარეუბის: ხუდის: სის-
სად: და: სოსად: და: ცოდეთ: მისად: ზეს

10) [ახლოზღღ]: და: ადგილმარდენ: ძეხ: ხეხი: ადგილმ-
დრე: მინფარ: და: ახუდი: ხეხი: ზოდის:

11) [ამი]ნ: შვესკრით: სტო: ესე: ქეს: სამის: იფლი:
ცხრის: სეს: ამ: სტის . . . (ღანარზე აქლი).

ქართველი უფროსი 1641 წელს აქ მოხსენიებული დღიანი
არის ღვეს II. ამ დროს გადაგვაღებულა ვიფლია მისი მუარე ც-
ლი ჯილდის ქალი ნესტან-დარეუბან.

მუარე აგვრდზე ამ სტის ვერცხლის ფიფარზე ვფროს გამ-
მოსხული ვფვილ-ბლახთა სხის მსგავსი არძით. ვფროს თუმი
სწერათ: 10 X C. სიღო ქვემოთ ხეცური დიდი ასომთავრულით
აქითებთ:

- 1) შფფრუბო,
- 2) იფხ აპო.ყ.ყ. (sic) აყო
- 3) რ შრ აფრ აყყყ ვფა
- 4) ვფრფ ანაყო.ყ.ყ. აფ
- 5) ი.ყ.ყ.ყ. ვ ფრფყ ბ
- 6) ყყყყ აყყყ შრ ყ
- 7) ი.ყ.ყ.ყ. ყყო.ყ.ყ.
- 8) ზყყ იფა აპო.ყ.ყ.
- 9) ზფრ ანაფრ
- 10) რა.ყ.ყ. შრ აყ
- 11) ფრ ი.ყ.ყ.ყ.

ასო შ მუარე სტოქონის მუარე სიტყვაში, ასო აქ შვესკრ-
სტოქონის მუარე სიტყვაში, გვეხ ასო მუათ სტოქონის ვფან-
ქულ სიტყვაში და ასო ზ ვფანსქულ სტოქონში გადამორწმუნე-
ლათ არის სწერათ. ეს წარწერა ვფროს ძველით ვარჯულ წარწერაზე:
მარამ არ ვიფით, რამდელ დროს ვფრთხის.

შტარტით:

„დედოფალი ღმრთის შშობელ(ა), მკობ და მფარველ ექმნით მამკობს თქვენსა ერისთვის (ა)უნუს ჭიდასძეს და ბუბასა, შუენდევს ღმერთმ(ა) შშობელთა მათთა, აშენ, და ძეთა ჩუენთა“.

7. ამავე შტარტში არის ხატი ღვთის-შშობლისა ჩვილადი, 38,5 X 29,5 სანტ., ნაჭედი, წელს-ზევითა. სახეები ფერადებით არის დახატული, შემკობილია ძვირფასი ქვებით და ორი შარვალიცით. ისეთი-ვე ხელობისა, როგორც წინა ნომერში ნაჩვენებია ხატი და ჩკუთუნის მუ-XVII სუუუნეს. ზემოთ ასომთავრულით უწერია სახელები: **ქ: შ-შ: ნი.ნი.ნს. ჟ: უნი: ჟახ(ჩ)ი(ნი):** ქვემოთ ხატის წინ დაშკილიან ცოლ-ქმარნი, ღვეან დადინი და ნესტან დარუჯანი. სურათები წელს-ზევითა. შორე კვერდზე მხედრულით აწერია:

- 1) ქ. ეჭა ტომებით
- 2) თიხათეს. ჩუენისა იძრობი
- 3) და წინამძღრობითა: სულისა: წმიდის ღმრთის ძედა: შუ
- 4) უცვლელადმან: შვიშოსა: ბუნება: ისი: და დაქსნა: მწუხარება: ევას: და: ნაშობ
- 5) თა: შისთა: ჭეშმარიტო: საღვინებულო: კაცთა: ბუნებისაო: ნ ეს: ზე: წელ
- 6) ით: რღვინისუბრ: ცოდვითა: ჩუენთა: წარმღუნელო: აბრაჰამისა: კარაო: ღმრთისა:
- 7) დამტყვენელო: შირველისა: შამისა: შენისა: დავითისა: დავუჭენობელო: ვარდო: სო
- 8) ღომონისა: ქებათაო: იაკობისა: კობეო: ციდა: აღწევნელო: არონისა კვერთხ
- 9) ო: აღფეგებულო: შოსეს
- 10) მიერ: ხილულო: მუელო: ცუცხლა: შუესებულო:
- 11) შუენიერო: იესეს: ძირთაკან: აღმოცენებულო: კეთილ: ჩრდილთ ოცლო
- 12) ო: ესაიას: მიერ: ღრუბლად: სულ შვირკედ: სხედდებულო: აწომ

13) შად: წრდილოანად: მოხსენებულო: უოკუდა: წინსწარ-
შეტყულო. კუშ

14) ტად: შმოპდად: ვუმნოვედის: კმოხდო: მოტიქული:
პიერ შათად სხე

15) ლტებულო: მოწამეთა: სიხარულო: და: შდრდულო: მო-
ძღურათა: სიჭადულო:

16) (მ)იტოსისნო: კარგინო მუფეთხო: ზეტიერთო და ქმე-
ნოერთო: დედოფლო: უოკულ

17) თა: ქუათისა: დმატებულო: შარტულითა: დ'თის შმოპდო:.
(შეტი არაფერა სწერა, თუმა დგოლი ბეგრაი ტარული).

8. ამავე უფროში არის სტი მოიყარანტელოზების, 7X47
სანტ., სიკუდი, ჭართულის ხელობის, მე-XVII სიკუგისს, ტამე-
ტი თაფლით შეშეობილი. შუმა შეადიონში, რამედიტ მოიყარ-
ანტელოზებს უჭირავთ ხელში, ქრისტეა წარმოდგენილი წყდს-
ზეულით. ვითს ატელოზს სმალი აქვს გადებული შხარზე, შეო-
რეს „ღობარში“. ამო შეშეობილია უფიადების მსკესი მუჭურათმე-
ბით. ანტელოზებს მხედრული წარწერა აქვს: ქ. მიქელ. გაბრიელ.
მარტინე მითზე გამოსტულია ლეენ II დადიანი წარწერით მხე-
დრულით:

ქ: დადინი: დონ:

ძე: ბატონის: მნ

უჩრისს.

ამებზე ზემოთ და ქვემოთ მხედრულია სწერა:

1) ექს: დიდებულო: ზევის: ძდათა: უფრდითათა მოიყარო:.
და: კრისათათა: უოკუდათა: ზევის: და ქვეყანისათათა: დიდო: ში-
ქელ: და: გაბრიელ: შიყარ: ანტელოზო

2) ლენ: ცუ: ფარეთათა: შენათა: შიერ: შინდობილშინ:.
მოსუშინ: და: შეობშინ: სიტის: და: სისის: შენისშინ: ჩვენ:.
დადი(ნ)შინ: ბატონშინ: დონ: ძე

3) შინ: ბატონის: შინწორისშინ: დეფშენათ: დატეული:.
სედიარ: თქვენთა: წარწეს: და: შიფეკუდინეთ: სტი: ესე: და:.
შეამტეულით: თქრათათ: და: თფ

4) დითათ: და: დესანგუთ(ში): ტახის: წიდას: თქვენ-

სა: ჩვენთვის: სადღეგრძელოდ: კასმარჯვებეკლად: ბატონობის: ჩვენის: წასმარებლად:

5) და: ცოდვთა: ჩვენთა: შესნდობლად: რათა: მუნ: მექმნეთ: დღესა: მასა: დიდსა: განკითხვისსა: და: განაშორეთ: ჩემგან: მტარვალნი:

6) იგი: სულნი: ბორბოტი: და: მტეთ: განსვენება: და: ნათელი: დაუღამებელი: გვედრები: რათა: მეხს: მცველ: და: მფარველ:

7) მექმნეთ: ორთავე: შინა: ცხორებათა: ამინ:

9. ამავე უფრაში არის ზემოთ მოაწარმებული ხატი, ვერცხლის, ნაკვდი, 19×15 სანტიმეტრი, შემკობილი თვლებით, ქართულის ხელობის, მე-XVIII საუკუნის.

10. აქვე მეორე ვერცხლის ხატი დავით აღმაშენებელის, $17,5 \times 14$ სანტ., ხატი შემზადებული და მირთმეულია იერომონახის ბიკტორ გიორგაძის მიერ დავით მიტროპოლიტისადმი 1844 წელს. ამ ხატზედ მხედრულათ აწერია:

1) წა ხტი ესე დიდებულისა მეფისა და სრ

2) ულიად ივერიისა ქართველთა და აფხა

3) ზთა თჯთ მშერობელისა. დავით. მესამისა

4) აღმაშენებელისა დავითიან ბაგრატიონისა ვი

5) დავა უღირსმან იერომონ(ახ)მან ბიკტორ გი

6) ორგაძემ შევამკე და მივართვი მის მღვდელ

7) უსამღვდელოესობას მიტროპოლიტს დავითს

8) მწემს-მთვრს სრულ იმერთა და გურიის ქარ

9) თველთა ერისსა თავადის სხლხუცის ზრბა

10) წერეთლის ძეს: დნ სულით და კორცთ

11) განადღიეროს. და ამ წის მოსახელისა მი

12) სისა მადლმან ადიდოს ამინ: და ჩემ უდი

13) რსსა ზედა მადლი და კურთხევა მისი (არ) მო

14) კლებულ იქმნეს: წელსა: ჩემდ. თსა აზრ

15) სა: ქრკნს შეათობებეტს მტვევისა წელს ფლბ.

11. დვთის-მშობლის ხატი მოქვეყნილი ვერცხლისა, ჩვილი-დი, წელს-ზევითი, სახეები წაშლით არის ნახატი, შვილი ქვით და

ორი მარგალიტით შეშებოდილი, 43×31 სანტ., მდარე ხელობის, ლევან დადიანის ბრძანებით გაკეთებული. ზურგის ვერცხლზე მხედრულათ აწერია:

- 1) ქ: ეჭა: უმამოდ: შენგან: და: უდედოდ: მამისგან: ცათა: სიტყუითა: დამყარებული: საშათა: დაიტეი: და
- 2) უნებლად: განკაცნა: შენგან: ქალწულთ: კორცნი: შეისხნა: ღთის: შემოჭმედი: და მაცხოვარი
- 3) უოველთა: არსი: კურთხეულ: არს: სახელი: შენი: უოვლად: საგალობელთ: ღთისა: სძალთ: ქალწუ
- 4) ღო: მარამ: შეიღათ: ცათა: უმადლესთ: ქერობინთა: უზეშთაესთ: უოველთა: ქრისტინე
- 5) თა: სასოთ: და: შესაგუდრებელთ: დედათ: ნათლისათ: უოვლად: წმიდათ: ღთის: მშობელთ: ჩვენ: თ
- 6) იხა: შეზეულიღმან: ტუირთ: მძიმეღმან: ცოდვათა: შებღაღულღმან: ცვა: იარჯათა: შენთა: მონღო
- 7) ბიღმან: მოსაგუმან: სიწმიდისა: სასოებით: სამსახურისა: თქვენისაღმან: დადიანღმან: ჰატრონღმან
- 8) ლევან: ვიგუღსმოღვინეთ: და: მოვაჭვდინეთ: ხატი: ესეთ: სახისა: თქვენისა: და: შეგამკვეთთ: თვალ
- 9) ითა: და: მარგალიტითა: და: დავასვენეთ: ტარჩულს: ლიპარტიანის სასახლესა: კარის: ეკლესიასა:
- 10) ჩვენ: ძემან: კელმწიფისა: მანუზარისაღმან: კელმწიფეღმან: დადიანღმან: ჰატრონღმან: ლევან: მის: კურ
- 11) რთხეულისა: სანატრელისა: და: ამ: სოფელის: მნათისა: უოველთა: კაცთა: უფრო: საუფარელისა:
- 12) ჩვენისა: ამ: სოფელის: ღმინ: სიმხიარულისა: თანა: მეცხედრისა: ჩვენისა: ჭილაძის: ასულისა: დედოფა
- 13) ღთ: დედოფელისა: ჰატრონისა: ნესტანდარეჯანისა: კურთხეულმცა: არს: სასწენებელი: და: ხ
- 14) სენება: და: საუკუნო: მისი: ამინ: მისისა: სულისა: სახსრად: და: საოხად: და: ცოდვათა: მისთა: შესანდო
- 15) ბლად: დავასხდეთ: ჭაჭვიჯს: შეჯგოეთ: გომართთა: შენგელის: და: დავავენეთ:

16) ს(ა)ღაპთი: ცხრა: მეწველი: ზრცხა: და: ერთი: უღელი: კარი: აწე: ამ: ზრცხების

17) ნაწველი: უველი: უველა: და: ს(ა)ღაპთი: მიგვიჩინა: ნივთობით: ამისთვის: არ: დასწ

18) ერთი: რამე: წელიწადში: ზოგს: უფლება: ხბ: და: ზოგსა: არა: ჯარები: ს

19) ამუშად: დაგვიუენებია: და: ს(ა)ღაპთ: დომი: უნდა: მთწიოს: ამ: ზრცხები

20) ს: უველი: რაც: იქნას: უფელს: წელიწადს: უველი-ერისა: შაბათს: ს(ა)ღაპთი: და

21) ხარჯუდენ: და: აღაპსა: კარდაკთიდენ: და: ამ: შენ-გელას: გოშართას: გოჭ

22) კუმურის: დომი: და: ღვინო: უსაკლად: ორი: ქი-ლა: დომი: და: სამი: გუდა: ღვი

23) ნო: ამ: აღაპზე: დახარჯონ: ჩუენმა: ჩენილმა: და: მ(ო)ხელემან: აწე: ვინცა: ეს: ჩ

24) ვეგან: გაჩინილი: აღაპი: მოშაფს: ანუ: ღიპარტი ანმა: ანუ: სწამან: შუბატო

25) ნემან: ვინმე: ანუ: რამანც: ქემან: კაცისამან: შემცა-იშლეების: ღვთისაგან: გაგებ

26) ული: მისი: ნურათამცა: სინანულითა: ნუ: იქნების: ხსნა: სულისა: მისი

27) ა: მას: საეგუნოს: სატანჯველისაგან: ხოლო: დამა-ტკიცებელი: ამისი: აკ

28) ურთხეს: ღთნ: მოკლდა: ხატი: ესე: უფლად: წმიდისა: ქორანიკონსა: სამას:

29) ოცდა: თთხმეტსა:

წინა პირის ამოზე ამავე ხატისა მხედრულათ სწერია:

1) ქ: და: მოსავი: ღთაებისა: შენისა: დადიანი: ღვეან: რამელმან: მოწაჭედინეთ: ხატი: ესე: უფლად: წმიდისა: და: შუამკვეთი

2) თ: თვლითა: და: მარგალიტითა: და: დავასვენეთ: ღიპარტიანის: სასახლესა: ტარჩულს: კარისა: ეკლ

3) ესიასა: დედათ: ნათლისაო: შეიწყალე: და: იხსენ: ცოდვათა: მისთაგან: კურთხეული: თანამე

4) ცხედრე: ჩვენი: დედოფალი: ხატრინი: ნესტანდარეჯან: რათა: მოიჭედა: ხატი: ესე: სულისა: სხს

5) რად: და: საოხად: ცოდვათა: მისთა: შესანდობლად: ქვს: სმას: ოცდაათსა: გაგანინეთ ადაზი:

ამრიგათ ზემოხსენებული ხატი გაკეთებულია 1646 წელს, ხოლო ადაზი განუწყობია ლევან II დადიანს მისი ცოლის ნესტანდარეჯანისათვის უფრო ადრე, ესე იგი 1642 წელს.

12. ზირველ უფროში აღსაფლის კარების მარჯვნივ ერთი ძლიერ დიდი ხატი მაცხოვრისა ვერცხლით ნაჭედი ქართულის ხელობისა. მაცხოვარი ფეხზე მდგომარეა. მარცხენა ხელში სიმრგვლე უჭირავს, მარჯვენით ჯვარს სწერს. თავის ირგვლივ შარავანდედი აქვს, ძვირფასი ქვებით შემოვლილი. ზემოთ ხუცურათ უწერია: 'I' 'H' 'C' 'H'. აშეობი შემოვლილია უჯვადების მსგავსი ჩუქურთმებით და ამ ჩუქურთმებში წარმოდგენილი არიან: ზემოთ იესო ქრისტე მარამით და იოანე ნათლის მცემლით, მთავარანგელოზები მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ მოციქულები: დავითს-მშობელი და სხვები. სულ 15 სახე ბერძნულის წარწერებით სახელებისა. თვით ხატი შემოვლილია თვლებითა ჯვრების მსგავსად ექვს-ექვსი ჯვარი აქვს აქეთ-იქით. თითო ჯვარი შესდგება ხუთ-ხუთი ქვადან. ქვემო აშაზე მხედრული წარწერა აქვს:

1) ეოვლად წმინდაო დედაო ღთისა და მაცხოვრისა ჩვენისაო მარიამ მე მდაბლმან ეპისკოპოსმან ტკონდიდელმან სრულად სამეგრელოჲსა და ნაწილთა იმერეთისა მწვემს მთავარმან გიორგიმ მოვატედიჩე

2) ხატი ღვთისა ჩვენისა და ძისა შენისა და შევამევე ბრწუნი ვადითა თვადითა და მარგალიტითა და დავასეხე წს ეკლესიასა შაშენსა მარტვილს სადღეგრძელოდ და განსაძლიერებლად მთავრისა

3) ჩვენისა ღვთის გრიგოლის ძის დადიანსა და საოხად სულითა ღთისადმი განსვენებულის დედოფლისა ჩვენისა მართლისა და სადღეგრძელოდვე შემევიდრისა მათისა დავითისა და მეუღლისა მისისა ეკატ

4) ირინისი და ძეთა და ასულთა მთავრისათა გრიგოლ კოს-

ტანტინე ნინა და ეკატერინას და სულისა ჩემისა საოხად წეჯთა შობითგან ქრეს ხელთ-ს წელსა მთავრობასა დადიანის ჯეონისას ოცდამე

ბ) თექსმეტესა. ხოლო მწუემს მთავრობასა ჩემსა მესუთესა. მაცხოვარო ქრისტე ღმერთო შეიწყალე სახისა შენისა გამომხატველი და აღმომყვანი მონა შენი მეუნარგია ჰეჰუ.

ამრიგათ ზემოაღნიშნული ხატი გაკეთებულია 1849 წელს ჰე-ჰუ მეუნარგის მიერ, რომელიც ცნობილი ოქრომჭედელია სამეგრელოში მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

13. აღსაფლის კარების მარცხნივ უჯრაში, 106 X 83 სანტ., ინხება მშენიერი ღვთის-მშობლის ხატი, გერცხლით ნაჭედი, ქართულის ხელობისა, ჩადებული მშენიერ ნახელავ ჩანობში, რომელზედაც გამოხერგით გამოქანდაკებული არის თარმეტი საუფლო ღვთისწაული, ოთხი მხარობელი, ათ თარმეტი მოციქული და სხვა წმიდანები. მოკვავს აქ ხუცურათ წარწერები ამ სურათებისა: ზემოაშიაზე შედალიონებით, შუაში **ԻՎ ԿՎ** (იესო ქრისტე), მარჯვნივ იესო ქრისტეს **ԲՆ ԻՕՆԿԿ ԲՆԹՆՆ ԶՆԳԻՅԱՆ** (წმიდა იოანე ნათლის მცემელი), მარცხნივ **ՄՄՆ ՈՆՆ** (ღვთაღვთისა), მარცხნივ ამისა **ԲՆ ԻՕՆԿԻ** (წმ. იოაკიმ) და შემდეგ კუთხეში **ԶԹԻԱՆ** (მთავარანგელოზი), მარჯვნივ იოანე ნათლის მცემლისა **ԲՆ ԸԲԸ** (წმ. ანა) და შემდეგ კუთხეში **ԶԹԻԱՆՆ** (მთავარანგელოზი). მარცხენა აშიაზე სრული ტანით: **ԲՆ ՆՎ** (წმ. ჰეტრე), **ԲՆ ԶԹԿ** (წმ. მათე), **ԲՆ ԶԹԿՆ** (წმ. მარკოზ), **ԲՆ ԸԲԾԻԱՆ** (წმ. ანდრია), **ԲՆ ԻԿՕՎ** (წმ. იაკობ), **ԲՆ ՓՆՆԻՍԿ** (წმ. ფილიპე). მარჯვენა აშიაზე: **ԲՆ ԻԿԿԿ** (წმ. იოვანე), **ԲՆ ԿՆԸ** (წმ. ჯუკა), **ԲՆ ԻՎ** (წმ. იესე), **ԲՆ ՆԲ** (წმ. სვიმონ), **ԲՆ ՎԹԹԻԱՆ** (წმ. სართლომე), **ԲՆ ԹՂԸ** (წმ. თამა). ქვემო აშიაზე შედალიონებით: **ԲՆ ԱՎ** (წმ. გიორგი) შუაში, **ԲՆ ՄՆԸԸԻ** (წმ. დიმიტრი) მარცხნივ, **ԲՆ ԹՎ** (წმ. თეოდორე) მარჯვნივ. შუა ტანზე ჩანჩობისა ზემოთ: ხარება (წარწერა არა აქვს), შობა (წარწერა არა აქვს), **ԶՆԻԿԶԸ** (მირქმა), **ԲԹՆՆ ՈՎԱԸ** (ნათლის ღება). შუაში: **ՓԿԻՆ ԸԿԿԿ**.

ყქ (ფერის ცვალება), უხტყნ ღოფყრყყქ (ლახარეს აღდგინება), უფხოხუნჰს მხუხქ (იერუსალიმს შესვლა); ზუტტტქქ (ფარცხმა) წარწერებით სხეებზე: უყ ყყ ზყყ ო,ტ,უტქ, ფყფქ ოქ, რჶ უყ ჰქქყყყ. ქვემოთ: ჯოჯოხეთის წარტუენა და ადამის აღმოყენა: ღოქქ. შემდეგ: ღოფყქ უყ ყყ (ამაღლება იესო ქრისტესი), ხოხხ რხ ჰო,ხუხქ (სულის წმიდის მოსვლა), ჰოტუხუყყქ ოფტუნ ჰმოყუნქ (მიცვალება დუთის-მშობლისა). ქვემოთ: ამაზე მშენიერი ასომთავრული წარწერა სუთ სტრიქონთ:

1) ყს: ღოჰს: ღოჰტოტოყქო; ფ: ყყს: გტოჰსქ: უტყყტქ: ფქქქქქქო; ჟტუნქქქ: მხუფტოყუნო; ჟტყყყქქ: ო,ჰოხუნო; ფ: ხტტყქქქ: ო,ხუხტოხუნო; ყყუტქქ: გტქ:

2) ოქოჰტოყუნო; ხხოყქო; ხუხქო, ხუნო; ფ: ყყხუნქ ჰხუტოყუნო; ტჰო; ხუყყუნო; ფ: უტოხუნო; ჰტოხუნქქ: ოხ: ჰმოყუნო; ჰოფფოფოყყ: ფქ:

3) ყყუქქყყყ: ტქ: ყხყ: ჟუნუტო: ჰყ: ჰხხოყყჰქ: ყქქქ: ფ: ხუტჰტქქ: ჰქქქქქქ: გყქ: ფტყქქქ: ყქქქქქ: ღფჟჟჟჟქქქ: ჰქქქ: ჟო,რფოფოყუნქქ

4) ყყფოჰო,რ: ყყუნო; რო; ოხ: ჰმოყუნო; რტქქქ: ტქ: ხოფუნქქ ჰგოფო; ჰფტყფო ჰქქქქქ; ყყჰყუნქქ: ფ: ფოყუნქ: ჰხ: ღქყუტქქქქ; ჰჟჰქქ: ყჰქქ: ფ: ჰგოყუნ:

5) უხტტქ: უტქქ: ჟჟქქ: ყყქქქ: ოტქქ: უყ: ჰქქქქქქქ: ჟოტუხუნუნქქქ: ტქ: ჰო,რფოფო: ტქ: უყ: ყო,ფუნო; რჶ: ოხ: ჰმოყუნქქ: ჟტქქქქქ: ხქქ: ოგოქქ: ტტჰქქქ.

უქარაგმით:

„ქუა ადამის აღმართებაო და ევას ცთომისა ჰატიყთა დამხსნე-
ლო, ქრისტინეთა შესაგედრებულო, ქერობინთა უმაღლესო და სე-
როდობინთა უზემთაესო, შვიდთა ცათა უაღმატებულესო, სსსოებაო
სიქადულო, და კელისა მშერობელო ჩემო, სსშინელო და ჰატიოსანო
მარტუილთა ღმრთის მშობელო, მოვაჭედინე და შევამკვე ხატი ესე
ძალისაებრ მე მსასოებელმან შენმან და სიყრმითგან მონღობილმან
ცვა ფარვათა შენთამან აფაქიძემან მამა ჭეონდიდელმან ევდემონ. უოკ
ლად წმიდაო ღმრთის მშობელო, წუთსა ამას სოფელსა მცველ, მფა-
რველ, მიხსნიდ კმშავისკან და დღესა მას განკითხუისსას მექმე შემწე
და მცველ. ესრეთ შეიწირენ, ვითარცა ძემან შენმან ორნი იგი
მწველინი ქერივისანი, ამინ. მოიჭედა ხატი ესე უოკლად წმიდაჲ
ღმრთის მშობლისა ქორონიკონსა სსშინ ოცდა ოთხმეტსა“.

ქორონიკონი უდრის 1644 წელს. ამრიგათ ჩარჩოს გაკეთება
ღვთის-მშობლის ხატისა ეკუთვნის ჭეონდიდელს ევდემონ აფაქიძეს.
ეს ჭეონდიდელი დახატულია მარტვილის ეკლესიაში გიორგი ღმრთ-
ტანის ცოლის ხვარამანის გვერდით, სსშინეთის კარების მახლო-
ბლად.

14. თვით ხატი ღვთის-მშობლისა ოქროსი, ქართული ხელობი-
სა, ნაჭედი, რომელიც ჩსკენებულა ზემოხსენებულ ჩარჩოში, ძველია
მე-XI—XII საუკუნისა, ზომით 37 × 25 სანტ., ღვთის-მშობელი ჩე-
ლიდა, ფეხზე მდგომარე, წარწერით **ՄԿԾԸ Ո՛Ւ**, მარცხენა ხელში
უკავია ძე, ირგვლივ შემოობილია ძვირფასი აფელებით და გარშემო
წარმოდგენილია გამობერვით განჭედილი იესიანთ ხე გვარტომობისა,
სულ ცხრა ქანდაკება-სურათით, გვირგვინებით თავზე და სკიპტრე-
ბით ხელში. ეს ნაწილი ხატისა მერმინდელი ნახელავია და მშვენიე-
რათ ნაჭედ ხელობას ღვთის-მშობლის ქანდაკებისს არ უდრის. ეს
უნდა იუოს გაკეთებული 1784 წელს როგორც მოწმობს ზურგის
მხედრული წარწერა, რომელიც ეკუთვნის კაცია დადიანს და მის ცოლს
ანხას. ხატის ვერცხლის ზურგზე სწერია:

- 1) ქ.: სძაღო: ღთისხო: ღვდაო: სიტუვისო
- 2) უდ: წმიდაო: ქალწულო: მარამ: მსა
- 3) სოებელმან: ძისა: შენისამან: და: მინდობილმ

- 4) ან: ფარგათა: შენტამან: წყალობითა: შენითა
- 5) ოდიშ: აფხაზთა: თაგვერთა: და სვანთა: მშურებე
- 6) ღმინ: ძემან: დადიანისა: ოტიასმან: თვით: და
- 7) დინამან: კაცამ: და თანა: მეცხედრემან: ჩემან: დე
- 8) დუფალმან: ანა: შვეშვეთ: ხატი: ესე: სხვის: შე
- 9) ნისა: რათა: აქა: ძით: და ასულით: მფარველ: მეუა:
- 10) მრავალთა: წელთა: უგუელსა: შინა: საქმესა: და
- 11) სუფუგასა: ზენასა: ღირს: მეო: ქეს: აქეთ:
- 12) ჩხუდ.

15. მეორე უფრო ადსავლის კარის მარცხნივ შემოთ გამარინია და აქეთ-იქით კარები აქვს, ნაჭკედი, წმიდანების სურათებით ქართულის ხელობისა. მარცხენა კარზე უფროსა გამოქანდაკებულია წმიდა ჰეტრე **ԲՆ ՄԿ** სრული ტანით, ხოლო შემოთ წმიდა სივინდონ **ԲՆ ԵՄՄԻ** წელს ზეით; მარჯვენა კარზე—წმიდა ჰაულე **ԲՆ ՄԻԽԻԿ**, შემოთ წმიდა ნიკოლოზ **ԲՆ ԻԿՆ**. გამარას ქვეშ წმიდა სამება წარმოდგენილი ფართოსანი ანგელოზებით მათ ქვე-მთ. მათ ღმერთს და ძეს ქრისტეს რუსული ხელობის შესავანდე-დები აქვს შემდეგ მიმტებული. შუა ნაწილში ამ უფროსა ჩასვენებუ-ლია შესანიშნავი ღვთის-მშობლის ხატი ოქროსი მილანქრიანი მედ-ლიონებით შემოხობილი, მარჯვნივ და მარცხნივ ამ ხატისა ჩარჩო შე-მოხობილია ჯვრებით. ერთი მთავანი (მარცხენა) ვერცხლისა არის, მეორე (მარჯვენა) ხისა. ამ ჯვრებს ქვემოთ ქვეთა ჩასმული ვერცხლის ბუდეებით და ამით მხედრულათ აწერია:

- 1) ქ ლოდი ქრისტეს საფლავისა.
- 2) ქ. ხატისა ამის შემოხობელი დადიანის
- 3) ბეჟანის ძე ჭყონდიდელ მიტროპოლი
- 4) ტი გაბრიელ მოხსენოს უფალმან
- 5) ღთნ სსუფეველსა მისსა ამინ.

ასეთივე წარწერა გამოკრებულია მეორე ჯვარის ქვემოთაც, მე-ორე ქვის ნატეხის კარშემო. ღვთის-მშობლის ხატის ქვემოთ მეორე შესანიშნავი ნაშთია დაცული ამ უფროში, ჰატარა მილანქრიანი ხატი მაცხოვრისა, წინამდგომნი მარიაშით და იოანე ნათლის-მცემლით. მარცხნივ და მარჯვნივ ამ ხატისა ჩარჩოზე სურათიშებია გამოქანდა-

კეუელი. შთელი ეს უჯრა წარმოდგენს ჩასასვენებელს ამ ორი შესანიშნავი ხატისა და ისე როგორც ცნობილს გაბრიელ ჭყონდილელს, დადიანის ბუენის ძეს, სამიტრონოლიტო ჯვრების დასაცავათ გაუკეთებია ცალკე განსასვენებელი, ისე ამ ორი შესანიშნავი ხატისათვისაც გაუკეთებია ეს ჩარჩო ანუ უჯრა და მით გადურჩენია განადგურებას. ამ უჯრის გამკეთებელი ოქრომჭედელი ანუ მუშაკი უთელი ვიღაც ჰეტრე, რომელიც თაფის ნაშრომს უთველთვის გვერდში უწერს ხუცური გრებილიანი ასოებით 'MPCII'. ამის ნამუშაკევი ხატები სხვებიც არის მარტვილში.

16. ღვთის-მშობლის ხატი ამ ჩარჩოს შუაში მოქცეული ოქროსია, ჩვილი, 32 X 24 სანტ., სრული ტანით წარმოდგენილი და შემკობილი ირგვლივ მრავალი ძვირფასი თვლებით. გამოხატულობა ღვთის-მშობლისა და მისი ძისა, მართულობა ტანსაცმელისა და საერთო სტილი სურათისა კონდაკოვის აზრით სამაგალითოთ უნდა ჩითვალოს და უნდა ეკუთვნოდეს მე-X საუკუნეს. კამარა, რომელიც უფლის ღვთის-მშობელს მოჩუქურთმებულია ვენახის მსგავსი ულორტებით და შემკობილია ძვირფასი ქვებით. მათ შორის ერთი დიდი საფირფნია. კამარის კუთხეებში ორი სულ ჰატარა მილანქრის მედალიონია, ერთზე წარმოდგენილია იესო ქრისტე უთველთა მშობრბელი და მეორეზე დედა ღვთისა მკედრბელი. მედალიონები კონდაკოვის აზრით ეკუთვნის პირველ ნახევარს მე-X საუკუნისა. ამია ხატისა მშვენიერათ მოჩუქურთმებულია უვავილებით და ვენახის ულორტებით და შემკობილია ექვსი მოზდილი მილანქრისანი მედალიონით მარცხნივ და მარჯვნივ და სამი ჰატარა ამგვარივე მედალიონი ზემო ამიაზე. ჩვენის აზრით ქვემოთაც ასეთი ამია და მედალიონები უნდა უთფილიყოს. მაგრამ ეს ნაწილი აშისა სრულიად დაკარგულია და ესლა აქ უბრალო სდა ვერცხლის ხატური მოსჩანს შემდეგ დროში მიკერბული. ზემო ამიაზე შუა მედალიონში წარმოდგენილია ნეტარი მარკიანე, მარჯვნივ ამისა ფასილი დიდი და მარცხნივ ჰეტრე მოციქული, უახანსკელი მედალიონი ეკუთვნის მე-IX—X საუკუნეს, ხოლო პირველი ორი მე-X-ს. აშეების კუთხეებში წარმოდგენილია ოთხი მახარბელი სახარბებთ ხელში, ხოლო შუა ნაწილებზე აშე-

ბისა ზაღლე (მარჯვნივ) და წმიდა კიროსი, მეურნალი: რომელიც იწა-
მა დეოკლეტიანეს დროს. წარწერები შედარებითა ბერძნულია.

17. მეორე შესანიშნავი ჰატარა ხატი, რომელიც ინახება ამ უჯრა-
ში, სამწუხაროთ, სანახევროთ არის დაცული, ხატი ჩადებულია ვერც-
ხლის ჰატარა უჯრაში, რომლის კარებზე კარედან გამოქანდაკებულია
ორი შეედრებული ანკელაზი. შიგნით კარები წინეთ მიღანქრითა უო-
ფილა შემკობილი, მაგრამ ესლა ადარ არის. ჩარჩო გარეშემო შემ-
კობილია ზურმუხტებით. თვით ხატი, რომელიც ამ ჩარჩოშია: ესლა
გაფუჭებულია, მაგრამ ერთხელ შესანიშნავი უოფილა თავის უძველესი
ბიზანტიურის მიღანქრანის ხელობით. შუაში უოფილა იესო ქრისტეს
სურათი, მაგრამ ესლა სრულიად მოშლილია, შენახულია მხოლოდ
საუცხოვო სურათები დეთის-მშობლისა და იანე ნათლის-მცემელისა.
ხელობა, კონდაკოვის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მე-VIII საუკუნეს.

18. წინეთ ამავე უჯრაში შენახული უოფილა საკეტი ჯვარის ჩასა-
სვენებელი ვერცხლისა, 15 სანტ. განით და 18 სიმაღლით, რომელიც
ესლა საღაროში ინახება. კარებზე ამ ჩასასვენებელისა გამოქანდაკეუ-
ლია მდარე ხელობის სურათები წმიდა ნეტარესი **ԲՆ ՄԿ** და წმი-
და ზაღლესი **ԲՆ ՄԿ**, ხალა შუა ნაწილის კუთხეებში ოთხი
მასარობელი. ამ ჩასასვენებელში ძვეს ოქროს ჯვარი ჯვარცმულით
წინაპარზე, შემკობილი მურასად აღმსებათა. ოქროს ჯვარში ჩადებუ-
ლია ძელი ჭეშმარიტის ჯვარი, შეკრული შუაში ოქროს ძაფებით და
ზემოთ ჯვარის სახედ შემკობილი ოთხი მარკალიტით, ესლა ერთი
აკლია. ჯვარის ბოლოები შემკობილი უოფილა ღამაზი მიღანქრანი
ბირიკებით, მაგრამ შენახულა მხოლოდ ორი. ეს საუცხოვო ჯვარი
შეწირული უოფილა ლეჩხუმის უდაბნოსათვის ქაიხოსრო გელოვანის
ცოლის როდამ დეკუჟადის ქალის მიერ. შემოწირულობის გუჯარი ქა-
დალდზე მხედრულა დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის
ხელით, აქვე ინახება და შიგ სწერა:

„ქ: მე ფრიად ცოდვილმან დეკუჟადის ქალს როდამს შემომიწი-
რავს ლეჩხუმის უდაბნოს ჩემი სასოება დ'თის მშობლისათვის ჰატი-
ოსანი ჯვარი ოქროთ მოჭედილი, მარკალიტით მორთული, ოცდარვა
მარკალიტითა და ცხრა ჰატარა თვალითა მომირთმევია, ჩემის ქმრის
გელოვანის ქაიხოსროსა და ცოდვილი ჩემი სულის სახად შემომი-

წირავს. ვინც ეს ჯვარი ჩემი ხელმწიფის დადინის ლეჩხუმის უდას-
ნოს გამოხწირავს, ჩვენი მოხსენება მომალის, ჩვენი ცოდვის მტვირ-
თველიც იქმნების დღეს მას განკითხვისასა“.

დგობუბის
ქალი როლამ

19. ამავე უჯრაში ზემოთ მარჯვნივ ინახება ღვთის-მშობლის
ხატი, ზატარა, ვერცხლის, თქროთ დაფერილი, ქართულის ხელობი-
სა, მე-XIX საუკუნისა.

20. აქვე მარცხნივ არის მეორე ზატარა ღვთის-მშობლის ხატი,
ვერცხლისა, რუსულის ხელობისა, მე-XIX საუკუნისა.

21. აქვე ჯვარი მთაწმინდურის ხელობისა, ვერცხლით ქსოვი-
ლი არშიით და ვერცხლის ტარით, 17×7 სანტ.

22. მეორე ასეთივე ჯვარი, მაგრამ უფრო სავა, 17×6,5
სანტ.

23. მარცხნივ ზემო მოხსენებულ უჯრისა, რომელშიაც გამოფე-
ნილია ჩვენ მიერ აღწერილი ხატები №№ 14 — 22, არის კიდევ ერ-
თი სამეცნიერო დიდი ხის ხატი, 19×16 სანტ., რუსული ხელობისა.
როდესაც ეს ხატი დაკეცილია ჰირველ გვერდზე, თქვენ ხედავთ იუ-
რადებით ნახატავს მთავარანგელოზებს მდარე ხელობისა, ზემოთ
შიგნიდამ შამა დმურთია გამოხატული, ქვემოთ ორი წმიდანის. ფრთე-
ზე წმიდა ნიკოლოზ და თეოდორე ტირონის. შუაში სადებულია ზა-
ტარა ხატი ღვთის-მშობლისა ჩვილადი, ვერცხლით მოჭედილი და
აფლებით შემკობილი, ქართულის მდარე ხელობისა, 10×7,5 სანტ.
ზედ აწერია: **УѢ РЪ, УѢ УѢ**. მეორე გვერდზე ჩარჩოისა
მხედრულათ სწერია:

„მე უნდომან ვინმე: კარხა სახითა ბერძან და მღვდელმან ჭლად-
ქანიძემ მიხაილმან და მოვაჭედინე ხატი ესე კარეთ კუმო ვეცხლითა
და შიგნით ხატი თქროთა და ვეცხლითა თვალებითა და მარგარიტი-
თა და აღუვსე ნაწილებითა წათათა და შევწირე მარტვილთა დის-
მშობელსა: ვინადგან დავფალ ცოდვილი გვაში ჩემი სამეუთლოსა შა-
რა იუთს სამარადისოდ ხატი იგი წე ხატსა დის მშობლისასა და
არა ვინ განიღოს კარეთ აქ და იქი საფლავიცა ჩემი ეკოს შეუძრვე-
ლად სიგრძესა დღეთასა და თქვენ მცნებისა ამის დამცველნი იკურა-
ხნეთ უფლისა შრ: წელსა: ჩუიბ. და მისის ე“.

24. საკურთხეველში არის მადლი ხატი მაცხოვრისა ხეზედ დახატული, აღმოსავლეთის კედელზე ჰკიდია, სიმრგველე თავის ვერცხლისა აქვს მოაქრვილი და ზედ მრავალი თვლები უხის. არშია ბაღასების მსგავსი გრეხილებით არის შემოთბილი, ქვემოთ მხედრულათ უწერია:

1) ხატი ესე მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტიანისა ღმრთისა სიგომისაგან გარეწილი დაუხა

2) ტინე მე არხიმანდრიტმან ელიავამ ჩასიღმან და ითვისთავე. გვირგვინ გარეშე აშიითა შევამეკვე სადი

3) დებულად ღმრთისა და შესანდობელად ბრალთა ჩემთა: წელსა ქრისთ: ჩუენს-სა ოქტომბრის. კდ:

25. კარები დასაკეცი ხატისა მოაქვრილი, 49×21 სანტ., რომლებზედაც გამოქანდაკებულნი არიან მთავარანგელოზები წარწერით: „მთავარანგელოზი მიქელ; მთავარანგელოზი გაბრიელ“.

26. ასეთივე ხელობის სახეები წელს-სეგითი წმიდა ბასილიისა და წმიდა იოანე აქრატშირისა წარწერებით სახელების. ესენიც წინეთ, აღბათ, შეადგენდენ დასაკეცი ხატის ფრთებს. 25×22 სანტ.

27. ორი ვერცხლის ნაჭერი, რომელზედაც ასეთივე ხელობით წარმოდგენილია ჯვარცმა, $15,5 \times 9$ სანტ.

უველა ზემო აღნიშნული სამი სხვა და სხვა აწ ადარ არსებული ხატების ნაწილები გაკეთებულია ოქრომჭედლის ზეტრეს მიერ, რომელიც მოხსენებულია უველა ნაწილებზე წარწერით: **ՄԷԼԻ**. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს ოქრომჭედელი ცხოვრობდა მე XVIII საუკუნის პირველ ნახევარში.

28. ჯვარი დიდი სამიტროპოლიტო ანუ საწყობდიდლო ვერცხლის, მოაქვრილი, 55×36 სანტ., ტარი არა აქვს, საუკეთესო ქართულის ხელობისა მე-XI საუკუნისა. წინა პირზე გამოქანდაკებულია მშენიერი სახეები: შუაში ჯვარცმული წარწერით **ԿԿ ԿԻ**. მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარცმულის ორი მკლავიანე ანგელოზი და დედა ღმრთისა და იოანე მახრობელი წარწერებით: **ԿՅ ԲԷ ՈՒՐԻՆ ԿՅՈՎԿՍԻ, ԿԿ ԿԷԿԷԿՈՎԿՍԻ**. ზემოთ მოჩანს მაცხოვარი უოველთა მშვერობელი დიდებით კვარცხლებზე მდგომარე. ორივე მხრით მაცხოვრის მთავარანგელოზები, სიმრგველე-

ბით ხელში: ქვემოთ იოანე სათლისმცემელი: **ՆՄ ԻՆՁՆՆ-
ՅԵՄԻՍԻ**. ორივე მხრით იოანეს ბასილი დიდი და იოანე
ოქრობიერი წელს-ზევითანი. მეორე ზირი ჯვარისა მშვენიერის ბაღან-
ეგავილთ მსგავსი გრეხილებით არის შექობილი და კიდეებზე უგ-
ლის ღამაზი ასომთავრული წარწერა:

- 1) [Ի ԵԸ]ՄՆԻՁԸ ՈՒՆԸՆՁԸ ԿԿ
- 2) ԱՆԸԸԸԿԸԸ ԸՏԻՄԻՆ ԵՄԿԸԸ ԿԸԻԿ
- 3) ԿԻԸՕՎՄՆԻՆԸԿԻ ՄՄԿԿԿԿ
- 4) [ԽՕ]ԸԿՆ ԿԵԿ
- 5) ԵԸՄԿԿԿԿԿԿԸՄ ՄԸ ԵԸՆՕԵԿԿԿԿԸՄ
- 6) ԸՄԸ ՈՐ ԵԿԿԿԿԿԿԸ ԱՄԿԸԸ ԿԿ
- 7) ՓՆԸ ՄԸ ԿՕԿԸ
- 8) ՆԸՆԸԸՆԸ ՄԸ ՄԿԿԿԿԸ ԿԸԸ
- 9) ԸԸ ԿԿԿԿԿԿԿ ԸՄԸ

ՈՒՅԿ

ამას ქვემოთ შავლი ქვემო ნაწილი ჯვარისა დაფარულია გატე-
ხილი ჯვარის გასამაგრებლად მიეგრებულის რკინით და მხოლოდ ბო-
ლოში მოჩანს ასოები: Ե Կ

Օ, Ն

ՆՆ [Ղ]

ԸԸ ՎԿԿԿ ԿՆԸԿՕԿԿԿԸ ԿԿԿ უქარამთ:

„სახელითა ღმრთისათა მე გლახაკმან არსენი, ძემან ვაჩე მარ-
ხუელისამან, შევქმენ ჯუარი ესე სადიდებულად და სალოცველად, და-
დენ ღმერთმან, ძრეილისა ბაგრატ მეფისა და კურაპალატისა და
შვილთა მათთა. ერთობით აღიდენ ღმერთმან... კელ(ი)თა ივანე ღი-
კონისათა. ქრისტე, შ(ე)იწუაჲ)... სული“¹⁾.

აქ მოხსენებული ბაგრატია არის მეფე ბაგრატ IV (1027—
1072). არსენი, ძე ვაჩე მარხუელისა, ცნობილი არ არის.

29. ჯვარი დიდი სამიტრთხოლიტო ანუ სპეციფიკური მშვე-
ნიერი; ქართულის ხელობისა, რომელიც თავის სიღამაზით მოგვა-

¹⁾ შუად. თ. უორდანიას ქრ. I, გვ. 174—175.

გონებს მე-XII საუკუნის ხელთახს, დატყუდა შვედრცხლილის ხეტა-
რით, სიგძით ტარანათ თითქმის ორი მეტრი. სოლო თვით ჯვარის
სიმაღლეა 28 სანტ. ტარზე ექვსი ბუშტი არის: ოთხი სადა, ერთი
ბადახის მსგავსი გრენილებით მოწყობილი და ერთი, უგვლასე
დიდი, გარდა გრენილებისა, შემოხილია ძვირფასი ქვებით. სიონი
შემოხილია ზემოთ გამოხედივით განსტედილის სურათებით მთავარან-
გელოზებისა წარწერებით: **ხიქჲს, ყლქაქჲს**; ჯვარცმისა:
ჰ-ქ-ქ-ნ; საფლავად დადებისა: **ნქჲსქჲს-ფ-ფ-ქ-ქ**;
და შემზადებულის ტრაპეზისა. თვით სიონზე წარმოდგენილნი არიან:
ქ-ნ (ქ-ქ ნქტქქსქქს) (წმიდა თეოდორე სტრატელატი),
ქ-ნ (ქ-ქ სიქქქს) (წმიდა თეოდორე პირველი); **ქ-ნ**
ყლქსქს (წმიდა ბასილი); **ქ-ნ ქ-ქ ოქტოქსქს** (წმი-
და იოანე ოქროპირი); **ქ-ნ ს-ქ ხოცოქოქს** (წმიდა
ბეტრე მოციქული); **ქ-ნ ს-ქ ხოცოქოქს** (წმიდა პავლე
მოციქული); **ქ-ნ ფიქსქს** (წმიდა დიმიტრი), **ქ-ნ ყ-ქ**
(წმიდა გიორგი). თვით ჯვარის წინა პირზე, ოქროს ფურცელზე
გამოქანდაკებულია ქრისტე ჯვარცმული წარწერით: **ქ-ქ ქ-ქ**.
ფრთხილზე შედარებით გამოხატულებია: მთავარანგელოზი გაბრი-
ელ ზემოთ, იოანე ნათლისმცემელი ქვემოთ, უოვლად წმიდა ღვთის-
მშობელი მარცხნივ და იოანე მახრობელი მარჯვნივ. უგვლას ამათ
ხეტური წარწერები აქვს სახელებისა. ჯვარი უხვად შემოხილია ძვირ-
ფასი აგლებით. მეორე პირი ჯვარისა შუაში და მელაღიონებზე მო-
ხუჭურთმებულია ბადახის მსგავსი გრენილებით. ზემოთ და ქვემოთ
ხეტური წარწერა:

ქ-ქ ლ-ქ
ს-ქ. ფ
ქ-ქ-ქ-ქ
ყ-ქ ოქტ
ქ-ქ-ქ
ცოქქ
ყლქ. ლქ

ქ-ქ ქ-ქ ო
ხოქქქ
ქსქს¹⁾

დანარჩენი ოთხი სტრიქონი
დამალულია გატეხილის ჯვარის
გასამაგრებლად მიკერებუ-
ლის ტლანქი რკინის ნაჭერით.

¹⁾ ამ სტრიქონში მარტო ზემო ნაწილები სიონის ასობისა.

უქარაგმთ:

„ქრისტე, ადიდე დადიანი გიორგი ორთავე შინა ცხორებათა, ამინ. ქრისტე, შეიწყაღე ონთფრე, ელიოზ“...

აქ მოხსენებული გიორგი დადიანი უნდა იქონიეს ძე ვარდან დადიანისა და მისი ცოლის მარიამისა, რომელნიც ცნობილნი არიან თამარ მეფის დროს მე-XII საუკუნეში.

30. გულს საკიდი პტუელი ოქროს ჯვარი, რომელშიაც ეოთი-ლა წინეთ ნაწილები იოანე ნათლისმცემელისა. შირველ შირზე ამ შესანიშნავი ჯვარისა სევალით გამხატულია ხელთაგანად ჯვარცმული ქრისტე წინამდგომნით, მარიაშით და იოანე მახარებელით, ქვემოთ მონასს ადამის თავი, ჯვარცმულის თავში მზე და მთვარეა და ხუცური წარწერა: **ԿԻԿ ԻԿ ԶԿԾՓԿ Կ՝ԻԸԸ** (ესე იესუ მეფე ჭურითაჲ). მეორე შირზე დიდრანის ძველებური ასომთავრულით სევალით სწერია:

**ԲՕ ԵՕԻԻԿԿ ԲԸ՝ԿՆ ԶԸ՝ԶԿԾ
ԶՕԻԸ ԿԿԻԻ ԿՕ՝ՆԻԿԻՄ ՖԿԾՓ՝ԿՆԸ
ՎԿԿԸՆ ՖԸ
ՖԸԻԿԸՆ**

უქარაგმთ ამ წარწერას ჩვენ ასე ვკითხულობთ:

„წმიდაო იოვანე ნათლისმცემელო, მეოხ ეუვა ხოსროსუმ (ანუ ხუასროსუმ) დეოფალსა, ბაგრატს და დავითს“.

ამ წარწერას თ. ჟორდანიას მიაწერს 884—909 წ. ქრ. I, გვ. 83, მაგრამ „ხოსროსუმ“-ის მაგიერ შეცდომით კითხულობს: **ԿՕ,ԻԿԻՄ**—ხოსროს (ანუ ხოსროს). ჩვენი აზრით წარწერა მე-X საუკ. უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ დეოფალი ხოსროსუმ ცნობილი არ არის და ამიტომ არ შეგვიძლია თქვა, რომელ ბაგრატ და დავითზეა აქ საუბარი.

31. ჯვარი ათონური, ვერცხლისა, გრეხილიანი არშით, ქართულის ხელაბისა. ქვემოთ ვერცხლის ტარზე მე-XIX საუკუნის მხედრულით აწერია:

„ქ მაცხოვარო ხოტევისაო: მე: წულუკიქს(sic): მერაბ შევაძკვე: ჯვარი ესე: სულისა: ჩემისა: სათხად: და ვინც გამოსწიროს ჩემი ცოდვა აქუს“.

32. ჯვარი ათონური ვერცხლის გრეხილიანი და მილანქრიანი არშიით, სიმაღლით 17 სანტ., შემკობილია ზურმუხტებით და აუი-ეებით და ბერძნულის წარწერით, რომელშიაც მისწავნილია იერო-მონასხა ლეონტი.

33. ჯვარი ათონური, ვერცხლის გრეხილიანი და მილანქრიანი არშიით, წვრილი მარგალიტებით და ქვებით შემკობილი, 16 სანტ. სიმაღლით და ჰატარა სიონით ზემოთ. ბერძნულის წარწერით 1712 წლისა.

34. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 16 სანტ. სიმაღ-ლით და ბერძნულის წარწერით, რომელშიაც იხსენიება არქიეპისკო-პოსი რომანი.

35. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 9 სანტ., უტარო.

36. ჯვარი ათონური ასეთივე ხელობისა, 9 სანტ.

სხვა და სხვა ვერცხლის ჭურჭელი და აარალები.

37. სანაწილე ვერცხლისა, $4,5 \times 8,5$ სანტ., შიგნით უწერია ნაწილების სახელები და გარეთ მხედრულათ აწერია:

- 1) ქ. ძელთ:. ცხოველთ:. მეო
- 2) ფელთ:. და წმინდაო
- 3) მოწამენთ:. მეოხთ:. ეჟავ
- 4) დადანის(sic):. ოტიას: ქეს
- 5) ნიკოლოზს
- 6) ქეს აქეთ ჩღვგ.

38. სამწერობელი ვერცხლისა ოქროთ მოყვითლული, რომელ-ზედაც მხედრულათ აწერია:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთ-სა წა“ —ესე იგი ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი მეორე, 1849-სა წელსა.

39. ბარძიმი ვერცხლისა, ოქროთ მოყვითლული, რომელზე-დაც მხედრულათ ლექსი აწერია:

„ქე ვინ სახსრად ცოდვილთა თვით მიეც სისხლი და ხორცი, დადანს მიეც ღზინება, კაციას ბრალი აღხორცი!

ოდის დედოფალი ანნა“.

ანა დედოფალი იყო მეორე ცოლი კაცია II დადიანისა, ასუ-
ლი ჰაატა წულუკიძისა. კაცია გადაიცვალა 1788 წელს, ხოლო ანა
დედოფალი 1792 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო¹⁾.

40. ფეშხუმი ვერცხლისა მხედრულის წარწერით მე-XIX სა-
უკუნისა:

„ქ: ეს ფეშხუმი უდაბნოს არის“.

უდაბნოდ იგულისხმება საირმის მონასტერი ლეჩხუმში, რომე-
ლიც გაუქმეს მეტროპოლიტე საუკუნის მეორე ნახევარში და მათი ნივ-
თები გადმოიტანეს მარტვილში.

41. საზედაშე ვერცხლისა, რომელზედაც მე-XIX საუკუნის
მხედრულის ხელით აწერია:

„საზედაშე ესე ვერცხლის სურა ეკუთნის საირმის მონასტერის
არხიმანდრიტსა კირილე(ს)“.

42. საზედაშე ვერცხლისა, რომელზედაც მე-XIX საუკუნის
მხედრულის ხელით აწერია:

„ღთის მშობელო სმის მ: წ: შენმა. არხ: კ: გაგიჭედინე
ესე სახედ“.

ეს წარწერა უნდა ნიშნავდეს:

„ღმრთის-მშობელო, საირმის მამა წინამძღვარმან შენმა არხიმან-
დრიტმა კირილე გაგიჭედინე ესე საზედაშე“.

43. ჯვარ-სასანთლე, რომელზედაც აწერია მხედრულათ:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთ-სა წა“.

44. საცეცხლური ვერცხლისა. ზედ მხედრულათ აწერია:

„მოსახსენებულად დაუფიწვარის სიძისა ჩუჭნისა უკანათლებულე-
სის დავით ლეონის ძის დადიანისა შევსწირეთ საფლავსა მინგრელის
მთავრისასა ჩუჭნ თა დავით ჭავჭავაძემ და კნენიმ ანნამ ჩუნვ:ს
წელსა: ა: იუნის“.

45. საცეცხლური ვერცხლისა. ზედ მხედრულათ აწერია:

„ჭეონდიდელი მიტროპოლიტი ბესარიონ“.

ბესარიონ ჭეონდიდელი გადაიცვალა, როგორც მოგვისხენიეთ (იხ.
ზემოთ გვ. 28), 1828 წელს.

¹⁾ Brosset. Hist. de la Géorgie, II, 1, p. 648.

46. სცეცხლური ვერცხლისა ქართულის ხელობისა, რომელ-
ზედაც აწერია მხედრულათ: „ქ. დედოფალი დარეჯან“.

47. სცეცხლური ვერცხლისა. ზუღ მხედრულათ აწერია:
„ოდიშის დედოფალი ანა“.

ანა დედოფალი, როგორც მოვიხსენიეთ, არის დადიანი კაცის
II-ის მეორე შეუღლე.

სხვა სცეცხლურებს წარწერები არა აქვს.

48. თუთში ვერცხლისა მხედრულის წარწერით:

„ქ. დადიანი კაცია“.

უნდა იგულისხმებოდეს კაცია II († 1788).

49. მეორე ვერცხლის თუთშზე, რომელიც სამეგრელოშია მხე-
დრულათ, მე-XIX საუკ. ხელით, აწერია:

ქ. მკნეთი. მკედარო. ჰატ(ი)ოსანიო. წმიდაო: გიორგი (გო-
გი):. ობუჯისაო. დაგვცვენ. ორთავე. შინა. ცხოვრებათა: ჩვენ
მსასკებელნი. შენნი. წინამძღვარი. ზებუდე.

ობუჯის ეკლესია ზუგდიდის მაზრაშია წალენჯიხის მახლობლად.

50. თუთში ვერცხლისა, რომელზედაც მხედრულათ აწერია:

„ოდიშის დედოფალი ანა“.

ანა კაცია II შეუღლეა, როგორც ზემოთ დაინახეთ.

51. საიაზზე ვერცხლისა, მოდილო, რომელზედაც მხედრუ-
ლათ აწერია:

„ჩელა წელსა შაისის ლ მარტვილის მღვიასი მშობლის არის.
დავით მიტრონოფიტი მინგრელიისა წერეთელი“.

52. დოქი ხელის საბანი, ვერცხლისა, მხედრულის წარწერით:

„ჭეონდიდელი ანტონი დადიანოვი. 2. ჩემთ სა წა“.

53. ჰატარა დოქი ვერცხლისა სამეგრელოში, ჩუქურთმისანი
ფურცლების მსგავსად, დამაზი ხელობისა. წარწერა არა აქვს.

54. თასი ვერცხლისა სამეგრელოში, რომელზედაც მხედრულათ
აწერია მე-XIX საუკ. ხელით:

ქ. თი მხთაგავ. უცვალებელთ. და. ერთთ. სამებისკან. .
მაცხოვარო. ხოტევისაო. შემომიწირავს. ბარძიმი: ორი. ფეშ-
ხუმი კამ(ა)რა. კობზი. და. სამღერდავი. ესენი. ეველა. ვერც-
ხლის. შემომიწირავს. მე. წულეკიეს. მერაბს. ჩემათ სანდლე-

გძელთა(სი) და სულისა ჩემისა სოხათა და ძეთა ჩვენთა წასამართებ-
ლ(ა)თ:.

ქ: ვინცა: შენდობა: უბძინო: მერაბს: ღმერთმან: თქვენ-
ცა: შევინდოს: თქვენი ცოდვანი: ამინ:.

55. ფოდნოსი ვერცხლისა სდა, 39×31,5 სანტ., ზედ აწე-
რია მხედრულათ:

„ჭეონდიდელი ანტონ. 2. დადიანოვი ჩემთ-სა წელს“.

56. დიდი ფოდნოსი ვერცხლისა, ისეთივე წარწერით, რო-
გორც წინა ფოდნოსს აქეს

57. ფოდნოსი მომცრა ვერცხლისა, უწარწეროთ.

58. ვერცხლის კოფზები სტოლისა ხუთი, ერთი დიდი გატე-
ხილი, ერთზე თავში ბერძენთა სიუვარულის ღმერთთა გამოსატული
(ამური), მეორე სვეადიანია ღამაზი და აწერია ასოები: „ჭ. ა.“
(=ჭეონდიდელი ანტონი); ორი სდაა.

59. დანები ვერცხლისა 13, წარწერებით: ჭ. ა.

60. ჩანჯლები 13, ვერცხლისა, წარწერებით: ჭეონდიდელი ან-
ტონი. 2. ჩემთ-სა წ.

ერთი ჩანჯალი ისეთი სვეადიანია, როგორც ზემო აღნიშნული
კოფზები წარწერით: ჭ. ა.

61. სტაქანი ვერცხლისა ზიარების დროს სახმარი.

ნაკერ-ნაქსოვიანი ნივთები.

62. დაფარნა ჰატარა სიღრმით ნაკერი, რომელზედაც გამოსა-
ტულია ღვთის-მშობელი ქერუბიმებით და ანგელოზებით გლიშმი.
კუთხეებში წარმოდგენილია ემბლემა მახსრობელთა წარწერებით:
ԲԻՆ ԻԿԿ, ԲԻՆ ԻԿԿ, ԲԻՆ ԻԿԿ, ԲԻՆ ԻԿԿ, ԲԻՆ
ԻԿԿ. ამიებზე ხუცური წარწერა მოიპოვება:

1) Գ. ՄԸՓԸԺԻԸ: ԸԸԻ: ՄԻԿԻԿԻԿԿԸ-
ԿԸԸ: ԿԸԿԸ: ՄԻ ԿԸԺ

2) ԸԻԻԸԸԸԸ: ՈՒԸԸ: ԿԻԿԿԿԿԸ: ՄԿԿԿ-
ԿԿԿ: ԿԿ: ԻՆՉԸԸԸԸԸ: ԸԸ

ლი. მარიამი გადაიცვალა 1732 წ.¹⁾, მაშასადამე ჩვენი დაფარნა შეკერილია 1732 წლის შემდეგ.

64. დაფარნა მცირე სიღრმით ნაკერი, წარწერა არა აქვს.

65. კარდამოხსნა სიღრმით ნაკერი, ლამაზი ხელობის. კუთხეებში გამოხატულია შედალიონებით მახარობლები, შუაში კარდამოხსნილი ვგელა თავის ატრიბუტებით. აშიაზე გრეხილიანი ხეცურით აწერია:

1) **გ**ღ**ღ**ფ**ფ**ნ**ნ**ძ**ძ**ტ**ტ**ყ**ყ**: **ქ** **ჩ**: **ნ**წ**წ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**:
ფტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**ძ**ძ**: **გ**გ**გ**ღ**ღ**: **ჩ**ნ**ნ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**:
მნ**ნ**: **ჩ**მ

2) **ღ**ღ**ღ**ნ**ნ**: **ჩ**ნ**ნ**ჩ**ჩ**ნ**ნ**: **ჩ**ნ**ნ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ნ**ნ**ნ**ღ**ღ**ნ**ნ**:
ყნ**ნ**ძ**ძ**: **მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**ძ**ძ**: **გ**ღ

3) **ჩ**მ**მ**ყ**ყ**ნ**ნ**: **მ**მ**მ**ღ**ღ**ნ**ნ**: **ღ**მ**მ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ნ**ჩ**ჩ**ნ**ნ**:
ჩმ**მ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ყ**ნ**ნ**ძ**ძ**მ**მ**ყ**ყ**ნ**ნ**: **ჩ**მ**მ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **მ**მ**მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**ძ**ძ**:
ნნ**ნ**: **ტ**მ**მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**: **ყ**გ**გ**ღ**ღ**

4) **ღ**გ**გ**ნ**ნ**: **ჩ**ნ**ნ**ნ**ნ**: **გ**ღ **ჩ**ტ**ტ**მ**მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**ძ**ძ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **გ**ღ**გ**მ**მ**ჩ**ჩ**ნ**ნ**:
ნნ**ნ**გ**გ**ნ**ნ**: **მ**მ**მ**ნ**ნ**: **ჩ**ნ**ნ**: **ყ**ნ**ნ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ჩ**ნ**ნ**ტ**ტ**ყ**ყ**ნ**ნ**ძ**ძ**: **ყ**ნ**ნ**:

5) **გ**ღ**ღ**ნ**ნ**ძ**ძ**ტ**ტ**ყ**ყ**. უქარაგმით:

„დაკვიფარებ ჩვენ საფარველითა ფრთხილთა შენთა, დედაო მარტვილითა დმრთისა მშობელო, ქალწულო მარიამ, ეოყლისა სასოებისა შენდა დამღები დედოფალი ოღიშისა ანნა მწველილებრ გიძღვნი მცირესა შესაწირავსა, რამელი კარდამოხედი ძელსა, და წარუმართე დადაანს კაცისა. ძენი ჩვენი გრიგოლ, მანუჩარ, გიორგი დაიფარე“.

ანნა დედოფალი, რაგორც ზემოთ ვუჩვენეთ, არის დადაინი კაცია შეორეს შეუდღე. ბრასეს ტაბულით მათ შვილებთა შორის გიორგი ცნობილი არ არის.

66. კარდამოხსნა, სიღრმით ნაკერი, დიდი, კარგი ნახელავი, კუთხეებში მახარობლების ემბლემების გამოხატული, შუაში კარდამოხსნილი თავის ატრიბუტებით, საში ქალით, საში კაცით, ორი ანგელოზით და ქერუბიმებით. ჯვარს აწერია: I N R I. ირგვლივ მხედრულათ აწერია:

¹⁾ Hist. de la G. II, 1, p. 644.

თხეებში ქერუბიშეობა. ხუცური ღამაზი წარწერა მარგალიტებიოვან
ძლივს გამოსწვივის შქრადათ და ძხელი გასარსევაია:

1) **მყიწ: ზნწყიწ: მყრ'ი წინდ**

2) **მყრდწ: ჯწყიწ, მყრ ზიწიწ მყრ-
რყიწ:**

3) **ბიწყიწი იწი გყიწიწიწი: ლიწ-
ლიწ. ესე იგია:**

„შეიბ მახვილი შენი წელთა შენთა, ძლიერო, შენ მიერთთა შეგ-
ნებითა. მოიხსენე, უფალო, ჭეონდიდელი გრიგოლ“.

გრიგოლ ჭეონდიდელი, ბეჟან დადიანის ძე, ცხოვრობდა მე-**XVIII**
საუკუნის შორეულ ნახევარში.

75. ომფორი დიდი, რომელსედაც მხედრულათ აწერია:

„მთავრინა ეკატერინამ განვახლე ომფორი ესე მარტვილისა
ეგლეისის წელსა ჩემს ჭეონდიდლის ძისა ანტონის დადიანისა“.

76. ბისონი მღვდელმთავრისა მხედრულის წარწერით:

„ხუცგ. წა. ქქშობისთვეს. წ. მოიხსენე. უფალო. და მიმდ-
დეო. ღმერთს. შენდობაი. მიეტით. კახს (გნაოს). ელიზბარ დადიანს“.

სხვა ძვირფასი საჭეონდიდელო და სამღვდელმთავრო შესამოსები
ბეგრია მარტვილში, მაგრამ წარწერები არა აქვს.

77. ორანი, სიწმით ნაკერი მუღზუდ, ღამაზის ხელთბისა.
თავში ასომთავრული წარწერა აქვს:

**ჟ. ჟიწიწი: ოწიწი: ზიწი: მყრყიწი:
ბიწ: ჯიწიწი: ზწიწიწი: ლიწიწიწიწი: გყიწ-
რწიწიწი: ზიწიწიწი: ლიწიწიწი: ესე იგია:**

„გინებე ოლარისა ამის შეკერვა მე ძემან დადიანის ბეჟანისმან
ჭეონდიდელ მიტროპოლიტმან გრიგოლ“.

78. ორანი, სიწმით ნაკერი ფარხაზედ. ზემით მხედრულათ
აწერია. „წელსა ჩემი“.

79. მიტრა, რომლის თავზე წარმოდგენილია მილანქრით და-
ხატული მამ ღმერთი და ირგვლივ ღამაზი ხუცური ასომთავრულით
უწერია:

**ჟ. მწიწიწი: ზიწიწი: ჟიწი: ზწი: მწიწიწი:
მწი: გწიწიწი: იწი: ზიწიწიწი: ჟიწი: ჟიწიწიწი:**

ჩაქონი: ღნოხბრ: შქონბრ: ყინხლ: ნინხ:
ჩინხ: ნაქონ. უქარაგმოდ:

„შევაძვე მიტრა ესე და შემოგწირე შენ ცაგერისა ღმრთის მშობელს მე ქართველთ მეფის ასულმან ელისაბედ სულისა იემისა სახსად“.

ეს დედოფალი ელისაბედი იყო ქართლის მეფის თეიმურაზ II ასული, დადიანის კაცია II ცოლი; გათხოვდა 1765 წ. და გადაიცვალა 1770 წელს. მამასადამე მიტრა შემზადებულია 1765—1770 წლებს შუა.

80. ამას გარდა სამი სხვა ძვირფასი მიტრა მოიხვევა მარტვილში უწარწერონი. ზოგს მათგანს ძველი ბიზანტიური ხელობის მილანქრიანი მედალიონები ჰქონია, რომელიც გაუძარცვავთ და რუსული ხელობის მედალიონებით შეუცვლიათ.

მარტვილის ხელთნაწერები¹⁾.

1. ცხოვრება მაქსიმე აღმსარებელისა, სიტყვის გება მაქსიმელის ზიროსის მიმართ სიტყვა-მიგებით და მისივე მაქსიმე აღმსარებელის სიტყვის გება ვნებათათჳს, მიწერილი მამისა თაფაღეს მიმართ, ეტრატზედ, 850 გვ. ეფთვიში მთაწმინდელის თარგმნილი და ზაქარია ბანაელის ბრძანებით გადაწერილი. თავი და ბოლო აკლია. კარგი ნუსხა ხუცურით მე-XI საუკ. ზირველი ნახევრისა. მე-49—56 გვ. უწერია:

„დიდებაჲ ღმერთსა დაქსრულა კითხვა მიგებაჲ წმიდისა მამისა ჩინისა და აღმსარებელისა მაქსიმესი: ვინცა მიემთხვნეთ შემდგომითი

1) აქ მოგვყავს მარტო მცლე ცნობები მარტვილის ხელნაწერების შესახებ, რაც ერთის თვალის გადავლებით მოვასწართ. სრული ცნობების ამოკრფისათვის და გარჩევისათვის დრო არა გვქონდა. უმთავრესი ხელთნაწერების საყურადღებო ადგილები, მხატვრობანი და ნაქვედი ყდები ფოტოგრაფიით გადმოვიღეთ. ხელთნაწერები დაუნომრავს და აღუწესხავს ახალგაზდა მკვლევარს პ. ინგოროყვას, რომელსაც უფრო ვერცლათ უნდა ჰქონდეს ცნობები ამოკრფილი მარტვილის ხელთნაწერებიდან. ჩვენ მის ცნობებს ცალკე დავბეჭდავთ, როდესაც წარმოგვიდგენს.

შემდგომად სულის (ს^რლს) განმანათლებელთა ამათ სწავლათა. ლოცვასა მომიკსენეთ გლახაკი ესე და ცოდვილი ეფთჳძი: რომელმან ესე შეენიერი წიგნი ბერძნულსაგან ქართულსა ენასა ვთარგმნე: სლოცველად მამისა ჩემისა იოანესსა და სკესენებულად უდირსებისა ჩემისა:.

კვედრები ეოველთა მწერალთა მკითხველთა და მსმენელთა კსენებულმცა ვართ ლოცვათა შინა თქნთა, რა თქნცა სასუიდელი სიუარულისაჲ მიიღოთ უფლისაგან: უხუად მომნიჭებელისა მისა მუუფისა იჯ ქესა: რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სუფით წმიდითურთა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ (ან) იუან (აუან):.

ხალღო დაიწერა: ბრძანებითა და ნებითა: **ჴაქარია** (ზქ^რია) ეპისკოპოსისა ბანაელისა. და სზნგელოზისაჲთა:

კელითა უდირსისა და უცბად მხრაკაელისა ისაკისითა: ქალაქსა კოსტანტინებოლის: მონასტერსა მასვე ბანაელისა ეპისკოპოსისა სზნგელოზისისასა ეოველთა წმიდათასა: აგია პანტს: მეფობასა რომანოზისასა: რაჲ წიგნსა შინა ვბოე რომლისაგან გარდავწერე არა გამომაგვალეობა სიტუუაჲ არცა მიკაზმავს ღმერთი არს მოწამუნ(სი): და არცა რაჲ დამიკლია. და თუ რაჲმე დამჩომოდა შევაწამე წიგნსა და ჩაურთე: რამეთუ მთარგმნელი სულისა წმიდისა მადლითა სავსე იყო და ბრძენ და ფრად მეცნიერ ბერძნულ...“

შემდეგ სათაური:

„წ^რლსა და ნეტარისა მამისა ჩ^რნისა. მაქსიმე აღმსარებელისაჲ. სიტუესტებისათჳს ვნებთაჲსა მიწერილი მამისა თალასეს მიმართ: უფალა წარმიმართე:.“

მაქსიმეს ცხოვრების ბოლოს (გვ. 110):

„დიდება ღმერთსა დაესრულა ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩ^რნისა მაქსიმესი: ქრისტეზან სასუიდელო შრომათა მისთათჳს მიეტინ მამასა ეფთამეს(სი) რომელმან თარგმანა წიგნი ესე სულთა განმანათლებელი ამინ იუან. ლოცვა უაუთ. ი^რს.“¹⁾

2. ამავე შინაარსის წიგნი მაქსიმე აღმსარებელისა, ქალღღმუ,

1) შეად. თ. ყორღანისა ქრ. I, გვ. 169—170.

ნუსხა ხეცურით, გადმოწერილია წინა ხელთნაწერიტგან 1761 წ. მე-225 ფურ. ბოლოს უწერია:

„დიდება ღმერთსა სრულ მეოფელსა უოფლისა კეთილისსა: სრულ იქმისა წმიდაჲ ესე წიგნი მაქსიმესი: ბრძანებითა წმიდისა და უოფლად სანატრელისა. ქუთათელ მიტროპოლიტისა: ნეტარისა მაქსიმესითა: ადიდოს უფალმან ღმერთმან ორსაჲე შინა ცხორებათა ამინ:

კელითა უოფელთა კაცთა უნარსუგისისა უცებად მიხრეკელისა მიქელისათა: ამ წმიდამა მაქსიმემ. და თქუჭმან სიწმიდემ უწვის. რაჲც დედანში ეწერა და თავის და ბოლოს ფურცლები არ აკლდა დედანს: რაჲც ამში ეწერა უველა უკლებლად დავსწერე: და სიმაართელსაც ვეცადე: შემინდევით უფალნო: დაესრულა წა და სულთა განმანათლებელი ესე წიგნი: იანვარს: და ქეს აქათ: ჩლჲა:“

გადამწერი იხსენიებს ქუთათელ მიტროპოლიტს კიდევ მაქსიმეს ცხოვრების დასასრულს მე-27 კვ. წიგნის მთარგმნელის ეფთჲმის ანდერძის შემდეგ სწერია:

„უფალთ ღმერთთ ადიდე მადადებელი შენი სანატრელი ქუთათელ მიტროპოლიტი უოფლად ნეტარი მაქსიმე. რომელმან ინება აღწერა წიგნისა ამის: და დღეთა სიგრძე. და ცხორება საუკუნო მინიჭე ან:“

და ჩემთვისცა წყალობა აგონე, რამეთუ ფრიადი სასჯელი კარდამკლდა ამის წერაჲედ:“

3. წინა ისაკის თხრობანი ეტრატუედ, ზატარა ტანისა, მე-XII—XIII საუკ. ხელითა. ბოლო აკლია, 160 ფ., თავში და ბოლოში ქალღი აქვს დართული, ბერძნულის ნაწერებით. მოგვევს ზოგიერთი სათაურები: თქმულებანი; განშორებისათვს (სულისა?.. გაფუჭებულთა), სულსა, რომელსა უეგანს ღმერთი, თქმული მისივე, თავი ბ; დიდი ზატოვი მოსცა ღწ კაცთა; წესისათვს მანაზონთა მოქალაქეობისა; მეორე სახე ბრძოლათათვს მტერისათა; მესამე სახე ბრძოლათა მტერისათა მკნეთა მიმართ; სხვაჲ სახე ბრძოლისა მტერთათვს; თუ რომელისა საქმის მიერ მიეახლებინ ღმერთსა გული კაცისაჲ...; თუ ვითარ დაიმარხვის წესი ზნეობისაჲ...; შეწყალებისა მისთვს, რომელი მოვალს მათზე და რომელნი ვლენან გზას მას დაუდებლისა ღწის მიერ განწესებულსა...; დაუდებულთათვს თუ

ოდეს იწებებენ გულის კმის უოფად. და ბეგრი სხვა თქმულეობანი ის-კისი მე-142 უურცლამდის. შემდეგ: თქმული წმიდის მამის ჩნის კასიანე ჰრომისანი რვათა მათ გულის სიტყუათათს ბორტოთა.

4. დაჟითის თარგმანი ქალაღზე in folio დიდი ფორმატის, 680 გვერდი, ნუსხა ხუნურიით. მე-XI საუკ. ხელით, ქალაღი ძველია. მე-646—647 გვერდზე ბოლო სიტყუაობა, შემდეგი გვერდები (649—680) მერმენდელი მიმტებულია და ქალაღიც სხვაა. ბოლოსიტყუაობა:

„დიდება და ჰატოვი და თაუნის ცუმად და მადლი: სამეგრეობნებით ცნობილსა და ერთ არსებით აღსარებულსა წსა სამეხასა: რამელმან ჟერ იზინა მეხებითა წმიდის დმრთის მშობელისა და უფელთა წმიდათა მისთადათ: და ლოცვითა წათა მამათა ჩნთა. უფთაქმისთა და გიორგისთა: თანადგომითა და უფროდსა რხითა და წინა-ძღომითა. ბერის ჩნის საბა სულაძს ძისა თუხარსკელისადათ (sic): განზოგებად წიგნისადა ამის. რამელსა უწოდან თარგმანი დაჟითისანი. ანუ თუ თარგმანი დაჟითისადა: ჰირველი იგი სიმრავლისათს მთარგმნელთადას. ხოლო მეორე ერთგვარობისათს და ურთიერთსა შენაწყვრებისა ჰატოისანთა მათ ასოთა: მისივე და ერთისა თავსკიდურისა ქრისტესდა (ქესდა) დამოკიდებულთადას: მეკლნი უგულ დაჟითისანი ჰირველ თარგმნილისაგან დედისა ეგრეთვე დაუწერენით ვითა ვბოეთ ახალ თარგმნილთა დაჟითთა (დთათა) საუკუნოდ მოკსენებულისა გიორგი მთაწმინდელისათა: რამელი იგი უნაკლულად თარგმნილ იყო ჰირველ ჩნსა და არცა ერთისა მოქვენი განმართებისა: ხოლო თარგმანი მუკლუებისა] უფელი ახლად ითარგმანა ბერძულისაგან: ვითარცა უფელივე გემწწათ] შესავალსა წიგნისსა: გვერდები უფელთა, რამელნი მიემთხვნეთ [წმიდას ამას] წიგნსა: ლოცვა ვაგთ ზემოკსენებულისა მამის საბადას] ბერისა ეგრემ უშკელისათს მოძღუართა მშობელთა [ძმათა და შვილთა მათთათს: რამეთუ მათიათა წინაძღომითა და საქეთ] მშეობელთათა და უფროდსა საკმრითა და წარსაკებელითა ქმნილ არს უფელივე კეთილი ჩნსედა დმრთისა მიერ: რამელმან ძულადესმე კარაულიცა ბალამისი აღატყუა: რამელისასა არადათ უნაკლულეფენეს არს აღტყუებად ჰირველთა სახესა ამას გონებასა ჩემ მცირისა და უნდოდას ეგრეთ-

მისსა: რომელმან ესე ვთარგმნე ბერძენთა ენისაგან ქართულთა ენად: და მოქმენე ვარ ღმრთისა წითა ლოცვითა თქნითა აკოცად ბრალთა და ცთომილებათა ჩემთა: . დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი. შავსა მთასა [სანა]ხეპსა წმიდისა სწეონისსა, მონასტერსა შამისა ეზრამისსა: . კელითა [იწუ] ხუცისა მთავარამს ძისაჲთა: უფალმან (ონ) მიეცინსა. სუიდელი გულის მო[ღვინეთ] წერისსა: ლოცვითა თქნ ღმრთის მოყურეთა მკითხველთაჲთა.

ქრონიკონი იყო: ტ: . უფალო ღმერთო შეიწყალენ და ადიდენსა სსუთეველსა [შენსა წმიდანნი] შამანი მნათობნი ჩნნი. ანტონი ტბელი. და კვრიკე ალექსანდრ[იელი რწინი სიტუჯთ] და საქმით ძალმწე მუჟუნეს თარგმნისა ამის [წიგნისსა. და კურთხე]ვითა მათითა აცხოვნენ უოველნი ძმანი ეზრამ[სა მონასტრისანი] გარდაცვალებულნი.

ეფრემ თარგმნისა მრ ზემოკსენებულმან. და ჰირველისა წიგნისა მისთჳს დამწერელმან იოვანე ხუცისმან მთავარამს ძემან: ესე აწ ჩემთჳს გარდამოვიწერე ვითარ ვჰგონებუ უნაკულოდ და მართლად: . ვისცა გარდაწერამ გენებოს. მინდობილ იყვნით: რამეთუ ვითა ვბოე ეტრე უოველი დავწერე. და წინტილიცა: . გარსა უნდოდ და ჰვად ჩხრეკისა. და უკანონავად და იწროდ ჩასხმასათს. არა უმეტარ ვარ. რამეთუ არა კურთხევისა (ჭხკასა) გინა ლოცვისა დირს ვარ. არამედ წინა უკმო: ხოლო უკთუ ვინმე არა მწევეოს. უკუწლად დიდად ქველის მოქმედ ქმნილ არს. და კმა არს ესე ჩემდა ნიჭად. და მისდაცა მოწყალე მყოფელად ღმრთისა. რომელმან არა დამსჯოს მწარედ. უღბად შრომისათჳს: . ლოცვითა თქნ გონიერად მკითხველთაჲთა არს: .

ქრონიკონი იყო: . ტ: აა:

დაიწერა კასტანას. ეფრემის მამობასა¹⁾.

შემდეგ (649—680 გგ) მოუყვანილია: „გალობაჲ მოსესი წიგნისაგან გამოსუღვათამსა, თარგმნილი წმიდისა ბასილისი: .“

შესავალს ეფრემ მცირისსა აქვს დათმობილი 14 გვერდი და ბოლო აკლია²⁾. თვით თარგმანი ასე იწყება:

¹⁾ შუად. თ. ჟორდანი. ქრ. I, გვ. 214—215.

²⁾ ამ საყურადღებო შესავალს, მაგრამ დაზიანებულად და არა სრულად დაცულს, ჩვენ ქვემოთ ცალკე მოვიყვანთ.

„წმიდათა და ნეტართა მამათა ჩნთა აღექვანდრიელ მთავარ-
ეპისკოპოსთაჲ ათანასესი და კვილესი და სხვათა შემდგომთა მამა-
თაჲ თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ რომელ არიან ასორმოცდა-
ათნი ფსალმუნნი დავითისნი: ხელთ ბერძნულსაჲსაჲს ქართულად
ითარგმანა ნეტარისა მამისა ეფრემის მიერ: . ფნი: . ა: .“

ამრიგად ჩვენ ამ ხელთნაწერში გვაქვს ეფრემ მცირის მიერ
თარგმნილი დავითის ფსალმუნთა თარგმანი პირველად გადაწერილი
1080 წელს შავს მთაზედ „სანახებსა წმიდისა სვიმეონისსა, მო-
ნასტერსა მამისა ეზრახსსა“. ეს თავდაპირველი დედანი გადაწერია,
როგორც ეტუობა, თვით შთარგმნელის ეფრემ მცირისათჳს იოვანე
ხუცესს მთავარად ძეს. ხელთ იერთმეტის წლის შემდეგ, ესე იგი
1091 წელს, ამავე გადაწერს იოვანე მთავარად ძეს პირველი თა-
ვის დედნიდან თავისთვის გადმოწერია ჩვენი ხელთნაწერი. ეს იშვი-
ათი ხელთნაწერია ქალაქდზე—ბომბიდინაზე—დაწერილი, რომელსაც
ჩვენამდის მოუღწევია მეთერთმეტე საუკუნიდამ.

5. დავითის თარგმანი, გადაწერილი 1844 წელს, ქალაქდზე,
ნუსხა ხუცურით, in folio, რვეული 28, რვეულში 8 ფურცელია.
ბოლოს უწერია:

„სრულ იქმნა ძალითა ღმრთისა წელსა ქესით ჩუდდ: იან-
ვრის კგ:

მე მისის უგანათლებულესობის რუსეთის ღერანაღ-ღეიტუღან-
ტმა და მრავალ ორდენტა კავალერის მქონეს ჩემის კელმწიფის და-
დიანის ღეონის მოძღვარმან ლეჩხუმთ ორთა მონასტერთა განმაშე-
ნებელმან საიარმის და ნამარხევის უდაბნოთ მამამ. და სრულიად ლე-
ჩხუმისა და ჭეონდიდლის საეპარხიოს არხიმანდრიტმან გიორგიმ ვი-
დვანე სულთა განმანათლებული წიგნი ესე დავითის თარგმანი და
დაწერინე ჩემგან შოყვანილს და დადგინებულს ჩემს მონასტერშიდ
მცხოვრებს მდივანს მიქელაძეს ბერს გრიგორის ჩემის ქალაქდით და
მელნით და სრულიადის (ს'დის) სასუიდლის მიცემით. და აწ გთხოვ
უოველთა მხილველთა და აღმოგვითხველთა ამისთა ცხოვნებას და
შენდობას მიბრ:სუბდეთ:“

მეორე გვერდზე მხედრულათ:

„წელსა ჩემგ-სა ოკტობრის ივ-ს ეს დავითის თარგმანი გან-

სვენებულის გიორგის ეპისკოპოსის იყო. და მე არნიმანდრიტმან ბესარიონმან დავსდევნი მარტვილის მონასტერშიდ სულისა მისისა სახად და სახსენებლად... ხობის მონასტრის არნიმანდრიტი და დროებითა მენდრელიის საეპარხიოს მართველი ბესარიონ“.

6. მეტაფრასი, ნუსხა ხუცურით, ქალაღზე, in folio დიდი ფორმატისა, 974 გვერდი, მე-XVI—XVII საუკუნის ხელით. ბოლოს სწევია:

„ღმერთო ტკბილო და მრავალთ მოწყალეო და უოვლად წმიდაო მოქვის ღმრთის მშობელო, ადღეგრძელე და გამარჯვებით ამოფიქვე და აცხოვნე ჰატრონი მოქველი ეფთაჟე საუვარელიძე ამინ:.

შენ ცათა უგრცელესო და ქერობინთა უხეშთაესო ჰატროსანო მოქვის ღმრთის მშობელო, მე მოქველ მთავარებისკობოზმან ეფთაჟე საუვარელიძემან დაჟწერინე ესე სულთა განმანათლებელი ჰატროსანი მეტაპრასი(შიც). და შემოგწირე სახსრად და სახად სულისა ჩემისათა“... (წვევა ვინც გამოახვას). ბოლოს კიდევ წითლურით:

„ღმერთო ტკბილო და მრავალთ მოწყალეო და უოვლად წმიდაო მოქვის ღმრთის მშობელო, შეიწყალე გულქან ბობოყილფიხე, აქა ამას სოფელსა კანი მიეც, საუკუნოს შეიწყალე და იკსენ განკითხვისაგან მეორეთ მსვლასა ი . . . არქე შეიწყალე ამ . . . სამადლო“.

მოქველი ეფთაჟე იხსენიება კიდევ მრავალს ადგილს წიგნისა წარწერებში სხვა და სხვა ფორმით. მოქველი ეფთაჟე საუვარელიძე ის ეფთაჟე საუვარელიძე უნდა იყოს, რომელიც შემდეგ აფხაზეთის კათალიკოსად იყო დაახლოებით 1578—1611 წლებში.

წარწერებში მოხსენებულია კიდევ: ნიკოლოზ ჭეონისა და იოვანე (გვ. 351). მე-364 გვერდზე:

„ამ წიგნისა მეტაფრასისა მწერალსა ნავარტიოზს წმანძესა შეუნდევ უფალო ღმრთინ:“... ეკვე მე-423 გვერდზე.

მხედრულათ მე 442 გვერდზე:

„წიგნი ესე მეტაფრასი დიად დაძველებულ და დაშლილი იყო და მე ჭაიანის ქალმან ხანუმზემ დაჟწერობინე ხელახლად“.

მე 482 გვერდზე: „უფალო და დიდო ღმერთო, შეიწყალე ცოდვილი ოქრობიერ მწერალი და შეუნდეს ღმერთმან უოველნი მისნი ცოდვანი ამინ“.

მე-520 გვერდზე ტექსტის ხელით:

„სრულ იქმნა წმიდა ესე თუბ (ავისტო) მეტაფრასი კელითა ჩემ ცოდვილისა ნაკარატოს წმინდისითა. კელის უნდობისათჳს ნუ დამწევივი წმიდანო დმრთისანო. ჭაღადი ავი იყო, ამას უკეთესი კელი არ მოიყვანა, თუარა ჩემით მწავეთ მოვიპირვე დწეის...“

სულსა მეზუნთვეს ბუნურსა ცოდვანი და ბრადნი მისნი ყოველნივე შეუნდევ და შეიწუღე უფალო იესო ქრისტე დმერთო ან.

სულსა აბრჳამს წმინდესა და შეუღლეს მისსა შეუნდევ უფალო იჲ ქე დო. ძეთა მათთაჲ ისაკს და ნიკოლოზს შეუნდევ უფალო იჲ ქე დო ან.“

მე-521 გვერდზე ტექსტის ხელით:

„დმერთო, შეიწუღე დიაკონი ათანასე ქავჯარაძე ამა მეტაფრასისა მადლო“. სხვა ხელით:

„დმერთო, შეიწუღე ქავთარაძე მანარობელი. მამა დელათა მისთა შეუნდოს დან“...

მე-748 გვერდზე სხვა ხელით: „დო შე ცი მონა შენი მღვდელი იოვანე“...

მე-835 გვერდზე მხედრულათ:

„ქ. მოქვის დმრთის მიმბელო და მარტვილის დმრთის მშობელო, შეიწუღე მონა შენი. ფდ ცოდვილი წინამძღვარი იოვანე მადოს მას დღესა განკითხვისასა“...

7. მამათა ცხოვრება, სქელ ჭაღადზე, ნუსხა ხუცურით ორ სვეტად, მე-XVI—XVII სუგ. ხელით, 220 გვერდი. შინაარსი:

1) დილოგი ჰეტრეს და გრიგორის შორის, 2) ცხოვრებაჲ მარკოზ განმარებულისა, 3) ცხოვრებაჲ წის ონოფრესი, 4) წამებაჲ წის ალათანგელისა დამსკელ კათალიკოსისა, 5) წის მოწამის კლიმი ანკვირილისა, 6) სიბრძნე ბალავარისა, 7) თსრობანი წია და ღვთივ შემოსილთა მამათანი.

8. კრებული მხედრულად, მე-XVII სუგ. ხელით, in folio. შინაარსი: 1) ექვსთა დღე გრიგოლი ნოსელისა, 2) ათორმეტთა თვალათვის ეპიტანე კვიპრელისა თქმული, 3) ათორმეტთა ნათესავისა კურთხევა, 4) მკეტათჳს სხნის სიტყვა წიგნთაგან თქმული ბასილი კესარიელისა, ესე იგი სხნის მეტურგელი (Физиологъ), 5) ან-

ბანი ებრაული, ბერძული, მეფენი იუდაჲსნი, სპარსთანი, ჰტოლემიანნი ეგვიპტელები, 6) იზოლიტეს განმარტება კურთხევათა მათთვის ათორმეტთა ნათესავთა, 7) იზოლიტეს თქმული კურთხევათა მათთვის იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახვეტანი აკურთხა, 8) თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სწავლანი სარგებელნი სულთანი და სხვანი სწავლანი. ეს ხელთნაწერი თავის ჰირველი ექვსი სტატით ჰირია შატბერდის კრებულისა, ხოლო ბოლოს მამატებული აქვს იოანე ოქროპირის სწავლანი მეორეთ მოსვლისათვის. სწორეთ ამგვარივე ჰირი შატბერდის კრებულისა და ამავე მე-XVII საუკ. მოიხვევა წერა-კითხვის წიგნთ-საცავში № 2785 (იხ. ჩემი Опис. рук. Общ. гр. II, стр. 651—654). ბოლოს უწერია:

„ქ. წყალობითა ღმრთისათა და რომელთა სურის მისა მიმართა და აქუს გონება მარადის საღმრთად ხელგად და კძიებს და გამოიკულებს მრავალთა საღმრთთა წერილთა და შეუკრებიეს ვითარცა ფურცკარი გულსა მისსა უოველი მეცნიერება და სწავლა, ჩინუას გიორგის და ბრძანებითა მისითა დაიწერა წიგნი ესე კაცთა შესაქმე, რომელითა ვართ ხატ ღმრთისა და ზიარ სხვათაცა ცხოველთა მათ გამოცხადება და ექსთა დღედ, რომელსა შინა შექმნა ცა და ქუეყანა უოველით სამკაულით მათ და ათ ორთა თვალთა, რომელი ისხდა მოსეს სამოსელზედ, და ათორმეტთა ძეთა იაკობ მამად მთავრისათა კურთხევა და... და სახის მეტუელები და სხვა სწავლანი სულთა სარგებელნი თქმული ოქროპირისა იოვანესი, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისი, ჩინუას გიორგის და ფაღავას ასულის როდამის, და საუკუნომცა არს ცხოვრება მათი.

ქ. შეიწავლე უფალო ფედ ცოდვილი წინამძღვარი ნიკოლოზოზ. ბავედრები თქვენ ბრძენ მეცნიერნო მხილველნო ამისანო, იხილოთ რამე მეტ-ნაკლები ანუ წინაუკმო შემინდევით უმეცრების ჩემისათვის“. ხუტური გრეხილით: „სულსა წინამძღურისა ნიკოლოზისა შეუნდოს დმერთმან“. ქვემოთ სხვა ხელით: „დმერთო შეიწავლე ნიკოლოზ ჭეონია“. ბოლოს იმავე ტექსტის ხელით ლექსი-შაირი ორი ტაუპი.

9. მეტაფრასი ჰატარა ტანისა ნუნსა ხუტურით, მე-XVIII საუკუნის ხელით. კუთნებია წინეთ საირმის მონასტერს ლეჩხუმში. ვედა საკითხავების ბოლოს სწერია ტექსტის ხელით: „დმერთო,

შეიწყოლე ცოდვილი მონაჲ შენი ნიკოლოზ“. ნაწერის სხვა და სხვა ხელთ.

10. მეტაფრასი in folio დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტათ ჰჰ2 გვ. გადაწერილია, როგორც ბოლოს უწერია, წელთა ქრისტეს აქეთ: ჩულებს ივნის: თ:

11. ეფრემ ასურის უპისტოლე იოვანეს მიმართ მონაზონის მთმინებისათჳს... და სხვანი მისივე სწავლანი, ხუცური ნუსხური ხელთ, ორ სვეტად, მე-XVIII საუკუნისა. 45 გვერდი in folio.

12. თხრობანი წათა მამიანნი, in folio, ნუსხა ხუცურით ორ სვეტათ. 400 გვერდი. ბოლოს უწერია:

„განსრულდა ქრისტეს აქეთ ჩუგ: თებერვლის კზ. დმერთო, აცხოვრე დამწერი უღირსი მღვდელი მიქელაძე გრიგორი“...

შემდეგ სხვა ხუცურის ხელთ:

„მენათხოვრა მისის მალად დირსების უფლის არხიმანდრიტის გიორგისგან მამა-ცხოვრება ესე. უღირსს მარტო მეოფელს მონაზონს რომანოზს წელთა ჩუგდ: რათა კულად მუნვე მიუქტიონ. უღაბნის არის საირმის: შეიწყოლე დმერთო სუელით და კორცით არხიმანდრიტი გიორგი მამა უღაბნის და მოძღვარი მთავრის ჩნის ლეონ დიანისა“.

შემდეგ მხედრულათ:

„ეს წმიდათ მამათ-ცხოვრება მე საირმის მონასტრის არხიმანდრიტმან გიორგიმ დაგწერინე ჩემი სულის სახად“. (წუკა ვინც გაბოსწიროს საირმის მონასტერს).

13. ღთიფ განათლებულნი თხრობანი... რომელსა ეწოდების სამთხის უუაფილი, in 4^o, 370 გვერდი, სულ ჰგ (ჰ3) თხრობა, ბოლოს სარჩევი აქვს და უწერია:

„პატიოსანი ესე წიგნი აღიწერა კელით უღირსის მღვდელ მონაზუნის გრიგორ ბერის მიქელაძისათა საირმის მონასტერსა შინა. ფრიად მოხუცებულმან ვსწერე, ვიდრე სამეოცდაათორმეტისა წლისამან.. (შენდობას ითხოვს). წელსა ქრისტეს აქეთ. ჩუგ: იანვრის. თუ: საირმის უღაბნისათჳს შემეწირავს ჩემის სულის სახად, ამინ“.

შემდეგ მოსდევს სტატია: პირველს კვირიაკეს მარხვათასა ქადაგება სინანულისათჳს. და სხვა და სხვა ქადაგებანი დიბოლოს:

ბანი ებრაული, ბერძული, მეფენი იუდაძსნი, სპარსთანი, პტოლემიან-ნი ეგვიპტელნი, 6) იპოლიტეს განმარტება კურთხევათა მათთვის ათორმეტთა ნათესავთა, 7) იპოლიტეს თქმული კურთხევათა მათთვის იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახეტანი აკურთხა, 8) თქმული წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა სწავლანი სარგებელნი სულთანი და სხვისი სწავლანი. ეს ხელთნაწერი თავის პირველი ექვსი სტატიით პირია შატბერდის კრებულისა, ხოლო ბოლოს მამატე-ბული აქვს იოანე ოქროპირის სწავლანი მეორეთ მოსვლისათვის. სწორეთ ამგვარივე პირი შატბერდის კრებულისა და ამავე მე-XVII საუკუნე. მოიპოვება წარა-კითხვის წიგნთ-საცავში № 2785 (იხ. ჩემი Опис. рук. Общ. гр. II, стр. 651—654). ბოლოს უწერია:

„ქ. წყალობითა ღმრთისათა და რომელთა სურის მისა მიმართ და აქუს გონება მარადის საღთოდ ხედვად და ეძიებს და გამოიკვლევს მრავლთა საღთთა წერილთა და შეუკრებიეს ვითარცა ფუტკარი გულს მისსა უოველი მეცნიერება და სწავლა, ჩინუას გიორგის და ბრძანებითა მისითა დაიწერა წიგნი ესე კაცთა შესაქმე, რომელითა ვართ ხატ ღთისა და ზიარ სხვათაცა ცხოველთა მათ გამოცხადება და ექუსთა დღედ, რომელსა შინა შექმნა ცა და ქუეყანა უოველით სა-მკაულით მათ და ათ ორთა თვალთა, რომელი იხსდა მოსუს სამო-სელზედ, და ათორმეტთა ძეთა იაკობ მამად მთავრისათა კურთხევა და... და სხვისი მეტეუელები და სხვა სწავლანი სულთა სარგებელნი თქმული ოქროპირისა იოვანესი, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრების მისი, ჩინუას გიორგის და ფაღავას ასულის როდამის, და საუკუნომცა არს ცხოვრება მათი.“

ქ. შეიწავლე უფალო ფად ცოდვილი წინამძღვარი ნიკოლოზოზ, გვედრები თქუენ ბრძენ მეცნიერნო მხილველნო ამისანო, იხილოთ რამე მეტ-ნაცლები ანუ წინაუემო შემინდევით უმეცრებისა ჩემისათვის“. ხუცური გრენილით: „სულსა წინამძღურისა ნიკოლოზისა შეუნდეს დმერთმან“. ქვემოთ სხვა ხელით: „დმერთო შეიწავლე ნიკოლოზ ჭეონია“. ბოლოს იმავე ტექსტის ხელით ლექსი-პირი ორი ტაქვი.

9. მეტაფრასი პატარა ტანისა ნუსხა ხუცურით, მე-XVIII სა-უკუნის ხელით. კუთხებია წინეთ საირმის მონასტერს ღვინუში. ეგვლა საკითხავების ბოლოს სწერია ტექსტის ხელით: „დმერთო,

შეიწავლე ცოდგული მონაჲ შენი ნიკოლოზ“. ნაწერია სხვა და სხვა ხელით.

10. მეტაფრასი in folio დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტათ 332 გვ. გადაწერილია, როგორც ბოლოს უწერია, წელთა ქრისტეს აქეთ: ჩუღბსა ივნის: თ:

11. ეფრემ ასურის ეპისტოლე იოვანეს მიმართ მონაზონისა მთმინებისათჳს... და სხვანი მისივე სწავლანი, ხუცური ნუსხური ხელით, ორ სვეტად, მე-XVIII საუკუნისა. 15 გვერდი in folio.

12. თხრობანი წათა მამათანი, in folio, ნუსხა ხუცურით ორ სვეტათ. 400 გვერდი. ბოლოს უწერია:

„განსრულდა ქრისტეს აქეთ ჩუგ: ფებერვლის კზ. ღმერთო, აცხოვნე დამწერი უღირსი მღვდელი მიქელაძე კრიგორი...“

შემდეგ სხვა ხუცურის ხელით:

„მენათხოვრა მისის მალაღ ღირსების უფლის არხიმანდრიტის გიორგისაგან მამა-ცხოვრება ესე. უღირსს მარტო მეოფელს მონაზონს რომანოზს წელთა ჩუგად: რათა კულად მუნგე მიუქციონ. უღაბნის არის საირმისა: შეიწავლე ღმერთო სუელით და კორცით არხიმანდრიტი გიორგი მამა უღაბნისა და მოძღვარი მთავრისა ჩინის ლეონ დანიისა“.

შემდეგ მხედრულათ:

„ეს წმიდათ მამათ-ცხოვრება მე საირმის მონასტრის არხიმანდრიტმან გიორგიმ დაწაწერინე ჩუმი სულის საოხად“. (წუკვა ვინც გამოსწიროს საირმის მონასტერს).

13. ღთივ განათლებულნი თხრობანი... რომელსა ეწოდების სამოთხის უუაგილი, in 4⁰, 370 გვერდი, სულ 36 (ნ3) თხრობა, ბოლოს სარჩევი აქეს და უწერია:

„პატოხსანი ესე წიგნი აღიწერა კელით უღირსის მღვდელ მონაზუნის კრიგორ ბერის მიქელაძისათა საირმის მონასტერსა შინა. ფრიად მოხუცებულმან ვსწერე, ვიდრე სამეოცდაათრმეტისა წლისამან.. (შენდობას ითხოვს). წელსა ქრისტეს აქეთ. ჩუგ: იანვრის. თგ: საირმის უღაბნისათჳს შემიწირავს ჩემის სულის საოხად, ამინ“.

შემდეგ მოსდევს სტატია: პირველსა კვირიაკეს მარხვათასა ქადაგება სინანულისათჳს. და სხვა და სხვა ქადაგებანი დანილთს:

„დმერთო, აცხოვრე დაშწერი ამისი უღირსი მონაზონი გრიგორ ბერი მიქელასე ან. წელსა ქესით ჩენგ. ფებერვლის იმ: საირმის უღაბნოსთს შემომიწირავს ჩემის სულისათსა“.

ამოწმებს მეზგრელიის ეპისკოპოსი ჭეზნდიდელი თეოფანე.

14. სწაულანი წმიდისა და დიდისა ორმოცთისანი, in 4^o მხედრულათ, 203 კვერდი. გადაწერილია მღვდლის ტაბლიევის მიერ 1877 წელს. თავში უწერია:

„ჩუჲსა წელსა ივლისის: ა. მე უღირსმან მღვდელმან ზეტრე მოსეს ძემ ტაბლიეუმან ვიწყე წყრად სიუჲარულისათს კეთილისა ამის სწაულისა, კარნა ვიყავი მოხუცი შობითგან ოგ: წლის. ხოლო მღვდელობაში სრულის ორმოცთის წლისა და მაკლდა თვალთ მხედველობა, და აღარცა მქონდა მჯაში სიმაგრე. დმერთო დამასრულებინე შენს მადლსა ამინ“. ბოლოს უწერია: „1877 წელსა, ივნისის 25 დღეს“.

15. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, მხედრული, in 4^o, 52 ფურცელი, ბოლოს უწერია:

„წელსა ჩულო-სა, თვესა მანისა კა-სა, თქუძნ უოკლად უსამღვდელოესობავ სრულად მენდრულთა სამთავროთა მწყემს მთავარო, ესე იგი ოდიშთა, ლქხუშთა, სვანთა და აფხაზთა და რაოდენთაშე ნაწილთა იმერთასა და ჭეზნდიდისა ეპისკოპოსო და კავალეროსო გიორგი, ვინათგან უფროს უოკელთა შესწირავთასა სურს სამღთოსა მას სულსა თქუენსა სამღთოთასა წერილსა შესწირავა და საქმეთა წათა დთ შემოსილთა მამთა ბაძვა და დმერთ მყოფელი მოწყალება ბუნების უმეტესი აქვს თვალთა თქვენთა და თვალნი სულისანი ზე გაქვსთ მიურულებელნი, ხოლო ნივთთა სოფელითათა უღონო ქმნილმან, კარნა თქვენ უოკელთა უფროს თქროთა და ახორაკათ ესე ვითართა მწადნულსა მოკართვით ესე სამღთო წიგნი და შეიწირეთ მსკავსად ქესა, ვითარცა ქვრივის მიერ. მონა თქვენნი რომანოზ და ურდებული მარტვირის სვეტისა“.

16. ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა გადაწერილი მხედრულათ 1838 წელს იმავე რომანოზის მიერ, რომელსაც გადაწერია წინა ხელთნაწერი. ამ ცხოვრებას ბოლოს დართული აქვს ხუცურათ ნაწერი განხება წირვისა გიორგი მთაწმინდელისათვის. 65 ფურცელი. ბოლოს უწერია მხედრულად:

„უფლად ღირსსა და ღთივ ჰატიფცემულსა უფალსა და მამსა არქიმანდრიტს ანტონი დადიანოს აფხაზთასა.

ვინაითგან მიგრძანა თქუენ სამღთოჲს ამის წიგნისა გარდაწერაჲ, ღმერთ შემოსილთა მწუემსთა და მოძღვართა სიტყუებშითა განშუენებულისა და შეპობილასა, შეწვენითა ღთისათა და მადლისა თქუენისათა წარმოგადგინო წინაშე თქუენსა, რომლისა დიდება შინაგან ამისა განბრწყინებულსა სათანადოსა თანა განწმენდისა მახლობელ ქმნილთა მისთა დაშეთებობისა გულის სიტყუათასა განმკდებულთა განანათლებ საკვირველებითა უწარჩინებულესისა მოძღვართა ნამუშავესა, აღმწერელ ვიქქენ. არამედ გვედრები ღთივ ჰატიფცემულთ, მრწმუნებელსა ბრძანებათა თქუენთასა და მიმთავლელთა მორჩილებისათა მამიხიებითა სასუიდელნი ღოცვათანი. უღირსი მონაზონი და უნდოჲ რომანოზ მან თქუენი. წელსა 1838-სა მასისა 4-სა“.

17. სიტყუსა გებაჲ ჭურათა მიმართ. in folio, ნუსხა ხუცური, ორ სვეტად, 568 გვერდი. ბოლოს უწერია:

„განსრულდა სადიდებულად ღა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ბრძანებითა ღიღისა უფლისა დადიანისა ძისა ჭურთხილელ მიტროპოლიტისა გრიგოლისათა: ათუქსა აჯსტლასა: ით: კელითა ჩემ ცოდვილისა ხუცესი მონაზონისა ითანესითა: რომელიცა ფრიად ვმოქენობ მხილველთა შენდობისა უფათასა ღოცვითურთ: ქვს ქესით: ხლოზ.“

შირველ გვერდზე ტექსტის ხელით უწერია:

„უფლელთა გვედრები აღმთქითხველთა წმიდისა ამის წიგნისათა, რათა კეთილად განარჩიოთ სხოლიონნი და არა სხოლიონნი, რომელ არიან დანაშაუნი მკვდრისანი, რომელიცა არა ოხებითა ჩემითა მიქნიეს. არამედ კაცობრივმან უძღურებამან და ადგილსა ეკე ვითარსა ვერ მუთუებამან. უფრორე ცოდვისა ძალთამან სიმრუდუმან მაქნია ესრეთ. და ნაულელ უფილი იგი მკვდრისა თანადვე არმითა ზუდა გინა კიდურთა იძიეთ მოწერილად. ზუდ საჩინოებითა სიმისა წერტილისა წითლურისათა. და განწესებულსა ადგილსავე თანა აღმოკითხეთ, და ნუ მწუევთ ამის ძალით უფალთა, არამედ ღოცვა უფთა მშრომელისათუხ უნდოსა მონაზონისა ითანესით.“

სხოლიონი კკუთვინიან არსენის, როგორც მრავალნი შენიშვნანი

მოწმობენ. თხზულება თარგმნილია ბერძნულსაგან. იოანე არის გადაწერილი არსენის თავდაპირველის დედნის კრებულისა.

მე-6-ის რვეულის პირველი ფურცლის შორეულ გვერდზე სწერია:

„აღწერა წიგნი ესე სულთა სასკებელი და უფროდსად ღმრის მყოფარე, კელითა, სიტუთა ამთ მამის კაცისა მდაბლისა. და არა რაჲს ღირსების მქონებულისაჲთა: თათუეს აინჴარსა. ინდიკტიონისა სამის: დასაბამითკან წელთა: ხელწ: მილოცეთ უგწ მე ამის მრისა სასკებელისა მომსთულებულსა ძმანო, უოფადისა ცხოვრებისა. და საცნაურისა სამოთხისა საშუებელსა, ვითარ¹⁾ იგი სრბამან სიტუესამან გამოაჩინა თანა-ზიარ უოფაჲ მუნ მხიარულ ქმნილთა აანა, წმიდათა ღუთისათა, მათაჲს დამარხულთა შინა კეთილთა, ვინაჲთკან, ვითარცა ჰხედავთ, კეთილი ესე საწურთელი ტაბლად უხრწნელად უოფელთა კეთილთა მიერ აღსავსედ განჴჴებინე წინაჲ თქუწნთა, მხიარულ მყოფელად სელთა, თქუწნთაგან მკუთხველობისა ამათისა ტვიგნულლობით მესებელთა და სურვიელთა ცხოვრებად დაფარულთა ცხოვრებითა ქრისტეს თანა, უფლისა ზუწნისა. ამინ“.

ამაზე ამას შენიშვნა აქვს ასეთი: „თუთ ამის ღირსისა მამისა საკითხავთა ამთ გამომეტუეულისაჲ არს ანდერძი ესე:“ მე-6-ს რვეულის პირველ ფურცელზე: „ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდე. არსენი“. ქვემოთ: „ოჯნდომან მეტა მიერვე ვაჴოტრე: იოანე“. შენიშვნები და არსენის შესახებ ცნობები აქ იგივეა, რაც წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერში № 1463.

18. ოქროს ნუკტარი იოვანე დამასკელისა, in folio, დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცუართი, ორ სვეტად, მე-XVIII სუჴა. ხელით. ეს გაცრძელება არის არსენის კრებულისა. 740 გვ. ერთ ადგილს წითლურით ამოაჴე უწერია: „არსენისა მისრული მღჴმეს იტუვის დავით მეფე: მე მაშინდელი კაცი ვარ, ოდეს არსენი დაროჴიდი ჴამა. მარჴუწნასა გუწრდსა ჴედა წჴა, ნოსელსა იკითხვიდა და დოღმატიკონსა აწამებდა, და ცუდსა სოფიო წმიდასა იგივე მარტოჲ იქმოდო“. მე-700 გვერდზე ლექსი კახური:

¹⁾ ამ სიტყვიდან წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერიდან ვუმატებთ № 1463.

„თუკ ეუვის კბილთა, ირეკ წინთა,
იღრტენ შუათა, იგრეტ უკუანთა“.

ზემო ნაწილები ორი ხელთნაწერი წარმოგვიდგენს კრებულს თარგმანთა არსენი ვაჩუხ ძისა, რომელიც არის არსენი იუალთოელი, დავით აღმაშენებელის თანამედროვე. ამგვარი ხელთნაწერი მოიპოვება ეტრატზე ნაწერი კიდევ გელათის მონასტრში და სხვა ჩვენს წიგნთსაცავებში, მაგრამ უველას სჯობია და უველასე უფრო ძველია ქალაქზე დაწერილი წერა-კითხვის ხელთნაწერი № 1433. ამ ხელთნაწერის შესახებ ცნობებს ჩვენ ცალკე დაბეჭდვით.

19. რომისა განდგომისათვის მართლმადიდებლობისაკან, in 4", ნუსხა ხუცურით ნაწერი მე XIX საუკუნისა. 42 ფურცელი. უკანასკნელ ფურცელზე მხედრულათ აწერია: „რომანოზის ვარ“. და შემდეგ: „არღარა ვარ რომანოზისა, მის მიერ მიღებულ ვარ ანტონი არხიმანდრიტისადმი 1839 წელს სეკდენბრის 10“.

20. სჯულის კანონი ანუ სომოკანონი, დიდი ხელთნაწერი, in folio, დიდი ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, მე-XVIII საუკუნის ხელით, 1052 გვ. ბოლოს უწერია: „ღმერთო, შეიწოლე ფრთად ცოდვლი ამისი მწერალი ქართველი ლაზარე ამინ“. ქვემოთ თარიღი ვიდასაც განკებ წაუბლაღავს და ქვემოთ სომხური წარწერა აქვს. ზემოთ სიტყვა „ქართველი“-ს წინ შერმენდელი ხელით მიმატებულია: „სალაჟია“.

თავში ცალკე ფურცელზე მხედრულათ უწერია:

„ქ. ეჭა შენ ზეცათა მეუფისა დელო უხრწნელთ ქალწულთ დედუფალო მარცვილთა ღმრთის მშობელო. ჩვენ მარადის საფარველისა თქუენისა მონდობილმა დაღინის, ბეჟანის ქუამნ ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან კაბრიელ შემოგწირეთ წმიდა და ჰატოისანი სჯულის კანონი ესე სულთა ჩვენთა სახსრად და საოხად და ცოდვათა მისატეგებელად. ოდეს კულად (კ) ზელახლა წიგნი ესე შუკრევირით, ღთის სიუფარულისათვის ჩემს მოხსენებას წიგნსა ამას შინა ნუ დააგდებთ, რათა თქვენცა ხსენებულ იქმნეთ სასუფეველას შინა ცათასა. აწ ვინცა და რამსცა ქუამნ კაცისამან, გინა დიდმან ანუ მცირემან, გინა ჭყონდიდელმან წმიდასა ამას ეკლესიასა შენსა გამოსწიროს, შეჩვენებულნიც იქნების ჰირველ დაუსაბამისა დთაებისაკან და დიდისა

ამის შენის კათოლიკე ეკლესიისაგან მისი ნაწილი და სუგუნო იუ-
დასთანამც დაემკვიდრების და მეორედ მოსვლას ჩემის ცოდვის მა-
გიკრათამც განიკითხვის მართლმსაჯულისა ღთისაგან. ამინ. ხოლო
დამპტიტებულნი ამისნი აკურთხეს ღთს. აღიწერა ქტეს აქეთ.
ჩღჲ:“

მეორე გვერდზე ხუცურად სწერია:

„მოიხსენე უფალო სასუფეველსა შენსა წიგნისა ამის აღმაწერი-
ნებული და წის მარტვილის საედრისა შემომწირველი დადიანის ბე-
ჟანის ძე ჭეონდიდელ მიტრპოლიტი გაბრიელ ამინ“.

21. შემოკლებული სჯულის კანონი. სჯულის კანონი მეექვსის
კრებისა და სხვა, ნუსხა ხუცური, in 4^o, 80 გვერდი. ბოლოს სარ-
ჩევი აქვს და შემდეგ სწერია:

„აღიწერა წელსა ქტეს აქეთ: ჩუკთ. ივნისის დღეს: ე: მარტვი-
რის სვეტშიდ:“

ტექსტის ბოლოს:

„წმიდანო მამანო, რომელიცა იკითხვიდეთ წიგნსა ამას, ლაღვი-
თა მომიკსნეთ მე უღირსი და ფრიად ცოდვილი მღვდელმონაზონი
და დაუღლებით მდგომარე სვეტსა მარტვირიის მონასტრისასა, რო-
მელიც მუნ ავთ აღწერე და ნაკულუფანებისათვის შენდობას ვით-
ხოვ, რამეთუ არა მიხილავს ოსტატი, რათა მისგან მიიქლო სწავლა,
უფაღნო ჩემნო“.

22. ძეგლის წერა მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისა, რო-
მელსა შინა ვაკურთხევთ მართლ-მადიდებელთა აღმოსავლეთისა და
დასავლეთის კეისრთა, ზაზათა და ჰატრიანთა და სხუათა მღვდელ-
მთავართა, in 4, ღურჯ ქალაღდზე მხედრულათ, მე-XIX საუკუნი-
სა, 10 გვერდი. ბოლოს უწერია:

„1824 წელს, მარტის 12, ვიეიდე წიგნი ესე ძეგლის წერად
სახელდებული მე იღუმენმა ანტონი გიორგის ძემ დადიანოვ და კელ-
თა წიგნისა ამის მიმღებთა გთხოვთ ჩემდამო შენდობისა ბრძანებასა.
ანტონი დადიანოვ(იცი)“.

23. კულახი, in folio, შუა ფორმატისა, ორ სვეტად, ნუსხა
ხუცურით, 2442 გვერდი. გადაწერილი 1736 წ. ბოლოს კინოვა-
რით სწერია: „განსრულდა სადიდებლად ღმრთისა ამინ. ღმერთო

შეიწყალე წულუკიძე მერაბ“. მე-2432 გვერდზე: „ღმერთო შეიწყალე ამ დავითნის შემამკობელი წულუკიძე მერაბ მრავალ ჟამიერ უოს“. მერაბ წულუკიძე კიდევ სხვა მრავალ ადგილს იხსენიებს.

მე-2353 გვერდზე: „ამ გულანის წერაზე და შეკრვაზე იონა ბარბიძე იყო მეღვნეთ და ღვინოს არ გვაკლებდა“... (ლოცვა მისთვის).

მე-2112 გვერდზე: „დიდება ღმერთის, სრულ მყოფელს უფლისა კეთილისასა: მე წულუკიძემან მერაბ ვიცულე და ვიცულსმოდგინე წიგნი ესე, შევამკურნე და კავაკეთე წმიდაჲ ესე გულანი უფლითურთ სრული და უნაკლულო და შევსწირე ხოტყვის დასუწინებულს მაცხოვარს ჩუწნად სადღეგრძელოდ და სულის ჩუწნის სახად და ძეთა ჩუწნთა აღსაზრდელად შემომიწირავს... (წვევა ვინც გამოსწიროს). შეიკრა წიგნი ესე გულანი ქვესა: უკდ: ოთხსა ოცდა ოთხსა:..

მე-1972 გვერდზე: „ღმერთო შეიწყალე ამ თუწნის დამწერი მღვდელი მახარობელი უსამართლოდ გადარბეზული“...

მე-733 გვერდზე: „უფალო იჯ ქრისტე ჩნო, დიდგვ ორთავე შინა ცხორებასა ცოცხლით დღეგრძელობით გენათელ მიტრობლილი დავით ნეჟსაძე და ახმარე თვე ესე სიმართლისა და [მშვიდ]ობაში და“...

„ღმერთო შეიწყალე ფრიად ცოდვილი და უოველთა კაცთა უნარჩვევი... მხხრეველი ასათანი“...

მე-657 გვერდზე, კვინკლასის ბოლოს:

„ესე სჯულიერი კინკლასი მე ზებედეს დამწერია წულუკიძის მერაბისათვის ღმერთმან ახმაროს“...

მე-652: „ღმერთო მოიკისნე ამ წიგნის უცებად დამხხრევი ნიკოლოზ (ნკო):.

წ: აჰა ჩიქულასემ გიორგიმ წვეულმან ცხენი მომხარა. ჩემი ცხენი ვსთხოვე და მეც გამლახა... (სწვევის ქურდს). გურნული ჩიქულაძე არის. ღწ დასწვეულს“.

მე-1186 გვ: „ღმერთო, შეიწყალე გიორგი წულუკიძე და მეუღლე მისი, ძე და ასული. ვამე ცოდვილმან და უდიკსმან ამის უკეთ არ ვიცოდი, რაც რომ გამეწუბობდა, ჩემი სცადი არ დამიკლავა. დედანში ბევრგან წაშლილი იყო. საში თვენი თედორე ძაცვლის დაწერილია“.

მე-446 გვერდზე: „მოიკესნე ღმერთო სასუფეველსა შინა შენსა ჩიჯავადის ქალი ანა და ცხობებულთა ხაწილთა ღირს უჯ ამინ:.. უფაღნო და ძმანო ჩემო, ვინცა ამა წმიდათა მარხვანთა მიემთხუენეთ, ჩიჯავადის ქალის შენღობას ბრძანებდით, ამისთვის რომე ქრისტეანი (ქქანი) და ჩუჭინის კაცის ჰატივის მცემელი იყო: და ამის წერაზე-დაც ჩემზედა ბეჭრს ირჯებოდა:..“

მე-328 გვერდზე: „ღმერთო, მოიკესნე ამის დამწერი ნიკოლოზ (ნკზ) ან და კსნ:..“

უღის ფურცელზე მხედრულათ: „ეს საღმთო წერილი ეკუთვნის საიარმის მონასტერს“.

მე-993 გვერდზე: „ამ გულანის წერაზედ ჩიჯავადის ქალი ანაკა კარკათ კელს გჯუობდა, დან აცხვენას“.

მე-2173 გვერდზე: „ღმერთო და უფალო იჯ ქსო, შეიწაღე და აცხვენე ამისი მწერალი მთავარდიაკონი ცოდვილი დავით...“

მე-2080 გვერდზე ღმერთო (აქ ვრცელი შესავალი და ბევრი წმიდანება ნახსენებია) ადგილს... ნათლისსა და ადგილსა განსასვენებელსა დამკვიდრე სული გიორგი წულუკიძის ამინ“...

მერმენდელი წარწერა უკანასკნელ ფურცელზე მქრალის მეღნით და უშნო ხუცურით გვაწუებს, რომ ეს დაშლილი წიგნი ხელმოკრულ შეუკანაზგს და გაუკეთებია მღვდელმონაზონს სიმონს 1862 წელს.

24. თთვენი ანტონ კათალიკოსის შესწორებული და მასი რედაქციით გამოცემული, in folio, დიდი ფორმატისა, ხუსხა ხუცურით ორ სვეტად, 817 ფურცელი. ბოლოს უწერია: აღიწერა კელითანიკოლოზ სიონის დეკანოზისათა 1779. შიგა და შიგ მოიპოვება ანტონ კათალიკოსის მიერ თხზულნი საგალობელნი, ქართველთა წმიდათანი. წინასიტყვაობა ანტონისა ძრიელ საყურადღებოა. აქედან ვტყობილობთ, თუ რა გაჭიერებით შეუდარებია ანტონს სლავიანურის და ბერძული თთვენისთვის ქართული თთვენი. თთვენი იწუება სვეტებრით და თავდება დეკემბრით, შემდეგ საგალობლებია რვა კმა. თთვენის ბოლოს ვკითხულობთ:

„ადიდებ უფაღმან მრჩობლითავე ცხვრებითა ქართლისა და კახეთისა დედოფალი დარჯჯან, რამდისა ბრძანებითა და საფასითა აღვსწერე ოთხნი ესე თთჴნი, სრულიად შემკობილნი ტუბიკონითურთ,

მე უოვლად უღირსმან სიონის დეკანოზმან ნიკოლას: დასაბამითგან
წელთა: კსპზ: ქქს აქთ. 1779: ქქს. უფზ:“

პირველ ფურცელზე წარწერას ლამაზი მრგვალი მხედრულის
ხელით, რომლითაც დარეჟან დედოფალი ამ წიგნს სწირავს მო-
ნასტერს:

„...უოვლად წმინდასა მარტულითა ღთისმშობელსა შემოგვირე
ესე წიგნი დადიანის ასულმან საქართველოს დედოფალმან დარეჟან:
მათის უმაღლესობის შიშის მრავალწელობად: და საზად სულისა
ჩუჭნისა, და მიტყუალებულთა ჩუჭნისა: და ქეთა და ასულთა ჩუჭნისა
აღსაზრდელად ამინ:“

25. იგივე თთვენი, იწუება იანურიდან და თავდება აპრილით,
გადაწერილია, როგორც მხედრული ბოლოსიტუებათა მოწმობს, იმავე
დარეჟანის ბრძანებით 1778 წელს მღვდელ-დეკანოზის ალექსის შვი-
ლის სოლომონის მიერ: „სრულ იქმნა ნაემბრისთვის კთ ქქს უფზ.
უღირსი ვინმე და უნდა მღვდელ-დეკანოზი. ალექსის შვილი სო-
ლომონ შენდობის მოქმე ვარ:“ 189 ფურცელი. თავში ისეთივე წარ-
წერა აქვს დარეჟანისა, როგორც პირველ წიგნს. პირველი ფურცე-
ლი ფერადებიანი თავსართი მხატვრობით (ზასტავით) არის შემ-
კობილი.

26. მესამე წიგნი ანტონ კათალიკოსის თთვენისა. იწუება მთი-
სიდან და თავდება აგვისტოთი. 671 ფურც. თავში ჩვეულებრივი
წარწერა დარეჟან დედოფლისა. გადაწერი არა სჩანს. ხელი კანირ-
ჩევა წინა ტომების ხელიდან, უფრო მდარეა¹⁾.

27. სადღესასწაულო, in folio, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად,
მთლიანად ქაღალდზე, ეკუთვნის მე-XIX საუკ. დასაწყისს, 478 ფ.

28. სადღესასწაულო in 4⁰, ზატარა ფორმატისა, ნუსხა წვრი-
ლის ხუცურით, დაშლილი, 510 ფურცელი, თავი და ბოლო აკლია.
მე-XVIII საუკ. ხელით.

1) ასეთი ხელთნაწერები ანტონის შრომისა მოიპოვება წერა-კით-
ხის საზოგადოების წიგნთ-საცავში, საქართველოს საისტორიო და სა-
ეთნოგრაფიო საზოგადოებაში და საეკლესიო მუზეუმში.

29. სადღესასწაულო, in 4^o, წერილი ნუსხა ხუცურით. 680 ფურცელი. მე-XVIII საუკუნის დასასრულის ხელით. ბოლოს მერ-მუნდელი მხედრული წარწერა: „1850-სა წელსა მივიღე წიგნი ესე ძმისა ჩემისა ზეტრე ნიკოლაოზის ძის დადიანოვისაგან მე ეპისკოპოსისმან ჭყონდიდელმან ანტონიმ და რომელს ეკლესიაზედ მე დაგიმარხო, ვინც ეს წიგნი იმ ეკლესიას გამოახუეს, შეჩუწნებულნი იყოს ღმერთისაგან. ეპისკოპოსი მხედრულითა ჭყონდიდელი ანტონი“. შიგნით ერთ ფურცელზე მხედრული წარწერა:

„მებოძა მისი მაღალ უფლად სამღვდელთაების უფლის ცაცერელ მიტროპოლიტის იოანე დადიანის ძისაგან სასსოფრად მის მიერ ჩემდამო განუჭრველის მეგობრობითის სიუვარულისა. წელს 1816, აგვისტოს: 14 ნიკოლაჲ დადიანოვი. შიგა-შიგ მრავალი ღამაზა ასომთავრულეთა წითელის და შავის მუღნით ნახატი.“

30. ჰარაკლიტონი, წერილი ნუსხა ხუცურით, 139 ფურცელი, თავში თავსართი მხატვრობა — „ზასტაჲკა“ — აქვს და სათაური გრეხილიანი ასომთავრულით და წითელის მუღნით. ბოლოს უწერია: „განმობრძდა შწირობაჲ ჩემი ქენსას მას მეგრელთასა და ვიჟგ რაჲ ხელოვან მწერლობისა შევემეცნე უფალსა (ოჯა), რომლისა მიერ იპურობოდა უოველივე ოდიშ-ქუჩხუმი და სვანთა თანა აფხაზეთი. და მეორედ პურობისა შემდგომად, ოდეს განაკება კეთილად გამტკბელი კეთილ მორწმუნე დადიანი გრიგოლ, მას ჟამსა გულს მოდგინებისა მიერ მათისა მებრძანა მე მონასა მისსა საღმრთოსა ამის და ნუგეშინისცემითისა ჰარაკლიტონისა აღწერაჲ. ხოლო ოდეს მიბრძანა მიუროთგან აღესწრაფე და დაგდეჲ თავსა შინა ჩემსა შრომა არა მცირედი. და ჯერეთ გამოუტდელმან მებრ აღწერისამან ვიწყე ნუგეშინისცემითი ესე თვთ მხოლომან თვნიერ მეორისა შეწყენისამან, გარნა ხოლო მხოლოჲს ღმრთისა. და ძალისა ჩემისაებრ სიმართლესა და განკეთილებას ვეცადე და როგორცა ახალი ჰარაკლიტონი შითხრობდა, ეგრეთ ვსწერდი. გარნა ვინაჲთგან მცთომ არს ბუნება კაცობრივი, იხილეთ თუ შეცთობა, შეშინდეთ(შიც) სიუვარულისათჲს სულისა, რომლისა მიერ თქნცა მოიგოთ ცთომათა თქნთა შენდობა დღესა მას სიტყუს კებისსა საშინელთა მსჯულთა მიერ:“

ბრძანებითა კეთილმზახურისა დადიანისა გრიგოლისათა დროსავე

თანამეცხედრის თვისის კეთილმისხურის და უმაღლესის სჯარათვე-
ლოს შუთის ასულის შუთის ნინოს და კეთილმარწმუნეთა ძეთა და
ასულთა თვისთას: აღიწერა წიგნი ესე ნუგეშისნიცემითი, რომელ არს
პარაკლიტოს, პატარა სამეუფოს თაკვერს კელითა მდივანი გიორგის
ძე მმდივანი გიორგისითა: „

შემდეგ მხედრულად:

„მივიღე წიგნი ესე ძმის ჩემის პეტრე ნიკოლაოზის ძის და-
დიანოვისაგან მე ეპისკოპოსისა ჭეონდიდეელის ანტონიმ და რომელს
ეკლესიასზედ მე დავიმარხო, ვინც ეს წიგნი იმ ეკლესიას გამოსახეს,
შენჩნებულე იუთს ღუთისაგან: თუთ ხელითა ჩემითა ვამტკიცებ
წარწერილობას ამას მე ჭეონდიდელი ანტონი“.

ეს ანტონი ჭეონდიდელი ერთი ნუსხის მიხედვით დაიდგინა
ეპისკოპოსად 1843 წ., გადაიცვალა 9 დეკემბერს 1852 წელს.

პირველ ფურცელზე მხედრულათ: „ეს პარაკლიტონი ხელწერი-
ლი მიბოძა მისმა უმაღლესობამ იმერეთის დედოფალმან მარიაშ მე
წერეთელს გრიგოლს წელთა ქესით ჩუთ მისის ა. გრიგოლ“.

შემდეგ: „და მე გრიგოლ წერეთელმა მივეც ეს პარაკლიტონი
ოდიშელს მღუდელს ჩინჯაძეს დავითს. და ვინც მძღავრობით მის-
ტაცოს, იუთს შეჩვენებულე და წვეულე და კრულე თუთ ერთარსის
სამებისაგან. გრიგოლ“ ბეჭული |.

შემდეგ სხვა ხელით: „ვივიღე ზემოხსენებულე მღუდლისაგან
სათანო სანმარად: თ. ნიკოლაო დადიანოგ“.

31. მწიხრის და ცისკრის განკება და სხვა, in 4^o, ნუსხა ხუ-
ცურით, მე-XVIII საუკუნისა, თავი და ბოლო აკლია, უედო. 162 გვ.

32. ჟამის წირვა ანუ საღმთო ლიტურდია იოანე ოქროპირისა
და ვასილი დიდისა, ნუსხა ხუცურით, 107 ფურც., in folio, შუა
ფორმატისა, მე-XVIII საუკ.

33. კონდაკი ანუ წესი სამღვდელმთავრო ლიტურდიის და სამ-
ღუდელთნი კელის დასხმანი. აქვე ოქროპირის და ვასილის ჟამის
წირვა. ნუსხა ხუცურით, in folio, შუათანა ფორმატისა. 218 გვ.
ბოლოს უწერია:

„განსრულდა წელსა ქესით ჩუთა, თთვეს მისის ა: აღვაწერი-
ნე კონდაკი ესე ცაგარულ მიტროპოლიტმან იოანემ (იქმ), ძემან და-

დიანისა კაცისამან, მწერალს გიორგის, რომელიც შენდობას ვმოქქენობ უოველთაგან:“

ჩვენი ნუსხის მიხედვით ეს ტაგარელ მიტროპოლიტი დაიბადა 1777 წელს, კურთხა მიტროპოლიტად 1800 წ., გადაიწვალა დეკემბრის 8-ს, 1823 წელს.

34. საღმრთო ჟამის წირვა იოანე ოქროპირისა და ვასილი დიდისა, in folio. შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, 230 გვ., მე-XVIII საუკ. დასსრულის. სათაური ასომთავრული გრებილით. დასაწყისი: „ვითარ ჯერ-უჩინეს წირვა ჰატრიარსსა მსგავსად შემდგომთა მღვდელ-მთავართა“. ოქროპირის წირვის ბოლოს: „ქე ადიდე თრთავე შინა ცხორებათა და კეთილად აჰმარე, რომელმანც კელად მიიღოს წიგნი ესე:“... შემდეგ ვინაობა განგებ წაბლალულია (გვანებ იკითხება: მე ნიკოლოზ აფაქიძეს).

35. საღმრთო მსახურება იოანე ოქროპირისა და განტყეება საუფლოთა დღესასწაულთა, in 4^o; ნუსხა ხუცურით, მე-XIX საუკ. ხელით, 53 ფურცელი.

36. ჟამის წირვა იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდისა, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, მეფანი ცული უოფილა და ქალაღი შეუტამია. 93 ფურც. მე-XIX საუკუნის დასაწყისის უნდა ეკუთვნოდეს.

37. განმარტება ეკლესიისა და კურთხევა ეკლესიისა დომენტი კათალიკოსისა და სხვა. პირველი ორი სტატიის გადმოწერილია ნაბეჭდი წიგნიდან¹⁾. in 4^o, ნუსხა ხუცურით, 213 გვერდი. პირველ სტატიის ბოლოს უწერია: „ესე საუდრის კურთხევა და სხვანთა უფალმან ცაგერელ მიტროპოლიტმან იოანე, ძემან კაცია და-

¹⁾ კათალიკოსს დომენტი III დაუბეჭდია ხუცურად ვანტანგ მეფის შემოღებულს სტამბაში წიგნი სათაურით: განმარტება ეკლესიისა, კურთხევა ეკლესიისა და კურთხევა ოდიკისა. ეკლესიის კურთხევის წესი ახლად უთარგმნია ბერძნულისაგან სამთავენელ ეპისკოპოსს კვიპრიანეს დომენტის ბრძანებით. წიგნის ბეჭდვა დაუწყიათ 1719 წელს, როგორც შესავალი უჩვენებს, და დაუმთავრებიათ 13 იანვარს 1720 წელს, როგორც წიგნის ბოლოს თარიღი უჩვენებს. ამ ნაბეჭდი წიგნის ცალი შევიძინეთ ჩვენ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო წიგნთსაცავისათვის.

დიანისმან, აღმაწერინა, რომლის დედანი იყო ძველი სტამბა ვან-ტანგ შეფისა საქართველომსა და თუმცა შეცთომილება იხილეთ, მე ნუ მბრალდებთ, რაც დედანში იყო, ისე კადმოფსწერე მე მღუდელმან გაბაშვილმან ოსე: ფებერვლის ივ: წელთა ჩუა: და ვითხოვ უთა მრ შენდობას ცოდვლი და უღირსი მონა თქნი:“

მეორე ნაწილის ბოლოს:

„მისმა უფლად უსმღუდელთაგანმ ცაცერელ მიტროპოლიტ-მან იოანე აღმაწერინა მეორე ესე კურთხევაჲ ეკკლესიისა მე მღუ-დელსა ოსეს გაბაშვლსა თათქსა იენისსა. ზ. დღეს ოთხშაბათსა, რომლისა კსენება იუან სუგუნოდ ამინ. წელთა ჩუა: აწ შეცა ვით-ხოვ შენდობას აღმომკითხველნო ამისნო“.

38. კურთხევა ეკლესიის, ოდიკთა და სხვა, იუ 4⁰, ნუსხა ხუ-ცურით, 111 ფურც., თავში წითლურით უწერია:

„წელსა. ჩლოა: თათქსა დეკემბერსა კვ: მეფობასა კეთილ-მს-ხურისა ირაკლი მეორისა დავითიან ბაგრატიანისსა: და მამთ-მთავ-რობასა ანტონი შეფის ძისა დავითიან ბაგრატიანისსა:-

აღიწერა წიგნი ესე კურთხევა ეკკლესიისა და ოდიკთა. და კვ-რეთვე სხუნიცა, რომელიცა შევნიან განწმედასა საქურთხეველისსა, და ამას თანა წესი და ცერემონია სამღუდელმთავრომსა წიწვისა თა-ნა ჩართულითა კელის დასაბუბითა: და კვრეთვე სამონაზნომსა ჩო-ხის კურთხევის წესი: რომელიცა ფრიადისა გულს მოდგინებითა ვი-მხარვე მოვინად წერილთა ამათ: რამეთუ ძელ სამოვნელ იყო: უღირ-სმან მღწდელმან ანხისსატის დეკანოზმან გიორგიმ:“

39. წესი კარიკებისა და ხელდასხმისა მღუდელმთავრობითისა, ნუსხა ხუცურით, ლურჯ ქაღალდზე, 42 კვ., მე-XIX საუკუნის და-საწყისისა, ქაღალდის უღით, რომლის მეორე გვერდზე სწერია: „წელთა ჩეთ ჯრუჭით“.

40. შეფთვების წიგნი, იუ 8⁰ ნუსხა ხუცურით, ქაღალდის უღით, 56 ფურც., მე-XIX საუკუნის დასაწყისის უნდა ეკუთვნოდეს. ბოლოს მხედრულათ უწერია: „1824 წელსა მარტის 12 ვიეიდე წი-გნი ესე შეფთვებისა მე იდუმენის ანტონი გიორგის ძემ დადიანოვ და ვინცა მიიღეთ, შენდობა მიბრძანეთ“. წიგნი იწყება იოანეს სხა-რების ჰირველი თავით.

41. შარაკლისნი ყოველთა წმიდათანი, ათ-რიცხველნი, in 8^o, მხედრული გარეული ხელით, 227 გვერდი, გადაწერილია, როგორც ბოლო-სიტყვაობა უზენებს, ბრძანებითა სიარმის მონასტრის (ღერ-ხუმში) წინამძღვრის კირილესითა მღვდელ-მონაზონის ნიკიფორეს მიერ. ბოლოს: „მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე. ავსწერე და შეკვარი. აღწერა 28 დეკემბერს 1857 წ. სიარმე“.

42. სვინაქსარი, in 8^o, ხუსხა ხუცურით, 716 გვერდი. კუთ-ვნებია სიარმის მონასტრის. თავში სწერია: „სვინაქსარი, რომელ არიან წესნი და განკებანი წაა მოწამეთანი“. თავში მხედრულთა მე-**XIX** საუკუნისა: „ღმერთთა შუიწვალე აღექსი დევდრონიანი“. წიგნი უნდა ეკუთვნოდეს მე-**XVII** საუკ.

43. სვინაქსარი, in folio, ხუსხა ხუცურით, მე-**XIX** საუკ. ხე-ლით, 210 ფურც. ბოლოს უწერია: „მებრძანა მათის მაღალ ყოვლად უსმღვდელთაობის სრულიად სამენგრელთა სამთავროს მიტროპო-ლიტი დაჰითისაკან მე გურულს მდივანს გიორგის აღწერა სულთა განმანათლებლისა წლით წლათ ერთა წმიდათა მომკსენებელისა სვი-ნაქსარისა აღწერა და აღვსწერე წმიდა მარტაქის მონასტრისა შინა სვინაქსარი ესე... ვიწვე დეკემბერის. კ. და აღვასრულე ივნისის: 6“. ხელთნაწერის ქაღალდს ნიშანი აქვს 1830 წ.

44. ტავიკონი, in 4^o, ხუსხა ხუცურით, 146 ფურც. ბო-ლოს უწერია:

„იჯ ქე მუჟუჟო დიდებისაო, აღიდე ორთავე შინა სუფუჟათა შენ მიერ დიდ ქმნილი და ძლევა შემოსილი და ყოვლადვე ზემთა ამაღლებული ჰატრონი დადიანი ოტია. ეგრეთვე თანა მუცხედრე მათი დედოფალთ დედოფალი ჰატრონი ერისთვის ასული გულქან და სენი და ასულნი მათნი მშჯდობით აღზარდე: რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი ტავიკონი მოსაკსენებელი ყოველთა წმიდათა და შემამკობელი კათოლიკე ეკლე-სიათა და წმიდათა დღესასწაულთა განმშუცხებელი: შენ უხუად მომ-ცემელთ ნიჭთაო, მიუც სასუიდელი შრომათა მათთა და განუხუცნ კარნი სასუფუჟელისანი ან. აღიწერა წიგნი ესე კრნიცისა(sic):. ოთ-ხას ოცდა ექუსსა:.“

ქორონიკონი უდრის 1738 წელს.

45. ტიბიკონი, რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიათა, in 4, ნუსხა ხუცურით, ლურჯ ქაღალდზე, ქაღალდის უღით. ეს ტიბიკონი შემოკლებულია, ახე გამოკრებული, მე-XIX საუკუნის ხელით, 117 გვ. ჰკუთნებია საირმის მონასტერს. ბოლოს მხედრულათ სხვა ხელით: „ეს გამოკრებული ტიბიკონი ჩემს წინამოადგილეს მღვდელ-მონაზონს ითანეს მოზარული ქონებია. მე შევიტყევა, ვეცადე, ვიჩივლე და როგორც იქმნა ამოვიგე და ესლა არის საირმის მონასტრის 1857. გამგებელი მონასტრისა კირილე“.

46. მარტირიკა ანტონ კათალიკოსისა, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, 668 გვ. ბოლოს უწერია: „ადიწერა წიგნი ესე რომელა მარტირიკა. მოწამეთა ქართუწლთა შესხმა და მოთხრობა. ბრძანებითა მისის უფულად უწმიდესობისა უფლისა ზემოღეს საქართუწლოღეს მამათ მთაყრისა ანტონი შეფის ძისთა, გამთქმული მის მიერვე. რომლისა საუკუნო იუაზნ ჰქსენება. ჩემ მიერ უფულად გლახაკისა ტფილისის ქალაქს სიონის ეკკლესიის ჰროტოპრეზვიტურის ნიკოლაოსის მიერ. რომელი მოქმეე ვარ მხილუმწლთად ცთომილთასა შენდობის მოცემასა: წელსა: 1769; ნოემბერს, 28 დღეს.“
ანტონ კათალიკოსს დაუმთაყრებია მარტირიკა, როგორც აღნიშნულია პირველ გვერდზე:

„წელსა დასაბამითგან სოფლისა. 7278:

კორციელად შობითგან სიტყუსა დ'ისა. 1769:

ათწესსა მუათურთმეტესა. რიცხუსა. 19:“

აქედან სჩანს, ზემოხსენებული ხელთნაწერი ერთი პირველთაგანნი პირია დედნისა.

47. რიტორიკა მეხითარისა, თარგმნილი ანტონ კათალიკოსისა, in 8^o, ლამაზი მრგვალი მხედრულის ხელით. 166 ფურც. მე-XVIII საუკუნის დასასრულს კუთვნის. ბოლოს უწერია: „იღუმენი ანტონი დადიანოვისა ვარ“.

48. ლოდიკა ანტონ კათალიკოსისა, in 4^o. 223 გვერდი. ნუსხა მხედრულის ხელით. ბოლოს უწერია:

„ადიწერა კელითა მიქელაძე ბერის გრიგარისთა წელსა 1833, იანვრის 2:“

გადამწერი ამ წიგნისა გრიგორ მიქელაძე ჩვენი ნუსხის მიხე-

ხედვით ხობის მონასტერში განწესებულა არხიმანდრიტად 1806 წელს, გადაცულია 1836 წელს.

49. მიმოსვლა ტიმოთე მიტროპოლიტისა 1752 წელს იერუსალიმს და ათონს. შემდეგ საეკლესიო წერილები: ერთობისათვის და სიყვარულისათვის წთა ეკლესიათა; აგარიანთათვის სიტყვის გეზა; დელსანწაულთათვის ღთის მშობლისა; ნესტორისა მწვალებელის წინააღმდეგ სიტყვანი და სხვა. in 4^o, მე-XVIII საუკ. მხედრულად. 260 ფურც.

50. იონა ხელაშვილის ავტოგრაფი, თარგმანი წინასწარმეტყველებათა, ახლის ალექსისა და სხვა მისი სწავლანი ავტორის ავტობიოგრაფიული ცნობებით. 467 გვერდი, in folio, დიდი ფორმატისა. შეადრე საეკლ. მუზ. ხელ. № 7. უშნო მხედრულით. უკანასკნელი სტატია იწყება ასე:

„გ. სდა არს სიყვარული წმიდა“. დასწყისი: „წინასწარმეტყულებათა ისიასი, თაჟი ჰირულა“. უდის მეორე გვერდზე: „მამა იონა ატცხამეტსა წელსა და ცხრა თთუტსა მდჟდელ მონოზანობს: სამი ათასი უწირავს. სიწმიდით განახლების გარდა. ესრეთ ღირსჭეოდმეტმან მსახურებად თჳსად: წელსა 1831-ს თთუტსა ივნისის 29-ს დღეს ორშაბათსა:“ ჰირეულ ორ ფურცელზე იამბიკონი მეფის ძეთა იონასადმი.

51. მილანქრიანი უდა ჰატარა ტანის სხარებისა, 8×6 სანტ., თვით ხელთნაწერი აღარ არის. ერთ ჰირზე გამოხატულია ჯვარცმა წინამდგომებითურთ. მეორეზე აღდგომა ქრისტესი. წარწერები სურათებისა ბერძნულია. აშეები შემკობილია ძრეულ სწირი ზურმუხტებით და სხვა ძვირფასი ქვებით. ხელობა მილანქრისა ლამაზია, მაგრამ სიამისო ძველი არ არის და სპარსულ გაუგუნას მოგვაგონებს.

52. შემოსავალ-გასავლის წიგნი მარტვილის მონასტრისა 1829-დან, და კარაბანინი, ლურჯ ქაღალდზე, 254 ფურც. წიგნი დაშლილია, სრული არ არის, მაგრამ ძლიერ საურადადებოა მარტვილის მონასტრის ისტორიისათვის მე-XIX საუკ.

53. ნაწვევტები სხვა და სხვა ხელთნაწერებისა:

1) ერთი დიდი თაბახი ეტრატისა. ქვემოთ სათაური წითლური ასომთავრულით: „სწავლაჲ ზუ რა გწვიშორნეთ ეწისაჲ ბრტი-

საგან და ვიქმოდეთ კთილსა: " ორ სვეტად ნუსსა ხუცურით მე-XI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. დასაწყისი ტექსტის: "...წარმართნი ღის მეცნიერ უნა. მეუღარნი აღადგინნა: ეკლესიაჲ წარმართთაჲ აღაშენა. სასუფეველი ცათაჲ განკვლო: ანგელოზნი და კანნი შეართა..."

2) ერთი დიდი თაბახი ქალაღლის ორ სვეტად ნუსსა ხუცურით, ქვემოთ ახალი სტრიქონიდან: "და ვითარცა ხუთისა წლისა ჟამთა ჰასაკად მოვიდა. და მიეცა იგი მოძღუარსა სწავლად ღთივ სულიერთა წერილთა".

3) რამოდენიმე ფურცელი წიგნისა - გრ ჟურარს მღვდელთა, რომელი დგეს წე წა საკურთხეველისა" და კითხვა-მიკება გრიგოლი დგთის-მეტეველისა. ბოლოს უწერია: "ღმერთო, შეიწუაღე ფრიად ცოდვალი მღვდელ მონაზონი მწერალ-მდივანი ძეკლისწერთგან ვიდრე აქამოდის ამისი დამწერი იე ზატარიძე: და შეუღლე მისი თანხა: ძენი და ასულნი მისნი: მამა დედა მისი: და ეოველნი ნათესავნი და მოუვასნი მისნი: მოიკსენე უფალო სასუფეველსა შენსა ფრიად ცოდვილი და გაუკითხვათ უმწუაღოთ შეუბრალებელი, ცხრა დღეს საპურთბილეში ქვასა და კოშკში და ჟიხურში შეტღებუელი, სამი ბორკელით რკინის საქაშით დაკლიტული: კელშეკრული, ფიცარზედ გაკრული, ოთხ კერძო საბლით კედლებზედ გაბმული, ფერკის გულში ცეცხლს შემონათებელი, ცხრა დღეს უსმელ უტმელი, მერმე ორთოფ ნაკრავი, მერმე მძიმე ღოდით თავდაღეწილი და გუწმული და წამებული ამის მწერლის ძე იორდანე მოიკსენე სასუფეველსა შენსა". ეს მე-XVIII საუკ. ხელია. შემდეგ სხვა ხელთნაწერის ნაწილია სათაურით: "კითხვა მიკება წისა თანხასისა".

4) ორი ფურცელი სძლისპირისა და საკაღბეღისა, ნუსსა ხუცურით მე-XVIII საუკ.

5) ეპისტოლე სრულიად სამეგრელოს სამთავროს მიტროპოლიტისა ჭეონდიღლისა ბესარიონისა თავის სამწესოსადმი ლურჯ ქალაღზე, რამოდენიმე ცალი. შეიცავს ათს მუხლს. ჩვენ ხელში გვაქვს ნუსსა ჭეონდიღლებისა 1811 წლიდან. ამ ნუსხის მიხედვით ბესარიონ ჭეონდიღელი დაიბადა 1765 წელს, ეკურთხა მიტროპოლიტად 1788 წელს, გადაიცვალა 1828 წელს, 15 ივლისს.

მოგვეყვას აქ კვებისტოლე:

„თანამდებობისამებრ ჩვენისა გასწავებთ, გმოდღვრით და გაჩვენებთ შვილთა ეკლესიისა ჩემისათა სამღვდელთა გზასა სამეფუთოსა სვლისა და არა მიდრეკად არა მარჯულ და არცა მარცხულ. ად საშვალსა მიმყვანებელსა ზეცისა იერთოსალიმისასა თქმულთა და განწესებულთა წთა მამათაგან, რომელიცა შეუწყნარებდეს წასა აღმოსავლეთისა ეკლესიასა:.

ბ. პირველად ესე რაჟამს ნათელს ცემდეთ წესისაებრ განწესებულთასა ყრმათა და იყოს მიმქმელიცა მუნ და აღმოიქვას ყრმა ახალ ნათელ ღებული წული ანუ ქალი. დასწერეთ მღვდელმან სახელი მიმქმელისა და აღმოქმელისა და წელიწადი და თვეობა რიცხვით მის მონათლულისა და იყოს წერილი იგი ეკლესიასა შა, რათა არა იქმნას დავიწყებულ, ვინადგან მრავალი უწყსობა შემოვიდა თვინიერ კეთილისა განხილვისა და გამოძიებისა მნათელელისა და მონათლულისა, რათა არა იქმნას ერთისა აღმოქმელისა აღმოქმულნი ერთი ერთისათანა მეუღლედ, ვინადგან არს ნათესაობა მათი, ვითარცა სისხლითი ნათესაობა ვიდრე მერვედ თავადმდე და მერვესა თავსა განიხსნების და იქორწინონ:

ბ. ვინადგან თვინიერ აღსარებისა არა ეგების ცხოვნება კაცისა, რათა სამწყსოსა შა თქვენსა მყოფთა მამაკაცთა და დედაკაცთა და ყრმათა შვილისა წლისათა ასწავებდეთ. პირველად პირის ჯვარის წერასა და გამოხანჯვასა, ვითარცა შვენის ქრისტეანეთა. ვინადგან ჯვარისა ძლით გვიხნა მეუფემან ჩვენმან საკთურისაგან ეშმაკისა და მერმე ასწავებდეთ ყლსავე ეკლესიისა წესსა და კანონსა შემსგავსებულსა, ვითარცა გასწავებთ წერილი იგი სამოდღვრო, და იხილვიდეთ რა განწმედილითა აღსარებითა, მაშინ აწვევდეთ მიღებად წისა ზიარებისა შესამსგავსითა განკრძალვითა და სიფრთხილითა. ვინადგან თვინიერ ზიარებისა არა არს ცხოვრება სულისა ხმისაებრ საუფლოსა, უკეთუ არა სჭამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქვდესთ ცხოვრება თავთა შს თქვენთა:.

ბ. ქორწინებისათვის ესრეთ იუწყეთ: უკეთუ იყოს მამაკაცი ასაკოვანი და დედაკაცი უასაკო, არა იქმნების მათი შეუღელა, რომელსაცა აყენებს კანონი ეკლესიისა. და ვერეთვე უკეთუ იყოს დედაკაცი ასაკოვანი და მამაკაცი უასაკო, არცა მათი შეუღელა შვენის, ვინადგან არს ესეცა მცნებისაგან წისა ეკლესიისა გარეშე. ად რათა იყვნენ ორნივე ასაკა შა და სცნობდენ სიყვარულსა ერთი ერთისასა და არცა იყვნენ ორნივე მცირენი და უასაკონი. ვინადგან ვერა სცნობენ ერთი ერთისა სიყვარულსა და შემოვალს მათ შს უკანასკნელ სიძულილი და იქმნების მოქმედება ესე გარეშე მცნებისაგან წისა ეკლესიისა და განკრძალულ იყვენით

მღვდელნო ამას ზა, ვინადგან მრავალთა მღვდელთა შეემთხვათ ამის-
გნით დაბრკოლება:.

დ. ესეცა ვისაცა კაცსა და ქალსა გვირგვინი უკურთხოთ, მის გვირ-
გვინ კურთხეულისა კაცისა და ქალისა სახელსა და გვარსა დასწერდეთ
და მამათა და დედათა მათთა, თუ ვისნი შვილნი არიან და დროსა წლი-
სა და თვისასა მსგავსად მონათლულისა და მნათველლისა. და ესეცა აღ-
წერილი ეკლესიაში იქმნებოდეს. და შდ გამოიკითხვიდეთ მის წერილსა-
საგან, რომელ არ შეიყარნენ თვისნი და ნათესავნი:.

მ. და ეგრეთვე რომელნიცა მღვდელთაგანი შეზღალთ კურთხევისა
გვირგვინისასა თვინიერ კეთილისა გამოძიებისა უწესობება არა იყოს რა.
ანუ მძღაერებისა გამო. ანუ უსაკობისა, რომელიცა ზემოთ აღწერილ
გამცენით. ანუ სისხლითისა ნათესაობისა ანუ ნათლიობისა. ანუ მძან-
ლობისა. თქვენცა იგივე სამართალი სასჯელი მოგეგების და ეგრეთ გა-
მოხევებით ეკლესიისაგან და სამღვდელთებისაგანცა და შერისხვით და-
ისჯებით:.

მ. ამასაცა გამცნებთ თქვენ, პატროსანნო მღვდელნო მქონებელნო
სამწყსოსანნო, რათა შეკრებდეთ სამწყსოსა თქვენდამი რწმუნებულსა დღე-
სა დღესასწაულისასა და კვირიაკისა და ასწავებდეთ მარადის ეკლესიად
შეკრებასა და წის გულით და განკრძალვით წირვისა და ლოცვისა მო-
სმენასა, ვინადგან ყლი კეთილი მის მიერ მოეცემის კაცთა საწუთოსა
ამას შა და საუკუნოსაცა და თვინიერ მისა არცა ერთი კეთილთაგანი
არა მოეცემის კაცთა და ამასთანა ასწავებდეთ კვირიაკისა დღისა უქმო-
ბასა და განწესებულთა დღესასწაულთა:.

ზ. მეცადინოობდეთ მღვდელნი და დიაკონნი შეძლებისამებრ თქვე-
ნისა ეკლესიისა თქვენისა შემკობასა და განშენებასა შეწევნითა და ძალ-
ცემითა სამწყსოსა თქვენისა ერისათა და არა დააკლებდეთ განწესებულ-
თა დღებთა ეკლესიასა წირვასა და ლოცვასა და დღესასწაულობასა:.

თ. უკეთუ იყვნენ სამწყსოსა თქვენსა მისანნი ანუ მღალაობისა შე-
მწამებელნი და მრჩეველნი, მათ ასწავეთ განშორება ამათგან ერთგზის
და ორგზის. და უკეთუ არა გერჩდესთ იგი, მე მაუწყეთ და ბრძანებითა
ჩვენითა შერისხულ იქმნების და განვარდების ყლისავე ეკლესიურისა
მოწყალებისაგან და იქმნებიან განძებულ ყლისავე სამღვდელო მოქმე-
დებისაგან და უმეტესად დაისჯების მოქმედი ამისი მამაკაცი იყოს, ანუ
დედაკაცი მეცარი და მრჩეველობის მოქმედი, ვინადგან არს მოქმედება
ესე გარეშე ქრისტიანობისა და არცა შეიწყნარებს ეკლესია ჩვენი მყო-
ფელსა ამისსა, ვითარცა უარის მყოფელსა მართლისა სარწმუნოებისასა:.

თ. და ესეცა უწყოდეთ პატროსანნო მღვდელნო, რომელ უკეთუ

მოწათემან თქვენმან მიმე ბრალი აღვიაროსთ, რომელ კანონისა მიცემა არ ძალ გედვასთ, იგი თვინიერ სახელ დებულად თქმისა სხვათა მაგიერ მაგალითებრ მე მათუწყეთ და წესიერსა კანონსა მის აღმსარებელისა ბრალეულისასა გასწავებთ და ესრეთ განიკურნოს:.

მ. ხოლო თქვენ პატროსანხო მღვდელნო რწმუნებულნო ჩემდამო, ესეცა ყურად იღეთ და წესიერად შეიწყნარეთ: უძღვებდა და სიმთვრალე ძირი არს და მიზეზი ულისა ბოროტისა ხმისაებრ სამოციქულოსა ნუ დაითრობით ღვინითა, რომელი არს სიძილწეო. მან წან მოციქულმან სიძილწედ სახელ დეა ნაყროვნებასა და სიმთვრალესა. აწ ჯერარს თქვენდა, რათა ერიდებოდეთ სიმძღრესა ღვინითა და სხვითაცა საზრდელითა. რათა არა გექმნესთ დამაბრკოლებელ ხორცთა და სულისა. ნუ თუ თქვენ მხოლოდ გმართებთ განფრთხილება ამის ვნებისაგან. აწ მოწათეთაცა თქვენთა ასწავებდეთ განფრთხილებასა, რამეთუ ნაყროვნება და სიმთვრალე მრავალსა ბოროტსა მოაგონებს კაცსა და წარწყმედს:.

მიტროპოლიტი სწდ სამენგრელოს სამთავროისა ჰყონდიდელი ბესარიონ, რომელიცა წარმოესცემ ამას ულთა ეკლესიათა ჩემთა და ვებეჭდავ სახელისა ჩემისა ბეჭდითა:.

54. მოქვის სახარება, in folio, ეტრატზედ, მსხვილი ნუსხა ხუცურის ხელით ორ სვეტად, დასურათებული, 328 ფურცელზე, 30 X 23 სანტ., უდა ჭდალდისა უბრალო წითელ ტყუვ გადაკრული, მაგრამ თავისი ვერცხლის ბუდე აქვს მოოქერილი, ნაჭედი, წმიდანების სახეებით. მაგრამ ეს ბუდე ახალია, რუსული ხელობისა. სახარების იწყება ჩვეულებრივით ევსების წერილით კარპინეს მიმართ: „წ: ევსები კარპინეს საუკარელსა ძმასა ონისა მიერ გიკითხავ:“ ბოლოს საჩუვეი არა აქვს, თუმცა თითოეულის სახარების წინ თავები არის ჩამოთვლილი. ეოველ სახარებას წინ მიუძღვის მასწარობელის სუკრათი ბერძნულის წარწერებით და თითოეულის სახარების თავში არის თავსართი სურათი— „ზსსტავკა“. თავები სახარებისას სომთავრული გრეხილიანი ასოებითაა ნაწერი. გარდა ამ სურათებისა, სახარებას წინ მიუძღვის ათი კამარა ფერადებით ღამაზად. სახარები, მაგრამ სვეტებს შუა ეგვლა კამარას ასოები არ უჩის ჩვეულებრივით. ამ მხრით კამარები დაუმთავრებელია, მხოლოდ თავში პირველ კამარას უწერია ხელაფნურად: „კანონი პირველ რომელსა თავნი იტკუან“. ამ პირველ კამარაზე ფრინველებია გამოხატული, ქვემოთ ოახნი, ზემოთ ერთი, შუაში სამი. სხვა კამარები მარტო ევაგილე-

ბით არის შეშვებული. მათეს სახარებაში მეორე ფურცელი მოხატულია მამამთავრებით აბრაამიდან დაწყებული, სულ 42 სურათია, უკანასკნელი არის იესო ქრისტე, მის წინ ღვთისმშობელი. წარწერები ბერძნულია. ეს სურათები არ არის ლაზართან და დაზიანებულად არის მოღწეული. ბოლოს უკანასკნელ ფურცელზე მშვენიერი სურათია ღვთის-მშობლისა ჩრვილი. ღვთის-მშობლის წინ დაჩოქილია და ეკედრება მას მოქველ მთავარებისკობისა დანიელ. წარწერა ასომთავრული ასეთია:

ՄԻՆ: ԿԿՎԿ:	დანიელ მიქელ
Կ(ԻՄԻՆԻԿԱՎՆ	მთავარ-ების
ԿՕՍՕՆ:	კობოზი.

სამწუხაროდ, დანიელის სურათი სულ გაფუჭებულია, სახე აღარ ჩანს. ამ სურათის წინ მთელ თაბახზე ორი სურათია: ერთი სულის წმიდის მოფენისა და მეორე ღვთის-მშობლის მიძინებისა, ორივე მშვენიერი ნახელავი. სხვა დიდი სურათები არ არის, მაგრამ მინიატურული სურათები ტექსტში ბევრია, მათეს სახარებაში 95, მარკოზისაში 6, ლუკასაში 26, იოანესაში 24. სურათები საზოგადოთ კარგი ნახელავია, მაგრამ ბევრი მათგანი დაზიანებულია.

მათეს სახარების ბოლოს ტექსტის ხელით სწერია:

„ქე ძეო და სიტყაო ღისათ
მილხინე ფდ ცდვილსა ეურმს:“

მარკოზის სურათის წინა გვერდზე მწვანე მეღნით და მერმენ-დელის ხუცურით სწერია:

„მოქვისაჲ. ღთისმშობელთა. შეიწყაღე. სლი. თქნ. წინ. მდეგისაჲ. მოქველ. მთავარებისკობისაჲ. აბრაამისაჲ: ან:“

ქვემოთ იმავე ხელით:

„ქე წოჲ: ღდფლოჲ. ღთსმშობელთა. დაიცე. და შეიწეღე. ორთავე. ცნრებათა შგნ მოქვისა. მეტრანეზე. ბი დეკანოზიაჲ: ან:“

ლუკა მახარებლის სურათის ზირველ გვერდზე იმავე ხელით და მეღნით სწერია: „მთავრებისკობსა მოქველსა ამბრამს შნს ღნ ან და ან“¹⁾.

¹⁾ აბრაამ მოქველი უნდა ყოფილიყოს დანიელის შემდეგ, ესე იგი შემდეგ 1300 წლისა.

ქვემო სხე უფრო ცუდის ხედას და სხე მუდნა:

„ს'დის შაქ' და შაქ' რაქობისს მუტობის ფადობის შს
 .ს.ს.“

თან სხედის სიღობ ცუტობს ხედას სქვას:

„ა'შა ა'ს სხეუ

მუდვადის ე'ა

სი ქ'თადისს:-

დაქვას წ'ა ეხე თა

საფა. დას'მბოტ

თა წკლას: ს: მ: ღ:.

ქათვადის სი

აუფადის: და

ბუბუა'ფ ს: ე: შ:.

ქინისკანის: ღ: ქ:

ზუგ სიღობის ში

ფადისს: ე: მტ

დაფის: მ: ანაქცო

ანის: ა'გ: ხუბუ

დასი მ: ქვესუ

უფის: აუ: შისი

შაქცვლის: ფ: შა

აუფადის შაქც

ვლის: ქ: ქ'ა

თა წ'ს ფ'ფ ც'დუა

სი უფ'შისათა.“

შედეგ სიღობის კათარგი შაქმანდვადის. დასწვას: „ესე სი-
 ცნობა აუფ ვადის, დახუჯ ესე წ'ა თითხა. არა აუ სხად
 კათარგისა...“ და სხე.

ფერადის მუტობის მუტობის სიღობის სიღობის სიღობის, სუფ 531,
 შიგა შიგანი დახუჯ დახუჯ, მუტობის სიღობის სიღობის სი-
 ცნობის დახუჯობის, ვადის სიღობის სიღობის მუტობის
 სიღობის და, შედეგ ს. შ. წ. მ. ტ. შ. ს. ა. თ. თ. ე. ს. გ. ი. რ.
 ქ. ბ. ქ. შ. ა. ტ. შ. ა. ბ. ა. ჯ.

423 ფურცელი, ვერცხლით მოჭკდილი უდით, რომლის წინა ზირზე გამოქანდაკებულია, ადღემა ქრისტესი კარგი ხელობისა, ხოლო მეორეზე ჯვარცმა წინამდგომებიითურთ: **ՅԿԾՆ ՈՒՆ; ԻՎ ԿՆԿԸ-ԺՕՎԿԻՆ.** ჯვარცმის თავში წარწერა: **ԻՎ ԿՎ ԿԿՕ, ՄԿ ՕԿՆԸԸ.** სამხელზე ქვემოთ ასომთავრულით აწერია:

- 1) **Գ: ՄԿԿԿԿԿԿԿԸ: ՈՂԻՆԸԸԸԸ:**
ԻԿԿԿ: ԿԸ
- 2) **ԿԸ: ՅԿՕԿԾԻՄԿԿԿԿԿԸ: ԿԿԾԿԿԿԿԿԸ: ԸՄԿ**
- 3) **ԻԿԿԿԿ: ԿՕԿԿԸԿԿԿԿԿԿԿԸ: ԲՆ: ԿԸԸԿԿԿ**
- 4) **Ը: ԿԿԿ: Մ: ՄԿԿՕՎԿԿԿԿԿԸ: ԿԿԿԿԿԿԿԿԸ:**
ԿԿԿԿԿԿԿԸ: ԿՕԿ
- 5) **ԿԿԿ: ԲՆ: ՈՒՆ: ԿԿԿԿԿԿԿԿԸ: ԿԸՕԿԸԾ:**
ԻԿ
- 6) **ԿԿԿԿԿԿԿԸ: Մ: ԸՕԿԿԿԿԿԸ: ՄԿԿԿԿԿԿԿԸ:**
ԿԿԿԿԿԿԿԸ.

უქარაგმთა:

„შეწვენითა ღმრთისათა ჩვენ მამა ჭეონდიდელმან ევდემონ აფაქიძემან მოვაჭედინეთ წმიდაჲ სახარება ესე და შემოგწირეთ მარტვილის ეოვლად წმიდაჲ ღმრთის მშობელსა სათხად ჩვენი თვინ და ცოდვათა შესწდომელად“.

ჭეონდიდელი ევდემონ აფაქიძე, როგორც ზემოთ დავინახეთ (გვ. 60), ცხოვრობდა მე-XVII საუკუნეში.

მეორე საბმულის წარწერა მხედრულია:

- 1) **ქ: თქვენ: დიდო და სსშინელი: მარტვილისა: ღთის მ**
- 2) **შობელი: ჩვენ: ჭეონდიდე: კენათელი: ცაგერელი**
- 3) **მან: მოგიჭედინეთ: ოთხთავნი: ესე: ასრე: რომე: ძველად**
- 4) **და: დამტერეულ: და მოშლილი: იყო: და მე: ხელას-**
ლა: მოვა
- 5) **ჭედინე: ჩემად: სადღეგრძელი(დ) და: შესწდომელად.**
განზე იმავე უშნო მხედრულის ხელით:
ქ: ღთო: მთისსენე: ამისი:
ოქრომჭედელი: ხუხუ
უჯიბია.

თავში ხელთნაწერს აქვს ცხრა კამარა უბრალოთ უჭრებათ და-
სახეული. სოლო თავები ფერადებით არის შემკობილი. სახარება იწ-
ვება კამარების შემდეგ ვესების წერილით. შემკობილია ოთხი მახარო-
ბელის სურათით (ლუკა კალამს თლის) და თავსართებით. ივევლა გა-
დავიდეთ). წარწერები ბერძნულია, თითოეული სათაური ჩართული ასო-
შთავრულებით არის ნაწერი.

მათეს ბოლოს უწერია: „ღმთა შეიწყალე ამისი მწერალი ფ'დ
ცდვილი ზოსიმე:.“

მარკოზის სახარების ბოლოს: „პატრონსა თამარს და მისთა
მაცვალებულთა სსუფეველი ცათა დაუმკვდრე ღ'ო ა'ნ“. ებვევ მათეს
ბოლოსაც და იოანეს ბოლოსაც. იოანეს სახარების სარჩევის ბოლოს:
„ზოსიმეს შ'ნს ღ'ნ“. სულ ბოლოს: „ღმერთო და მადლო ამა ოთხ-
თავთათ. მშჯღობაშიგან მოახმარე პატრონსა თამარსა: და პატრონისა
მათისა ბებრისა ამოდ უოფნაშიგან. საჭათოდ აცოცხლენ: ადლეგრძე-
ლენ: და მას საუკუნოს აცხოვნენ და გზასა ღ'თისსა წარმართენ.
ესენი და მათნი მიცვალებულნი ე'ნი ა'ნ და უგ'ე:“ იოანეს ბოლოს:
„ესე საცნაურ იყავ უოველთა, რამეთუ ესე წ'დ ოთხთავი ახლად
გუთარგმნია...“ შემდეგ ზანდუვი.

57. სახარება პატარა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად: მოჭე-
დილ უდაში, ხვედზე, 15,5 X 10 სანტ. პირველ გვერდზე, შუაში,
გამოქანდაკებულია იესო ქრისტეს ჯოჯონეთის წარტევენა, კუთხე-
ებში მახარობლები. მუარე პირზე ჭვარცმა, კუთხეებში ანგელოზე-
ბი. ამიები მილანქრიანია რუსული ხელობის მე-XVIII საუკუნის
დასაწყისის. წარწერები უდის სურათების ბერძნულია.

ხელთნაწერის თავში: შესხმა წმიდისა მახარებლისა მათესი, სო-
ფრონის მიერ თქმული. ამის ბოლოს: „წ'ო მათე მახარობელი¹⁾, შემწე,
მეოხ და მთარველ ეუენ მეფეს ვახტანგს ორსავე ცხოვრებას:“ შემდეგ
ორი შესხმა მარკოზ მახარებელისა, სოფრონისი და დოროთეოზისი,
შემდეგ ვახტანგ მეფის მოხსენება ზემო მოუფანილი სიტუებთ; შეს-
ხმანი იმავე პირებისა ლუკა და იოანე მახარებელისა. იოანეს სარჩე-

1) აქაც და სხვაგან ნიშანი მძიმე ჩვენი მიმატებულია. სხვა ნიშნე-
ბი დედნისაა.

ვის ბოლოს მოხსენება ვახტანგ მეუფისა. ბოლოს საძიებელი. შემდეგ უწერია: „ქა ღიღობა დაუსაზამისა, დაუსრულებელსა, დაუბადებელსა, უცვალებელსა, უქცეველსა, მარტივსა, უგორცოსა, უხილავსა, შეუხებელსა, გარე შეუწერელსა, მოუგანებელსა, მაუწლომელსა, სახიერსა, მართალისა. უოფლად ძლიერისა ძალისაგან იცნობების. ძე მამისაგან, მამა ძისაგან: და სული წმიდა მამისაგან გამოსრულად. და აღვიარებთ. ღმერთსა მშისა, ღმერთსა ძესა. და ღმერთსა სწლსა. წმიდასა სამთავრად სწორად განუყოფელად, რომელსა გვამით განვიყოფთ: ხოლო სულითა და ძალითა და ღიღობითა შეგერთებთ. რომელთაგან მათ მიერ დაბადებული ხილული ესე სოფელი იპურობის და განეგების მეფეთაგან ძლიერთა და მთავართაგან ერისათა. და აწ მის მიერვე დადგინებულმან მთავრად ერისა ამის საქართველოსა: დიდისა მის და ძლიერისა მეუფის ვახტანგ გორგასლისა მოსახ(ე)ლემან საქმითაგა და სახელითა. ბრძენმან და გონიერმან მადლითაგან და ზეშთა მადლეობულმან სიბრძნითა და მეცნიერებითა კარდამატებულმან, ღმერთსა სიტყვათა მარადის მმარხველმან, მორწმუნის მეუფის არჩილისა და დიდათ სახელთაგანის მეუფის გიორგის ძმისწულმან: დიდად ქებულის ლევანის შვილმან: ვახტანგ; რაჟამს ასობდა მძღვისა და ახლანისა ვახტანგ გორგასლისა: თვისისავე უძლეველობა ბრძოლასა შინა ოსთა მიერ. ამან ახლმან გორგასალ ადილო შური მისი, იხილა რა უკეთურება მათი. არაღრა ზღვრის მრთემოდეს წინაშე მათსა. არაღრა უოფნა დაცადება მათ ზედა ესე ოღვრთა ურჩებათა, არამედ შემოკრიბნა ღმერთისა საქართველოსანი და წარემართა. ოღეს შევიდეს ძნელსა კარსა ოსეთისასა, მაშინვე იძლიერეს და შემუსრეს ციხენი. მათნი: და წარმოემართეს მშვიდობით და იხარა მეფემან და განსცა საბოძარი დიდძალი ერსა ოსეთსა და შესწირა მადლობა დამერთასა: მას ჟამსა მე უღირსი საგინაშვილი ელისეს თბილელის ძმისწული კაბრიელ ვიფე უდაბნოს კარესჯის ნათლის მცემლის მონასტერს შრავალ მთისასასა: ამა მშვიდმან და სახიერმან მეფემან მიბრძანა მე აღწერად წმიდისა ამის სახარებისა და არა ურჩ გექმენ ბრძანებასა მათსა, არამედ ვიწვე აღწერად გულს მადგინებით დამწეებულმან ერთსა ივლისსა, ძალითა ღმერთსათა სრულ ვუავ დღესსწაულსა წმიდისა დიმიტრისასა: შენ დიდებულ ნათლის მცემელო, მშვიდობით და ჟამ

თა სიგრძეს შინა აკმარე წ'ე ესე სსხარებაჲ მორწმუნესა შეფესა ვახტანგს, დაიტევს მშდობით ძით ასულითა და მეუღლითა ორსავე ცხოვრებასა შინა უკუნითი უკუნისამდე ან: ქვსა: ტყთა:“ (=1711).

58. სსხარება, in 8^o, ნესსა ხუცურით ორ სვეტად: ბოლოს უწერია:

„მე უოგელთა მონაზონთა უცოდველესმან და უდიდსსა მღუდელობისსა გაბრიელს საგინაშვილს, რომელი განსრულ ვიყავს ცოდვით ცოდვათა ჩემთა სიმარადისათჳს და მიღტოლეილ უდაბნოდ გარესჴად, მონასტერსა წ'ისა ი'ე ნათლის მცემლისასა მრავალ-მთას, რათამცა მეჩვენა რამე კეთილი სინანული ფრიადთა ცოდვათა ჩემთა შესანდობლად:.

აღვსწერე წ'ე ესე სულთა განმანათლებელი სსხარებაჲ და სამოციქულო მამის წ'ნისა ხარიტონის: და მოძღვრისა: და მასწავლელისა უფლისა ჩემისა დიდის ორბელის ძის ბესარიონის ბრძანებითა: ვეცადე დიდად სიმართლესა და კელს, მაგრამ ლეკთაგან გვეშინოდა, თუ რა უცბად მეწეროს, ნუ დაშწევლით, გვედრებით:.

ამ ქრონიკონსა: უე: მოკლეა ლეკის ჴარი ბოლნის მკათათვეს: იე: წმინდას კვირიკობასა, სიონი გატეხეს, წაიღეს ჴვარი და ხატი და ტუეშ ბევრი ქუშმოს ბოლნისიდაჲ. დიდის სახელოვნის შეფის ვახტანგის ძეს ბაქარს ეპურა ქართლია: . მოესმა ამაჲვი ლეკთა სომხითის დარბევისა, წარგზავნა ჴარი, მოეწივნეს ქართველნი ბატონის შვილებით, მარაბდის ბოლოს შეიბნენ, გაიმარჯვეს ქართველთა, გაქციეს. სამასი ლეკი მოკლე, ამათ რვა მოკლეს ქართველი დარბ(ა)ისელი: დიდად სახელოვნად იეჩენ ქართველნი: უმეტესად ბართანნი, როგორათაც მოგხსენებიათ მათი სიმამცე: ბროლა, ომი, სიმკრე, სიმკრე და სისრულე მათი“ .

59. ჰატარა ტანის სსხარება, 8,5 X 7 სანტ, ვერცხლის შეკაზმულობით. ზირველ გვერდზე ჴოჯობეთის წარტევენა, მეორეზე ჴვარცმა, სისქეზე ოთხი მახრობელია გამოსატული, წერა ორ სვეტად ნუსხა ხუცურით. მათეს სსხარების ბოლოს უწერია:

„ღ'ო უშველე იოაკიმ (ი'კმ) დეკანოზისძეს დავითს (დ'თ) და დედამათა შნ'დნ ღ'ნ ან:“ ბოლოს სამიბული და შემდეგ სწერია:

„დიდება დმერთსა ან. რამეთუ სრულ იქმნა წმიდაჲ სსხარებაჲ

კელითა ჩემ ცოდვილის დავით მდღლის კელმწიფის კარის დეკანოზის იაკიმის ძისთა (იკიმის ძისთა), ხოლო სიტყვა მარტალიტ სარწმუნოებით აღმოგებთხეულათაჲს, ხოლო ნამუშავენი უგუდველობით, რამეთუ ავსაზაკატან მოწულულ ვიუჲ და ბეჭნი ჩემნი წულულ და უსჯულთა აკარიანთაკან შეცულ. და რაჲც ნაშავე ნახოთ, ნუ მწევთ ღის გულისათაჲს, არამედ შენდობით მომიხსენეთ. ქეს აქთ: ჩვეჲ: „ უდის ზურგს მხედრულათ აწერია:

1) ქ.: ჩვენ: მეფის: იესეს: ნაზირმან: ადამ: მოვაჭედინეთ:.

2) წმიდა ესე: ოთხთავი: ჩვენად: და: შვილთა: ჩვენთა: სადღე

3) გრძელოდ: და მშობელთა: ჩემთა: სულის. საოხად. ქეს უიზ (=1729).

ნო. ჰატარა ტანის სახარება, 8×5 სანტ., ნუსხა ხუცურით, უდა ვერცხლის აქეს ოქროთ დაფერილი, ერთ ზირზე გამოქანდაკებულია ჭვარცმა, მეორეზე ჭოჯობეთის წარტუვენა, შიგნით ოთხი მახარობლის სურათია, მე-XVIII სუკ. ხელით. სარჩევის ბოლოს ტექსტის ხელით:

„განსრულდა. სამებასა ერთ არსებასა დმერთსა მხოლოსა დიდება ამინ:- რამეთუ სრულ იქმნა წმიდა ესე და სულთა განმანათლებელი სახარებაჲ ბრძანებითა გურთხეულის დედოფლის ანას სასოებითაჲ:- და აწ საძიებელი მისის ასულის ჰატონისშვილის(sic) მეგუმელენესითა. მრავალმცა არიან წელნი სიმრთელისა და დღეთა სიგრძესა. ხოლო მწერლისა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის იაკიმის ძის მდგლლის დავითის მუშაკობითა, ჰატონთა სიგრძეთა შინა ჟამთასა აკმაროს და უმეტეს აღამადლოს ქრისტიანობანი და სარწმუნოებანი მათნი: ხოლო მწერლისა დედ-მამათა ვინცა შენდობა უბრძანოს, ღნ მათცა შეუნდეს ცოდვანი მათნი ან“.

აქ მოხსენებული ანა დედოფალი უნდა იყოს მეფე ერეკლე მე-II-ის მეორე მეუღლე, ხოლო ბეგუმ-ელენე მისი ქალი, იესე მეფის შვილის, გიორგი აბდულ-ბეგის ანუ არჩილის მეუღლე¹⁾.

¹⁾ იხ. ბროსტე. H. G. II, 1, p. 628, 636.

ბოლოს მხედრულათ:

„მართლმადიდებელთა წის ამის სახარებისანთ, სურავინ ინებეთ გამოხვებას ამისა საირმის მონასტრისაკან, რომლისადმი შეწირულ არს, რათა არა მიიღოთ წყევა, განღებისათვის შემოწირულთასა: მთავარი ლეონ დადიანი“.

61. ჰატარა ტანის სახარება ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, ოთხი მახარებელის სურათით და ჰატარა თავსართი მხატვრობით, რომელიც წააკვს აფაქიძის სახარების თავსართ სურათებს და იქიდან უნდა იუთს გადმოღებული, 8×5,5 სანტ., უდა ვერცხლისა განჭვდილი, მოთქრვილი, ჰირველ გვერდზე ჭვარცმა, მეთრეზედ ჭოჭოხეთის წარტუენა. გადაწერილია ხუცეს ჰავლეს მიერ. მარტოზის სახარების ბოლოს: „ქე შე მღი ჰავლე“. ესევე ჰავლე იხსენიება ლეკას სახარების ბოლოს. შემდეგ: „მოიხსენე უფალთ მხლებელი მონა შენი მოსე“. მხატვრობა მდარეა. ნაწერი ძრეულ წვრილი მე-XVIII სუე.

62. საქმე მოციქულთა, in 8^o, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად. მე-XVIII სუეენისა. გადაწერილია ქვს უგ (=1718 წ.). გაბრიელ სკინაშვილის მიერ, რომელსაც ამავე წელს გადაუწერია 58 სხ-ქვეშე აღნიშნული ხელნაწერი.

63. გულანი, in folio, შუა ფორმატისა, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად; მე-„იღ“ რუეულზე უწერია: „ქრისტე მთელთბელთ უოველთა სუფევათათ, დაცევ შენ მიერთათ დიდებითა ორთავე შინა ცხორებათა დიდისა აფხაზეთისა და უოვლისა საქართველთა ჰატრიაქი კათალიკოზი ტომ-სათესობით საუვარელიძე ჰატრონი ეფთაჰმე. და შეაწიენ უოველნი წმიდანი დისანი, რომელსა აქვს ფრადი სურვილი წთა წერილთა მცნებათა მისთა... და მოსე და მადიდებელი (მღბლი) ჰატროსნის სახლის მათისა და მოძღვარი წის სულის მათისა და ზედა მდგომითა და მოკმარებითა და კელის შეწეობითა იტირვოდა წიგნისა ამის აღწერას ფილიპე უოფილი ფილამონ მავსესშვილი, შნს დნ ან და კრსნ“.

ქვემოთ: „ღე შე ამისი მწერალი დავით და მეუღლე მისი ..იძის ქალი ქეთან ან:.“

აფხაზეთის კათალიკოზი ეფთაჰმე საუვარელიძე კიდევ მრავალ

ადგილს იხსენიებს ამ გულანში. ეს კათოლიკოზი ცხოვრობდა და კათოლიკოზად იყო 1578—1605 წლებს შუა.

64. თაფენი, in 4^o, ნუსხა ხუცურით, ორ სვეტად, 14^{1/2} (1) ფურც. ბოლოს ვრცელი შესავლის შემდეგ სწერია: „...ჩვენ მორწმუნეთა მიერ საქებელ-სათაჟანოს წმიდან კიორგის მარტულთა დ'ის მშობლის მინასტრისას. გხადი და გეუდრები ასე რომ ეკვდრისა და ეკლესიისა სმარხისა და სძაღისა ჩ'ნისა სრულიად შეძლებისა ჩემისაებრ შემობამ ვინებუ და ჰირველითგანვე სასოებით სურვილით შენდა მოღვრვილმან და მოსაფმან რაჭის ერისთავის ქალმან დედოფალმან გულქან დავაწერინე წმიდამ და სულთა განმახალეებელი სრული და უნაკლულო თაფენი ესე და ათორმეტის თჯ ორად განვაწვევით და ორად შევაგერევიეთ და ეკლესიასა შენსა სძაღლესა ჩვენსა [დაგუდკით] კურთხეულის დადიანის ოტიას სულის საოხად და ცოდვასა მისთა მისტეგებულად, ხოლო კვლად სულთა ჩვენთა სახსრად და საოხად და ცოდვათა აღსაკოცელად შემოგწირეთ ვითარცა უფლის ძღვენი მცირინი... (წუეუა და სხვა). აღიწერა. ქსსა, უშმა (=1761 წ.).“

ბოლოს მხედრულათ: „წელსა ჩემზ-სა მარტის დ-ს. ეს დარღვეული სადღესწაულო ეკუდრისა. მე. იოანე იღუმენმან ვასილის ძემ ჭალაჟანიძემ შევაგერევიე და განვახსლე“.

65. მეორე წიგნი იმავე თაფენისა მარტიდან აგვსტომდის, 11x8 ფურც.

66. ტიბიკონი რომელ არს ქცევა და წესი ეკლესიისა, in 4^o, ნუსხა ხუცურით, 423 ფურც., მე-XVIII საუკ. ხელით.

67. მოთხრობამა შვეულთა უდართთა თასარისათა გამოკრებულნი და სიტყვს გება ქრისტიანეთა მიერ თქმული ბატონიშვილის ბაგრატიისი (ფურც. 1—18). შემდეგ სხვა ხელით შემოკლებული მეტაფრასი (ფურც. 19—192). ამის ბოლოს სწერია:

„ნებითა და შეწვენითა ღ'თისათა და ბრძანებითა ბატონის დედოფლის თამარისითა: დავსწერე მე უოყელთა კაცთა უცოდვნილმან: იოანე (ი'ე) ვაშალაძემ: ეს: გამოკრებული: ნეტაფრასი. სიმართლეს მწვედ გულით ვცხადე, მაგრამ ბევრი ქარაგმით ეწერა: ნუ დამწევეთ ძიანო. ვინც წაიკითხთ შენდობას|ს| მიბრძანებდეთ: ღ'ნ თქნც შეკინდოს: თქნი ცოდვანი ა'ნ:“ მე-XVIII საუკ. ხელით.

68. კრებუდი, რომელიც შეიცავს: 1) გამომჩინებისათვის შედ-
ქისდეგისა. 2) კითხვა-მიგება ანასტასი ანტიოქელ მთავარ-ეპისკო-
პოსისა ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა შიშართ, რომელთა ჰქითხეს ქუჭ-
მორწმინდთა სიტყვით. ამის ბოლოს სწერია: ქე შე ცოდვილი ბე-
რი იოსებ ამინ:“ ამის ქვემოთ მხედრულად: წიგნი შემოქმედის
ლთაების არის. 3) სიტყვს გებაჲ ლათინთა მიშართ ჩნ მრთლ-მა-
დიდეებელთა მიერ. in 4^o, 247 ფურცელი, მე-XVIII სუგ. ხე-
ლით. ბოლოს იკითხება: „რამეთუ ესრეთ შესსწავებულ არს ტანტი-
კანსა შინა კონსტანტინეპოლისისა ვითარმედ მას ჟამსა წმიდა მეუჭე-
სესა კრებას კონსტანტინე პოლანტისისა და აღათონ რომთა ჰაპისსა
გიორგი კონსტანტინეპოლისისა და თეოდანე ანტიოქელისისა და მათ-
თანა ასოცდაათა მამათაგან კაპიტოსნდა კათალიკოზი ქართლისა და
ეგეს მამათმთავრად და თავისუფლად და უფლად უოგელს ზედა სს-
ქართუელთა: და მერმე კვალადვე კრებას შინა ანტიოქისისა განთა-
ვისუფლდა და განპატოსნდა, რამეთუ არღარავისგან ხელ ქვეშ არს,
არამედ თავისუფალ და მამათმთავარი არს. და ესეც საკმარ არს ჩუწნდა
ოდეს მამა ჩუწნი სანატრელი გიორგი და შემდგომ: . . .“ სხვა აკლია.

69. ჰარაკლისი უოველთა წმიდათათს, in 4^o, ნუსხა ხუცუ-
რით, 174 ფურც. ბოლოს უწერია: „ადიდე ღმერთთ ორთავ სუფე-
ვთა შინა მადიდებელი შენი ჭეონდიდელი ანტონი, რომლისა ბრძა-
ნებითა აღიწერა მონის მისისგან წმიდა სდმრთთ ესე ჰარაკლისი.
მონასტერსა შინა ნამარჩევისსა, ჩემზ-სა მისის ღა-სა“.

70. დიდეკტიკა ანტონ კათალიკოსისა, in 4^o, მხედრული,
68 ფურცელი. ბოლოს უწერია: „განსრულდა ძალითა ღუთისათა
1824 წელს სეკდემბრის 13:“

71. ღოდეკა ანტონ კათალიკოსის ნათარგმნი, in 4^o, მხედ-
რული, 223 გვ. დაწერილია იმავე ხელით და, გვანებ, იმავე დრთს,
როგორც წინა ნომერი. პირველ გვერდის წინ სწერია:

„ეს ღოდეკა ბაუმეისტრისა ქაშოეთის დეკანოზის ჰავლეს შვილ-
მა დიმიტრიმ მკაროვმა მანუქა და ამაღ საკუთარი ჩემთა: თ^ი იოა-
ნე წერეთელი“.

ქვემოთ სხვა ხელათ: „აღარ არს იოანესი, სხსოვრად მისდა
არს ანსიმანდრიტი ანტონი დადიანოვის“.

72. გრამატიკა ანტონ კათალიკოსისა, in folio, შუა ფორმატისა, მხედრულად, 167 ფურც. ბოლოს უწერია: „სრულ იქმნა

$$18 \frac{2}{28} 25$$

ადუსწერე უოფლად უღირსმან მონაზონმან გრიგორიმ:“

ღრამატიკის დაწერის დრო ავტორის მიერ თავში ასეა განმარტებული:

„წელს დასაბამითგან სოფლისა 7275

ს განკორცეულებითგან სიტყუსა დ'ისა 1767

თთჴსა შეათერთმეტესა, რიცხუსა 20“.

73. მეტაფიზიკა, თარგმანი ანტონ კათალიკოსისა, მხედრული, in 4^o, 113 ფურც. ბოლოს უწერია:

„წელს: 1796. სრულ იქმნა ნოემბერსა 18: კელითა იოანე ოს-უოფოლისა იაღლეუზიძისთა: რომელიცა შკითხთაგან შენდობისა მოქცეუ არს“.

74. ქართულ-თათრული ლექსიკონი, თათრული სიტყვებიც მხედრული ანბანით სწერია. ბეგრი ჰროზაც არის თათრულათ ნათარგმნი, in 8^o, 636 ფურც. ანტონ კათალიკოსის შემოღებული ასოებიც ისმარება ტექსტში, მე-XIX სუკ. დასაწეის უნდა ეკუთვნოდეს.

ფ რ ე ს კ ე ბ ი .

მარტვილის ეკლესია ძველად სულ მოხატული უოფილა ირესკებით არა ერთხელ, არამედ მრავალჯერ. ჟერ კიდევ დიბუმი სამართლიანად შენიშნა, რომ ეკლესია ოთხჯერ მაინც არის მოხატული. ესლა ამ სხვა და სხვა დროის მხატვრობისა ცოტა რამ არის დარჩენილი და ისიც, უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებულად. უკეთ შენახულია ბოლო დროის მხატვრობა მე-XVII—XVIII საუკუნისა, მაგრამ მათ ქვეშ უოგელგან გამოსწვივის ძველი ფრესკები სხვა და სხვა დროისა. ასეთ ძველ ეკლესიაში, როგორც არის მარტვილი, თქვენ ვერ იპოვნით სურათებს აფხაზთა და ქართველთა მეფეებისა, სამაგიეროდ ბევრია სურათები უკანასკნელი დროის დადიანებისა. აშკარაა, დადიანებს, განსაკუთრებით მე-XVII და მე-XVIII საუკუნოებისა,

ქველი მეფეების და ქველი დადიანების სურათები წაუბღალავთ: მათ ადგილზე თავიანთი თავი დაუხატებიათ. ეს მოვლენა ემჩნევა სს-ზოგადოთ ვეკლა ეკლესია-მონასტრებს სამეგრელოსა: მარტვილს, ხოფს, ცაიშს და წაღუნჯინს. ჩვენამდის მოღწეულს მხატვრობათა შორის მარტვილის ეკლესიაში უფრო ქველი ფრესკები ემჩნევა ზემო ნაწილში ეკლესიისა და ესენი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია ბერძნული წარწერებით, ქვემოთ კი უფრო ახალი დროის მხატვრობა არის.

საკურთხეველის ცაში გამოხატულია დუთის მშობელი ჩხვილედი წარწერით: **მ'რ მ'თ**, მთავარ-ანგელოზებითურთ, მარჯვნივ კაბრიელ და მარცხნივ მიქელ. ქვემოთ უოფილა ზიარება იესო ქრისტეს მიერ. თავის მოწაფეთა სისხლით და ხორციით, მაგრამ ეს რიგი მხატვრობისა სრულიად გაფუჭებულია. ამას ქვემოთ საკურთხეველის აღმოსავლეთის კედელზე ეკლესიის მამანია. ამთ უკვლავს ხუცური წარწერები აქვთ. მათ შორის იკითხება: **რ'ზ ი'ჟ ო,ჟბბ-ს'ბბ, რ'ზ ზბზ(ზ)ბ, რ'ზ 'ბ'ბ, რ'ზ 'ბ'ბ'ბ'ბ**. სხვა წარწერები წაბღალულია. სულ ათი სურათია, ოთხი მარცხნივ და ექვსი მარჯვნივ. ამთში არ ვთვლით იმ ეკლესიის მამებს, რომელნიც ფანჯრების შინა კედლებზეა დახატული. აღმოსავლეთის შუა ფანჯრის ცაში ანგელოზის თავია დახატული, რომელიც რომაელების „ამურს“, სიუვარულის დმერთის გამოხატულებას მოგვაცხენებს. მთელი რიგი ამ ქვემო მხატვრობისა, ჩვენის აზრით, უფრო ახალია, მე-XVII—XVIII საუკუნისა და თვალსაჩინოთ განიხივეა ზემო რიგის მხატვრობისაგან. საკურთხეველის ცის ერთ კამარზე წარმოდგენილია მთელი რიგი წმიდანებისა წელს ზევიანი, ხოლო ორ კამარს შუა საკურთხეველის ცისა უოფილა იესო ქრისტე წელს ზევითი, მაგრამ ესეა გაფუჭებულია. საკურთხეველის მარჯვნივ და მარცხნივ ნიძებია; მარცხენა სამკვეთლოში შესავლის წინ, ზემოთ, დაცულია სურათები კაცისა და ქალის მეფურს ტანისამოსში; მათი სახელების წარწერა არ იკითხება, მაგრამ აქ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი დიდი კოსტანტინე და ელენე. ამ სურათებს შუა ბერძნული წარწერა არის, რომელიც ბროსეს მოჭეავს თავის მოგზაურობაში და რომელიც ბროსეს წაითხვით ქართულად ნიშნავს: „მეფემან კოსტანტინე აღაშენა „კონსტანტი“, ესე იგი ტრონილი

ბრასე სამართლიანთა შენიშნავს, რომ ამ წარწერით აღნიშნული უნდა იყოს ის ლეგენდა, რომელიც ჭყონდიდის აღშენებას მიაწერს დიდ კონსტანტინე ბერძენთა მეფეს¹⁾. მაგრამ თუ ამ წარწერას ისტორიული ფაქტი უძევს სარჩულათ, იმ შემთხვევაში კონსტანტინე მეფე უნდა იყოს აფხაზეთის მეფე კონსტანტინე III (873—912), მამა გიორგი II (912—957). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვახუშტი ბატონიშვილი ჭყონდიდის აღშენებას მიაწერს ამ გიორგი II-ს, კონსტანტინეს შვილს.

სამკვეთლოში და სვლაკონოში ფრესკები არ შენახულა. ჩრდილოეთის სპილენძო ბოლო დროს მოუხმარიათ კაცია ჩიქვანის, ეხლანდელი დადიანების წინაპრის, ოჯახის დასახატადად. თვით კაცია და მისი მეუღლე დახატულია კარის მარჯვნივ და მათ ორთავე ეკლესიის გეგმა უტყერიანთ გაშვებულის ხელებით და გეგმის ქვეშ მათი შვილი ბავშვი იესოა წარმოდგენილი. ამათ აწერიან სახელები მხედრულათ:

„ქ.: ჩიქვანი.: ბატონი კაცია. ქ თანა მეცხედრე მათი . . .²⁾ ქალი“.

შვილის ზემოთ: „ქ.: ჩიქვანი.: იესო:“

კარის მარცხნივ იესო ქრისტე წელს-ზევითი აკურთხებს ცოლქმართ დადიანებს შვილითურთ, რომელთაც აწერიანთ:

„ლიპარტიანი.: გიორგი.: ჩიქვანი.: ქ.: და თანა.: მეცხედრე.: მიქელაის.: ქალი.: სევდა:“

მათ შვილის ზემოთ: „ქ.: ჩიქვანი.: ოტია:“

ამათ მარცხნივ ქალის სურათია განკებ გაფუჭებული და ზედ აწერიან:

1) ქ.: პირველი ცო

2) ღი: კაცია ჩიქვანის

3) [ბატონი თამარ].

4) ქ.: [ჩიქვანის ქალი] [ხუარა]მ

5) ზე: გ. ლიპარტი

6) იანის დ

7) ედა.

¹⁾ იხ. Voyage arch. Rap. VII, p. 15—16.

²⁾ აქ სახელი განკებ წაბლალულია.

შესამე და მეოთხე სტრიქონი ამ წარწერების სრულიად წაბ-
დაღულები და ის სიტყვები, რომელნიც ფრჩხილებშია ჩასმული,
ნაურალუმის ეკლესიის ფრესკების წარწერის მიხედვით მოგვეყვს.

ამათ მარცხნივ დასტულნი არიან ჰეტრე და ჰაგლე წარწერე-
ბით: წმინდა: ჰეტრე: წმინდა: ჰაგლე:.

ეველა ამ სურათებს ქვემოთ უფლის დიდი მხედრული წარწერა,
რომლის ერთი ნაწილი განკებ წაბდაღულია:

1) ჰი: შენ: შვიდათ: ცათა: უმაღლესო: და: ქერობინ-
თა: უხეშთასო: რომელმან: გამოიღე: ნაოთფად: უნაოთფოთა:
ნაოთფი [ქვეყან]ის: განმანათლებელი: და: ადამის: და: ევას:
წივის: და: კრულების: და: მხსნელი: და: კურთხევად:
შემცვალებელი: შენ: საღგურო: სულის: წმიდის: განსასვე-
ნებელი:

2) კიდობანო: საღმრთოს: სჯულისო: რომელს: სახელ: .
გღვა: ესია: ღრუბლად: სულ: მცირედ: და: კიბედ: ცად:
აღწევნულად: რომლის: მიერ: ღმერთი: კარდამოკდა: შენ:
ცათა: მობათა: მარტვილთა: ღმრთის: მშობელი: ჩვენ: ცვა:
ფარკათა: შენთა: მინდობილმან: ლეჩკამის: და: სანასარძოს:
და: საღმარტან(ო)ს: ჰატონმან: დიდის: 1)

3) კელმწიფისა: მეფისა: და: დადიანისა: ვახირმან: იმე-
რეთისა: ოდიშისა:

4) თაუმან: და: სარდალმან: ჩიქვანმან: კაცამ: და: თა-
ნა: მე(ც)ხედრემან:

5) ჩვენმან: დიდისა: ქრისტეაგო ქრისტეის ქალმან

6) თამარ²⁾: და: ძემან: ჩვენმან: გიორგიმ: იოსებ:
ოტომ: დავახტ

7) ვინეთ: სამხრო: ესე: ტაძრისა: შენისა: ჩვენად: სა-
ფლაგად: და: შევამე

1) ამას შემდეგ წარწერა მოქცეულია ოთხკუთხედში.

2) ეს სიტყვა და წინა სტრიქონის სიტყვები, რომელნიც ფრჩხი-
ლებში მოგვეყვს, განკებ წაბდაღულია და ჩვენ ნაურალუმის ეკლესიის
ფრესკების წარწერის მიხედვით დავუმატეთ.

8) თ.: შერასთა: ზატოსანისა: ხატია: სახისა: შენისათა: და: წირვისა: იარ-

9) აღითა: სხვა: რაც: გლეხები: შამოგწირეთა: ან: რაც: ბეკარა: სესთა: და:

10) ჩვენთვე(ი)ს: აღაპი: გავინინეთ: იმისი: გუჯარი: და- გვიც: თქვენს: ტაძარშიდ:

11) ის: გაშინჯონ: და: მათსენებს: და: ნურცრვინ(sic): მოშლით: და: ვინცა:

12) მოშდოს: ჩვენადმც: შექბად: შეორედ: მოსვლას: გიკითხვის:

13) და: დანხატა: სამუხრო: ეს: სრული: და...¹⁾

აქ მოხსენებული კაცია ჩიქოვანი არის წინაშარი აწინდელთა და- დიანებთა და ცხოვრობდა მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ამას საში ცოლი უყვდა. ერთის სახელი იყო თამარ, რომელიც ნაყურადე- შის ეკლესიის წარწერაშია მოხსენებული როგორც ქალი ქართლის ერისთავთ-ერისთავისა. ეს მანდილოსანი კაცია ჩიქოვანთან ერთად და- ხატულია ნაყურადეშის ეკლესიის კედელზე. იქვეა დახატული ცალკე ჩარკვიანის ქალი ხვარამზე, რომელიც უნდა იყოს მეორე ცოლი კა- ცია ჩიქოვანისა, დედა გიორგი ლიპარტიანისა. ცნობილია, რომ გი- ორგი ლიპარტიანი მეორე ცოლიდან იყო. შესაშე ცოლის სახელი არ ვიცით; შეიძლება ეს იყოს რაჭის ერისთვის შოშიტა მე-II-ის ქალი. საზოგადოთ, ვინაობა კაცია ჩიქოვანის ცოლებისა ჯერ საკმაოდ გამორკვეულად არ მიგვაჩნია²⁾.

ზემოთ მოხსენებული გიორგი ლიპარტიანი არის კაცია ჩიქოვანის შვილი, ამისი ცოლი უოფილა სევდია, გიორგი მიქელაძის და. სახელი ამ ქალისა ბროსეს გენეალოგიურ ტაბულაში არ არის მოხსენებული.

კაცია ჩიქოვანი და მისი ოჯახის წევრები ამ ჩრდილოეთის სამ- ხროში არიან დამარხულნი, მაგრამ წარწერები სასაფლაოს ქვებისა აღარ მოიპოვება. ზემოთ ამ ჩიქოვანების სურათებისა წმიდათა მამა-

¹⁾ დანარჩენი წარწერა განგებ წაბლალულია და ზედ წმიდანია და- ხატული.

²⁾ ისტორიულ პირთა ფრესკები ნაყურადეშის ეკლესიისა გასულ ზაფხულს ჩვენ გადმოვადებინეთ მუზეუმისათვის მხატვარს კაკაბაძეს.

თა და სხვათა წმიდანთა მხატვრობას ბერძნულს წარწერებით. ჩრდილოეთის სამხრეთს ცაში ღვთის მშობელია გამოსატული ჩხვილე-დი მთავარანგელოზებითურთ. ქვემოთ მთელი რიგი მხატვრობისა გაფუჭებულია. ამ სამხრეთს ფანჯრის ზემოთ უხრო მერმენდელის ასო-მთავრულით ვკითხულობთ:

- | | |
|---------------------------|-----------------|
თამარ მეფის დროს და შემდეგ მეთოთხმეტე საუკუნეში, ვინაითგან ერთი კადმოცემა ხონის წმიდა გიორგის ეკლესიის აშენებას მიაწერს ვამეყ დადიანს (წ 1396). თვით ქალაქ ხონის აშენებას მიაწერენ აბხაზეთის მეფეს თეოდოსის (791—818). წინეთ ხონში უოფილა წმიდა სტეფანეს ეკლესია, რომლის საძირკველი დღესაც სჩანს წმიდი გიორგის ეკლესიის გალავნის გარეთ, აღმოსავლით¹⁾. ვინ არის ერისთავთა ერისთავი საჯისძე (თუ ეს კითხვა მართალია), არ ვიცით.

უკანასკნელი გაფართოება და გადაკეთება ეკლესიისა უნდა ეკუთვნოდეს 1862 წელს, მღვდლის ვასილ ქუთათელაძის დროს. ამ წელს უზენაეს მხედრული წარწერა შიგნით სამკვეთლოს აღმოსავლეთის კედელზე:

მღ.ლი. ვასილ. ქუთათელაძე. მონე (მოიხსენე): ულო (უფალო): ჩუაბ.

ეკლესიის უფლის მადალი ქვის გალავანი, რომელიც ეხლა აღაგადაც დაზიანებულია. სამხრეთის კედრით გალავანთან აზრთულია ძველი ლამაზი სამრეკლო, ისეთივე თლილის ქვით ნაშენი, როგორც ეკლესია არის. ქვემოთ სამრეკლო ოთხკუთხედაა. წინეთ ქვემო სართულის თაღები გაშლილი უოფილა და აქედან უოფილა შესავალი გალავანში, მაგრამ ეხლა თაღები ამოშენებულია. მეორე სართული მრავალკუთხედაა, ექვსი გაშლილი თაღით. ამას ზემოთ მესამე სართულია ექვსი სვეტით და აქ არის ზარები ჩამოკიდული. სამრეკლო ქვით არის დახურული. წინეთ ეკლესიაც ასეთი ქვით უოფილა დახურული. ეხლა კი ქვსტით არის გადახურული. ბროსეს მოგზაურობის წინეთ ხურთთმოდვარს ნორთეს უნახავს ხონის ეკლესია და მას შუემჩნევა სამრეკლოს კედელზე შემდეგი წარწერა, რომელიც კადმოელია და ბროსესთვის მიუწოდება:

ჰ I ჟ I

ჟ

იუნ ზქიოტხ

როგორც სჩანს ფრანგული თარგმანიდან ბროსესე ასე კითხულბას წარწერას: „ფვარო ქრისტესო, [შეიწუაღე] გრიგოლ მოძღვარი“.

¹⁾ ეს ცნობა ეკუთვნის განსვენებულს არისტო ვასილის ძეს ქუთათელაძეს.

2) შირო: ღთისო: შერკწირეთ: და: დავასვენეთ: ტაძრსა:
თქუენსა: ხატი: ესე: ჩუენ: კელმწიფე

3) მან: დადიანმან: ხატონმა: ლევან: მას: ჟამსა: ოდეს: შე-
ვებინთ: ბადადს: მეფეს: გიორგის:

4) და: კახს: ხატონსა: თაიმურაზს: და: კაკვიმარჯუა: ძლიე-
რებითა: შენითა: თავად: შეფე: კელთ

5) დავურჩა: და სრულბით: იმერულნი: და: კახნი: დარბაი-
სულნი: ზოგნი: კელთ: დავურჩა: და ზო

6) გნი: გარდახვეწიერს: კახი: მეფე: თაიმურაზ: და: მეფის:
შვილები: ალექსანდრე: და: მამუკა: ამავე:

7) ჟამსა: ავჭარეთ: ქალაქი: ჩხარისა: და ჩავასხით: ზუგდიდს:
აღვაშენეთ: და: გავწიეთ: ქ

8) ალაქი: რუხისა: აწე: შემოგვიწირავს: და: დავვისვენებია:
ხატი: ესე: ტაძრსა: თქუენსა: კიდევ: შ

9) ემოგვიწირავს: ხონს: ერთი: კვამლი: კაცი: მამიკაცია: სს-
ნობე: ჩუენ: და: მეუღლისა: ჩუენისა: დედ

10) ოფლისა: ნესტანდარჯუანისა: სადღეგრძელოდ: და ძისა:
ჩუენსა: შირშოსა: ალექსანდრეს: დ

11) ა: მხურჩარისა: აღსაზრდელად: და: მე: ცოდვათა: ჩემთა:
შესაწოდებლად: ძემა: კელმწიფისა: ხატრო

12) ნისამან: შემოგწირე: მოიჭედა: და: სრულ: იქმნა: ხატი-
სა: ამის: შემოება: ქვს: სამას: ოცდა: ოთხსა:

3. ხატი წმიდა გიორგისა ვერცხლისა, ნაჭედი, 42 X 33 სანტ. წმიდა გიორგი ცხენზე მჯდომარეა, შუბით გვირავს ვეშაპს, ხოლო ვეშაპი და ნახევარზე მეტი ცხენის ტანისა არ შენახულა და მოჩანს მარტო მუხის ხე, რომელზედაც დაწარჩენი ნაწილებია მიკრული. ამიუბზე მარჯვნივ და მარცხნივ ორი წმიდანია ფეხზედ მდგომარე ძრიელ უღაზათო ხელობისა, ასეთივე უღაზათოა ზემო ამიაზე ოთხ-ჯერ გამეორებული მებაღიონების სურათი მაცხოვრისა ღვთის-შობი-ლით და იოანეთი. ღატს შერჩენია წმიდი გიორგის თავის ირგვლივ რვა აუეი. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს. ქვემოთ ვერცხლის ამიაზე უმნა ასომთავრული წარწერა უოფილა, რომელიც სანახევროდ არის დაცული:

1) **ԻԿԻ: ԷՕԻԿՍ ԿԹՆԻՆԿԻՓԻԿՍԿՍԿԻ: ԿԿ-ՄՕԻ**

2) **ԿԿԿՆ: ՆՄ: ՅԿԲԻՆԿՆ: ԿԿՕ: ՄՆ: ԻԿԻ: ԿՕԿ**

3) **ԿԿԻՆ: ԿԿՕԻ: ԿԿԵ: ԿԿԿԿԿԿԿ: ԿՆ.....**

უქარაგმით და ზოგიერთი სიტუაციების მიმეტებით დაახლოვებით: „ჩვენ ხონულ მთავარუნ.სკოპოზმან გელეონ [ხატი ესე წმიდის] გიორგის ჰირველად დამწვარი იყო და ჩვენ მოვ[სტედიენტ, რათა გვ]ექმნეს მეოხ აქაც (და) მერმეს მას [საუკუნესა, ამინ]“.

4. ხატი მაცხოვრისა წელს ზევეთი ვერცხლისა, მოთქერილი, ანისისხატად წოდებული, დაბალი ხელობისა, ექვსი ქვათ შემკობილი. მაცხოვარს ხელი საკურთხედ აქვს გამზადებული და აწერია: **ԻՇ XՇ**. ხატი უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს, ლევან II დადიანის დროს და მისგან უნდა იყოს შემოწირული. ზემო მოყვანილი წარწერა ლევანისა ამ ხატს იხსენიებს.

5. ჯვარი სწინამძღვრო ვერცხლისა ოქროთ დაფერილი, ნა-სკედი, ღამაზი ქართული ხელობისა, სიონით, ბეშტებით და გრძე-ლი ხე-ტარით, რომელნიც ვერცხლით არიან შეჭედილნი და მონე-ქურთმებულნი ბაღახის მსგავსი ჩუქურთმებით. თვით ჯვარი ზემო ბეშტით $5\frac{1}{2}$ გოჯია, კანი აქვს $3\frac{1}{2}$ გოჯია. შუაში გამოქანდაკებუ-ლია ჯვარცმული ქრისტე წარწერით **ԻՎ ԿՎ Կ ՄՕ՝ԹՆ**, მარცხნივ და მარჯვნივ დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი წელს-ზევეთნი, ხოლო ზემოთ მიქელ მთავარანგელოზი სრულის ტანით და სიმრგვლით დაჭურებს ჯვარცმულს თავდახრილი. ამ ადგილას ჩუქულებრივით ჯვრებზე საბოთია ხოლმე გამოსახული. ქვემოთ ჯვარცმულისა ადამის თავი მონანს. სიონი დაბალი ხელობის არის, უფრო გვიანი ჯვარზე. სიონზე გამოხატულნი არიან **ԿՄ ԲՆ, ԻՎ ԿՎ, ԲՆ ԿՆ, ԿՆԲԿ** და **ԿՆԲԲԿ**. სიონის თავ-ზედ წარმოდგენილნი არიან წელს-ზევეთნი სურათები: **ԻՎ ԿՎ, ԻՎ ԲԿՆՆ, ԿԹՆԿՆ** ორხელ, **ԽՆ ՆԿՐՕԿԿ**. სიონის ქვემოთ ბეშტზედ ასომთავრულია წარწერა არის:

1) **Կ ԿԿՕԿ(sic):. ԵԷՕԿԿԿԿԿԿ: ԿՕԿԿԿԿ ԿԵՆ: ԿԷՕԿԿԿՕԿ: ԿԿԿԿԿ: ԿԿԿԿԿԿԿԿ: ԿԿԿ**

2) ნინდნიძე. ჩხინდუნიძე. ყაყაყაძე...
 ნიონი. ჩაქოძე. ჩაქონიძე. ყაყაყანი. ში...
 ჩხინდუნიძე. ში ჩხინიძე(sic)...

3) ჩაქოძე... ჩაქოძე... ჩინი... ჩინი...
 ნიონი... ში ჩი... ჩი... ჩი...
 ყაყაყანი... ჩინი... ჩინი... ჩინი...
 ჩინი... ჩინი

4) ჩი ჩინი... ჩინი... ჩინი...
 ჩინი... ჩინი... ჩინი... ჩინი...
 ჩინი... ჩინი... ჩინი... ჩინი...

5) ჩინი... ჩინი... ჩინი...
 ჩინი... ჩინი... ჩინი...

6) ჩინი... ჩინი

7) ჩინი... ჩინი... ჩინი... ჩინი... ჩინი...

ჩი. ძველი ცხორებისა, რომელიც სხურებულ იქმნა უბიწოთა
 მით სისხლითა ქრისტესითა, შეიწყალე სული მეფეთ მეფისა ბაკრა-
 ტისი და წარმართე და განაძლიერე მეფეთ მეფობა ძის მათისა გი-
 თორგისი. და მე ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან უღისმან ხონელ
 მთავარეფისკოპოზმან მსეტოქემან ზაქარია შეუქმნე ჭუარი ესე სას-
 რად სულის ჩემისა. ნუ ვინ მკადრ იქმნების გამოხმად სუდრისა
 ამის ხონისა, ამინ. ოქრომჭედელსა მამნეს შეუნდეს ღმერთმან, ამინ“.

კონდაკოვი ამ ჭუარს მე-XIII საუკუნეს მიაწერს¹⁾, ხოლო დი-
 მიტრი ბაქრაძე ფიქრობს, თითქო ამ წარწერაში მოხსენებული მეფე
 გიორგი იუოს გიორგი I (1014—1027). მაგრამ არც ერთი და
 არც მეორე აზრი მისაღები არ არის. ზღუოვარეფიული ხასიათიწარ-
 წერისა და თვით ხელობა ჭუარისა ბევრად უფრო გვიან დროს ეკუ-
 თვნის. ჭუარი გაკეთებულია ზაქარია ხონელ მთავარ-ეპისკოპოზის
 მიერ, როგორც წარწერა მოკვითხრობს. ხოლო ჩვენის აზრით ეს
 ის ზაქარია არის, რომელიც მონაწილეობას იღებდა მე-XVI საუკუ-
 ნეში კათალიკოსის სამართლის დამტკიცებაში²⁾. წარწერაში მოხსენ-

¹⁾ იხ. Одисъ, გვ. 64.

²⁾ იხ. ქართ. ცხ. II, გვ. 196.

ნებუნნი ბაგრატ მეფე და გიორგი უნდა იყვნენ ბაგრატ III იმერეთისა (1510—1548) და მისი შვილი გიორგი II (1548—1585). ჩვენ ვიცით¹⁾, როდესაც ბაგრატ III 1529 წელს გელათის ეპისკოპოსად დანიშნა მელქისედეკ საუფარელიძე, იმავე დროს მან ხონის ეპისკოპოსად დანიშნა ჩხეტიძე²⁾ მანოელ, რომელიც იყო ნაურთიხი კათალიკოსის მღაქია აბაშიძის მიერ ბიჭვინტის ტაძარში მელქისედეკ საუფარელიძისთან ერთად. ერთობა, შემდეგი ეთნოკოზმობიდან გიორგი მეორის დროს ჩხეტიძის გვარისაგან უოფილა, სახელით ზაქარია. ამგვარად ზემო აღწერილი ჯვარი და მისი წარწერა უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფის გიორგი II დროს (1548—1585).

6. ჯვარი ათაბუხური, ვერცხლის არშით, თვლებით შემკობილი. ქვემოთ ვერცხლის ფეხზედ მხედრულად აწერია:

შენდობა უავით შემწირველისა ამის ჯვარისა ცოდვილი ბერი ბახტაძე იოვანე ჩულა.

7. დროშა საეკლესიო სამფარდიანი, ვარდის ფერი ფარჩისა. შუაში ტილოზე წინა პირზე დახატულია წმიდა გიორგი, მეორე პირზე მთავარანგელოზი ხმლით. მხატვრობა დაბალია, ხეტარს ზემოთ ჯვარი არის, რომელზედაც გამოსახტულია ჯვარცმული, ზემოთ საბათი, ქვემოთ მთავარანგელოზი გრაგნილით, აქეთ-იქით ჯვარცმულისა დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი; მეორე მხარეზე ჯვარისა წარმოდგენილია წმიდა გიორგი ფეხზედ მდგომარე. ბუმტზედ მხედრულად აწერია:

„ქ. მეფე სოლომონ“.

წარწერა უნდა ეკუთვნოდეს იმერეთის მეფის სოლომონ პირველს. დროშაზე ლენტია ზემოდ მოხმული, რომელზედაც აწერია მხედრულად:

„შამოწი(რ)ული ივან სიმონის ძე ჭნტურიშვილი“.

ძველად ხონში 23 აპრილს, გიორგობის დღეს, დიდი დღესასწაულის გადახდა იტოვებ. ხონის გიორგობა განთქმული იყო მთელს

1) იხ. Chronique Géorgienne ბროსეს გამოცემა, გვ. 5—6.

2) დედანში შეცდომით მიჩნეტიძე სწერია. ბროსე მჩხეტიძედ აწვრობს, მაგრამ ერთი და იგივე შეცდომაა.

იმერეთში. სუდრის წინ, იქ, სიდაც ესლა ბულგარია, უწინ დიდი მინდარი იყო. აქ იმართებოდა შესანიშნავი ბურთაობა, ჯირითი, ცუკვა, თაშაში და სიმიურა. ბურთაობის წინ ჯერ გამოასვენებდენ ეკლესიიდან დიდ წმიდი გიორგის ხატს, ჭანტურიშვილები ამ დროშით გამოუძღვებოდენ ხატს, წულუკიძეებს ბურთი მოჰქონდათ, ჯერ ზანაკლისს გადახდიდენ უზარმაზარი ცაცხვის ძირში, და მერმე გაიმართებოდა ბურთაობა. ერთ ასეთ დღესასწაულს დასწრება მურავიოვი და აუწყრია თავის წიგნში¹⁾.

8. ფარდა ფერადებიანი ძაფებით საქარგი, რომელზედაც გამოხატულია წმიდა გიორგი ცხენით, ვეშაპის მგმირავი და ქვემოთ ხეცურად ამოქარგულია:

- 1) **ԲՕ ՅՎՆՕ ՅՄԾՕ ԿՒՐՕ ՅՆ ԵԻԿ**
- 2) **ԻՃ ԳՒՆՕ ՅՆ ԵՒԹ ԿՕԿԶԿԾՕ ԿՆՕԿԿԻԿ**
- 3) **ԳԿԿՕՒԿԻՐԿԿ ՓՆ ԿԵԿ ԲՕՆՕՎՆԵՆ ԸՆՕՆԶԸԸ**
- 4) **ՄՆ ԿԵԸՆ ԿԿԻՆԹԻՆ ԵԿԸՆԶԸԸ ԿԸԿԻՆԶ**
- 5) **ԿԸԸ ԵՕՆՆՆ ԻԿՆ ԵԸՕԸԸ ՄՆ ԳԻՆՆԸԸ**
- 6) **ԻՆ ԵՆՇՈՒԿԿԿԿ**
- 7) **ԿՕԸ ԲՆ ԻԿԶԾ.** უქარაგმით:

„წმიდათ დიდებულთ, დიდათ მოწამეთ და ძღვევა-შემოსილთ და სსწავლთ-მოქმედთ გიორგივ, შემოგწირე ფარდა ესე წულუკიძის ასულმან და ქინის ერისთვის სსალმან მარიაშმან სულისა ჩემისა საოხათ და შეილთა ჩემთა სსადგებრსელოთ, წყალს ჩემდ.

ხონის ეკლესია გაუქურდავთ 1884 წელს, მარტის 15 თთსშბათს დღეს და წაუღიათ ბევრი ოქროს და ვერცხლას ნივთები. ზოგიერთი წადებული ნივთები და მათი წარწერები აღნუსხული ჰქონია განსვენებულს არისტო ჭუთათელაძეს ხონის ეკლესიის სულანაწერების აღწერასთან ერთად და მისი რეკულიდან მოგვაყვს:

¹⁾ იბილუ Грузія и Армения, ч. III, стр. 240—245.

9. მეფე სოლომონ პირველის მეუღლის გულქანისაგან¹⁾ შეწირულს ვერცხლის სასმისზედ (თასზედ) მხედრული წარწერა:

„ვარ სირმა ხასი ბრწყინვალე გულქანის პირი მცინარე“.

10. ორი ხელი ძველი ბარძიმი-ფეშხეში ოქროში დაფეთებული.

11. ორი სასწილე (ვერცხლსა და ოქროში დაფერილი). ერთი ახალი.

12. ოთხი ვერცხლის ღამბაქი. ერთზედ ეწერა: „წერეთლის ასული რუსუდანი“²⁾.

13. ორი ვერცხლის სურა.

14. ერთი ზატარა ვერცხლის სურა მხედრულის წარწერით: „მეფე სოლომონისა ვარ“ (იკულისხმება სოლომონ I).

15. სამი ვერცხლის სტაქანი (ერთი ძველი).

16. ერთი ფეხიანი ქიჯა მხედრული წარწერით:

„ვარ სირმა ხასი ბრწყინვალე, გულქანის პირი მცინარე“.

17. ერთი სამღვდელმთავრო სარტყელი წინ ძაფით და შეაში თვალი.

18. 53 თვალი.

19. საცეცხლური დიდის ბერის წულუკიძის შემოწირული. ჩინებული, დირებული ვერცხლად 150 მანათად (იყო რამდენიმე გირ.).

აღწერა სონას ეკლესიის ხელთნაწერთა, შედგენილი არისტოვასილის ძას ქუთათელაძის მიერ 1893 წ., ივნისს³⁾.

1. „სახარების თარგმანი“, 27 X 20 სანტ. ორას ორმოცდათვრამეტი ფურცელია (278), დაწერილია ტყავზედ ნუსხა-სუცურით

1) ეს გულქანი იყო წულუკიძის ასული. † 23 აპრილს 1798 წ.
ა. ქუთათელაძე.

2) ეს რუსუდანი იყო გრიგოლ წერეთლის ასული დედა ლენტორ წულუკიძისა, რომელიც გარდაიცვალა ამ მოკლე ხანში.
ა. ქუთათელაძე.

3) ჩვენ ხონში ყოფნის დროს შევადგინეთ მოკლე აღწერილობა ხონის ეკლესიის ხელნაწერთა, მაგრამ შემდეგ განსვენებულის ა. ვ. ქუთათელაძის რეგულში ვიპოვეთ ამავე ხელთნაწერთა აღწერა, შედგენილი ბევრათ უფრო ადრე ჩვენზედ. მისი აღწერა ბევრათ უფრო სრული და ერკელი აღმოჩნდა, ჩვენ ვნახეთ მხოლოდ 21 ხელთნაწერი (თუ სრულს

252 ფურცელი. აქედან 278 ფურცელამდის ქალაღდზედ არის ნაწერა სხვა ხელით. ამასვე უჩვენებს 251 ფურცლის აშიაზედ მინაწერა მხედრულ ნუსხურით: „აქ აკლია ამას დაბლა დაწერილი“. ტყავს ამ ფურცლის შემდეგ აკლია. ამასვე ამტკიცებს ამავე გვერდის ჰაგინაცია, რომელიც შემდეგ გვერდზედ არ განმეორდება. შემდეგ იწყება ქალაღდზედ: „სახარება მარკოზის თავისა“, თავდება: „ხოლო უნისათა მიტყუებაჲ ცოდვათა იქმნების“. ზის ტყავ გადაკრულ ხის უდაში. ეტრატის ნაწილი ამ ხელთნაწერისა ეკუთვნის მე-XII—XIII საუკუნის, ხოლო ქალაღდისა მე-XVIII საუკუნის.

2. „დავითნის და სახარების თარგმანი“, 31×21 სანტ. 605 ფურცელი, in folio, ქალაღდზედ. წინ არის ვნებათ კვირის სახარებათ ათარგმანი, მიუთითებლად თუ ვის სახარებას ხსნის. 168 ფურცელზედ დედნის ხელით: „დმერთო აცხოხე ამ წიგნის დამწერი მიტროფანე მწერალი. ვინც ამ წიგნს იკითხვიდეთ დღის გულისათვის შენდობას გვიბრძანებდეთ“. ამის შემდეგ იწყება დავითნის თარგმანი.

ვნებათ კვირის სახარების დასაწყისი კინოგართ: „თავი ოგ სიტყვა ესე: სახარების თარგმანი ვნებათ კვირიაკისა საკითხავი: „მამის რელი ჰურასტანს იეოს იელტოდენ მთად და რელი ერდოსა ზე იეოს ნუ გარდამოვალნ ადებად რამსმე სახლისგნ თვისისა“. ბოლო: „და განმარტებისუბრ“. ია—კანონში დავითნს აკლია — ქალაღდი თითქმის ერთი ფურცელი დაუწერელია. კ—კანონში ერთი ფურცელზედ მეტია დაუწერელი—აკლია. შიგა და შიგ აქა-იქ ზოგან სიტყვები გამოშვებულია და მისი ადგილი დაუწერელია: დედანში არ ეოფილა უთუოდ ან ვერ წაუკითხავს და ისე დაუტყუებია. დავითნის შემდეგ არის: „უმცირესი“. ამასაც ბოლო აკლია—დაუწერელია ერთი ფურცელი. დავითნის დასაწყისი: „ნეტარ არს კტი რელი არა მივიდა განზრახვასა (ეხლანდელში: „ზრახვასა“) უღთოთასა და ყლი (ეხ-

თთვნის ოთხს წიგნს ერთად ვიანკარიშებთ). ა. ქუთათელაძის ნუსხით სწანს 25. ამას გარდა ტექსტების თავი და ბოლო ჩვენ არ ამოგვიწერია, ხოლო მას ამოწერილი აქვს. ამიტომ ჩვენ უმჯობესად დავინახეთ განსვენებულის ნუსხა დაგვებუჭდა. რაც აკლდა, ჩვენის ამონაწერიდან დავუმატეთ. უთარილო ხელთნაწერების დროს განმარტება ჩვენ გვეკუთვნის).

ღანდელში: „უოველიფი“ რაღცა იუთს წარუმართოს იგი“. კანონი ბ: „და მიუთხრნე უნი საკრველებანი შინი (და მიუთხრა მე უოველი საკრველება შენი“. (ეს განსხვავება ავიდე ნიმუშად). „უმცირესის“ შემდეგ არის მინაწერი ღენის ხელათ: „დიდება ღთსა სრულ მუოფელსა უღისა კეთილისა სრულ იქმნა წმიდა ესე და სლთა ზეცად აღმათრინებელი და ზეცათა სასუფეველსა გნმსვენებელი და ანტლოზთა თა მარად მუოფისა ღთისა მჭკრეტული დავითის ფსალმუნთა წიგნისა თარგმანი: უფალთ იჲ ქე ძეო ღთისა ცხოველისათ დირს უავ მარჯუტნით დგომას ცხოვართთა თა კურთხეულისა სამწუოსა შინისათ: მთავარ უბისკაპოსი ანტონი ჩიჯავაძე რა არა დააკლდეს კურთხევას მარჯვენითთა შნ შრ კურთხეულთა ცხოვართა შნთასა და ნუ გამოახეუბ სასუფეველსა ცხოვრებასა მას საუკუნესა. ამინ იუავნ. რლისა ბრძახებითა კელ ვუავ წყრად მე უღირსმან მონამან ღთისამან დიაკონმან მიტროფანე გრიგოლაშვილმან: ურ ღლ კეთილად სრულ უავ ცხოვრება მისი მონებასა შნსა სინანულსა შა და აღსარებასა. და უამსა აღსასრულისა ნუ არცხუტნ და ნუ დაუკარგავ ნაღვაწსა ამას მისსა: და მეცა უღირსსა მონასა ღთსასა ნუ გმომაკლებ სუფევას მას საუკუნესა ან ან ან:....

უღის მარჯვენა ხახვერის წინა გვერდზედ აწერია განკვეულ მხედრულ ნუსხურით: „საჯენ უფალთ მავნებელი ჩემნი და ბრძოდე ბრძოლათა მათ ჩემთა აღიდე ქური და ფარი და ადდეგ შწედ ჩემდა. განფინე მახვილი შენი და შეკრიბე წინ კერძო მღუვართა ჩემთასა: ეს ფსალმუნის მუხლები ნიკოლაი დამიწერიეს ბაიარდის შუბზედ აწერია:“ ამის ქვემოთ ასომთავრულად აწერია: „ანტონი“. (ხონის მთავარეპისკოპოსი ჩიჯავაძე).

39 და 40 ფურცელზედ არის მინაწერი ღენის მსგავს ხელით, მაგრამ წმინდად: „მე ფდ ცდვილი კზმან დირს ვიქმენ: წისა ამის სლთა გნმნთლბლისა წიგნისა: ხილვად: რსა არა სადა მეხილვა: ესრეთ გვიხარე: ვრმც თჯთ ამისი მარგმნელი მეხილვა. და კლ ვეგ კითხვად: და იქმნა ჰირსა ჩა ვა თაფლი: ვინცა ვინ კლად მიხუნეთ მომიხსენეთ: ღის მშბლის მდლსა და ნუ დამწევეთ: ვინც ეს მოშალოს ღნ მისცეს მსხი შს დიდსა დღსა განკითხუსსა ან.

46 ფურცელზედ ასომთავრულით და შავი მუქლით: ,,ქე. შე. მხა. შხი. იოსებ.‘‘

51 ფურცელი კლებია და სხვა ახლად ქალაქზედ არის დაწერილი ნუსხა-სურგით.

141 ფურცელზედ აშიაზედ მხედრულის გარკვეულის ხელით: ,,ქ. მე. ფრიად. ცოდვილმა: და: ყოველია: უნარჩევსმა: ელენე: ღირს: ვიქმენ: წმინდის: ამის: და: სულთა: გნამთებელისა: წიგნისა ხილად: და: ვიქმენ: მხარულ: ორკვერძოვე: სულით: და: ხორციით: მსიარულებითა: დიდითა: და: იქმნა: ზირსა: ნემასა: ვითარცა: თაფლი:

196 ფურცლის ქვემო აშიაზედ მხედრულის ხელით: ,,კაცსა ვისმე. ესსეს. ორსე. ესე ორი ძე. ერთი მართალია. და მეორე ცოდვილი. უმრწემესი ძე მე ვარ ცი იოვანე წინამძღვარი: კახი: ახლად. მოქცეული‘‘. ხელთნაწერი ეკუთვნის მე-XVIII საუკუნეს.

3. ,,მამათ ცხოვრება‘‘, 24 X 19 სანტ. ქალაქზედ, ნუსხა-ხეცურის ხელით. შეიცავს ოცს თავს, ფურცელი 313. თავი: ,,წლი სიტყე შესავალი. წათ და ხტრთა მშთა ჩნთა. ცხრჩოთათს. და მოქალკობთა: — გვჩნ მით:‘‘ (კინოვართ). დასაწყისი: ,,რწლი იგი არს წლითგან. დე თა. დე სიტყე: მრგლთა თს სხირებდთა თსთა.‘‘ ბოლო: ,,ორნი მშანი იფენეს კრცქლნი სკიტეს. და შეემთხვა ერთსა მს სნეულბდე. წარვიდა მეორე იგი მშად ეელესიად მდღლისა. რა:‘‘ თავში არის ხელთნაწერის სიგრსეზე ჟვარცმა და გარშემო წმინდანნი. მეორე ადგილს დახატულია ეკლესია, გარშემო — უდაბნოები და შიგ მღალაღებულნი ბერნი. შესამე ადგილს კიდევ უდაბნოა დახატული და თან ერთიც ქოხი, რომლის კარის წინ ზის ღრმად დაფიქრებული მწირი. მეორე გვერდზე იგივე სახეა გამოღებული განსჭვრეტ. შემდეგ გვერდზე არის ამართული სვეტი, რომლის ზემო სდგას მლოცველი მწირი ზეცისკერ ხელ-განშურაბილი. ნიშნად გულ-მხურვალე ლოცვის სასეილად ღრუბელში სჩანს დაუსაბამის მაკურთხეული მარჯვენა და ძირს — მავედრებული წისა. შემდეგ გვერდზე არის გამოხატული წმინდა ანტონ და არსენ, რომელთაც აწერია ხატის წამლით: ,,Антоніи, Асеніи‘‘.

ოცდა მეათე რვეულის წინ დახატულია ბერის სახე, რომელსაც

აწერია ზევით დედნის ხელით: „მამა ანტონი“, და ცოტა ქვემოთაც იგივე მარცხნით ძირს წარწერით დედნის ხელით: „მამა წმინდაო“. შემდეგ ფურცელზე იგივე მხატვრობაა, მხოლოდ თავის სახურავი ნამდვილ ბურღიათ. ქვეშ აქვს წარწერა ნუსხა-ხუცურით და სხვა ხელნით: „ქ. დმურთმან სასუფეველი დაუშვიდროს რომანოზს ერისთავის შვილს. ეს წმინდათ მამათ ცხვარება ის რომ მიიტყვალა მე მათხვეს. ერთი თვე მქონდა“.

ბოლოს მიწერილია დედნის ხელით და კინოვარიით: „რაოდენი წერილ ხრო წიგნსა ამას და რაოდენი უწერელ. მხ შევერით ცოდვილს მთავრ ეფისკოპოსს რომანოზს. გი ერისთავს ძეს: აღიწერს თავთა ამის მამათ ცხვრისათა. მხო და მამათ ვისაც ჩემს უკან დაგრჩეთ ან მიემთხვივისთ ანუ [წ]არითხვიდეთ ჩემ ცდვილისათს შენდობას [ბრძ]ახუბდეთ. რხ ფდი ვიდვარ აღწერასუდ“. ხელთწერილი ეკუთვნის მე XVIII საუკუნეს.

4. გულგახანი ანუ თვენი, მე XIX საუკუნის ნუსხა-ხუცურით. 4 წიგნად. წიგნი 1. სეკტემბერი, ოკტომბერი, ნოემბერი. სეკტემბრის თვის ბოლოში დედნის ხელით: „წო გრიგორი შემეწიე წერისა ამისა მიწერალს უღირსს დაკონს მიტროფანეს“. ოკტომბრის თვის ბოლოში დედნის ხელით: „აღიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლასვილისათა“. ნოემბრის თვის ბოლოში დედნის ხელით: „აღიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლასვილისათა“. აქვს აქვე ბოლოში დედნის ხელით: „ღვთისმშობლიანი აღდგომისა რუკა კის[სა] ზედაკმა ა“, (რომელიც შეიცავს 12 ფურცელს თაბახისას).

წიგნი 2: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი. დეკემბრის თვის ბოლოში დედნის ხელით: „აღიღეს უნ მჩობლითავე ცხვარებითა მთავარ-ენისკოპოსი ანტონი, რომლისა ბრძახებითა და სთვასითა აღვსწერე თხზნი ესე თთქნი სდ შეშობილნა ტუბიკონითართ მე ყდ უღირსმნ მიტროფანე გრიგოლასვილმან: დასაბამითნ წელითა“ (რიცხვი არ არის). იანვრის თვის ბოლოში დედნის ხელით: „აღიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლასვილისათა“. თებერვლის თვის ბოლოში დედნის ხელით: „აღიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლასვილისათა“. აქვე არის: „ღვთისმშობლიანი აღდგომისა კმა ა დის“.

მშობლისა“, რომელიც შეიცავს 13 ფურცელს თაბახისს. აქ ვგონებთ შარტო ერთი ფურცელი აკლია.

წიგნი 3: შარტი, აზრიფი და მისი. აზრიფის ბოლოში დედნის ხელით: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“. მისის თვის ბოლოში დედნის ხელით: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“. აქვე არის: „დეთისმშობლიანი ადდგომისა რუჯა კმათა სუდა კმა ა“. ბოლოში, არ ვიცით რამდენი, აკლია.

წიგნი 4: ივინისი, ივლისი და აგვისტო. ივინისის თვის ბოლოში დედნის ხელით: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“. ივლისის თვის ბოლოში დედნის ხელით: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“. აგვისტოს თვის ბოლოში დედნის ხელით: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“. აქვე არის: „დეთისმშობლიანი ადდგომისა რუჯა კმათა სუდა კმა ა“. აქ კიდევ სწერა: „ადიწერა კელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“¹⁾.

ეს ოთხივე წიგნი დაწერილია ნუსხა-ხუცურით და ერთად გარკვეულად. უკულ ზის ტუყე გადაკრულ ხის უდაში. შიგნით ერთ ხის უდაზე აწერია მხედრულად და შავის მეღნით: „ეს თვენი ადიწერა ქრისტეს აქეთ ათას რუჯას ხუთს ბატონის მთავარ-ეპისკოპოს მათს მონას ბერს დაწერია. მიტროფანეს დამიწერია ეს თვენი და სხვა. ეს ნუსხა მე ივანისას დამიწერია ბატონო ჩემო. ვინც იკითხოს პატრივით და სიწმინდით წარკეთხოს. ბატონ მატაე ბატონის არხიდაიკანი (ბანტაჟე, რომელიც გარდაიცვალა მღვდელობაში ღრმად მოხუცებული 1857 წ.).

¹⁾ ეს მიტროფანე გრიგოლაშვილი იყო თანამედროვე მღვდლის მატეე ბანტაძის († 1857 წ.), როგორც ბერის ღრმა მოხუცებულს უამბონია ჩემთვის და აისთვლათ კიდევ. ა. ქუთათელიძე.

სხვა ხელთნაწერებიდან სჩანს, რომ მიტროფანე გრიგოლაშვილის მოღვაწეობა, როგორც გადაწერისა, იწყება 1776 წლიდან, როდესაც მას დიკონობაში გადწერია კლემეჯსი; 1777 წელს შეუსრულებია მეორე ნაწილი იმავე წიგნისა, ხოლო 1778 წელს საფარას საბას ლაფრაში გადაწერია დოღმატიკა (ამათხე იხილე ქვემოთ).
ე. თ.

5. კრებული, 30 × 20 სანტ. უდა ხის აქვს შავ ტყავ გად-
კრული. სულ 26 რვეული და 6 ფურცელია, ღამაზი ნუსხა-ხეცუ-
რით ქალღმრთე. წიგნში მოთავსებულია:

ა) წინამძღვარი იოანე დამასკელისა. შეიცავს იღ რვეულს და
ორ ფურცელს. რვეულში რვა ფურცელია. თავში სათაური ღამაზის
გრეხილიანი ასომთავრულით: „დაწეობა: წიგნისა: მის: რწლსა: ეწო-
დების: წინამძღვრ: თქმლი: იე: დამასკელისა: თავი: ა“. მე-XVIII
საუკუნის ხელით. წინამძღვარის ბოლოს იამბიკონი ამბერკისნი: სპ
სახეობა: შემდეგ ზანდუკი და შემდეგ ტექსტის ხელით: „და აღესრუ-
ლა წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი წინამძღვარი ძალითა და
შეწევნითა უოფლისა მშერობელისა ღისათა ან.“

კელითა მთავარ დიაკონის მიტროფანუსითა: - თვესა (თა) აპ-
რილსა: კთ: დასაბამითგან წელთა: - (შემდეგ არაფერი სწერია).

ამას მოსდევს იმავე წიგნში:

ბ) სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლებაჲ მოწაფისა,
კითხვა-მიგებად წარმოდგენილი. თავდება კბ რვეულით. ბოლოს უწერია:

ეს არს სწავლა შვიდისა საიდუმლოთა შემოკლებულად თქმული.
გლოცავ მე გლახაკი მიტროფანე დიაკონი, ურმანო ახლად მოსწავ-
ლენო, რათა იკითხვიდეთ და ზეპირით დაისწავლიდეთ. ამისთვის
დავწერე საერკას და სოფელურის სიტყუთა რომ სიადგილისათჳს
მწრაფელ ზედ მიწიფინეთ და მტკიცედ დაიდვათ გონებასა და ჩემ
ცოდვილისათჳს შენდობას იტუოდეთ:-

გ) შვიდი მამაკვდინებელი ცოდვანი, ფერადებით დახატულია
ხეების მსგავსად და თითოეული ცოდვა განხილულია. თავდება მე-კმ
რვეულით. ბოლოს: „დამწერელი ამისი მთავარ დიაკონი მიტროფანე
უდალლობ უფალსა“:-

დ) წიგნაკი მცირე რაიმე მცირე რაიმედ შემოკლებით თქმული
აღსარებისათჳს. ამას აქვს ცალკე ფურცლის სათვალავი და შეიცავს
იღ რვეულს არა სრულს.

ნ. ღრამატიკა ანტონ კათალიკოსისა, დაწერილი ქალღმრთე ნუ-
სხა-მხედრულის ხელით, ხის უდაში, ტყავ გადკრული. ბოლოს უწე-
რია: სრულ იქმნა 17 — $\frac{9}{12}$ — 82 იუზენ სადიდებლად შენდა სი-

ტყუარ და უბიწოდ შშობელისა შენისა: უღირსი დიაკონი გაიოს: ვმადლობ უფალსა.

თავში სთაურის ქვემოთ თარიღი, აუ როდის დაუწერია ანტონის დრამატია:

წელსა დასაბამითგან სოფლისა 7275

წ განკორცელებითგან სიტყვას ღთისა 1767

თთუწასა მუათურთმეტესა რიცხუსა 20

სულ შეიძავს 152 ფურცელს. ბოლოს ხეთი მუხლი აკროსტიხისა: ჭრთმული აკროსტინხად ქებაჲ მუკლედთა შს. მისის სიმაღლის მოძღურის მის გაბრიელ მღვდლისაგან: რომლისა კიდურ წერილობა არს ესრეთ:

ივრთა კათალიკოზი მაქსიმოი იქებოდენ აწ ჩუწნ მიერ.

7. მეტაფრასი, 28X21 სანტ. ნაწერია სქელ ქალაღდზედ შენიერ ნუსხა-ხეცურით. ხის უდაშია ოქრავ გადაკრული. 34 რვეული და კიდევ 6 ფ. (142 ფურც). თავი: „წთა შს მშისა ჩნისა იწე ოქროზირისაჲ: სიტუჲ იგვისა მისთჲს მეზუწრისა და ფარისეველისა. მხო გუხენ:“ დასწეისი: „საუყარულხო ორნი კაცნი“. ბოლო: „მასვე დღეს სიტყუა ეურემ ასურისა წმთა მოწამეთათჲს“.

დასასრულ არს წიგნის ბოლოში მიწერილი დედნის ხელით: „არა ეგრეთ საწადელ არს თჳაღთა შს სპეკალ მანგოფინნი მოთჳკვანი გინა ვარდისა ფეროფნება არა ეგრთ დატკბების ჰირსა შა თაფლი არა ეგრეთ საამო სასმენთა შა მუსიკა და საუნოსთა შა არამატისა და დაღიის სუნხელეპანი და ეთა მუსკულთა შს დაღამეპანი ვითარ იგი არს კსენება წთა ჰირსა შა წისასა და დღესასწაული მედღესასწაულეთა შს რ (რამეთუ) მართალ არს და ნამდვლ მართალ სიტყუა იგი წყირილისა ვდ რომლისაგანცა ვინ ძღუეულ არნ მისდაცა დამონებულ არნ ამით საწადელითა ძღუეფითა ძღუელმან და სასურველისა თჲსისად დამონებულმან ტროფიალმან წყირილისამნ და [მ]სკავსად ფუტკრისა შემურებულმან უჴავილთა მისთამან სქესით ვემე (ჯიეთმე?) ჩიჴავსემან და ჰატოფით მთაფარ ეპისკოპსმნ ედ სამღუდლომან მეუფემან ანტონიოს შიბრძანა წიგნისა ამის ვერ სრულებისა წყირით განსრულებაჲ კმაღთა სასუიდელითა რლიცა იყო დიდს ხეთშაბათმდე დაწერილ კეთილ ხელოფნისა ვისკანმე და ვიწვე მე ოცდა მეორით

რვეულით რომელი არს სიტყვა დიდისა ხუთშაბათისა და სრულ ვჰყავ ვე ოხჰანადმდე: უკეთუ იხილოთ მხილველთა ამისთა რელიქსა არა სათნო ოქნი (თქმანი, თქმულნი) ნუ შწევთ ად შემინდვეთ მე დისთაჲს: მე უაქმ ვიყავ წერასა შა ამისა შეკრულ ორითარე ჯა- ჭკითა ჰლდ მართალ და წესურ წერისა მეცადინობითა და მეორედ წერილთა კეთულ თხზულ და ნაკუმტებითა გარნა ჰლა იგი უმოსწრა- ფესად ვინმარე ხ მეორისადმი დაბრკოლების მიზეზ მექმნა უცა- ლოებითა ჩემითა უმრავალჯერეს ღამით წერაჲ გარნაცა არცა ესე არს საზიზდ რლისთაჲსცა ქუმ მთწერიელი ვითხოვ კურთხევით კსენე- ბასა, თთუმსა იულისსა: ა: წელსა ოჯსსა ჩდე (1795) ტფილისს. უღირსი იოანნი ოსეს ძე იკონომოს დეკანოზი ტფილისსა შინა სიო- ნისა: „ნაწერია სქელ ქალაღდზედ მშენიერ ნუსხა-ხუცურით. ხის უღამია ტუავ გადაკრული.

8. მეტაფრასი, იწყება 8 სექტემბრით, თავდება აგვისტოს 15. ას მეჩვიდმეტე გვერდზე წერია ასომთავრულით: „დაწერა: წა: ესე: მეტაფრასი: ბრძანებითა: და წარსაკებულთა: ჩიჯავადის: მთავარ- ებისკოპოსის: ანტონისათა: ქალაქს: ხონს: ჰალატს: წის მთავარ- მწამის: გისათა: თა: სკდენბერსა: ით: კლითა: ჩმ: ცოღვლისა: ქართველის: ლაზარესითა: ქს: აქეთ: ათას ღლა (1771 წ.):“

მე-193 ფურცელზედ ასომთავრულით კინფარ შერეულით: „ღო: შე: ჩიჯავადე: მთავარეპისკოპოსი ანტონი:“

წიგნის ბოლოში დედნის ხელით: „ღბა და სრლმუოფელს ეისა კთლისსა: სრლ იქმნა წე ესე და სლთა გნმბარწინვებელი მეტაფრასი ძალითა დმათა: ბრძანებითა არხიურის ანტონის ჩიჯავა- დისათა:“ (ამას შემდეგ გადაწერი შენდობას თხოულობს) „და მე ტფილის ქალაქელსა ლაზარეს დამწერინს თთვესა სკდენბერსა: ით: დასამამითგან: კსოთ: ქს აქთ: ჩლა (1771 წ.):“ ხის უღამია შავ ტუავ გადაკრული. დაწერილია სქელ ქალაღდზე ნუსხა-ხუცურით. წიგნი სრულია.

9. კონდაკი, სამღვდელმთავრო. 30×20 სანტ. 171 ფურც., ნუსხა-ხუცურით მე-XVIII სუკუნისა. თავში მიწერილია მერმენდელის ხელით ასომთავრულად და მხედრულად ერთი და იგივე ბრძანება:

„ჩუმს ედ სამღვდელომ მთავარეპისკოპოსმან ანტონიმ განგო-

ცხადე თქვენ წულუკიძეს კაცის: ჯობს ბაბუის ადგილის უიღვის დასტური და თქვენ ნებს დაგურთევიტ და მათ მოგუეიდეს სამოსხ-
ლო და ვინაი საზღურითა და ამისთვის ადვსწერეთ ამა კონდაკსა
შინა საუგუნოდ მოკსენება თქვენი ცხრველთა და მეუდართა უამს
მსხვერპლის შეწირვისასა: ხოლო აწ ეპისკოპოსნო შდ ჩემსა გზით
და დეკანოზთა გიბრძანებთ რათა არა უგულუებულს ჰყოთ განწესება
ესე ჩემი (ხუცურშია ჩუენი) ად მარადის მოკსენებასა (ხუცურში—
მარადის რარადის მოკსენებას) უოფდეთ ესრეთ ვითარცა ადგვიწერია
კონდაკსა ამის შინა: - მთისსენე უფალო წულუკიძე კაცია მეუდლით
და ძეგბითურთ სასუფევეელსა შენსა ან: - თავი: „საღთო ჟამის
წირვა მამისა ჩნისა იოანე თქრობირისა: - ბოლო: „და ჩამოალო-
ცონ წესთამებრ“. ხელთნაწერი დაწერილია სქელ ქაღალდზე. ზის
შე ტუეუ გადაკრულ ხის უდში.

10. ცხრგრება და მოქალაქეობა ნეტარისა ანდრიაის რი იქმნა
სალოს ქეს თს (კინოვარი), 16×11 სანტიმ. თავი: „მანო ჩე-
მნო და მონანო უანო“. ბოლო: „გამოვიდა შრ და წრვდა იგი
ანდრამისა მახლობედდ ფოლორისა მას ბნელსა და ბურვილსა და ადე-
სრულა მშდლობით“. დაწერილია ნუსხა-ხუცურით სქელ და თეთრს
ქაღალდზედ. 23 რვეულია და კიდევ 6 ფურცელი. ზის ხის უდში,
რომელიც გადაკრულია ტყავით. ეკუთვნის მე-XV^{III} საუკუნეს.

11. კლემქისი ანუ კიბე იოანე სინელისა, 22×16 სანტ. თავი:
„ესე საცნაურ იუავნ უთა“. ბოლო: „მდილ შემწმულ ძუაღთა
მოშურნეთასა“. წიგნი შუადგენს 50 რვეულს ანუ 400 ფურცელს.
37 რვეულის შემდეგ კვერდზედ დედნის ხელით: „ყოფლად უდირ-
სმან ახიერმან. და მთავარ ეპისკოპოსმან ანტონიოს¹⁾: ვიღვავწე სამ
ათუელი ესე კიბე სათნოებათა ცად მეუანი ესე სღთა (სულთა) მო-
მღვითი წიგნი კლიმაქისისა: გვედრებით აღმოშკითხველთა ლოცვისა
შთამოგაინებად ჩემდა რა (რათა) თქნტა კსნილ იუენთ უფლისა
შრ. აღიწერა ნომბერსა გ ქესითგან ჩლოვ (1776 წ.)“. იმავე
ხელით: „ღთო შეიწაღე ამ წიგნის მდივანი სამღვდელი დიაკონი

¹⁾ გარდაიცვალა 1822 წ. 17 ივლისს, კვირა დღეს საღამოს (იხ.
მიხი ანდერძი).

მიტროფანე ან“. აქ თავდება ზირველი ნაწილი, სულ 37 რვეული. მეორე ნაწილი შეიცავს 13 რვეულს. დასაწიისი: „იონესგან სინელი-სა სამ ათნი გვარნი კიბისა აღსავალთაებრ თქმული“. ამ ნაწილის ბოლოს: „,ჯ სამებაჲ ერთო ღმერთ მთავარო დიდებლ ჭუჲჲ ორთაჲ სინტოცხელთა აფსზ-იმერთა ზოგადი მწეუმს მამად მთავარი. დიდი უფალი კათალიკოს ჰატრიარხი მეფის ძე იოსეთ: - რლისა ბრძანებო-თა სრულ ვეჲ წიგნი ესე უღირსმან დიაკონმან მიტროფანე თთვეს იგნისსა კზ: წელთა ქესითგან 1777“. ამჲვე ხელით: „ღმერთო შუე ამ წიგნის მწერალი სამღვდელო დიაკონი მიტროფანე: ვინც მენ-დობა მიბრძანთ: თქვენც შეგინდოს ღმერთმან ან“- წიგნი ნაწე-როს სქელ ქალაღღზედ ნუსსა-ხუცურით. ზის უდაში, რომელიც გ-დაკრულია შავ ტყაუთ.

12. წიგნი ამმონიოს ერმისისაჲ, 26 X 17 სანტ. ზირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე გვერდი აკლია (დაუწერელია). შეიცავს 32 რვეულს ანუ 256 ფურცელს. თავი აკლია: იწეება: „,უოფი ზოგადი“. ბო-ლო აკლია. იწეება: „,აკრძობებენ ბუნების გარემისა მჲუ...“. ხელნაწე-რი დაწერილია სქელ ქალაღღზედ ნუსსა-ხუცურით მე-XVIII სუჲე-ნისა და ზის მოვარაჲებულ ტჲჲჲ გადაკრულ ხის უდაში.

13. ანტონი დიდის ცხოვრება, 22 X 16 სანტ. მე-XVIII ს-უჲენის ხელით: „,თვეს: იანვარსა: იზ: ცხოვრება და მოქალაქობაჲ წისა მამისა ჩნისა: და წინამძღურისა უდაბნოს მეოფთაჲს: ანტონი-სი: აღწერილი ათანასის მრ აღექსანდრიელ მთავარ ეპისკოპოსისა: გგზნ რ(უფალო)“ (კინოვარი). თავი: „,კეთილი თანა მსრბოლე-ლუბაჲ“. ბოლოს: „,და განმხრწნელთა კაცთა ნათესავისთა“. ხელ-ნაწერი დაწერილია სქელ ქალაღღზედ ნუსსა-ხუცურით. შეიცავს 11 რვეულს და კიდევ 4 ფურცელს (48 ფურცელს). გადაწერილია მი-ტროფანე გრიგორაშვილის ხელით.

14. კურთხევა ეკლესიისა (კინოვარი), 23 X 17 სანტ. სათა-რით: „,ღომენტი სანატრელი და უღ წ: წუალობითა ღთისთა კათოლიკოსი: მცხეთისა ქართლისა: რანისა: კახეთისა: სრულიად ოსე-თისა: სამცხე: საათაბაგოსი: მაკურთხეველი გასწავებ უთა შუელთა ეკ-ლესიისა ჩემისთა: თუ რა არს ეკლესია. ანუ ტრანჲჲი: საკურთხე-ველი: გინა: საღხინებელი და კანკელი. შემდეგ სწერია: „,უამთა ვი-

თარუბისგან მიწრალთაგან გარყვნილ იყო და ეს კახეა და შიმღემ-
ნი ამისნი განწყისებანი ახლად ვიძიეთ და ვპოვეთ ბერძულისაგან და
აწ ქართულად გრდმთავთრკმინეთ უნაკლულად სამთავრულ ეპისკოპოს
ოჯს კაბრიანეს რ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან და
იმის უბრძანე და გრდმთავრკმინეთ და დავაბეჭდვინეთ საფასითა
ჩინთა ვინტ კელდ შიდილოთ შინდობას ჰუოფდლოთ ჩინთს: . ჟამსა
ამაღლებულის დიდისა მთვისა უისა ვახტანგისა და ძისა მისისა ბა-
ქარისა: ქვისა: ქეს (ქრისტეს) აქეთ ხლით (1719 წ.) ქართულსა:
ქვის უზ“. თავი: „ეკლესია არს ტაძარი დისა“. ბოლო: „თა
შმით და სლით წითრთ აწ შდის და უგნი (უგუნითი) უგნი (უგუ-
ნისამდე) ან (ამინ)“. ბოლოში მიწერილია დედნის ხელით: „გან-
სრლდა სშეპსა ერთრსეპსა და მწლოსა დბა: დაბეჭდა ქექსა
ტფილისისა: კელითა გარსეკან უწულისა მდდდის გბრეკისათა თთვე-
სა ინგრსა: იბ: ქვის: უზ: აღიწერა კელითა უდიკისის მღუდლის სი-
ონის დეკანოზის ნიკოლოზისათა: თჯთ სტამბის ნაბეჭდიდამ გარდმო-
მიწერია სრ (სრულიად) უკლებათ ქეს აქთ: ჩდობ (1772 წ.)“:
წინეთ დაბეჭდა ქალაქსა ტფილისის კელითა გარსეკან უოფილის
მღუდლის კაბრეკისითა. თთვესა იანვარსა: იბ: ქვის: უზ: ხელწვე-
რთა სქელ ქალაღზედ ნუსხა-ხუცურით, ნწ ფურცელი. ზის ხის უდა-
ში ტყავ გადაკრული.

15. იგივე, 23 X 17 სანტ., ნუსხა-მხედრულად, სქელ ქალაღ-
ზედ (96 ფურცელია), ხის უდაში ტყავ გადაკრული, მე-XVIII საუ-
კუნის ხელით.

16. დედმატიკა (ანტონის). ბოლოში მიწერილია დედნის ხე-
ლით: „აღიდოს დთნ ორთავე სუფეკათა შა მღღელე-მთავართ მთა-
ვარ ეპისკოპოსის ანტონი რლისა ბრძანებითა დაიწერა წა ესე უზა-
კველი და ულითურთ უნაკლულო საფელასოფოსო წიგნი დღეგრძე-
ლობით უწინეე ცოდვანი მისნი შეუნდოს დნ ან: .

და მე მონაზნი მიტროფანე დიაკონზნი დაწვერე აწ გვედრეკობ
უთავე რნიცა მიემთხვნეთ წიგნსა ამს რა მელა მომიკუნოთ შინდო-
ბით რა თქნცა მოგაკუნოს ქეზან დთნ სასუფეველსა მისსა:-
დბა დთსა გათავდა საფარას საბა ლავრისსა წელსა ქეს აქეთ ჩდობ
(1778 წ.)“. სულ 18 რვეულია ანუ 144 ფურცელი. ფურცელი

ნახევარი თაბახია. ზის შავ ტუპვ გადაკრულ ხის უდაში. ნაწერია სქელ ქალღღებედ ნუსხა-ხუცურით.

17. ეფრემ ასურის წიგნი ლავსაიკონითურთ, 34×17 სანტ. ქალღღებედ, 53 რეუელია (124 ფურცელი) ნახევარ თაბახობით, ორ სვეტად, ლამაზი ნუსხა-ხუცურით, მე-XVIII საუკუნისა. ბოლოში: „წო იჯ ქე შე ელითურთ განთლებდის და გწმედლის მნკლელ არქიერის იოსების არქიმანდრიტი გერმანე წინამძღურის-შვილი რწ აღაწერინე წიგნი ესე სლთა გწმნათლებელი ეფრემი ლავსაიკონითურთ სრული და შემოკობილი საფასითა კანდაკისა ჩემისათა, საკსრად სულისა ჩემისა მოსაკეხებელად (დანარჩენი განკებ არის ჩვენგან გამოშვებული). აღიწერა კელითა უღირსის მდღლის სიონის დეკნზის ნიკდზისათა.. (განკებ გამოშვებულია ჩვენგან) და სრულ იქმნა წიგნი ესე ძალითა ღმთა: თვეს სკეღენბრსა ა ქეს აქთ ჩდნზ (1757)“. წიგნი სრულია. ზის ტუპვ გადაკრულ ხის უდაში.

18. იგივე, იმავე ზომის, ნუსხა-ხუცურით, მე-XVIII საუკ., დაწერილია სქელ ქალღღებედ, ზის ტუპვ გადაკრულ ხის უდაში. დახეული, დაბნეული და ნაკლები. ბოლოში მიწერილია დედნის ხელით: „ღო შე ცდ ვფი ბერების გლხკი მონზონების სხელის დებად არა ღირსი უბადრუკი ინე (იოანე). გლთ მეცნიერმნ უწუის გლს მოდგინედ ვინებე შრომა რიც ასე უკმარად წამხდარსა დამწვარს წიგნს შეეწოტოდა: და ვისაც ღწ განკითხვის მდლი მოგწნიჟს თქნ სცნობთ რთმედ ახლის დაწერა მერჩინა ნუღარამც მოვადნ ჩმწწა ესე ვწრი სწირთჲ საქმე: ამის მეტი არ მოეკლო: და თუ ცთომილი ჰპოოთ: შემინდეთ: და შრომთათს ღცვა ყვთ ჩმც დვილისათს: რა ღწ თქნცა თა ნადებთა თქნთა მიტყვებთ მიგმდლოს: დაიწერა მონსტერსა ნთლის მცემლისსა უღბნის:“

19. ღირსისა მამისა ჩნის ეფრემ ასურისა ეპისტოლე იწეს მწთ მონაზნისა. მოთმინებისათს და რა არა ვსტუბოდით გღის სიტუჲთგან მიფეზთა სამართალთათა. და თქმითა ვდ მძოვრად წარვად და სიწმიდისათს: წიგნი ესე სკითხავად: მწო გვხნ: თავი: „მრავლად ვასწავუთ ღწის მოშიშსა თუოდარეს“. ბოლო: „და უთა სკნეთა მწთ უკე (უკუნისამდე) აწ (ამინ)“: ხელნაწერია ნუსხა-ხუ-

ცურით. 32×22 სანტ. ზის ტყავ გადაკრულ ხის უდაში. ეკუთვნის მე-XVIII საუკუნეს.

20. ხელთნაწერი, რომლის თავი იწყება ასე: „ოჯწყება ჭშუტნის ჭამლობათა მწუხრად ქეს შობისა (ათორმეტი შობის და ნათლის ღების)“ (კინოვარი). ბოლო: „უნნი თქნ კეთილ სლითა (სულითა)“. დედნის ხელითვე: „დმერთო აცხონენ ამისი დამწერი გრიგოლაშვილი მიტროფანე“. ხის უდაში შავ ტყავ გადაკრული. ნაწერია ნუსხა-ხუცურით სქელ ქაღალდზედ. 30×20 სანტ. მე-XVIII საუკუნისა.

21. სამღვდელმთავრო კონდაკი, ხელნაწერი, ნუსხა-ხუცურით, ხის უდაში, ტყავ გადაკრული. ბოლოშია მიწერილი დედნის ხელით: „მათმან უდ (ყოფლად) სამღვდელთებამან მთავარ ეპისკოპოსმან ანტონი ტომით ჩიჯავასემან აღმწერინა წიგნი ესე სამღვდელმთავრო, რღისა სახელი კურთხეულ იუფნ ურისა ჩნისა იესოს ქეს მრ მე მღაბალსა და უდ (ყოფლად) უღირსსა ხუცეს კაბაონსა ოსეს, ძესა ზაქარია მოძღურისა, რღიცა უთა (ყოველთა) მრ აღმოკითხულთა შენდობას ვედრებით ვმოქმენობ რა ივინიცა შენდობილ იქმენ უდ წის სლისა მრ დღესა მას განკითხვისას: სრულ იქმნა შეწვენითა ქს ღისათა სეკდენბრის კტ ქეს აქეთ ჩეიდ (1814 წ.). ხელნაწერია სქელ ქაღალდზედ ნუსხა-ხუცურით. ზის ხის უდაში, რომელსაც აკრავს ტყავი. 103 ფურცელია.

22. უწყება მასლის წმინდასა ტრაპეზის ზედა დასახმელისა. 33×22 სანტ. ბოლო: „მამისა და ძისა წის სლისა აწდა მარადის და უკი უკე ამინ“. ხელნაწერია სქელ ქაღალდზედ ნუსხა-ხუცურით, ხის უდაში, ტყავ გადაკრული.

23. სჯულის კანონი მეექვსისა კრების იე მმარხველისა. წის მამისა ეფთჳმი მთაწმიდელისა თარგმნილი. 32×22 სანტ. თავი: „წესი და განგება ას სამეოცდა რვათა წთა მამათა:“ ბოლო: „და სხვანი რღნიცა იზონენს მეგობარნი შეაჩუტნენს“. ხელნაწერია ნუსხა-ხუცურით შავ ტყავ გადაკრულ ხის უდაში. მე-XVIII საუკუნის ხელით.

24. სადღესასწაულო შობისა და ნათლისღებისა, მიტროფანე გრიგოლაშვილის გადაწერილი, მე-XIX საუკუნის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს. სხვა მხედრული ხელით ბოლოს სწერია:

„ჩენგ-ს წელს აზრილის დ—მიიცვალა იმერეთის უპისკოპოსი უფოფიმი.

იმჟე წელს თვესა და რიცხუსა მიიცვალა დეკანოზი ანტონ ქუთათელაძე.

ჩენგ-ს წელსა თებერვლის ით—მიიცვალა იმერეთის მიტროპოლიტი დავით“.

25. მეტაფრასი მთავარანგელოზისა და მოციქულთა, 116 ფურცელი, უღაში, ნუსხა-ხუცურით. შეიცავს:

1) ნოენბერსა 6 ჰანტელევიმონ დიაკონის დიდის ეკლესიისა თხრობაჲ სასწაულთათჳს და საკურველებათა დიდებულისა მთავარ ანგელოზისა მიქაელისათა და სხუთა მთავარანგელოზთათვის.

ამ სტატიის ბოლოს უწერია: „ქჳსა. ჩ.დ.ი.6:- (1718)“.

„ერისთობსა დავითისსა (დ'თისსა). და ქეთა მ'თთა. შანშესა იასესაჲ. და რევაზისსა. საუკუნთმცა არს. კსენებაჲ მათი:“

„მამამანო და ძმანო წ'ნო. ლოცვა ყავთ ცოდვილის (ც'ნი) არსენისათჳს ხუცეს მონაზონისაჲ, რომელმან ადგსწორე ოხორებაჲ და სასწაული მადალთა შინა ანგელოზთა მთავრისაჲ მიქაელისაჲ ძღუნად შეწირულად იკორთას მონასტრისაჲ. წინამძღრობასა ქრისტეფოროესსაჲ: კ'სნ ან:“

სსკა და სსხა ადგილს არშებუჲ ამის ტექსტის იკითხება: „დ'ო შ'ე ც'ი არსენ და დედა მისი მარინე“.

2) მოსაკსენებელი წ'ისა მოციქულისა და მახარებელისაჲ მატათეოზსა:- თ'ა ნოენბერსა: იგ: ამის ბოლოს: მათე მახარებელი მკობეკემენ ამის მჩხაბავს ფ'დ ცოდვილს არსენს და ჩემს დედას ფ'დ ცოდვილს მონაზონს მარინეს: ძმანო: დ'ის მოყვარენო შიხსენეთ რათა თქვენცა მოგიხსენოს უფალმან.

3) ნოემბერსა იდ: მოსაკსენებელი წ'ისა მოციქულისა ფილიპესი.

4) ცხოვრებაჲ და ქადაგებანი წ'ისა და ყოვლად ქებულისა მოციქულისა იოანე (იე) დ'თის მეტრეპოლიტისა. აღწერილი ჰქობორეს მიერ მოწაფისა მისისა. ამის ბოლოს: ლოცვა ყავთ მამისა უფთჳმესთჳს რომელმან ესე თარგმნ(ა). არაშედ ბილწისა და არა კეთილის ფრიად ცოდვილის ხუცეს მონაზონის ამის მჩხაბავის არსენისათჳს დ'ის სიუვარულის(თჳს) გულისმოდგინეთ ლოცვა ყავთ რათა შელხი-

ნოს დღეს მას საუკუნესა შეიხებოთა თქუწნითა: . ძმნო ნუ მწევეთ, რამეთუ გამოუცდელი ვიუფ წერასა: . ანამედ ვერ ურწ ვეკმენ იორ-თის წინამძღუარს ქრისტეფორეს საუკუნომდა არს კსენება მის(ი)¹).

სიან ხონის ეკლესიის სიგელ-გუჯრებისა, რომელნიც წარუ-დგენიან იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონიოსისათვის მო-თხოვნილებისამებრ ხონის ეკლესიის ილუმენს გასად ქუთა-თელასქს 1829 წელს²).

1. მეფის ალექსანდრესაგან დადებული წერილი ხვანთ-ქრის ხარჯის საქმეზედ, სამას ორმოცდა რვის წლისა (1660).

2. მეფის ალექსანდრესაგან გლეხის რუხადის შეწირულობის ღრა-მოტა, **ჩღმმ**-ის წლისა.

3. მამუკა ჩხეიძისაგან გლეხის ბალანჩივადის შეწირულობა, **ჩღმმ**-ის წლისა.

4. მურძა ჭუბაბრიასაგან გლეხის ტანტურისშვილის საქმეზედ და-დადებული წერილი, **ულმ** წელსა (1745).

5. იოსებ მთავარეპისკოპოსისაგან ბაქის შეწი-რულობა, **ჩღნ**-ის წლისა.

6. მამუკა ბატონისშვილისაგან გლეხის ტანტურისშვილის შეწირუ-ლობა **ჩღნ**-ის წლისა.

¹ უკანასკნელი ორი ხელთნაწერი (**№** 24 და 25) არ არის აღნიშ-ნული ა. ქუთათელადის სიაში. ე. თ.

² ჩვენ ხელში გვაქვს გარდა ამ სიისა: 1) მეორე სია შედგენილი ხონის ეკლესიის ილუმენის ვასილ ქუთათელადის მიერ 1822 წელს. ამ სიაში მარტო წნ სიგელ-გუჯარია აღნიშნული. თარიღები ნაჩვენები არ არის. იქ სადაც სოლომონ პირველზეა საუბარი უწერია: „ალექსანდრეს ძისა“, სადაც სოლომონ მეორეზეა ლაპარაკი უწერია: „არჩილის ძისა“. ვინაით-გან 1829 წლის სია უფრო სრულია და უკეთ შედგენილი, ამიტომ ჩვენ ამ სიას ვმეკუდავთ; 2) პირი რაპორტისა ილუმენის ვასილ ქუთათელადისა, რომლითაც მას სიგელ-გუჯარნი წარუდგენია 30 მაისს 1829 წ., და 3) კვი-ტანცია ტიტულიარნი სოფეტნიკის გაბრიელ ქართველოვისა, რომელსაც სოფრონიოსის ბრძანებით მიუღია 99 სიგელ-გუჯარი 6 ივნისს 1829 წელს. თარიღებიანი გუჯრების რიგი ჩვენ ქრონოლოგიურათ დავაწყვეთ-სიაში რიგზე არ არის. უთარიღონი ბოლოში მოვაქციეთ. წერილში, ანუ ორდერში, რომლითაც სოფრონიოსს მიუმართავს ილუმენ ვასილისთვის,

7. პირველის მეფის სოლომონისაგან ნიშნის და საჯვროს განწესების ღრამოტა **ჩღმდ**-ის წლისა.
8. მისივე მეფის სოლომონისაგან საუდიეროს ამოკვეთილობის ღრამოტა, **ჩღმდ**-ის წლისა.
9. მისვე მეფის ყმის ყვიცარიძის შეწირულობის ღრამოტა, **ჩღმდ**-ის წლისა.
10. პირველის მეფის სოლომონისაგან გლეხების ჭანტურისშვილის და პაპავასი შეწირულობის ღრამოტა, **ჩღმმ**-ის წლისა.
11. მამუკა ჩხეიძისაგან გლეხის ბალანჩივაძის შეწირულობა, **ჩღმთ**-ის წლისა.
12. სათაედებო წერილი ლოლაბერიძეებისაგან მიქელ დეკანოზზედ, **ჩღმო**-ის წლისა.
13. პირველის მეფის სოლომონისაგან გოუხის ბახტაძის შეწირულობა, **ჩღომ**-ის წლისა.
14. ანტონი მთავარეპისკოპოსისაგან შესამოსლის შეწირულობა, **ჩღოზ**-ის წლისა.
15. მამუკა მდივნისაგან მიცემული უღაობის წერილი დათუნა ბახტაძეზედ **ჩღოდ** წლისა.
16. თამაზა ჯოხაძისაგან გლეხის ყვიცარიძისაგან შეწირულობა, **შღმ**-ის წლისა (1778).
17. მთხოველებისაგან პირობის წერილი ანტონი მთავარეპისკოპოზზედ, **ჩღპბ**-ის წლისა.
18. ბერი რატინისაგან კიკალიშვილის ადგილის მიცემულობა, **ჩღპბ**-ისა წლისა.

სწერია შემდეგი: „ორდერი. ხონის ეკლესიის იღუმენს მამა ვასილს. ყოველნი საეკლესიონი გუჯარანი, სიგელნი და წერილნი იქონებიან თვსთა მონასტერთა, უდაბნოთა და ეკლესიათა შა, განურჩეველად და უღაფთროდ. წ ვინადგან იმერეთის მმართველობა ითხოვს ხშირად საქმეთა შა საღაოთა სიგელთა და წარდგენასა შა მათსა წარმოებს დაყოვნებაჲ უქონლობისა გამო მათისა ჩემს კანცელარიასა შა; ამისთვის მე აწ მიუცილებელ საჭიროდ შეერაცხე შეკრება მათ სიგელთა ერთად, და შედგენა კომიტეტისა გასარჩეველად მათსა და შთასაწერად დაეთარსა შა; რომლისა გამო წარმოგიწერ თქვენ, რათა შდ მიღებისა ამისსა დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ კანცელარიასა შა ჩემსა რეპორტთან სიითა ყლნი გუჯარანი, სიგელნი და სხუანი წერილნი, ვითარნიცა იქონებიან რწმუნებულსა თქვენდა ხონის ეკლესიასა შა თვნიერ დატყვებისა ერთისადა მცირისა ვითარისამე ბარათისა. სოფრონიოს არხიეპისკოპოსი იმერეთისა. მისის კდ დღესა, ჩყკთ-ს წელსა, № 346“. ე. თ.

19. დადიანის კაცისაგან ადგილის ნაკორზაუს შეწირულობა, **ჩქპ**-ისა წლისა.
20. ნიკოლოზ ლოლაბერიძისაგან გლეხის ბალანჩივიძის შეწირულობა, **ჩქმ**-ის წლისა.
21. ანტონი მთავარეპისკოპოსისაგან ეკლესიის ნივთების შეწირულობა, **ჩქმ**-ის წლისა.
22. ბეჯან წულუკიძის გამოღებული წერილი ანტონი მთავარეპისკოპოსზედ **ჩქმ**-ის წლისა.
23. მთავარეპისკოპოსის და მახობა ქუთათელაძის განჩინება, **ჩქმ**-ის წლისა.
24. ზურაბ შაჩაბლისაგან პირობის წერილი გლეხს ყუფარაძეზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
25. მეორე მეფის სოლომონისაგან აღმოკვეთილობა, **ჩქ**-სა წლისა.
26. სათავედმო წერილი ბეჯანა წულუკიძისაგან ანტონი მთავარეპისკოპოსზედ **ჩქმ**-ის წლისა.
27. მეორე მეფის სოლომონისაგან ადგილის შეწირულობის ღრამატა, **ჩქმ**-ის წლისა.
28. შევარდენა ბახტაძისაგან გამოღებული სათავედმო წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
29. ბაბუშია კორძაიასაგან გამოღებული ეგეთივე წერილი ანტონზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
30. მამუკელა ტაყეანიძისაგან გამოღებული სათავედმო წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსზედ, **ჩქმ** ის წლისა.
31. სათავედმო წერილი ანდრია იაშანიძისაგან მიცემული ანტონზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
32. დედულია რუხაძისაგან ეგეთივე მიცემული წერილი ანტონზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
33. მახობა კოპეშვიძისაგან გამოღებული სათავედმო წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსზედ უმას კაციელა კოპეშვიძეზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
34. ივანიკა ბახტაძისაგან გამოღებული ეგეთივე წერილი ანტონზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
35. ეგეთივე წერილი მარკოზია და სხვათაგან მიცემული ანტონზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
36. დავით მღვდლის კაკაბაძის და სხვათაგან ეგეთივე მიცემული წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსზედ **ჩქმ**-ის წლისა.
37. ხუტუნია კაკაბაძისაგან გამოღებული სათავედმო წერილი ანტონი მთავარეპისკოპოსზედ, **ჩქმ**-ის წლისა.
38. სენიელა კოპეშვიძისაგან გამოღებული სათავედმო წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსზედ **ჩქმ**-ის წლისა.

39. ესე ვითარევე წერილი დათუელა კოპეშავიძისაგან მთავარ-ეპისკოპოსხედ მიცემული **ჩპმ**-ის წლისა.

40. ესე ვითარევე წერილი მახარობელ სანოძისაგან ანტონხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

41. ესე ვითარევე წერილი დედულა რუხაძისაგან მიცემული წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

42. ივანია წვერავასაგან მიცემული ეგეთივე წერილი ანტონხედ, **ჩპმ** ის წლისა.

43. მახარობელ ჯოხიძისაგან მიცემული ეგეთივე წერილი ანტონ მთავარეპისკოპოსხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

44. ესე ვითარევე წერილი დედულია რუხაძისაგან მიცემული ანტონ მთავარეპისკოპოსხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

45. მახობელა კოპეშავიძისაგან გამოღებული სათავდებო წერილი ყმის ლეკველა სანომეზე ანტონ მთავარეპისკოპოსისადმი, **ჩპმ**-ის წლისა.

46. ლოლაბერიძეებთაგან მორიგების წერილი და ნიშნის ამოკვეთა, **ჩპმ**-ის წლისა.

47. ადგილის ნაკვაზაზაოს გადაწყვედილობა, **ჩპმ**-ის წლისა.

48. გიორგი კოკიასაგან მიცემული პირობის წერილი ყმასა წიმწივაძეხედ ანტონ მთავარეპისკოპოსისადმი, **ჩპმ**-ის წლისა.

49. უკანასკნელის დედოფლის მარიამისაგან მამფორიებხედ წყალობის წერილი, **ჩპმ**-ის წლისა.

50. ფაღვების გამოღებული წერილი წიქვაძეების საქმეხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

51. დათუელა ფანცულიასაგან სათავდებოდ გამოღებული წერილი მეფეხედ, **ჩპმ** წლისა.

52. ხოყონა კოპეშავიძისაგან გამოღებული სათავდებო წერილი უკანასკნელ მეფეხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

53. მახობა კოპეშავიძისაგან გამოღებული ეგე ვითარი წერილი მეფეხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

54. უნკროსია ბანტაძისაგან თავდებობის გამოღებული წერილი უკანასკნელ მეფეხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

55. გიტულია კოპეშავიძისაგან გამოღებული წერილი მეფე სოლომონხედ ეკლესიის მსახურებისათვის, **ჩპმ**-ის წლისა.

56. წიმწივაძეებისაგან გამოღებული წერილი უკანასკნელ მეფე სოლომონხედ, **ჩპმ**-ის წლისა.

57. ბესო არდისშვილისაგან გლეხს წიმწივაძეხედ ადგილის მიცემისა, **ჩპმ**-ის წლისა.

58. მეორე დედოფლის მარიამისაგან გლეხის ახალაძის შეწირულობა, **ჩპმ**-ის წლისა.

59. ოტია ჩხეიძის შეილებთან ნიშნის დადების წერილი, **ჩპთ**-ის წლისა.

60. სუხნია და ოტია წულუკიძეებთან ასის მარჩილის შეწირულობის წერილი, **ჩპთ**-ის წლისა.

61. ვახუშტი ჩიჯავაძისაგან გლეხების და სახლების წერილი, **ჩპიბ**-ის წლისა.

62. გოგია ქუთათელაძისაგან მიცემული წერილი პირობისა ანტონი მთავარეპისკოპოსზედ, **ჩპიბ**-ის წლისა.

63. ხანდრავებისაგან მოცემული წერილი ანტონი მთავარეპისკოპოსზედ ადგილის ნაკვაძახოს საქმეზედ, **ჩპიბ**-ის წლისა.

64. ყმათ მამფორებთან პირობის წერილი, **ჩპიბ**-ის წლისა.

65. განჩინება იმერეთის მდივანბეგებისაგან ოტია ლოლაბერიძეზედ და გლეხს ყუფარაძეზედ, **ჩპიბ**-ის წლისა.

66. კუბაბროსაგან ქანტურიას დაფიცების წერილი, **ჩპიბ**-ის წლისა.

67. გოგია ბახტაძის და მისი ძმის გამოღებული წერილი, **ჩპიბ**-ის წლისა.

68. ხუტუნა ჯოხტაბერიძისაგან ანდერძის წერილი, **ჩპიბ**-ის წლისა.

69. გრიგოლ კორძაიასაგან პირობის წერილი გლეხთ ბახტაძეზედ, **ჩპიბ**-ის წლისა.

70. გრიგოლა ქაცარაეასაგან გამოღებული პირობის წერილი ნკ³ არხიმანდრიტზედ გაბოლია რუხაძის საქმეზედ **ჩპიბ**-ის წელსა.

71. მთხოველების გამოღებული წერილი ბაყის საქმეზედ, **ჩპიბ**-ის წლისა.

72. ადგილის ნაკვაზახოს განჩინება გიორგი გელვანის და როსტომ ჩიქვანისაგან, **ჩპბ** წელსა.

უთარიდონი:

73. მეფე სოლომონის პირველისაგან ხონელებზედ მიწერილობა, ურიცხვო.

74. პირველის მეფის სოლომონისაგან მიწერილობა ხონელებზე საურის საქმეზე, ურიცხვო.

75. პირველის დედოფლის მარიამისაგან ხონის ეკლესიის ყმათ ბაჟის ამოკვეთილობა, უწლო და ურიცხვო.

76. მაქსიმე მთავარეპისკოპოსისაგან (იაშვილისაგან) ნიეთების შეწირულობის წერილი, ურიცხვო.

77. მაქსიმე მთავარეპისკოპოსისაგან ანჩიხატის¹⁾ შესაწირის განწესება, ურიცხვო.

¹⁾ დედანში სწერია: ანდისხატის. მეორე ნუსხაში სწერია: ანხლისხატის.

78. კაცია წულუკიძისაგან გლეხის ჰანტურისზეილის შეწირულობა, ურიცხვო.

79. ბერი წულუკიძისაგან სეზისკვრის და ზედაშის შეწირულობა, ურიცხვო

80. ივანე დარახველიძისაგან გოგია ბახტაძეზედ ადგილის ნასყიდობა, ურიცხვო.

81. ადგილის ნაკვაზახოს განჩინების წერილი, ურიცხვო.

82. ზოსრუა ქორიძისაგან ადგილის ნასყიდობა გოგია ბახტაძეზედ, ურიცხვო.

83. გრიგოლ დადიანისაგან სანთლის შეწირულობა, ურიცხვო.

84. მაქსიმე მთავარეპისკოპოსისაგან ლოლაბერიძეებზედ მიცემული წერილი, ურიცხვო.

85. ფალავას და წიქვაძეების განჩინების წერილი, ურიცხვო.

86. ადგილის ნაკვაზახოს მოფიცრის ხაინდრავებთ სახელობის წერილი, ურიცხვო.

87. მეორე მეფის სოლომონისაგან ანტონი მთავარეპისკოპოსზედ, მიწერილობა მერდიას საქმეზე, ურიცხვო.

88. უკანასკნელი დედოფლისაგან მოწერილობა ანტონი მთავარეპისკოპოსზედ ახალაძეების საქმეზედ, ურიცხვო.

89. ძველი და დიდი დავთარი, ბეგრის აღწერილობა და სხვა და სხვა შეწირულობა, ურიცხვო.

90. ქუთათელაძის და მის სახლის კაცებთაგან გამოღებული წერილი ანტონი მთავარეპისკოპოსზედ, ურიცხვო.

91. ახალი ბეგრის ნუსხა და აღწერილობა, ურიცხვო.

92. მამუკა ჩხეიძისაგან მოცემული უდაობის წერილი მამისთვალა ბალანჩივაძეზედ, ურიცხვო.

93. დათუკა რატიანის და ზონელების განაჩენის წერილი, ურიცხვო.

94. შუამთილი მამფორიების ჩხეიძებისაგან დაფიცების წერილი, ურიცხვო.

95. გოგიტყიძის იესელასაგან ნაყიდობის წერილი გოგია ბახტაძეზედ, ურიცხვო.

96. ანტონი მთავარეპისკოპოსისაგან ყავჭი მიცემული მიქელ დეკანო(ზ)ზე, ურიცხვო.

97. რუხაძეებისაგან გამოღებული წერილი დიდს მეფე სოლომონზედ ეკლესიის ყმობისათვის, ურიცხვო.

98. უკანასკნელ მეფეზედ გამოღებული სათავდებო წერილი იესიკა კაკაბაძისაგან, ურიცხვო.

99. სიმონიკა წიწვიადისაგან გამოღებული ეგეთივე წერილი უკანასკნელ მეფე სოლომონზედ, ურიცხვო¹).

სოფელ საზანის ეკლესიის ხატის წარწერა.

სოფელი საზანი შორაზნის მაცხარაშია. ამ სოფლის ეკლესია ავაზაკებს გაეცარცვათ; ხატები და ჯვრები წაედოთ. შემდეგ მიეკლათ ნაჭერდალი, თავი ხატი მაცხარისა და ერთი ათონური ხელთბის ჯვარი ოქროს ჩარჩოთი. როგორც ხატი ისე ჯვარი სრულიად დაუმტვრევიათ და გაუფუჭებიათ. ჩვენ ეს ნამტვრევები ვნახეთ ტფილისის სასამართლო პალატაში, სადაც ექსპერტად ვიუჯვით მიწვეული ბ-ნს თ. ჟორდანიასთან ერთად. ჩვენის თხოვნით სასამართლომ ნება დაგვართო და ხატის ნამტვრევები დავაწვეკეთ და ფოტოგრაფიის საშუალებით გადმოვაღებინეთ მუზეუმისათვის.

მაცხარის ხატი შუა ზომის არის დასაკეცი, ვერცხლისა, ოქროთ დაფერილი, შესდგება შუა ნაწილისაგან და ოთხი დასაკეცი ფრთისაგან. შუა ნაწილზე გამოხატულია მაცხარის მთელის ტანით დუთის-შმობლით და იოანე ნათლისმცემელითურთ აქეთ-იქით. ფრთებზე წარმოდგენილნი არიან თორმეტი მოციქული. მაცხარის მარჯვენა

¹) გარდა სიგელ-გუჯრებისა სოფრონიოსს მოუთხოვია 1835 წელს და წაუღია ხონის ეკლესიიდან სამღვდელმთავრო შესამოსელი. ამის შესახებ იღუმენს ვასილს ასეთი წერილი მიუღია: „მის ღირსებას ხონის საეპარხიოსს დეკანოზობის თანამდებობის აღმასრულებელს იღუმენს ვასილს. წარმოწერილობისა გამო იმერეთის არხიეპისკოპოსის და კავალეროსანის სოფრონიოსისა ე-ს იანერიდამ № 1 მოთხოვნისათვის ჩემდამო რწმუნებულის ხონის წმიდის გიორგის სობოროსა შა დაცულის სამღვდელმთავრო შესამოსლისა ყოვლითა მისითა კუთვნილობითა ესე იგი არწივებთა, ჯვარ-სამთლებითა ყოველნი ესე ნივთნი წარმოუდგინეთ სიით იმერეთის არხიეპისკოპოსს და კავალერს სოფრონიოსს დაუყოვნებელსა დროსა შა. სიმონ არხიმანდრიტი ქელიშის მონასტრისა და ხონის საეპარხიოს მონასტრის გამგე. № 4. ჩულე-ს წელსა, იანერის იეს-ს“.

იმევე 1835 წ. 20 იანვარს იმერეთის არხიეპისკოპოსის სოფრონიოსის სეკრეტარს ბესარიონ დოლოპერიძეს მიუღია ვასილ იღუმენისაგან სამი ფარჩის ბისონი, ერთი წყვილი ჯვარ-სანთელი ვერცხლისა და ერთი ონფორი და მიუცია შესაფერი ბარათი (კვიტანცია).

ხელით ჟვარს სწერს, მარცხენაში სახარება უჭირავს, რომლის უდა-
 ბე ჟვარია გამოსტეული. ზემოთ აწერია: **ჰԸԸԸԸ, ԻԸԸԸ**—მა-
 ცხოვარი. დედა ღვთისა და იოანე ნათლისმცემელი სამლოცველოთ
 არიან განმზადებულნი. ამთ აწერიათ: **ԿՅ ԲՆ**—ყოყლად წმიდაჲ;
ԻԸԻ ԻԸԻ—იოანე ნათლის მცემელი. ამთ
 ზემოთ, ორივე მხრით მაცხოვრისა ანგელოზებია წარმოდგენილი ნა-
 ხევარის ტანით და თითოეულს აწერია: **ԸԻԻԻԻ**—ანგელო-
 ზი. მცდექელები თითო ორთაზედ სამ-სამია, თითო ზემოთ, ორ-
 ორი ქვემოთ. რიგი მათი ასეთა: მირველ ორთაზე მარჯვნივ: **ԲՆ**
ԸԻԻ—წმიდაჲ ანდრია; **ԲՆ ԿԸԻ**—წმიდაჲ
 ბართლომე; **ԲՆ ԳԻԻԻ**—წმიდაჲ თეოდოზი. მარჯვენა
 ორთაზე: **ԲՆ ԲԻԻ**—წმიდაჲ ზაქარია; **ԲՆ ԻԻԻ**—წმიდაჲ
 იოანე; **ԲՆ ԻԻԸ**—წმიდაჲ ლუკა. მარცხენა დიდ ორთაზედ:
ԲՆ ԻԻԸ—წმიდაჲ იაკობ; **ԲՆ ԸԸԸ**—წმიდაჲ თომას;
ԲՆ ԲԻԻԸ—წმიდაჲ სვიმონ. მარცხენა მარჯვენა ორთაზედ:
ԲՆ ԲԻ—წმიდაჲ პეტრე; **ԲՆ ԸԸԸ**—წმიდაჲ მარკოს;
ԲՆ ԸԸԸ—წმ. დიმიტრი. ძვირფასი ქვები, რომელნიც ამკობდენ
 მაცხოვარს, აღარ არის, მათი ბუდეებია მხოლოდ შერჩენილი და აკ-
 რეთვე რამდენიმე წვრილი მარგალიტი. ხატი შიშველთაგანაა
 ქართლის ღამაზის ვაზის მსგავსი ხედავლებით.

მაცხოვრის ზემოთ და ქვემოთ ღამაზი ასომთავრული წარწე-
 რა არის:

Գ: ԿԻ: ԸԾԻԾԻ: ԸԸԻ: ԾԸ: ԸԸԸ:
ԸԸԸԸ: Ծ: ԸԾԾԸԸ: ԾԻ: ԸԸԸԸԸԸԸ:
ԸԻ: ԸԾԸ: ԸԾԸԸ: ԸԸԸԸԸ: Ծ: ԸԸԸ:
ԸԸԸԸԸԸ. ԸԸԸ: ԸԾԸԸԸ: ԾԸ ԸԸԸ: ԸԸ-
ԸԸ: ԸԸԸԸԸ. ԸԸ: ԾԸ: ԸԸԸԸԸԸ: ԸԸԸ:
ԾԸ: ԸԸ: ԸԸԸ: ԸԸԸԸ. უჭარავით:

ჩ: ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებასა მამკობი და მა-
 დიდებელი შენი კოსტანტინე, ძე მუჟეთ მუჟისა ბაგრატიისი, და თა-
 ნამეცხედრე მათი ელენე და ძენი მათნი: როსტომ, გიორგი და
 სვიმონ, რომელთა შუამკვეს ხატი ესე ოქონის“.

ამ წარწერაში მოხსენებული კონსტანტინე არის ძე იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა. კონსტანტინე გადაიცვალა 1587 წელს. მის შვილებთა შორის აქამოდე ცნობილნი იყვნენ მხოლოდ როსტომ († 1605) და გიორგი († 1639), რომელნიც მეფობდნენ იმერეთში. სვიმონი ზირველად იხსენიება ჩვენს წარწერაში. აგრეთვე ბროსეს გენეალოგიურ ტაბულაში ცნობილი არ არის ელენე, თანამედროდრე კონსტანტინესი. ჩვენი წარწერა პირველად გვაშენებს ამ ორ ზირთ და მით ავსებს ბროსეს მიერ შედგენილს გენეალოგიურს ტაბულას (იხ. H. G. II, 1, p. 642—643). ზემოხსენებული ხატი ტიპიური ნიმუშია საქართველოს ადრამინების ხანის ოქრომჭედელობის ხელობისა და ეკუთვნის მეორე ნახევარს მე-XVI საუკუნისა. სამწუხარაა მისი ასე გაფუჭება.

ე. თაყაიშვილი.

და მ ა ტ მ ბ ა ნ ი.

მე-17—19 გვერდებზე მოთავსებულს ცნობებს კილაძეთა გვარეულობის შესახებ უნდა მივხატოს: კილაძე ლომკაცი და მისი მეუღლე ჩხეტიძის ქალი ასტანდარ, მოხსენებულნი ბიჭვინტის გუჯარში 1629 წ.; კილაძე ჰმრი(?) 1519 წ.; გუსტან კილაძე და მისი შვილი ჯავახი. უკანასკნელს შეურთავს მეფის ლუარსაბის და 1549 წ.(?). (ამათ შესახებ იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები II, გვ. 448, 343, 390). ერისთავი ივანე კილაძე და ბუბა მოხსენებულნი არიან მარტვილის წარწერაში (იხ. ზემოთ, გვ. 51—52). სვიმონ კილაძე წინამძღვარი მე-XVII საუკ. (იხ. ზემოთ, გვ. 192).

შენიშნული ცდომილებაანი.

გვ.:	სტრ.:	სწერია:	უნდა იყოს:
3	7	ზემოდამ	ანგელოზები
—	6	ქვემოდამ	მე-XV
22	11	—	მე-XVI
		მეთურამეტე საუკუნის დასასრულს	მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში
35	3	ზემოდან	ა
44	1-2	—	ანგელოზები
131	2	ქვემოდამ	268—269
191	1	—	ამეყ
272	2	—	ვაძეყ
		მეთურამე	მეთურამეტე

განყოფილება შიდა

ეთნოგრაფია: სახალხო სიტყვიერება

ხალხური ლექსები

(ქართლში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ)

ისტორიული ლექსები

1

თამარ დედოფალი

თამარ დედოფალი ვიყავ;
თავი ძირს აღარ დავიდე,
სტამბოლს ხმალი ვგარ, დარუ-
შამს საბაღასე ავიდე. [ბანდს,
ზღვაში სამნები ჩაგუარე,
ხმელეთი ჩემსკენ დავიგდე.
უსიერი მთა გავგაფე,
დიდი შარა-გზა გავიდე;
დადა-ღუდა ტყე ვიარე,
ჭვანჭვან საუდარი ავიგე.
ამ საქმეების მომქმედმა
ცხრა ადგილი ტილო წავიდე.

2

რ უ ს უ დ ა ნ ი

ჩვენს იქით ერთი ველაა,
ია და ვარდი ჭეფენია,
შიგა დგას ღვიფი, თათარი,
გარს უმანი დაუყენია.

გასწერა, გაჯავრდა რუსუდან,
სულ დაიფანტა უმანია:
ჩემს შიგრიეს დამიძსკეთ,
სუ მამიჩემის გვარია!
ფსოცოთ და ფსოცოთ თათარი,
როგორც შეუღულა ხალია,
გამეჭტა ერთი თათარი,
შეგონა ცხენის ნალია,
გამოვუღე, შემოვუგარ,
კბილებში მოვსწერ თავია.

3

ქეთევან დედოფალი

ორშაბათ დილა გათენდა,
დრუბელი, ავი დარია,
მდევები ერთათ შეიბნენ,
მიწა დაიძრა წყალია.
თოფის ხმა ქუხილად მოდის,
ნეტავ რა ქარიშხალია?!
იმიხი ცოლი ჩიოდა,
ძრიულ უმაწვილი ქალია,
ამისი სხელი არის
ქეთევან დედოფალია.

1

4

მარიამ დედოფალი და
მეფე სოლომონ

სეტა რა არის მისთანა,
ამომავალი შინისათნა?
ღედის მუცლიდან შობილი —
მარიამ დედოფლისათნა?
მიწაზედ აშენებუდი —
სომხითში თელეთისათნა?
ულუაშ კოკორი ემაწვილი —
ი შეფე სოლომონისათნა?

5

ფარსადან ხელმწიფე

ჩვენსა ფარსადანს ხემწიფეს,
ტკუა რამ შეუშალა?
ღელეში გზები შეტვიკრა,
კაცი არ გაატარა.
საში ათასი თუმანი
თავის ქალს გაატანაო.
გაუსტა როჭიკანთა,
იწია ხმალ-და-ხმალაო.
— ბიჭო, დაგვესვენ, ფარსადან,
ხუმრობათ ეგა ემარაო!
გაუსტა ციციანთა,
წუადს აქეთ გადმოფარაო,
ბუნისი იმას აჩუქა,
ქარელი დაიტანაო.
კარზედ გამართა წისქვილი,
ზედ წუადი გადაივანაო,
ურსურ-ურსური ფაჟატი
სკოლაში გააბარაო.

ერეკლესა და მასა ოძების
შესახებ ძვრებთან

6

ერეკლე და ფაშა

ეს ურჯულო ერის ფაშა
ერეკლეს აქშალაო,
ასეთი ჯარი შეყარა,
თვალი ვერ გადაუწვდინაო.
სამსი რუსი კატაგნა,
იმისთვის ისიც კმარაო,
დალაბანდი დაუკარიო,
გაუწერა ჯარსა, ჩქარაო.
თითო ზარბაზნის სრულითა
სამოცდა სამი ყარაო.
რაც რომ ზარბაზნს გადაურჩა,
ის მტკვარმა უფო ძალაო.
დაცხა და დადგა ლაშქარი,
აგრილდა, აიყარაო.
დროს ისე ეწირვებოდა,
რომ ჯარი შეიყარაო.
პირველ მსახურად იახლა,
ცხენ წინაც გაიმძღვარაო,
კბილეში ხმალი შემოტკვრა,
ულუაში დაიტანაო.

7

ერეკლემ ცხენი გაჭუსლა,
ცხენსაც ხო გაჭდგა ჩქაფანი,
აივსო ხევი, ხეხუფი,
ცხენს უსველდება ფაფარი,
უკრავად კაცსა მოჭკლავდა
ამისი ცხენის ქაქანი.

8

ახატ-ხან წამომდგარიყო,
 თან მოაქვს მთა და ბარია,
 თორმეტ ათასი პატი ჰქეპ,
 ჯარია შეომარია.
 მთაზე დაცა კარავი,
 ქვეშ დადგა ოქროს სკამია.
 დურობინდით გამოიხედა:
 —სად არის ღორი ჭამია?
 წადით, ცოცხლები მომგვარეთ,
 ერთსაც არ მოჭრათ თავია,
 ეს რო ერეკლემ შეიტყო,
 საქრისტიანოს გულისთვის
 წელს შემოიკრა ხმალია:
 მიიქეღე, ქართლო, კახეთო,
 შვილები ხართ თუ ძმანია,
 ერთი ზღვა გადმოვარდნილა,
 ვერ გადაწვდებოთ თავალია,
 ცოლ-შვილს უელებს დაგვიტრინს,
 მაშინ დადგება თვალია,
 გავიტეოთ, ვერსად წაუვალთ,
 ცხენი არა გვეყავს მალთა.

9

ისე ადიდდა ახატ-ხან,
 თავი ძირს აღარ დაილო,
 აქ მე ვარ, სტამბოლს ხონთქარი,
 ექენი ჩემთან რა იყო!
 განჯის ხანს შემოუტია,
 სურსათი ბუერი აილო,
 გოქჩის ტბაზედ რო ჩავიდა,
 იქ ავღინს ჯარი მდგარიყო.
 ავღინებმა შექქმნეს ჩონქოლი,

გუშინ ერეკლეს თქმა იყო.
 ერთი ავღინების უზბაში
 ოქროს უნაგირს მუდგარიყო,
 —ამისთვის გურჯები მამუკლენ,
 ცხენიდამ ჩამომსტარიყო.
 ეს სიტყვა რო დამთავრა,
 ერეკლეც წამომდგარიყო;
 საქრისტიანოს გულისთვის
 ერეკლემ ხმალი აილო.
 ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
 სისხლმა გაილო თქვენანი,
 უნაგად კაცსა მოჰკლავდა
 იმისი ცხენის ქაქანი,
 სისხლისა შედგა შორევი,
 ცხენს შეეღება ფაფარი.
 ასეთი გარბის ახატ-ხან,
 როგორც ხორასნის ჩაფარი.
 ერეკლე უკან მისძახდა:
 —მოსვლა და წასვლა რა არა!
 —რას მამდეუ; გურჯო ერეკლე,
 რა მიმაქვ შენი დავლაო,
 უველა მანდ გამაშეუბინე,
 თოფი და ჯაბარხანაო,
 იმდენი არა მიმაქვს რა,
 სადილი ვტამო ხვალაო.
 —აგრე მოგდეუ თაგრიზამდე,
 ვით წაზარი გარიელსა,
 ცხენ-ჯოხებს დაგურევინებ,
 ძუა ნალებ ლაღინსა,
 სუეველაში გაგაცრევიებ,
 გავისტუმრებ ცარიელსა.
 ხუნძახმა ცხენისა მიჰმართა,
 მუხლი ვერ გაიტანაო,

კედ ქვეშა სდებდა ლაგამის
თავი სდ დაძმულად?

— რა დაგემართა ხუნძისთ,
რა სხილამ შეიძლე,
შენ გვ ცხენი არ დაგადებს,
ცოტა წელში გაიშლე.
ისე შეშინდა ხუნძისი,
ველარ ჩაიფა ჩესტური,
შე აქეთ აღარ წამოვად,
ქართველთ სცოდნით ხუსტური.

10

გურჯო ერეკლე, რად მამდევ,
რა მიმაქვ შენისთანაო,
სულაც მანდ დაგიყარევი
თოფხანს, ბაგარხანსო.

11

ნეფე ერეკლემ დასტეივლა
მა თავის გორდა ხმაღსო:
„შენ რაღას იტყვი, ფრანგულთ,
რატო არა მტკემ ხმისო?
— უშიშრად შამშიტიე,
შელაფში მამეცი ძაღსო,
გაკვეთა ჩემზედ მოაკდე,
სად გაუგორებ თავსო.“

12

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ჩაიფა ჭაჭვის ჰერანგი,
გაჭკრა სელი და განია.

13

ერეკლესთან ბატონსა
გვიან გაზღის დედა შვილსა,

ჯერ დაჭმრთავს წისკვილებსა,
შერე ადვილად დაჭმლისა.

14

ნეფეს ერეკლეს დროშია
შორს მოვიძუე ძრთხანი,
დაწვექი და დავიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი.

15

ერეკლესთან ბატონსა
ველარ გაზრდის დედა შვილსა,
ჯერ ხომ დეთის მლოცველია,
შერე დამხსნელია ტვეისა.

16

თქრანით ქალებ მოვიდა,
თვალე უკვანდა ქორსო;
ქალაქზედ შამიარეს,
ჭფიღკენ ერეკლეს მზესო.
ერეკლეს დაუბარებავ,
დუბო, სუ ირთავთ ქმრებსო,
ჩამოვად გაზაფხულზედა,
ძაღლებს (მტრებს) ავადენ მტვერ-
ქალო, სქმარეს მოგიკლავ, [სო,
ზედ გადავაფრენ ცხენსო.

17

ლევან ბატონიშვილი

ბატონიშვილო ლევანო,
აბრეშუმის მღვწარო.
ბატონიშვილს მოუხდება
თეთრი ჩოხა ატლასისა,
ზედ სარტყელია ფურჩუხტისა.

18

გიორგი მეფე

გიორგი ნუფემ რა გვიყო,
რა საქმე მოგვიდინანო,
კადმოგვირეკა რ...ბი,
ბეგარა გავგინინანო.

19

ქარაყლის მეფემ აშენა
გელესია მთაზედაო,
საქართველთ სხვას დაუთმო,
თვითონ დარჩა მშრალზედაო.

20

გიორგი მეტამეტეს ერთი კოჭ-
ლი მხლებელი ჰყოლია გვარად
კაბაშვილი. ერთხელ გიორგის
უბძანებია ამ გაბაშვილისთვის:

გაბაშვილო, გაბაშვილო!
არ განცვია კაბა, შვილო!

წადი, მომიტია შენთვის ოჭ-
რო-ყანა, დელისი, თხინვალა,
წადი, იარე, შენი გამხდარი ცხე-
ნით შეტსაც ვერ შეისძლებო!

ასე ურიგებდენ მეფეები მამუ-
ლებსაო", — დაუმატა ამის მთქმე-
ლმა.

21

თ ა მ ა ზ - ხ ა ნ ი

თამაზ-ხანი გადმოვიდა,
თან გადმოჰყუბა დიდი ჯარი,
ეწინ ბადდადი ზილო,
განჯას შემთარტუა ჯარი.
განჯელეებმა კარი მიხურეს,

არ შეუშვეს ნიაგ-ქარი.
თითო გამოცხვარი ჰური
თითო მინათლული არი.
შეშა რა გედარ იშოვეს,
ფარჩით ხარშეს ბრინჯის ფლავი,
მოტუეუბით წამოვიდა,
სულ ზივლო მთა და ბარი.
დმერთო, შენ მიეც თამაზ-სანს
ღვთის რისხვა და ზეცის აღი!
ემაწვილის კალო გადუწა,
დედამიწის იტურის აღი.

22

ზედაუელაზედ გადმოდგა
ოსმალო და თათრის ჯარი.
ჯერ დაუშინეს თოფები,
შერე ამოიღეს ხმალი.
საპირისწამლე უხრწოლეს;
ზეცას აღიდა აღი.
ქვეთი ბური დახოცეს,
ცხენიანი მაგრა არი.
დედას კატი მოუვიდა,
გადაკიდულს მოგვაქვს მკვდარი;
ლოყას ხელი ჩამოიკრა,
ჩამოღვარა სისხლის ღვარი.
— შეილო, ქორწილს გიბრებდი,
უნდა მამუეუნა რძალი.
ოქრთს ქსოვილზედ დამესვა,
თვალ-ყუყუნა თეთრი ჭალი.

23

ბ ი კ ო

ნიკოზ სთქვა: სარდალი ვარ,
თუ რომ ჩემი ცაიტება,

შეიდი დღე და შეიდი ღამე
 დაჯდა, წვერი შიღება,
 თუ გორის ციხე ავიდეთ,
 ქართლი ჩვენი შიქნება.
 მჭადის ჯვარს რომ მივატანეთ,
 საქმე მამის გაჭირდება.
 იქ რომ ბებერმა*) საქმე ჰქნა,
 ის არ უქნია სხვასა,
 თრი ბეჭადი მოგვიკვლა
 მთელ ზურვილ დაღისტანსაო,
 მესამე რა გამოვიდა,
 დახე იმ ჭკუა მდგანსაო!
 ესროლა თავის მამანი,
 მთარტყა შუა ძვალსაო**).
 იმისი ჭამა ქელები,
 მჭადის ჯვარს ეღო თავსაო.
 ღმერთო, აცხონე ბებერი,
 წავიდა თავის გზასაო.

24

ტყვე ქალი

მანდ რომ ქალი დავიკარგე,
 განჯას თასარის ვუეგარო,
 ქიშიშითა გასუქებული
 გაბადრულ მთვარეს ვგეგარო!
 მაცვია სიასმური,
 მაშიებზე ვდგეგარო.
 ღამაზ-ღამაზნი ვაყვანო—
 სულ ჩემო მოსადეგარო,
 თითა თუმანი მოკრიბეთ,
 დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო!

25

ქუთაისს მოედანზედა
 დაშქარი შეიურებოდა:
 სმირი ცალ-თვალე შეფე
 სუფურაზედ დარიცდებოდა.
 ამასთან თვალნიღულები—
 ნახე, თუ რა იქნებოდა?!

26

ხეკორძულას წყალი მისვამ,
 მცხეთა ისე ამიღია,
 დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
 კარგათ რისთვის ავიგია.

27

(ვარიანტი)

ხეკორძულას წყალი მისვამს,
 ცხეთა ისე ამიგია,
 არც მტკვარი და არც არაკვვი
 ცვარი არსად ჩამიშვია,
 დამიჭირეს, ხელი მამჭრეს,
 კარგი რისთვის ავიგია?!

28

სამნი ოსტატნი დავსხედით,
 თურქი, აფხაზი და მესხი,
 სანეფო კაბას ვკეკრავდით,
 მინდა დიდ-კილო დამესხი.
 ნეტავი, წყალო, შენ მესხი,
 ღვინოვ, ადგილზედ დამესხი.
 ცეცხლო, შენ რაღა გაწვინე?
 მტერივით თაფზე დამესხი?

*) ამ ბებერ ღელაკას თავის ხელით დაუხოცია ის სამი ბელადი.

**) ისევ ბებერმა ღელაკამა ესროლა.

29

იმერეთ, ოდიშ, აფხაზეთს,
გურიას ვიყავ თამაში,
მას ჟამად მეფე შესიზმრა
ქალი მივართვი თამარი.
მას ბევრი რამ გავატანე
რცხო ბურასა ქამარი.

30

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე

ამოტირდა ალექსანდრე
ქალბურის წყრილი ხმითა.
რა ვქენ, რაზედ ვაჯაგრებდი
ჩემის დედა-მამის შვილს?
ჩაგსუღიყავ ქიზიყშია,
ღვინით დავიბანდი ჰირსა.

31

ბ ა გ რ ა ტ ი

ნეტავი, შვილო, ბაგრატო,
გველი მეშობნა, შენ არა,
მუხასა შემოჭხეოდდი,
ჩერქეზის ქაღასა შენ არა.
მუხისა ქერქი გეცვითნა,
ღიბა ატლასი შენ არა.

32

(ვარიანტი)

ტურფა ბადი და წაღვოტი
კვლითა ვილა შენარა.
ნეტავი, შვილო, ბაგრატო,
გველი მეშობნა, შენ არა!
ასკილასა შემოხვეოდდი,

ქალ ჩერქეზისსა შენ არა.
მუხისა ქერქი გეცვითა,
ღიბა-ატლასი შენ არა!

33

ც ი ც ი ა ნ ო ვ ი

დაიქადა ციციანმა:
მიხდა ერთი განჯა გნახო,
არ მინახავს განჯის ციხე,
მინდა თვალით დავინახო.
განჯის სანმა შეუოვალა,
ჩემთან ხელი არა გაქო;
შენ კარი ღია გგონია,
მე კი დაკეტილი შაქო,
ეეინმა სულ მე მიბოძა
ეს ადგილი, ქვეით ბაქო.
შენისთანა ვმადვილები
განჯას ბევრნი ნახულანო,
უცქერნიათ შორიდანა,
ამდგარან და წასულანო.
— ციციანიმც მოგიკვდება,
კარი არ გაგადებინო,
ტახტიდან არ გადმოგაკდო,
თავი არ გაგაკვებინო!
ეგ შენი მაურასუეი
ჩემს სომხებს წავადებინო,
კნეინა გამოფიყვანო,
ხელეებზე ეღას ინაო,
უზახებს წავაუფანინო,
ეს მიიყვანეთ შინაო!
შეიკაზმა ციციანი,
ჟარს გამაუძღვა წინაო,
ოთფი უჭერავ სიათა,

ხმალი—ფრანგული რკინაო.
 რომელიც უკან დადგება,
 ლომივით შეუბღვირაო.
 წავიდა და იქ ჩამოხტა
 კანჯის გაღაფნის წინაო,
 შეუთვალა კიდეუ ხანსა:
 .გარეთა ხარ, თუ შინაო?
 მოჰმართა ზარბაზნები,
 სულ მტვრები ადინაო,
 გამოიფანეს კნეინა,
 ხელეძგე ეღო ინაო,
 ჩაბარა უაზახებსა:
 ეს წაიფანეთ შინაო.

34

იქით შუშა, აქეთ ბაქო
 ორთავენი. ხელში მაქო,
 შენ კარი ღია გგონია,
 მაგრამ დაკეტილი მაქო,
 შენი ციცამც მოგიკვდება,
 კარი ვერ გაგაღებინო,
 ტახტიდან ვერ ჩამოგაგდო,
 თავიც ვერ დაგაგვრეინო,
 შენი საღდათის შუბები
 სისხლში ვერ შეგაღებინო.
 ნუ მამკლავ, ჩემო მუსაო,
 ცხენს მოგცემ არაბულსაო,
 ოქროს უნაგირს დაგიდგამ,
 ჩემქვესულ (sic) შეკაზმულსაო.
 წამოიფანა, არ მოკლა
 ქალაქში აცხობის ზურსაო.

35

(ვარიანტი)

ზაფხული არი სამთახე,
 ჯოჯოხეთია ზამთარი,
 ხელმწიფეს გადაეკიდა
 აღი-ოსმელი თათარი,
 ზარბაზნები დაუმართა
 ტყუია-წამალი მზათ არი,
 ქვეიდანა გამორობდა
 წვერ შედებილი თათარი,
 ნუ მომკლავ, შენიჭირიძე,
 შენ გენაცვალს მუსაო,
 უნაგირს ცხენს განუქებ
 შეკაზმულს ოსონდულსაო,
 არ მოკლა, წამოიფანა,
 ქალაქში აცხობის ზურსაო.

36

ბ ა რ ა თ ი ნ ტ კ ი

მოგილოცავ, საქართველო,
 ბრათინტკი მობრძანდება,
 ხელმწიფემ წააღობა მოგვცა,
 ნამესტნიკად დაბრძანდება.
 რაც რომ მწუნარება ვნახეთ,
 ახლა სულ დაგვავიწულებო.
 კავკასიას აღზდილია,
 მისთვის უფრო გვევკარება,
 უგელს გვიცნობს და უფარვართ,
 სურს ქვეყნისა გაკეთება,
 სწავლა, ვაჭრობა და გზები
 ჩვენში ახლა განკმელებო.
 ამაზედ ვეკვი ვაუჯანსა

მთებშიც დაუმორჩილებია,
 ხელმწიფის მთებს, საქართველოც
 ჩვენ ვაჩვენათ მორჩილება,
 აბა შესეთ სამესტნიკსა,
 როგორ უცხოთ მობრძანდებთ,
 რა მშვენიერის თვალითა,
 რა საფარლათ იცქარება!
 მობრძანდით ჩვენო ხუკუმო,
 ჩვენ გულთა კარო გვეღება,
 გულში დაგიდგეს შენ ტანტი,
 სიყვარული ფებსა გეშლება.

37

მ ა ლ ა თ ო ი

(მადათოვი)

მადათოვი აიწია,
 ჯარი ქვეით შეაქუნა,
 გატეხს უარსის ქალაქი,

აღზევანი აამტვერა.
 ახალციხეს შეუთავადა:
 სამ დღეს ვერ გამოიღებ შენა!
 ახალციხეს რა ჰქელო,
 ქოსა ფაშა მაიშველა,
 შეთოფეებს შეუტია,—
 წამალს ვერ აჭარბებთ თქვენა.
 მათ წამალი დააჭარბეს,
 მაშინ ნახე მათი ხველა.
 ჰასკევიჩი გამოვიდა,
 უღვაშები გადამშვენა,
 მაიმართა ზარბაზნები,
 ფინთი ბური დააქუნა,
 საქონელი გამოტეკა,
 სულ ცხვრის კილოდ დააქუნა.
 რუსეთისკენ ჰირი უყო,
 უკან რუსი დაადვენა,
 დუშეთზე ამოატარეს,
 ჩემის თვალით ვნახე მენა.

სხგა-და-სხგა გჭარბეულობის თავადების შესახებ

38

გივი ამილახვარი

ეს გივი ამილახვარი
 მტრისაგან შეტევეშალაო,
 სამკვიდროები დააგდო—
 სამთავისი და ქალაო,
 სურამის ციხე აგო,
 ცათამდინ აიუვანაო;
 შიგ წინქვეილი დააბრუნა,
 წყალი შიგ შეიუვანაო;

ხუშურ-ხუშური მეთოფე
 ანაბრად გამოთავალაო.
 —ჩქარა ჩამოდიო, თასრებო,
 გორზედ ავიდოი ბალაო:
 სოლომან ჰკითხავს ამბავსა,
 გივი რა ემაწვილიაო?
 —რა მოგახსენო, ბატონო,
 ცოცხალი უმაწვილიაო.
 ცხენზედ მჯდომი დანახო,
 იტევი, რომ შეკრიკაო,
 შეიდახზედ ნაბურთალი

ქორიით გამოვლანაო,
ისე მოამტვრევს ცინესს
ვითომ ფუტურთ ხეა.

39

ამილახვარსა გივსაო,
ცინე უდგია ქვისაო,
შავა და შიგ მოსვენებს,
არ ეშინიან მტრისაო.

40

ქსნის ერისთავი
შენია, ქსნის ერისთავო,
ორჯოცინე და წინაბე,
ვინც მაკას შემოგეცილს,
თავი მოჭჭურ და მიჭვიდე!

41

დალიანმა შემოუთვალა ერის-
თავს:
თავადო, ბრძენი ბრძანდები,
რას სტირი და ვახ-ვახ-ვიშობ,
ჭირსა შემდეგ ღვინი მოსდევს,
თუ ბრძენი ხარ, რათა ჭვიშობ?

42

მუხრან ბატონიშვილები
მუხრან ბატონის შვილები
მტრისთვის არის სუფარლები,
გლახის გაკითხვა იცოდენ,

საქონელი ჭუჭუდათ ბევრი,
მაგრამ ისე დაიხატენ,
ვერს ნახეს მეზობელი,
იმით უნდა გაჭდილოვდათ
წინ ხუთმეტი წმინდა ღვდელი *)

43

შენ, ჩემო ძმაო დათენი,
რას გინდა წუთი სოფელი?
სახლად მოგცემ სამათხესა,
იქ მოგივა უფლისთეორი,
სახლიკაცად გეუფლებს
მიქელი და გაბრიელი.

44

ქსნის ხეველები
ქსნისხეველები შეითქვენ,
— გარდვიქცემ მტრიცე ძმანია:
ჩაუხსტეთა მუხრან ბატონსა,
თავს დაჯაქციოთ ბანა!
შევიდეთ, გამოვიტანოთ,
თვალ-მარგალიტი, ლალია,
მოფტატოთ, წამოვიუფანოთ
თვალ-ჟუჟუნ თეთრი ქალაი.

45

თუმანიშვილი თბილელი
კინ შეაუენს ბერადა?
მარჯვენა თვალით ბრმა არაის,
ფენი გაჭქონდა ვეკადა **).

*) ვარიანტი: სამოცდა თორმეტი ღვდელი.

***) როგორც გარდმოცემა ამბობს, ამ თბილელს აუშენებია მე-
თვრამეტე საუკუნეში დიდი საყდარი სოფ. ხელთუბანში ათორმეტთა მო-
ციკულთა სახელზედ, რომელიც დღესაც მთლათა სდგას უგუმბათო. სი-
ზმარი უნახია, დაასრულებ თუ არა, მოკვდებო, გაუნებებია თავი უგუმ-

46

სვიმონ მაჩაბელმა შემოუთვალა
მამამზე ერისთავს (ეს მამამზე პო-
ეტობდა და სულ მხესა და მთვა-
რეს აქებდა):

„სად მთავარეა, სადა მსკო?
რას მიჰქარაჲ, მამამსკო!“ *

47

მუხრან ბატონი წიგნსა სწერს,
შენ წაივითხე მდივანო,
ყველა თავადი აქ არის,
სადა ხარათ, ერისთავიანო?!

48

თუმანიშვილებისა და ერის-
თავიანთ მტრობა.

ერისთავმა შემოუთვალა:
ხელაუბანს ჩამოგისტებით,
თუმანიანო ჭკიბო!
სასიქლს და კაღოს დაგიწვავთ,
სასხლეს გაგიფაკებთო,
შინ რომ უფეროსი რძალი გეავთ,
მოზერულად დაგიმაკებთო! **)

ბათოსთვის. რო მომკვდარა, 700 თუმანი ფული დარჩენია და თუმა-
ნიანთ შეუტამიათ, აღარ დაუსრულებიათ საყდარი. ამ საყდრის ამშენებე-
ლი შიგა მარხია, დიდი მარმარილოს წარწერაა საფლავზედ.

*) ეს მაჩაბელი ძალიან თავისებური კაცი იყო: ძალიან ეჯავრე-
ბოდა თურმე რ...ბი. ბიჭებს ეტყოდა ხოლმე: „აბა გაიხედე, ბიჭო,
რ...ბი წავიდნენ, თუ აქვე არიანო?“

თავად-აზნაურების შეთქმულობის გამო დაქერილი ყოფილა ბიძინა
ერისთავთან და სხვებთან ერთად მეტეხის ციხეში სამი წელიწადი. რამ-
დენი სტანჯეს თურმე და ვერაფერი ვერ ათქმევინეს. რო გამოუშვეს და
ცხინვალში ავიდა, ხიდზედ ერთი თავისი ყმა ურია შეხვდა. მიესალმა,
მიულოცა, ძალიან მიამა, ბატონო, თქვენი განთავისუფლებაო, მაგრამ
მიბრძანეთ, თქვენი ჰირიმე, რაზედა ბძანდებოდით დაქერილიო?

— შე მამაძალლო, რ...ბმა სამი წელიწადი მტანჯეს, ვერა მათ-
ქმევინეს რა, და შენ გინდა ცხინვალის ხიდზედ მათქმევინოვო?!

**) ერისთვანი და თუმანიანი—მდივნები გადაკიდებულები ყოფი-
ლან. ერისთავი მეფე ერეკლეს ჰხლებია ომში, რომელ ომში, გარდმო-
ცემა არ ამბობს. ეს თუმანიშვილიც იქა ჰხლებია მდივანად. მეფე ერეკ-
ლეს დასჭირებია ქალაქში კაცის გამოგზავნა; ყველაზედ სანდოდ ერის-
თავი უცენია. ძალიან საიდუმლო საქმე ყოფილა და ერისთავს მოუხსე-
ნებია, იქნება მტრებმა დამიჭირონ, მე არ ვიტყვი, მაგრამ ვაი თუ ქა-
ღალდი იპოვნონ, ამიტომ აუყრია უკანა ფეხზედ ნალი ცხენისათვის, ის
ქაღალდი შეუხვევია, ნალს ქვეშ მოუქცევია და ისევ დაუქედვინებია
ცხენი და წამოსულა. უსარგებლია თუმანიშვილს და თათრებისთვის შე-

49

ქალის სიზმარი
ქალსა სიზმარი ენახა,
კამისდექსა ერისთვისსა:
„მითომჲ ჰქუხდა, ელამდა,
სეკუვას ისრადა ქვისსა,
ერისთვის ბაღში ცვიოდა;

ტოტს ამტვრევს ადვის ხისსა! „
ერისთვის სიკვდილს ამზობენ,
დანელებსა მზისსა!
სნათელსა გაუმსდვარებენ,
კელეპტარს სამთხისსა.
ვედარ მიუვა სხადშია
ვაი დედას მტრისსა!

უტყობინებია: „ერისთავი ქალაქში მიდის, თან მეფის ბარათი მიაქვს, დაიჭრეთ, ბარათი ამა და ამ ფეხშია ნალ ჰვეშაო“.

თათრებს გზა შეუკრავთ ერისთავისათვის, და როცა ის გულდადინ-ჯებით მიდის, გადმოუხტებიან და დაატყვევებენ, ტყვეც ხომ ძვირფასი იყო, მაგრამ რაც იმას ბარათი მიჰქონდა ქალაქში, ის უკეთესი იყო.

— რა უყავ მეფის ბარათი, უნდა მოგვეცეო, დაადგენ თათრები.

— მე უბრალო მგზავრი ვარ, მივდივარ ჩემ გზაზედ, მე არაფერი ბარათი არა მაქვს, რასა ჰკითხოვლობთო, დამდგარა უარზედ ერისთავი, მაშინ აუყრიათ ნალი და უპოვიათ ვრტყლეს ბარათი. ერისთავს ელდა სცემია. მაშინვე მიმხედარა, რაშია იყო საქმე. აბა რას დაიფიქვებდა, დროს ელოდა, თუმანიშვილის ჯავრი ამოეყარა. თუმანიშვილს დიდი სოფელი ჰქონდა ქართლში გორს ზევით, 700 კომლით დასახლებული. ეახლა ფაშას ერისთავი და გამოსთხოვა ჯარი, უნდა ქართლში გაევიარეშოვო. მისცა ათასი კაცი და ჩამოვიდა თათრის ჯარით ქართლში. გამოუგზავნა კაცი თუმანიანთ და შემოუთვალა ეს ლექსი.

გარდმოცემა მოგვიტბრობს, რომ მართლაც აუკლიათ ხელთუბანი და მიწასთან გაუსწორებიან. წაუყვანიათ ხალხი ტყვედ, სხვათა შორის, იმისი ცოლიც, რომელმაც ერისთავი გასცა. ტყვეები სკრახედ გაუტარებიათ. თუმანიანთ რძალს ძეშუთა ბავშვი ჰყოლია, თურმე დავარდა და გელარ მისდევს სხვა ტყვეებს. ერთმა თათრის უზბაშმა უბძანა კაცებს, წაართვით ეს ბავშვი, დახეთქეთ და მოჰკალით, ხომ ხედავთ, მაგ ქალს ამძიმებო. შეჭრწუნებულმა დედამ სთხოვა, უფროსი მაჩვენეთო. მოახსენეს ერისთავს. მაშინვე მივიდა იმის სანახავად.

— ნათლია, შევედრა თუმანიანთ რძალი, ნუ მომიკლავთ ამ ბავშვს, ამას არაფერი დანაშაული არა აქვს, მე რაც გინდა მიყავითო (გარდმოცემა ამბობს, ნათლიები იყვნენო). შეეცოდა ერისთავს და უბძანა, ცხენზედ შეეცავთ და ისე წაეყვანათ.

ე ზ ი ტ ა ფ ი ე ბ ი

50

მეფეს, დადიანს, გურიელს
სამთავ ჰქვავთ ჩვენი ასული,
სამკანვე მიჯდა დედოფლად,
ცას ქებით ჰქუანდა ასული.
ბოლოს ჟამს მიწად მივიქტე,
ქვეუნიდან ვიფავ გასული.

51

ოთხი ნივთისა სრწნილებით
ვარ მტვერი, მტვერად წვეული,

დავტოვე სხელი სწუთოთ,
შენიღგან ვიქმენ ეული,
მეკობართ, მოუვართ გაგძორდი,
არს განწინებით ჩვეული.
მე ზურაბ აუმიანიშვილს
არ მივის ძე შემკვიდრეული.
ამ მარმარილთს მიმოსავს
ქანატო, ჩემი წნდეული.
სადაცა ჯერ არს, მკუობდეთ.
ოდეს ტანტს იფდეს ზეული.

ს ა გ ძ ი რ ო

52

შენ ბიჭო ანამოურელო *),
შენი ხმა ჩამოდიოდა,
შენი ნახოცი ლეკები
არაკვი გამოდიოდა.

53

კაი ბატონის გარდილი (სიც)
ბალზამის შვილი ბერია,
ამოიღო და გაღესა
თავისი მჭრული ხმალა;
ერთი მისვლით ათი მოკლა,
ღმერთს მოემართნა ხელა,
ცაღენით ურჯულო გონაფდა,
ცაღენით პატარა ბერია.
თავს ერისთავი წაადგა:
„ბერო, სახელი ჰქქენია,

შენი ბიჭობის სახელი
სვეტი-ცხოველზედ სწერა!“

54

პატარა ბიჭი ოსისა
შაკარდენია კლდისაო,
აიღო ხელში სიათა,
ბუნქის ძირს ამოჯდისაო,
—აბა, მოდიოთ, ჭრთველებო,
ვისაც გული გერჯისაო!

55

ციციშვილი ზაქარია
ჰბი რა კაი ბიჭია!
აკრე ტაღავა ჟავახეთს,
მით მოვარიათი ღამეა.
ჯარსაც წვერი გამოსტეუა,
რა იცის ნაომარია.

*) ვარიანტი: „ანანურელო“.

ხელთუბანს რო მოატანეს,
 გზაც აერიათ, ვაღლია.
 ეს წვენი დიდი ღვიძლია
 ანქარებულე წყალია,
 მოსტანა ერთი ათასარი,
 გააგდებინა რჯულია.
 შეიღანსუ კაარსიეს
 ქალი თუ პატარაღლია.
 ღეგები დაქორწილეს,
 მეღას დასწერეს ჟვარია *)

56

ბატონის იაღაღზედა,
 მტერო, რას შეგებუები,
 მოგიბრუნდები, სმალსა გერავ,
 ტეშლად არ შეგებუები.

57

მთიულთ, მთაში გარდილო,
 ხმალს როდის მოგიშვიღება?
 ომში შესვალ და გამოხვალ,
 გული არ შეგიშინდება,
 არ იცი უკან დახევა,
 გული რო გაგიხურდება!

58

ბიჭი უნდა ბიჭობდეს,
 ქარავანი ქარავნობდეს,
 შენისთანა ვაჟივანი
 ჭალაქს უნდა ფალავნობდეს.

*) ამაზედ ვარიანტი:

ციციშვილ ზაქარიასა,
 ღმერთო მიეცი ზარალი,
 ჯერ სამჯერ გაუყინდივარ
 კიდევ დამეძებს კვალზედა.

59

თუშისა დედა ტიროღა
 თუშისა ნათმარზედა:
 დაგვარგე წვრილი ობლები,
 ვერ გამოვასხი ტბაზედა.

60

აქვენი რიგია, ახლებო,
 სელის დადება სმალზედა,
 ეორნები ღეშით ძღვიან
 მამების ნათმარზედა.

61

ვაჟეცო, გულო ჟამარდო,
 შენთვინ აღმართი ვაკეა,
 არა გუავ წვრილი შეიღები,
 არცარა ცოლი მაკება.

62

გასტერი, სმალა და მელავო,
 გულო, ნუ შემიშინდები
 სისხლისა ნაკუბარზედა
 ფენო, ნუ გამიცურდება.

63

ფშავში ხარ, ბიჭად ვარგისარ,
 არავინ გიცქერს ტანზედა,
 ფენს დაჭკრაჟ და გადაჭნტები
 ტრანტიტონ გაღავანზედა.

64

კიდევაც დარდების
 აღკეთს ღეგები მგლისანი,
 ისე არ ამოსწედებიან,
 ჟვარი შეჭამონ მტრისანი.

65

მაშინ კარგია კაი უმა,
 ხმალი რო იზამს ეღვასა,

მოციქულობდეს ისარი,
შუბი აგდებდეს ენასა.

66

მტერო, დამსაგრე, არ ვტინი,
ტირილი დიაცთა წესია,
ბევრჯულ ვუყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიგვნესია;
მაცალე, ერთი გაუმართო
ჩანახით ცუცხლის კეისია,
სულ ერთად მოგამკვივნო,
რაც ჩვენზედ დაგიეთესნია.

67

სოლომონ ბუტულაშვილი

სოლომონ ბუტულაშვილი
კარგა ინახვდა ცხენსა,
დილითა და საღამოთი
ჯერზე ატყევეს ლიტრა ქეჩსა,
დღეში ათჯერ დაიურეებს,
გავაზედ გადაესვამს ხელსა.
შიიტანდა უბოს წუასა,
იპით დაუხელდა წელსა,
ცხენო, ასე შიტომ გივლი,
ადგილს გამომადგე შენცა*.)
სოლომონ ბუტულაშვილი
ქვეით ჯარში გამწესდესა,
ფირაზაში რთ ჩავიდა,
იქ რამი აუტეხესა.
სოლომონ ბუტულაშვილი

*) მე-2 ვარ.:

შენი ღირიმე, ლურჯაო,
შენ გადმარჩენ განსაცდელსა.

მაგრა უდგა ზარბაზნებსა,
გაქცევიოთ ქარსა ჰგვანდა,
სიმაზღეში შავარდენსა.

ათოცი მოკლას სოლომონმ,
დაწერეს და გავაზანესა.
ქალაქში გამოაცხადეს
სუმბათის მინათვესა.
ერთი კიდეგ დაგბრუნდები
სელაწიფის გულიათვინა,
მე შინ ცოცხალი ვერ წავაღ,
მე შინც აქ დაგდური სისხლსა.
დაბრუნდა ბიჭი სოლომონ,
მოაფირითებდა ცხენსა.

სამი რჯულ-ძაღვი ბელადი
დაბლობში ჩაუსაფრდება,
სამთავ უტუებეს თოფები,
ორი სოლომონს მთარტუეს,
ერთი ცხენს მოახვედრესა.
სოლომონ გამწარბუელი
ჩვენს ჯარში გადმოვარდება.
მარმარილუანთ ღაზარე
ცხენს დაუჭერს სადაეკს:
—ნუ გეშინიან, სოლომონ,
კიდეგ ნახავ მამაშენსა!

მე მამჩემს რა მჩვენებს,
მადლა ვხედავ ჭრელად მზესა.
ბეჭებსში თოფი მომარტუეს,
ზირში კომილი გაფარდესა.
ჩემს მეუღლეს ეფემიას
ნეტა რა გაახარებსა!
ცოდო არის, ჩემი ღეში
ამ ურჯულთებს დარჩესა,
ეს ჩემი შავი ქობრო

ამ მთა ადგილას დაღბესა.
 სამი დღე და სამი ღამე
 შესს მიწას მიბარესა,
 ჯარი რო ქვეით დაბრუნდა,
 სოლომან ამოიღესა,
 მთიტანეს აღმას-დანა,
 მთა მუცელი გაუჭრესა,
 შუშინარებში გახვიეს,
 ეტეპი არ აერთდღესა,
 კალასკაში ჩაწვინეს,
 ქვეს ხალიჩა დაუკესა;
 საშობე უღელი ქურანა
 კალასკაში შეაბესა,
 ერთი ეპი დიდი ხარი
 შუალა ცხენს დაჰკიდესა;
 სანა სოფელში მივიდა,
 ის სოფელი დაბნულდესა;
 ქალაქში შემოიტანეს,
 სულ დუქნები დაკატესა.
 ტოლმა და ტოლმა ბიჭებმა
 მოიყარეს თავი თავსა;
 ვაი შენ ჩემო სოლომან,
 რა მარცხი მოგაკლო წყლსა,
 საგარეჯოს თავლის ჩინო,
 ვილა ჩამოიფლის ჩვენსა?
 დედელი სოლომანს ეხვევა,
 სოლომანი ხმას არ სცემსა.
 დებმა ვარკათ დაიტირეს,
 დაადაღეთ სიძეებსა.
 ეფეპია მოიყვანეს,
 ერთი ზირი ატარესა,
 ეფეპია გააბრუნეს—
 მუცელი არ წაუხდესა.

ეფეპია შინ მოვიდა,
 თიტხლავ ლოცინზე დაწვესა.
 დაწვა და ვაჟი ეუოლა,
 ნათლილებულად მონათლესა,
 სოლომანი დაარქვესა.
 ათი წლისა რო შეიქმნა,
 ისიც ჯარში გამწესდესა!..
 ვინც ეს შეირი გამოთქო,
 ტანზე ჩოხა ჩაცვესა,
 ორი მანეთი აჩუქეს,
 უბეშიაც ჩაუდესა,
 თან ხარ-ურეში აჩუქეს,
 ზედაც მეხრე შეუსვესა,
 სანამდი დმურთამა ცაცოცხლოსთ,
 სანამ ის აქ მოვიდესა.

68

ჩამოვიარე დირბსო,
 ბიჭი უწავდა სტვირსო,
 იქ რო ქალი თამაშობდა,
 ურჯულთ დაღისტნისო
 მალლიდამ გადმოჰტყეროდა,
 უგრეჭუნებდა კბილსო.

69

ვაი დედაშენს, უორანო,
 შენ ჩემის ღუშით ჰმდებოდე,
 მე შენი არ მეშინოდეს,
 შენ ჩემის შიშით ჰქტებოდე!

70

კაცი არავინ გამოუა
 ბერი დავითის კისრითა,
 ათი მოუკლავ ხმაღ და ხმაღ,
 თორმეტი ფეხით მისრისა.

71

წახველ და არ წამიუვანე,
მარტო გამიშიე შე შინა,
ნეტაჲო შერ წაგვევანე,
ორიეეს მტერი გვეშინა.

72

ახლა თქვენია ბიჭობა,
სოფელს შეენება თავისა,
ხმალს უნდა აჭრეწინებდე,
იმედი გქონდეს შელავისა.

73

მთიელო, მთაში გაზდილო,
ხმალს როდის მოგიმიფდება?
ომში შესვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება,
არც იგი უკან დახვეა,
გული რა შაკისურდება!

74

კაცნი დიდნი ღიანჭვისა,
თოფები აქეთ ჩხმასისა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეში ნახვენ ღზინსა!

75

(გარიანტი)

კაცნი დიდნი ღიანჭვისა,
თოფები აქეთ ხორასნისა,
მტერსა მტრულად დახვდებიან,
მოკეთეს მისჭამენ ჭირსა.

76

მთიდან მოსული ვაჟკაცი
გეზულ-ქორივით კიოდა,
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.

სამოცი ლეკი მოგვლა,
უვაჟკაცობას ჩიოდა!

77

(გარიანტი)

ორასი თურქის მომკვლელი
უომრობასა ჩიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
გულს სისხლი ჩამოსდიოდა.

78

მეტესს რა ვარი მიუხტა:
ვერ გაისარჯუნს ბლეუბი,
ბოსლებში იმალებოდენ,
როგორც ჩალებში ბუები.

79

მდლა, მალაღას მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩენი მტერი და ორგული
სვამდა, ვერ გამაძღარიყო.

80

მოვალ, მოვშუვი თავდაღმა,
როგორც ხეობის დაფრიში,
სამრად მოვმზადებულვარ,
თოკიღამ თავი გამიშიე.

81

რ უ ს ე ფ ი

რუსეფი რომ დაიბადა,
ღედა-მამა გახარდეს,
შვიდი წლისა რომ შეიქნა,
ცხენის მსუდრად გაწესდეს.
სწერა და სწერა წიგნები
ნერონის ხემწიფესო,
რუსთ ხემწიფემ ჩაიხედა,

რას ძიებენ (sic) გაჭკვირდესათ;
 — ეს ამისთანა მხედარი
 შინ რაღას აკეთებსო?!
 ერთი კვიცი მეტ გავზარდე,
 იაფლას მიბია შეცაო.
 კვ თუ იმაზედ შეჯდება,
 ფეშქაშად მიერთვისო!
 ოთხსა თათურს მოუტერენ,
 ერთი არ დაადგესო.
 შაჯდა ეს შენი რუსეთი,
 რარიკად შეშვენდესო!
 მცას (sic) ეცა, დედაშიწას,
 ბუზივით გამოიწდესო.
 ამ აღმათს რომ შეუყენა,
 ეს ცხენი წაქეცესო,
 ეწვეა კუღსა, არ დგება,
 დახე ამ საკურკულსო!

82

ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ

ანდუჟათარ სანადირთდ
 საქართველო შაჰუარო,
 ტეე და ველი მთიარა,
 მთა და ბარი დაღარაო,
 მშველიც მოკლა, ჭერანიცა,
 უიტლამი კი დაცარაო.

მაჩაბელო, ჩამომესხენ,
 ნუ ხარ ცუდი მასხარაო,
 ცხენი ცხენსა არ მიხალაო,
 არ მომიკლა ჯათარაო.
 სამას თუმნათ ცხენი მიდიხს,
 ორას თუმნათ ავშარაო.
 მაჩაბელმა გააჭენა,
 ცხენი ცხენსა უხალაო.
 ანდუჟათარ გადმოგარდა,
 თაფი ქვაზედ ახალაო.
 დედას კაცი მიუვიდა:
 „ანდუჟათარ მოშკვლარაო.“
 — ანდუჟათარს რა მოჭკვლავდა,
 თუ დვინით არ დამთვრალაო?
 ღოჟაზედ ხელი გაღისვა,
 სისხლის ცრემლი დადგარაო,
 თავზედაც ხელი გაღისვა,
 გიშერ-თმანი დაუარაო,
 კაბაზედ ხელი გაღისვა,
 მარგალიტი დაუარაო.
 მამას წიგნი მიუვიდა:
 „ანდუჟათარ მაშკვლარაო!“
 — ანდუჟათარს რა მოჭკვლავდა,
 თუ დვინით არ დამთვრალაო?
 მაინც ავი კაცი იყო,
 ჯანაბას თუ მოშკვლარაო!

დექსები ღეკებისა და ქართველების დამოკიდებულებაზე

83

ემშაკათა კახეთს წავედ,
 დეკს დაეგო ჩემთვინ მახე,
 ჩემი ღურჯა იქ დავკარკე,

ვიტირე და ვიფატლახე;
 ავიკიდე უნაკირი,
 წამოვედ და ვილასლახე.

84

ლეკებმა რა დამიჭირეს,
თავზე მომაბეს წნეღია,
ზირიქითოში გამეიდეს,
დაჯექ, თამაში ქენია!
ურჯულთ შეუბნებოდა:
— „ეგ შენთვის არაფერია,
შენ უნდა კალო გალეწო,
დაართინო გვერია!“
ავდეგ და გამოვიპარე,
დამე გავტეხე ბნეღია,
ერთსა რუს ზირსა მოვადექ,
ჩაღა იდგა და ლეღია,
შე იქ რა გამაძლებინებს,
ირევა ბევრი გვეღია.

85

ე კაჭიური ცუცუნსა,
მონადირია ტუისაო,
დათესა ხოცამს და ირემსა,
ღორს უშინჯავდა კბილსაო,
თაღარად ჟარუარა უდგა,
არ დაიძინებს ძილსაო.
ცუცუნამ მუშა შეუარა,
ამბავი ქვეუნებისაო,
გადმოუხტება ლეკებსა,
ურჯულთ დადესტნისაო.
ფრანკულსა ხელი მოვისვი,
ეღვა რა იქნა ცისაო,
დაჭკრეს და დაჭკრეს ლეკებმა,
ცუცუნსა დაჭკეს ძირსაო.
ვაიმე, ჩემო ცუცუნავ,
შე საქებურო ხსნისაო,

საიქილს რა წავიდა,
თქრის სკამზედა ზისაო.

86

ქალაქიდან გამოვთხოვდი,
ქალი ვიყავ თინიაო,
მცხეთის ხილთან რა მოვედი,
ლეკმა შემაშისტვინაო,
მაურები ისე დამიფუხვსა,
როგორც წვალში ჭიჭვინაო.
უხეირო ჩემმა ქმარმა
მუხრანამდე ირბინაო,
დალოცვილმა ჩემმა ძმამა
გარე შამამირბინაო.

87

ტყველ წაიყვანეს

— წაუედი ცისსა*) მინდორსა,
კურდღელი მოვკალ ბევრია,
ასე გაველი ღიანხესა,
ფეხი არ დავისვეღია.
კარბი შევირთე ცოლადა,
ტყვეიანი ჩემი გერია.
ის მამასდღი მარანა,
ისიც სოფლებში სწერია!
ერთი ძმა იქ დამეკარგა,
შე დანგრძი მარტონეღია.
მეც ლეკებმა დამიჭირეს,
უკან გამეკრეს ხელთა.
გმცადე, გამოვიპარე,
დამე გავტეხე ბევრია;

*) სოფელია ქართლში.

ერთს ჩაღას მოკადეჭი,
ჩაღა იყო აუ ლეღის,
მე იმის ელდამ გატეხს,
გველი ცურამდა ბევრია.

88

თრიალეთს მეტხვარეებსა
ლეკები დახვედრანთ,
თითოს მოუკლავ ათ-ათი,
ბიჭობა მათ უქნათო.

89

(ვარიანტი)

მცხეთაში უარუღებსა
ლეკები დახვედრანთ,
ათათს მოუკლავს შვილ-შვიდი,
ბიჭობა მათ უქნათო*).

90

თი შენ კი კენაცვალე,
ჩემო ანდროა მჭედელა!
შენ რო ხმალი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდნო.

91

(მე-2 ვარიანტი)

შენი გამწინის ჭირიმე,
ქაჯაქში თქრთმჭედელთა
თუ ებ თოფი არ მოგეცა,
ლეკები დამიჭერდნო.

92

მხანაკებმა გაშწირეს,
გვიან გამოცხვა ჰურია,

ვეტრე უარუღსა ვკითხე:
„აქ ხომ არ ჩამოუღლია?“
უარუღმა ასე გვითხრა:

— ბიჭები დავარგულდია!

ბევრი ვეხვეწეთ, სო წახვალთ,
თუ გწამდესთ თქვენი რჯულისა;
არ დანიშლეს, წავიდნენ,
დაატეს .თავის რჯულია...
ის ურჯულო თნი ლეკი
დელეში დამალულია,
თრთავემ თოფი ესროლეს,
თრად გაუხვეს კულია.
კატები ურიან ურმებთან,
ხდარ უღვინათ სულია,
ურმებიც თხრდა ურია,
ბარგი-ბურგი და ჰურია.

93

ლეკებმა რო დავიჭირეს,
როგორ იყო ჩემო სთსე?
ხელები უჭან გავაცრეს,
ცხვირი გეღარ მთინსოცე.

94

არაკვით ღთრი დაიხრა,
საითკენ უზმენ ხორსაო?
— მანგლისს აქებენ საჭმელსა,
ქთხები ჩავლათ ხისაო,
დავასუქოთ ბურფავობა,
თეთრით ავიმსოთ ქისაო.
გიორგი ნათელაშვიდი,
სარდალი მწუემსებისაო,
ისე არიკებს მწუემსებსა,
როგორც რო მხმა შვილსაო,
მოჯამაგირემ შეჭფობა,

*) მე-2 ვარიანტი:

თითოს მოუკლავს შვილ-შვიდი,
სოფელში იკვებიანო.

ფიცი ჭქნა მუუფისაო:
 „გუშინ რა ღორებში ვიყავ,
 ნაკალი ვნახე მტრისაო,
 დავუწოქე და ვესროლე,
 მოფარტეო გულის ზირსაო.
 ლექები გაღმეო გულისივრენ,
 ლექები დაღესტნისაო.
 გიორგიმ წამაწია,
 ლექი მოიღო ძირსაო,
 დაჭტა და დაჭტა ხანჯალი,
 შაშვივით აღებს ზირსაო,
 ბიჭებო, განსარჯუნით,
 ვისი ხანჯალიც სჭრისაო!

95

(ვარიანტი)

მეძეულო გიორგი

მეღორემ ღორი გალალა,
 ის მიღის საფის ზირსაო,
 მადლა ეძებენ ხევისა,
 ქოხები ჩადგეს ხისაო.
 მოჯამაგირემ შეჭთიდა,
 ფიცი ქნა მუუფისაო:
 „გუშინ რა ღორებში ვიყავ,
 ნაკალი ვნახე მტრისაო,
 ვესროლე თათვი, ვერ მოხვდა,
 ვაი, იმ გულის ზირსაო!
 —შე გაღლეტილო, ვერ გიჭრავ,
 ვაი შენს გიორგისაო!
 დაჟდა და ლესვა დაუწყო,
 კარკად მოუწყოხს ზირსაო.
 —შე ვიცი ამის ამბავი,
 თუ ზირი მოვიდაო,
 ფეხზედ არვის დაუეხებს,

სულ ვგელას დასცემს ძირსაო.
 შუადაშე რა შეიქნა,
 ელვარე იქნა ცისაო.
 ლექის ჯარი მოესია
 ამ სწულად გიორგისაო.
 ქვეშენით რა ლექი მოგებდა,
 შაშვივით აღებს ზირსაო,
 შახედა ექვსზურასა,
 უგელოვით სთდიდა ლექსაო.
 —შენი ჭირიშე, გიორგი,
 მე შენ მოგზარავ ჭირსაო!
 ხმალი ხმალზედ გადავხვით,
 ჯავრი არ გაგვეყვს მტრისაო.
 ღერძეულთანთ გიგოდა
 ნამტერგეო არის კლდისაო.
 ცრემლი სდის ხუშურ-ხუშური,
 წყალივით ჩამოსდისაო,
 ნამწეწი დანა არა ქვს,
 რომ მოიჭრიდეს ფხინდისაო,
 ურჯულას დასცეს ხანჯალი,
 შაშვივით აღებს ზირსაო.
 იქ რომ ღორი ბეჯადა,
 ღორივე მისას ზისაო,
 ღორივე თათვი უტეუხვს,
 ღორივე დასცეს ძირსაო.
 შინაურებსა ჭკობნია,
 ღამ-ზანის ქვეშა სხდესაო,
 კვირას წავალთ და წავუღებთ
 გამომცხვარ თბილსა ზურსაო!
 შესანდობარი დალოეთ
 იმ ღამას გიორგისაო!
 მტრისაც კი დასანანია,
 არამც თუ შეზობდისაო!

თ ა თ რ ე ბ ზ ე

96

თათარსა თარაქმას
ცხვარი ჭუპე მუტის-მუტია,
იმას გვრავინ წაართმევს
ჩვენი ბატონის მუტია.

97

გამიარ-გამამიარე,
კვერცხი დამიდე; ქათამო,
რა კარგს სამართალს იძლევი,
ღატექმა რჯული, თათარო!

98

მღალსა, მღალს მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ერთი ურჯულთ თათარი
სუამდა, ვერ გამაძღარიყო.

99

უბანო, უური დამიკდე,
გითხრა ჩემი ბუდის წერა:
სულ რომ ხორაგი ჩაუყარე,
გაუწიე ბოლნისისკენა*).

იმ თხერ არგეთ რომ მიველ,
ჭარიელათ***) ისევ ბნელა,
ურმებს თავი დაფანტე;
ცხენით წაველ ნელა-ნელა.
უბედურმა რა ვიცოდო,
თუ თათრისგან მქონდა წერა!
ჭერ ტამბახა დამხალა,
მერე ხმალი შეაშველა,
იმანაც რომ ვერა მიუგა,
უელში თასმა წამიჭირა!
გვარის გვარამდენ დაწვეულე-
ადარ ვილოცო ბოლნისი,
ბოლნისო, ისე აშენდი,
როგორც მე შემეწიე!

100

წული გაყინა, გაყინა,
წისქვილი ჩახრახინაო.
ვინც თათარს ხარი მთქმარა,
ხელ-მხარი შეარჩინაო!

ს ა ს უ ლ ი ე რ ო ლ ე ქ ი ს ე ბ ი

101

ს ა ი ქ ი ო

დასწერე, ორო კალამო,
ვიცი არა ხარ ფელიდა,
ეგ შენი სიტყვა-ხასუხი
სულ წმინდად დაგიფელიდა.

ასე ზედ გაგვატარებდენ,
როგორც რომ დაღო ხილია.
სულ-ხორცის გაურა ვიფიქროთ,
სათქმელად სანარელია;
დააკლო ფხნილმა თათებო,
ბატეს ეცვალა ფერია.

*) სალოცავად.

**) ცოტათი.

მეტადრე ცოდვილისთვის
 სულის ამოსვლა ძნელია,
 ერთის წლის საკლელ გზაზედა,
 ეკალ-უგაღი ჰყენია.
 დგას გუბრიელის ქვევრია,
 გარს უგაღია გენია,
 ამხანაგის მოღალატეს
 შიგ უღვეს ენის წვერია;
 ნათლისა შემცოდეს
 გამოსტრინან სამწვადეს,
 გაუნგრეტენ ენის წვერსა,
 შიგ უგრან წითელ გველსა.
 დედა ობლების დამურელი
 ეფარება კანცის მკვლელსა,
 უბეში უსხედს გველები,
 ეტანება ძუძუებსა.

102

ჯოჯოხეთი და სამოთხე
 ორიუ ხმელეთზე სწერია;
 ჯოჯოხეთში შემოიფანეს,
 ამოდის გუბრის გენია.
 სამოთხეში გადმოიფანეს,
 თეთრად ნათელი ჰყენია.
 სამი ქალი მომეტება,
 ძმაო, სად მოგვაგენია.
 აქ შენ რისთვის მოსულხარ,
 ვინ არის შენი ტულია?

103

იოსებ რო დაიბადა,
 მე მისი მასარობელი,
 ერთი ხელი მარწუხისა,
 ერთი ურო საცემელი;
 გააკეთა რკინის კეტო,

ჯოჯოხეთის სანგრეველი.
 ათი გუთხე დაანგრია,
 შეუერთმეტეს მიჰყო ხელი.
 ადამ, ადამ, ნულარ ანგრევე,
 თორემ დიდი საშინელი.
 ქვა ქვაზედა დუღდებოდა,
 მზე უკუღმა ბრუნდებოდა.
 ხელთ უჭირავს ხის სასწორი,
 ცოდვა-მადლი ეწონება.
 მე და ივანე კანთაელი
 სულის საკრეფლად წავედით,
 გავიარეთ შორნი გზანი,
 არ დამავლო მე სტიმელი;
 სამოთხეში გადავინდე,
 გუბრად იყო დიდი ერა;
 ორნი ქალნი გადმოვიდნენ,
 თურმე იყვნენ ჩემნი დანი,
 ძმაო, აქ რამ მოგიფანა?
 ღვთისგან გადავა დიდი ძალი.
 მადლის მქნელი ამას ამბობს:
 „ჩვენთვის ხალიჩა ჰყენია“.
 ცოდვის მქნელი ამას ამბობს:
 „ჩვენთვის ეკალი ჰყენია,
 გუბრი ჰდუღს, ალი ამოდის,
 გარს უგაღია გენია“.
 დედ-მამის მაგინებელსა
 შიგ უღვეს ენის წვერია,
 ამასაც არ დააჯერეს,
 უელზედ დაჰკიდეს გველია.

103

სულისა და ხორცის ამბავი
 სულის და ხორცის გაურა ვსთქვათ,
 სათქმელად საზარელია!

მეტადრე ცოდვილისათვის
 სულის ამოსვლა ძნელია.
 დააკლან ფეხის ფხნილები,
 ბაკეს ეცნადოს ფერია,
 მამის რას გამოკადგება,
 ბეგრინ რამ გუჟანდეს შვილები?
 მოუხაროდეს ეშმაკსა,
 მოჭკინდეს ხელწერილები,
 ცოდო და მადლის ბართი
 ეჭიროს დაბლუჯულები,
 სულის ამოსვლას ჩქარობდეს,
 მწარეთ ეხრიტოს კბილები.
 ვეხვეწით წმიდა გიორგის,
 ის არის ჩვენი მხსნელები.

104

სულისა და ხორცის ბაისი

ხორცმა უთხრა:

სულო, მე არას გემდური,
 უდროოდ გამეჟარეო,
 რაც რომ აქამდი მახარე,
 სულ ახლა ჩამამწარეო,
 წახველ და შენის ხელითა
 საფლავი განითხარეო,
 ჩამატე ქვეშენეთს უძირთს,
 ზედ მიწა მომეჟარეო.
 სული: შენს გვამში არ შედგო-
 ეს ჩემთან გაიხსენეო, [შება,
 რაც შენს სიმურადეს მოკმორდი,
 ჰატარა მოვიხვესეო,
 შეტრეს და ჰველეს ვევედრეთ,
 სავთავ მომეიდეს ხელიო.

ხორცი: სულო, შე დადონებულეო,
 მეც ბეგრი ავი გიუაგო,
 შენს შტერობაში ვალამე,
 სანამ ცოცხალი ვიუაგო,
 ულამდი ცოდვით ატამსე,
 როდესაც კარგი ვიუაგო.
 მარჯვენას ავანაკობით,
 ღმერთო, წუალობა გიუაგო.
 —წადი და სთხოვე თომასა,
 ინდოეთისა ხურთსა,
 გიბოძოს ჰატა სანთელი,
 მადლი მე წამამხურთსა,
 ვიაროთ სწორე ტყახედა,
 ეშმაკს არ მამსხურთსა.
 მოგერიდები ცოდოსა,
 ვით ეშმაკს ქასქანჯიელსა,
 მაგრამ ვინ მომცემს ცხონებას,
 მე ოხერსა და ტიელსა.
 კიდევ მაქვს ღუთისკან იმედი,
 ვაქებთ იესოს ძლიერსა,
 ეკები მიუეს წუალობა,
 როგორც რომ ეცქიელსა.
 მიჯობდა, დღეს აქამდე
 მე ჭკუა მამეხმარაო,
 დარწილო სულო, რა გიუაგო,
 სიკვდილი მამეჰარაო!
 იმ სოფლის სიამოვნებამ
 ტუეილად ჩამიარაო,
 დავითის სავსახურთის
 სულ ცუდად მოვიძირკეთ.
 ტუეილი ვილაჰარაკე,
 ერთი არა ვსთქვი სწორეთ,
 მიშველენ, უფლად წმიდაო,

ამ სოფელს გამაშორეთ,
და იესო ქრისტესთანა
შენცა გთხოვ დამესმარეთ!

105

საიქიოს ცოდვის მქნელი:
ჟერ მჭედელი, შერე მღვდელი,
დაიბარეს მეწინავედღე,
თავში ჩაჭკრეს სარკველი:
- მინდი წინდაწინვე მოგეცა,
წმინდას რათა ჰკარი ხელი?
დაიბარეს შერე მღვდელი,
მაგრა დაუჭირეს წვერი:
—სადაც ტაძლა დანახე,
იქით გააჭკნე ცხენი,
ზოგს უზიარებსა ჰქვავდი,
ბევრს არ გაუსკელე უელი.
უთხრეს თავსა მართებელს:
—წაიფხანეთ, იქ ჩააკლეთ,
საცა იუვეს კუზრიელი.
დაიბარეს თეიქარი,
გადუკრინეს კილოს წვერი:
—შალი საქსოვით მოგეცა,
ფასი გქონდა მიღებული,
ფასი წინდაწინვე მოგეცა,
კილოს წვერი რად გაჭხენი?
დაიბარეს ეს მჭედელი,
თავში დაჭკრეს დიდი კვერი:
—მე რა რკინა მოგიტანე,
ფოლადს ზირი რათ მატკერი?
უთხრეს თავსა მართებელს:
—წაიფხანეთ, იქ ჩააკლეთ,
სადაც იუვეს კუზრიელი.
დაიბარეს გუთნის დედა,

თავში დაჭკრეს იფნის სახრე:
—თესლი კალთაში ჩაჭყარე,
მოუხშირე შირველზედა,
ზური ცოტა დაგეთესა,
ღმერთსაც ატინებდი შენა,
უნა თხელი მოგივიდა,
შენს დათესილს მამულზედა!

106

ქრისტეს ცხოვრებიდან

ქვეუნა იძრა, კლდე გასქდა,
ტირის მარამ დედაო:
—შენსელა დამოკიდებულს
თვალთ რაგორა მხედავო!

107

ი უ ლ ა

იუდა ვერცხლის მოყვარე
სიორმიდან ზვის მქნელია,
მისთვის შეუდგა ქრისტესა,
რომ იუფ მამის მგულელია.
ზეტრემ იხმარა მახვილი,
მადქოს მოჭკვეთა უურია.
ზილატეს ღმერთი გაუწერა,
შიში დაეცა მხელია.
წუალი მოჭკითხა, მოართვეს,
და კადიბანა ხელია:
—მე ამაში უბრალე ვარ,
მან ნახოს სატანჯულია.

108

ცისკრად მოვიდა მარამ,
საფლავად ცრემლთა მღვრელია,
სუდარი ნახა მღებარე,
საფლავი ცარიელია,

წავიდა, ზეტრეს ახარა,
 „ნა ვნახე საკვირველია,
 იესო ქრისტე ჯვარცმული
 ამდგარა ჩვენი მხსნელია!“

109

საღმრთო წერილის ზო-
 გიერთ პირებზე

აბრამის ამბავი

აბრამ იყო ღვთის მფლობელი,
 მკრამძე კი ენატრება,
 საქონელი ბევრი ჰქონდა,
 ანუინ იცის, ვის დაჰბნება?
 აბრამს შვილი ძრიელ უნდა,
 დღე-ღამე ღმერთის ევედრება:
 — „ღმერთო, ერთი შვილი მო-
 ინისე შენთვის გაიზღება. [მეც,
 შვილის წლისა სამდღოსდ მითქვამს,
 ეს ზასუხი არ გატუდება!“
 უსტუმროდ ზურს არა სჭამდა, —
 ჩვეულებად ეს ექნება,
 ოცნად რომ გამოვიდეს,
 მარტო ზურს არ შეეხება.
 ეშმაკმა გზა ისე შეჰკრა,
 კაცს არსილამ მიესვლება.
 კაცისგან არ შეიძლება, —
 ღმერთი მგზავრობს, ესტუმრება.
 მეორმოსე დღეს სამება
 იმის კარზედ მობანდება.
 აბრამს კაცები ჰტონია,
 ეკელას სთხოვა დაბანება.
 სტუმრებს სუფრა მოუტანა,
 მხიარულად დაუხვდება.

ზურს აიღებს ერთი მგზავრი,
 გასტეხავს და ილოცება:
 „ნა თჯახს დალოცავს ღმერთა, —
 სარას შვილი ეუოლება!“
 აბრამსაც დალოცავს ღმერთი,
 სარა კარავთან დადგება.
 სარა ამას გაიგონებს,
 დიდად უგვირს, ეცინება:
 დროზეთ გადასულია,
 ცაცხვებაც ეზარება.
 წინაღმდეგი სიტყვისთვის
 სამება როდი გაწერება.
 — არ ირწმუნეთ, ძენი აქვენი
 კვინაღმეცი დატყვევდება,
 ანგლოზებსაც უბანება,
 სოლომ-გომორა იწვევა.
 ღოთი ააფის ცოლ-შვილითა
 იმ ცეცხლიდან დაიხსნება...
 აბრამს შვილი გაუჩნდება,
 სამამულედ დაურჩება.
 იმ მეორე წელიწადსა
 თავს იმედი დაელება.
 ამ შესამე წელიწადსა
 უოველთაგან ეხარება;
 იმ მეორე წელიწადსა
 დედანს იმედი ექნება.
 ხუთი წლისა რო შეიქნა,
 ცხენზე ჯდომა შესძლება.
 დიდად უგვირს უოველ კაცსა, —
 ეს ემაწვილი რათ იზრდება?!
 — შვილი წლისა სამდღოსდ მითქვამს;
 ჩემი სიტყვა არ გატუდება.
 ამას დედა გაიგონებს,

პირველ დიღათ ეწეინება,
 მკრამ თეძრში პირველი დღე
 ღვთის სტუმრობა აგონდება.
 — რაკი გითქვამს, წაიფვანე,
 შენი ალექმა აწ თავდება.
 მოწუადესთან სამსახური
 არასოდეს არ წახდება.
 თუმცა იტყვი და უმტყუნებ,
 უთურო ბევრი დაგაკლდება.
 აბრამი გზას ემზადება,
 ისაკს აზრში არ მახვებდება.
 უმანი გვერდსა იახლება,
 გაივლიან დიდსა გზასა,
 მთაზე ავა, იქ დადგება.
 ასეთი ცეცხლი დანთო,
 ალი ზეცას აფარდება,
 ქვაბი ღუღს და წუალი შრება,
 სამსახური არა ჩნდება.
 შეიღმა უთხრა: „მამჩემო,
 სამღთო არსით არ გვიჩნდება?
 ვიცი, სამღთოდ მე გინდივარ,
 გული რაზე გიღონდება?
 — მაცა, შეიღო, ღმერთს ვევედ-
 ჩვენზე საქმე მოვარდება. [რო,
 ადგა, მამას გვერდთ მოუდგა,
 დედამიწას ემთხვეოდა.
 უმაწვილს გული უწუნდება,
 ცხელის ცრემლით ატირდება.
 — მუფფო, რას მიზნობ?
 ნეტა ჩემთვის რა რიგდება?
 — ჩემი სისხლი შეიწირე!
 ისაკი ღმერთს ევედრება,
 ჩემი დედ-მამის ამაგი

ჩემზედ ვალად ნუ დარჩება!
 მიწას ემთხვია და ადგა,
 აბრამს ამას ეუბნება:
 „მკრა შემკარ, ისე დამკალ,
 სისხლი არსით მოგვეცება.
 თუ სადმე სისხლი მოგვეცხა,
 სამსახური წაგინდება.
 აბრამ დანა გაიღეს,
 დასაკლავად ემზადება,
 ვიდრე უმაწვილს ხელს ახლებდა,
 ჭეუა, ცნება ეთანტება.
 ეელში დანა გაუყარა,
 ეანურატოში გაქვავდება.
 ციღამ ღმერთმა გადმოხედა,
 — დახე, აბრამ რას შერება?
 ერთი ვერძი გადმოუგდო,
 წითლად-ყვითლად აეფვება.
 — ეს დაკალ და ებ გაუშვი,
 შვილი თუხზედ ავიდგება.
 უთველ კაცსა თავის სამღთოდ
 ღვთისგან ესეც მიეთვლება.
 ბევრველ სამღთოს ღმერთს შეეწი-
 ღმერთი შემწე შეეთვლება. [რაგ.

111)

იობის ლექსი

იობ იყო ღვთის ნათლული,
 ცოლი ჰქვანდა მართალ გზისა,
 თანაც ჰქონდა მორწმუნება *)
 და სიმიდრე ამ ქვეყნისა.
 შვიდი ათეშვილი ჰქვანდა,
 სამი ქალი სხე მზისა.

*) სახელი და დიდება.

— გადნამცა, მცხროვარო^{*)},
 ის შენსას არ იტყვის ძვირს?
 ათიუ ერთ ღრას დაეხატა,
 ერთიღ ადარ დარჩა ძირს.
 არ მოშალა წყაროთუღობა
 ღოცვისა და საყვარისა.
 გარსუღარი გაუგზანა
 შესამისი სამარისა: [გებთ,
 „ნურც იტრებთ, ნურც იგლო-
 ნურც იწიხებთ შიწის შვილსა, —
 იყო უფლის მოცემული,
 ისეუ უფალმ მითთვისა!“
 იობს კაცი მიუვიდა,
 მოციქული მალაღ ღვთისა,
 სადაროს ცხცხელი მოკლო,
 აღმა ზირი ხახა ცისა!
 ზორ-აქლემი სულ დაგეწვა
 და მინდორში ფარა ცხვრისა,
 ციხე-ქალაქი დაგეწვა,
 მტკერინც აღარ დარჩა მისა!“
 დაღცა და გაისტუმრა,
 გზა უბოძა ასატისა:
 — იქვე რა იცით, უგუნურნო,
 ბასეუბა ასრულდა ღვთისა!
 ერთი წყეული კუმაკი
 იობს უზის მუხლის ზირსა:
 — „იობ, ღმერთსა რაა არა ჭკობობ,
 თუმც რომ კაშკაღებს მითა?“
 — გაბრუნდი, ბილწო კუმაკო,
 ესე სჯემე შენით მჭირსა...
 იობს მატლი დაეხვია,

კია-ღუა ათასფრისა.
 სადაც მატლი გადავარდება,
 აიღებს და ზედ დასვინს:
 — მანამდისინ ცოცხალი ვარ,
 თიქრი ნუ გაქვს საკვდილისა,
 რომელმაც რომ სისხლი წოვოთ,
 სახელი გქონდეთ თუღცანისა,
 რომელმაც რომ ძარღვი ღოკოთ,
 დღე ანათოთ მეუფისა.
 რომელმაც რომ ხორცი ჭამოთ,
 სახელი გქონდეთ სიმდიდრისა.
 ცოლი ჰქვანდა მეტად კარგი,
 ალალი და თავდაბალი,
 თავისინ თავმდაბლობითა
 ტყერი ჰქონდა ოქროს თმისა,
 წავიდოდა, ჰურს ითხავდა,
 ძალი არ აქვს სხვა საქმისა.
 კუმაკმა გზა ესრეთ შეკრა:
 ტყერი მისცა ოქროს თმისა.
 — შე იულავ, რისთვისა სცდი,
 რათ მინდოდა მე ეგ ჰური,
 ნატეხი არს კუმაკისა.
 ანკელაზი მოუვიდა,
 მოციქული მალაღ ღვთისა:
 — თუ გინდა სულ გაგიცოცხლო,
 რაც სიმწარე ჭინხე მკვდრისა!
 თუ გინდა სასუფოველი
 ტანტი მოგცე სიმდიდრისა?
 იობმა სთქვა: „თუ არ იქნება
 დაბრუნება ზარალისა,
 რაც უფალს უნებებია,
 მე იმდაც არა ვდირვარ.“

*) კუმაკი ეუბნება ღმერთს.

111

სოლომონ ბრძენისა და კუნძუ-
ლელისა

სამუნისა მინდორზედა
საში მცხაერი მადიოდა,
სამსგე წყლის ჰირს დაუღამდა,
სამსგე ჩვენსა მოამბეს,
მუბადემ ბაფე გადაგლო,
საში თეფი გამოჭეუვის,
საში თეფი ტაფას ჩადვის,
სახელები დაარქვისა.
დალოცვილი სოლომონი
სიტყვას ბრძანებს მეტად ბრძენსა:
—სანთლის გუთანს ავაშენებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა,
ზღვაში ვინაფ და ზღვაში ვთესვ,
ხმელზედ ვინადირებ თეფსსა,
ეინულზე კაღის კაფლეწავ,
მორევი გადაფერი ბესსა.
ჭინჭველას გოფორს აფიდებ,
კამენებს დაფურე ბესსა.
მიმინოს ბარკს აფიდებ,
აქლემს მიუტეუბ მწვერსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თეფი გაცოცხლდესა.
ერთი თეფი წყაღს შეცურდა,
ორი იქვე ტაფას ძევისა,
უფლის სიტყვა არ ცატუდესა.
რიგით მოჭეუნენ სამართალსა,
რიგი ვეზირს ხელებოდასა.
წამოღვა, წამოუწოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:

—გამზარდე და გამაგატე,
მამყარე ამ შავსა დღესა,
თუ გინდ რომ თავი მომჭეუათ
შესსა მონა ფეხთა მტვერსა,
დღეში სამჭერ ამს ვამბობ:
„მე მოვკლავ სოლომონ ბრძენსა,
პირად-მთვარე მე დამრჩესა...“
შევაფურთხებ ეშმაკებსა,
გავისტუმრებ ცარიელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თეფიც გაცოცხლდესა.
ღუთის ბრძანება არ ცატუდესა,
იმის თეფიც გაცოცხლდესა,
წავიდეს და ზღვას ეტესა.
ერთი ისევე ტაფას ძევისა.
რიგით მოჭეუნენ სამართალსა,
რიგი დედოფალს შეხვდესა.
წამოღვა, წამოუწოქა
ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:
„გამზარდე და გამაგატე,
მამყარე ამ შავსა დღესა,
თუ გინდ რომ თავი მომჭეუათ
შენსა მონა ფეხთა მტვერსა,
თორმეტი წელიწადია
ფუჯარობ კუნძულთ ხემწიფესა,
ის ხომ პირად ვერც კი მოვა,
მთვარის შუქს ჩამოჭეუვისა.
შევაფურთხებ ეშმაკებსა,
გავისტუმრებ ცარიელსა.
თუ ეს სიტყვა მართალია,
ჩემი თეფიც გაცოცხლდესა!“
გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
ტაფა ცარიელი რჩესა.
შიშითა და სირცხვილითა

დეღუფალი შესწუნდეს.
 გულზე უსმენ ვარდის წყალსა
 აფიცებენ მამის შესეს.
 — არას გერჩით, ზირად-მზეო,
 თუ მტკრს მომივიდებ ხელსა!
 სოლომონმა შეჟღიში ჭნა,
 დაჰმარტოვა თავადებსა,
 კუნძულელსაც დაჰმარტოვა,
 ჭაჭუეთის ხელმწიფესა.
 მოდიოდა კუნძულელი,
 მარბენდა თავის ცხენსა,
 ოქროს ბურთებს მოისროდა,
 დამეს მანათებს ბნელსა.
 მთჰმარტოვეს კუნძულელსა,
 მუნღის ზიკას დასეკესა.
 შუა სმაცედ რომ შევიდნენ,
 სოლომონმა უთხრა ეს: [უვი,
 — უური მიგდეთ, სიტყვას ვიტ-
 სიტყვას თქვენთვის სანატრელსა:
 ერთი სვილენძის გოკა მაქვს,
 მიბარია შემამხნესა,
 ვინც იმას საემოთ ამისებს,
 ზირად-მთვარე მას დარჩეს.
 წამოდგება კუნძულელი:
 „ღღეს მოვესწარ სანატრელსა!“
 ოთხივე კუთხივე კაცებს აფრენს,
 დაუძახებს თავის უმებსა:
 „მოდიოთ უგულა, დიდი, მცირე,
 ერთი არვიზ დააკლესა!“
 მოდიოდნენ დედაბრები,
 მოიქნევდნენ ვაგარჯნებსა,
 უკან ბერები მოსდევდნენ,
 მაცამტუნებენ წვერსა.
 სამი დღე-ღამე იდინეს,

კოკას ველში დააკლესა.
 — კუნძულელი, შენც ჩამძნდი,
 საუარულიც ჩამოგუგესა!
 ჩაიტყუეს კუნძულელი,
 ზედ ზარფუში დაადგესა.
 მოიფანეს მომტკედური,
 ოთხივე კუთხივე დაჭედესა.
 აჭწია მთელმა ქალქმა,
 შუა მტკვარში გადადგესა.
 ათას ხუთას წელიწადსა
 მაგნე სული არ გაჩნდესა,
 აკვანში შწოლიარესა
 გულში ხინჯი არ ჩაჭეკესა!
 მუბადურსა, მეთვეკესა,
 ვეკლას დმერთი ჰრისხავდესა!
 მეთვეკემ ბადე გადადგო,
 კოკას ველზედ გადასდესა,
 გამოიტანეს, გასინჯეს, —
 დიდი საქონელი სძევსა!
 ერთმანერთს ვუბნებთან:
 „ხემწიფეს არ მოხსენდესა,
 თუნდა შვილის-შვილს ეუფოვა,
 რაც ამამი განძი ძევსა!“
 დაუშინეს დიდი ღოდო,
 კოკა ველში გატყენსა,
 ამოცვივდნენ ქაჯნი-ქუჯნი,
 მთასა და ბარს მოედვნესა,
 რიგი კლდესა, რიგი ხევისა,
 რიგი წყალში ჩაგვივდესა,
 კუნძულელი გამოფარდა,
 იალბუზზე შემოჯდესა.
 იესო ქრისტემ დასწევდესა
 მეთვეკემ და მუბადესა.

მეზადეს ბადე უღოცეს,
 შელოცინეს დაუდეს.
 ამის მეტი აღარ არის,
 ეს ამბავი გათავადესა,
 ვეკლას ღმერთი შეგაწოთ,
 დიდებოს და გასაზღელსა!

112

(ვარიანტი)

მეზადემ ბადე გადაგდო,
 სამი თევზი გამოტყუვეს,
 წვრილად დასჭრეს და დარეცხეს,
 ტაფით ცეცხლზედ შემოდგეს.
 მოხარშეს და ძირს კადმიოდგეს,
 თავსახური ახადეს.
 მსახურმა წამოუჩიქა
 ბედნიერ სოლომონ ბრძენსა:
 „დღეში სამჯერ ამას ვიტყვი,
 მე მოკვლავ სოლომონ ბრძენსა!
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ჩემი თევზი გაცოცხლდეს,
 გაცოცხლდეს ჭ ზღვას შეცურდეს,
 ჩემი სიტყვა გამართლდეს!“
 გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,
 ორი კიდევ ტაფას ძვესა.
 სოლომონ ბრძენი დაფიქრდა,
 ჭკუას იყო განსაცდელსა.
 —ჯერ ხომ ვარ სოლომონ ბრძენი,
 მერე მეძახინა ბჭესა,
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ჩემი თევზიც გაცოცხლდეს,
 გაცოცხლდეს ჭ ზღვას შეცურდეს,
 ჩემი სიტყვა გამართლდეს!
 გაცოცხლდა და ზღვას შეცურდა,

ერთი კიდევ ტაფას ძვესა.
 რიგით მოვეყუთ სამართალსა,
 ახლა დედოფალსა ხვდესა.
 შიშითა და სირცხვილითა
 დედოფალი შესწუხდესა.
 გადაბრუნდა დედოფალი,
 გულზედ უსმენ ვარდის წუაღსა.
 —არას გურჩი, ჰირად-მზეო,
 თუ მტერს მომიკიდებ ხელსა!
 — „ვაი, რა ძრვიელ მოვტყუვდი,
 ვულახტე მკლავსა შენსა,
 თორმეტი წელიწადია
 ვუვარობ კუნძულ ხეშიწიფესა,
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ჩემი თევზიც გაცოცხლდესა,
 გაცოცხლდეს და ზღვას შეცურდეს,
 ჩემი სიტყვა გამართლდეს!“
 —კუნძულელი დავაბრუნოთ,
 ცის კიბეზედ მობძინდესა,
 წინ ჭრული სუფრა გაუგოთ,
 არ ენახოს თავის დღესა!
 —კუნძულელო, სიტყვას გეტყვი,
 დიად შენს საამურსა,—
 ერთი სწილენძის კოკა მაჭვს,
 მიბარია შემაშხლესა,
 ვინც იმას საყმით აავსებს,
 საუვარელი მას დარჩეს!
 წამოვარდა კუნძულელი,
 ფეხთა მშვიდა არ აჭუვეს,
 გადადგა და გადასძახა
 თავის ნაზირ-ვეზირებსა.
 შვიდი დღე და შვიდი ღამე
 აკვინანთ იდინესა,

კოკას უელში დაკლეს.

— კუნძულო, შენც მიგ ჩადი,
საყვარელი თან ჩავიყვან!
ჩაიტყუეს კუნძულო,
თავს წარბეჭდეს დახურეს,
ათხივ კუთხივ შემოტყდა,
შინით ზღვაში შეასხეს.

მებადუმ ბაღე გადაგლო,
კოკას უელში გამოსდეს, —
ამაში ქონება არის,
ნუ ვინ ეტყვიან ბატონ ჩვენს!
დაუშინეს თურინჯები,
კოკას გვერდი გაზვრიტეს:
გამოცვინდენ უშვებები,
ზოგი ტყეში, ზოგი მთაში,
ზოგი წყალში შეცურდეს.

113

წმინდა გიორგის შესახებ
ხატის ძალა

ატოცის წმიდა გიორგი
მადლა გორასზე ქსენიას,
სადირი ბეგრი მთუდის,
არჩვი, ირეში, მშველია,
დათვის რაღა მარბეინებს? —
ვინ შიში რა ძნელი!

114

წმიდა გიორგი ცხოველო,
შენს სალოცად მოველო,
მამირკვია ცოლ-შვილი,
შენს წყალობას მოველი.
დადონებულსა ნემ გულსა
შენი წყალობა მოვო!

115

წმიდა გიორგის კარზედა
აღუის ხე ამოსულიო,
დამწიფებული უურძენი
საჭმელად შემოსულიო.

116

ლეთის-მშობელოზე

ყოვლად წმიდა ღვთისმობემა
ქვეყნის შენობა ინება,
უბოძ ცასა ღრუბელი,
თავს წვიმის ჩამოდინება.

117

გლახა და ქრისტე

ერთს უაღაგო აღაგას
ერთი გლახა ესხლება,
გლახა ისეთი გლახა,
ქვს აქვს, კბილთ ვწყალობა.
სანეხვეზედ კანკებს ეძებს,
ტანთ იმითი იმოსება.
ერთი ძაფი გამოიძროს,
ისი კონკი გამოჭეფება.
ამას ამასობაშია
გლახას შეილი ევალება.
შვიდის წლისა გაუხდება,
მოუნათლავი უკვდება.
— ყოვლად წმიდა ღვთის მშობელო,
ხათლი მტემელ ეხვეწება:
გლახას შეილი რო მიეცა,
მოუნათლავი უკვდება.
წადით და მოუნათლეოთ,
მას მირთნი ეწყამება.
ქრისტე ღმერთი წამობრძანდა,

გლახას კარზედ ნამოხტება.

— გლახავ, შვილსა მოგინათლავ,

თუ მირთნი გეწამება.

ნათლიდედა, ნათლიძამა

კარებს უკან იმალება.

ეს ერთი სვინა ვიშოგეთ,

ესეც მშიერი გვიკვდება.

— გამობრძანდი, ნათლიდედავ,

ჩვენი საქმე კარგად ხდება.

ერთს ისეთას გაგამდიდრებ,

თუ ბოლომდინ შეგერგება.

ნათლიდედავ, წადი ნახე,

ქვევრში დვინო დაჭანკდება;

ნათლიძამავ, წადი, ნახე,

ორმოში ჰური ძველებსა,

ამ მურასა ლაფაშებსა

ანგარიში არ ექნება.

ცხრა ათასი სული ცხვარი

დილას კარზე მოადგება.

— ათის თავი დმურთს მიართვი,

ოცის თავი შენ დაგრჩება.

ამობრძანდი, ნათლიდედავ,

ცხრა მოახლე გამოგუგება.

ზოგი კაბის კალთასა სწევს,

ზოგი ქათბის აფრინდება.

ერთს შატარა ქონში იდგენენ,

დიდი სასახლე განდება,

ქუდ მოხდილი ცხვრის მეცხვარე

ფაჩას სულ წინ მიუძღვება.

თავის ადვს ეუბნება:

ეს ტუეილი ყოლას არის,

თუ კი ბინა არ შექნება.

სახლში რა სტუმარი გიზის,

თვითონ უფალი იქნება,

წადი, იმას შეეხვეწე,

იმისგან გაგიკეთდება.

წამობრძანდა ნათლიაი,

უკან აღარ იხედება.

შვიდს წელიწადს უკან მოვად,

თუ მირთნი გეწამება.

—

შვიდი წელიწადი გავა,

მერე სტუმრად ესტუმრება.

გამოჭხელა მოახლემა,

ნათლიაი მობრძანდება.

ნათლიდედა გაჴვრდება:

„ნეტა რისთვის მოდიოდა,

თვალი მასაც დაუდგება!“

შეიწვევენ ნათლიასა,

კერას უკან დაბრძანდება.

ერთი ცხვარი მოიფანეს,

ათხივ ფეხით კოჭლი არის,

ორივ თვალით ბრმა იქნება.

— გააბრუნე ნათლიდედავ,

ნათლიაი ეუბნება,

მაგდენი სატვირთისგანა,

მაგის ხორცი არ იჭმება...

ნათლიდედა ეუბნება:

— სტუმარი რა ბჭედ დაჴდება,

საქმე მამინ გაფუჭდება,

შენს მოტანილს ქათბებსა

ხსტოკები *) დამიკვდება.“

— ვაჟო ეს ჩვენი გლახაი

რა მღეუ გაგობტავდება.

*) ახლოტები (ახლულები).

ჩემი შთატეული სარჩო,
 ჩემთვის აღარ ემუტება!
 ხელთ უფარჯენი უჭირავ,
 ზედ თქროს ჟვარი აჯდება.
 მიწას ჯვარი გადასწვრავ,
 მიწას პირი დეკდება.
 ნათლიდელა, ნათლიმამა
 ორივე ქვეშით მოიქცევა.
 ნათლული გამოიტაცა,
 დღესაც ცაში დაფრინდება,
 ანგელოზებში ითვლება.
 —მე იმს ვერ გავიმუტებ,
 მე მირონი შეწამება.
 ნათლიმამის წვერ-უღვავში
 მინდვრის ბაღახად იქცევა,
 იმას საქრული მოსძოვს,
 ჭეივანი შეიქმნება.
 ნათლიდელის ფარჩეხი
 ენდროს ფოჩხა გადაქცევა;
 ვინც ამ ენდროს ამოძღებს,
 ხელი მკლავზედ შეახმება.

118

მდიდარი და ქრისტე

ქალაქს მისრეთის ხელმწიფე
 კაი მლოცავი იქნება.
 იმას რო ვეზირი ჭეფანდა,
 კაი მწერწელი იქნება.
 იმის სახელში ჰური ცხვება,
 ცხნა კარი დაიკეტება.
 ხაბაზები ჰურს აცხობენ,
 ლუკმა ჰური არა რჩება.

მზარეული ხორცსა ხარშავს,
 ცორი წვენი არა რჩება.
 მეღვინე ღვინოს არიგებს,
 უზიარებელი კვდება.
 გარმაჭხელა ქრისტე ღმერთმა:
 „დახე, გლეხი რასა შერება?
 თუ ჩემის ფეხით არ ჩაველ,
 ქვეყანა გამიკურძდება.“
 —პატარა ჰური მაჭამეთ,
 თქვენ ბევრი ჰური გვდება;
 პატარა ხორცი მაჭამეთ,
 თქვენ ბევრი ხორცი გვდება;
 პატარა ღვინოც მომეცით,
 თქვენ ბევრი ღვინო გვადგმებათ!
 — წადით და გამოუტანეთ,
 ნამტვრევი ჰური ეურება,
 წადით და გამოუტანეთ,
 ნახრავი ძვლები ეურება!
 წადით და გამოუტანეთ,
 ნაწური ღვინო გვადგმებათ...
 გამობრუნდა ქრისტე ღმერთი,
 ტკბილისა ხმით ილოცება.
 ერთსა კაცსა მიადგება,
 უმწარისი არ იქნება:
 —პატარა ჰური გვაჭამე,
 შენ ბევრი ჰური გექნება.
 . . . შენმა მზემამ, ღვთის სტუმარო,
 ლუკმა არცით გვებადება!
 —პატარა ღვინო დაგლიოთ,
 შენ ბევრი ღვინო გვადგმება!
 —შენმა მზემამ, ღვთის სტუმარო,
 ცორი არცით გვეშოგება.
 თორმეტი წელიწადია

მარნის კარი არ გვეღებს;
 მარნის კარს ხელი მოვაულო,
 ფუტურა ხელში შემჩნება!
 უფროს ქაღს ხელი მოაულო,
 ზურის გირაოდ ისამდა.
 მიდის, მიტირის გლახაი,
 ცრემლით გზა უტალახდება:
 — შენ დაილოცე, მეუფევე,
 შენი ტახტიმც აშენდება!
 ზოგსა იმდენს სარჩოს მისცემ,
 წვერი ცამდე მიუწვდება.
 ზოგსა იმდენსაც არ მისცემ,
 სტუმარს ჰური ეჭმეოდა!
 — მარნის კარები გააღე,
 მთლი ერთი რა იქნება!
 გლახას ერთი ნაბადი აქვს,
 დმერთთ მოუმართე ხელი!
 ტიკები შეაკვრინა,—
 სამოცი კაშუნი მთელი.
 სამასი კოკა ჩავსხნი,
 არც კი გაუსვლა უელი,

სამასი კიდევ ჩაასხა,
 მაშინ კი მძლივ მოჰკარ უელი.
 მინდორი ტარბენა,
 მინდორი აქვს შესარბენი.
 წინ კაცი შემოუყარა:
 — კაცო, გამისველე უელი
 კაცმა რთ ზირი დაადო,
 ტიკტორა კი დარჩა ხმელი.
 კაცი ჩექმაში ჩაისვა,
 მაგრა მოუჭირა უელი,
 ცოლ-შვილში დაიტრახა:
 „აბა მე ვარ ამის მქნელი!“
 გუთნისა ჭერი მოჰქონდათ,
 სამოცი კამეჩი მთელი,

პური ვთხოვე, არ მაჭამა,
 სხვან განამიშვირა ხელი.
 წაუყარე და წაყართვი
 ერთი შემწვარი და მთელი,
 წაუყარე და წაგვლიჯე
 ერთი წითელი და ქელი.
 — ნეტავი წამოგეწიო,
 ზურგზედ წამოგარტყა წნელი!

1237

ჭინჭკელას ნალი აყვარე,
 სხნის-საგუთი დავზირე,
 რაც იმას რკინა გადმირჩა,
 თუმან ნახეურად გავეიდე.

ხალხური გეფხის-ტყაოსანი.

1238

შაღვა მტრის გადმოხვეწილი
 გეზელ-ქორივით კიოდა,
 თავს ჰქონდა ხმალი ნაცემი,
 გულს სისხლი ჩამოსდიოდა.
 ზედა და ზედა აურიდა
 გულ-დალეული ვადასა.
 — სისხლში გასვრილი ჰერანგი
 ვერ გავირეცხე, ვაჰ დასა!

1239

მინდვრად ვნახე ერთი მოემე,
 ჰტკანდა გმირს ნამტირალსა,
 მთელი ველი დაეთრვინა
 ცრემლს მისგან ნამდინარსა;
 ვეკუბენ და არ მეუბნა,
 ხელი მიიფარა ჰირსა.

1240

ეგრე შეჭუვეი დელესა,
 მანდ კვამლი ამოდინასა;
 მანდა სდეუს მთელი ირემი,
 მწვანნი იწვიან ნებასა.
 დანა დამჩა და სალესვი,
 იზოფხე, გამომიტყაფხე
 მაგ შენის ძმობის ღხენასა.

1241

მეწიერსა და მეწიერს შუა
 თეთრი ორბი ამოფრინდა,
 ტარიელმა ბორძლი ჰქრა,
 გულზე სისხლი გადმოჰდინდა.
 ტარიელმა ფრთები ასჭრა: —
 „ისრის ასაგურულად მინდა“.

1242

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე:
გინდოდა ლერწამ-დარეჯან,
რატომ არ შემატებინე?
სისხლი ხორასნელთა ნეფისა
თავზედ რად დამადებინე?
არც შენ მოგცემ, არცა სხვასა,
ორივეს დაგათმობინებ.
დავიბარებ ხურთებსა,
კიდობანს შევავერეინებ,
შიგ ჩავსვამ ლერწამ-დარეჯანს,
წყალს მივცემ, წაგადებინებ.

1243

შავი მთილამ გადმოვხედუ,
დიდი ჯარი დავინახე:
ვინცა მკითხს: „რას მიზნობინარ?“
— ცხენი დამიკარგავ მაკე.
ავდექ და ჩქარა წამოვუელ,
თავი მოვიუიზილბაშე,
დავურიე დიდს ჯარშია,
ჩავარ, ჩავუუთურლაგე.
სასიძოსა ხელი ვტაცე,
თავი ქვზედ მოუნაუე,
თუ ჩემსას არ დაიფურებ,
გაბრძანდი და თავად ნახე.

1244

ქალმა სთქვა:
მოვესწარ ცისა გახმასა,
და ქვეყნის დამურებასა,
თუ მართალია, რაცა სთქვი,
ნეტავ ჩემს გახარებას!

1245

აი შენ, წყალო, შენ წყალო,
შენ წყალო არეზიანო!
არც თოფი გერჩის, არც ხმალი,
არც შუბნი გეცემიანო.
სხვას თუ არაფერს დაგაკლებ,
წყალო, არ დაგლევე, ტიალო!

1246

მე რო ტარიელ მინახავ,
ნეტავ რამ გაასრიალას?
თითით აიღო ირემი,
შუბივით დაატრიალას,
ის არაბეთის ქვეყნები
მარტოვამ გაატიალას.

1247

ერთი ვინმე მოემე ვნახე,
ნამტირალი წყლისა ჰირსა,
ვეუბინ და არ შეუბნას,
ხელი აიფარა ჰირსას;
დიდი ველი დანამა
იმის ცრემლსა დანადინსა.
საყვარელი დაჰქარგვია,
ის საწყალი იმას სტირსა.

1348

შავი ხარ და შავს ცხენს ზიხარ,
შავი თექვლათო გიგია,
სალამს აღარა ჰკადრეულობ,
ცუდი სნე შამოგაღია.

1249

თეთრი ხარ და თეთრს ცხენს ზიხარ,
თეთრად რასმე შავბურვილხარ,
მის ამრას უკან წადი,
შენი დღიდგან დაჰწურვილხარ.

1250

მაშა თქვენი მიცხონდება,
 მბარებდა ტარიელი,
 რაში ქაჯუბთან გაუშვი,
 შენ შინ მოდი ცარიელი.

1251

ტარიელისა ამაჲსა
 ენა იტუვის, ადვილია,
 მოვიდა, შემოკვიტია,
 — გამიკეთეთ სადილია!
 ისე გუჟღერად მაიქცა,
 თითქოს თავის ადგილია.
 მემცხვარებმა დაუხსეს:
 „შენ ვინა ხარ? სად გივლია?!“
 მობრუნდა და თაგი მოსჭრა,
 სუ ჭკუიდან გადირია.

1252

ჩვენი ხატონი, გამდელი,
 საშუშაბოთა გვზრდადიან,
 გვასწავლეს კარგნი საქმენი,
 იმასა გვანჯუნებდიან.
 ისე გავიბით საბუელი,
 თვალნი ვერ გადაუწვდიდიან,
 ვინც რო გვიჭერეტდენ შჭერეტელ-
 ევეკა ჩვენ მოგვანატრიდიან. [ნი,

1253

მომქონდა ტუილამ ურემი,
 ზუდ მეღო სილით კალათა,
 ზუდ მეჯდა ერთი ბებერი,
 მომიხაროდა ქალადა;
 ავდექ და კბილი უნახე,
 ერთიც არ ედგა წამლადა.

1254

საქარე სერზედ შემოვდექ,
 სველა გაგქარე გულისა,
 დავაგდე ქაჯუთს ქვეუნა,
 სისხლისგან გაბსრულისა,
 ვინ არის მათი მოუვარე,
 იუოს მაჰმადის რჯულისა.

1255

მადლა მათზედ რო წაველი,
 დაშე დამიდგა ძნელია,
 ქალის წიგნი. მიმივიდა,
 წაუსვლელობა ძნელია.
 შევჯექი ჩემსა ლურჯას,
 სულ დავარბინე ველია;
 შევხედე, ტახტზედ დაუსვამთ,
 ის ჩემი გულის შევლელია,
 მიველი და ხელ დავტაცე;
 ფირცხლავ მოვწვიტე წელია.

1256

ზირდაზირ მიჯდა იგი ვზე,
 გული მისთვისა კვდებოდა,
 მალვით მიჭერეტდა, ვუჭერეტდი,
 სხვად არას მიამებოდა,
 თვალი მოვწვიტე. ამითა
 გულს დამამებოდა.

1257

(ისაკა დალაქიშვილის ნახაველები).

ტარიელ დაცხვი ვეზირად,
 სიტყვა შენ დავჯობინე,
 ცული გატეღო მხარზედა,
 შეშა ვერ გატანობინე.
 კინდოდა ლერწამ-დარკვან,
 რატამ არ შემატყობინე?

სისხლი ქიქაოზ ნეფისა
 თავს რათ დამადებინე?
 აღარც შენ მოგცემ, არც იმას,
 ორთავ ხელს აკადებინებ,
 დავიბარებ ხუროებსა,
 კიდობანს შევაკვრევენებ,
 შიგ ჩაგსვამ ლერწამ-დარეჯანს,
 წყალს მივცემ, წაგადებინებ.
 შიგ სამი გველი ჩაუსვეს,
 ერთი თავს, ორი ბოლქოსა,
 ერთი ამბობდა: „შეგჭამოთ!“
 მეორე: „მთამინებოთ!“
 მალ-მალე ამბობს შესამე:
 „ტარიელ მღვდის თოფითა!“

1258

მინდორო, არა მინდორო,
 მტკვარო შე არეზიანო,
 ჩემი მზე რა უფავ, წყალო,
 შენ წყალო მიზეზიანო?
 არც ხმალი ბებერის, არც თოფი,
 არც შუბნი გუცემიანო,
 იმასაც გამოგაჯაგრებ,
 როდიდა დაგლევი, ტიალო!

1259

წყლისა ზირსა ვნახე მოყმე,
 ნამტირალი ჰგვანდა გმირსა,
 ხშირად ესხა მარგალიტი
 ლაგამ-ავშარ-უნაგირსა.
 უთხარი და როდი მითხრა,
 ხელი მიიფარა ზირსა.
 საუფარული ლაჭკარგვია,
 დანა არ უხსნიდა ზირსა!

1260

თქვენსა ბასნებას ველოდი,
 სიტყვასა თქვენსა გვაშთავან,
 ადვილი სამსახურია,
 ერთის მოუვანს სამთავან.

1261

შე რომ ის კაცი მინახავ,
 დემერტმა რად გაასრიდა?!
 არაბეთს ქვეით ქვეურებო
 შეჭევა და გაატიადა,
 ეგვო ნეკით ირემი,
 მწვადივით დაატრიადა.

1262

ბრძენი თუ ბრძენი, რა ბრძენი,
 ხელი ვითა იქს ბრძნობასა?!
 ეგ საუბარი მამინ მწამს,
 როცა შე ვიუო ცნობასა.

1263

თუ ბრძენია, ამა ბრძენი
 აზირობენ ამა ზირსა:
 ვით მამაცი მამცურად
 კაცი რამდენს ნახავს ჭირსა.
 კაცი თავის გრძნობისკან
 ბოლოს ჩავარდება ჭირსა.
 ჭირსა უნდა გამაგრება,
 როგორც წყალში იმ ქვითკირსა.

1264

ვინ დადის ფრიდონის ფოტეში?
 ვინ არჩევს უკეთესებსა?
 ფრიდონ ისეთი კაცია,
 ზირით ქვას დააგვესებსა,
 იმისი ნაკრავი კაცი
 ურთს აღარ დაიგვნესებსა.

1265

ცხენი ცხენსა, კაცი კაცსა
ცხენ-კაცისა შედგა გორა,
ჩემი კასროლილი კაცი
მიფრინავდა, როგორც ბორა.

1266

ნესტან-დარეჯანისგან მიწერილი
წერილი:

კოშკი დგას მარმარილოსი,
წვერა ცას მიუბჟენია,
აღმასის კიბე წინ უდგა,
ასულა-ჩამოსულა ძნელია.
წინ მიდგა ოქროსი სინი,
ზედ კვიციის ხორცი ჰყენია,
აღმასის დანა ზედა ძვეს,
გალესილი და მჭრელია.
მშინ და ვერ მიტამია,

მე დეთისგან შეელას ველია.

ეს გაიგონა ტარიელ,
თვალს ცრემლი გადმუკრია:
ცხესე ისე აფრინდა;
ხელი არ დაუჭერია.
სულ ერთიანად გაჭწყვიტა,
რაც გალაყანში ჰრია,
ისე ავიდა ჩარდახში,
არ დაეკარგა ფერია.
მივიდა, ღერწამ-დარეჯანს
ზედ გადაჰწვია ხელია:
„გიპოყე, ჩემო სიტოცხლეკე,
ველარასა იქს შტერია!“

1267

ნელა ამოდი, ტარიელ,
რა თაფი გაიშრება,
სხვებსაც ჰყოლია მიჯნური,
თაფი არ უნაცვლებია*).

რუსთველის ნათქვამები.

1268 [სიტყვას

რუსთველმა სთქვა: ამ ჩემს
ასე ვიტყვი, ძირს არ დავცემ—
კაცმა კაცი ჩემთან მოჰკლას,
ღმერთს ვიმოწმებ, არსად გავცემ.

1269

რუსთველმა სთქვა: განა თხა ვარ,
გაზაფხულზე გაფიკრიტო,
ეს სოფელი იმით მინდა,
გაფიციხო, გაფიკრიტო.

*) ეს ისაკა დალაქიშვილი ძალიან მეტყველი კაცია და ბევრი სხვა
ლექსი და ანდაზა ჩამაწერინა. ბარემ ზღაპრად მიამბო „ტარიელის ამ-
ბავი“, მაგრამ მაშინ მე მხოლოდ ლექსები ჩაწერე და ამ რიგად ეს ვა-
რიანტი დამრჩა ჩასაწერი. თუმცა ის კაცი დღესაც ცოცხალია და ვიც-
ნობ მაგრამ ისე აღარსად შემხვედრია, დაბერდა კიდევ, გაღარიბდა და
არ ვიცი, ახსოვს რამე კიდევ, თუ არა.

1270

რუსთველმა სთქვა: ჩემს ძალსა ვკვები,
 ცას აღცილას თავს უგრავ;
 ზღვას დავეწაფო ეჭვითა,
 სულ ამოვიღებ, უღაპს ვუზამ.

ლექსები როსტომის შესახებ.

1271

როსტომ სთქვა: სიბერეა ციხითა
 სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
 ნაკრავი ბერი კაცისა
 წადით, გაშინჯეთ, რა ჰჭირდა.
 ჯაჭვი ჰერანკათ გავცვითუ,
 ახლა აღუბაც გაჭირდა,
 ამას ვინ მათფიქრებდა,
 თუ რუსის ხმალიც გაჭჭირდა!

1272

როსტომ სთქვა: სიბერეა ციხითა
 სიტყვას არ უნდა რბილობა;
 სიკვდილთან ქრთამი არ გავა,
 არც დიდი გვარის შვილობა,
 მადლი-მად შეტყვის: „წამოდი!“
 სულ დამიკარკა ზრდილობა!

1273

როსტომ სთქვა: სამი ქართული
 ჩინეთს ქვეშედა სწერია:
 ვისთვისაც მოგვკვდი, ვეწამე,
 ის უფრო ჩემი მტერია.

1274

როსტომ სთქვა: სიბერეა ციხითა
 სიტყვას არ უნდა რბილობა,
 თუ კაცი თვითონ არ არის,
 ცუდია გვარიშვილობა.

1275

როსტომ სთქვა: სიბერეა ციხითა
 სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
 სდაც რა რამი გაჭირდა,
 შეშა ხმალივით გასჭირდა.
 წადი და ჰკითხე დიაკვნს,
 თუ ჩემი ხმალი არ სჭირდა.

1276

როსტომ სთქვა: დაფაღებულვარ
 მთვარის ბნელსა და ღვეკსა,
 ჩემს დღეში ვერ მოვრჩომილვარ
 თავის ბედსა და წერასა.

1277

როსტომი ქაქაოზ ნუფეს ფალაფანი
 ყოფილა, ბექ-წაბრილი, კბილ-კა-
 რიანი, ცხენხედ რომ ზის მარცხ-
 ნა ფეხს ათამაშებს.

ბეროკაცო, ჩამამეხსენ,
 გული რასდაც შეეყოყმება.
 მე დედურთა ჩიშანი
 მე ნიშანი მენიშნება,
 კბილს კარი და ბეჭთა წახნა
 მამეულთა შემსცავსება.

როსტომი ეტყვის:
 არცა ვარ როსტომიანი,
 არცა იმთის გვარისა,

ვარ ერთი საურქი მოღაშქრე,
 მომკვლედი უსანფარისა.
 ბატონის გამოგზავნილი.
 კარჯილო ცხენოსანისა,
 აქ ფალაგნის მომკვლედი.
 დამლევი მუჭა სისხლისა.

შეილი ეუბნება:

ეგ რა შითხარ, ბერეკაცო,
 დამიკოდე წყლული გული;
 ნეტავი კი არ შენახე,
 შინვე დაგელა სული.

* *

როსტომი ქაქაოზს ეტყვის:

ერთი ჭაბუკი მოსულა,
 უველა მტრისაჲს მასია,
 ომშიაც ვნახე, ღახტშიაც,
 უველა იმისთვის ჩატა,
 იმისი ფეხის ნადგამი
 სმარის კარსა გვანდია.

ქაქაოზმა ბარგი აბარგა, უნდა
 იმ ქალაქილამ წასულიყო. როს-
 ტომს იმ ღამეს არ სძინებია.

ქაქაოზ ბარგი აქ დადგე,
 საცა რა უწინ კდებია,
 იმ ფალაგნისა სიკვდილი
 ახლა მე მისაზმრებია;
 შესამში გაუღესე ხანჯალი,
 ჩექმში ჩასადებია...

კიდევ მივა როსტომი და გამო-
 ითხოვეს. შეილი ისევ იმ პასუხს
 მისცემს, როსტომმა უთხრა იმ დი-
 ლას:

ჩვენში ასეთი წესია,
 ფეტვი ადგილზედ სთესია;

ფალაგანი ფალაგნისა
 ერთსელ დასცემს, აუშვებსა,
 თუ შეორედ წაქცია,
 ცოცხლს აღარ გაუშვებსა.

დაიკიდნენ ზურაბმა უფრო ძრი-
 ან წაქცია წინანდელზედ. როს-
 ტომი მუტელში დანას დასცემს.

ზურაბი ეტყვის:

შე ბერეკაცო, რად მამკალ,
 ხმალი რად დამე ვადამდე?
 შენ მამჩემსა როსტომსა
 საით წაუხვალ, სადამდე!
 ან უნდა ცაში წახვიდე,
 ვარსკვლავთა ერთი აილო,
 ან უნდა მთაში წახვიდე,
 ნადირთა კვალი გაილო.
 შენ მამჩემის უმობითა
 ხმედეათსედ პირი გაილო.

როსტომი ეტყვის:

შენ ბოზო, ბოზისა შეილო,
 სადა გაქვს როსტომთ ნიშანი?!
 — აჰწიე მარჯვენა მხარეს,
 მუჭი გამოგა მზისანი.
 აჰწია მარჯვენა მხარეს,
 ელვა გამოტყურა მზისანი.
 აფრთოდლა ფურცელივითა *)
 მიწას დაეცა რევითა:
 — ახ, შეილო, ჩემგან მოკვლელო,
 ტირილით ვიტყვი ვაისა!
 ჩემო ქაქაოზ შეფეო,
 შენთვის შევემბი დევეს მეო,

*) როსტომი.

წამალი გამამიგზავნე,
 მეცდლება ზურაბ ხელთა მეო.
 მარჩინო—ბედმა შენმა
 ვამსახურო შენს ტახტს მეო.
 წამალი გამამიგზავნე
 გივის დიაკვნის ხელითა.

ქიქაოზი ეუბნება:

როსტომ გუფჩარი კაცია,
 ტანი წაიღე რევეითა,
 ფეხი ფეხზედ გამიკარ,
 წამალი დაიქცევისა!

ცოლმა შემოუთვალა:
 უბედურო სსხედარო,
 წადი, ძოვე მადლა მთასა;
 ნურც მიუშვებ შორით ნადირს,
 ნურც ვაეიკაცს მუნდად მალსა.
 როგორ მოჰქვას მამამ შვილი,
 დაიკარგოს უცხო მთასა*).

1278

დიდება და მადლი ღმერთსა,
 როსტომ გამოვიდა ზღვასა,
 ცალი ხელით მოცურავდა,
 ცალით მოიქნევადა ხმალსა.

ბ ე ჟ ა ნ ი ა ნ ი .

1279

არ გაიკითხვენ კლახკათა,
 თურმე ჰქრანელთა წესია,
 თუ გაიკითხვენ, ჭირი სჭირს,
 სიკვდილზე უარესია.

1280

ბეჟან, გივი და გოდერძი
 ჰქრანელთ თავადებია,
 მოვლენ, შეგსვამენ, შეგჭამენ,
 ხანძრულად მოგგებებიან.

1281

გათენდა და განათა
 ცა, საწუთრო, მთა და ბარი,

ადგა ბეჟან, შეიკამზა,
 ტანთ ჩაიცვა სამართი,
 ბეჟან ცხენსა შეუტია,
 ტვინი ადგილს დაუნთხია,
 ტახმა ბეჟანს შეუტია,
 ჯაჭვის კალთა დაუნთხია.

1282

აფრასიონთა მანიკა
 მზე არის ამომავალი!
 მზეა და მზე დაახნელა,
 ცისკარი ამომავალი.
 მდინარე წუალი დაშრო,
 ქვიშაზედ გადამავალი,
 ვინაც რომ იმას არ იცნობს,
 იმის სიცოცხლე რა არი?!
 ვინაც ჭადი-ფვარს მოგვდება,
 მისთვიან სამოთხე მზა არი.

*) ისაკა დალაქიშვილის ნაამბობი სოფ. ჯფლისციხეში, წიგნი არ იცის, სომეხთა.

ე თ ე რ ი ა ნ ი .

1283

ეთერო, შენის ნდომითა	სხელი დაიდგა ბნელოური,
ჩონხა გავტვითაჲ ძველოური.	თუ კარითა ვერ შემოგივალ,
მაინც ვერ დამეძღურები	ჩაძრამა ვინტი გველოური.

ა მ ი რ ა ნ ' ს ე დ .

1284

ამირან, იქით ნუ წახვალ,
გუშინ რა ქარი სვიოდა,
ან იყო დევის ნაბრძოლი,
ან ქვა და ლოლი ცვიოდა.

1285

ამოდ იარე, საშარო,
მინდორს ვერ გახვალ რბენითა,
არ წაინდინო მუცელი
მაგდენი ტანის რეჟიოა!

1286

ამირან, მდევო შეიბნენ,
ამ მთას გაჭქონდა გრიადი,

დასცა და ბეჭი მოსტეხა,
ადგილი დახვდა ქვიანი.
— აცა, ამირან, ნუ მომკლამ,
ნუ გინდა ჩემი ზიანი!
წულის გადმა ქალსა ცასწავლი,
ამომავალი მზე არი,
წადა და წამოიყვანე,
სახელად უამარ ჭქვიანი.
უსინი, რაში მათხვეუ,
წუალში გავიდე რეჟიოთა,
გამოიყვანო უამარი,
მანათობელი მზე ვიოა.

ს ს ვ ა - დ ა - ს ს გ ა ლ ე ქ ს ე ბ ი .

1287

ზოგს კაცსა კაცი ჭქვიან,
ზოგს კაცსა — კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს დედაკაცი,
ზოგს — დედაკაცუნაო.

1288

მარტო სმა-ჭამა რა არი?
საქმე თანდურის კვრა არი!

1289

ერთსა ვიტყვი,
ორსა სჯობდეს,
ქათამს დავკლავ,
დორსა სჯობდეს.
წავალ, ქვეყნებს სულ დავივლი,
ქალაქს ვნახვ,
გორსა სჯობდეს.

ზოგიერთა ვეი კაცი,
ჩხუბს განჩენს, ომსა სჯობდეს.
ზოგი გამოვა ვაჟკაცი,
ყოთოთა რა თოფსა სჯობდეს.

1290

ბოზი სახლში შეუშვიო,
კარი ღია გაუშვიო.

1291

რაც რამ სიმთვრალით წამოთქვა,
სიფხინადით აღარ გადათქვა.

1292

აზვადება კაცის გული,
არ მთავრებს ღმერთსაო,
არ იტყვის: „ნაკლები ვნახე“,
არ აუქავრებს ხელსაო,
ხათრანი კაცი შერცხვეს,
ენას იმოკლებს გქელსაო,
უხათრო ამითი სჯობნის,
რომ როშავს ყველაფერსაო.
ნეტარება იმისია,
ვინც ევადრება ღმერთსაო,
შაიბრადებს ნაკლებ კაცსა
და აუქავრებს ხელსაო!

ქკვა უნდა და გონება
შეირის გამოთქმელსაო,
თქვენს მოლოდინში ვიყავით,
მძღვიანს მოგიგდეთ ხელსაო.

1293

ღ ა უ ნ დ ო ბ ლ ო ბ ა .

ზღვაში ვეფილი ჩაყვარე,
შიგ ამოვიდა კამარა,
იქა შეამს გულის მოკეთე,

სახელად ჰქვიან თამარა.
დახედე ჩემსა იღბალსა,
ძამე კი დამინდო; დამ არა.
სხვა პირი რას დამინდობდა?
რაც მივაბარე დაძალა!

1294

ზოგიერთა ეკლესია
შეძვრებოდა ეკლემშია,
მდიდარ კაცს ვერაფერს უზამს,
ღარიბს წაუტყერს ეკლემია.

1295

ბრძანა სოლომონ შეფუქანს,
შეფუქემ გამოჩინეთო.
ვარჩინოთ ქვრივი, ობოლი,
ბრძანს თვალი აფუხილეთო,
შვიდი წლის სმელი მამადი
ხეს შეესვათ, დაჟაჟივლოთო.

1296

რ... ხეშიფე და ხონთქარი
ორივე თავადებაა,
მოვლენ, დაგვწვევენ, დაგვდაგენ,
იულად მოგვედებიან.

1297

ქარში ლეკმა დაიკვება:
წავალ, კახეთს შევისწავლი,
იქ რა ღამაზი ქალია,
იმის სახელს დავისწავლი.
კახის ბიჭმა თავში ჩაჭკრა:
— შენ კახეთს ვერ შეისწავლი,
ან დაგარჩობს ალაზანი,
ან იორი შავი წვალი,
თუ იმასაც გადაურჩი,
კახეთს მოგეტკრება თავი.

1298

საქართველოს ბედი.

მადლა მადალსა მთაზუდა
სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩვენი მტერი და ორგული
სვამდა, ვერ გამაძლარიყო *).

1299

კამეჩს რქა მოსტება.

მე რომ საქმე მომივიდა,
ის არ მოსვლია სხვასაო,
სამხრის ხარი წამოვასხი,
კამეჩს ვასხამდი წყალსაო.
ჯამი ხელიდან გამვარდა,
დაეცა კამეჩს რქასაო,
ავიდე და ხურჯანს ჩავდე,
დავაბრალებდი სხვასაო.

1300

- უ რ ე მ ი .

ურემო ივერსო მადლო,
ხუნდი გიურის გიშლისა,
კაი ხარები გიბია,
მაგრამ ტალახი გიშლისა.

1301

ართველაში გაქებუნ,
გარგა დაუტარებ კევასა,
საწერიღმანოს წაიღებდი,
ქალებში გაჭვიდი კევას.

1302

ჩიტის ბოლოს რქასა
ჩიტი მოესარმა,

*) ეს ლექსი ჩამაწერიან შაქრო
გაგნიძემ ს. ხელთუბანში. ამის ვა-
რიანტი - "ფშაურებში" მაქვს.

ენა, ბეცა,

მეც მაჭამე, მეცა.

საბძელშია შვეინკდე,
თივაც იყო, ბზუნა,
ერთი ქალი თამაშობდა,
მთვარეც იყო, მზუნა.

1303

კოჭლო, კოჭლო ჩადუნო,
შენი ცხენი რა უყავო?
— ერთი მკვლემა შემეჭამა,
ერთი ბატონს დაუყავალო.

1304

დიდება მამასა და ძესა,
რა სჯობია მაწონსა და რძესა?!

1305

კაცი მოვიდა ზეციდან,
მჭადი მოვიდა კეციდან.

1306

მე მამაძაღლოყო,
უნდა მეც გამაძაღლოყო?!

1307

იბა მადის დასთანა,
მიღის და მიეჩქარან,
ვინცა ნახოს და არ ნახოს,
ნურცარამც გაუხარნია.

1308

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი გაგრებე ლილოსა,
სულ თავზე შემოვიკარავდი
მთელი ღენსუმის ტილოსა.

1309

ვაყო, ეგ შენი ქებაო,
არა ვსთქვა, არ იქნებაო

ზურის ჭამაზე მარდი ხარ,
საქმეზე წელი გწელებო.

1310

გორიჯორის წმიდა გიორგი
გადმომტკერალი მტკვრისაო;
ტოვი ბევრი ჩამოივლის
ქარელისა და სკრისაო.

1311

ორი შაური თუელი მაქეს,
იმას არ ვეტყვი ქონებას,
ერთი შაურიც მაჩუქე
იმ ზღაშენის ცხობებას!

1312

კახტა ქალმა დამზატოცა,
ღო დამისხა ჰინაზულა,
ზინა იქით გადავაგდე,
შავაუენე ყირაზულა.

1313

რუსთ ხემწიეთმ და ხონთქარმა
შეუარეს დიდი ჯარები.
— ხონთქარო, ჩემო მოუყარე,
ჩემთან რას დაედარები?

1314

ესო, მესო, ჩახმხო და გვესო,
აკატარეს, ჩაკატარეს

სილა გაგაკრესო,
გლეხის კარზედ მიგიუვანეს,
თაფლით გაგაძღესო.

1315

ს ა ხ უ მ რ ო .

ალექსანდრე ზომზოლიყო,
შენი საქმე რთგორ იყო?
— ჭლას ჩიტი მომკვდარიყო,
მალა შეუდე — გამსმარიყო,
დაბლა დაუდე — დამზალიყო.
დიდ ქვაბში არ ჩამოვიდა,
ზატარაში ლაღად იყო.
ასმა კატმა ვერ შეჭამა,
ზატარძალმა ლუგმად იყო.

1316

(ვარიანტი მე-1270 ლექსისა)

რუსთაეღმა სთქვა: ჩემს ძალს ვეკე-
ცასა ადგილსა აავეს უკრავ; [ხი,
ზღვას დავეწათო ეჭვითა,
სულ ამოვიღებ, უღაპს ვუზამ,
რკინასა ასსა ლიტრასა
კბილს ქვეშ წავაგდო; კნატს ვუზამ.
ამ დედაკაცსა ბოროტსა
არ გაუცვალო, რას ვუზამ?!

ხალხური ლექსები

(კახეთში შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ).

ისტორიული ლექსები.

1

ედი ელამდა, ზღვა ბიბინებდა,
ზღვისა კიდეს კარავი იდგა,
შოკ ქალი იჯდა, ზარი ეხურა.

აზნადე ზარსა, სამი ვაგოცე,
სამმა კოცნამა თერი უცვალა,
თერმა ნაცვალმა წიგნი დასწერა.
ვის გაუგზავნა? — დავით ნეთესა.

- რა მოუვიდა?
- ქაშხა, ატლასი.
- რით მოუვიდა?
- ჯორ-აქლეშითა.
- როგორ გამოსჭრა?
- ბრძლის თიხითა!
- რითი შეგერა?
- ნემსის წვერითა.
- როგორ იტყუედა?
- სიხარულითა.
- როგორ იხდიდა?
- ხორცის გლეჯითა.
- რაში კარტყსა?
- სისხლის ზღვებითა.
- რაზე გააშრო?
- ალვის ხეხედა.
- რაღამ გააშრო?
- ნიაგმა-ქარმა.

2

მანდ რო ქალი დავიკარგე,
 განჯას თათარსა ვევეარო,
 ჯეილ-ჯეილო ბიჭებო,
 სუ ჩემო მისაღევართ!
 მკერიფეთ თიხო შაური,
 მიხსენით, თქვენ ტყვე ვართ.
 თუ არ დამიხსნით, თქვენ იცით,
 ისევ თათრების ტყვე ვართ.
 მაცვია ნაუთის ჰერანგი,
 ზედ ტუცხლის დიდი შიბია;
 წინ მიღვა ოქროს ტაბაქი,
 ზედ კვიცის ხორცი მიგია;
 მშინ და ვერ მიჭამია,
 რჯული ვერ გადაშავდია!

შენი აღმასის დანა მქვს,
 თერგის ტარი მიგია!

3

ეგენი რომ წამოვიდა,
 ქვეით ჯარსა დაუძახა,
 აჭწივა ავლაბრის ხიდსა,
 თუცხლავ წუალში ჩაუძახა:
 ჩაურა რეინის უღელი,
 კაჭკრა, რუსეთს გაუძახა!
 წული და ღვარი ადიდდა,
 დეღეები დვარმა დასრა;
 ასი-ორასი თათარი
 ერთ დეღეში ჩამარხა.
 ოთხშაბათს და ჰარასკევს
 იყო მაშინ მჭადით მარხვა,
 ორ აბაზად ცხვარი იყო,
 სამ აბაზად დიდი ძროხა,
 ღეწა უმაწვილების კალო,
 ოროველა შემოსძახა.
 ცოდვის კითხვა მაშინ იყო,
 დედამ შვილი ვერა ხახა!

4

დემურ ყაენი.
 დაიძრა დემურ ყაენი,
 დააკლო ხორასანია,
 წული არ ეყო სასმელად —
 მტკვარი და ალაზანია,
 ბლახი სძოფუნელადა —
 თრიალეთისა შიანია.
 ავლაბრის ბაზარს ჩამოხდა,
 ადგილი უუბარია,
 დასცა და დასცა კარავი,
 სკუტი ოქროსი მუაფრია:

შიგ ღაჟდა ღემურ უენი,
 რა ტურფა სანახუია!
 სამი ბიჭი შეიკაზმა,
 შაღვა, ივანე ძმანია,
 წავიდეს, გადაარეს
 ის ურჯულათი მთანია.
 შადვას ცხენი წამოუქცა,
 ვიწრო საფლელი გზანია.
 სამი ქერთი ზედ მადგა,
 სამნიც ძალიან მთვრალანია.
 — დაჭკა, ქერთ, ნუ გებრალეები,
 იუ გული გქონდეს ავია!

5

კოზმანიშვილი.

კახეთში კოზმანიშვილო,
 შენი ხმა თუშეთს ამოდის!
 ცაკიმაკრებაჲ კონდოლი,
 ჯარი ვეღარსით შემოდის.
 ეგ ჩვენი ცხენი ღურჯაო
 თელავში მალმალ შემოდის,
 ეგ ჩვენი ხმალი ირანგული
 ქარქაშში ღაღად ამოდის.
 ეგ ჩვენი აზნაურები
 გაღმით ხმა გამოდმ გამოდის.

6

არა ქნა ჩვენმა ბატონმა,
 შეჭყარა დიდი ჯარია,
 თრძირ ქიზიუი ავსო,
 ხელთ მისცა წინა მხარია.
 აღაზანს დაღვა ჯიბირი,

ზედ გაღის ჩვენი ჯარია.
 მატარა ნაბაღარია,
 შიგ ღამაღელა ჯარია.
 მიველით, გავიქციენით,
 როგორც ნადირმა ცხვარია.
 ბატონსა ცხენი მოუგაღეს,
 თავში ჰკრეს ზარბაზანია.
 ბატონი ქვევითი მოღის,
 ხელში უჭირავს ხმალია.
 მომეშველენით, ბიჭებო,
 ვის გინდათ ჩემი თავია!
 ეს ბოსტინილი დათუნა
 ცით ჩამოსული ჯვარია,
 ცხენზე ზის ბეღურზედა,
 ქვეშ უქრის ნიაგქარია.
 გადმოხტა, ბატონს მიაერთავ:
 „შენი სანაცვლო არია!“
 გუმბათის თავში მოვიდა,
 კითხულაობა შეიქნა:
 „ეს ცხენი ვისი არია?“
 — შენი ჭირიშე, ბატონო,
 ბოსტაშვილისა არია!
 — დათუნავ, ქალაქს ჩამოდი,
 იუ გინდა სჩუქარია!
 დათუნა ქალაქს ჩავიდა,
 ესვევა დედოფალია:
 — „შენი ჭირიშე, დათუნავ,
 შენ მამირჩინე ქმარია!“
 ამურმეები აუსხა,
 ზედ შემთარტყა ხმალია,
 მამულიც დიდი აჩუქა,
 წისქვილიც საკუთარია.

7

ტყვე ქალმა ბელიანს ყელი
გამოსჭრა.

აქებენ მელიქიშვილსა:

ტანი მიუგავ ბუღასა,
თავლები მინდურის მწვერსაო;
დაიარება ევარელში,
ბევრსა შოუღობს ტყვესაო.
გაჯაგრებული წავიდა,
მუხლზედ იცემდა ხელსაო.
ჯარები შემოუსია
ფერისცვალობა დღესაო;
დაწვა, დადაცა სახლები,
მკვდრებს ვერ აუძიებდნენ ფეხსაო.
ქალი და რძალი წაასხა,
გადაუგენა მთებსაო;
სულ ფეხშიშველნი ატარა,
ქალში არ ეტყვა ერთსაო,
ერთ სასახლეში შეუძღვა
შვიდი დღე-ღამე დღესაო.
ღეკებისა ეუბნებოდა:
„შიგ გამოვარჩე ერთსაო.“
შევიდა, გამოარჩია,
სახლს ანათეიდა ბნელსაო.
ქვეშ ორხუა გაუშალა
თავისა ორხუაზედა.

— მოდი, დაიძინდი, უამაზო,
გადაუსვამდა ეელზედა.
— შე წუწკო მელიქიშვილო,
შენ როგორ გადაგეხვითო,
უკუღმა იწერ ბირჯვარსა,
ქმარი და მზელი დახოცე.
მამა აჩუკე ხმალითა;
კიდევაც მამაკონდება
ვაყვანი ჩემი ქმარია.
ღმერთო და წმინდა გიორგი,
მანგენე შენი ჯვარია,
ბელადსა ყელი გამოსჭრა,
წავიდა სისხლის ღვარია.
ადგა ქალი, წამოვიდა,
სამშვიდობოში არია!

8

(ვირიანტი)

სულსადლი მელიქიშვილი
დაიარება მთებსაო,
ევარელში ჩამოხვეულა
ფერისცვალობა დღესაო,
დაწვა, დადაცა სოფლები,
ბევრსა უტირა დღესაო.
ქალიჲ ჯარი დაარჩია,
გადაუგენა მთებსაო,
საბელადოში გამოვიდა;
შიგ გამოვარჩე ერთსაო

ს ა გ მ ი რ ო ნ ა .

9

იარე; ბიჭო, წავიდეთ,
ტყა შეგვარაო ჩვენი მტრისაო,
ტყვეები გავაყრინოთ,
მადლი გვეყოფა სხვისაო.

10

ბელაქანი წავახდინე,
მინდა წავიდე ჭარშია,
ცხენი მკელმა შამიჭამა,
კვიტი ჩამეფლა ფშაშია

ტანად დაბადო, ღამაზო,
მანათებლო ცაშია,
შახედულობა კარგი გაქვს,
თუ უნარი გაქვს მკლავშია.

11

გელანაშვილი გიორგი.

გელანაშვილი გიორგი—
სარქალი მწვემსებისაო,
მოჯამაგირებს არიგებს,
როგორც დედ-მამა შეიფსაო.
შაჭთიცა მოჯამაგირემ,
ფიცო ქნა შეუფისაო:
„გუშინ რო ღორებში ვიყავ,
ნავალი ვნახე მტრისაო,
ურჯულთჱ ათფი ვესროდე,
მოფარტვი ძუძუს ვირსაო.“
—ვერ გისროლია კარგათა,
ფაი შენს გიორგისაო!
მაგ ათფის ამბავი ვიცო,
სდაც მოაბამს ვირსაო,
არ დაეწუნეს ფეხზედა,
ფიცხლავ დაარტყამს ძირსაო!
ბიჭებო! ღორი ავეარათ,
სნფა გორს მიუდგეთ ძირსაო.
ეს შექეული გიორგი,
ნატუნი სადის კლდისაო,
დაჯდა და ლესავს ხანჯალსა,
ტურთუად მოუწეობს ვირსაო.
—გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისაო.
სამი ურჯულთჱ ბეჯადი
გიორგის დაწვესაო.
წამაიწია გიორგიმ;

ლეკი მაიღო ძირსაო,
დასცა და დასცა ხანჯალი, —
შაშვივით აღებს ვირსაო.
—გაისარჯენით, ბიჭებო,
ვისიც ხანჯალი სჭრისაო!
ფოლად-ნარევი რკინაა,
ტარი კამეჩის რქისაო.
კაფა და კაფა ლეკები,
როგორც ტოტები სისაო,
აკეთი დატრიალდება,
როგორც ბორბალი წყდისაო!

12

გამოპარული ტყვე.

ლეკებმა რომ დამიჭირეს,
მკრად შამკრეს, ვაჰ მეთ!
აკეთ ცინებში ჩამაგდეს,
მზე არსით მადგა მეთ.
იქ რო ქალი შემოვიდა,
დმერთო, მიე დიდი დდეო! —
გამატარ-გამომატარა,
ზოგან დუში, ზოგან ტყეო.
ეფავმა დაიწეთ ჩხეილი:
—„ლეკო, გეგმზარა ტყვიო!“
სანამ ლეკები გაიგებს,
სამშვიდობოს გაველ მეთ.
სამშვიდობოს ქორწილია,
ვიკითხე და შეველ მეთ.
ბოლოში რო აღავი ქნეს,
თავში წამოფუჭეი მეთ.
ყანწით ღვინო მომაწოდეს,
თასით ჩამოფართვი მეთ.
ნეფე კარში გამოვიდა,
დედოფალა დამჩჩა მეთ.

ერთი იმასაც ვაგონებ,
სიაგვაც შეშინა შიკო.

13

სოლოლას ლექსის ვარიანტი.

არაბი მოდის, მოხუცის
შვარდენის მთავრად,
ჯირითსა დატრიალებს
კაშვიტულს მკლავზედა.
სოლოლას კარგად აქებენ,
ჯირითის გასროლასზედა.
— მოდი, სოლოლა, გამექე,
ერთი ჯირითის კვრასზედა!
ერთისა შეტსა არ გესვრი,
მასაც ღვთის ბედობასზედა.
ადგა სოლოლა, გექეცა,
მისდევს არაბი კვალზედა,
რამწამს ერთი წამოუსვს,
სეულ არა კვრა ტანსზედა;
შეორე თან მიაყოლა,
მოსვდა ცაღ უზანგასზედა,
მასწევიტა ცაღა უზანგა,
დადგა ცაღ უზანგასზედა.
მოდი, არაბო, გემექე,

ერთი ჯირითის კვრასზედა,
ერთისა შეტსა არ გესვრი,
იმას ღვთის ანბარზედა.
რამწამს ერთი წამოუსვს,
დაჭხინა ბეჭის ფთავზედა;
არაბი ძირს გადმოფარდა,
ცხენი გაიქცა წყალზედა.
აღაღ-აღაღი თათრები
ქისს აბურტევენ თავზედა.
ბატონს კაცი მიუვიდა:
„შენი არაბი მოჰკლეს!“
— ჩემსა არაბს ვინ მოჰკლავს,
გათქმულს თურქისტანზედა?!
არაბის შვილელო მიჩვენეთ,
გავიცნო კაცობაზედა.
სოლოლას ხელი წაწვდეს,
ფეხები მიაქვს განსზედა:
აგრე ჰტონია სოლოლას,
თავსა მომჭრობს ტანსზედა.
ხალაი გამოუტყვადეს.
დედის ხაშობს ტანსზედა,
კალმუხის ქედი დაჭხურეს,
ანლაღ მოპარულს თავზედა.

ს ა ს უ ლ ი კ რ ო ნ ა .

14

[თი,
დენთა, დენთა, როგორც დენ-
დუინო დეკა, როგორც ზეთი!
დალოცვილი ქრისტე დმერთი
აქროს სკამზედ დაბანდებ,
ხელთ უწირავს სასწორები,
ცოდვა-მადლი ეწონება.

მე და ივანე კანაელა
სულის საკრეფლად წაველით;
არ მინდოდა წამუეფნა,
შორი გზები გამატარა;
სამთხეში გადავხედეთ,
ტურფა იდგა ქალის ჯარი.
სამი ქალი მამეკება.

სამნივ აუუნეს ჩემნი დანა.
 — წაშო, ძმაო, ზური ჭაშვი,
 თბილი ზური, ცხარე ძმარი.
 — არცა შენი ზური მინდა,
 არცა შენი ცხარე ძმარი!

სამი დღის ნაყანობისა
 ეკალ-უკალი ჰქვენია.
 მადლიანი ამის ამბობს:
 „ჩვენთაგან ბუმბული ჰქვენია!“
 ცოდვიანი ამის ამბობს:
 — ამაზედ გავლა მხელია!

15

მეორე ვარიანტი.
 დენთი, დენთი, როგორ დენთი...
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი

ძირს მიწაზედ ჩამობანდა...
 შამკობილი იმერეთი...
 ჯაგის ძირას დაიბადა
 დალოცვილი ქრისტე ღმერთი.
 მიბრუნდა და მღვდელსა ჰქითხა:
 — შენ ხუცესო, დღეს რა არი?
 — რას მიჰქარავ; ბერო-კაცო,
 ზური არი, განა ფუტვი!
 დასწევულა და ჩაძვინჩა,
 დღესაც მოდის დანაშრეტი;
 ხან ბარი ამოვარდება,
 ხან ნიჩაფი, მუხის კეტი.
 ადუ, ქალო, ჩქარა წადი,
 უკან აღარ მიახედო,
 ნუ გჭირს თავში გიჟი, ტეტი! *)

ს ა ზ ნ ე ო ბ ო ნ ი.

16

მ ი რ ო ნ ი.

არ ვარცა მეზობელშია
 მირთნი მიღებულა:
 ემაწვიდი ემაწვიდს კადანსძლავს,
 ისიც ხომ განდა ურია.

17

უფერი ცოლ-ქმარი.

იადონი ვარდსა ჰქუვარობს
 და ბუღბული ავ-საგანსა**)

ნეტავ როგორ შეეუება
 კაი ქალი ავსა ქმარსა?

18

დიდება ეოვლად წმინდასა,
 სოფლის შენება ინება,
 ცასა უბოძა დრუბული,
 მას წვიმა მოედინება.

ღმერთი დიდად გაისარჯა,
 ჩვენნი დაბადებისთინა;
 ახლო-ახლო დაგუასხლავ

*) ეს ლექსი წარმოადგენს ნაწივეტს თქმულებისა ახტალის ტალა-
 ხების შესახებ კახეთში. უფრო ვრცელი ვარიანტი ერთი ხელთნაწერიდან
 მე უკვე დავსტამებ (იხ. *Описание рукописей Общества грамотности.*
т. II, стр. 514). რედ.

***) დედანში სწორია: ავსა განსა(?). რედ.

ერთმანერთის ნახვისთვის;
 ზირში სველი ენა მოგვცა
 ერთმანერთის ძახვისთვის.

19

საკვირველი საქმე.

შენ რა იცი, მამა ქოსა,
 რა კემო აქვს თამბაქოსა?
 ერთი კაცი ზირს იზარსავს,
 არი სამოცი წლის ქოსა;
 ერთი კაცი ხარს წყალს ასმევს
 ურქოს და უურთოს;
 ერთი კაცი ჰერანგს იცვამს
 უსახლო, უსაინძოსა;
 კაცი რომ ჯარში წავიდეს,
 თავი არ უნდა იქოსა.

20

ბებერი რომ დაბერდება,
 მაუფდება კერასაო,
 კრუს-ტუჭულას მიაბარებ—
 დააჭმევდა ქერასაო.

21

უხერხული გუთნიჰ ღელა
 შესრეებს უმუქრებოლა,
 ცოტას მხვნელი და მოესველი
 მალაღ ღმერთს უმღურებოლა.

22

სუფრავ, გაშლილი ღხინი ხარ,
 ნაფარდები გონებასა,
 ერთი ნამუსი სჯობია
 ასი თუმნის ქონებასა.

23

როსტომ სთქვა: სიბერეკაციისა
 სიტყვა სთქმულად გაჭირდა,
 კურტნიან აქლემს ჩამოგერი,
 ცხრა ადღს მიწას სხვას სჭრიდა.
 ამას ვინ გაიფიქრებდა,
 თუ რუსის ხმალად გასჭრიდა!

24

ბერი ღვინო მოგვივიდა
 ჩვენ კახეთში წელსაო.
 კაი გამკონე კი უნდა
 კაი სიტყვის მთქმულსაო.

ე ლ ფ ა ც ხ ო გ რ ე ბ ა .

25

მ ლ ვ დ ე ლ ი .

ჭერეში ერთი ღვდელია,
 ციკანს მიუკავ წვერია,
 ის ხომ იმას არ კითხულობს,
 რაც რომ ქალაღში სწერია.
 ღარი და გოჯავა დაუდგეს,
 გათხელებოდეს წვერია.

ღმერთაო, შენ ამოუწვეოტე
 მინდოროში ლურჯი ცხენია!

26

(ვარიანტი)

კახეთში ერთი ღვდელია,
 ნებინს*) მიუკავ წვერია,

*) მამალი თხა.

წირვა და ღირცვა არ იცის;
რომელ კუთხეში სწერია!

27

მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე .

სხვისა მოჯამაგირობას
ადვილად იტუვის ესაო.
დილიდან საღამომდისინ
არ შექნდა მოსვენებაო:
დილით ძროხაში გამგზავნეს,
საღამოს ღორისკენაო,
თან მწვერები გამატანეს,
— „იქ ინადირე შენაო!
თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ შელა დაიჭირო,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო!“

28

კიქნაძე ბერის ქონება.

გაღმიდანა გამოვსახლდი,
მე ვარ კივანძე ბერია;
თორმეტი ფარა ცხვარი მუაჟ,
თან მიაქვთ მთა და გეღია;
თორმეტი ხედა აღლი მუაჟ,
არსად გაუშვა მკელაო.
თორმეტი უღელა ხარი მუაჟ;
სუ წინ და უკან ჭრეღია;
თორმეტი ნიშა ფური მუაჟ,
ერთ დილას დასაწვეღია;
თორმეტი ნიშა კვიტი მუაჟს,
სუ ერთად დასახეღია;
თორმეტი შატარძლი მუაჟ,
სულ აკვან დასარწვეღია;

ზღვაში გოდორი ჩავაგდე.
თევზები დასატყერია;
ორი გოდორი თეთრი მაქვს,
სუ უზალთუნი ჭრეღია;
თამარ დედოფალ მეწვია,—
მჭადით ვარ მასწინძეღია.

29

მეცხვარის ჩივილი.

თოვლი სთოვს, ცხვარი ვერ გადის,
ვაჭ გუელა შატრონისაო!
შატრონსაც არა უჭირს-რა,
ვაჭ ბრალი მწვემსუბისაო!
ელდრაზუდ დამჩნა ბინები,
ტუუილად ქარი ჰქრისაო,
შავწირე ათასი ცხვარი,
ბრალი მაქვს ოჯახისაო!
სადღა წავიდე? რაღა ვქნა?
არც იმედი მაქვს ძმისაო.
საკუთარ ბინის შატრონსა
ახლა მწვემსობაც მინდაო!

30

შამყულაანთ გიორგი.

შამყულაანთ გიორგი ვარ,
საქართველოჲ *) თვალი ჩინი,
ზამთრი გაგწვეტი ღორები,
გაზაფხულიჲ გავიინი **).
სადაც გრილო მომეწონის,
იქ დაგწვი და დაგიძინი;
საით თათუი გაფარდება,

*) ს მაგიერად გამოღმა მხარე-
ში ჭიზიყისაკენ ჰ ხმარობენ.

**) იბარავდა, ქურდი იყო.

ხელი იქით გავიშვირი;
თუ მთელი ჯრ მოვიტანი,
ფეშხვა არც კი ავიცდინი,
შინ რომ სტუმარი მჭდომოდა,
ზირი არც კი შავირცხვინი.

31

ქიზიუს ფეტვები მოსულა,
წაველ, შეველედ დავდექო,
ერთი ზირლია თათვი მაქ,
არც იმას გადავაგდეფო.
ბიჭები დავაწითკე,
იმათ ცრდვაში ჩავდექო,
საცა ღორებს დავინახავ,
მივანხვედრებ და დავდეფო.
თუ მთელი ვერ წამოვიდე,
ფეშხოს სო წამოვიდეფო!

32

თ ა გ ვ ი .

ორმომში ზური ჩაყარე,
ზედ დავაყარე ქერია,
ერთი თაგვი შემეწყია,
ამადებინა ხელია,
დავიწირე, ბეგრი ვცემე,
კულზე მოვაბი წნელია.

33

კ ა ლ ი ა .

იმერეთ ბეგრი ფურტარი,
კახეთში ბეგრი ღორია,
სამი ღლის ფეტვი მოვხანი,
შიგ ამოვწვიტე ხარია.
დარი და გოლვა დუღვა,
იმან ჯრა ქნა ტანია,
დავთაღე დიდი ღარები,

მიუგდე დიდი წყალია,
იმას რა წელი მიუგდე,
მაშინ შაყრა ტანია.
იმას რა ტანი შაყრა,
შეც წელში გაჭიშლია.
მარიანობა გათქნდა,
დაუკალი წვევილი ვარია,
მჭედელ სამკალი მიუტანე:
— შგრა დაგე ტარია!
შაველ და შაყანხარუნე,
წამოთმალა კალია.

.. ჯრ დამხლე, კალია,
კენახში გაიშლია?!
მოკვლიჯე დიდი სარია,
ერთსა მოეტყე მხარია,
მეორეს თქმის თავია.
რატო შემსამდა ტილი?!
ღმერთო. შენ შემობრალია!

34

მელიამ ვენახი შეუქამა.

ბატონმა კენახი მომცა,
ახალი გასამენია,
შიგ გაყავთე მარანი,
მოვმართე საწახელია.
ჩემი ძმა შეუბნებოდა:
„ღვინო მოგვივა ბეგრია!“
მე ჩემ ძმას ვეუბნებოდა:
„გაკუვება ძველის-ძველია!“
შემოკვეჩვია შელია,
ერთრელი თაგვის ფერია,
კაჭა და კაჭა გენახი,
ავგადებინა ხელია!..
წაველ და ჩემს ძმას უთხარი,—

ჯობს წამამივლო სულაი:
 —რატო თოფი იქ არა გაქ,
 ის თხრათ დასარჩენია?!
 ჩემმა ძმამ ხერხი მასწავლა:
 ცოდორს შემიბა უურია...
 დავდგი შესავალ კარებში,
 შიგ ჩაუკიდე ზურია.
 აქა მაქ ჩემი მაჯარი,
 ქალაქში გამართულია.
 გავარდა ჩემი მაჯარი,
 გააგდებინა უურია.
 —აგაგა, ძაღლო მურია,
 სად მიგაქ ჩემი ზურია?! *)

35

ადუ, კარში ცაიხედუ,
 კარზე მოსულა მელალო,
 ტუტულეები დაგვიტამა.
 კრუხები შაგვითხელალო.

36

მონადირე სესია ღ ღორო.
 ვაი სესიაჲ, სესიაჲ!
 შენ წამიუფანე ტუეშია,
 ნადირის ქეზან მომიუვა,
 თეირობიანა ველშია.
 შენ მადლა-მადლა წამოხველ,
 მე—ამ სქელ დანჯახებშია.
 წამოწოდილა გრუხუნა,
 ეშუგები დაუღესია!
 შეუსედო, —წამომიფრინდა,
 კულა არის და მრეშია.
 თოფი ფეხსკედ შევაკუნუ,

*) მელია ეგონა და ძაღლს მო-
 არტყა თოფი.

ვერ მომიგდია კვესია;
 გაუნედუ, თოფმს იელა,
 გაუმტვრევი გვერდაი;
 გავიქე და ზედ დავაწექ,
 ებაში ამოვდე ხელია.
 ერთი იმანაც ამომკრა
 ამ სისქე ბარძაყებშია,
 სისხლი ღვარათა მივარდა,
 ჩავიდა დაწრილებშია.
 აღმართი ამოვიარე,
 ერთი არ დამიხუნეშია;
 წაფედი და შინ მივედი,
 ერთი იქ დავიკვინესია:
 —ვაიმე, დედაჲ, წელაი!
 —ნუ გეშინიან, სესიაჲ,
 მონადირისა წესია,
 შენისთანა მონადირე
 ტახს ბევრი გაურსესია!

37

(ვარიანტი)

ეს რა საქმე მიყო ტახმა,
 შამიჭამა ენდროს კაკრა,
 შე რა თოფი გაუწოდუ,
 იმან ფეხი აიკაკლა.

38

ყვავმა დასჩხაულა.

—გენახს უნდა მოუარო,
 ხელში ავიდე ავმარა.
 გენახებს შემოურბინე,
 ყვავმა კაკალზე შაქჩხაულა.
 —ყვავო ტიალო, ვერანავ,
 ვინ არი შენი მასხარა?!
 ზევიდგან მტელი მორბოდა,

ზირში ქარა კანწალა:

— შენი ცხენი მე შეგვჯამე
ცემო ვენახის თავახან!

39

აგი რძალი.

მე რო რძალი შემეყარა,

ისიც იყო თარაქამა,

მე რო იმას აველოდი,

გახდებოდა ხაიაბაღა.

მე რო ქვევით დამიცილა,

შუაკაცი შეეუვნა,

დანჯღრეული ქობი მომცა,

იმას არა ჰქონდა კალა.

ერთი კუდა ხარი მამცა,

იმას არა ჰქონდა ძაღა,

იმ ოხურმა შუაკაცი

რა ნაპირას გამოეყანა!

40

უხვირო ქმარი.

ქალმა თქვა: ის ჩემი ქმარი

ვერაფერი კაცი არი,—

დღისთ კარში ვერ გაიღდის,

დამე დერეფანში არი.

ერთხელ გამოვიდა კარში,

უწინ ჩხირი ეცა თვალში.

41

დამწვარი არშია.

ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო,

რას დამახნი ძრინაო?

დელამ კაბა შამიკურა

დარია შრიალაო.

აგებე და ჩამოგებე,

ჩავდეუ წანდეუკაშიაო,

ხელ ალებით ტაშიაო(?).

ნაპერწკლები ჩაველოდა,

გამოჰწოდა არშიაო.

შოდი, მახლო. მომიტანე

ჩემი კაბის არშიაო!

წავიდა, აღარ მოვიდა,

ეურძენი მოიტანაო,

ეურძენი მე არ მაქვამა,

ბატონსა გაუგზანაო,

ბატონმა კაცი მოგზანა,

სამარე გამოთხარაო,

სამარე ვიწრო მოვიდა,

გვერდები ჩამათაღაო,

ჩემი გვერდების ხათლი

სიმძილობასს ჭამაო,

ათინას და ოთხი ნაწნავი

სუ გულზე დამთავალაო.

42

ლაძაზი ცოლი.

ლაძაზი ცოლის ჰატონსა

უნდა ჰეუანდეს ძაღლი ფთხილი,

ან უნდა ძაღლი ფთხილობდეს,

ან იმისი დედამთილი.

43

ს ა მ დ უ რ ა ე ი.

გემდური, დელავ და მამავ,

რად გამოთხოვეთ ჰატონა?

რაც უნდა დიდად მინდოდეს,

ვერ დავწოლილვარ ქმართანა.

44

უნამუსო ქალი.

მინდოდა ტეტხლი კვება,
მინდოდა უნიღბილთს,
მართსა ქალი გაუჩნდა,
მართსა უგვირგვინთსა.

45

უს ა ქ მ ბ ა.

აღასანა ადიდლო,
აქეთ-იქით დახედაო,
ჩვენ ამდენი უსაქმობით
ბუერი საქმე გვაკლდებაო.

46

ეხლანდელი ქალები.

ეხლანდელი ქალებიო
დალესილი სმალებიო,
დედ-მამას ეუბნებიან:
„მაღე შეგვრთეთ ქმარებიო!“

47

ნეტავი შენსა დედასა,
შენ გვეზღები შეილადა,
არც გინდა ზირის დაბანა,
არც უმართლი ხშირადა.

48

ქათამი ზის ქანდარასკე,
ბიბილო გაშავებია,
შენი შეილეების დამწყევვსა
ჩიქილა გაშავებია.

49

მადლისა მადალ მთაზედა
ქორ-შავარდენი ბუდობდა,
ქალ, ჩემი ქმარი მართალი,
შენი ქმარი კი მრუდობდა.

50

ობლისა დედა ტირილდა:
— შეილი შამიკლა ძეძუმბა!
— არცაა ჩემი ბრალა,
მინდორმა მოკლა გქელმაო.

51

სტუმარ-მასპინძელი.

მასპინძელი მხიარულო,
მარნის კარი გვიჭრიადე,
გამოგვიტა ვაზის წვენი,
ზირი ჩაგვიმაჭრანე!

52

გურდელი წამოავსტუნე
შამბსა და უინტორაშია,
დამისხი, დამალევინე,
თუ გედგეს ტიეტორაშია!

53

მთაზედ ურმები ბუდობენ,
იქ იკეთებენ ბუნაგსა,
თუ ჩემი ღვინო არა სჭრის,
სტუმარი რათა ბღუნაგსა?

54

წამო, ბიჭებო, წავიდეთ,
მინდორს ეახები ვნახოთო,
ზური და ღვინო წავიდეთ,
დავსხდეთ და ღვინი ვნახოთო!

55

გლეხ-კაცის ავლადიდება.

თარიშან, შენსა ვენახსა
ჭიკო უდგია მსხლისაო,
რაც იმას ღვინო მოგვივა,
ნახეარია სხვისაო.

56

მასუკანთ ქორწილი ქნეს,
ათამაშეს კატებოთ,
ხელი მკრეს და გამომაგდეს,
— აქ რას დიკავებოთ!

57

ჩინაფანთი ქორწილი ქნეს,
დაკლეს ხატი გულიათ,
პატარადაი ათამაშეს,
მეტად დანაკლულიათ.

58

მაშღმა დამწვა, დამდაგა,
ომანმა მიუთ ძალათ,
კოჭბით შექმანდი შეფდგი,
ლობიო ჩამითყვალათ.
მე იმას რა დღეს დავაყრი,
თუ დმერთმა დამცაღალათ!

59

აგერ მთავად გავიხედე,
გამომუერეს ეშმაკებმა,
იმათ გავაძირეს ჩვენ ტუფი,
იმ ჩვენგან გასაწუგებმა.

60

შეინდა და ლალიკო
კამერები.

შეინდა ლადიკო იტკერენ,
შეინდა ატანდა ძალასა.
მაიქედურა ლადიკომ,
გვერდები დაჭკრა ალაგსა.
ჩოკინამ ლოყინი შექნა,—
მე ვერა ვზიღამ ამასა.

61

მდინარე ჰერემი.
ჰერემმა თქვა: „აგდიდებო,
არა წყალს დავედარებო,
მუეგუნაში რომ ჩამოველ,
იქ დავინადე ხალეო.
ველის ცისეს რომ ჩამოველ,
დავადე ბოსტნის კარებო;
ისე გავმარგლე ბოსტნებო,
არ მოვანდომე ქალეო.“

62

თ ო ფ ი.

თათუმა სთქვა: „ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა:
ზედ მესხა ვერცხლის ჩხმანო,
ოქრო უბებოთ*) დამქონდა.
ჩემი ხანოტი ნადირო
უვაგსა და ყორანს გაჰქონდა.
ერთი ისეთი ოხა მოგვალ,
შეიდი მტკაველი რქა ჰქონდა!“

63

ვ ი რ ი.

ორშაბათ დილა გათენდა,
ვირებს გაუფლე კარია:
— „წადი, ვირო, ქალაქს ჩადი,
სვი წყალი, სვრიმე ნარია!“
— ჯერ ნარი არ შეეხვრამა,
მკელ გემოკუო ტუჩია.
— შე მკელო ძუნძულიანო,
სად შემასწარი თვალია?
ამტელი ამიკიდნია

*) კონტანი.

სამი მარდის ქვანია;
 ერთსა შენ გამოგვიგზავნი,
 რომ შინელო მხალია!
 — მე მხალი-მხული არ ვიცი;
 არა სჭამს ჩემი გვარია.
 ევაფი: ყოჩანი იქ არი,
 სადაც რომ ვირი მგვდარია!
 კასლა მტკრიხტრისებდა:
 „მეც ჩამიდევით წილია!“

64

დათვმა სთქვა ბადარდინმა:
 „ჭალა მოვსმე მსხლიანი,
 ადექ და ქვევით წამოველ;
 თავი მეგონა ტკვიანი;
 მივიხედე და მომდევდა
 ხოზანა ნაკდლიანი.
 მივინაშვილი ფირანა
 ამოსჯდომია ძირვესო,
 იტქვა თავის სიათა,
 ელდა მეგონა ცისათ,
 სამი დღის სავალს გაჰქონდა
 ჩემი ნამტვრეფი ძვლისათ.“

65

თავგების ხემწითე.
 თავთ დაებადათ ხელმწითე,
 დარქვეს კანათარია,
 დალოცეს და ტანტზე დასვეს,
 წელთ შემთარტეს ხმალია.
 იშას რომ ცოლი მოჭკვარეს,—
 ჰეწენიკ დედოფალია.
 ციცას კაცი მიუგზავნეს:
 — „ომი გეწადინ ხეაქა!“
 შემოუთვალა ციცაშა:

— „არა მაქვს თქვენი ჯავრია,
 არც შამიურია ლაშქარი,
 არცა მაქვს თქვენი თავია!
 ფეშქაშათ მამირთმეფია
 გარდელი ჩემი ქალია!“
 გაწერა; გაჯავრდა ჰეწენიკ,
 ზეცას აუშვა ალია:
 — ჩვენ იმიჰ ქალი რად გვინდა,
 ის ჩვენი მასისხარია!
 წავიდეთ და იქ დავეტყო,
 სადაც რომ შექანია!

დაუთვალავი გავიდა
 უთმრელი თავიჰ ჯარია...
 იქ დახვდა მარტოკა ციცა,
 მოუხდათ დიდი ომია;
 სულ გაუწევიტა მხლებლები,
 გადარჩა კანათარია.
 — ენლა გემექე, კანათო,
 ვისი ცხენია ჩქარია?
 ადგა, გაქცა კანათარ,
 თავში მთარტეეს ხმალია,
 უკან კოჭლი თავი მოჭდევს,
 ი გულ-ნატკენათ არია...
 გაწერა, გაჯავრდა ჰეწენიკ,
 ცაში აუშვა ალია:
 — შენ აქ რისათვის მორბოდი,
 იქ დავჩენია ჯარია?
 — სულ გაგვიწევიტეს მხლებლები,
 დაგვიტრეს კანათარია.
 გაწერა, გაჯავრდა ჰეწენიკ,
 ცამდის აუშვა ალია:
 — კანათარს როგორ დაჭკრიდენ,
 მძლავრი ხელმწითე არია!

ლოკოინას დამიძახეთ,
 ის უფრო მუხლში ჩქარია!
 უნდა გავგზავნოთ ინდისტან,
 იქ უკვდავების წყალია*).

ლოკოინამ გაიგონა,
 ციხეს დამაღა რქანია,
 გარს კალაფანი მოიფლო,
 მაგრად ჩაკეტა კარია:
 — «არ იქნება და გერ წაგალ,
 არ წავა ჩემი გვარია;
 იქნება კიდე გავიდე,
 თუ არი დიდი წყალი!»
 ამას ამისობაშია,
 მოდის კანაფარ მკვდარია.
 ოცი მღვდელი გაუმძღვარეს,
 სამოცი დიაკონია,
 ძრთხა ბევრი დანუხოცეს,
 უანგარიშო ცხვარია.
 ადგა და ციცა წაგადა,
 ვნახო, როგორი ღვინია!
 მივადა და გადიხედა,
 გადადო თეთრი შირია.
 გამოუხუდეს მავარი,
 შემთალეწეს ცხვირია.
 ციცა წაიქცა დაჭრნილი,
 ცრემლი დაჭრვიდა წველია:
 — თაგებო, თქვენი სორცითა
 ვეღარ ჩაფიტკებე შირია!

*) ეს ორი სტრიქონი ჩვენ დავუმატეთ ამავე ლექსის ქართლის ვარიანტის მიხედვით. იხ. ზემოთ ლექსი 1085.

66

თაგემა შეუთვალა ციცას:
 ციცავ, რას შემუქარები
 მაგ შენი ორის კნატითა?
 სახლი შეიღებით საფეე მატეს,
 საბძელი შეიღი-შეიღითა,
 სანამ შენ იმათ დამხოც,
 სულ ამოკატლებე შირითა!

67

ს ო მ ხ ე ბ ი .

სომხებსა რწუელი ვინ მისცა,
 წიგნი ვინ დაუწერა?
 შახათი საჭმელად მისცა,
 კვირა არ გაუთენა.

68

და დის მტერი.

დაო, დაო, დისა მტერო!
 ძუძუ ჩაღლო შეკებაო!
 წამოგისვი ქანდარასა,
 მოგიწოვე პატარასა.

69

კ უ რ დ ლ ე ლ ი .

კურდღელმა თქვა: პატარა ვარ,
 მინდორი ამოვიარე,
 სოფელი თქონთქარდებოდა,
 ღამაზ-ღამაზი ვაჟუაცნი
 თოფ-იარაღში სხდებოდა,
 ღამაზ-ღამაზი მწვერუბი
 ფეხის ბწკლებზედა ღკებოდა,
 აკეთ მინდორზედ გამიგდეს,
 თვალი არ გადასწვდებოდა,
 აკეთ ბარდებში ჩამაგდეს,

ქორი ვერ ჩაფრინდებოდა,
მოკარდა სისხლის მორევი,
შეგ ნაფი გაცურდებოდა.

70

ქმრის მკვლეელი.

ოდროვანთ ქალი ვიუფე;
მარანდინთ პატარადი,
შე რომ ქმარი არ მინდოდა,
საყვარელი შევანდა კარგი.
საყვარელმა ასე მითხრა:
„ქალო, მოკალ შენი ქმარი!“
— როგორ მოგკლა ჩემი ქმარი,
ქრისტიანი— ცოდვა არი!
ზუდექ, მოგკალ ჩემი ქმარი,
შე დაუღუპე ჩემი თავი!

71

თამამი პატარძალი.

(ირონია)

მანავილამ *) გამოთხოვდი
მანავ ქალი მეო,
უმარილი ბეგრი ვისევი,
ფერი ვიჭარბეო,
წარბი წვრილად შავიღებე,
თვალი ვისურმეო.
ქურანი ცხენი მომგვარეს,
ზედ გადავჯექ მეო,
უზანგშია ფეხი ჩავდგი,
გადავლაჯეო,
სყდრის კარზედ რომ მიკედი,
ლიტრა გავტეხეო,
მღვდელსა შავძახეო:

*) სოფელია.

— კარი გაღეო!
მღვდელმა კარი არ გამიღო,
ის მიამა მეო.
მღვდელმა წიგნი ვერ იკითხა,
სელში წავგლიჯეო,
თავში ვაწვევიტეო.
ხრიგი უგდე, ქვეშ მოფიგდე,
სედ დავაწექ მეო,
საოხრო წამოჭდგომოდა,
ზედ ჩამოვავეო.
მანამ მყურანი მოვა,
ცხენზედ შავჯექ მეო.
სახლი კარებთან რომ მიკედე,
ნიტრა გავტეხეო.
მყურიონი მომძახოდა:
— „ქალ, შადადეო!“
შე იშათი ტრაკა-ტრუკი
არად ჩავატეო.
დედამთილს პირი ვარიდე,
ნიტრა გავტეხეო.
პირში შაქარი ჩამიდვა *),
თითი მოკეკინიტეო.
დედამთილსა წავჩურჩულე:
— შური მძიან მეო.
ერთი მწვალი რომ შემეწვა,
ის მეწეინა მეო.
ასი კვარცხის ერბო-კვარცხის
მარტომ შევჭამეო.
მასწაპით დვინო მომართვა,
ის მიამა მეო.
მამამთილს წვერი ვატეოჯეო

*) დედამთილმა.

ღობეს მიფიუნეო,
 დედაშთიღს თმეობი ფაგლიფე,
 ბანსედ დაფიუნეო.
 ნეფეს წიხლი მოფახვდრე;
 კარებს ფაწვეიტეო.
 ერთი კატელი მახლი მუფანდა,
 ქვევით გავტადეო.
 ორი კვირის ზატარძალმა
 შვილი მოფშობეო,
 მემრე ქალებში წავედი,
 ქალებს უამბეო.

72

საყდრის გამტეხი.

ეო, მეო,
 ძმაო დემეტრეო,
 წმიდა გიორგის კარები
 როგორ გააღეო?
 —საყდრის კარზედ რომ მივედი,
 ხელი შავუე მეო.
 ფატატუნე; ფატატუნე,
 კლიტე გავტეხეო.
 მღვდელმა კარებზე მომასწრო,
 თოფი დამცა მეო.
 სისხლიანი ახალუხი
 კარებს უკან ძეო.
 დედაე, სიტა წახვიდოდე,
 თან წაიღებდეო.

ტირილზე რომ დავუღებოდე,
 მომიკონებდეო.

73

ქალი ანა.

ქალო ანაო, ბანაო,
 ხელ-პირი დაგებანაო,
 შენი ხელ-პირის ნაბანი
 ავტალას ჩამოდიოდა,
 ორი ავტალა აფსილა,
 მესამეშია დიოდა.
 შიგ დიაკვანი დამრჩვალა
 საბრალო, დედის ერთაო.
 გაღმით ექებენ ნავითა,
 გამოღმა რკინის კუითა.
 იზოფნეს, გამოიტანეს,
 პირი ამსოდა შლამითა,
 ქორი ორნი აღბუღითა,
 ურეები ჩალა-ჩუღითა.
 იმისი დედა მარია
 შაკამაზუღიყო შავითა.
 წინ შვილი შემეუკარა:
 —დედაე, რად დახვალ შავითა?
 —შვილო, შენ რასა კითხულობ?
 შვილი დამიკლეს დანითა,
 აღმასის წვერზე ამიგეს;
 მაუურებინეს თვალითა.

კახური „იაგნანის“ ლექსეობა.

74

ნანი-ნანი უმაწვილო!
 .ოეთრის ზურის ნაწილო!

მამის ოქროს გუთანო,
 დედის ჩიქილ-მანდილო!
 ბიძის ქმარ-ხანჯალო,

ძალას წითელა ვაძლო!
სუფრას საგორებულა,
ქვეუნი მოშგონებულა!

75

დილით შუე ამოსუღიყო,
ბარბარე გამოსუღიყო;
ესურა დიბის საბანი,
შიგ ეწვა ბატონიშვილი,
ბატონიშვილი ლეკანი,
მარგალიტისა მტეკანი.
ზედ ეცვა მოის ჰერანგი,
გახნაპოლის ახლონი,

მთვარე გრეხილად მოეგლო,
მასკედავი დილად ეპერა.

76

ია ვარიფე, ვარდი ვშაღე;
წინ ბატონებს გაუშაღე.
იაგუნდის მარანშია
ღვინო ღებო ღაღის ფრისა,
შიგ აღვის ხე ამოსულა,
ტოტები აქვს ნარგიზისა.
ზედ ბუღბუღი შემომჟღარა,
იადონი მსრებს უშლისა.
იაჲ, ნანა, ვარდო ნანა,
იაჲ, ნანინაო!

დ ა ლ ო ც ზ ა.

77

ქალაქიდან წამოველი,
გადმოვიარე ზიარი,
ღმერთმა ნურცა გამაგონოს
შენი მარცხი და ზიანი!
სინამდი ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ მთვარე და შუე არი!

78

ელმუსარეთ *) კოშკი შედგა,
ზედ მირონის გუბე იდგა.
დაგლოცოს ზირმა ღვთისამა,
საუღარმა გელათისამა!
ას ორმოცმა ანგლოზმა,
თორმეტმა ბარძიმისამა,
სიონის ხატმა და ჯვარმა,
გადამცქერადმა მტკვრისამა!

*) ერუსალიმს.

79

დამათროს შენმა ღვინომა,
გამაძლოს შენმა ჰერმაო,
სამოთხეში მთისვენოს
შენი ღედ-მამის სულმაო!

80

ღმერთი შენ როგორ წაგანდენს
შენი ღედ-მამის შვილსაო,
კაცი რო გენხუბებოდეს,
სიცილი მოკდის ზირსაო.

81

სასსლე იორამისა
ნათალი წმინდა ხეაო,
შიგ ამოსულა ვარდები,
გარს ახვევია იაო.
შენს ღედ-მამასამც დახვდება
სამოთხის კარი დიააო!

82

ქალაქიდან წამოგედი,
ცამ მოიხვია ბურია.
ჯიბეში ხელი ჩაიუფე,
ქისას ინახე ფუღია.
ან ამოიდე აბაზი,
ან უზადოთუნი ჭრეღია.
ფარა არ ამოაელოთ,
უსუსური და თხელია,
მისი მამჭრელი დასწევეღოს,
მისი აქ გადმატანია!

83

ახა ვეღია, ვეღია,
რა ჯოჯოხეთი ბნელია!

მშვიდობით მოგიტანია
ჯერ კალა, მერე რთვეღია;
წითელი ღვინით ებემსოს,
სამი სანაღნე ქვეფრია,
სომდე და სომდე ძალზეღა,
ისევე ხელ-უხლებეღია!

84

ის კეღელი, ეს კეღელი,
მუაზე არის ამბარი
ამბარი და ამბრის გუთხე,
ქრისტე ღმერთო, შენ აკურთხე:
ვინც იუთს ხუთმეტი წლისა,
ჭამა იტოდეს გუღაბი მსხლისა,
შანახვა სიფეარუღისა.

შ ა ი რ ე ბ ა .

85

ტეეში მარხილი წაუღიე,
ტუგუეუ ქალი, კოფა *),
თუ შაირები არ იცი,
ახლა ნახე შენი ეოფა.

86

ორი კაცი წაიხუება:
ალექსა და მინესაო,
თუ შაირები არ იცი,
ჩაგამტვრეე შა კბილებსაო.

87

ერთი პატარა შაშვია,
აფაჩუნებდა ჯაჯია,

თუ შაირები არ იცი,
ადე, გამოდი კარშია.

88

ალაზნის პირას მოსულა
ორი პატარა ბაუილო **),
ერთი შაირი შენჯ თქვი,
სუ მუღამ შე არ მუეღირო!

89

ორი კაცი წაიხუება:
ალექსა და კვირააო,
თუ შაირები არ იცი,
დაუეენ ზირაო.

*) ქართლში—კოფო, ჩუბ. კო-
ფო უწერია.

**) ახალგაზღა ხე, ორი ან სა-
მი წლის ნახარდი, გინდა ცოტა
მეტისა.

90

სომეხები წაივინდნენ,
 აბაშიძე წინაიო!
 ერთი კიდე ჩამასხი,
 კარგი ღვინო გქონიაო!

91

პატარძალმა კერა შორწყო,
 მე კედელთან დაფუცქდიო,
 ის რა ჩემსკენ გამობრუნდა,
 მე სიცილით დავსუსტდიო.

92

ღელა შენი, მამა შენი,
 შენი ცოლი, ჩემი და,
 აგე, იქ რო გოგო დაჯდა,
 გუნებაზე მაშინდა.

93

უნაგირი მცხეთას დამჩხა,
 მოსართავი არაკვებდა,
 დმურთმა ყუელას გაკვიმარჯოთ,
 ვინაღ სხედხართ ალაგზედა!

94

ბიჭო, რაჰ ჩამაშევიდე
 ჭირსა და ბოროტეითა?
 დელაშენს ამოუვარდი
 ბოსტანში ბოლოკეითა!

95

ამ მახანურ ჭაჭანას,
 ეძახიან არბასა,
 მოდი, თავი დავანებოთ,
 ამთვეგნ დავიდაარბასა.

96

სიდედრმა წველა დამისხა,
 თითმა არ შეყო კოვზობა,
 ჩემთან არ გამოგადგება
 ეგ შენი ფილაფოზობა.

97

დილაზე გამოვიხედე,
 შემოგხვევიან აფთრები,
 სწყალო, ჩემის შიშითა
 სულ დაგფანტვია დავთრები!

98

ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
 ამშვენებს კარეშამოსო,
 ამან რო ფეხი იტკინოს,
 ამ ქალებს დაბრადოსო.

99

წნულის სახლი ტავაკეთე,
 ზედ დამიწვევია იხნები*),
 შენ რო შაირში მაჯობო,
 მე რაღა ბიჭი ვიქნები.

მ ე ს ტ გ ი რ უ ლ ა .

100

მესტვირეს დარდი.
 გაცოცხლოს ჭ კადდეგრძელოს,
 მოგტეს ადამის დღენია!..

*1 სავერდულის ხეები.

აქ რო პატარძალი ვნახე.
 წაუწყდა მამის ეელია!
 კალოზე გადავლისათვის
 ჯოხს წამამივლო ხელია,
 ჯერ ამხანაგსა მიცემა,

მერე მე მომეო ხელია,
თურმე იმას რა ექმნა,—
ცეცხლში ჩაეკრა კვერია.
მე იმას არ ვეცდილები,
ცეცხლი ჭამოს და გენია!

101

გადმოვიარე ადესა,
ფერხისა ება ქალებსა,
ქალებმა ცილი დამწამეს,
ქურდობა დამპარადესა.

102

ჭაფჭაფადემ დამზატოჯა,
ღვინო მასვა ტუბილიო.
იქიღამა წამოგუდი,
მეშერიფა ძილიო,
ერთი ბარდი მეშეწინა,

იქ წაფევა ცხვირიო.
ერთ მედორეს ჩემეგელო,
მეუბნარა შტვირიო.
ჩემი შტვირის მომზანავსა
დაუსივდეს ცხვირიო.
იმის ცოლი დემენახოს
დღეისწორზე ქვრივიო!
ჩემი ძმისთვინ მეშეუყვანოს,
გემეწივოს ღხინიო.
მზითეწიშინა მოჭულოლოდეს,
ჩემი ჭრელი შტვირიო!

103

აღაზანი დიდი,
შიგ ბებური ჭკიდი,
პური ვთსოფე, არ მაჭამა,
ჩემი ცოლო ჭკიდი.

ს ა ა რ შ ა ე ო ნ ა .

104

თრიალეთს ოქროს ღოგინო,
შიგ სამნი დანი წვანანო,
არ ვიცი, რომელს შეგვევარდე,
სამნივ ერთმანერთს ჭგვანანო!

105

ქალ, გუშინ, გუშინწინადა
დედა რას გეჩხუბებოდა?
—დავკარგე ოქროს საეურე,
მრეზა და მემართლებოდა.

106

გუშინ ვაჟმა შენმა ფერმა,
ჩენი ეზო გადმოლახა,
ტანთა ეცვა თეთრი ჩოხა,

ქუდი მოევარდიანა.
ნეტამც აქეთ არ გეკვლო,
გული დამიღარდიანა.

107

ნეტაჟი, ქალო ღამაზო,
წელში სარ ღაკარტანაო,—
წუხელის შენმა სურვილმა
მაცია, მაგანკალაო!

108

წუხელისა სიზმარშია
მთვარე გორთან მისუღიეო.
ერთი ვინმე საუვარელი
დამე ჩემთან მოსუღიეო;

ვეხვიე და ვესურვილე, —
აღბა, ისევე წასულიყო!

109

მინდვრისა მამშვენებულ
მშველელ, ირემო, ჯერანო!
ქალო, შესს თავსა მწამებენ,
ვთეცავ და არა მჯერანო!

110

ჩიტო-გვრიტი მთფრინავდა,
მე შროშანი მეკანაო,
თვალი სხვასაც დაუდგება,
თრივ ჩემი მეკანაო.

111

იარე, ბაღჩას ჩავიდეთ,
ჩავერიფოთ მარგალიტები,
— ლამაზმა ქალმა ჩავვისწრო,
ქარს გაუყარა კლიტები;
ბროლის ხელი გამოყო,
მარგალიტის თითები.
ვეცდები, ქალო, გავადო,
შენგან არ გავიცვითები!

112

ეუახოსა სიწითლითა
ყანა დაუმშენიაო,
ღამაზ ქალსა ძეძუები
გულზე დაუთენიაო.

113

ქალო ისეთი თეთრი ხარ,
როგორც სუღარში კირიო,
მომაკონდები სიზმარში,
წამიყვადები და ვტირიო.

114

ეველა ხილი აუგადება,
შენ რას შერები წიფელაო?
ერთი კიდევ შემამხედე,
ჩემო ღოყა-წითელაო!

115

წყალში ფეხი ჩამივარდა
წინდიანი. ქალმინი,
მე ისეთი ქალი მივვარს,
წითელ-კაბა ქამრინი.

116

მათაფრის ხევის ვაკეს
ხობობს უკებდი მახესა.
ღამაზი შემომჩვეოდა,
თურმე ის მიშლის მახესა.
— ღამაზო, ნუ ჰქმდი მახესა,
ითრო შავიშლი სახესა!

117

ვაყო, მე დედის ერთაო,
დადინარ მინდორ-გველთაო,
დაქსენ მონადირობას,
არ გადავარდე კლდეთაო,
მარავანდულო ბეჭედო,
საკეთებულო ხელთაო,
წითელთ თურამაულო,
მადლა ნაბამო ხესაო?

118

იასო, ჩემო იასო,
შენი რა წამიღიაო?
შენი კოკა და გუტალი
ცოვ წყაროს დამიდგიაო,
სახლი ცივი წყლით მომირწყავ;
ზედ ვარდი გამიშლიაო!

119

დილით ავღგები მზინას,
ხეუ-ხეუ ჩავევები ნიაფსა,
შიგ გულში ჩავეკანები
ჰერ გაუშლელსა იასა.

120

წითელ ვაშლად, შენ გესვრი,
შავო, შენ ჩამოვარდები,
ღამაზო ქალო, შენ გეტრფი,
შავო, შენ გამოვყვარდები!

121

არ შეგონა, მოვეკვდებოდი
შეგობრისა დალატიითა,
დილით უურძენს დაგვრეფავდი,
მოგართმევი კალათითა!

122

არცა მტხნელა, არცა მცივა,
არც მწყურია, არცა მშივა,
მხოლოდ შენმა სიყვარულმა
უდრო-უდროდ გამასივა.

123

სომხადში ჩავეკე, ზღვას გავუღ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო,
სე დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო!

124

ბედში ვარდი გაშლილათ,
იის ფერი სოსანიო,
საყვარელთან წასვლა მინდა,
მეზარება, შორს არიო.

125

ის ევაგილი ვეღისა,
მრგავსი ჩემის მწვეღისა,

როდის აღმოცენდება,
გული იმას ეღის!

126

იამარო ჩიქილიანო,
ვაჟები გირივიანო.

არ ვიცი, არვინ მინახავს,
წუალშია მც ჩაცვივიანო!

127

ქალმა ვაშლი გადმომიგდო,
ამოიღო უბიღამა:

— ჩემუღად შემინახე,
არ გადმიგდო გულიდამა!

128

საფრანგეთისა ატლასო,
აღისგან გადამეტი ხარ,
უძირო ზღვაში ნაშობო,
ღალისგან გადამეტი ხარ!
სამოთხის ვეღის ევაგილო,
კვალისგან გადამეტი ხარ!
კვესით აბეღის დამწველო,
ტალისგან გადამეტი ხარ!
სირმა-ვერცხლისა ტაბაკო,
ჩინეთით მოტანილი ხარ!
მკლავები შიმშას მიგიგავ,
გულ-შეკრდით დასატეღი ხარ!
ტანი აღვის ხეს მიგიგავ,
თითები ვერცხლის ღუღასა,
ზირის სახე მზეს მიგიგავ,
ლოკები ბემის ქუღასა!

129

შადღა აფრინდა ხოხობი,
დაბლა დახედა ვაკესა,

չոր յանձն յան.
Եւ շնորհ

121

Եւ Օրհն Բնացն
Եղան զՅարանայն.
Եղաց անկող յո.
Եւ զՅարանայն՝

122

Եւ զՅար. յո. յո. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

123

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

124

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

125

Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

126

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

127

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

128

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

129

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

130

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

Եւ զՅար. յո. զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.
Եւ զՅար. յո.

ქალო, ეგ შენი ხუმრობა,
მე ვინცი, დაგამაკებსა!

130

ფანჯარას კენჭი ვესროდე,
გაიგონე, ფიცარაო,
საყვარელო კარში გამო,
ღამინახე, მიტანაო!

131

ბიჭმა ტყეში წამიყვანა
შაშვის ბუდის გულისათვის,
შაშვის ბუდე არსად იყო,
ეშმაკობის გულისათვის!

132

ნეტავი, გოგო, კოკა მქნა,
სურგზედ აგვიიდებოდი,
კოკას ხირი მავტუდებოდა,
მე შენ დაგვეიდებოდი!

133

წაუღა, წაუღა, არ დადგები,
ჩაფუდები ქალებშია,
რომელიც მამეწონება,
ვაკოცებ თვალებშია!

134

მე აქედამ ვერა გხედავ
სიცხისა და ბურისაგან,
შენ უხეოდ როგორა სძლეუბ,
მივივინო შენი გულისაგან!

135

ანაგის ხეობაზედა
გაგვიარ ძირობაზედა,
ქალო, შენ რომ სიტყვა მითხარ,
როგორ სარ ზირობაზედა?

136

ქალაქის აქეთ სოფლები,
მარტყოფია და ღიღოლო.
ველ-ურზე შემოგახვიე
ღამაზი ქალი ნინოლო,
სადაც გრილო*) მეგეწონოს,
დაქვე და დაიძინოლო.

137

კამენმა წიხლი ისწავლა,
კამენმა გაგოკებოა;
მოდო, ქალო, ჩემთან დაქვე,
ნუ იცი დაღონებოა.

138

ქალო, ეგ რა შამოგვიკრაგ,
რა ძალიან გიხდებაო,
ერთი მეც რომ მაკოცნინო,
იმით რა წაგიხდებაო?

139

ბინდი-ბუნდი რომ შაქნა.
კენჭი უგდე კარზედაო,
გამოდო და მოგეხვევი
მა ბროლიყვია ველზედაო.

140

ნეტავი, ქალო, მე და შენ
ერთმანერთს დაგვატოლდაო,
რომელიც მეტი მოვიდეთ,
მკრატლით გაგვასწარაო.

141

დასტაბალი**) ჩამიყარდა
ზირმოტეხილ კოკაშია,

*) გრილო — ჩილილი, ჩერო.

**) ხელსახოცი, კოკებს პირში
უცობენ ხოლმე, რომ წყალი არ
დაიქცეს.

მაშო, ერთი მაკონინე
მატ შენ წითელ ღოყაშია!

142

ა ის მთა იმ მთას უყურებს,
შუაში წყალი უყურებს,
საცა რომ კარგი ქალია,
ეგელა ხომ იმას უყურებს.

143

ბიჭი და გოგო.

ბ ი ჭ ი:

ეგელა ფრინველი ხეზე ფის,
მწვერი ადგილზე გოგდება,
ქალი, ეტ ქმარი რად გინდა,
ხანშალია და მოკვდება!

ქ ა ლ ი:

ბიჭო, რას ჩამოშვიდე,
აფად არის და შორჩება.

144

ენგენისთვე რომ დადგება,
ვენახში გორავს კალათა,
იასუელი არა ვარ,
შემოგიფარდე ძალათა.

145

ბულბულმა სთქვა: გამიკვირდა,
შე რომ ვარდი წამეკიდა,
გამწანძდა და გამათრია,
ძლიერ აფად შეშვიდა!

146

შენ ბიჭო, დეესნებოდე
მუდამ ჩემს ცქერასა,
ჩემი ჰატრონი შეტიტობს,
თაფით დაგიწვეის დუნასა.

147

ხელთა მიმინო მეჭინა,
დაუსიე მწვერსაო,
მწვერი შეჯდა სესა,
ქალი მიქნევს ხელსა
— აქ წამოდი ჩვენსა!
ზურსა გატყვევ ბევრსა,
დვინოს ძველის-ძველსა.

148

ერთი მანა საუფარელი
საცა წაქეღ, თან დაშვეკნდა,
ის რომ წყალში ჩამივარდა,
ამოვიდე— ეშმაკს ჰტავდა.

149

მინდორ-მინდორ დავლიოდი,
დავუძებდი ვარსას,
განა მართლა ვარსას,
ჩემ საუფარელ ვარსას.

150

ნუთუ; ღმერთმა გადღეკრძელის,
დედოფალო, შენცაო,
შენ ქვევიდამ რომ ქალი ფის,
იმას ჰქვიან მელაო.

კასს უკან მამიფანევი,
იქ არის ძრინ ბნელაო.

151

ქალი, გვეხარ აფვის ხესა,
სამოთხიდამ გამოსულსა,
ეელი— ცხენს ბედაურსა
არაბულად შეკმაზულსა,
სიარული წყაროს წყალსა,
მდინარეს და არა მდგომსა,

ენს ჭიკჭიკ შერცხალს გიგავ,
ინდოეთიდან მოსულსა.

ვიდეუ გნსავ, ჩემო ტურფავ,
ჩემს ლოგინსა შამოსულსა?!
ნეტავი შენსა არესა,

ვინც შენთან გამატარებსა,
ღაწვებს შითი ღაციკოცნი,
შავს მუღნისა თვალებსა,
შენი ნახვით ცავიხარებ,
ჭირსა მოვიკლავ შწარესა.

ნ ა რ ე გ ა.

152

გული-გული გამონრული,
გამოსარსაკებული.
ჩიტმა შექნა აქლემი,
კამასსა ბასლები,
სანსაკამა დაუჭამა,
უი, ბაბლო, გაქრები!
ბაბლო ქალი მორთულიყო
შამდგარიყო ბანზედა,
ქვეშ მისელა შეჭდგომიყო,
—ჩქარა მამე ტრაფზედა.

153

რას უნდა მეცხვარეს
სტვირი-ქამანჩა?
მას უნდა ჰქონდეს
სავსე ღამბაჩა.

154

ერთი ელენი-ბეღენე,
ფეხ-მორტეხილი ბერძენი,
ადგა, კეკოსთან წავიდა,
კეკომ ცხენი ათხუა.
აკუნა, ჩაჭენა,
გორგომიჭი მაცუნა.
გორგომიჭის ბოლოსა

ვირი სქამდა ღოღოსა *).

—ასლისა და მასლისა,
კაღმაური კაცისა.
კაღმაურმა კაცმა
ძალდი დამისისინა;
ხატარძლი გამოფარდა,
ის ღვეცა კუნძივითა,
შვიდი შევქენ კვრიტივითა.

155

(ვარიანტი)

მაგისთანა ჭაიამიო
ორღობეში ჩაფილიო,
მაგის კურტუმ ბარკალიო
დაფითელას შივიციო.
დაფითელამ ცსენი მამცა,
ავაჭენე, ჩავაჭენე.
გასაღები დავამტერიე,
გასაღების ბოლოსო
ვირი სძოვდა ღოღოსო.
—ვირო, უნა ვისიაო?
—ასისო, ბასისო,
კოტაშური კაცისო.
კოტაშურმა კაცმაო

*) აქ უნდა აკლდეს: „ვირს ჰკითხავენ, ვისი ხარო?“

ქაღლი დამისისინა,
 მკლიჯა, მკლიჯა,
 ვერ დამკლიჯა,
 ცოტა სისხლი მადინა.
 ვატარსდი გამაიქტა,
 ზედ შემეკრა ტვიპივითა,
 ბიჭი შევქენ გვრიტივითა.
 მენახირეს მივაზარე,
 მენახირემ წიხლი მიკრა,
 გამინეთქა ტვიპივითა,
 ტვიპი ტვიპად გამამადგა,
 ჰოლორჭიკი *) სკრავადა.

156

ჩიკრიკის მათსკედა
 გგელი იწვა ქვაზუდა.
 მიველ, ტუაფი აზხადე,
 შიგ აბაზი ვიპოვე.
 მიველ, დედაჰ ვახარე,
 დედაში კვერა დამიკრა,
 მამამ ტუეში წაიღო,
 მამამ გვრიტი მამგვარა,
 გვრიტმა კვერცხი დამიღო.
 ამიგორდა, ჩამიგორდა,
 ხუტის ცოლთან მიმიგორდა.
 ხუტის ცოლი შინ არ იყო,
 კარს უკან ფურსა წველადა.
 ფურსმა წიხლი გაიქნია,
 ჟამ-ჭურჭელი დამტერია.
 მამათილმა ვაძლი დანჭკრა,
 ვმწვლელები დაჩუმა.

*) ხარატული.

157

დანდი, დანდი, დანდი კუჭუ,
 ვარდს მიხვეუ, ვარდი კუჭუ.
 ატმის სახე-ჩაყელო,
 სოფოთ მოსულო,
 რა მიე მა ჩოხაშია?
 გარს ავლია არშია,
 ჩადი ჰოხსკაშია,
 გასწი კაზარმაშია!
 ხელ საფუნრებს დავიქსოვ,
 გაიშლები წელშია *).

158

ქონა.

ადე, ადე, ადულაო,
 თეთრად გათენებულაო,
 ერთი კვერცხი გამოგვიტა,
 ვითომ გალაყებულაო.

159

კიდევი ჰონა.

ტუედაში მგელი გამოვარდა,
 თხა შამიჭამა ნისლა,
 ერთი კვერცხი გამომიტა,
 სხვაგანაც მინდა მისულა.

160

კიდევი ჰონა.

თეთრი ფური ნახირშია
 ადრე გამაგებულა,
 ერთი კვერცხი გამამოტა,
 მითომ გალაყებულა.

*) ეს ლექსი ჩავწერე კი და მე
 ამისი აზრი ვერ გავიგე, ვიხედ არის,
 ან რაზედ.

161

რ წ ყ ი ლ ი.

წუსელი რწეიღმა მიგბინა
 გათენებისა ხანსაო;
 ავდექ, ავანთე სანთელი,
 გაუდეგ იმის კვალსაო.
 გავიხედე და გასულა
 აზამბურისა თავსაო,
 დაუჩოქე და ვესროდე,
 მოვარტყე ბეჭის ფასსაო.
 ასსა ურემზე დაუდებ,
 სიმას უდეღსა ხანსაო.
 მიჰქონდეს გაჭირვებითა,
 ამტკრევედეს ფერსო-ჭალსაო.
 ამას ქალაქში ჩავიტან
 დიდი ვეზირის კარსაო,
 ლიტრას აბაზად გავეიდი,
 უეურე მოგებასაო!!

162

ბოსტანშია კადვიხედე,
 კამამ ჰირი წამ.მწეაო,
 ვის გინახვთ, ბატონებო,
 დაჰა ქმარი წამართვაო!

163

გათენდა და გაანათა
 ცაში ადის აღიმუღი,
 თიფლიანთ მელორესა
 გულა დააქვს წარიელი.

164

საუვარელო ჩემო ძმაო,
 იმეოფები სადაო?
 — ბნელაში ვარ, გვედრები,
 წამიუვანე მანდაო.

165

ვიუღიეო, მამალო!
 ტორიანთ დედალო!
 მუხლი მიუარ-მოყარე,
 სამთა ჩამომიყარე.
 სამი წელიწადია
 ფური არა მუღლია.
 ქალაქის ფურის ერბო
 ქალაქს ჩამიტანია.
 ქალაქურა ბებრები
 ანტიან, დანტიან,
 თქრის ჯამებს დაჭერინა.
 შიგა ქალი მოწიოდა,
 ქალსა ვაჟი ჰყოლია,
 ანრამ დაურქმეგია.
 აბრამ, ადრე ავღგებოდე
 ქალს ჩინადირებდე,
 ჭალა ეკლიანია,
 მუსა ჯაჭვიანია.
 დაიჭერდე ხობობსა,
 დაბამდე იჟიითა.
 იჟი(?) აუწევეტია,
 მთანი გადურბენია.
 მთასა ვიეჟე მადლსა,
 გადავძახე თამარსა.
 თამარ ჩვენი რძალია,
 ნეკს ბეჭედი აცვია,
 გაიძრე და მომეცნი,
 ვითომ გაგიტყვეთია.
 იმის ქმარი ლაღია,
 ლაღზე უარესია.
 კირის დამკვერტელია,
 თქრის მამტეპელია.

166

სანთლის გუთანს გაგაკუთებ,
შიგ შავბამ უღელ თევზსა,
ზღვაში ზნაჲ და ზღვაში ვათესაჲ,
იჲ შოფიუფან ჩემ წილ ქერსა.
უინულზე კალის გავლენაჲ,
მორეჲში გადაუერი ბზესა.
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,
კამეჩებს დაგუერი ბზესა.

167

ფანჯრებს გაგაკუთებინებ,
ვასხმეინებ მინასაო,
წაგალ და წაგუკონები
დიაგენის ქალს ნინასაო.

168

კუთხეში სანთელს მივაკრავ,
მე დაუკრავ „ბუზიკასა“,
შორიდაჲმ გაუურებინებ
ქალების თამაშობასა.

169

უთხარ, უთხარ ზავლესა,
რათ არა სჭამს ჰურსა?
— მით არა ვჭამ ჰურსა,
ცოში მადგა გულსა.
სამჯერა ხელი ჩაუსვი,
ჩავარდება ძირსა.

170

ქადაგიანთ ნახირი,
ტურფანდ გადაგრებილი,
შადითდა ნადირი,

გამოჰქონდა სადილი.
ქადაგიანთ ახალბედს
გვერდზე ჰქონდა მანდილი.

171

იორდანე-დანეთა,
ცოლი მათეიანეთა,
სამი გუგუ ამოჰკარ,
იქვე წაიუფანეთა.

172

ხეუე ტყეში შეგვიფარდა,
როგორც ზამთრის თრიითინაო,
იზოფეთა, გამოთიუფანეთა,
თავს დახურეთ ჩიქილათა.

173

არჯიკელი ჯაკვდებოდა,
ქალსა გული უგვდებოდა,
ქალო, გული ნუ გიკვდება,
შინათს ქმარი მოგიკვდება.
შენი მზღლი დიაგვანი
საქიმოდ გაციხდება.

174

ქალ თებროლა დაინიშნა,
იმას აქვს ზითეუეთა:
კასკი, კუსკი, კარაღეთა,
ცხრა სოფელი ბაზარეთა,
ატენ-გორი, გორს წისქვილი,
დიდომს სამი ზირი ცხვარი,
სამ უღელსა სამი ხარი,
უგვარი და იმის ცალი.

ნ ა ტ კ რ ა .

175

ნეტაჲი ნატვრა მხატრა,
 ხატრჲული ამიცხადათ:
 ოქროს ჩარდახი დამიდგა,
 გარს მინა შემთარტყათ.
 აფხაზიანთ საწინახელი

წინ დამიდგა ჯამათათ,
 აღაზანი ღოთა მიქცია,
 ყოზანის კლდე*) ჭადათათ,
 ხიმშიაანი დიდი ვერხვი
 გამითალა კოფხათათ!

. ნ ა წ მ მ ე ტ ა ბ ი .

176

ამბრი-ხამბარ ხეშწითესა
 სარჩო აქეს და შადლი ბუერი,
 ამას ერთი ბაყაუი ჭყავს,
 წყალში გასაცურებელი,
 იმას ერთი ზენარი ჭყავს,
 ხელზე სათამაშებელი.

177

შადლა მთაში ღორი ჭყივის,
 დაბლა მთაში ირემიო,
 გუფხადრები მოდიოდნენ,
 ხელთ ეჭირათ სტვირებიო,
 მეტი-მეტი სტვირის კვრითა
 ჩაჭტვივნიათ კბილებიო.

ხალხური ვეფხის-ტყაოსანი.

178

ტარიელ, მისთავის გიევარდი,
 გაუზდიღვარ შენსა მკლავზედა,
 თუ შენს თავს მომამორებენ,
 თოკსა მოფიბამ უელზედა,
 წყალ და გადავუარდები,
 დიდსა შადლსა კლდეზედა.

179

ღარეჯან, შენი ქლიბები
 შიქნა დაკარგულები,
 აკი არაბეთს გაგზანე
 ხმალ და ხმალ აკინძულები.

ძრიელი ომიც ავტეხე,
 ვადინე სისხლის ღვარები,
 დაფლაც ბუერი მოვიტანე,
 ჯორ-აქლემს აკიდულები.

180

გორს იქით კაცი ნაბძოლი
 გორს აქეთ გადმოდიოდა,
 თავს ჭქონდა ხმალი ნაცემი,
 გუფს სისხლი გადმოსდიოდა.

*) კლდეა გომბორის ქედზე.

181

ბერი მომეყვანდა ბებური,
მომინაროდა ქალადა,
დაუჯექ და კბილი ვუნახე,
ერთიც არ ჰქონდა წამლადა.

182

ტარიელ, ნაზირ-ვეზირო,
სიტუვა ვერ დაგამჯობინე,
კინდოდა ლერწიმ-დარეჯან,
რატომ არ შამატეობინე?
უცოდო ხელმწიფის სისხლი
კარზედ რათ დამანთხობინე?
არცა შენ მოგცე, არც იმას,
ორთავე დატომობინებ;
დავიბარე ხუროები,
კიდობანს შევაკურვინებ,
შიგ ჩავსვი ლერწიმ-დარეჯან,
წყალს მივე, წავადებინე.
შიგ ჩაუსვამ სამსა გველს:
თეთრსა, წითელსა და შავსა.
შავსა გველსა სთქვა: „შავსამოთ!“
წითელი—მითმინებსა.
თეთრი გველი ამას ამბობს:
„მზე არის ტარიელის!“

183

ტარიელ ეტყვის.

ოცნური ჩოხა ვიყიდე,
მხარზე შევიუთურმაჯე,
ომში ჩავკელ, ჯარში გაველ,
თავი მოვიუიზილბაშე.

184

ტარიელი ეძებს თავის მზეს, მი-
ყვება მდინარის კიდეს და ტირის:

—მინდორო, არა მინდორო,
შენ წყალო არაგვიანო,
არც თოფი გკვერის, არც ხმალი,
მამ რითლა დაგაზიანო?!
იმ ქალის დაკარგვისათვის
მწუერვაღე დაგლეგ, ტიალო! *)
მოეწაფება ტარიელი და ზღვას
მოსწყვეტავს.

185

კოჭლი მონა ზღვისა ზირსა
მოტირის და იცემს თავსა.
ტარიელი ჰკითხავს:
—კოჭლო მონავ, რა გატირებს?
ძალს ითხოვ, თუ სამართალს?
—მე ძალისა რა შემიძლავ,
გამიყვანე ამ შავ წყალსა.
ტარიელი წყალს მოსწყვეტავს,
კოჭლი მონა გავა და წავა, ხელ-
მწიფეს ეტყვის:
ერთი ვანმე მოეზე ვნახე
მომტირადი, ჰკვანდა გმირსა.
ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი მიიფარა ზირსა,
სხვა ვერა შევამჩნიე-რა,
საყვარელსა სტირდა ისა.

ხელმწიფე ეტყვის თავის მონებს:

ადექით, აიყარებით,
ჩემო ღომო და ღომგმირო!

*) მეორე ეარ.: ყაბარა დაგარ-
ქვიანო.

აიყარნენ ლომი და ლომგმირი,
ხელმწიფის კაცები, მივიდნენ მტი-
რალ მოყმესთან და ჰკითხვეს:

— შენ კაცო, კაცო, ვინ ხარ?
შენი სახელი გვითხარო,
ბატონ გიბძანებს, აქ მოდი,
კარის წინ-მძღომი შენ ხარო?

მოყმე უპასუხებს:

— ეშვ ალაგთა კოშკები,
კარს ახვევია თასები,
ახლო მობძანდით, ემაწვილო,
ვერც შორით დაგეყუასებით!..

186

ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი კაცს,
გორა დაღვა ცხენ-კაცისა;
ერთი ცისკენა გაგზანა,
ჰერც არ მოსულა ისა *).

187

თითქო ქამანდი ვიცოდდი,
ჩაგდება საგდებულისა,
ჩარბუნა, ჩაკისკისება,
ამოსხმა ღამაზებისა **).

ა მ ი რ ა ნ - დ ა რ ჯ ა ნ ი ა ნ ა დ ა ნ .

188

ამირის უადრო ამირან,
კილო არ იცი რმისა.
ზვეით რას ერჩი სზილოსა,
ქვევით დაუშვი რბილოსა,
ჩარდახს ფეხები შეაჭერ,
მაშინვე მიაწვინოსა.

— უეურე ქალს კამარსა,
კურთ ირჩივა მამსა!
რისთვის გაგზარდა დეღამა,
რისთვის გეუბნა ნანაო?
— ამირანმა ხელი მაშკრა,
ცხრა მთა გაღამატარაო.

*) ეს ვარიანტი სახალხო „ვეფ ტყ.“, როგორც ეტყობა, მეტის-
მეტად დამახინჯებით არის წიგნიდან დახსომებული. რამდენადაც ბევრი
ვარიანტი თვალსაჩინოდ განსხვავდება რუსთველის „ვეფ. ტყაონის“ ლე-
ქსისკან, იმდენად ეს ლექსები ამტკიცებენ, რომ პირდაპირ წიგნიდან არის
გავრცელებული გაღამაზინჯებით. ჩაწერილია 1889 წ. ს. ვეჯინში.

**) ეს ლექსი ცალკეა ჩაწერილი, მაგრამ ფრიდონის „თათბირს“
მოგვაგონებს

ხალხური ლექსები.

(ჩაწერილი ია კარგარეთლის მიერ. ყველა აქ მოთავსებული ლექსები ნაამბობია ვიგლო კაკალაშვილის მიერ, რომელიც ცნობრობს სოფ. ქვემო-ხანდაკში, გორის მაზრაში და დროებით ჩამოვიდა ტფილისში).

მეფე-დედოფლის ჩვეულებრივი დალოცვა უწინ-
დელს დროს.

1

კაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
როგორც აბრამი და სარა!
გამრავლოს, როგორც ზღვას თევზი,
ცას ვარსკვლავი, არ თუ კმარა!
დიდმის მინდორი მოგეტყოს, —
სახსნე-სათესავად კმარა;
შეიდი გუთანი შეგებოს,
იუკე არც ამის აშარა;
ას-ოცო საძნე ურმითა
ზედ კარზედ აგელოს დალა,
შეიდი ფარა ცხვარი მოგეტყოს, —
ესეც სათვალავათ კმარა!

ოდეს იესო ქრისტე გააკრეს ჯვარს, მარიამ—მისი მშობელი ილოცდა ესე:

2

(ლოცვა ან-ბანზედ).

ან, ასრე გაქებ,
ბან, ბევრა ქებოთ,
გან, გეხუეწებო,
დონ, დიდო ღმერთო,

ენ, ესროსლივა,
გინ, ვერა მიხედეს.
ზენ, ზედ ცას ტახტო;
წაი, აშენდა ცათა ქვეყანა.

თან, თითონ ბრძანებს
 ინ, ისრავლი,
 ჯან, კარგი საქმე:
 ლას, ლოცვას ვიუვნეთ
 მან, მის ღღეშთა,
 ნარ, ნიადაგ ჟამს.
 ღიე, იმედო
 ონ, ორსავ სოფლის,
 ჰარ, ჰატრან იუავ.
 ჟან, ჟამთა ვიუვნეთ,
 რაე, როგორ ვქნათ?
 სახ, საუღარს წასვლას,
 ტარ, ტირილობა
 უნ, უფალს უუვარს,
 ფარ, ფიქრით ვიუვნეთ
 ქან, ქვეყნასა.
 დან, დამე გვიძინავს,
 ვარ, ვუვლა წმინდა,
 შენ, შეგვეწიე!
 ჩინ, ჩინოანო,

ტან, ტაძი რომ ხარ,
 ძილ, ძაღოვანო,
 წილ, წაწემენდილსა
 ჭარ, ჭინს ნუ მომტემ,
 ხან, ხანდისხანო.
 კარო, მოდი ვენათ,
 ჯან, ჯანოვანო,
 ჭბე, ზვათ ვარ,
 ჯეო, მიშეკლე!
 მ—მომეცი შეუბა
 ა—ასეთის ტანჯვით,
 რ—რათენ გვედრებ,
 ი—იუავ წუადლობით,
 ა—აღახვენ მონას,
 მ—მადლი მუნ ზეტით,
 ა—ამინ, შენ გეტყვი
 მ—მონა მლოცველი,
 ი—ისრავლო დედა
 ნ—ნაზარეველის.

სოლომონ ბრძენი და კუნძულელი.

3

დიდება მადლსა ღმერთსა!
 შეფე წუალს ჩამობდესა.
 მუბადემ ბაღე ესროლას,
 სამი თევი გამოჭევესა;
 დასხდნენ და წვრილად დაკაფეს,
 ტათა ტეტხლზედ შემოდგესა.
 მოხარშვა რომ დააზირეს,
 კადმიოდეც ძირს დადგესა.
 იტყოდნენ: „ზეცად ნაკურთხ არს,

ეს თუ გაგვასამართლებსა“.
 მოკლენ და თავსა დაუკურენ,
 საღამს ორთ მიიღებსა.
 ნაზირ-ვეზირნიც თან ახლდნენ,
 ამაღას დაუმშვენებსა.
 თეხზედ წამოდგა, ზრდილია,
 მათ სიტყვას მოახსენებსა:
 —ჯერა ვარ სოლომონ შეფე,
 მერე შეძახიან ბრძენსა,

საიქმელად რამე შებადვის,
 მეც მოვასმენ ვერსა თქვენსა:
 გუშინ ვნახე ერთი კაცი,
 შესრულიყო სწოლად ჩემსა;
 ხელთ ეჭირა ოქროს ვაშლი,
 ტურფად იწვა სარეცელსა.
 რიგით მოფუყეთ სამართაღსა,—
 ეველას თავის ხეღერი ჭხვდესა.
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ა ის თევზი გაცოცხლდესა.
 გაცოცხლდა და ზღვას შეერთო,
 ორი ისევ ტაფას დევსა.
 რიგში ჩადგა სამართალი,
 ახლა ნახირ-ვეზირს ხვდესა:
 — დაგვზარდე, დაგვაუკაცე,
 დღეს შეგვასწარ სანატრელსა,
 დღეში სამჯერ კი ვიტყოდეთა:
 „ჩვენ მოკვლამით სოლომონ ბრძენ-
 მაგრამ ეშმაკს უყუვატებთ, [სა“.
 გავისტუმრებთ ცარიელსა.
 ვერ გიმეტებთ ნამატევს,
 ამას ვერც ესა ამხელსა.
 თუ ეს სიტყვა მართალია,
 ა ის თევზი გაცოცხლდესა.
 გაცოცხლდა და ზღვას შეერთო,
 ერთი ისევ ტაფას დევსა.
 რიგით მოსდევს სამართალი,
 ახლა დედოფელსა ჭხვდესა.
 შიშითა და სირცხვილითა
 დედოფალი შეწუხდესა,
 შირზედ ასხმენ ვარდის წყალსა,
 აფიცებენ მამის მხესა:
 სიმართლისთვის მართალი სთქვი,

არავინ არ განლებს ხელსა.
 თორმეტი წელიწადია
 ყვეანთბ კუნძულთ ხელშეიფესა,
 ნუ შემჩინსავთ, ეს მაკმარეთ,
 დღეს ნულარ გამიხდით მნელსა!
 კუნძულელსა დაიბარებენ,—
 ეშმაკების თავის მურელსა;
 არ დასხნა, იახლა,—
 წარუდგა სოლომონ ბრძენსა.
 — კუნძულელა, სიტუკას გიტვივი
 შენთვის სამურ სსმენსა:
 „ერთი სწილენძის კაკა მძქეს,
 მიბარია შემამხდესა;
 თუ იმას თავს გადმოადენ,
 სუფარული შენ დაგრჩესა“.
 აგრე უხარის კუნძულელს,
 ფითა ბავშვსა სტევა მნელსა.
 კუნძულელი თავქვე გარბის;
 არ კითხულობს მარშობესა.
 შეიდი დღე-ღამე აღინა,
 კოკას ეურში დააკლდესა.
 — კუნძულელა, ვერ ამხეუბ,
 რომ ჩაჭერიდე ხაზის ძვლებსა,
 ითუ გინდ შენც შიგ ჩაჭდებოდე,
 თან ღამაზიდ ჩამოგვექსა.
 კუნძულელს ჩაიტუეუბენ,
 ზარფუში გადაცვესა,
 შემოტედე ოთხიგ-კუთხიგ,
 შუა ზღვას გადაკლესა.
 შებადეს ეტევის, გატრისხამ,
 თუ კიდევ ესერი ბადესა.
 მაღალი დმერთი გაუწერეს,
 ვინც ეურის ბატონს ჩვენსა!

თვეების დახასიათება.

4

იანვარი მობრძანდება,
მას სიციფე მოსდევს ძნელი,
ხან დარი ქნა, ხან ავღარი,
ვერა ქნა-რა ვერაფერი.

—

თებერვალი მოწანწალაებს,
როგორც ენკენისთვის გველი,
სულ გაწვიტა ძროხა, ცხვარი,
არ გაუშვა ჭაკი ცხენი.

—

ახლა მარტი მობრძანდება,
ვევლას დამადგინებელი,
აჭვარე ხარი, კამეჩი,
კიდევ ნახონ მინდორ ველი.

—

მარტს აბრილიც თან მოჭეუება,
მზესა დეელება ფერი,
დაფუროთ სახნის-საკვეთი,
მუშაობას მიეუთო ხელი.

—

მაისიც დიდებულია,
შრომობს, მდერის ვეულაფერი,
კაციც მაშინ გამთელდება,
მაშინ გაუთება წელი.

—

თიბათვე რომ მობრძანდება,
თივა ვთიბოთ ლაღის ფერი,

სიმინდსაც თოხნა დაუწოთ
და დავახათ: «ჭერი, ჭერი».

—

მკათათვე კარზედ მოგვადგა,
ენებს მოუღერა ეული,
დაუახევეთ ბიჭებსა,
ახლა კი მკას მიეუთო ხელი.

—

მარიამობის ავეშია
სიცხე დაგვიდგება ძნელი,
კაცი მაშინ დახაშდება.
მაშინ წიკრთმევა იერი.

—

ენკენისთვე ჩამოუფლის,
დამწითა ბადი, ველი,
ტეეს მოედენენ გოგობი,
ხელთა ჭქინდათ კალათები.

—

ღვინობისთვეც მისთვის მომწონს,
ვაზი სდგება მსხინძელი,
დაიმსება საწნახლები,
ქვევრებს შეღერდება ეელი.

—

გიორგობისა თვეშია
სახლში შეგვაქვს ვეულაფერი,
კახშირდება ქორწილები,
ხატარძლები მოვლენ ბეგრი.

—

ქრისტიშობისა თვეშია
 დამე გარდაგვექცა გრძელი,
 სხვა საქმე კი არა გვაქვს-რა,
 დელაკატებს მივყოთ ხელი.

დმერთმა ნუღარ მოიყვანოს
 შარშან უფილი ზამთარი!
 სალექ-მალექ, იანვარო,
 ანგარიში მოგეტ ბევრი.

სოლომონ.

5

სოლომან სწერა წიგნები,
 სწერა, ჩაიდო ჯიბესა,
 ადგა და ქვევით წაყიდა:
 დადგა სტამბოლის კიდეა.
 შვიდი დღე-ღამე იარა,
 ხონთქარს მიადგა კარზედა,
 ხონთქარი შინ არ დაუხვდა,
 ვეზირი დახვდა კარზედა;
 ვეზირმა შეიხატოქა,
 დასვა ტახტ-ხალჩაზედა,
 მსხინილობა გაუწია,
 მსახურნი ადგნენ თავზედა.
 —სოლომან, ძრიელ გაქებენ
 ჯირითის ხმარობაზედა,
 შენსავით ნახმარ შეილდ-ისარს
 ვერ ნახვ დუნიაზედა.
 —მე ჯირითისა რა ვიცი,
 მოყვრათ მოკსელვარ კარზედა,
 დღეს თუ ხონთქარს ვერა ვნახვ,
 ტხას წავალ ანაზღაზედა.
 —მაგას არ გათქმევიებენ,
 გაგოყვანებენ სვალ-ზედა.
 —რახან აღარ შეშვებან,
 ცხენიც არა შეავს ჯანზედა,
 წადით, რაში მომიყვანეთ,

რძეს რომ ასმევენ მთაზედა.
 შვიდ მეჯინიფეს ეჭიროს,
 კიდეც დგებოდეს უაღსზედა,
 შვიდნივ ერთად კადმოთელოს,
 კადმონტეს მოედანზედა.
 ერთი ისარიც მიმოქეა,
 აღმასი ჰქონდეს თავზედა,
 ორშაბათ დილა გათენდეს.
 კავილეთ მოედანზედა.
 ორშაბათ დილა გათენდა,
 კამოვლენ მოედანზედა,
 დაფი, სეფირი გუგუნებს,
 ქალაქი დადგა კარზედა.
 მოლის, მოქშუის არაბი
 ამ შავარდენის მგლავზედა.
 უკვივის: „გამაგრდი, ბიჭო!“ —
 ქორულად, არა ხმზედა.
 —გამექცე, ვაჟო სოლომან.
 კავშინჯო ბიჭობაზედა!
 დეზი შემოჭკრა, გაფრინდა,
 არაბი მისდევს გვალზედა,
 სამი ზედი-ზედ ესროლა,
 გადაცდინა თავზედა.
 —გმირო არაბო, გაქებენ,
 განა რა ცოთხრა რაზედა?

ესლა გამეჭეც! შირს გადაცა,
 სოლამან ჩადგა კვალზედა.
 —მე ერთის მეტსა არ გესვრი,
 მაღალ ღვთის სამართალზედა.
 თუ ეს ერთი არ გაუმართ,
 ხელი ავიღო თავზედა.
 გადის არაბი, თან მისდევს
 სოლამან თავის რაშზედა,
 ერთი ესროლა სოლამან,
 დაასო ბეჭის ფრთაზედა,

არაბი ძირს გადამოკარდა,
 ცხენი კარბოდა წყალზედა.
 ხანოქარს კაცი მიუვიდა,
 არაბი დასჭრეს ძალზედა.
 —ეინ მოჰქვლა ჩემი არაბი,
 ვინ იყო ქვეყანაზედა;
 ის კაცი მაღე მანახეუთ,
 კაბა გაეკრა ტანზედა.
 აქა ვსოქვი ესე ამბავი,
 ჭირი დაუგდე კარზედა!

ს ვ ი მ ო ნ ი .

6

გაჰაგრდა ბიჭი სვიმონი,
 პირიდგან ცეცხლსა ჰურისაო,
 სჩქაროთ ჯარი შეურა
 ცხინვალის ხეობასაო.
 ჩამოიარა დრულშია,
 მეხივით გაჰკვივისაო:
 —სულ ქედზედ კაცი გამოდით,
 ძალიან საქმე ჭირსაო.
 უნდა ჩაურტეთ ხიიცას,
 იმათი ჯაფრი გეჭირსაო,
 აწუარეთ გზაში ხიდები,
 ლეკს გამოადგობისაო.
 მოგროფდნენ თამარაზედა,
 ზედ გამოდიან ხიდსაო,
 ქართლი მუა გადმოთელეს,
 დადგნენ იმ ჭალის პირსაო,
 დაფი, ნაღარა გამართეს,
 ნავალი იყო გზისაო,
 კვირაცხოველშიც ავიდეთ,

მადლი ვახსენოთ ღვთისაო;
 გეგელაშვილსა კაეოლას
 ღვინოს უქებენ ტკბილსაო,
 ვეწვიოთ სახლში იმასაც,
 გვიწვიებს კაი ღვინისაო.
 ქალუმსა შეჰქმნეს გივილი,
 აბა ვინ გვიშველისაო.
 —არაქა *), ჯარი მოვიდა
 ურჯულაო დაღისტნისაო!
 აბა, თქვენ, ცხინვალელებო,
 გული გაქვთ მამაცისაო,
 დახვედრა კარგი იცოდით
 მოფერისა, მერე მტრისაო.
 სმად-და-ხმელ მოფლენ, არ მადგეთ,
 თავს სისხლი ჩამოხდისაო.
 შეურტიეს გააქციეს,
 როგორც რომ ფარა ცხვრისაო.

*) ვარიანტი: დახედეთ.

დეგნი გავიდნენ წყალ-გაღმა
და იქ ფიქრს ჩაგვიტყობს;
სხვა ვერა მოიგონეს რა,
სროლა ასტუხეს ქვისაო;
ჩვენებს კი ასე ჭკონიათ,
ხურებს ესყრიან თბილსაო;
ზოგი იჭერდა ხელშია,
ზოგი უღებდა შირსაო.

ამ უმათ ბეჭერი დაბოლდა,
დედა იტირებს შვილსაო,
ბეჭერი გდია უპატრონოთ,
თავს სისხლი გაღმოსდისაო.
შეუღა უნდა ქერიფს და ობოლს,
საწყაღს ცოლსა და შვილსაო,
ნეტა ვინ უხნაფთ გუთანსა,
ან ვინ მოუტანოთ ფეჭვილსაო?!

ა ნ ა გ ი ს ც ი ხ ე .

7

ანაგის ციხეჲ, მალალო,
შეუზოფარო მტრისაო,
შიგა ზის ბატონის შვილი,
ამომავალი შინისაო.
ხელში უჭირამს სიათა,
ვერცხლი უფლია ზირსაო,
რამდენსაც გამოუშინა,
იმდენი დასცა ძირსაო.
შვიდზუგად ნაშტირად დედისა
სავალი არ გაშრებისაო,
ქვა ქვიშას ეუბნებოდა,
სიძი-ქვას ცრემლი სდისაო.
მაჟარი ზეფით მოიბღერს,
დეუნანს არ დასცდებისაო;
ჩაქალა მტერი მინდორში,
გმინჯა ვაჟებისაო.
ქარი გუგუნებს ქარადი,
კლდე ბანს ეუბნებისაო,
შავი უორანი ყარვატებს,
ხროვა ჩანს ყვავებისაო.
დაჭკრა, დაკკეს ჩახმახმა,
მტერი იფარებისაო,

სიიას რომ ვერ გაუძლო,
ბოლომდის იერებისაო.
ვაჟვაცობს ბატონიშვილი,
ხმალს არ ემტყუნებისაო,
ამხნეებს დიდს და მატარას,
ღახინია ობლებისაო.
გაღმა-გამოდმით მოსულნი
უმანი ეუბნებისაო:
„გაასლეთ თავი საომრად,
თუ ჩუენც დაგჭირდებისაო,
დედაშც ეტიროს უცრემლოდ,
ვინც ომს ემტყუნებისაო,
ცის ნამი მატლად გარდექცეს,
ნურც ღახინს ეღირსებისაო!“
აღხენდეს ბატონის შვილსა
კარგი თქმა გმირებისაო,
ქორუღად სიკვდილს დასდეუდეს,
უღერა ჩაქეებისაო.
ხმალსა ეტყოდეს: წაიწი;
გზა ნახე მშობლებისაო,
ქარქაშით ამონამღერი
გულსა კვვეთებისაო.

ახლანდელი დროება.

8

იავისუფლად მივდიოდი,
ვიღაც მეცა, წამაქცია;
შევეკითხე: „ვინა ხარა?“
მიპასუხა: „რეაქცია“!
ყანგიანი ხმალი ჰქონდა,
მიცხუნა და გამაქცია:
აგერ, ქალსაც ხელი სტაცა,
აკოცა და წააქცია.
გავიხედე ჩემს კოზაში,

სულ დამწვა და დამაქცია;
„პროპაგანდები“ მომთხოვა,
უბაში მკრა, არც კი აცია!
ბორკილები შემიფარა,
არხანგელსკში გამაქცია;
დმერთმა დასწვევლოს რ — ბის
მოგონილი რეაქცია!
სანამდისინ მოვიდოდა
ოთხჯერ-ხუთჯერ გამაცია!

ხალხური ლექსები

(სამესხეთოში შეკრებილი ვინმე მესხის მიერ)

ისტორიული ლექსები.

სოლოღას ლექსი.

1

სოლოღას სტამბოლს წავიდა თავის სიმაშრის ბარზედა,
ოცი დღე-ღამე იარა, ჩავიდა ხვანთქრის კარზედა.
სოლოღას ჰკოცნის კალთაზედა, ხვანთქარი ჰკოცნის თავზედა.
— სოლოღავ, რისთვის გარჯილხარ, განთქმული გურჯის ტანზედა?
მეცა შეავს ერთი არაბი გათქმული ქვეყანაზედა,
შენ თუ იმას ეჯიროთე, თულებს დაგადგამ თავზედა;
ფაშობას ხელში მოგცემ იმ ახალციხის კარზედა!
მან თავისი მოახსენა, მისულიყო რაც ჰვანზედა: —
სიმაშრის ფაშობას სთხოვდა, ეხვეწებოდა მასზედა.
ხვანთქარი სწორედ დაჰპირდა, არ უგდო სიტყვა ბანზედა,
მაგრამ — არაბის შებმასო ხუ გაუღებო განზედა.
სოლოღამ თამაზა უყო, შეიღვა თავის თავზედა,

თქვა: „ცხენი მინდა ასეთი, რომ ორი იფოს სხვაზედა“.
 შევიდნენ, გამოიფიანეს ნაბაში ოთხკეც ჯაჭვზედა,
 ოთხსა სეისსა უჭირამს, ვერ იმაგრებდენ გზაზედა.
 სოლადა შეჯდა, აფრინდა იმ დიდს ათთ შეიდანზედა,
 გაატარ-გამათარა, ხალხი გაოცდა ძალზედა,
 ბეურ დიგიდთ თვალი რჩებოდათ, მის მოსულ გმირულ ტანზედა.
 არაბი მოდის, მოჭკვივის, ვით ნიაგ-ქარი შთაზედა,
 სამი ჯირითი უწევია იმ გაშვებულ მკლავზედა;
 სამსაგ სოლოლას უქადის, რა გადახლება თავზედა.
 ერთი ჯირითი ესროლა, არ წაიკარა ტანზედა,
 მეორე რომ დაუთლა, კადირთინა თავზედა,
 მესამე რომ შემოსტეორცა, მოსვდა ცალ აფიანდაზედა,
 ცალი აფიანდა შესწევიტა, გადგა ცალს აფიანდაზედა.
 —ახლა გამექეც არაბო, მოგუგე ღვთის სამართალზედა.
 შავარდნულეუბ შემოჭკვიფა, ფერი უცვალა ტანზედა,
 ცხენი ცხენზედ შეაჯდინა, ჯირითი დაჭკრა ბეჭზედა,
 არაბი ძირს კარდმოიღო, სული არ დაჭკვა ტანზედა,
 მოლლაებო, თაღიბები უურანს აბერტყედენ თავზედა.
 —მაგას უურანი არ უნდა, ქურჭი დახურეთ ტანზედა.
 ხვანთქარს იამა სოლოლას გამარჯვება არაბზედა,
 გააცნო ოჯახლთ, დიდ-კაცთა, ვინცა რომ იუენენ კარზედა,
 დასაჩუქრა საკადრად, შატოვ-სტეს უგელამ ძალზედა,
 გამოისტუმრეს, სულ ღზინით მოვიდა თავის კარზედა *)).

შ ა რ ი ფ ფ ა შ ა .

2

შარიფ ფაშამ რომ საქმე ჰქმნა, სტამბოლს ხვანთქარი გაჭკვირდა,
 ძმამ ძმას ჰვალატა, აცდინა, საშინლად ატელა, აუვირდა,

*) სოლოლა იყო კოპაძე. მისი ნასროლი ჯირითი ერთ ვერსამდის მილიოდა. ამის სიმამრი ჰაჯი ფაშა იყო, ამშენებელი ციხის ჯამისა აია-სოფის ჯამის გეგმაზედ, ახლა რომ ჯარის ეკლესიად არის ახალციხეს.

გაჯავრდა, მოჭკლა ხანუმი, იოლას თვითონვე ატირდა,
 ფაჭლეკან ალა მიაკლა, გვლავ მოხანლებიც დაჭკიდა!
 შევიდნენ ურალი ლახები, ჟალათად დადგნენ თავსა,
 ხელმანდილი გარდაგდეს, სახე-ლამაზს გიშრის თამსა.
 მაშინ ატირდა ხანუმი, ცრემლნი გარდმოსდინდა თვალსა:
 „ჯაი შენ ჩემო ქალბავ, გაფუჭდი ამ ქვეყანას!
 იჯედ და სვამდი უავსა, სულ არ განვიდოდი კარსა,
 არვის თავსა უეადრემი და არც შეხედემი სხვასა,
 დღემ-ღამ გულს სისხლი გდიოდა, ვერც დებს ხედემი, ვერც ძმასა“.
 ეს სიტყვები მაშინ მოსთქვა ტკბილის სულის ამოსევასა:
 „წამილეთ აი იქ დამმარხეთ, სხვილისის კლდის კანის გზასა,
 გამფელენი და გამოფელენი მუფრიდნენ ვაგლასს და ვასა,
 ფაშა რომ მნახოს ატირდეს, თუნდ თავი ახალს ქვასა,
 რომ უმანკო ასე მამკლა, ერწმუნა თავის ბილწ ძმასა“.
 დაჯდა და წიგნად დასწერა, მტერთაც დასწკემდა გულია,
 მოკითხვა და ნახვის ნატურა, სასიუყარულო ვრცელია,
 უფლანანთ გაუგზავნა, წასაკითხავად ძნელია:
 „შე ხელმანდილით დამახჩეს, ხომ არ გამომჭრეს უელია“ *)!

რავაბ ბელადი.

3

რავაბ ბელადი ჰქიოდა, ნახეთ რა ვუფავ თავსაო,
 არ მომკლა სოლომონ მეფემ, მიმცა ერეკლე ხანსაო,
 ერეკლეს ხელზედ ვაკოცე, — „ნუ მომკლავ შენსა მზესაო!“
 — რავაბავ, როგორ არ მოგკლა, შენ რომ მითხრიდი თემსაო?
 მიკლამდი და მიოხრებდი ქალაქ-სოფლებს, მთა-ბარსაო,
 არ მსგენებდი დღე-ღამე, მივდიდი უველგან გარსაო,

*) 1800 წ. შარიფ ფაშამ რომ ზაბით ფაშაზედ გაილაშქრა, მისმა ძმამ მუსალიმმან ვაბედა დაახლოება ფაშის ხანუმთან, მან უარი უთხრა და არ მიიღო, ამის ვამო ცილი შესწამა რძალს და აცნობა ფაშას, ფა-
 ჰლეფან აღას ესიყვარულუბაო. ფაჰლეფან ალა ბაკაკოშვილი იყო ხოსპიო
 ბეგების პაპის პაპა. ბაკაკოშვილი კათოლიკე არის.

ტყვეებს იჭერდი, მიუდდი ხან არტანს და ხან ვარსსაო,
წააქეზე მთლად ლეკობა, გვიტყებენ ერდო-კარსაო.

—ბატონო, ოდამც ნუ მომკლავ, თათრებს გავუკუტ შეკლავითა,
ძიღს გავუფთხობ, შევაჭრები, კუდს მოუქნე შელივითა.

—შენ თათრებს ვილა განუენებს, ოვალებს დატხრი ხელივითა,
გატხრი ქვეენის სამაჩიოს, გათრეგდნენ მკვდარს ძელივითა.

—ბატონო, ოდამც ნუ მომკლავ, შემოგხიზნივარ შენს მკლავსა,
გებვეწები, გემუდარვი, ბური რამე გულს მიკლავსა,
ათხი ბათმანი ოქრო მაქვს, აწვეერს მიბარია ქალსა,
იმას აქ მოგატავინებ, თუ დამხსნევიებ თავსა*).

აბდაულა და ერეკლე.

4

აბდაულა შეიკმაზა ჯაჭვითა და ჯინჯილითა,
თქვა რაც არ ეძლო, ლად იყო ტომ-მოდგმობით სინსილითა:
„ჩავალ თბილისს, შემოვსდგები, შევაჭირებ სიმშილითა,
ისე გავუხდი საქმესა, სულ იწოდნენ სირცხვილითა,
მეომრებს ხელ-ფეხს შეეუშლი. გულს გავუტეს სიწილითა!“
ეს რომ ერეკლემ შეიტყო გადაბრუნდა სიცილითა:
„შეფე ერეკლე მოგიგვდეს, ვერ გაგხეაქო სირბილითა,
კოჟორი გაგანბუვინო, მონასტერი ტირილითა!“

ერეკლემ შემოუთვალა ფაშას.

5

ერეკლეს შემოუთვალა, დიდის ბატონის შვილსაო,
ლეკები გამოემეზარნენ ქრცხინვალის ციხის ძირსაო,
აიკლეს და ააბრეს, ბური ცოლ-შვილსაც სტრისაო,
თან თოფი გამოიტანეს, სხსარი არის ტყვისაო,
თორმეტი ოქროს სალტა აქვს, ვეცხლი აკრია შირსაო,
განსარჯეთ, მომიკითხეთ, ჩემთვის ძვირფასად ღირსაო,

*) ისე ჰგავს, შეუბრალებია ერეკლე მეფეს და გაუთავისუფლებია,
რომ მერმე ახალციხეს და იმერეთში უვლია ზმირად.

თუ ნახეთ, გამოამიგზავნეთ, ფაშაჲ, ნუ მიზამი მტრისათ, ნუ მომიმდურებ ამაზედ, თვარემ კაკიფთხობ ძილსათ. არ მოგასვენებ არას დროს, გიოხრებ ნათესს, ხილსათ, ცხვარ-ზროხას წაგგვრა, ცხენის ილხს, ჭირზედ დაგიერთობ ჭირსათ, დღისით წაგიღებ ქვეუანს და ღამით ცოლსა, შეიღლსათ, სიავეს სიტკბო სჯობია, სიტუვას ნუ მიგდებ ძირსათ!“

უ ს უ ფ ფ ა შ ა .

6

უსუფ ფაშამ უოხრა მამას, წაგალ, ვნახამ ფაღაშასა, წავიდა და გვერდთ მიუჯდა, მოჭყევა ტკბილად საჩივარსა: „შენი ჭირიშე, ხელმწიფეჲ, რისთვის მართმევ ფაშობასა? შენც იცი კასთა ბატონი, ორთავ გარდაგვიწვდენს მკლავსა, მას ტბილობით ვერ გაუვალთ, შელობით ვუზამთ ბევრს ავსა, თუ მიბრძანებ, ცოცხალს მოგგვრი, თუ არა და მოგჭჭრი თავსა“ . —მაგას თუ მიზამ, უსუფო, კაკიხლებ ფაშობასა, ტანზედ ქერქსა წამოგასხამ, მოგცემ გურჯის ქვეუანსა.

აზატ-ხანი და ერეკლე.

7

აღაშენა ერევანი, შიდ განჯის კარი გაიღო, აზატ-ხანმა მოაშურა ჩუმად, სულ ხმა არ გაიღო, ეს რომ შეიტყო ერეკლემ, ცხენს შეჯდა, ხმალი აიღო, მსუბუქის ჯარით წავიდა, ჯაბახანს არ წაიღო. ავიდა მალალ მთაზედა, ზედი-ზედ ხანი მდგარიყო, ერთი ლეკანდის უფროსი ოქროს უნაგირს მჯდარიყო. ჩვენმან ჯარმან შეუტია, ღაშქარი შუა გაიყო, ას-ორასი ზარბაზანი, სულ მოკაზმული, მზა იყო. ერეკლემ ცხენს შეუტია, ხევეს გაადინა ჩქაფანი, ხეგ-ღელე მძორით აავსო, ცხენს შეუღება ფაფარი, წინ ვერაკინ ვერ დაუდგა, მტერს სრესდა მისი ნაფარი და რაღას თავს ქვას ახლიდა იასუელი, ჩაფარი?

ახატ-ხანს შემოთავადა: „ერეკლე რა კაცაო?“
 — რა მოგახსენო, ბატონო, ემაწვილია ჰაწიაო,
 გული უდგია აღმასის, კარედგან სალი კლდეაო,
 ასრე დახგრევს ციხესა, როგორც იუტურო სეაო.

ახპინძის ომი.

8

დიდებ და მადლი დმერთსა, რომ გამოხნდა ქრისტეს ჯგანო,
 ოთხი კუთხე სულ შეიძრა, თავი რუსთ ხელმწიფე არა,
 ერეკლეს შემოთავადა სალამი და სანუქარი,
 ასრე მიუვარხარ, ერეკლე, როგორც ჩემი და და ძმანი.
 მანც მადლობა მოახსენა, მეგობრობა შენი ვსცანა,
 ეს ყაშეი მაწუხებენ, ლეკია თუ ენგიჩარი.
 ცოტა რამ ხანს მოიქცადა, შეიყარა გურჯის ჯარი,
 ადგა და ქართლი შემოვლო, გამაგრა ტაშის კარი,
 ხეობაზედ შემოწვიანა, აწვეურს მთვა წინა ჯარი,
 აწვეურის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი,
 ესროლა და ჩამოყარა ბედნიებიდგან ბაიანტარი,
 ზეთიდან ტყვია ზუზუნობს. ოხერძა წყალი არ არი.
 ბეგალი გამოკარდა, უელ-ურე ჰქონდა დამწვარი,
 სულ გაგვიწვიტა ლაშკარი, ეს რაღა ღეყის რისხვა არი!
 რუსის ჯარი შემწედ ჰუაგდა, სულ არ დაუჭირეს მხარი,
 ისევ უკან მიდიოდნენ, რაღაზედაც განაცხარი.
 შუამავალთ ვერა ჰქმნეს რა, სულ ვერ გარდისხადეს ვალი,
 ტოტლეიანის უდალტა, სხვას დაადგა თავის ბრალი,
 ზარბაზნები არ ახმარა, გაბრუნდა შურისგან მთვრალი,
 მეუკემ არაფრად ჩაგდო იმისთანა წყწვი, მურადი,
 აწვეურითგან გარდავიდა, ახპინძის მიადგა მწურადი,
 რაც იქ დაუგლო ლეკ-ოსმალთ, აქ შეუთავა ზარადი,
 ბეგრი მოწიფული ჰუაგდა, ხელ-ფეხით ყაფლა მარადი,
 იმ დამეს ხიდი აჭვარეს, განდა იქ ჰვარად-თარადი.
 თათრებმან შემოუტიეს, სულ არ იცოდნენ ვარადი,

ვერც წინ დაუდგინე, ვერც უკან, გაუცუდდათ ჰალა ჰალი:
 ვერ შეუტრეეს ხიდის აურა, არაფერ იყო ჰალალი,
 იშვირეს შირი, ხიდს ეცნენ, აურილ იყო გასაფადი,
 ზანტ-ზუნტით წყალში სცვიოდნენ ქალ მამულა და სარალი,
 სლავათიც ვერ მოჰქონდათ; ისე გასტეხდათ თვალი,
 ხრამი შეეკრათ თვითანვე, ვერა ჰქმნეს რა, იუვნენ მხრდალა,
 იქ დახვდა კობტა ბელადი, მის გავარდა ორივე თვალი.
 ეს ერეკლე გაითხრეა: „აკერ არის საბურთალი“.
 ნეტათქო როგორ შებედა, როგორ გაუმართა თვალი!
 ორნივე ხმალ და ხმალ შეიბნენ, მწვე გათამამდა მურტალი.
 ზედ შევარდა მოურიდლად, ვაი მისი ბუდის ბრალი,
 ისრე გადასჭრა ცხენზედა, წყალაფით გააფლო ხმალი.
 რომ თვითონაც ვერ შეიტყო, გადავარდა ლეკი მურალი,
 მტდით, ბიჭებო, გაუიყოთ ოქრო, მარგალიტი, თვალი,
 ფარის ანგარიშს ვინ აზამს, სულ ზოლათა ახალი.
 შენ ერეკლე ჰოქმიანო, ცხენ მალა უნგრანო,
 შენი ნახოცი ლეკები ასპინძის ბოლოს ჰურანო,
 ევაფი, უორანი ლეშას სჭამს, კაჭკაჭნი თვალებს სთხრანო,
 ვაი იმათ გაჩენსა, რა გონჯ ალგას ჰურანო! *)

მეფე ერეკლე ხერთვისის ციხეში.

9

ერეკლე, ჩუენი ბატონი, ასრე პატარა კახია,
 ტანს რკინის პერანგი ეცვა, გაჭკრა ხელი და კახია,
 რაც უყო ლეკ-ოსმალებსა, ჰალალია და ჰახია,
 ხრამი შეუკრეს თვითანვე, თავსა მოუდგეს მახია.
 ერეკლემ არ მოიშალა ის თავის მუცლის ჩხვერაო,
 ადგა და წინ წამოუძღვა, მთვარე არ იყო ბნელაო,
 ხერთვისის ხიდსა შემოდგა, თოფებს არ გააქვს ძვერაო.

*) სენია და იასე გვარამაძენი აქ დაიხოცნენ და საფარას დასა-
 ფლავდნენ პატივის ცემით სხვებთან ერთად. ე. მ.

თასარებმან თავი დაუკრეს, წინ ვერ დაუდგნენ ვერაო*),
 მიიღეს პატრივისცემით, დალაგდენ იმ დღეს ჭერაო,
 ხანუშებმან გარდმოსხედეს, პირზედ გადაჭკრათ თერაო,
 თქვეს, ვაი თუ ჩვენ დაგვიმძვირდეს ამ სსათკან ცქერაო,
 მერმე რომ ისევ წავიდნენ, უწევს შორითგან შხერაო.

ბაშ-აღა და აბდულ-აღა.

10

დადონებელი მამულა დაკურჩხულია ქარისა,
 დაწვა და ნახა სიზმარი, ზალუმის თავის აღისა,
 ბაშ-აღა ჩენი ბატონი, მოყვარულია თარისა,
 თულის ესაბი არ იცის, მარგალიტის და თვალისა.
 სამსი ბილორის შუშა წამოწიებული კარისა,
 ცხვარი, ზროხა ჰუავს სულ ბეგრი, ცხენის იღბი მთა-ბარისა,
 ოთხსი ქვიჯნის ქერქი აქვს ხარბეს გარდაკიდული,
 ოქრო-ვეცხლის ნივთიული თარობს გარდახიდული.
 ქამლ-ოღლი აბდულ-აღა ჰუავს ძველად გარდაკიდული,
 ახალციხით დაიბარა აჭარლები, მოყიდული,
 მიშველეთ, აკერ თაშც შტრობს, სანჯადი ჰუავ მოზიდული,
 თეთრი ამ შვიდლისთვის მიხდა, არ ვარ მართლა მოქადული.
 წამოვიდნენ აჭარლები, მით თავი არ გაესადა,
 სანამ ასწინძს მოვიდნენ, თავს დაესხა აბდულ-აღა,
 შწოლიერეს შინ შეუხტა, შინაურებს ემტროთ, რადა,
 ჩასძახა: - ადგე, რას წევხარ, შენ თავს უშველე, ბაშ-აღავ,
 აკერ მოდის თაშის ჭარი, — თვითან ხელით დასახა.
 ბაშ-აღა სჯახხნესა ჰერანგითა გაფარდება,
 გულლებს აუარა ბარუთი, უწეო ლაღუმსა მზადება.
 ნაჯვრეტიტგან აბდულ-აღამ თიშტო დაცალა, ვარდება,
 შახვდა ბარუთს, აითუქა, ბაშ-აღა გადაფარდება,
 გათრიეს, ცეცხლთან დასვეს, კანკალობს და ცეცხლს ვარდება,

*) ერთ კვირას ჰქვრიათ ციხე ხერთვისისა და მერმე დაუცლიან
 და წასულან. ვ. მ.

უნი მისდის, ბრახიანობს, ავ-გულობითა ცხარდება,
ტყეა ჰერეს და თავი მოსჭრეს, ასე მიწას ჰბარდება *).

თამაზ ხანი და იგდიჯ ხანი.

11

თამაზ ხანმა დასძრა თუმი, ვითა კამეჩმა ქელის,
იგდიჯ ხანს შემოუთვალა: „ციხე დამიგდე ჩემია!“
იგდიჯ ხან დადგა, დაფიქრდა, პირში ჩაიდვა წვერია,
კარის კაცსა დაუძახა, რომელიც ჰყვავდა ბრძენია.
ამას შეჰკითხა ეს საქმე, უფურებს ზირში, შტერია,
—რაზედ შეშინდი ბატონო, რაზედ გეცვალა ფერია,
ამ ციხესა გერ აიღებს, თუნდ რომ მოატუდეს აქემია;
შვიდი წლის სარჩო შიდა გვაქვს, შეშა და კვარი ბევრია;
მეცინოვნები კარგი გუავს, მარჯვე ვაჟაყანი, მშვეენია,
მსწრაფად ხელ-ფეხიანი, გამრჯე, დიდათ თავ-გამომჩენია,
ჯაფხანა ხომ სულ ბევრი გვაქვს, თათ-ზარბაზნი ჩვენია,
დღე-ღამე ვისროლოთ ზედი-ზედ, ცაში ავიდეს გენია!

და ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი.

12

დავითისთანა ბატონი არ გამოსულა გვარშია,
ადგა და ქვეით წაჟიდა დიდის ყაენის კარშია,
ყაენმა წყალობა უყო, ლაშქარი მისცა ხელშია,
იქითგან წინ წამოუძღვა, ვით ორაგული ზღვაშია,
მაგრამ ხელი არ მოეწყო, არ დაინდო არავინა,
არც ქართლში, არც იმერეთში, უორგულეს კარ თუ შინა,
ხსალციხის ფაშამ იძმო, გაუჩინა მტკიცე ბინა.

*) ხიზაბაგერელი მამულას ნათქვამნი, ეს ოსმალობისავე გაქრისტი-
ანდა თავისი მიმხდურობითა მღ. ანტონ გოდებაძისაგან უშიშრად. ვ. მ.

ჩ ა ხ ა ლ - ო ლ ლ ი .

13

ადგიდი, შენ ჩახალ ოღლი, ერთ ხანად გიქროდა ქარი,
 ოღქაობა შემოადე, რომ ვერ ჰქმენი კაი ქარი,
 ფაშას უფლა დაუზგრაე, მოუკიდე ცუცხლის აღი.
 ეს სელიმ ფაშამ შეიტყო, ჰერსისგან შეიქმნა მთვრალი,
 ჩახალ ოღლი დაიბარა და იმისი ბაირაღტარი,
 მოითხზა, რაღა ჰქონდა, თან კარისა ანახტარი,
 ბეგრი არაფერი ჰქონდა, არც რა თეთრის განაღდარი,
 წამოფიანენ, მთა გარდმოფლეს, ახლდათ სხვანიც ამაგათი.
 ადიგვენს საუხმე ჭამეს და შეიდანსა სამხარი,
 შევიდნენ ახალციხეში, ნახეს ქალაქის ამქარი,
 აჭარლები მოეკებნენ, ვერ დაუჭირეს ზურგ მხარი,
 შუბამ ხანაში ჩამოხტნენ, იწვეს სიცილი, ხარხარი,
 დილაზედა ფაშა ნახა, ჩახალ ოღლიმ დაინახა,
 უკან დადგა ოღქისაგან, სწორედ ხელი დაიბანა,
 — გაწეინეო, მომიტევე, — ფეხთ სკოცნად გაეჭანა,
 გაშავდა და გარკინავდა, სასიკვდილთს დაეგვანა.
 ფაშა დამშვიდდა, რომ ნახა ამისთანა სანიშანი,
 მოიღანაჩაკეს ერთად, აღარ დასჭირდათ მაშვალი,
 თავიანთ მოფიქრებითა გააკეთეს ბარიშალი,
 რომ აღარათრის შინებოდათ, ეს იყო მისი საშვალი.
 გამოემშვიდნენ ფაშასა, ფაშა გამოჰყუა განკება,
 ამოვიდნენ სოფელ ვაღეს, არ ჰქონდათ არფრის გაგება:
 დიდის ამბითა დაუხვდნენ, სოფელი წინ დაეგება,
 ამის მეტი რა უნდოდათ, მოსწონდათ თავიანთ ქება.
 ჩახალ ოღლთა ფაშა ნახეს, მათ გავარდათ ორივე თვალი,
 ფიშტოები დაუწველეს, ადინეს ცუცხლის აღი,
 სამივე ერთათ ამოწვეიტეს, ორი მამა და ბაიჩახტარი:
 ორდობეს შუა ეყარნენ მთელ დღეს ის საბრალთ მგვადარნი.

ლეკებთან ბრძოლა.

14

წერეთელმან დაიბარა ოსმალთა და ლეკის ჯარი,
 სხვაც მოკრიბა, წაიყვანა, ჯაყუელია სარასკარი,
 აღის საუღარში ილოცა, წინ იახლა წინამძღვარი,
 კახტა ბელადი მიუძღვის, მას გაფარდეს ორივე თვალი!
 ეორტოხტის გზა გაღიარა, ხევე-ღელე და ავი გზანი,
 რაჭას სოფლები დაგლიჯეს, სულ ქალი და ჰატარძალი,
 ხედ ზამთარმან მოუსწრაფა, თთელი მოვიდა დიდძალი,
 რაც უნდოდათ, ვედარა ჰქმნეს, ერეკლეც დასცა თავზარი.

15

ბარაღელ აღუა შვილსა სუფრა გაეგლო გქელია,
 ლეკები წამოტყვიანდნენ, კარხედ დაუბეს ცხენია,
 ცხვარი, ძროხა სულ წაუსხეს, ცოლ-შვილის წაკვრა ჰრცხვენია,
 —ადე ვაჟო, გაიხედეთ, ჩვენი აქ დგომა ძნელია,
 თუ აკვარსკებს ერთიან, მოკვწყდება ზურგი, წელია,
 თუ არა და თავს უშველოთ, გვიფარამს სახლს კარძელია,
 შუგამარდეთ და დაუშინოთ, ტყვია-წამალი ბევრია,
 გათუხებამდის ვისროლოთ, ცას მიადგება გენია.
 მართლა ლეკებს გაუჭირვებს, გატყვიანდნენ, წავიდნენ მწერალად,
 დიდი ჯაფრი მოსდიოდათ, რომ დარჩნენ ასე ჰინ-მშრალად,
 ტყვედ ვერვინ ხელში ჩაიგდეს, როგორმე და ვერცა ძალად,
 ერთმანერთს ეკამუკებდენ, ამა-იმას სდებდნენ ბრალად.

16

ორშაბათს დილა გათენდა, ცამ იგრძნო მზისა ძალით,
 ლეკები შემოკვიცვივნენ ქორწილში, მეტად მწერალით,
 ქალი, სძალი ტყვედ წასხეს, მათთან ბაბუნათ სძალით,
 ვერ გაძლა ჰმირის სიუვარულით სამი დღის ჰატარძალით.
 გოკიას ცუცხლი ეკიდვის, შიდ მოიხალა ქერით,
 ააონკეს ერთიანად, ძლივ მოჩჩნენ თითო ღერით,

გაუიკაცებო დასოცეს, სულ ცხრულემ დასჭრეს ეელიო,
 არ შეიბრაღეს წვრიღშვილი, მონუცთა ისწყდათ წელიო!
 გავქონდათ ტირიღ-ხრიაღი, ფაშისგან დაღიღულია,
 მუხღ კერებოდათ, კვღებოღენ, ფერ მკრთაღ თაგ დაღიღულია,
 გუღს უკღემდათ შემოსევა, ასე ლეკთა ქურღულია,
 მიღიღღენ სავსენი ტყვით, აღხენდათ მათ ტეტულია*).

ერეკლე შეფის გამარჯვება ლეკებზე.

17

დაღისტანი შეიყარა, ჭარი და ბელიქანიო,
 აცხო და აცხო ხინკალი, გუღასა ჩაიყარაო,
 აგზაფხა მარჯუე ლეკები, მორიგად გაითფაღაო,
 შემოღვინღენ საქართვეღოს, ზოგთ კიღეგ ერჭოთ ფაღაო.
 ერეკლემ ჭეუა იხმარა, ურმები აიფარაო,
 ხაუსხა გულ-მხნე ბიჭები, ესროღა ჩქარა-ჩქარაო,
 რაც ზედ მოვიღენ მოშაღეს, ვაჟყაცნი განხარაო,
 სულ კი იმას იძახოღენ ცოტა ვართ, არა გამარაო!
 ერეკლემ გაღმოიძხა: „შეშიგმაღეთ ბერი კვიცი,
 ამ უბანში დაღიძახეთ, საღაც იუღს კარგი ბიჭი“.
 შეჯღა, მათრახი გადაჭკრა და იქ მოხეღა ჭანღრის ძირში.
 თქვა: „ღამცაღდეთ, ლეკებო, მე რომ თქვენი სჯული ვიცი“.
 ლეკებმა შეჭქმხეს ჩოჩქოღი, მოგვეწია არჩიღ გიუი,
 ზოგს მოგვეღამს, ზოგსა დაგვარჩენს, ღორის ქონსა გვასხამს ზირში,
 თავს ვერ მოუფაღთ, შეგვარცხვენს, უგეღას ჩაგვერცხს ჩვენ დიღს ჭირში,
 სჯობია ახლავ გავექცეთ, მოკერიღოთ ერთ კღღის ძირში.
 ზურ მაჭმადი იქით განტა, აქეთ დაუხეღა ჟარია,
 შეუეენა ხოღვა და ჭრა, მიჭფანტ-მოჭფანტა, ღარია,
 ბევრთ თავი ქვას უხეღა, ტვინი სისხლს შინა კარია,
 მაშინაღ ბევრი დახოცა, ოღონღ იყარა ჟარია.

*) ახალციხის კათოლიკებმა რომ ლეკი ფაშად გახადეს, იმის ჯაფ-
 რით გოკია მოაოზრებინა ახალციხის უსუფ ფაშამ. ვ. მ.

სასულიერო ლექსები.

18

ღმერთო, შენი დაილოცოს სასწორი და სამართალი,
 გააჩინე ცა, ქვეყანა, ზედ გამართე მთა და ბარი,
 ცა უბოძოდ დააყენე; სულ არ მიეც გასაყარი,
 ზედ ვარსკვლავები გამართე, ბნელი ღამის მნათობარი,
 მზე და მთვარე ზედ დადიან, ღრუბლები აქვთ გასავლელი,
 სასუფეველიც იქ არის, მეტად ძნელად საშოგნელი,
 ანგელოზებს ზეცა მიეც, სახსენებელ, სავგონელი,
 აღამიანთ—დედამიწა, ცხვარი, ზროხა, საქონელი.
 გააჩინე ჯოჯოხეთი მიწის შუა, კაცთ მტანჯველი,
 უესსერულს კიბე არ უყავ, არ ძირი, არცა ნაშირი,
 რა გინდ ვეიროდეს საფერი, ვერ გაიგონებს ცოდვილი,
 თუ გინდ იუთს ძლიერ ბერი, თუნდა ახალი უმაწვილია.
 დასაბამისა მოგიუგე, თუ ქვეყანაზედ რაც არის,
 ქვეშ რომ დედამიწა არის, ზეით უუურამთ, ცა არის,
 აღამის ჩამომავალი ათას ნაირი სხვა არის,
 ჯოჯოხეთი და სამთხე ორივე ჩვენს ხელში არის.
 ცოდვა-მადლის გამზნულს ხელში სასწორი უჭირამს,
 აცა, მოკვდები ცოდვილო, შენ გნახამ, თუ ვინ გიტირამს!
 მღვდელს მისცემენ საწირავსა, არ გავა, ტყვილად გიწირამს,
 მადლის საქმეს შენ არ შერები, ცოდვაზედ თვალი გიჭირამს!

19

პირველ გამზნულმა ღმერთმან ადამ, ჰევა გააჩინა,
 მისცა ედემის სამოთხე, ღვინ-სიხარულით არჩინა.
 უუურეთ ზელწსა ეშმაკსა, თუ როგორ მალე აცდინა,
 აშუშავა გველის ენა, ევამ აღამსა აწყინა!
 რა წაუყენა წიგნები, ცოლი ქმარსა დაამტერა,
 შეაძულა გამზენ ღმერთსა, გაათუჭა, გაამტვერა,
 ანლა ის შენ მითხარ ძმაო, წიგნს ბოლღს რა მოაწერა,
 ეს რომ ცტოდნია, არ ამბობ, შე შენი აღარა მჭერა.

ხეთი ათას წელიწადსა სასუფეველი დაკეტა,
 გამრავლდა ურჯულაობა, ჯოჯოხეთი დასვედრა,
 არ გატუდენ წუალ-რდენით, არც ტეტხლით, უკელა კაცსა დასვედრა,
 ადამის ჩამომავალი ეშმაკებს უმაღ დაუკურა.
 წუეუღიშტ იუოს ეშმაკი, ღუთის ჰირისგან დაიწუეღა,
 ჩამომდგარია კაცთაზუდა, სულ არ უღლის მუცლის ჩხვერა;
 შურისგან თვადლები სცვივა, ზოგიერთს კი უს არ ჰსჯერა,
 რდისაც რომ თვალს დასუტყენ, მაშინ ხახვენ სწორედ უკელა!

20

ღმერთი ჩვენი გამხენია და ადამი მამა არის,
 იმისი მამალაობითა, ევაც ჩვენი ღუდა არის,
 უსმართლო სამართალი, ვაი რა დიდ ძნელი არის!
 ავი კაციც იმას მისდევს, საწუალ კაცთა შველელი არის.
 გამჩნელი მოწუალეა, მონანუღაა მხსნელი არის,
 დაუძახებს ცოდვილ კაცთა, ვინც დიდ ბრალთა მტენელი არის,
 ცოდვა-მადლსა აუწონვენ, დასძლევეს ცოდვა, ჩვენი არის,
 ხორცსა შეუკურენ კუბოსა, ძვეს საკაცეს, ცხენი არის.
 სულს აკლებენ ჯოჯოხეთში, სატანჯველი ძნელი არის,
 ხორცი დაღებუბა მიწაში, ჯერ არ იცის, თუ რა არის,
 ნელნელა ჯეჯლივით იხეთქს, თესლის ჰნეფასავით არის,
 მეორე მოსვლისა უკელა გაცოცხლდება, სწორედ არის.
 ტეტხლით მწვარი, წუალში მშთვარი, შუკრბუბა უკელა ნაწილი,
 მართალთ სასუფეველი აქვთ, სინარულ, ღხინი, სიცილი
 და ცოდვილთა ჯოჯოხეთი, სულ არ მოუვით თვალთ ძილი,
 სულით, ხორციით ჩააკლებენ, ვუძახებით საფუ არის.
 ჰბლეჯენ, ფრეწვენ ეშმაკები, მხეტ-ნადირი, გველი არის,
 ტეტხლი ჰწვათ, გუზის კეილება, ნავთი და გოგირდიც არის,
 ღმურმან დაგისხნათ უკელანი, გაკანებაც ძნელი არის,
 არც აქვთ იმედი, საშველი, სინათლე მწვე, ბნელი არის!
 ცოჯილი ჰწუხს და სტირისა, ცრემლი ჩამოსდის თვალზუდა,
 ნეტამც არ გაფრენვილივაც, არ მკვლო ქვეუანაზუდა,

სულ შელოცა ენით მიწა, ძაძა ჩამეტვა ტანზედა,
რომ ამ დღეს ავტილებოდი, არ დამწყარვიუვ ძალზედა!

უცნაური პატარძალი.

21

მურჯახეთიდან წამოველ მე ჰამტა ქალით,
უკან მარები მომასხდენ, დაიცა ქალით,
სოფლის ბოლოს რომ მოკული, ახარდი მალით,
სახლში თავს გარდამიუყანეს, გავადე თვალით,
ათხად მოგვეტე ნახადი, ძირ დავჯეგ სძლით,
ერბო-ვეერცხე გამიკეთეს, მოასხეს თაფლით,
დადეს ამოვეთურე, ლუკმას ვსდე ხელით,
მეორე დღეს ვინცა მნახეს, კარზედა გავჭეკო,
კერას ჩამოუვარე, ჯამი გავსტეხეო,
თაროზედ გოჭობი დამხვდა, თაფლი გავლოკეო,
დედამთილი წაჯატეი, მული გავჯობეო,
მამამთილს წვერი ვაგლიჯე, თაფზედ ვაყარეო,
მამასხლისს ვაგინე, ჰირი გავადეო,
გზირს გავუწვერ, შევეუტიე, კარზედ გავაგდეო,
მღვდელ-დიაკონს არ ვაწვინე და კარზედ გავუეო,
სამის დღის პატარძალმან ვაჟი ვშობე მეო*).

ქმრის მაწუევარი ქალი.

22

ქალი წავიდა წულზედა, თან გავაყოლე თვალით,
ავესო გოკა, გუტალი, შიდ გაუყარა თმანიო,
თრად მოკეტა ნაწნავი, ერთიან ერთი მხარიო,
წამოვიდა წარბ შერჭმითა, აემღვრა ორივე თვალიო.
მოადს და მოტუტუნებდა: „დმერთო მიმიკალ ქმარიო,
დაუდევარი, ცუდლუტი, ყოფლითურში უხმარიო,
არ გამიკეთა საკადი, დამაწუვეტინა თმანიო,
მტერ-მოუყრებში გამომაკლო, ცხვირსა მდირს ცხარი ძმარიო“.

*) შეადარე ზემოთ დასტამბულს ქართლის ვარიანტის № 378

ქმრის მოძულე ქალი.

23

ზეითკან გადმომდგარიო აყალ ვუყუნ თეთრი ქალიო,
 ხელს მიქნეულა, აქ ამოდი, შინ არა შეყვსო ქმარიო,
 ციხის სანგრეულად წაყიდა, თავსამც სწოლია კარიო *),
 მისკან გულ კლულს მიშეულე რამ, მიჩხიე გზა და მსარიო.
 მახარობელი მოყიდა, ქალო, მოგიკვდა ქმარიო,
 სამახარობლად აჩუქა სამოცდა სამი ცხვარიო,
 იმასაც არ დაჯჳკრა, გაუგდო ნიშა ხარიო,
 შეკრმე მე მითხრა, ვინატრი, შენ დაგრჩეს ჩემი თავიო.

უვარგისი ქმარი.

24

რა ვქმნა, რომ არა უტიროდუ ხიზბაურელი ქალიო,
 ზირდაზირ ჩამომჯდომის სიკვდილის თერი ქმარიო,
 თავი აქვს მეტად მუტეკა, ზირხედ არა აქვს წყალიო,
 მოძულა უყვლას თავი, არ იცის შთა და ბარიო.

შ ე ყ ვ ა რ ე ბ უ ლ ნ ი .

25

ერთი გოგო ვნახე წახნის წყაროსა,
 ზირი მზეს მიუგავს, ტანი საროსა,
 გამჩენს ვებსეწები შემეყვაროსა,
 კარგ ტოლ-ამხანაგად შემეყვაროსა.
 გამიგონეთ, რომ რამ დამეგვაროსა,
 ღუდა ჩემს უთხარით, ის ამგვაროსა,

*) აწყვერელმან ქალიმანჯ აფენდჳან ჯერ იწყო ციხეთა და ეკლე-
 სიების მტერევა და ნგრევა, მერმე მგზავრთა და ბეზირგენების ცარცვა და
 კვლა, ქრისტიანების თავ-დასხმა აქა-იქ. აუმჩიოდნენ ახალციხის მაჰმადი-
 ანები, 1675 წ. გააშავეს ხვანთქართან იქამდის, რომ მის საფლავის ქვებს
 ზედ წარწერაჲ არ აღირსეს, ჰღლია აწყვერს. ვ. მ.

მამაჩემს უთხარი, შინ მამგვაროსა,
რთველზედ ჯვარ დავიწერ, გამახაროსა.

26

მთაფარაგნელი ქაბუკი ახანას*) ქალს ჰყვარობდა,
შუაში ერთი ზღვა ჰქონდა, იმაში გასვლას ზარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი გამოღმა კელაპტარობდა,
ერთი კუდური ბებური სანთლის გაქრობას ჩქარობდა.
მანამ ქაბუკი შეტურდა, თევზივით ქამანდარობდა,
დაჰკარგა ფონი, შესჭირდა, ახვას იცემდა, მწარაობდა,
ქაბუკი ზღვამან დაარჩო, ზედ ორბი იჯდა, ხარობდა,
ქალმან ის ბებური იგლოვა, ბებერს სწეველიდა, ცხარობდა! **)

მ ო ნ ა დ ი რ ე .

27

ბიჭი ვარ გოგიტაული, თოფი მაგდია მხრანნი,
აწვეერში დავიარები, რეგორც ირემი რქიანი,
ხადირს ვწვიტამ, მუსრს ვადენ, არ კარდმირჩება ფხიანი,
ვეფხვი, ფოცხვერი, მკელ-კაცა, ზირ გაბლეშეილი, დიანი.
ერთ დღეს დათვს თოფი ვესროლე, დაიწყო დიდი ღრიალი,
მომვარდა, ტოტი შემომკრა, ქოჩორზედ შევქვენ ტრიალი,
ზედ შემჯდა, ბეჭი მომტეხა, დამიწყო ტანმან ყრიალი,
სატევარს ხელი გავიკარ, ღლიას გჰკარ, შექმნა წიალი.
იმან მე ჩემი დამმართა, არ ვებრალევი ბევრსო,
დათვსაც ვაი დაუარა, გარდაკვდა იმავე დღესო,
ქალებსა განხრებოდათ, დათვი მოგვიკლა ტუისო,
ადარც მოგვიჭამს ყოლოსა, არც მოცხარს, არცა თხილსო.

*) ფოკის ტბის ნაპირს უნდა იყოს ნასოფლარი ასპანა. ვ. მ.

**) შეადარე ქართლის ვარიანტები № 644 და 1110.

მეცხვარეს ვირი.

28

ინდუსელი ფეხოშვილი მეცხვარე არის ძველას,
თავის თიბა კარგად იცის, გარედ გაუღუა ცელა,
ნამეცხვარი რომ გამთაცსო, პური ჩააწყო ცხელა,
ხარაზატასში წაფიდა, სიზმარი ნახა ძნელა.
გოლუგი წინ გაიმძღვანა, დუმანა ნისლის ფერიო,
ქაღიანზედ რომ ავიდა, ჭელი ჩაყარა სქელიო,
ვირი ნათიბში დაბა, არ მოუწაროს მეკელიო,
ვირს ბუშები დაეხვივნენ ბრათო, სისხლის ფერიო,
იქვე გადაბრუნეს, მშრადად მოსტუეს წელიო,
დანა რომ ვუღარ მოასწრო, ხანჯლით გამოსჭრა უელიო,
უასობა იმით უხდება, უამა მოუკრამ ტელიო,
ტყავი გაასრო, მეღებს უურბნად მიაერთვა ისე მთელიო

გამიჯნურებულნი ვაჟ-ქალი *).

29

ასპინძის მეზობლის ქაღას სპიჯნურედ მოგვიადე,
დამიბრუნდა, ასე მითხრა:—ვაჟო, რას გადაგიადე?
წადი მთაზედ, თივა ჰთიბე, საქმე-ყოფას მოგიადე,
ჩემი თავი თუ არ დატრეხეს, უკეთეს სხვას მოგიადე **).

—მთას ვიუჟ, ცივი წყალი ვსვი, ბარად ჩამოგულ მაჭარი,
გავსრულდი და გაგაუგატდი, არაფისზედ ვარ ნაჩარი,
აწ რაზედ ვარ დასაწუნი, სპირთალი შენ გასჭარი,
ქაღო, რატომ არა იცი, რომ მე ვარ შენი ვაჭარი?!

*) ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ ასპინძის ქალ-ვაჟის პოეზია მართლად დარჩენილიყო და არ დაეწყებოდა ჩვენს ერობას. როგორც სჩანს, თავითგანვე კარგად მიღებული ყოფილა ჩვენ წინაპართაგან. რომ ნაწყვეტ-ნაწყვეტნი მუხლნი ზოგი სრული და უსრულიონი, აკვრა-ჩაკვრით, აქა-იქ დარჩენილან მთელ საქართველოში სახალხო სამღერელად. ვ. მ.

***) ვაჟი ლამიხვეული ყოფილა, სჩანს მჭედლობა მსცოდნია. ვ. მ.

— ცული ცაგეღა მხარზედა, შემა ვერ დავაბობინე,
 ზირი მარადე, საქმეზედ ხელი ვერ მიტყუოფინე,
 გულში იბღერი, ზირად ჰქდუმ, სამდურაჳი მათხრობინე,
 თუ ჩემი თავი გინდოდა, რატომ არ შემატყუობინე?

— ჩიტ-გერიტიფით დაფრინემდი, მე შროშანი მეკონევი,
 სრულის გულის, სრულის ჳკუის, სიკეთების მექონევი,
 სადაც რომ დაგინახემდი, სულ საჩემოდ მეკონევი,
 სიზმრებშიცა თვალში შეეგხარ, გულ-მკერდზედა მეკონები.

— მიფსურობას არ ეუთფა სმა-ჳმა, ნებეურება,
 ქესას თეთრი, გულს ძალ-ღონე, ზირად ტან-შეენიერება,
 ცარჳვა, გამოცდა, სიმარჳვე არს კაცის ბედნიერება,
 უიმისოდ ვერფინ ირგებს, უველცან ჳქრება ძლიერება!

— მთას თიფა მომითიბია, წამინდა უდარობითა,
 ჩემს საქმეს მე არაოდეს არ ვახდენ უთაფრობითა,
 სხვა საქმე რომ არ მაქვს, შენ გმზერ სიწუნართით, მუედრობითა,
 წელი და ზურგი გარდამწედა მე შენის მუდარობითა!

— ვაჳო დიდგული უოფილხარ, მოთმინება არ გქონია,
 ტან-სახით არა გიჭირს რა, ჳსჯობს მოიერიფო გონია,
 რიგინს საქმეზედ დადგე, განიმტკიცო ძალ-ღონია,
 რომ გქძლოს რიგზედ ცხოფრება, გქძინდეს დიდ წყელებზედ ფონია.

— ქალო მინდა გეშაირო, მკრამ გულში დარდი მაქსო,
 ვოქვა ბეერი და გათქმეფინო, გლახ თუ თქვა: „მომშორდი ნახსო!“
 თავს ვერ გახედიე; წააკო, ვედარ გაუძლო ჩემს ბაქსო,
 გაიტქე, სადღაც წახვიდე, გასაფლელი ხიდი გაქვსო!

— ჳრე ძილო, მერმე სიზმარო, მიძაბუნე თურმე აგრე,
 შენ თუ ფაჳი ხარ, მეც ქალი, გული რითა გაიმაგრე?
 რომ ეგრეთი სიტყვა მკადრე, წუალს მიმეცი და გამაქრე,
 კაცთ სამიფსურო ქალი არს, უნდა იცოდე შენ მაგრე!

— ბადჩაშიგან გარდვიზედე, გარდამიწია იამან,
 უაქრო აუფაგებულა, ვარდი გაშლილა, მიამა,

გული დამიტკობ წაღკოტმან, ყვაგილთ ფოფინმან ღიამა,
შენედვით რომ შენ გამგზავსე, სული, გული დამიამა!

— კარგი ვაჟკაცი ეოფილხარ, შებლზედ გწერია ჭვარია,
მაგრამ სცდები ჩემს თსოფნაზედ, არა გაქვს სახლი, კარია,
არც მამულ-დედულ, მინდორი, არც ტყე-ღრე, მთა და ბარია,
რომ როგორმე დამარჩინო, არ გაგხდე საციტხარია.

— ყაყჩოსა სიწითლითა ესა დაუმშენებია,
წამწამსა და წამწამს შუა ბაღი აკიშენებია,
შიდ ჩავითესავს სურვილი, კანი მოგიუენებია,
შენ მოგიკლავს ჩემი გული, სხვისა ადგიშენებია!

— ძალად ბედს ვერვინ იშოვნის, არცა რა ვარცა ხელობა,
დასკურდეს თაგის ბედს, იღბალს, უნდა რომ ჰქონდეს მსჯელობა,
ჰჯობს, ვაჟო, საქმე გააწო, ისწავლო წიგნი, ხელობა,
მეტნიერება, შეკნება, ყოვლისთვის სიმხნე, ჰქელობა.

— დაეივლი მთელსა ქვეუებსა, საბურძნეთს, მისირს, აღამსა,
ვისწავლი წერგა-კითხვასა, ხელობას და კარგ კალამსა,
უსტართ მოგწერ მოკითხვას, ნახვის ნატურას და სალამსა,
გერ ვიშოფნი შენისთანას. მე ჩემის გულის წამალსა.

— ვაჟიკაცო, მე რა გაქო, თეთრი დევის ძალა გაქვსო,
იარაღი მოგინდობა, თოფი მოტედილი გაქვსო,
შებლზედ კუჩუვი ქოჩორი, თვალი შავარდნისა გაქვსო,
წადგები და წამოდგები. ტანადობა კარგი გაქვსო.

— ქალო შენი მე ეტ მიუვარს, ადგი-გოგდი, სიარული,
ტანის ჩაცმა, თავდაბურვა, თეთრი ზირი მხიარული,
ესა-ზირი სუფთა, ბრძნული, თაფლივითა დაშქრული,
მსმენელთა სულს-გულს წაუღებ, გულს გაიშლის დაჩკრული!

— ვაჟკაცო, გულად ნავარდო, ქოჩორი შენი მიუვარსო,
რომ დაგინახა მეტკებობი, გული მეშელება, მიხარსო,
თვალის სინათლედ მინდები, სურვილს მიმატებს მიხარსო,
გულითგან არ გამომდინხარ, მოთხოფნილებას მიკმარსო.

—გურ რა ხილი შევადარე აღუკავებულს ატაშსა,
ვერვინ გედრება სიტურფით, შევნივრად არხვევ მაგ ტანსა,
სინანხართ, სინაზითა თვალ-მარგალიტი გხატაშსა,
შესანიშნი ხარ იმითიც; გაქებენ ჭირ-ლხინთ ამტანსა!

—ვაჯიკაცი ხარ მხნე, მარდი, ლაშქარს ქორუვად გავარდი,
აღრეტ იუავი, რომ კიდევეც თავს შეხვეულ, ბოლოს გავარდი,
ახლაც კერეთ გიჯობს, თავი ისხელთ გუელ-ნაყარდი.
კურავინ გიადგება შენ წინ, ვერც დიდი, მხნე, ვერც ჯომარდი.

—ღლე-ღამ შენი სურვილი მკლავს, სანახელად გამხდენია,
მოულოდნელი სიზმრები საკვირველად ამხდენია,
მუღამ უარზედ მიღგიხარ, ვტირი, ცრემლი დამდენია,
თუ არ მწყალობ, მიჯობს მოგვედე, ცთხოვეთ რამდენ რამდენია!

—სიზმარი არ გამოდგება, სინათლე ჰქვობია ბნელსა,
შენთვის კარგებს ფიქრობ და მე თავზედ მასვეუც საქმეს ძნელსა,
აგრე კაციც სიადგილით სულ ვერ მოქნის ტუეში წნელსა,
შენ კი გინდა რაც სოქვა სწრაფად ჰქმნა; არც ჰკვირდები უანის მსაწიელსა.

—ეგელა ხილხარი აუჟავდა, შენ რაღას იზამ უზანო?
ჩემს თავსა შენ განაცვალე; შენ იცი რასაც მიზამო,
ჭკუა-ცნობით მდიდარი ხარ, წეს-რიგების მომიზანო,
როგორმე მბეუდნიერე, სულის მდგმულთ, გულამისანო!

—ჭკუა არ მიჭრის ძნელია, დედ-მამა მუავს უკარია,
რძლები ჩამოვიდებულნი და ძმებს სულ არ უხარია,
არვინ მიბრალს, ხელს არ მიწუობს, ვარ მე ასე უხმარია
და რა სული მიგდის ჩემზედ, არვინ მუავს ზურგი, მხარია!

II

—მინდორს შინა თეთრი ქვაო, ავსწიე და არ ამუვაო,
ნაღვლისაგან აღარა ვარ, რაც მინდოდა არა ვჭკუაო,
ვაჟო, შენი სიუფარული სადაც წაგედ; თან წამუვაო,
გული არვისზედ გამითბა, ველარსად ვედარ დავჭკუაო!

— შავარდენი კადმოფრინდა აბრეშიმის ბუდიოჯანს,
 გოგომ ვაღა შემომტყორცნა, ამოდო უბითაჯანს,
 ეს ჩემ მაგიერ შენ გქონდეს, არ გადმიგლო გულითგანს,
 მიუვარხარ, მაგრამ ვერ ვბუღამ, ხელს ვერ ვიღებ სულითგანს.

— შავარდნის თვალო ღამაზო, შენ ჩემთვის გიტირნია,
 შენ ჩემთვის რა გატირებდა, გადნებდნეს რა ჭირნია?
 უთვლითურსა საშვადი აქვს, ამ წუთს ვართ უველა შწარნია,
 როგორც მოფიფართ, მიუფიფართ დიდი, ჰატარა, მტირნია!

— შემოგხედე ბუთარსა ჰირსა, წარბნი წვრილად შეგვეარსა,
 ათიფ თითნი ბრალისანი წინ კალთაზუდ დაგვეარსა,
 ცხრა ნაწანუნი გიშის თმანი მხარ-ბუქსუდა გარვეყარსა,
 აქრის თასით ღვანოს სვემიდი, შიდ შაქარნი ჩაგვეარსა!

— ვაჟო, ეტ რა ღამაზი ხარ, დაურჩი დედა შესსო,
 სქემე რომ არა გქონდეს რა, ჩამოსვილოდე ჩვენსო,
 სადილს განვედრებ ზურ-ღვინით, მეც მოგიფუდევი გვერდსო,
 დავუქვ და დავაღვივებ, დმერთს შეჭყერი ორსავ ხელსო!

— აქეთგანა მე შენამდის, ვარდი მახია ენამდის,
 გუელს მიშლის, სურნელით მატკობის, აფიფარ მადლა ზუნამდის,
 თუ გი რომ შემომითვალე, ფრენით მოგიკად შენამდის,
 შენს შეტი მე ამ ქვეყანას თვალთ არათური შემომდის.

— შენი დაბრა დავაზირე, მაგრამ სახლში არ მიუვქეს,
 არ მადირსეს შენი ნახვა, მომდგენენ, შუა განიუვქეს,
 ადარა მათქმევიენეს რა, უველამ ჰირი დამიუვქეს,
 რადა მექნა, დავუქვ ჩუმად, სამღურავი დამიწიქეს.

— ბაღასი გარდმოფინედე, ტურთად გნახე შწოლიარე,
 ჰირი ვარდებო გარდაგმლოდა, გეწოთ კახნი მწოთბიარე,
 თავსა გედგა თეთრი ვაშლი, ფერხსა მსხალი მსხმოვარე,
 ერთი კიდევ დამენახე, ნუ გამიშვი მგლოფიარე!

— ამ ბაღას წითელი ვაშლნი, გარშემო შავი ქლიავი,
 წაღვოტს სურნელნი საამო, ქონდარი, შაშხრა, კვლიავი,

შენგნით მოკლულსა ამ ჩემ გულს, წარმოდგე, მეცეს ნიაჯა,
გამიგრილდეს სულა, გული, ტუბილია დილის ნიაჯა.

—წითელ ვაშლს შენ გესვრი, თუარო შენ ჩამოვარდება,
მწითის წილ კუნე ხელთ მრწყა, ორ წყალსა შუა ვარდები,
თავი ვერ გამიტანია, წყლის ღელავა-სუირობეს ვბარდება,
ძვირად ჰყოფი სიტურავეს, გულში ჩამიგლე დარდები!

—ხელმანდილსა გარმოგიგდებ, ბოლო ჭრულსა, მოქარგულსა,
ათას ფერად აქვავებულს, დახატულს და დასახულს,
შიდ ჩავახვევ ჩემს სულ-გულსა, შენგნით დამწვარ-დადაგულსა,
ნუ დამივიწყებ მე ასრე ერთიანად დაქარგულსა!

—სიცოცხლის სახსრად მივიჩნევ მე ხელმანდილს შენეულსა,
არ გავცვლი მთელს ქვეყანაზედ მე სიხარულს ჩემეულსა,
2. თავად არ შევალ სხვისსა, თუ შევალ ჩემი ძმისსა,
ისე შევალ და გამოვალ, როგორც ძმა იუოს დისსა.
3. *თავი ვინ მოგჭრა და კვიდრმა ძმამო.
4. თავი მოძულეებული აქვსო.
5. თავიდაცან ხელი აუღიაო.
6. *თვალშიაღ ვერ ჩამხედავო.
7. თვალი გულის სარკეაო.
8. თვალი უნებურიაო.
9. თვალმა რაც ჰქმნას, წარბს ზევით ვერ წავაო.
10. თათრად ვიყო, ლოცვა ბევრი აქვთ, ქრისტისანათ—მარხვა ბევრი
აქვთ, უიზილბაშათ—ბოლო ცუდი აქვთ.
11. თვალში ეკლად მიაჩნიაო.
12. თვალში ეკლად შეხიბრებაო.
13. თვალში ეკლად შესობაო.
14. თებერვალი ბერამსო, მარტი კაბას კერამსო,
აზრილი გატყუებულა, წითელ კვერცხებს ღებავსო!
15. თავად არ იყო მშარიო, შიგ აურიეს წუალიო.
16. *თითო გობი ლაფი უვლევან სდგასო.
17. *თითო გობი ლაფი უვლევან სდგას, მარა ჩუასს ათვანაო.
18. თმა ტყელი და ჭკუა მოკლე.
19. თუ არ გინდოდეს ჭირიო, შეიჯკვირევი ჩხირიო.
20. *თუ არ იცოდე ხერხიო, დედაშენს ტურის ფეხიო!
21. თუ შენი არა იხარჯებოდეს, ღხინს ნუ დაეკრძებიო.
22. თუ ჭირისუფალი არ ტირის, მოტირალი ვისი მოვალახუა?

ი

1. იანვარში ბებრმა მარწვევი მოინდომაო.
2. იაფი ფასისაო, წვენი ძაღლისაო.

3. იმედიც კარგიათ.
4. იმერეთიდან გადმოდის საქციელი და ზრდილობა, ათასად გვარი დაფსდა, ორი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა.
5. იმერელი, ფხიკიანი, ძაღლმა ჭლივში გაკბინათ.
6. იმერელმა ნალი აბოგნა და სთქვა: „ღმერთო სარკინეთი ამოგდე, ერთი ცხენი და სამი ნალი მაკლია, რომ ცხენი გაუჩინოვო“.
7. იმდენს გირტუამ, მომიხედო, ვერ მიცნათ. (ან: ერთიც ვერ დაითვალა).
8. ირემმა ირემს ბაღანი აუშვირა -- არც შენ გაკლია და არც მე, მაგრამ ჰატოვის ურათა.
9. *იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი დგებათ.

კ

1. კაკაბმა სთქვა: „ერთმა ისეთმა ალაღმა წამომიქროლა, რომ რაც კი სიმღერა ვიცოდი, სულ უგელა დამაუიწვალა.“
2. კალთაშიც გიზივარ და წვერსაც გაკლიჯავო.
3. კარგი ღვინის ნაძირალი, კარგი კაცის ნაცოჯარიო.
4. კარგი ბატონი, კარგი უმა გამოვა სანადიროდა, ქორ-მუქებრები წინ უძღვის, თვალი აქვთ სადარილოთა, ინადირებენ მწუერ-გნოლოთა, ირემს, შველს სანადიმოთა.
5. კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, ზრასკევია დღესაო.
6. *კარგი ცხენი ქერს მიიმატებს, ავი ცხენი მათრახსაო.
7. კატა მეფეს შეხედავსო.
8. კაცი ვერ შესწვდა ცხენსაო, უნაგირს უწვო ტუხათ.
9. კაცი უნდა ხერხი იუოს, გაჭქონდეს და გამჭქონდეს, და თუ არა უნო იუოს, სულ თავისკენ შემოჭქონდეს.
10. კაცი გამოვა კაცობრივ, წვერი არ გახარებოსო, თხასაც ასნია ბაღანი, მზმანი დაფსავსოსო.
11. კაცია და გუნებაო, როგორც ებრაგუნებაო.
12. კაცს ქეიფზე მოიყვანს უავის დუღილი.
13. კარგი ჰამა იუავიო, კარგი ჭამა გიუავიო.
14. კაი ბიჭის ნაყოლი ცხენი და კაი ბიჭის ნაყოლი ცოლიო.

15. კაცი თვალით არ გაისინჯება.
16. კაცი ნუ მოკვდება, თვარა, თუნდა სხნსველაზე გადაგდონ.
17. კაცი რასაც აქ სიკეთეს იქს, სიქიოს დახვდება.
18. კაცი თავს რომ სიავეს უზამს, იმოდენს შვიდი ეშმაკიც კერ უზამს.
19. კაცი კაცს შეხვდებაო.
20. კბილის ნაკრეტნით მუცელი არ გაძდებაო.
21. კედელს ცერცვი შეუარე, დაიჭერს?
22. *კიდევ შეტეპშელებოდა, კიდევ ვჭამე ტეეშალიო (სთქვა გურულმა ქალმა ორსულობაში).
23. კუდით ქვას გასროლიებო.
24. კაი ცხენი გეზს არ ირტყამს და კაი ხარა შოლტისაო.

ლ

1. ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყალში ჩავარდნააო.
2. ლამაზი ცოლი მყავს, მარა გაღმა სხვას ვუყავსო.

მ

1. მაღლს თუ შერები, მარილიც თან მოაუარეო.
2. მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩნახე.
თუ ზრდით არ შეიცვალა, წინ უძთ მშობელთ გზა და მახე.
3. *მამიდას უებებოდნენ და რძალს ასმენდნენო.
4. მამამთილო იისაო, დედამთილო ბიისაო,
მამლო იაკუნდისაო, შვილო ნუშის გულისაო,
მულო, შენ ამომივარდი, რომ ხარ ავი გულისაო!
5. მართლის მოქმელს ადგილი არ აქვს, თქვას და გზას გაუდგოს.
6. *მარჯვე (ცქიუი) კურდღელი თავისთვისაც იძოვის და სხვისთვისაცო.
7. მძღარს ხეცის დაიკანინდ მძღარი ეკონაო.
8. მტელს მგლობა გაუვიდა, ტურამ ქვეყანა ამოკდოო.
9. მკერელს სხელში ნუ შეუშვებ, თორემ კარში გამოსვლას აღარ იფიქრებსო.
10. *მეკვერცხე დედალსაყით რას ბრუნამო?
11. *მე ვწუხვარ და ის კი ოდელეიას იძახისო.

12. მეფას რაც ესიზმრებოდა, ის აკონდებოდაო.
13. მეტის-მეტი ჭოიში ხარს უკედმა წაიფანსო.
14. მეტის-მეტი—რეტის-რეტი.
15. *მეტის ტანის სანითა მკვდარს ე.ლი წაუვიდაო.
16. მზახალო, წვერი მიირთვი,—და წვენიც კაგიაო!
17. შთა და ბარი არავის გაუსწორებიაო.
18. მთქმელი არ იქს და მქნელი არ იტუფისო.
19. მიკიტანი ბახაზობას ვერ იქს.
20. *მომხდურს დამხდური უნდაო.
21. მოკაკანე ქათამი კვერცხს არ დასდებს.
22. მოკაკანე კაკაბი მახეში ჩავარდებაო.
23. მოთმინება კარგი საქონელია.
24. მოლა ვირზედ იჯდა და ვირს ეძებდაო.
25. მტერი რომ არა გუყვდეს, შირობის კატუხით მტერს ნუ გაიჩენო.
26. მქნელი იყო, კარს უკან დაიმალებაო.
27. მჭამელი და არა მქნელი.
28. მჭედელს დანა არა ჰქონდა და ქსლის მბეჭველს ხელსახოციო.
29. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო.

6

1. ნათლიდედამ ჩაუსალა ერბო-კვერცხი სვინასო,
უმწვინს უთხრა: „ჭიხიაო, მწადს მივართვა ფინასო“.
2. ნათლიდედის სიღამაზე არ არგია სვინასო,
კაცი უნდა უეურებდეს გადაბულ ხიდს წინასო.
3. ნათხოვარი მოგისდება, ისევე მალე გაკესდება.
4. ნეტავი ათი დამკრან და ერთი მართალი მათქმევიონო.
5. ნეტა რა ვჭქნა, როგორ რა ვჭქნა, ავი დედამთილი ხარო!
არას ვჭამ—უჭმელი ხარ, ვსჭამ და—ასრე სვავი ხარო!
ნელა დაგად—ზანტს მეძახი, გაფიტევი—ჭაჭი ხარო!
ძირს დაგადებო—კუტს მეძახი, გაფიტევი—ჭაჭი ხარო!
ვაი შენს გამომტეშს, მამაძალი ქალი ხარო!
6. ნურც ეშვას ნახამ და ნურც ზირჯვარს დაიწერო.

მ

1. ობლის ჰატრთნი დშერთია.
2. ორივე აღონამ დაგმამათესე (გაზაფებაში ურიაშ ურიას უთხრა).
3. ორი კაცის გასვლა ერთ კაცზე დასქარია.
4. ორი კაპეიკი ჩემთვინ კარგი მწეანილიათ.
5. ორი კურდღლის მღევიარი ერთსაც ვერ დაიჭერსო.
6. *ორმა თუ იცის, დორმაც იცისო.

პ

1. პეპელა სინათლეს დასდევს.
2. *პირი დრინს არ მიშერებაო.
3. პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რად გიყარს?! (ზოგან ასე ამბობენ: პირი რად ტეწვის?).
4. პირუტყვიც სულიერია! (უწელო ცუმაზე იტყვიან).
5. პირველი ცოლი ბუღია, მეორე დამონება, მესამე—ვირზე შეჯდომა, მეოთხე—გაჭენება.
6. *პანდური კი არ მეტკინება, მეწეინებაო.
7. პირში დუმა, უკან დანა.
8. პურა-ძვირი უშეილო რამ არ იყოს, არ შეიძლება.
9. პური კლდეს*), დვინო ბოკას*), თეფი მე მთხთვე ტობასა*), თუ გინდა ვაშლი წითელი—გადმა-გამოდმა წეორასსა*), თუ გინდა ქალი ღამანი—ან ფუღა*), ან ასტიღასა*).

ჟ

1. ჟიჟავის ჟლეტა კაცს მოსწეინდება და არა მტრის.

რ

1. *რა ურემიც შემას ვერ მოიტანს, იგი ურეში შემათ იქცესო.
2. რა ვჭქნა, აღარა მესმის რა, კაცი ვარ, მხურამს ქუღია, გაჭჭევე მე შენ პირ-ტკბილობას, გზანი კტონია მრუღია.

*) სოფლების სახელებია.

3. რა გამოვალთ გაზაფხულსა, ხეს ფოთოლი გამოუვა,
კაცი რომ ცლარობდეს, თავში ჭკუა გამოუვა,
ზოგს ჭირად გადაქცევა, ზოგს ძილიც არ მოუვა,
რა ჭქნას კარგმა მონადირემ, თუ ნიშანში არ მოუვა?
4. რა ჭირს მივცე თავი!
5. რა ციხის იმედი არ გქონდეს, დაიქცეს იგი ციხეო.
6. როსტომ სთქვა: როსტომ არა ვარ, არცა როსტომის გვარისა.
7. როსტომ სთქვა: დედაკაცისა ჭკუვა არ შექებისა (არ შევეთებისა),
ცხრა ნაწნავ ჯატვით დავაბა, ასწუვეტს და გაიქცევისა *).
8. რა გინახავს, ველარ ნახავ!
9. რაც ზეიზურ ჭისჩანს, ორი იმდენა მიწაში დამფრებაო (გაიძვე-
რაზე იტყვიან).
10. რაც მამა-პაპას უჭნია, მეც იმას ვიჭო.
11. რეგვენ კაცს თავში კი არა და თვალებში აქვს ჭკუა.
12. როგორიც აღხანაო, იმნაირი ჩაღხანაო.
13. როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს.
14. როცა არის, ეს თხა მგლის ზურიაო.

ს

1. სადაც გიღხინდეს, იქავ გიჯობდესო.
2. სადაც ჩიტი გაიზღება, მისი ბაღდადიც იქ არის.
3. სად ერეკლე, სად თორღზანთ თეკლე!
4. სად დაჭკრა, სად გახეთქაო!
5. სამშობლო შორსა რომ გქონდეს, თავის ქებას დიდი არაფერი
უნდაო.
6. სანამ წნელი ნედლია, მოჭრა უნდაო.
7. სანამ გეცო ხურს, ცოში დააკარათ.
8. სანამ უმაწვილი არ იტირებს, დედა ძუძუს არ მისცემს.
9. სანთელი თავის ძირს არ გაანათებს.

*) როსტომ დიდი გმირი ვინმე ყოფილა, რომელსაც სიძლიერით მიწაც კი უზანზარებია და ცოლის ენას კი მოუტეხია. როსტომზე ზღაპარიც არის.

10. სარწმუნოება მან შენმან გატხონოს.
11. სარწმუნოება უსაქმურად მკვდარია.
12. სვაგი ძაღლს გაზომავს და ისე გადაულაშავს.
13. სვინაო, მოიჭარი და მიირთვიო.
14. სვინაო, ფთხვი მიირთვი და წვენიც კარგიაო.
15. სიდედრს ჰყვარებისრო!
16. სიზმარი არ გამოდგება, სინათლე სჯობს ბიქვსა.
17. სიკვდილია სთქვა: „გატს ისე ვერ მოგვლავ. რომ მე არ დამბრალდესო“.
18. სიკეთისთვის სიავეო.
19. სიკვდილს უკან სინანული არ იქნება.
20. სიმდიდრე თუ გინდა, აჭარისკენ წადიო.
21. *სიმცირეის მერეშიო.
22. *სირცხვილ-ნამუსი წაუხდაო.
23. სირცხვილიც კარგი შეია.
24. სიტყვა ქარია!
25. სიტყვას ბანზე ნუ ისვრი!
26. სიტყვა-ბასუხი წაუხდაო.
27. სიკატლითა რას მიწუნებთ, კურდღლებზედ არ მარბენიებთ! ჯამ-ჭურჭელს კარგად დაგირეცს და ჯარას დაგიზრიალებ, შვილებსაც კარგად დაგიზრდით, სულ არას დაგიზიანებთ!
28. სიმცერას ბანი ამშვენებს, წალკატას ვაშლი წითელი, ფერსულსა ქალი ლამაზი, კაბა ჩაუცვას წითელი, ვაჟკაცსა—თოფი და ხმალი, მოემწითურთს კისერი, მესტვირეს—კარგი ლუქსები, მოწვენილთ გულის გამშლელო.
29. სიტყვის თქმასაც მისი ადგილი აქვს.
30. სიტყვის თქმაც რიგით არის.
31. სიტყვის თქმასაც თავის ზომა აქვს.
32. სიყვარული ბრძაო.
33. სული გვამში არ უდგებაო (ანქარებულ კაცზე იტყვიან).
34. სულის სიმართლეზე თქვიო.
35. სული კბილით მეჭირაო.
36. *სული ნუ წაგიწელება.

37. სილატაკემ დიბა მცვეთიაო.
38. სიუვარულმა სირცხვილი არ იცის.
39. *სიძვე, მოიჭარი და სჭამეო! (შიირთვიო).
40. სომეხი და სხვა მენიო.
41. სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ კავიარე უფობო.
42. სტამბოლში ვირი კიტრდა ღირს, მაგრამ იქ წასულას დიდი ფული სჭირაო.
43. სულ არაობას ქალიც შვილიაო.
44. სული მწარეა.
45. სული სულს იცნობს, გული გულსა.
46. *სული ქრთის, ხორცი ქანქალებს.
47. სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმმატებია.
48. სხვას უღლად ხარი უქაღე, შენ ღმერთი მოგცემსო.
49. სხვისი ლუკმა გემრიელია.

ტ

1. *ტაი-ტაი ტაბელასა; ვაი და ვუი გაბელასა!
2. ტირილი ცხვირზედ ჭკილიაო! (მტირალს).
3. *ტოლიბაშო, ჩანჩალო, ღვინო მასვი ჩქარ-ჩქარაო.
4. ტყვილი მთქმელის ნაყოფი ის არის, რომ მართალსაც აღარ დაუჭერებენო.
5. ტყუილს მოკლე ფეხები ასხია.

უ

1. უბედოდ არა იქნება რაო.
2. უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევიაო.
3. *უნახავმან რა ნახაო, ოჰ, რა დილიაო!
4. ურია რომ გაღარიბდება, ძველ ვალებს მიადგება.
5. ურიის ვალი ბევრად მირჩეუნის შენს ვაღსო.
6. ურია ფიცავდა, ქრისტინი არა სჯეროდაო.
7. უურეთ დარეჯანასა, გარედ გამოდგამს ჭარასა, შინ აკვანს შვილი უტირის, გარედგან ეტყვის ნანასა.

8. უწელო, უპუროდ, უღვინოდ ჟამი არას დროს იწირვის,
არცა რა შერცხლის ჭანკითა არწივი არ დაიჭირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს, ცუდია, რასაც იჭირვის.

ფ

1. ფაშა ჩამოხტა ხანდოსა *),
კარგისა მასწინდლისასა;
ხან მაწონს სჭამდა, ხან დოსა.
2. ფეხს საბნის დაგვარ გაშლა უნდა.
3. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს, არ ვიცი ეს რას ჰკავსო!
4. ფურმა იწველა, იწველა; ჰკრა წიხლი და დაქცაო.

ქ

1. ქალის ზეტვი ძალღმაც იცისო.
2. ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, შვილი მილესამს დანსა,
თუ დედაშთიღმა შეიტყო, ის დამაქრებს უკვლასა.
3. ქართველის ჯიბე განგრეტილია, ფული არ დადგება, წამოიძხა
სომეხმა.
4. ქაშის შეშინებული დოს უბერავდა.
5. ქვა ქვას შეხვდება, თორემ კაცი კაცს, რასაკვირვებია!
6. ქვა აკდო და თაფი შეუშვირაო!
7. ქუდი სიცივისთვის კი არა და სირცხვილისათვის გხურამსო.

ღ

1. ღარიბ კაცს ხერიანი შვილი რომ ჰყავდეს, ღარიბი ადარ აქნებოაო!
2. ღობე-უორეს ედებოა.
3. ღორს მარგალიტი დაუყარე!
4. ღმერთო, ნუ შეჭერი ვაჟკაცსა ქალსა ვბედსა და მძინარსა,
ის მოჰკლავს, ის დაბერებს, ის შერთავს წყალსა მძინარსა.

ყ

1. ყასახს თეთრი თხა მსუქანი ეგონაო.
2. *ყბას ნუ მიქტეუო!..

*) ხანდო—სოფელია.

3. უბედის ზარი ვინ დაღალა? და მუნჯმაო.
4. უბედის ზარი ძაღლის კანით არის მოქონილი, რამდენიც იუბედოს, არ მოსწყინდება.
5. უვავს კაკალი გაგდებინე!
6. უვავს კაკალი გაგდებინე, ისიც კარგიაო.
7. უველა ბედით არისო!
8. უველიერში უველი ვჭამოთ, ადღგომას ჩიტებიო, დედაშენსაც გაეხდება ქოჩრისანი ბიჭებიო.

უ

1. შავი მიწის მეტი კაცის თვალს არა გააძღობს რა.
2. *შარშან ჩემი შვილი ცხენს გაიჭენებდა და წროულს კარიაზედ ვერ გადაიარსო.
3. შავი ქვა და ნაცარი ცხელიო.
4. შავო უოჩანსო, შავ კლდეს შავი ბუმბუდი ბოლომდის, გეჭმოს წუთი სოფელი, გავთავებოდე ბოლომდის.
5. შენ, მირაბ ხანო, ბაღდადო, ბოსტნიან-მწვანელიანო.
6. *შენი ეხა მოღს მოსწყვამსო.
7. შვიდი ჭურის ამღულებელიაო.
8. შენი გულის ხასუხს მიხედუ, ის გეტყვის, თუ კი ჭკითხამო.
9. შენიჭირიმეთი შვილი არ გაიზრდებაო.
10. შენ სჭამო და შენმა სულმა ზღვასო.
11. შენ შენს ფუშრუკს მოურეო.

ჩ

1. ჩავაკრამ ცეცხლს აგერსო და დაგამხამამ უველასო.
2. ჩაწინდე წაქცეულიო!
3. ჩემი აულა-დიდებაო ჭინჭველს აკვიდებაო.
4. ჩემს ბაღში ხიფს არავის მოვამწეებო.
5. ჩემი შენ გითხარ, შენა და მით გულ მოგიკალო.
6. ჩიტა წიწვნათ არა ღირდა და უკან დევნა მეტი იუო.
7. ჩიტა შემოჭდა ღობესა, იძხის ქიშმიშობასა, ღმერთმა დაგასწრასო მრავალ წელს ადღგომას, ქრისტეშობასა.

ც

1. *ცაი ფეხათ მოფათ! (დიდ წვიმაზე იტყვიან).
2. ცალ-უდელა ხარი სჯობიან სულ არაობასაო.
3. ცას არავინ შეჰბერებიაო!
4. ცოლ-ქმრის აშლა მეზობელს გაურა ეგონათ.
5. ცოცხალს არ მეცნა კახანი, მკვდარსა მეგრამდუნ კუბოსა.
6. ცოლი შევირთო ლამაზი, ვაჰ, თუ არ შემეიფუაროს!
სამეზობლოდ რომ წავიდეს, უღვაშ კოკობი ნახოსა,
მას გაუშალოს ბუმბული, მე ჩაღა გამოიქექოსა,
მას შეუწვევას ერბო-კვერცხი, მე მხალი მომინახოსა.
7. ცა და მიწა იქცეოდა, ტურა ქორწილს ეწეოდა.
8. ცხენიდან ჩამოსჯდ და ვირზედ შეჯდოდა.
9. ცხვარში მკელი ჩაყარდა და ვაი ერთის ჰატრონისა.
10. ცხენს რომ იფიდიან, კბილს გაუსინჯვენ.

ძ

1. ძალათ ბედს ვერვინ იშოვნის.
2. ძალათ ლამაზობა არ იქნება.
3. ძალდი დასაქმეს და ძალღმაც მისი კუდიო.
4. ძალდი ახსენე და ჯოხი გვერდთ მოიდე.
5. *ძალდი ხსენებაზეო! (ესე იგი მოვით).
6. ძალდი ჰატრონს ვერ იცნობს.
7. ძალდი ჰეეთს, ქარავანი მიდის.
8. ძალდი იუეფებს და დაწუმდებსო.
9. ძალდი ძალღის ტყავს დახვეს?
10. ძალდი ძალღის ტყავს არ დახვეს.
11. ძალღისა—უეფათ!
12. ძალღისაგან კრავი დაიბადება?
13. ძალღისაგან კრავი ვის უნახია?
14. ძვალდი ჰაღლიასა და რბილი კიკოლასაო!
15. ძვირად უიღვა სჯობს კარკისა, ზედ გამოდებსა სართისაო.

16. ძმა ძმის მტერი, ღმერთი ორისავეს გამამტვერი!
17. ქვამ წიწილა წაიღო და მეფა ნაშთგარს სადიდს გაკვიდაო.

¶

1. *წამოტარახინებულმა ძაღლმა დაგიმადლაო!
2. წამწეშიდა წახედულთაბამო!
3. წასულა სჯობს წამაჟღისა, არ დაუფენება ხანისა.
4. წერას ხომ არ აუტანინხარო!
5. წითელთ ვაშლო შენ ტესერი, თეთრო შენ ჩამოყარდები.
6. წითელმა თურმა იწველა, წიხლი ჰკრა, დააქციაო!
7. წვიმა-წვიმა დაუშვი, კოჭობანში ჩაუშვი!—
კოჭობანი ბეგრია, ღობითს გაუბერია.
8. წაუღ კედესა, თავს გარდვიგდებ ჯინჯველ ნათხარს გორაზედა,
წაუღ, თავსაც ჩამოვიხნობ. ბოსტანში მდგარ ქონდარზედა!
9. წუღი ნაუე, ნაუე, ისევე წუღიაო.
10. წუღ-წადებუღი ხაგსს კვიდებოდაო.
11. წუღი ბეგრს რთ დადგება, აუროლდება.

§

1. ჯანდარი მადლს იზრდება, მაგრამ ნუოფს არ იძლევა.
2. ჯიას თეხი არ დადგმის.
3. ჯიის მოკვლაც ცოდლოაო!
4. ჯირში სულგრაქელობით მოთშენა,
5. ჯიუს რამ არიკებდენ, სად იუაფიო!
6. ჯიუს ხნიერებაში კი არა და თავშიაო.
7. ჯურში რასაც ჩასახამ, იმას ამოკახებს.

ბ

1. ხაღხი ღმერთს ეხვეწებოდა და წაღდი წვერსაო.
2. ხატს სანთელს ნუ დაჭბირდები და უმაწვილს კვერსაო; თუ დაჭ-
ბირდე, კიდევ ასრულეო.
3. ხელმა ხელი დაბანა და ორთავემ ზირიო.
4. ხუთ თათში რამედიც მოიჭრა, დატეწვისო.
5. ხილი მეხილესაო.

6. ხე რომ წაიქცევა, ცუდიანი და უცულო ვეგლა ზედ შეადგევა.
7. ხელი ხელსა, გოჭი მტელსა.
8. ხილს რომ ჰირი ჰქონდეს, თავის-თავს შესჯამს.
9. ხილი სჯამე და ხეს ნუ ჰკითხამო.
10. ხუმრობა თავს ვერ დაიჭერს.

ჯ

1. ჯავახელების ხილია ატოლი და ღიმი, ისიც რომ გამოეღევათ, გამოუწელებათ ღხინია.
2. ჯავახეთს გუთანი მება, თრიალეთს მანჭუ შუჭირა, ჭართლიდან სადილს ველოდი, მესრეებს თვალი ეჭირა.
3. ჯავახელების საათი მამალია.

ჰ

1. ჰსჯობს სიცოცხლეს ნაძრასა სიკვდილი სახელოვანი.
2. ჰა შოკს წასული, ჰა შინ მოუსვლელი!
3. ჰაჩი, ვირო, არტანულო, შუმა-შვერისა მომტანულო!

ჟ

1. ჟა, ტბრუ, კამერო, რქიანო, (შატარა) ბიჭიკოს შესახიანო!
2. ჟი, ღმერთო, რაკი შენ, გამაჩინუო, ხელ-კლავში ძალი მომეცი, სწორს უკეთ დამარჩინუო, ახარე ქვრივსა, აბოლსა, ბრმათ თვალი აუხილეო, მინდორში გლეხთ, მწუემსთ და მგზავრთაძირს ჩერო დაუჩრდილეო!

მ ბ მ მ ს ს ნ ე ბ ი

(სამეცხეთოში შეკრებილი ეინზე შესხის მიერ).

1. აკერ გაღმა გორაზედა ღორი თავი ჰკიდაო, უინ რომ იმის ხმის არ ისმენს, ჩემი ცოდვა ჰკიდაო. (ზარი).
2. არსიანისა მთაზედ ვერძი ბრუნამს რჭაზედა, მოვუბრუნდი და შემოვკარ მუშტი კოკონა თავზედა! (ხელ-ტარ-კვირი:ტაეი).

3. აქ ავადე ისარი, ბადადს დაგვარ ფიტარი,
შენ თუ ამის გამოცნობ, გეტოდინება ვინც არი.
(უსტარი, წერილი).
4. დედა ხისა, მამა კლდისა, შვილი კი ადამიანისა.
(მოსეს ყვარჯნით კლითგან წყალი გამოდიოდა).
5. ელე და ელე ჩხუბობდნენ ემე ეშესა კარზედა,
ელე არ მოშველებოდა, ემე მოჭკელემა ელესა.
(კლიტე. ვასალეში).
6. ერთი თხა შეაუდა რეზო, ზურგზედ ეკიდა ენათ,
იმისმან სიტყვა-ზასუსმან ქვეუნა განაშენათ.
(სასწორი, საწონი).
7. ერთი კვერცხი ხელთ მიწინამს, ნახე როგორ ტბილიათ,
ნახევარი ცივი არის, ნახევარი თბილიათ.
(ქვეყნის ბურთი).
8. ერთი უსულო მყავს რამე, მუღმისთ ფეთქამს დღე-ღამე,
ერთის ფეხითა მიზომავს, მეორე ფეხით მიწიანს.
(საათი).
9. თავი ხეში, ფსელი შენ სვი, ნეხვი შენს მკვლარს ღ ცოცხალსა.
(თაფლი, სანთელი).
10. თავ ხერხი, ბოლო ნამკალი, ვინძლი ამიცნა სკანი.
(მამალი ქათამი).
11. კიანი, კიანი კიბესათ, ზურმუხტების ციხესათ,
ზეითგან დათვი ვეიროდა, ქვეშ ბალანი ცვიოდათ.
(სავარცხელი და საჩეხელი).
12. კლდეს ვზივარ, ვიქნევ ხელსა, მოსწი, ზანავ, შენსა მზესა,
ვამტვრევ, ვლეწამ, როგორც ბზესა.
(წისქვილი სარეკელ-საფქვაე-ჭინახულით).
13. მამა მოკუხელი, დედა ლამაზი, შვილი კი გიჟი.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).
14. მთვარე არს არის, ბარს არის, ჩამოხტა ნახევარს არის,
ერთი მკვლარი, ცხრა სმარე, მეფე გამოცნას არის.
(მთვარის ცვლილება).

15. შიშვიდა მსაღმან შფინარმან, შიკბინა უტებ ფინამან.
(ჯინჭარი).
16. შარშანდედი მამა ჩემი წრეუდს ჩემი შვილი იყო,
ჩემის ძუძუთი გაზდილი დედა ჩემის ქმარი იყო.
(დაპატიმრებულის და შიშვილით დასუსტებულის კაცისთვის გათხოვილ თავის ქალს, ყოველ-დღე ფანჯარასთან მოსულს სანახავად, ძუძუ უწოვებია და წლამდის ისე უკვებია, რომ ტანმრთელი გამოსულა. შემდეგ ქალს ეს გამოცანა უთქვამს).
17. შვიდეკვილად ჩაწობილი, ჯიღოსანი, ის ვინ, და?
მის შეტ სხვა ბუერს არს ვეკებ, მებატონედ ის მიხდაო.
(დიდ-მარხვა და 7 საიდუმლონი).
18. ცერცვი, ცერცვი, ცერცობანი, ზედ ასხია ქერკობანი,
არც იჭმება, არც ისმება, სსმარისად კარგობანი.
(ხელი თითებ-ფრჩხილებითა).
19. ცას კოკროჭინა ჰკიდა სივრძითა და სიკანითა,
შიდ ზირთამდისინ სავსე არს, თოხლითა და თიკანითა!
(ბროწეული).
20. ციხე-კოშკის შენობას ოთხი დვას და ერთი ურბენს.
(წინდა-პაიჭის ქსოვა წინდის ჩხრებითა).
21. წუთბ-წუთბისად დადიან წუთბა ბარაქიანნი,
წუდის ზირს ჩამოსხდებიან ციხე-ქალაქიანნი.
(წეროები და შოშიები).
22. ხარი არ არის რქები აქვს, ვირი არ არის—გურტანი,
ხორცი აქვს და ძვალი არა, ბროლისავითა აქვს ტანი.
(ლოკონი).

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(სამესხეთოხა და გურიაში შეკრებილი მესხი კ. გვარამაძის მიერ).

1. *ასახსნელსა მოგახსენებ, ახსნი შენი ბედა, თუ არა და წაკტი.
(წაკტი).
2. ასახსნელსა მოგახსენებ ანი, ბანი, ინითაო. (ბია).
3. აკარკნიდი, დაკარკნიდი, დაჰკარ კერიაზე კბილი. (ჯაბვი).

4. ანდრაბუნი, ბანდრაბუნი, სულ დაჭუჭუიარის ნაყანუვი. (ურემი).
5. *აქეთ-იქით გვერდულაი, შვამი ამოწვევრტულაი.
(ფილი, როდინი).
6. ახაია, მახაია, თავს ახურამს კახაია,
ვინც ამას ვერ გამოიცირობს, საბრალო და გლახაია. (ხვიმრა).
7. გარეთ ხორცი, შივნიტ ტუაფი. (კუბი).
8. დაიამ დაიას შუეუთაფა, უშმაშური მათხუეო,
შიშტი-ბუქას შიგ შევაგაღებ, სადრაქუნას ვათხუებო!
(ოჯვადო)
9. დათვი ვუეს და ვვერი უჩანს. (პარიკა, დოქი).
10. დელა მუაგდა ხელი მრუდი, და კი მუაგდა მზისა დარი,
ძმა ისეთი მოჭიდარი, დამცემელი ჯდამისა.
(ვაზი, ყურძენი და ღვინო).
11. დედამიწიდან მოსული, ჯოჯოხეთში მონათლული,
გახანილი, გაწმენდილი, მე ვარ სოფელიერთ მუიდეული.
(ოქროს მადანი).
12. ევი ევისა, ფუხი მდევისა, ხმა ზურაბისა. (გომბიო, ბაყაყი).
13. ერთი ჰატარა მანანა მიცოცდება, მოცოცდება, კარს უკან ამო-
კუარება. (ცოცხი).
14. ერთი ზის და არა სდგება. (დედაშიწა).
15. ერთი დადის, არა სდგება. (მდინარე).
16. *ერთი ჰატარა მანანა სახლსა და კარსა გალობდა,
შავი ჩოხანი ჩაეცვა, წვივისა კი არა ფაროდა. (შაშვი).
17. ერთს რასმეს მოგაბარებ უსულოსა, უტულოსა,
ისტე გვართ შემინახე, რწეილმა არა უკბინოსა. (ვერცხი).
18. ერთი ხეა, რა ხეა, უმიწოდ რო კეიზრდება,
ნერჩვა, ნერგვა და შენება სულ არა-რა მოუნდება. (ირმის რქა).
19. ერთი ვნახე, ფიშტო ვნახე, ფიშტო მოჭედილი ვნახე,
ვინც ამას ვერ გამოიცირობს კისერ მოტეხილი ვნახე.
(ვერცხლის ქამარი).
20. ერთი წითელი მამალი მიწიდან ამოყოფა. (ღვინო და ჭური).

21. ერთი ზატარა მანანა გავარდა ეშმაკის სხსე,
უწუოდ იჭირვენ ზწუილეებსა, ჩემი თვადითა ვნახე.
(ბორბალა, აბლაბუდა).
22. ერთი ზატარა მანანა ქვეყანას გადასწვდება და ჭურის ზირს კი ვერა.
(ფული).
23. ერთი ზატარა მანანა ცეცხლა-პირს დარსულდება.
(ჩერიე და თითისტარი).
24. *ერთი ზატარა მანანა გაუხვეტელს იქით არ დაწვება.
(ლასტი და გასაცეხი გამწყვარი ღომი).
25. ერთი ზატარა მანანა წაფა ტუეში, უვირის, უვირის, მოფა სხლ-
ში დაეცდება. (ცული, ნაჯახი).
26. ვზივარ შვამი, არ მაქვს ფასი, დამცქერია ყველა თვალში.
(ცეცხლი კერაზე).
27. ვინ ხარ შენ?—მე ვარ, მე: მე გარჩენ შენ, მე გაჭმევე შენ.
(დედამიწა).
28. ვიუავით ჩვენ, როგორც თქვენ, თქვენც იქნებით, როგორც ჩვენ.
(მიცვალბულები).
29. თათლზე ტკბილი, შაქარზედ ძვირი, არც ვაჭარი მოიტანს,
არც ბაზარში გაიყიდება. (ძილი).
30. ის ვინ იყო, რომ სამ დღეს და დამეს თვეზის მუცელში ბძან-
დებოდა? (ელია).
31. ის რა იქნება, რომ ყველას უნდოდეს? (ძილი).
32. კრიჭი კრიჭინასა, შვედარი ცოცხალს იჭირამსა. (თოფის ტყვია).
33. მთაში დათვი ღლოფინობდა, აღურჩანა უბას უმცნედა.
(წისქვილი).
34. მამაკაცი ვიუავი, დედაკაცად მაქციეს,
ჩემი რომ არ მეუოდა, სხვისი გამოზადიეს. (ყვერული).
35. მინამ დედამ შეილი იშოვა, შეილი ფეხმძიმეთ იყო. (ყვერცხი).
36. ოთხი ძმანი ერთ ბანში ჩამდურიან. (ძროხის ძუძუები).
37. სვამს და არ ფხამს. (კურბელი).
38. სუსტი, სუბუქი ფრინველი წმიდათ იღებს ყელსა,
საუკუნო სხლს იკეთებს, უკან ჯდება ბნელსა. (ყავის პარკი).

38. ტირის, ტირის ქალაქი, არა მოქალაქენი,
ღმერთო, მიეცე ზარბაზი, დაჩუქე ქალაქი. (ცხვარი).
40. უცხოთ გაზდილი უმაწვილი შორს წაიყვანა ბიძამა,
ხათესავი გამოუჩნდა, ვერ იცნა მისმა ბიძამა. (წაბლი).
41. უსუღასა, უტუღასა სუმი სარტუელი აკრია. (ცოცხი).
42. უშიგნო შიგანს მიათრეს.
43. უშობელმან და ირემმა შვილი შობა მთასა ზედა,
ერთი მკვდარი, ცხრა საფლავი, რაა შეფევ, შენსა მზესა!
44. ქეზემენდი ფეხზე დგანა, ღოშფეერი მიწას გარდის,
ფეულაზე დიდი ხმა მას აქვს, როდესაც ათასს ვერსზე გადის.
(პურ-ღვინო. კამა, მასპინძლობა).
45. ფეულაზე დიდი ხმა რასა აქვს, როდესაც ათასს ვერსზე გადის?
(პურ-ღვინო, კამა-მასპინძლობა).
46. შვიდ კეცილად ჩაწობილი ჯიღოსანი, ის ვინ, დაო?
ვინც რომ ამს გამოიცნობს, შებატონედ ის მინდაო¹).
(სიმინდის ტარო).
47. ჩემო ძმაო, ოხობია, რაცღა მომიბარებია,
არც შესვა და არც შეჭამო, ისეთ მომიბარებია! (ბია).
48. ცა და მიწა სსვენთ ზწყადად, ვარსკვლავი ჩანს შუა სვეტად,
თათრის, ქართლის ხელის მომწუედ რომარ დარჩეს, გახდის ბნელად.
(სანთელი).
49. წყალში როჭო ზის, როჭივობს, მაღლა იბუღებს კრია,
კაკაბსა წიგნი მიჭქონდა, ხთისაგან მონაწერია.
(ნათლია, მირონი).
50. წყალში იძახის, იძახის, მაღლა იბუღებს კრია,
კაკაბსა წიგნი მიჭქონდა ხთისაგან მონაწერია,
რომელიც ამს გამოიცნობს, იგი სოლომონ ბრძენია. (ნათლია).
51. წითელი ცხენი მორბოდა ძუა-ფაფარ აღის ფერი,
აღის ფერი უბრუნენებს, ციხე მაქვს და შიგა ვსტეპი. (ციყვი).
52. წადი ბაზარში, ხორცი იუიდე, არც მამლის იყოს, არცა დედლისა.
(სოკო).

¹) შეადარე ზემო მოყვანილ გამოცანას, გვ. 302, № 17.

განყოფილება მესამე

«საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების» კრებათა ოქმები ღწვევრთა სიები.

«საქართველოს» საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების» კრებათა ოქმები.

№ 19.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, მაისის 18-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8^{1/2} საათზე, თავდაზნაურთა სადგურტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2), ექვთიმე სვიმონის ძის თაყაი შვილის თავმჯდომარეობით, დაესრულნა საზოგადოების წევრები: დავ. კარიჭაშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ტარასი გრიგ. რცხილაძე, ზაქ. ბილანიშვილი, ივ. მიხ. დაკიშვილი, გენერალი გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, ექიმი სპირიდონ იოსების ძე ვაწაძე, მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, იუსტიინე ირაკლის ძე აბულაძე და სერგი რ. გორგაძე.

I. პირველათ. თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ფუნქციონირებით პატივი სცა საზოგადოების წევრის ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის პეტრეს ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა ბ-ნის მიხეილ ქაიხოსროს ძის ყიფიანის რეფერატი ქართული ენის გრამატიკიდან: „ნაცვალსახლოვანი ელემენტები ქართულს ენაში და მათი მნიშვნელობა სიტყვებისა და ბრუნვების წარმოებაში“. ამგვარ ელემენტებად რეფერენტს მიაჩნია შემდეგი ასოები: ა, ი, ე, მ, ვ, გ, უ, ქ; რეფერტი ცდილობდა მაგალითებით დაემტკიცებია ის აზრი, რომ ამ ელემენტების სხვა და სხვა გვარის კომბინაციით შეერთება ამა თუ იმ სიტყვის ძირთან ჰქმნის სხვა და სხვა მნიშვნელობის ახალ სიტყვებსა და შათს მრავალგვარ ფორმებს; ნაცვალსახლოვანი ელემენტები სხვა-ნაირად მოიპოვება, მაგრამ იქ მათ. უმეტეს ნაწილათ, თავისი აზრი და მნიშვნელობა დაუკარგავთ, თითქოს გაყინულან. ქართულს ენაში კი—ამ ელემენტებს კიდევ შერჩე-

ნიათ პირვანდელი აზრი და მნიშვნელობა. ამასთანავე რეფერენტმა და-
მსწრე საზოგადოებას წარმოუდგინა მის მიერ შედგენილი სქემა ქართუ-
ლი კანკელდობისა, რომელიც არსებითად არ განსხვავდებოდა დღემდე
ცნობილ სქემათაგან.

რეფერატმა მცირედენი კამათი გამოიწვია. მოკამათეთა ბევრს შე-
ნიშვნას რეფერენტის დაეთანხმა, რის შემდეგაც თავმჯდომარემ მადლო-
ბა მოახსენა რეფერენტს საყურადღებო რეფერატისათვის.

III. დასასრულ, კრებას უნდა მოესმინა ბ-ნის იუსტინე აბულაძის
მოხსენება ნაცვალსახელოვანი ელემენტების მნიშვნელობისა და „ბარა-
მიანის“ შესახებ, მაგრამ, რადგან უკვე გვიან იყო, ამ მოხსენებათა კი-
თხვა შემდეგს საზოგადო კრებამდე გადაიდო; მათ ნაცვალად თავმჯდომარ-
ემ ექვეთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილმა კრებას გააცნო
ტექსტი და შინაარსი ახლად აღმოჩენილის, ფრიად საინტერესო, საბუ-
თისა ჩვენი ქალაქების მართვა-გამგეობის შესახებ ძველად. ამ საბუთს
სახელად ეწოდება „ქალაქის მოურავის სარგო და უფლებანი“. იგი უკვე
იბეჭდება ჩვენი საზოგადოების გამოცემაში „საქართველოს სიძველენი“
ტ. II, გვ. 496—522. როგორც საბუთიდან სჩანს, ქალაქის მოხელეთა
შოთის პირველი ალაგი სკერია არა მელიქს (როგორც დღემდე ეგო-
ნათ), არამედ ქალაქის მოურავს.

თავმჯდომარის მოხსენებას საზოგადოების წევრმა ექიმმა სპი-
რიდონ იოსების ძემ ვაჭაძემ დასძინა, რომ მას მოეპოე-
ბა ფრიად საინტერესო საბუთები შესახებ ქალაქის ნაცვლისა
მე-XIX საუკუნის დამდეგს, და დაჰპირდა საზოგადოებას ამ საბუთების
გადმოცემას (ეს საბუთები გამგეობამ უკვე მიიღო).

სალამოს 11 საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა.

№ 20.

ბარა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება

1909 წელს, მარტის 18-ს.

კრება გაიხსნა ღამის 11 საათზე, ჩვეულებრივი კრების დახურვის
შემდეგ; დაესწრნ იგივე წევრები, რომელნიც წინა ოქმში არიან. მო-
ხსენებული.

ორი წევრის წინადადებით არა-ჩვეულებრივმა კრებამ აირჩია სამი ახალი წევრი: 1) თავადი შალვა რევაზის ძე ერისთავი, 2) კნინა ელისაბედ დავითის ასული ერისთავისა და 3) ილია სვიმონის ძე ღვანცელაძე.

ლამის 11 საათსა და 10 წუთზე თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

№ 21.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, აპრილის 3-ს.

კრება გაიხსნა დილის 12 საათზე, თავად-ახანურთა საკრებულო დარბაზში ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

დაესწრნ საზოგადოების წევრები: ალ. ს. ხახანაშვილი, დეკ. ა. თოთიბაძე, ი. ირ. აბულაძე, ნიკ. დ. მახათაძე, ალ. მირიანაშვილი, იპ. ვართაგავა, იპ. ტატიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ი. მონადირიშვილი, გრ. ვოლსკი და ს. გორგაძე; აგრეთვე გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრების აქტი და დამტკიცა იგი.

II. შემდეგ ალექსანდრე სოლომონის ძემ ხახანაშვილმა კრებას წაუკითხა მცირე მოხსენება: „სახელების შემოკლება უძველეს ქართულ ხელნაწერებში“. ამ მოხსენებას საფუძვლად დასდებია ლიუდვიგ ტრაუბეს გამოკვლევა სიტყვათა შემოკლების შესახებ.—მოხსენებას თითქმის არავითარი კამათი არ გამოუწვევია.

III. ამას შემდეგ მოხსენება წაიკითხა იუსტინე აბულაძემ შემდეგ თემაზე: „არსის-ნაცვლებრივი ელემენტების როლი ქართულ კანკელდებაში“.—კამათი არც ამ მოხსენებას გამოუწვევია.

IV. დასასრულ ე. ს. თაყაიშვილმა კრებას გააცნო საინტერესო არზა ზაალ ორბელიანისა ერეკლე მე-II-ისადმი. (იხილ. საქართ. სიძე. ტ. II, № 500).

ნაშუადღევს 1^{1/2}, საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა, რის შემდეგაც გაიხსნა არა-ჩვეულებრივი კრება.

№ 22.

არა-ჩვეულებრივი საზოგადო კამბა.

1909 წელს, აპრილის 3-ს.

კრება გაიხსნა ნაშუადღევს 1¹/₂, საათზე, ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაეწრენ იგივე წევრები, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

თავმჯდომარისა, ს. გორგაძისა და ი. ვართაგავას წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი წამდელი წევრები: 1. ბაქრაძე სპირიდონ სვიმონის ძე, 2. კალანდარიშვილი მღვდ. არისტარხო, 3. გამზარდია გიორგი მღვდელი, 4. მასწავლებელი ნიკოლოზ ლაზარეს ძე თუთბერიძე, 5. მასწავლებელი გიორგი ივანეს ძე ნატრაძე, 6. ნაფცი ვეკილი ზაქარია კოსტანტინეს ძე მაჭავარიანი, 7. ანტონ სტეფანეს ძე ხაბურჯანია, 8. გრიგოლ საჩინოს ძე ბარათაშვილი, 9. დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი, 10. ბენედიქტე მომფორია, 11. მარიამ ოტისას ასული ვარდოსანიძისა.

ნაშუადღევს 2 საათზე კრება დაიხურა.

№ 23.

წლიური საზოგადო კამბა.

1909 წელს, ივნისის 14-ს.

კრება გაიხსნა ექვთ. სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით დღისით, 12 საათზე, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქ. საკუთარი სახლი). დაესწრენ შემდეგი წამდელი წევრები: თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი, კნ. მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანისა, ალ. ივ. სარაჯიშვილი, მღვდ. პოლ. კარბელაშვილი, გრ. თ. ყიფშიძე, ალ. თ. ყიფშიძე, შიო დედაბრიშვილი, დეკ. კორნილი კეკელიძე, დ. გ. კარიჭაშვილი, დაკიშვიჩი, გერ. იმნაიშვილი, ალ. მიროანაშვილი, ლიუბოვ ეგაძისა, თავ. ივ. დ. აფხაზი, მღვდ. მიხეილ ჩიქვაძე, ტყეაძე, ივ. გ. რატიშვილი, თავ. დ. გურამიშვილი, მოსე გ. ჯანაშვილი, ანტ. ნიკ. ფურცელაძე, ტარ. რკხილაძე, მარიამ ივანეს

ასული დემურიასი, ივ. ბუქურაული, მიხ. ვახტ. მაჩაბელი, იუს. ირაკლ. აბჯლაძე და ს. რ. გორგაძე; აგრეთვე გარეშე საზოგადოებად.

I. პირველათ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა „საზოგადოების“ დამფუძნებელ წევრის თავ. დავით ზაქარიას ძის მელიქიშვილის ბსოვნას.

II. შემდეგ კრებას მოხსენდა: 1) „საზოგადოების“ მოქმედების ანგარიში 1908 წლისა, 2) იმავე წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. 3) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის და 4) სარევიზიო კომისიის აქტი, რომელნიც აქვე მოგვყავს:

1) ანგარიში „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მოქმედებისა 1908 წელს.

I. საზოგადოების გაძვეობა. 1908 წლის განმავლობაში საზოგადოების საქმეებს განაგებდა საბჭო, რომელსაც შეადგენდნენ შემდეგი წევრები: 1) თავმჯდომარე საბჭოსი და საზოგადოებისა ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, 2) მისი ამხანაგი დავით გიორგის ძე კარიკაშვილი, 3) ბაზინადარი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, 4) მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც დააპირა ეს ადგილი, როგორც პირველმა სამ კანდიდატთაგანმა, შემდეგ ილია ფერაძის გადაყენისა თბილისიდან (ბათუმში *), 5) მდივანი სერგი რომანოზის ძე გორგაძე **, 6) მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, 7) მღვდელი პოლიევქტოს კარბელაშვილი, 8) ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე და 9) იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე.—აღნიშნულ წელს საბჭოს ჰქონდა 21 მორიგი სხდომა.

*) იხ. საბჭოს ოქმი № 9 (მუხლი 5) და № 10 (მუხლი 2). იმავე წლის 5 ნოემბრიდან მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველობა გადაეცა საზოგადოების მდივანს სერგი გორგაძეს, რადგან მამა კალ. ცინცაძემ განაცხადა, რომ მას მოცალეობა არა აქვს აღნიშნული თანამდებობა ასრულოს; ამას შემდეგ მ. კალ. ცინცაძე დარჩა მხოლოდ საბჭოს წევრად (იხ. საბჭოს ოქმი № 26).

**) რომელიც საანგარიშო წლის 5 ნოემბრიდან ასრულებს, აგრეთვე, მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველობასაც (იხ. საბჭოს ოქმი № 26).

II. საზოგადოების წევრება. საანგარიშო წლის დამდეგს საზოგადოებას ჰყავდა 250 ნამდვილი წევრი; საანგარიშო წელში შეიძინა 189 ახალი ნამდვილი და 20 დამხმარე წევრი, ხოლო დაჰკარგა სამი ნამდვილი წევრი: 1) პროფესორი ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი, 2) აკადემიკოსი ივანე რამაზის ძე თარხნიშვილი და 3) მასწავლებელი გიორგი ალექსანდრეს ძე ყაზახაშვილი. ერთი ნამდვილ წევრთაგანი თავ. აკაკი როსტომის ძე წერეთელი საზოგადოებამ აირჩია საპატიო წევრად (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 18), 1909 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა: 1 საპატიო, 435 ნამდვილი და 20 დამხმარე, სულ 456 წევრი.

III. საზოგადოების აგენტები. ზოგიერთს თავის წევრთაგანს თბილისს გარეთ საზოგადოებამ მიანდო აგენტობა: ქუთაისში იოსებ იოსების ძეს ოცხელს, ბათუმში—ილია ივანეს ძეს ფერაძეს, ართვინში—ქემს ნიკ. თ. ერისთავ-შარვაშიძეს და კავკავში—თავ. იასონ მერაბის ძეს ლორთქიფანიძეს. ამ აგენტების შემწეობით „საზოგადოება“ იძენს ახალ წევრებს აღნიშნულ ქალაქებში და ჰკრებს საჭირო საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ცნობებს იმ ადგილების შესახებ.

IV. საზოგადოების კრებანი. 1908 წლის 1 იანვრიდან 1909 წლის 1 იანვრამდე საზოგადოებას ჰქონდა 13 საზოგადო კრება (იმათგან ერთი წლიური იყო). ამ კრებებზე წაიკითხეს რეფერატები და მოხსენებანი შემდეგმა პირებმა:

1. იუსტიჩე ირაკლის ძე აბულაძემ: „მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხის-ტყაოსანი“ (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 6. დაიბეჭდა ჩვენი საზოგადოების კრებულში „მკვლეი საქართველო“ ტ. I, გვ. 69).

2. ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილმა შესახებ პლემისა „ბარამ-გურიანი“ (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 8).

3. მანვე შესახებ თავისი მოგზაურობისა სოფელ ბორს (შორაპნის მაზრაში) და იქ აღმოჩენილის საარქეოლოგიო ნივთებისა (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 10; სადაც დაწერილებით აღწერილია ეს ნივთები. „მკვლეი საქართველო“ ტ. I, ოქმები).

4. მღვდელმა პოლიეპქტოს კარბელაშვილმა: „სავაქრო ნიბრი მე-17—18 საუკუნეში ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში“ (იხ. კრების ოქმი № 10).

5. პრივატ-დოცენტმა ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილმა: „ქართველ ისტორიკოსთა ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ შეხედულების განვითარება მე-VIII—XII საუკუნეთა განმავლობაში“ (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 11).

6. ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილმა შესახება მის მიერ აღმოჩენილის თხზულებისა: „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ (იხ. კრების ოქმი № 13. ეს უწყება დაიბეჭდა „ველ საქართველოში“ ტ. 1, გვ. 1 და შემდეგნი, მესამე განყოფილებისა).

7. სერგი რომანოზის ძე გორგაძემ: „ადრეკი მეფიდან მირიანამდე“, ე. ი. საქართველოს ისტორია 30 წლიდან 300 წლამდე ქრ. შემდეგ (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 15*).

8. მოსე გიორგის ძე ჯანაშვილმა ინგილოთა ყოფაცხოვრებისა და ენის შესახებ (იხ. კრების ოქმი № 17).

V. საზოგადოების ლინგვისტიური განყოფილება და მასი კრებება. წესდების თანახმად, ამავე წელს საზოგადოებამ დაიარსა ლინგვისტიური განყოფილება (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 11, „ძველი საქართველო“ ტ. I, სადაც მოყვანილია ლინგვისტიური განყოფილების მოკლე წესდება). 1908 წლის დამლევამდე ამ განყოფილებას ჰქონდა სამი კრება, რომლებზედაც მოხსენება წაიკითხეს შემდეგმა პირებმა:

1. დავით გიორგის ძე კარიჭაშვილმა (იგივე თავმჯდომარე ლინგვისტიური განყოფილებისა): გეგმა ლინგვისტიური განყოფილების მომავალი მოქმედებისა და შესახებ ქართული სალექსიკონო მასალის შეგროვებისა.

2. ვაჰან გაბინიანცმა (რუსულად): „О задачах разработки грузинского языка в связи с историей развития армянской лингвистики“.

3. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძემ: „არსის-ნაცვალური ელემენტები ქართულს ენაში“.

* უკვე დაიბეჭდა, იხ. „ძველი საქართველო“ ტ. II.

VI. საზოგადოების წიგნთ-საცავ-მუზეუმი. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოების მუზეუმი და ბიბლიოთეკა თანდათან განიზარდა სხვა და სხვა პირთაგან შემოწირული წიგნებითა და ნივთებით. 1908 წლის განმავლობაში საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმს შემოსწირეს:

ა) გენერალ-მაიორმა თავ. ვლადიმერ ათანასეს ძე მაცაშვილმა: 1) ხელნაწერი „დავითნი“ 1691 წლისა და 2) ხელნაწერივე „ქაშ-ლოცვანი“ 1738 წლისა (იხ. საბჭოს ოქმი № 11).

ბ) კენინა მარიაშვილმა ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანი სამ შემდეგი ძველი ნივთები: 1) ვერცხლით მოჭედული კეხი, 2) ოქროთ დაფერილი ხატი, 3) ვერცხლის პატარა რახტი, 4) ოქრო-მყვდით ნაკერი ქალის პირსაბური, 5) ქალის ჯილა ვერცხლისა, 6) ოქრომყვდით ნაკერი სარტყელი, 7) სამზურთი, 8) ხელოვნური ნაწნავები, 9) სამღვდლო ფილონი, სტიქარი, ქამარი, ოლარი და საბუხრები—მარგალიტით შემკულნი (იხ. საბჭოს ოქმი № 14).

გ) კნ. მარიაშვილმა დავითის ასულმა შარვაშიძისამ ბიზანტიური ვერცხლის ფულებისაგან გაკეთებული სამაჯური (იხ. საბჭოს ოქმი № 15).

დ) მოსე გიორგის ძე ჯანაშვილმა (მღვდლის დიმიტრი ჯანაშვილის საზოგადოებად, ამ უკანასკნელის მიერ ნაპოვნი კასრის საყდრის მახლობლად კობალას ხევში) სიძი ქვისაგან გამოქანდაკებული კაცის პატარა ჭეხი (კოქის ქვემოთ) საიდუმლო ნიშნებით (იხ. საბჭოს ოქმი № 16).

ე) ბ-ნის ალექსანდრე მირზაშვილის მეუღლემ (ქ-ნმა ალექსანდრა გიორგის ასულმა მირზაშვილისამ) მიხეილ საბინინის ნაქონი სხვა და სხვა ხელნაწერები და წიგნები (იხ. საბჭოს ოქმი № 19).

ვ) დამიანე პეტრეს ძე დავრიშაშვილმა: 1) ხელნაწერი „საზოგადო გეოგრაფია“ და 2) ვახტანგ VI-ის მიერ დაბეჭდილი „ეფესის ტყაოსანი“ (იხ. საბჭოს ოქმი № 22).

ზ) თავ. გიორგი დავითის ძე ერისთავმა: 1) ექვსი ბეჭედი, 2) არაბული ფული, 3) ლითონის პატარა გული, 4) საკალატოზო ზუზა (შვეული) მინანქრიანი და 5) დასაკეცი ხატის პატარა კარი ძელისა შემოწირველის კარის ეკლესიიდან (იხ. საბჭოს ოქმი № 24).

ც) ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძემ ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი“, ხუცური ხელნაწერი (იხ. საბჭოს ოქმი № 25).

თ) მოწაფემ მამაცა შვილმა „Законы царя Вахтанга“, გამოცემული 1828 წელს (იხ. საბჭოს ოქმი № 25).

ი) მიხეილ გრიგოლის ძე ლობჯანიძემ—ორი ეერცხლის ფული არაბული წარწერით (იხ. საბჭოს ოქმი № 25).

ია) ილია ივანეს ძე ფერაძემ—ორი ხელნაწერი: 1) „რეტორიკა“ ანტონ კათალიკოზისა და 2) „კარაბადინის“ ნაწილი (იხ. საბჭოს ოქმი № 25).

იბ) შტაბს-კაპიტანმა აქვესენტი ჰესარიონის ძე აბესაძემ—ხელნაწერი „ამირან-დარჯვანიანი“ (იხ. საბჭოს ოქმი № 28).

იგ) თავ. ივანე დიმიტრის ძე აფხაზმა—სპილენძის თასი, მოკალუელი, წალკაში ნაპოვნი (სოფ. ტაშბაშში, სომხების სოფელში, ბარმაქსიზის საზოგადოებაში, სახლის საძირკვლის გათხრის დროს), წარწერით: „ნადირას შვილი ელიზბარასია“.

იდ) მღღეღმა კალისტრატე ცინცაძემ—ხელნაწერი (მხედრული) „ვახტანგ მეფის კანონები“.

იე) ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძემ: 1) ერთი ხელნაწერი „საბა ორბელიანის ლექსიკონი“ და 2) სხვა და სხვა სახელწოდების რამოდენიმე საისტორიო წიგნი ფრანგულს ენაზე.

იზ) ექვთიმე სეიმონის ძე თაყაიშვილმა ორი ხელნაწერი: 1) ვახტანგის კანონები (ყდით) და 2) ვახტანგის სამართალი (ჟუდო).

ამას გარდა საზოგადოებამ რამოდენიმე ხელნაწერი და საარქეოლოგიკონი ფულითაც შეიძინა. 1909 წ. იანვრის 1-ელისათვის საზოგადოების წიგნთ-საცავში ითვლებოდა 44 ხელნაწერი და 95 ნაბეჭდი წიგნი*).

*) ამას გარდა საზოგადოებას აქვს კიდევ 1) ნიკ. ხიზანაშვილის თხზულების „ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი“-ს 56 ცალი; და 2) „თიმსარიანი“-ს 450 ცალი (ჟკანასკნელი ამ ვამად ინახება წ.კითხ. საზოგადოების საწყობში).

VII. საწიაგადოების გამოაცემისა. საანგარიშო წლის 27 თებერვლიდან საბჭო შეუდგა კრებულის გამოცემას სახელწოდებით „ძვეელი საქართველო“ (იხ. საბჭოს ოქმი № 12), რომლის პირველი ტომის უდიდესი ნაწილი დღეს უკვე დაბეჭდილია და მცირე ხანში გამოვა; ამასთანავე სრულიად დაამზადა „პალეოგრაფიული ალბომი“ (იხ. საბჭოს ოქმები №№ 12, 20 და სხვ.) და მალე დათავეებს სიგელ-გუჯართა კრებულის ბეჭდვას სახელწოდებით „საქართველოს სიძველენი“ ტ. II.

VIII. საარქეოლოგიო მოგზაურობანი. დასასრულ, რამდენათაც ნივთიერი საშუალება ნებას აძლევდა, ჩვენი საზოგადოების საბჭო იღებდა მონაწილეობას სხვადასხვაგვარს საარქეოლოგიო მოგზაურობაში და ერთი საკუთარი მოგზაურობაც მოახდინა სოფელ ატენს, გორის მაზრაში (იხ. საბჭოს ოქმი № 24, მუხლი 5). მოგზაურობაში მონაწილეობა მიიღო საზოგადოების თავმჯდომარემ ე. ს. ცაყაიშვილმა და საზოგადოების წევრმა არისტ. ვ. ქუთათელაძემ. ატენში მოგზაურობის წევრებმა განიხილეს ადგილობრივი ნაშთები და შეიძინეს რამოდენიმე სიგელ-გუჯარი და ხელნაწერი.

2) „საქართველოს ხანსტორიო და საეკნოგრაფიო საზოგადოების“ 1908 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

I. კ ა ს ა.

	მან.	კ.
1 იანვარს 1908 წ. იყო .	17	38
წლის განმავლობაში შემოვიდა .	3634	89
სულ .	3652	27
„ „ გავიდა .	3641	42
1 იანვარს 1909 წ. დარჩა .	10	85

II. სახელდასხვო ანგარიში.

1 იანვრის 1908 წ. იყო სამეურნეო ბანკში .	225	.
წლის განმავლობაში მიემატა .	1805	.
ზედ შეეკეცა 1908 წ. სარგებელი (4 ^{0/0}) .	26	94
სულ	2056	94

წლის განმავლობაში გამოტანილია	მაწ. კ.	1455	„
1 იანვარს 1909 წ. დარჩა სამეურნეო ბანკში		601	94

III. $\frac{\%}{\%}$ ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი.

1908 წლის განმავლობაში ნაყილია 10 ას-მანეთიანი 5% -ანი გირავენობის ფურცელი ტფილისის სათა- ვად-აზნაურო ბანკისა		683	80
1 იანვარს 1909 წ. დარჩა		683	80

IV. $\frac{\%}{\%}$ ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი ს ა.

1908 წ. მიეცა გირავენობის ფურცლების კუპონებისა		8	22
ამავე წელს მიემატა		29	78
სულ		38	„
შიღებულა წლის განმავლობაში		14	25
1 იანვარს 1909 წ. დარჩა მისაღები		23	75

V. წიგნების ბეჭდვა.

დაიხარჯა წიგნების დასაბეჭდად		811	44
მისაღებია წიგნები		811	44

VI. ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი.

1908 წ. განმავლობაში შეძენილ იქნა ინვენტარი		44	50
გამორიცხულ იქნა 10% ღირებულებისა		4	45
1 იანვარს 1909 წ. დარჩა		40	05

VII. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი.

თანხების სარგებელი		56	72
საწევრო გადასახადი წლიური		467	14
შემოწირულობა		1241	50
შემთხვევითი შემოსავალი		7	„
სულ		1772	36

VIII. გ ა ს ა ვ ა ლ ი.

	მან.	კ.
საკანცელარიო ხარჯი.	126	68
საფოსტო " "	20	23
სამგზავრო " "	29	"
მოსამსახურეების ჯამაგირი	60	"
% ქალაქდების შენახვა	4	35
ხელნაწერების და წიგნების შეძენა	10	"
მოულოდნელი ხარჯი (ილ. ჭავჭავაძის ძეგლის და სხვ.).	32	45
სულ	292	91
შემოსავალს გადარჩა	1479	45
სულ	1772	36

IX. ერთდროული საწევრო გადასახადი.

1 იანვარს 1908 წ. იყო	50	"
წლის განმავლობაში მიემატა	450	"
1 იანვარს 1909 წ. არის	500	"

X. სახარჯო თანხა.

1 იანვარს 1908 წ. იყო	192	38
წლის განმავლობაში მიემატა.	1479	45
1 იანვარს 1909 წ. დარჩა	1671	83

XI. ბ ა ლ ა ნ ს ი.

აქტივი.	მან.		პასივი.	მან.	
	კ.	კ.		კ.	კ.
კასა	10	85	ერთდროული საწევრო		
სახელდახელო ანგარიში	601	94	გადასახადი	500	"
% ქალაქდები	683	80	სახარჯო თანხა.	1671	83
%/ი ქალაქდებისა	23	75			
ინვენტარი	40	05			
დაბეჭდილი წიგნები	811	44			
სულ	2171	83	სულ	2171	83

3) სავარაუდო ანგარიში 1909 წლის შემოსავლისა და გასავლისა.

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი.		გ ა ს ა ვ ა ლ ი.	
	მან. კ.		მან. კ.
1908 წლის დარჩენილი	521 79	საკანცელარიო ხარჯი	140 "
თანხების სარგებელი	70 "	საფოსტო	100 "
საწვერო გადასახადი	800 "	მოსამსახურეების ჯა-	
შემოწირულებანი	200 "	მაგირი	60 "
წიგნების გაყიდვა	100 "	„კრებულის“ გამოცემა	1000 "
		სამგზაურო ხარჯი	100 "
		ნიეთებისა და ხელნა-	
		წერების შეძენა	260 "
		მოულოდნელი ხარჯი.	31 79
სულ.	1691 79	სულ.	1691 79

სავარაუდო ანგარიშის განმარტება.

I. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი.

ა.—1909 წლის 1 იანვრისთვის ნაღდი ფული იყო: კასაში 10 მ. 85 კ. და სხელდახელო ანგირიზზე 601 მ. 94 კ., სულ 612 მ 79 კ. ამ ფულიდან უნდა გამოირიცხოს 91 მან. ხელუხლებელი, % ქალაქების შესაძენად გადადებული. დარჩა 521 მ. 79 კ. ეს თანხა შეტანილია სავარაუდო ანგარიშში როგორც 1908 წ. დანარჩენი.

ბ.—ჩვენა გვაქვს ასი თუმნის ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის 5⁰/₁₀-იანი გირაენობის ფურცლები, რომლის სარგებელი წრეულს უდრის 47 მან. 50 კ. (სახელმწიფო გადასახადის გამოკლებით). სამეურნეო ბანკში სახელდახელო ანგარიშით მიბარებულის თანხებისაგან 1908 წ. შემოვიდა 26 მ. 94 კ. სარგებელი (4⁰/₁₀); წრეულს რომ ეს სარგებელი 22 მ. 50 კ. არ გადასცილდეს, სულ თანხების სარგებელს უნდა მოველოდეთ 70 მანეთამდე.

გ.—შარშან საწვერო გადასახადი შემოვიდა: ერთ-დროული (ხუთ-თუმნიანი)—450 მან. და წლიური 467 მ., სულ 917 მ. ერთ-დროული

საწევრო გადასახადი ანგარიშში მისაღები არ არის, რადგან ამ ფულს ჩვენ $\frac{1}{2}$ ქალაქობად, ე. ი. ხელუხლებელ თანხად ვაქცევთ. წლიური გადასახადი კი სახარჯო თანხად იხმარება. შარშან წლიური საწევრო გადასახადი 467 მ. 151 წევრმა შემოიტანა; წრეულს მოსალოდნელია არა ნაკლებ 800 მანეთისა, იმიტომ რომ წევრების რიცხვმა იმატა, 456 მიაწია, და, მაშასადამე, საწევრო გადასახადიც მეტი უნდა შემოვიდეს; ამას გარდა იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოების წევრები წრეულს უფრო ბეჯითად შემოიტანენ თავიანთ გადასახადს, რადგან ჩვენი გამოცემული „კრებული“ და „საქართველოს სიძველენი“ მხოლოდ იმ წევრებს დაეთმობათ უფასოდ, ვინც ჯეროვანს საწევრო გადასახადს შემოიტანს.

დ.—1907 წ. ჩვენს საზოგადოებას შემოსწირეს 230 მან. 26 კაპ., 1908 წ.—1241 მ. 50 კ. ამ ფულიდან თავად-აზნაურობის შემოწირულია 1000 მ. წრეულსაც იმედი გვაქვს, თავად-აზნაურობა ხელს გაგვიმართავს, მაგრამ რადგან თავად-აზნაურობას თავისი შემოწირულობა საყოველ-წლოდ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს, ამიტომ ეს შემოწირულობა სავარაუდო ანგარიშში არ შემოგვაქვს და ვტოვებთ მხოლოდ იმ რიცხვს, რომელიც ამ ორის წლის წინად იყო—200 მანეთს.

ე.—ამ ცოტას ხანში გამოიცემა ჩვენი დაბეჭდილი ორი წიგნი: „ძველი საქართველო“—საისტორიო და საეთნოგრაფიო კრებული და მეორე ტომი „საქართველოს სიძველენისა“—სიგელ-გუჯრების კრებული. ეს წიგნები, ზემორეც მოგვიხსენიებია, უფასოდ დაურიგდება ჩვენს წევრებს, რომელთაც შემოტანილი ექნებათ 1908 და 1909 წ. საწევრო გადასახადი, ამას გარდა ჩვენი წიგნები ცალკედაც გაიყიდება. დილაძე დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს ამ წიგნების გასაღებისა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ წრეულს თითო გამოცემისას ოც-ოც ცალს მაინც გავყიდით. ცალში რომ 2 მ. 50 კ. გავინაღდოთ, უნდა დაგვრჩეს წიგნების ვაჭრობის მოგება სულ 100 მანეთამდე.

II. გ ა ს ა ვ ა ლ ი.

ა.—საკანცელარიო ხარჯი შარშან იყო 136 მ. 68 კ.—ამის მიხედვით 1909 წ. სავარაუდო ანგარიშში ჩავადგეთ იგივე ხარჯი—140 მ.

ბ.—საფოსტო ხარჯი წრეულს დიდი მოგვივა, რადგანაც ჩვეულე-ბრივის კორესპონდენციის გარდა გასაგზავნი გვექნება ქალაქს გარეთ მცხოვრებ წევრებისათვის ორასიოდე ცალი ჩვენის „კრებულისა“. თითო წიგნის გაგზავნა დაზღვეულის ბანდეროლებით ორ აბაზად დაგვიჯდება. ამიტომ საფოსტო ხარჯი მოსალოდნელია 100 მანეთამდე.

გ.—მოსამსახურეების ჯამაგირი იგივეა, რაც შარშან იყო—60 მ. წლიურად, და ეს ხარჯი უცვლელად შევიტანეთ საეარაულო ანგარიშში.

დ.—„კრებულის“ და სხვა გამოცემების დასაბუქდად წრეულს, შარშანდელსავით, დაგვიტრდება არა ნაკლებ 1000 მ.—დასაბუქდი ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა უღვეელი გვაქვს და მხოლოდ ჩვენი ხელმოკლეობა გვაძულებს ვიკმაროთ ეგოდენი მცირე ხარჯი.

ე.—1908 წლის განმავლობაში, საარქეოლოგიო საგნებისა და ხელნაწერების საძებრად და შესაძენად, რამდენჯერმე გავგზავნეთ საბჭოს წევრები და ამისათვის დაკვეხარჯა 29 მან. წრეულს ამ საქმეს უფრო გულსმოდგინებით უნდა მიეცოდ ხელი და ვაპირებთ უფრო ხშირად გავმგზავროთ ქალაქს გარეთ, ამიტომაც შევიტანეთ საეარაულო ანგარიშში სამგზავრო ხარჯი 100 მ.

ვ.—ჩვენს მოქმედების ანგარიშში მოვახსენეთ რამდენი წიგნი, სიგელ-გუჯარი და ძვირფასი საარქეოლოგიო ნივთი შევიძინეთ ჩვენ წარსულს წელს. დიდი უმეტესობა ამ საგნებისა ფას-გაუღებლად გვერგო. ეს სიუხვე შემოწირულებისა დიადამც ნიშანია იმისი, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საზოგადოების ნდობა და თანაგრძნობა. მაგრამ ჩვენის წიგნთსაცავისა და მუზეუმის წარშატებას მართო სხვის მადლის ამარად ვერ დავაგდებთ და, თუ დროზე ხარჯი არ გავიღეთ, მრავალი ძვირფასი ნივთი და წიგნი სამუდამოდ წაგვივა ხელიდან, ამისათვის საჭიროა გადაიდოს რაოდენიმე თანხა და ჩვენც ჯერ-ჯერობით შეძლებისდა გვარად შევიტანეთ საეარაულო ანგარიშში 260 მ.

ზ.—მოულოდნელი ხარჯი ამ წლისათვის თითქმის იმდენივეა ნაეარაუდევი რაც შარშან იყო—31 მ. 79 კ.

საისტორიო და საეთნოგრაფიო მასალების ბუქტვა, ბიბლიოთეკის და მუზეუმის შეძენა არის, ყოვლის პირველად, საგანი, რომლისათვისაც არ უნდა ვზოგავდეთ ჩვენს შრომას და ფულს. ამიტომ საბჭო ითხოვს საზოგადო კრების ნებართვას, მოახმაროს ამ საგანს მეტი ხარჯი

ვინმეც სავარაუდოდ ანგარიშშია შეტანილი, თუ ვინცობაა ნაგარაუდფე-ზე მეტი შემოსავალი შემოგვივიდა.

4) სარევიზიო კომისიის აქტი.

1909 წელს აპრილის 14-სა და ივნისის 12-სა. ჩვენ, „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ სარევიზიო კომისიის წევრებმა: გრიგოლ თვედორეს ძემ ყიფშიძემ, თავ. ივანე დიმიტრის ძემ აფხაზმა და თავ. კოსტანტინე ზაქარიას ძემ მაცაშვილმა, „საზოგადოების“ საბჭოს მოწვევით, განვიხილეთ:

- 1) „საზოგადოების“ 1908 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში;
- 2) შემოსავალ-გასავლის წიგნები, საბუთები და თანხები;
- 3) 1909 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა;
- 4) „საზოგადოების“ მოქმედების ანგარიში 1908 წლის განმავლობაში;
- 5) „საზოგადოების“ წიგნთ-საცაყის ორი კატალოგი, თვით ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები და საარქეოლოგიო ნივთები (აქა-იქ გამორჩეით), რომელნიც „საზოგადოებას“ 1909 წლის 1-ლ იანვრამდე შეუძენია, — და ვპოვეთ:

- 1) საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოები;
- 2) თანხები სრულათ დაცულნი;
- 3) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა სისწორით შედგენილი;
- 4) აგრეთვე წიგნთ-საცაყის ხელნაწერები და ნაბეჭდი წიგნები წესიერათ აღნუსხულნი (ორ კატალოგში) და სრულიად დაცულნი;
- 5) 1908 წლის განმავლობაში შექმნილი საარქეოლოგიო ნივთებიც სისრულით დაცულნი და საბჭოს საბუთებში (ანგარიშში) ჩაწერილნი, მხოლოდ უკატალოგოდ.

სარევიზიო კომისიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „საზოგადოებას“ ამ ვამად არ მოეპოება შესაფერი ბინა, რის გამოც ზოგიერთი საარქეოლოგიო ნივთები და წიგნებიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცაყ-მუზეუმს აქვს მიბარებული შესანახად, და თვით ჩვენი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმის შკაფიც იმდენათ შეუფერებელია საარქეოლოგიო ნივთებისათვის, რომ უკანასკნელთა წესიერათ:

დაწყო-შენახვა მასში მოუხერხებელია; ამ ნივთებისათვის ჯერ-ჯერობით არც კატალოგია შედგენილი. კომისიის აზრით საჭიროა: აღნიშნული კატალოგის შედგენა დაჩქარდეს, და „საზოგადოებამ“ მუზეუმ-ბიბლიოთეკის ბინისთვისაც იზრუნოს.

კრებამ უკმათოდ დაამტკიცა ორივე ანგარიში. ხოლო საგარეულო აღრიცხვის განხილვის დროს წევრთაგან გამოითქვა სხვადასხვა სურვილი და შენიშვნა.

თავ. ივანე დიმ. აფხაზი: სასურველია იმ 1000 მანეთიდან, რომელიც თავდაზნაურობამ წელს შემოსწირა ჩვენს საზოგადოებას, მესამედი მაინც გადაიდოს სარგებლიანი ქალაქების შესაძენად, ე. ი. ძირითად თანხად იქცეს.

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი: წესდების § 21-ის ძალით ყოველგვარი შემოსავლის 5% მაინც ძირითად თანხად იქცევა; ამაზე მეტის გადადება კი წელს ჩვენი საზოგადოებისათვის მოუხერხებელია, რადგან, რაც ფული მოგვეპოება, ხარჯებსაც გაჭირვებით. თუ გაუძღვება. აღნიშნულ 5%-ის საბჭო წელსაც ხელუხლებელ თანხად აქცევს.

კრებამ მიიღო თავმჯდომარის განმარტება.

თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი: დიდი მადლობის ღირსია საბჭო, რომ ისტორიისათვის ძვირფას მასალას ბეჭდავს ქართულად. მაგრამ, ვგონებ, ჩვენი საზოგადოების მიზანს მარტო ქართულად მასალების ბეჭდვა არ უნდა შეადგენდეს; ამასთანავე საჭირო იქნება ეს მასალები რუსულსა და რომელსავე ევროპულ ენაზედაც იბეჭდებოდეს. ამიტომ არ იქნება ურიგო, რომ ყოველგვარ შემოსავლის განსახილველი პროცენტი აქიდანვე გადაიდოს ამ თარგმანების საბეჭდოვი თანხის შესადგენად.

ამ საკითხის გამო შემდეგ ბევრმა ილაპარაკა. ორატორთა უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ თუმცა სასურველი და საჭიროცაა, ჩვენს საისტორიო საბუთებსა და ნარკვევებს უცხოელებიც ეცნობოდენ, მაგრამ, რადგან ამ ყაზად ჩვენს საზოგადოებას საამისოდ არც ფული აქვს და ადგილობრივ არც ძალები მოეპოება, უმჯობესია ის პატარა თანხა, რაც ამ ყაზად ხელთა გვაქვს, ასე ფართო მიზნებისათვის არ დაივლიჯოს, თორემ იმის გაკეთებასაც ვეღარ მოვახერხებთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია.

ანტონ ნიკოლ. ფურცელაძე: წიერებს უკვე დაურიგდა „საზოგადოების“ გამოცემა: „საქართველოს სიძველენი“ ტ. II. ამ წიგნში, ჩემის აზრით, ბევრი ისეთი მცირე მნიშვნელოვანი ან სრულიად უმნიშვნელო საბუთებია დაბეჭდილი, რომ არ იქნებოდა ურიგო გამომცემელ რედაქციას აღნიშნული ტომის ერთი შესამდე მიანც ჯერ-ჯერობით დაუბეჭდავი დაეტოვებია და მხოლოდ უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანი დოკუმენტები დაებეჭდა. საზოგადოთ საქირთა ასეთი დოკუმენტები არჩევით იბეჭდებოდეს.

თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა და დაე. კარიჭაშვილმა კრებას განუმარტეს, რომ აღნიშნულ ტომში დაბეჭდილ დოკუმენტებს ყველას აქვს შესაფერი მნიშვნელობა და ფასი, როგორც ჩვენი ისტორიისა, ისე ქრონოლოგიური თარიღებისა, ისტორიული გეოგრაფიისა და ენის ევოლიუციის გამოსარკვევად. არ შეიძლება ითქვას: ამა და ამ დოკუმენტს აქვს მნიშვნელობა და მეორეს კი არაო. სხვადასხვა დარგის მკვლევარი სხვადასხვა მხრით გამოიყენებს ამა თუ იმ დოკუმენტს. ამიტომ საქირთა, ყოველი დოკუმენტი იბეჭდებოდეს, თუ მთლათ არა, შემოკლებით მიანც. ჩვენი საზოგადოებაც სწორეთ ასე იქცევა.

კრებამ მიიღო ეს განმარტება. მაგრამ გამოთქვა სურვილი, რომ საბჭო არ დაკმაყოფილდეს მარტო მასალების ბეჭდვას, არამედ რეფერატ-გამოკვლევათა ბეჭდვასაც შესაფერი ყურადღება მიაპყროსო.

ამას გარდა, დაე. კარიჭაშვილის წინადადებით, კრებამ ნება დართო საბჭოს საეარაუდო აღრიცხვის მჯნლებში გარემოებისდა მიხედვით მოახდინოს ცვლილება, სახელდობრ, თუ საქირთება მოითხოვს, საარქეოლოგიო ნიეთების შეძნაზე, საარქეოლოგიო მოგზაურობაზე და გამოცემებზე იმაზე მეტი დახარჯოს, რაც აღრიცხვაშია ნაჩენები, მხოლოდ თანხის ხელუხლებლად.

თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი: შეიძლება ამ წლის განმავლობაში შემთხვევა მოგვეცეს „საზოგადოების“ სახელზე უძრავი ქონება შევიძინოთ. კარგი იქნებოდა პატივცემულ კრებას ნება მიეცა საბჭოსათვის, უკეთუ უკანასკნელს ასეთი შემთხვევა მიეცეს, ამ საგანზე ძირითადი თანხიდან გასწიოს ხარჯი.

კრებამ დაადგინა: როცა ასეთი შემთხვევა მოგვეცეს, წინ-

დაწინ მოიწვიეთ არა-ჩვეულებრივი კრება, რომელიც გადასწყვეტს მაგვარ საკითხებსაო.

დანარჩენ მუხლებში კრებამ ხარჯთ-აღრიცხვა მოიწონა და დაამტკიცა.

III. დასასრულ, კრებამ მოისმინა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის კაკაბაძის რეფერატი: „მეფის კურთხევის წესი და განგება მე-XIII საუკუნეში“. რეფერატმა აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია. როგორც რეფერატიდანა და კამათიდან გამოირკვა, აღნიშნული „წესისა და განგების“ დღევანდელი რედაქცია ეკუთვნის მე-XIII საუკუნეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომც საქართველოში მეფის კურთხევის ეკლესიური წესი მე-13 საუკუნეზე აღრე არა ყოფილიყოს; მეფის კურთხევის „წესი და განგება“ წინეთაც ყოფილა, მხოლოდ მე-XIII საუკუნეზე უადრეს მისს რედაქციას ჩვენ ჯერ-ჯერობით არ ვიცნობთ. აღნიშნული „წესი და განგება“ პირველად აღმოაჩინა დეკ. კორნილი კეკელიძემ და რუსულათ დაბეჭდა წარსულ წელს*).

კრებამ ახალგაზდა რეფერენტი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ნაშუადღვის 3 საათზე თაემჯდომარემ საზოგადო კრება დახურა და არა-ჩვეულებრივი კრება გახსნა.

№ 24.

არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, ივნისის 14-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილის თაემჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

I. პირველათ, საბჭოს წინადადებით, კრებამ ერთხმით აირჩია საპატრიო წევრად პროფესორი ალექსანდრე ცავარელი, მიიღო რა მხედველობაში მისი ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობა ჩვენი წარსული-

*) იხ. მისი „Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ“. Тифлисъ. 1908 г., стр. 128—131 და 174—177.

სა, მწერლობისა და ენის შესწავლის საქმეში (ხელნაწერების შესწავლა, დოკუმენტების ბეჭდვა და მეგრული კილოკავის გამოკვლევა).

II. შემდეგ სარევიზიო კომისიის წევრმა თავ. ივანე დიმიტრის ძე აფხაზმა სთხოვა კრებას, თუ შეიძლებოდა, თანამდებობისაგან გამათავისუფლეთ, რადგან, სამსახურისა გამო, იქნება ვერ შეეძლო სარევიზიო კომისიის წევრის თანამდებობის ჯეროვანათ შესრულება.

კრებამ სთხოვა, ამ ერთ წელსაც დარჩენილიყო, სანამ ახალი არჩევნების ვადა მოაწევდეს.

III. შემდეგ ორი წევრის წინადადებით, საზოგადო კრებამ აირჩია შემდეგი ახალი წამდელი წევრები:

1. გამრეკელი ალექსანდრე სვიმონის ძე, 2. გოგიჩაიშვილი ფილიპე, 3. გორგაძე არჩილ, მღვდელი, 4. დათუნაშვილი იაკობ კირილეს ძე, 5. ზედგინიძე მიხეილ სვიმონის ძე, 6. ზედგინიძე იაკობ სვიმონის ძე, 7. კიკნაძე ნიკოლოზ პავლეს ძე, 8. მკედლიძე სვიმონ, მღვდელი, 9. პოლუმორდინოვი ივანე ტიმოთეს ძე, 10. რობაქიძე გრიგოლ, 11. საბახტარაშვილი იასონ ბეჟანის ძე, 12. სალარიძე გრიგოლ ნიკოლოზის ძე, 13. სურგულაძე პეტრე, 14. ცაგარეიშვილი გაბრიელ, დეკანოზი, 15. ჭავჭავაძე მიხეილ დავითის ძე, 16. კიკინაძე ვარლამ, კბილის ეკიმი.

IV. დასასრულ, თავ. პავლე იოსების ძის თემანიშვილის წინადადებით, კრებამ მადლობა გამოუცხადა საბჭოს მუყაითისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ნაშუადღევს 3¹/₂ საათზე კრება დაიხურა.

№ 25.

აგვულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, ივნისის 23-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8¹/₂ საათზე თავდაზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ შემდეგი წევრები: კნ. მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ობრბელიანისა, სავანელი, დეკანოზი ანტ. თოთიბაძე, გერ. იმნაიშვილი, პ. სურ-

გულაძე, მ. ჯანაშვილი, დაკიშვილი. ილ. ფერაძე, წერეთელი, ტყეშელაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ივ. რატიშვილი, აბ. იაშვილი, შაქრო ბილანიშვილი, იოს. მერკვილაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი და ს. გორგაძე; აგრეთვე გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა (წლიური) კრების ოქმები და დაამტკიცა იგინი.

II. შემდეგ კრებას სტუდენტმა კაკაბაძემ მოახსენა თავისი რეფერატი: „კრიტიკა მე-14—15 საუკუნის იმერეთის მეფეთა აწ მიღებულ გენეალოგიისა“. რეფერენტის უმთავრესი დასკვნა შემდეგი იყო: საბოლოო განყოფა საქართველოსი მოხდა არა მე-15 საუკუნეში, როგორც დღემდე ჰფიქრობდნენ, არამედ უკვე მე-13 საუკუნის 60-იან წლებში. ამასთანავე რეფერენტი შეეცადა აღენუსხა სახელები და დაახლოებით მეფობის თარიღებიც მე-13—15 საუკუნის იმერეთის მეფეებისა.

რეფერატმა ცოცხალი კამათი გამოიწვია.

დავ. კარიჭაშვილი არ ეთანხმებო რეფერენტის უმთავრეს დასკვნას და ჰგონებდა, რომ „თეორიულათ“ მონგოლების ხანაში საქართველო ერთ მთლიან სამეფოს წარმოადგენდა, თუმცა „პრაქტიკულათ“ ხანდახან ორ-მეფობაც იყო ხოლმე. რომ მთლიანობა უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს: ა) მეფეთა საერთო ტიტულატურა (მეფე იმერთა, ქართველთა, კახთა, რანთა და სხვ.) და ბ) იმერელ აგეანდაძის სიგელი, რომელსაც ამტკიცებს ქართლის მეფე კონსტანტინე.

სტუდ. კაკაბაძე: ამგვარს ტიტულატურას მეფეები მე-15 საუკუნის (ე. ი. უტყუარ განყოფის) შემდეგაც ერთნაირათ ხმარობენ (კახეთის მეფე თავის თავს უწოდებს მეფედ კახთა, ქართველთა, რანთა და სრულიად საქართველოსა, — აგრეთვე იქვეა ქართლის მეფე და იმერეთის მეფე); მაგრამ აქედან სრულიადაც არ შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, ვითომც განყოფა მე-15 საუკუნის შემდეგაც არ მომხდარიყოს; მართო ეს საბუთი არა კმარა ჩემი დასკვნის დასარღვევად. რაც შეეხება აგეანდაძეების სიგელს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართლის მეფემ კონსტანტინემ დროებით (სამის წლით) დაიპყრო იმერეთის სამეფო და შეეძლო სწორეთ ამ დროს დამტკიცებია აგეანდაძეების სიგელი. — ამას გარდა, როგორც საბუთებიდან სჩანს, მონგოლების ხანაში იმერეთში არსებობდა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია: მან-

დატურთ-უხუცესობა და სხვანი... ნუ თუ ასეთი ორგანაზაცია ვერა ჰქმნის ცალკე სამეფოს?!

დ. კ ა რ ი ბ ა შ ე ი ლ ი ბოლოს ეთანხმება რეფერენტს: არსებითათ არც მე ვარ თქვენი დასკვნის წინააღმდეგო.

ს. გ ო რ გ ა ძ ე: თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა იმ საბუთს, რომელთაც რეფერენტი ემყარება, არ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ, რომ როგორც იურიდიულათ, ისე ფაქტიურათ აღნიშნულ ხანაში იმერეთი და ქართლ-კახეთი ცალ-ცალკე სამეფოებს წარმოადგენდნენ. შესაძლოა რომელსაშე ძლიერსა და ნიჭიერ მეფეს მცირეს ხნით ეს ორი სამეფო თავის ხელქვეშ შეეერთებინოს,—მაგრამ ეს შეერთება იმდენათ სუსტი და ხანმოკლე ყოფილა. რომ უკვე არსებული ორად განყოფა არამც თუ არსებითათ ვერ მოუხსნია, არამედ უფრო წყრილათ დაყოფისთვისაც (მ სამეფოდ და 5 სამთაფროდ) ვერ შეუშლია ხელი მე-15 საუკუნეში. ამიტომ სამართლიანათ იქცევა რეფერენტი, როცა ამერეთ-იმერეთის საბოლოოთ ორ სამეფოდ განყოფის დასაწყისს ეძებს არა მე-15 საუკუნეში, არამედ უკვე მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში.

ე. ს. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი: ახალგაზდა რეფერენტის შრომა სწორეთ ღირსეული ცდაა, მაგრამ მთლათ მის მიერ წარმოდგენილი საგნელო-გიო სიის მიღება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ეს სია მრავალ მხრივ ნაკლებოვანია; მხოლოდ მომავალში იქნებ აღმოჩნდეს ახალი საბუთები, რომლითაც შესაძლო იქნება ამ სიის შევსება და შესწორება. უეჭველია საქართველოს ორ სამეფოდ განყოფა უკვე მონგოლების ხანაში უნდა მომხდარიყო: ამას ხელს უწყობდა, ერთის მხრით, ფეოდალური წყობილება (ფეოდალების მისწრაფება განკერძოებისადმი) და, მეორე მხრით, მონგოლების პოლიტიკა, რომელნიც დაინტერესებული იყვენ განყოფით დაესუსტებინათ თავისი ქვეშევრდომი—საქართველო. საჭირო იყო რეფერენტს თავის საინტერესო რეფერატში განყოფის ეს ორი მიზეზი ვრცლათ წამოეყენებია და აღნიშნა. რეფერენტი კი მარტო ერთს მიზეზს ასახელებდა: დასავლეთის თავად-აზნაურთა დაჩაგრულობას აღმოსავლეთელთაგან.

სხდომის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ ახალგაზდა რეფერენტი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ჩვეულებრივი კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე.

№ 26.

არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, ივნისის 23-ს.

კრება დაიწყო საღამოს 11 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულინი.

ორი წევრის ილ. ფერაძისა და ალ. სარაჯიშვილის წინადადების თანახმად კრებამ აირჩია შემდეგი ახალი სამდვილი წევრები: კნ. ნინო პლატონის ასული ამირაჯიბისა (ბათუმში), ტროფიმე გიორგის ძე ინასარიძე (იქვე), ბაგრატ ყურული (იქვე), აფრასიონ კოსტანტინეს ძე ჯაფარიძე (თფილისში), თავ. ივანე რამაზის ძე მაყაშვილი (თფილისში), იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილი (ბაქოში), ალექსანდრე ლონგინის ძე ბერიძე (კავკავში), ნესტორ ანტონის ძე ფურცელაძე (ქუთაისში), რაჟდენ იოსების ძე კანდელაკი (იქვე), გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე (ზესტაფონში), თომა ზაქარიას ძე ნასიძე (თფილისში), იროდიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი (აქვე), და იაკობ პეტრეს ძე ისარლიშვილი (აქვე).

ამათგან ბ. ნი ტროფიმე გიორგის ძე ინასარიძე, საბჭოს წინადადებით, კრებამ დანიშნა ბათუმელ ქართველთა შორის წევრ-აგენტად, ილია ფერაძის ნაცვლათ, რომელმაც ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა.

ღამის 11¹/₂, საათზე კრება დაიხურა.

№ 27.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, ენქენისთვის 20-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8¹/₂ საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ წევრები: გ. ყაზბეგი, არქიმ. დოსითეოზ, დეკ. კალ. ცინცაძე, დეკ. ანტ. თოთიბაძე, ივ. რატიშვილი, მ. ჯინორიძე, დავ. კარიბაშვილი, ალ. ყიფშიძე, აბ. იაშვილი, დეკ. კორნელი კეკელიძე, იოს. მერკვილაძე, იუსტ. აბულაძე, მო-

სე ჯანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, გერ. იმნაიშვილი, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრების ოქმები და მცირეოდენის შევსებით დაამტკიცა იგინი.

II. შემდეგ მოსე გ. ჯანაშვილმა კრებას წაუკითხა მოხსენება შესახებ მის მიერ ახლათ აღმოჩენილი ნაშთის: „ცხოვრება ზარზმის ტაძრის ამშენებლის სერაპიონისა“. მომხსენებელმა მოკლეთ გააცნო დამსწრე საზოგადოებას ამ ნაშთის შინაარსი და დასასრულ აღნიშნა მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისათვის.

მომხსენების წაკითხვის შემდეგ ბ-ნმა თავმჯდომარემ მოკლეთ აღნიშნა ახლად აღმოჩენილი ძეგლის მნიშვნელობა. მისი აზრით, სწორეთ ამგვარ „მამათა ცხოვრებათაგან“ სდგებოდა ჩვენი მატყანე. ეს „ცხოვრება“ სრულიად ეთანხმება მატყანის ცნობებს იმავე დროის შესახებ. თან ახალ ძვირფას მასალასაც იძლევა. ეს ნაშთი განსაკუთრებით უუქსა ჰყენს ოპიზისა და ზარზმის შესახებ დღემდე ნაქონს ცნობებს.

III. შემდეგ კრებამ მოისმინა დეკანოზის კორნ. კეკელიძის მოხსენება: „ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა“. ეს მოხსენება გამოწვეული ყოფილა რეფერენტის მიერ სავკლესიო მუზეუმის ხელნაწერებში ახლად აღმოჩენილის ორი აგიოგრაფიული წერილით: 1) „ცხოვრება წმ. რომანოზისა“ და 2) „ნიხიმესი“. ეს ნაშთები და წმიდანები არცერთი არაა ცნობილი სააგიოგრაფიო მწერლობაში, ქართულ მწერლობაში კი შენახულა. კერძო რომანოზის ცხოვრება უუქსა ჰყენს ბიზანტიის შინაურ და საგარეო პოლიტიკას ხატათ ბრძოლის დროს; მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისთვისაც, რადგან რომანოზი თანამედროვე ყოფილა წმ. აბო თბილელისა და, როგორც ეს უკანასკნელი, არაბის ხალიფისაგან წამებულა. ამ ნაშთის ავტორი ყოფილა სტეფანე მანსური.

კრებამ ორივე რეფერატი მადლობით მოისმინა.

საღამოს 10 საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება არა-ჩვეულებრივად გამოაცხადა.

№ 28.

არა-ჩვეულმხრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, მსკენისთვის 20-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 10 საათზე იმავე წვერთა თანადსწრებით, რომელნიც წინა კრების ოქმში არიან მოხენებულინი.

ალ. სარაჯიშვილისა და იოს. მერკვილაძის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი და დამხმარე წევრები:

ა) ნამდვილი წევრები:

1. ექიმი ილია დიმიტრის ძე ბეგთაბეგიშვილი, 2. ნესტორ ლუკას ძე შავდია, 3. ილია მიხეილის ძე ხარაშვილი, 4. გალაშევსკი მიხეილ ივანეს ძე, სოხუმის ქალაქის გამგეობის მდივანი, 5. პოლკოვნიკი დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი, 6. კნეინა ანასტასია რევაზის ასული ამილახვრისა, 7. ექიმი ივანე ელიშუდის ძე თიკანაძე, 8. ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვი, 9. მღვდელი კოსტანტინე ანთაძე, 10. ვაჭარი სერგო იოსების ძე ნებიერიძე, 11. სოლომონ რევაზის ძე ჩოლაყაშვილი, 12. კნ. ანნა ალექსანდრეს ასული ამილახვრისა, 13. მირაქოვი ალექსანდრე იაკობის ძე, 15. ერისთავი რევაზ, 16. კნ. ბარბარე იაკობის ასული ერისთავისა, 17. კნ. ელისაბედ ზაალის ასული ერისთავისა, 18. მღვდ. სეით გამრეკელი, 19. კნ. ელისაბედ დავითის ასული ერისთავისა, 20. კნ. ბარბალე დავითის ასული თუმანიშვილისა, 21. თავ. ბეჟან იოსების ძე რატიშვილი, 22. ზურაბ აბდუშელიშვილი.

ბ) დამხმარეები:

23. ივანე ალექსანდრეს ძე ზედგინიძე.

საღამოს 10¹/₂ საათზე კრება დაიხურა.

№ 29.

ჩვეულმხრივი საზოგადო კრება.

1909 წელს. ნოემბრის 1-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე თავაო-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2) ექვთიმე სვიმონის ძის თაყაიშვილის თავ-

მჯდომარეობით. დაესწრენ საზოგადოების წევრნი: არქიმანდრიტი პიროსი, ვაჰან გაბენიანცი, ალ. სარაჯიშვილი, ივ. რატიშვილი, გრიგ. დიასამიძე, იუსტ. აბულაძე, ვახტ. ღამბაშიძე, გერასიმე იმნაიშვილი, მღვდ. გიორგი ასათიანი, იოსებ მერკვილაძე, ს. გორგაძე და რამოდენიმე არაწევრიც.

I. პირველათ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება „საზოგადოების“ წევრის, ცნობილი მოღვაწის, გრიგოლ ეოლსკის გარდაცვალების შესახებ და მიცვალებულის ბოგენას პატივის სცა ზეზე აღგომით.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა წინანდელი კრების ოქმები და დაამტკიცა იგინი.

III. დასასრულ, კრებას მოხსენდა ს. რ. გორგაძის რეფერატი: „მირიან-მეფე და მისი უახლოესი მემკვიდრეები“. რეფერენტმა გამოარკვია მირიანის ჩამომავლობა და შეასწორა მისი მეფობის თარიღები; აღნიშნა მისი სამეფოს სივრცე და მეფის ნათესაური განწყობილება კაპადოკიასთან (მეუღლე ნანა), შემდეგ შეეხო ქრისტიანობის ნება დართულ სარწმუნოებად გამოცხადებას ბიზანტიაში, სომხეთში და საქართველოში; აგრეთვე ვრცლათ გაარჩია საკითხი ქართველთა განმანათლებელის „ტყეპ ქალის“ და პირველის ქართველი ქრისტიანი მეფის ვინაობის შესახებ; ბოლოს გამოარკვია მეფობა და ვინაობა მირიანის ორი უახლოესი მემკვიდრისა: ბაკურ მე-II-ისა და თრდატისა.—რეფერენტი ცდილობდა „ქართლის-მოქცევისა“ და „ქართლის-ცხოვრების“ ცნობები შეეთანხმებია კლასიკურ მწერალთა და სომხის ისტორიკოსის ცნობებთან იმავე ხანის შესახებ. სადაც ამგვარი შეთანხმება არ ხერხდებოდა, რეფერენტი უპირატესობას აძლევდა ჯერ კლასიკური მწერლების ცნობებს და შემდეგ „ქართლის-მოქცევისა“.

რეფერატის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი.

ვ. გაბენიანცი: ვეთანხმები ბ-ნს რეფერენტს, რომ მირიანი ჩამომავლობით სასანიანი არ უნდა ყოფილიყო. იმ ხანის როგორც ქართველ, ისე სომხის ისტორიკოსებს ემჩნევათ მიდრეკილება გააირანულონ („*иранизировать*“) ნაციონალური ისტორია. ამისთანა შემთხვევებში, უმჯობესია, მკვლევარი კლასიკურ (რომაელ) ისტორიკოსებს დაემყაროს. კერძოდ, მარცელინის **Meribanes**-ი, უეპველია, ქართულ წყაროების „მირიანი“ და სომხის ისტორიკოსთა „მიპრანია“, როგორც რეფერენ-

ტიც ამტკიცებს.—ცხადია, აგრეთვე, რომ უნდა უარყოფილ იქნეს ის თქმულება, ვითომც წმ. ნინო სომხეთიდან მოსულიყოს.

ე. თაყაიშვილი: საბუთიანათ იქცევა ბ-ნი რეფერენტი, როცა ჩვენი ძველი მეფეების დღემდე მიღებულს (ვახუშტისეულს) ქრონოლოგიას ასწორებს. როგორც ვიცით, ვახუშტი მემატინანე არ ყოფილა, არამედ ისტორიკოს-მკვლევარი იყო, და, ამიტომ, არც გასაკვირალია, რომ მის მიერ დადგენილ ქრონოლოგიაში შეცდომები მოიპოვებოდეს.—ვეთანხმები იმ აზრს, რომ ნინო „ტყვე“ იყო; მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო რეფერენტს, ვითომც „ქართლის მოქცევაში“ წმ. ნინოს დიდგვაროვნულ ჩამომავლობაზე არაფერი იყოს ნათქვამი: იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ეს ტყვე დედაკაცი იყო „რომი მთავარიო“ (სამი ისტ. ქრ. 14). სამართლიანათ იქცევა რეფერენტი, როცა ამიან მარცელინის „მერიბანესი“ და ქართული წყაროების „მირიანი“ ერთ პირად მიაჩნია.—საზოგადოთ, საჭიროა ადგილობრივი თქმულებანი რომაულს თქმულებებთან შევთანხმოთ, და არა ხელაღებით უარუპყოთ ადგილობრივი წყაროების ყოველი ცნობა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი სჩადის. ჩვენი რეფერენტის დამახასიათებელია ზომიერი ნდობა ადგილობრივი წყაროებისადმი და სურვილი მათი ცნობების შეთანხმებისა რომაელ მწერალთა ცნობებთან.

სალამოს 10¹/₂ საათზე თაემჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა და არა-ჩვეულებრივი გახსნა.

№ 30.

არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1909 წელს, ნოემბრის 1-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 10¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილის თაემჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

ვახტანგ ლამბაშიძისა და იოსებ მერკვილაძის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები: 1. ირაკლი დეკანოზიშვილი, 2. ვუკოლ ბერიძე, 3. ექიმი მიხეილ გედევანიშვილი, 4. ექიმი გიორგი

ფარნაოზის ძე ნათიშვილი, 5. აბრამ ილიას ძე ტურაშვილი, 6. გურგენ დიმიტრის ძე ჯავახიშვილი, 7. ლევან დიმიტრის ძე ჯავახიშვილი, 8. ალექსანდრე დიმიტრის ძე ჯავახიშვილი, 9. ივანე ალექსის ძე ტელოძე, 10. იოსებ იოსების ძე გველესიანი, 11. ერასტი ჭავჭავაძე.

ლამის 11 საათზე კრება დაიხურა.

№ 31.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, მარტის 4-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8^{1/2} საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2). ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ ნამდვილი წევრები: გიორგი ნ. ყაზბეგი, ანტ. ფურცელაძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, დეკანოზი კორნელი კეკელიძე, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, მღვდ. ილია შუბლაძე, ექიმი ვახტ. ლამბაშვილი, ექიმი აბ. იაშვილი, გრ. ყიფშიძე, ალ. ყიფშიძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, დ. კარიჭაშვილი, პ. მირიანაშვილი, იუსტ. აბულაძე, ალ. შიკაბერიძე. მასწ. ანდრიაშვილი, ჯორჯაძე, ტყავაძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება (მრავლათ).

I. პირველათ კრებამ მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება ცნობილი მწერლის და ქართველი ერის მეგობრის მარკორი უორდროპის გარდაცვალების შესახებ. ზეზე აღგომით პატივი სცა მის ხსოვნას და დაადგინა მიცვალებულის ძმას სამძიმრის წერილი და დეპეშა გაუგზავნოს. კრებამ ზეზე აღგომით პატივი სცა, აგრეთვე, „საზოგადოების“ წევრთა: თავ. თათარხან დადიშკელიანის და მარიამ ივანეს ასულის დემურიას ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა წინანდელ კრებათა ოქმები და დაამტკიცა იგინი.

III. ბოლოს, კრებას მოხსენდა ს. რ. გორგაძის რეფერატი: „ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დრო“ — შემდეგი პროგრამით: 1. ვახტანგის წინამოადგილენი და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა 368 წლიდან 450 წლამდე; 2. ვახტანგის ვინაობა და მისი მეფობის თა-

რიდები; 3. ამიერ და იმიერ საქართველოს მდგომარეობა ვახტანგის მეფობის პირველ პერიოდში: ლაზიკის მეფე გუბაზ I, სარაგურების შემოსევა, ვასქენი და წმ. შუშანიკი; 4. ივერიისა და სომხეთის აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ, სპარსელების გამარჯვება და მათი გავლენის გაძლიერება საქართველოს ორსავე ნაწილში; 5. კათალიკოზობის დაარსება, მისი მიზეზები, თარიღი და პირველი კათალიკოზის ვინაობა; 6. ვახტანგის უკანასკნელი საქმენი და გარდაცვალება*).

რეფერატმა ცოცხალი და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს: მღვდ. ვასილ კარბელაშვილმა, პეტრე გრ. მირიანაშვილმა, ანტონ ნიკ. ფურცელაძემ, ექვთიმე სე. თაყაიშვილმა, დავით გიორგ. კარიჭაშვილმა, იუსტ. ირ. აბულაძემ და თვით რეფერენტმა, რომელმაც პასუხი გასცა მოპირდაპირეებს.

მღვდ. ვასილ კარბელაშვილი: 1) ბ-ნი რეფერენტი შეეხო, სხვათა შორის, ქართული ანბანის ისტორიას და გამოსთქვა აზრი, ვითომ ამ ანბანის მოწყობაში რაიმე წილი სდებოდეს სომხის არქიმანდრიტს მესრობს; მე მგონია, ანბანი ქართველებს მე-V საუკუნეზე ბევრით ადრე უნდა ჰქონებოდათ და მესრობს ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ უნდა ეკუთვნოდეს; 2) რეფერენტის აზრით, ვახტანგის დროს საქართველოს ეკლესიას მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადაუდგამს დამოუკიდებლობისადმი, გარეგნულათ კი ისევ ანტიოქიის კათედრაზე დარჩენილა დამოკიდებელი, ხოლო სრული დამოუკიდებლობა მე-XI საუკუნეში მიუღია. არ შემიძლია ამ აზრს დავეთანხმო: პ.ოფ. მარრის მიერ გამოქვეყნებულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოთხრობილია მცხეთის კათალიკოსის არჩევის ამბავი, სადაც ნათლათ სჩანს, რომ მე-IX საუკუნეში უკვე ქართველები ადგილობრივ ირჩევდნ და ზელდასხამდნ კათალიკოზს, ანტიოქიის პატრიარქს ამის შესახებ იგინი არავითარს ანგარიშს არ უწევდნ; 3) დასასრულ. არ შემიძლია სახოგადოთ საყვედურით არ მოვიხსენიო ის პირნი, რომელნიც ჩვენი საისტორიო წყაროებისადმი სრულს უნდობლობას იჩენენ და სამაგიეროთ სომხურსა და ბიზანტიურ წყაროებს ძლიერ უჯერიან.

*) იხ. „ძველი საქართველო“ ტ. II: „წერილები საქ. ისტორიიდან“, თავი III, მუხლი 7—20.

ს. გორგაძე: 1) არსებითად მეც თანახმა ვარ იმ აზრისა, რომ ანბანი ქართველებს არა თუ მესრობამდე, არამედ ქრისტეს წინაჲ ჰქონიათ (იხ. ჩემი „წერილები საქართველოს ისტორიიდან“ ნაწილი I, თავი II); მაგრამ შესაძლოდ მიმაჩნია, ის ანბანი სრული არ ყოფილიყოს და შემდეგს დროებში კიდევ დასკირვებოდეს შევსება-შესწორება ქართული ენის ფონეტიკის თანახმად. როგორც სომხის ისტორიკოსები მოწმობენ, მესრობს და ორ ქართველ მეცნიერს (ეპისკოპოსს მოსეს და ვილაც ჯახს) ეს საქმე დაუმთავრებიათ, სახელდობრ „მოუწყვიათ“ (==რუსულ თარგმანში „устроили“) ქართული ანბანი. ქართველ და სომეხ მეცნიერთა კოლექტიური მუშაობა იმ პერიოდში ჩემთვის არაფერს შეუძლებელს არ წარმოადგენს, რადგან იმ დროს, როგორც დღევანდელი რეფერატიდანაც დაინახეთ, სომხეთს და საქართველოს პოლიტიკური ინტერესებიც კი ხშირათ ერთი ჰქონდათ (მაგალ. აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ), ხოლო ქალკედონის კრების წინ, რომელ ხანასაც მესრობის შესახები ცნობა ეკუთვნის, ამ ორ მხარეს საეკლესიო სფერაშიაც ბევრი რამ საერთო ჰქონდათ: ქართველი საიერარქიო კანდიდატები ბევრჯერ სომხეთში იღებდნენ განათლებას (იოზ, ნერსეს სომხის კათალიკოსის დიაკონი, რომელიც შემდეგ მცხეთის მთავარ-ეპისკოპოსი გახდა), აგრეთვე სომხები—საქართველოში (მაგალ. თვით ლაზარე ფარპელი). 2) ავტოკეფალიის შესახებ მამა ვასილ კარბელაშვილის მიერ მოტანილი ფაქტი (გრიგ. ხანძთელის ცხოვრებიდან) ჩემს დღევანდელს რეფერატში გამოთქმულს აზრს ვერ არღვევს, არც საზოგადოთ იმ აზრს ეწინააღმდეგება, რომელსაც მე ვაღვივარ ჩვენში ავტოკეფალობის თანდათან დამყარების შესახებ; მამა კალ. ცინცაძესთან ერთათ (რომელსაც მე დღევანდელ რეფერატშიაც ვემყარები), მეც იმ აზრისა ვარ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობამ ისტორიულათ სამი საფეხური გაიარა: ა) მე-V საუკუნეში კათალიკოზობა და შინაგან მართვა-გამგეობაში დამოუკიდებლობა, ბ) მე-VIII საუკუნეში (ანტიოქიის პატრიარქის თეოფილაქტეს დროს)—კათალიკოზის ადგილობრივ არჩევაცა და კურთხევაც, მაგრამ უზუნაესი მეთვალყურეობა მაინც ანტიოქიის პატრიარქისაგან, გ) ხოლო მე-XI საუკუნეში სრული „თავისუფლება და ავტოკეფალობა“, როგორც ვალსამონი ამბობს (იხ. კალ. ცინცაძის „Автокефалия церкви грузинской“, Тфл. 1905 г. და ჩემი „Автокефальность груз. церкви“

ჟურნალს „Дух. Вѣст. груз. епархиа“ за 1905 г. №№ 21—22, 23—24). მაშასადამე არც გასაკვირალია, რომ მე-IX საუკუნეში ქართველ ეპისკოპოსებს კათალიკოზი მცხეთაშივე აერჩიოს და ეკურთხები-ბიოსთ, როგორც პროფ. მარრის მიერ გამოქვეყნებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მოწმობს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, ვითომც იმ დროს სხვა საკითხებშიაც აღარაფერი იურიდიული დამოკიდებულება აღარ ჰქონებოდას ჩვენს ეკლესიას ანტიოქიის პატრიარქთან. საკუთრივ ნიკ. მარრის აზრი ამ საგნის შესახებ ძალიან საინტერესოა: იგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ საქართველოს ეკლესია თავიდანვე დამოუკიდებელი იყო და ანტიოქურსა და ზოგიერთს ქართულ წყაროს არ უჯერის,—მაგრამ პირადად ჩემთვის მისი საბუთები ამ საკითხში კმაყოფილნი არ არიან. მე დღემდე იმავე აზრს ვადგივარ, რაც ჩემი შრომის „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისის“ მე-IV თავში გამოვთქვი: საქართველოს ეკლესია მშნ წლიდანვე ანტიოქიის კათედრას დაექვემდებარა; და ავტოკეფალობაც შემდეგში ამ კათედრიდან უნდა მიეღო, და კიდევაც მიიღო. გ) დასასრულ, მ. კარბელაშვილის საპასუხოდ, არ შემიძლია ჩემს თავზე მივიღო ის საყვედური, რომელიც მან გამოსთქვა ჩვენი ისტორიის მკვლევართა შესახებ: მართალია, მე უფრო მეტის ნდობით ვეპყრობი საკამათო ეპოქის თანამედროვე ბიზანტიულსა და სომხის მწერლებს, ვინემ „ქართლის მოკცევას“ და „ქართლის-ცხოვრების“ უძველეს ნაწილს, მაგრამ სრული უნდობლობით არც ამ უკანასკნელებს ვუტკერი, პირ-იქით, ჩემს მოხსენებაში ვცდილობ, რამდენათაც კი შესაძლოა, ამათი ცნობანი შეეფუთანხმო მსოფლიო ისტორიისა და უცხოეთის მწერალთა ცნობებს ჩვენს შესახებ. მაგრამ სადაც ამგვარი შეთანხმება არ ხერხდება, ან კიდევ სადაც „ქართლის მოკცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება ან ცხადად საზღაპრო ხასიათს ატარებს. იქ უპირატესობას ვაძლევ უცხოეთის თანადროულ მწერალთა ცნობებს (ამშიან მარცელინი, პრისკ პანიტი, ლაზარე ფარპელი, პროკოპი კესარიელი). ქართულ წყაროთა შორის კი ამავე ეპოქის შესახებ მე დიდის ნდობით ვეპყრობი შუშანიკის „მარტილობას“, რომელიც, როგორც რეფერატშიაც მაქვს ნათქვამი, მე-V საუკუნისავე ბოლო წლებში უნდა იყოს დაწერილი, მაშასადამე, თანამედროვისაგან (იაკობ ხუცესი—შუშანიკის მოძღვარი). სიანს, მე

ქართულ წყაროებს სრული უნდობლობით არ ვექცევი, თორემ ამგვარ ფაქტებს ხომ ადგილიც არ იქნებოდა.—(ამ უკანასკნელ შენიშვნაზე მ. ვ. კარბელაშვილმა უთხრა რეფერენტს: მე თქვენ არ მყოლიხართ სახეში, სხეებზე ვამბობდით).

პეტრე მირიანაშვილი: 1) ვახტანგ მეფის ზედმეტი სახელის „გურგასლანის“ შესახებ რეფერენტმა მხოლოდ გაკვრით სთქვა: ეს სახელი შემდეგში უნდა იყოს შეთხზულიო და კარგად არ გამოარკვია, სახელდობრ, თუ როგორია ამ სიტყვის ეთიმოლოგია, ან რა დროს უნდა შეეთხზათ იგი; 2) გაკვრით აღნიშნა, აგრეთვე, აეტორმა, რომ პეტრე მღვდელი და კათალიკოზობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ბიზანტიის იმპერატორმა ანტიოქიის პატრიარქს გადასცაო; მაგრამ ვრცლათ არ განგვიმარტა, თუ რატომ მოიქცა ასე იმპერატორი, რატომ მიიწი და მიიწი ანტიოქიის პატრიარქს მიანდო ამ საქმის საბოლოო სანქცია; ამის გამო აღნიშნული საკითხი მსმენელთათვის გაუფგებარი დარჩა; 3) დასასრულ, კარგი იქნება რეფერენტმა გვიჩვენოს ხელნაწერები ან დაბეჭდილი ტექსტები, სადაც სიტყვა „თავი ეპისკოპოსთა“ ნახმარი იყოს ნაცვლათ სიტყვისა „მთავარ-ეპისკოპოსი“; მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება ის განმარტება, რომელსაც რეფერენტი აძლევს სიტყვებს „თავი ეპისკოპოსთა“.

ს. გორგაძე: 1) ვახტანგის ზედმეტი სახელის შესახებ ჩემს რეფერატში ბევრი არა მითქვამს რა და არც ახლა ვამბობ, რადგან ამ სიტყვის შესახებ სენკოსკის აქეთ („Библиотека для чтения“, 1838 წლ. ოქტომბერი) იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ შეუძლებელია მკვლევარმა ამ საგანზე ახალი სთქვას რამე. (შეად. სხვათა შორის Brosset—Hist. de la Géorgie, t. I, p. 178, შენიშვნები 1 და 2*). ჩემი აზრი ამ სახელის შესახებ ის არის, რომ იგი ნაგვიანვეათ უნდა იყოს შეთხზული ხალხის ფანტაზიით; ეს აზრა, ჩემის მხრით, რეფერატში იმით

*) ბროსეს თანახმად, ამ სიტყვას („გორგასარი“ = „გორგასარი“) ნიკ. მარრი ასე განმარტებს: ეს არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს „მგლის-თავიანს“ („волвоголовый“). იხ. „Тексты и Рывыск. по арм.-груз. фил.“ т. IV, ბოლოში ლექსიკონი საკუთარი სახელებისა (გვერდი—რაჟ).

დავასაბუთო, რომ ამ სახელს თანაშემდროვე ლაზარე თარპელი არ იცნობს-მეთქი, და საქიროდ აღარ დავინახე გამემგორებია ის, რაც წინათ მრავალჯერ თქმულა და გადაღევილა. 2) მართალია, დღევანდელ რეფერატში გაკვრით შევებე, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებას ანტიოქიის პატრიარქზე, მაგრამ სამაგიეროთ ამ საგანზე სიტყვა მქონდა ჩემს წინანდელ რეფერატში, რომლის შესახებაც ოქმი დღეს მოგახსენეთ, და რომლის გაგრძელებასაც დღევანდელი რეფერატი წარმოადგენს; ამას გარდა, აღნიშნულ საკითხზე ცალკე შრომა მაქვს უკვე გამოქვეყნებული: „საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი“, რომლის მე-IV თავში (==„მომბე“ 1905 წ. № 5) ეს საკითხი ვრცლათ არის განხილული და შეძლებისამებრ დასაბუთებულია ის აზრი, რომ საქართველოს ეკლესია 328 წლიდანვე იურიდიულათ ანტიოქიის კათედრას დაეკმედებარა და არა კონსტანტინოპოლისას, სადაც ამ დროს, 328 წელს, არც კონსტანტინოპოლი არსებობდა და არც კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ხოლო აღმოსავლეთში უპირატესობა ეკუთვნოდა ანტიოქიის კათედრას, რომლის მდღელ-მთავარიც ვესტათე 328 წელს ნიკეაში თავმჯდომარეობდა პირველ მსოფლიო კრებას (ამ კრებამ დააქონა ანტიოქიის კათედრის უპირატესობანი აღმოსავლეთში) და შემდეგ, როგორც ანტიოქური და ქართული წყაროები მოგვითხრობს, ახლად მოქცეულ საქართველოსაც უკურთხა პირველი სამღვდლოება. ამას შემდეგ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის კათედრას დაეკმედებარა იურიდიულათ. ცხადია, მე-V საუკუნეშიაც საქართველოს საეკლესიო საკითხს ბიზანტიის იმპერატორი იმავე ანტიოქიის კათედრას მიანდობდა საბოლოოთ გადასაწყვეტად და, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, ეს მართლაც ასე მომხდარა. 3) დასასრულ ორიოდ სიტყვა ბნის პ. მირიანაშვილის უკანასკნელი შენიშვნის შესახებაც. სიტყვა „თავი ეპისკოპოსთა“ მე პირველათ მხვდება შეუშანიკის „ცხოვრებაში“, ხოლო „მთავარ-ეპისკოპოსი“—შატბერდულ ქრონიკაში, „ქართლის ცხოვრებაში“ და მრავალგან სხვაგანაც. რაც შეეხება ამ ორი სიტყვის მნიშვნელობას, ჩემის აზრით იგინი ორივე უდრის ბერძნულ „არხი-ეპისკოპოს“-ს. როგორც ხჩანს ამ ბერძნული ტერმინისათვის შეუშანიკის „მარტივობის“ აღწერის დროს (მე-V საუკუნეში) ქართველებს ჯერ კიდევ არა ჰქონიათ შემუშავებული ტერმინი „მთავარ-ეპისკოპოსი“ და უხმარიათ სიტყვა

„თავი ეპისკოპოსთა“ სწორეთ ისე, როგორც საერო უწყებაში ერთი-მეორის ნაცულათ იხმარებოდა სიტყვები: „ერის-თავეი“ და „ერის-მთაჲარი“, რომელთაგან არცერთი არ უღრის მონარქს ანუ „მეფეს“; ანალოგიის ძალით ჩემთვის ცნაღია, რომ არც „თავი ეპისკოპოსთა“ უნდა უღრიდეს „კათალიკოსს“; იგია მხოლოდ პირველი ცდა „ჟარზი-ეპისკოპოსის“ გადმოქართულებისა; სჩანს, მე-V საუკუნეში მრავალი საეკლესიო ტერმინი ჯერ კიდევ არ ყოფილა ქართულად ნათარგმნი: ამას ამტკიცებს იგივე შუშანიკის „მარტვილობა“, სადაც უთარგმნელათ გვხვდებოდა სიტყვები: „ვეანგელიე“ (სახარება, „გალიაკი“ (ოთახი), „იონნი“ (ბერძნები) და სხვანი.

ანტონ ფურცელაძე: 1) ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე, თუ რა აზრისაა რეფერენტი ქართულ ანბანთა შესახებ: რომელი უფრო წინეთაა შემოღებული—მხედრული, როგორც ილ. ოქრომჭედლიშვილი ამტკიცებდა, თუ ზუსური? 2) ამას გარდა, ჩემთვის გაუგებარია ის უნდობლობა, რომელსაც „ქართლის ცხოვრებას“ რეფერენტი უცხადებს ვახტანგის მეფობის შესახებ: პირადათ მე დაკვირვებით გადაკითხული მაქვს „ქ.-ცხოვრების“ ის ნაწილი, სადაც მონგოლების ეპოქაა აწერილი, და უნდა მოგახსენოთ, რომ იქ ზღაპრული არა არის რა, პირიქით თითქმის ყოველი ცნობა სინამდვილის ბეჭედს ატარებს.

ს. გორგაძე: 1) სანამ ქართული ანბანის შესახებ რაიმე გადკრილ აზრს დავადგებოდი, მე გავეცანი ყველა მკვლევართა აზრს ამავე საგნის შესახებ, მათ შორის ბროსესას, ილ. ოქრომჭედლიშვილისას, დიმ. ბაქრაძისას და სხვათა; ვიშოვე აგრეთვე მთელი ქვეყნის ანბანთა პალეოგრაფიული ცხრილები (*Шницлеръ—Иллюстр. всеобщ. исторія письмавъ Сиб. 1903 г.*); შევედარე ამ ცხრილებს ოქრომჭედლიშვილის ცხრილი და დაერწმუნდი, რომ ქართულ მხედრულსა და ზენდურს შორის მსგავსება მარტო ზუთ თუ ექვს ასოში გამოიხატება (ა, ი, დ, პ, მ, ლ). დანარჩენ ასოთა შორის მსგავსება ან სრულიად არ არის, ან უბრალო გარეგანს მოხაზულობის საზოგადო ხასიათს არ აღემატება (იხ. ჩემი „წერილები საქ. ისტორიიდან“ ნაწ. I, თავი II). ამასთანავე მხედველობაში მივიღე შემდეგი ორი გარემოება: ა) დიმ. ბაქრაძემ საკმაოდ დასაბუთა (იხ. მისი „Груз. палеография“ въ „Тр. V археол. съѣзда въ Тифлисъ“, Москва 1887 г., стр. 207—214), რომ დღე-

ვანდელი მხედრული გენეტიურათ განვითარებულა ზუტურისაგან და რომ უუძველესი ქართული ანბანი არის ასო-მთავრული ზუტური და არა მხედრული; ბ) სახეში მივიღე აგრეთვე, რომ ასო-მთავრული ქართული ანბანი არც ერთს ანბანს ისე ახლო არ უდგას, როგორც VII—VI საუკუნის (ქრ. წინ) არამეულს ანბანს; აქ ასოთა მოხაზულობაც ერთგვარია, მათი მოყვანილობაც (ბ, გ, ე, ვ, თ, ი, წ), ძირითადი ელემენტები ასოებისა იქაც და აქაც ერთი და იგივეა (ა, დ, ზ, ლ, კ, ლ, მ, ო, შ, ს, ტ=ც=ჩ), რიგიც ასოებისა ერთი და იგივეა, ხოლო ორი ასო (ზ და შ) იქაც და აქაც ერთსა და იმავე სახელს ატარებს („ზენ“, „შინ“); მე-IV და III საუკუნის (ქრ. წინ) არამეული ანბანი კი უკვე ისე აღარა ჰგავს ჩვენს ასო-მთავრულს. ყველა ამ საბუთის ძალით მე დავადეკი იმ დასკვნას, რომ ქართველებს ანბანი უნდა შემოეღოთ ქრ. წინ მე-VI—V საუკუნეში, როცა იგინი სპარსეთს ემორჩილებოდნენ, არამეული ანბანი მის მიხედვით, რომელიც იმ საუკუნეებში მართლაც გავრცელებული იყო სპარსეთში და მესოპოტამიაში სირიითურთ, ე. ი. სწორეთ იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ქართველებს უხსოვარის დროიდან ჰქონდათ მჭიდრო კულტურული კავშირი (იხ. ჩვენი წიგნი „საქ. ისტ.“ ნაწ. I. თავი II). 2) ჩემს დღევანდელ რეფერატში მთელს „ქართლის ცხოვრებას“ არ შევხებია; საუბარი მქონდა მხოლოდ მის უძველეს ნაწილზე, რომელიც თავისი დღევანდელი სახით, უეჭველია, თანამედროვეთაგან არაა შედგენილი; ესევე უნდა ითქვას „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაზედაც; მაგალითად, ორსავე წყაროში ჩვენ გვხვდება (ვახტანგის დროსა და წინათაც) ქალაქი „ბაღდადი“, რომლის აშენებაც არაბებმა მხოლოდ 762 წელს დაიწყეს; ცხადია, მაშასადამე, რომ ორისავე ჩვენი წყაროს დღევანდელი რედაქცია მე-VIII საუკუნეზე ადრე არ შეიძლება იყოს შედგენილი; მაგრამ ცალ-ცალკე ცნობები, რასაკვირველია, შესაძლოა უფრო ადრინდელ დროსაც ეკუთვნოდეს. მეც ჩემს რეფერატში ვცდილობდი სწორეთ ამგვარი ცნობები შემომეკრიბა ჩვენი წყაროებიდან: რამდენათ მივადწიე ამ მიზანს, დაე მცოდნე პირებმა დააფასონ.

ე. ს. თაყაიშვილი: 1) ჩვენს რეფერენტს ზოგიერთებმა უკვირნეს: ქართული მატრიანისა და ქრონიკისადმი დიდს უნდობლობას იჩენს. მეც კი მგონია, რომ, პირიქით, რეფერენტი ამ წყაროთადმი გაცილებით მეტს ნდობას იჩენს, ვინემ ესენი ღირსნი არიან. განსაკუთრებით „ქართ.

ცხოვრების“ ის ადგილი, სადაც ვახტანგზეა მოთხოვნილი, მრავალს ლეგენდას წარმოადგენს და, ცხადია, თვით ვახტანგის ეპოქაზე გაცილებით გვიან უნდა იყოს შედგენილი. თვით „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირაა ნათქვამი, რომ არჩილ მეფისა (VIII საუკ.), მირიანისა და ვახტანგის „ცხოვრება“ ლეონტი მროველმა აღწერა (მარიამ დედოფლის ვარიანტი ქ.-ცხ., გვ. 211). უეჭველია, როცა ამ „ცხოვრებებს“ აღგენდა, ავტორს უუძველესი წერილობითი წყაროები ექნებოდა ხელში, როგორც ეს დღეს მტკიცდება „ქართლის მოქცევის“ კელიშუბრი ვარიანტიდან, მაგრამ, როგორც სჩანს, უკვე იმ მასალებში ვახტანგის შესახებ გაზვიადებული აზრი ყოფილა გატარებული (ქრონიკაში იგი წოდებულია „დიდი ვახტანგ გოლგასარი“). სიტყვა „ბაღდადი“ კი, ჩემის აზრით, გვიანდელ გლოსას უნდა წარმოადგენდეს. 2) რაც შეეხება ვახტანგის ზედმეტ სახელს „გორგასლანს“, მართლაც, უკვე კარგა ხანია, რაც მკვლევრებმა გამოარკვეეს, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი თურქული სიტყვაა და არ შეიძლება თვით ვახტანგის დროს მიეწეროს. 3) რეფერენტი სამართლიანად იქცევა, როდესაც უარჰყოფს საბინინის არაკრიტიკულ გამოცემაზე დამყარებულ აზრს ივ. ჯავახიშვილისას პირველი კათალიკოზის ეინაობის შესახებ: პირველ კათალიკოზად ყველა წყაროში პეტრეა წოდებული და არა სამოელ, რომელიც ყველგან მოხსენებულია მეორე კათალიკოზად. 4) ქართული ანბანის შემოღების შესახებ კითხვა ჯერ-ჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის: ჩვენს რეფერენტს ამ საკითხის შესახებ გამოთქმული აქვს ერთ-ერთი შესაძლო პასუხი, რომელიც მოკლეთ დღეს კამათის დროს გაგაცნოთ. თუმცა, ჩემის ფიქრით, შესაძლოა სხვაგვარი პასუხიც, სახელდობრ: რადგან უუძველესი ქართული ფულები (სასანიანთა დროისა, ცეცხლის ემბლემით) ფეპლური წარწერებით გვხვდება, უუძველესი ხუცური წარწერაც მე-VI საუკუნეს ეკუთვნის (გურგენის ფულზე), ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მხედრულიცა და ხუცურიც ერთ დროს უნდა შემოეღოთ, პარალელურათ, ჩვენს წინაპრებს; ან კიდევ შეიძლება, როგორც ოქრომბედილიშვილი ჰფიქრობდა, მხედრული უუძველესიც იყოს ხუცურზე, მაგრამ, ვიმეორებ, დღეს-დღეობით ამ საკითხზე ყოველი პასუხი ჰიპოტიური ხასიათისა იქნება, რადგან მის გადასაჭრელად საკმაო მასალები არ მოგვეპოვება. 5) ბ-ნმა ანტონ ფურცელაძემ ბრძანა: „ქართლის ცხო-

ვრებაში“ მონგოლების ეპოქის ისტორია საოცარის სინამდელით არის აწერილი; მართალი გახლავთ; იქ სხვა პერიოდის ისტორიაც სინამდელითაა აღწერილი თანამედროვეთაგან; მაგრამ ეს სრულებით არაფერს ამტკიცებს „ქ.-ცხოვრების“ უუძველესი ნაწილის შესახებ, რადგან, როგორც დღეს უკვე გამოჩვეულია, „ქართლის ცხოვრება“ არ წარმოადგენს ერთგვარი ხასიათისა და სინამდელის შასალას: იგია საისტორიო კრებული, რომლის სხვა და სხვა ნაწილები სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა პირთაგანაა შედგენილი; ამიტომ გასაკვირველიც არაა, რომ „ქართლის ცხოვრებას“ სხვა და სხვა ნაწილები ერთგვარი ნდობის ღირსნი არ იყვნ. 6) დასასრულ, რამოდენიმე სიტყვა თვით ვახტანგის ისტორიული პიროვნების შესახებ: დღეს აღარავინ უარსყფის იმას, რომ ვახტანგი ნამდვილი ისტორიული პირია. ლაზარე ფარპელის მოწმობაც რომ არ გექონოდა, ჩვენთვის ისედაც ცხადი იქნებოდა ეს ჰეშმარტება, რადგან ამას ამტკიცებს თვით იმ ლეგენდების სიუხვე, რომელთაც ჩვენი მატთანე ვახტანგს მიაწერს; როგორც ზემოთ შევნიშნე, ქრონიკაშიაც ვახტანგი „დიდად“ არის წოდებული; აგრეთვე ხალხშიაც დარჩენილა ლექსები ვახტანგის გმირობის შესახებ. ყოველივე ეს თავისთავად ნათელსყფის, რომ ვახტანგ მეფე ნამდვილად არსებულა, როგორც ისტორიული პირი: წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც ლეგენდები და საისტორიო თქმულებანი გაჩნდებოდა მის შესახებ. მაგრამ ლეგენდარულია და არა-ისტორიულია ის სახე, რომლითაც ამ მეფეს ჩვენი მატთანე და ხალხის ფანტაზია გვიხატავს. ამ შემთხვევაში რეფერენტის ცდა ჰეშმარტად ყურადღების ღირსია: იგი სცდილობს ვახტანგს მოაშროს ყველაფერი, რაც ლეგენდარულ ხასიათს ატარებს, და დაგვიხატოს ვახტანგის პიროვნება და მისი ეპოქა—როგორც ისტორიული სინამდელივე.

დავით კარტიკაშვილი: ვეთანხმები იმ აზრს, რომ ვახტანგის „ცხოვრებაში“ მატანის შემდგენელს მრავალი ლეგენდა შეუტანია. ეს ლეგენდები რეფერენტმაც აღნიშნა ფაკრით. მაგრამ სრულიად უყურადღებოდ დასტოვა ის ნიდაგი, რომელზედაც ეს ლეგენდები უნდა აღმოცენებულიყოს სახელდობრ, ავტორი ვრცლათ არ შეეზო იმ სარწმუნოებრივს ბრძოლას, რამელიც სწარმოებდა ვახტანგის წინ და მის დროს ქრისტიანობასა და ცეცხლის-თაყვანისმცემლობას შორის და რომელიც,

ჩვენის ფიქრით, წარმოადგენს ერთ უძლიერეს ფაქტორთაგანს, რომლის ნიადაგზედაც, სხვათა შორის, უნდა აღმოცენებულიყო ვახტანგის შესახები ლეგენდები სჩანს, სარწმუნოებრივს სფერაში ვახტანგს იმდენათ დიდი ღვაწლი გაუწევია სამშობლოსათვის, რომ ქრისტეს მორწმუნეხალსს გმირი მეფის შესახებ იმ თავითვე მეტათ გაზვიადებული აზრით შეუდგენია და მისი პიროვნება მრავალის ლეგენდით შეუმოსავს. რეფერენტს საზოგადოთ ამ ლეგენდათა წარმომშობ მიზეზთათვის, მათი გენეზისისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია,—და ამიტომ არ შემძლია ეს გარემოება მისი რეფერატის ერთ უმთავრეს ნაკლად არ ჩავთვალო.

ს. გ. ო. გ. ა. ძ. ე. 1) უჩვენებს თავის რეფერატიდან ოთხს ადგილს (არჩილისა, მირდატისა, ვახტანგის მეფობის დასაწყისისა და ვასქენ-შუშანიკის ცხოვრებიდან), სადაც მას ლაპარაკი ჰქონდა ცეცხლის-თაყვანისმცემლობისა და ქრისტიანობის ბრძოლაზე; მთავრებს აგრეთვე ადგილებს კათალიკოზობის დაარსების შესახებ, რაზედაც რეფერატში ძლიერ ბევრია ნალაპარაკები. შემდეგ განაგრძობს: ბ-ნი კარიჭაშვილი, აღბათან გვიან მობძანებულა და აღნიშნული ადგილების კითხვას არ დასწრებია, ან საკმაო ყურადღებით არ მოუსმენია იგინი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ არც მიკვირებდა, სარწმუნოებრივს მხარეს ვრცლათ არ შეხებიხარო: მე, ვგონებ, სწორეთ ამ მხარეში ზომიერებას გადავაჭარბე, ასე რომ კიდევ ვშიშობდი, სარწმუნოებრივ საკითხებზე ლაპარაკით თავი ხომ არ მოვაბეზრე-მეთქი დამსწრე საზოგადოებას. ამიტომ უსაბუთოდ მიმანია ბ-ნ კარიჭაშვილის ჩემდამო საყვედური ამ საგნის შესახებ. 2) ვეთანხმები ბ-ნს კარიჭაშვილს, რომ ჩემს რეფერატში დიდათ არ შევებებივარ ვახტანგის შესახები ლეგენდების ისტორიას (გენეზისს), თუმცა თვითონ ლეგენდები კი აღვნიშნე. მაგრამ არ ვეთანხმები იმაზე, ვითომც ეს გარემოება ჩემი რეფერატის ერთს უმთავრეს ნაკლს წარმოადგენდეს: როგორც მოგახსენებათ, მე ვწერ ქართველი ერისა და მისი მოღვაწეების ისტორიას, და არა ქართულ ლეგენდათა და ზებირ-სიტყვაობის წარმომშობის ისტორიას; ამ უკანასკნელს მე მხოლოდ გაცკერით შემძლია შევეხო, რამდენადაც ამას მოითხოვს ჩემი რეფერატის უმთავრესი საგანი. და ამით ჩემს გამოცვლევას არსებითათ არა ვენება რა. ჩემთვის, როგორც ერის ცხოვრების და არა სიტყვიერების მკვლევარისთვის, სა

კმაოა ვიცოდე, რომ ესა თუ ის თქმულება მართლა ლეგენდაა და არა საისტორიო ცნობა; და თუ ეს ჩემი ცოდნა არაეისში ებებს არ იწვევს, დამშვიდებით შემოძლია ამა თუ იმ პირისა და ეპოქის ისტორიის გამორკვევა, დაწყობა-დალაგება. მ) რაც შეეხება საკუთრით თვით ამ ლეგენდის გენეზისს, არ შემოძლია დავითანხმო იმ ახსნას, რომელსაც ამ საგნის შესახებ ჩემი ოპონენტი იძლევა. იგი ამბობს: ამ ლეგენდათა აღმოცენების ფაქტორი, სხვათა შორის, სარწმუნოებრივი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ნამდვილათ კი არც ერთი იმ ლეგენდათაგანი (ოსების შემოსევა და მათ და პაქანიკების წინააღმდეგ ვახტანგის ლაშქრობა, საბერძნეთთან ბრძოლა, სპარსელებთან ბრძოლა, შემდეგ სპარსეთისა, აბაშეთისა და სინდეთ-ინდოეთისაკენ გმირული ლაშქრობა) სარწმუნოებრივს ხასიათს არ ატარებს, არამედ ყველანი ჩვეულებრივის საგმირო-ზღაპრული ხასიათისანი არიან. ჩემს რეფერატში მე აღვნიშნე ის ნამდვილი ისტორიული ფაქტები, რომელნიც, შესაძლოა, საფუძვლად დასდებოდეს ამ თქმულებებს: ოსებთან და პაქანიკებთან ბრძოლა—ეს, შესაძლოა, სარაგურების შემოსევას ნიშნავდეს, მხოლოდ ძლიერ დამახინჯებულს; საბერძნეთთან ვახტანგის ბრძოლა—შესაძლოა ვახტანგის ლაშქრის მონაწილეობას გულისხმობდეს ლაზიკის მეფის გუბაზ I-ლის აჯანყებაში ბიზანტიის წინააღმდეგ; სპარსელებთან ბრძოლა—ეს, შესაძლოა, ვახტანგისა და ვაჰან მამიკონიანის აჯანყების ამბავი იყოს დამახინჯებულად გადმოცემული; ხოლო სინდეთ-ინდოეთ-აბაშეთისაკენ ვახტანგის გალაშქრებასაც, შესაძლოა, რაიმე ისტორიული საფუძველი ჰქონდეს „ქართლის მოქცევის“ ლაკონიურ თქმულებაში: „მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცაო“; ამის შესახებ მე ვსთქვი: „შესაძლოა სპარსეთის მეფეს კობადს (=კავადს) ჰუნებთან საბრძოლველად ლაშქრით გაეწვიოს თავისი ვასალი, ბრძოლაში გამოცდილი, მეფე ვახტანგი-მეთქი, როგორც ეს შემდეგ შიაც ჩვეულებათ ჰქონდათ სპარსეთის მეფეებს (მაგალ. მე-XVII—XVIII საუკუნეში გიორგი მე-XI სპარსეთის შაჰს მიჰყავს ავღანელების დასამშვიდებლად—ქართველის ლაშქრით). არ უარვყოფ, რომ ვახტანგის შესახებ თქმულებებში ზოგი რამ ხალხური ფანტაზიის ნაწარმოებებიც უნდა ერიოს. მაგრამ თვით ამ თქმულებათა შემადგენლის ელემენტების უუღიდეისი ნაწილი უფრო მწიგნობრული სესხებისა და წამბაძველობის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.

იუსტიციის აბულაძე: მეც მგონია, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შესახებ ზღაპარ-თქმულებანი ირანულ-სპარსული გავლენის ნაყოფია. ვახტანგის საგმირო საქმეები, მისი ბუმბერაზ-გოლიათობა, ქვეყნიდან ქვეყნად გალაშქრება, ბრძოლა მისი სინდეთთან, აბაშეთსა და ინდოეთთან, ყველგან და ყოველთვის უძლეველობა მისი—ნამდვილი სპარსული ზღაპრის ნიმუშებს გვაგონებს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბუმბერაზობა და გოლიათობა და რაინდული ხასიათი ჩვენი შორეული წარსულის დამახასიათებელია და ყველაფერი ეს კი ცხად ჰყოფს ირანის ძლიერს გავლენას.

ექვთიმე ს. თაყაიშვილი: ბ-ნმა დავ. კარიჭაშვილმა ბრძანა: ვახტანგის შესახებ „ქ.-ცხოვრების“ თქმულებანი ხალხური ნაწარმოები უნდა იყონო. ეს რომ მართლა ასე იყოს, ამას რაღა აჯობებდა: მაშინ „ქ.-ცხოვრებაში“ ჩვენ გვექნებოდა მეტათ ძვირფასი უუძველესი ქართული ხალხური ნაწარმოები; მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ არის: „ქართლის-ცხოვრების“ თქმულებანი ვახტანგის შესახებ ნამდვილ მწიგნობრული ჩამომავლობის ხასიათს ატარებენ (მოიგონეთ, თუნდ, თქმულება ნებროთიანობაზე, აგრეთვე „არაკები“ რომლებითაც ვახტანგი და სანდთა მეფე ერთმანეთს ეკამათებიან და სხვანი). რასაკვირველია, ჩვენთვის დიდათ საინტერესო იქნებოდა გავგეგოთ, თუ საიდან და როგორ შემოიტანეს ეს თქმულებანი ჩვენს მატთანში; მაგრამ ეს ცალკე საკითხია და მისი ვრცელი გარკვევა დღევანდელი რეფერატის ორგანიზულ ნაწილს არ შეადგენს. რეფერენტი ეცადა ვახტანგის ისტორიული პიროვნება გამოერკვია და მისი დრო დაეხასიათებია; მე მგონია, ამ თავის პირდაპირ მიზანს, რამდენადაც არსებული მასალა ნებას აძლევდა, რეფერენტმა საკმაოდ მიაღწია; და ჩვენც მოვალენი ვართ მის კლას მადლობითა და თანაგრძნობით მივეგებოთ.

სალამოს 11¹/₂ საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურულად გამოაცხადა. როცა გარეშე საზოგადოება წაიხილ-წამოვიდა, თავმჯდომარემ გახსნა არა-ჩვეულებრივი კრება.

№ 32.

პრეზიუმენტი საზოგადო კრება.

1910 წელს, მარტის 4-ს.

კრება გაიხსნა ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით საღამოს 11 ს. და 40 წ. დაესწრენ იგივე ნამდვილი წევრები, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული, თავმჯდომარისა, ეახტ. ღამბაშიძისა და ალ. სარაჯიშვილს წინადადებით, კრებამ აირჩია შემდეგი ნამდვილი წევრები: 1) ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ჩინჩალაძე მიხეილ ომანის ძე, იოსელიანი პოლიკარბე კოსტანტინეს ძე, ცაგერეიშვილი გერასიმე მათეს ძე 5) მიქელაძე სოლომონ გიორგის ძე, ყიფიანი პეტრე იოსების ძე, წერეთელი სოლომონ ექვთიმეს ძე, აბესაძე ივლიანე დეკანოზი, კვაჭანტირაძე არტემი დიმიტრის ძე. 10) ეპიტაშვილი ივანე პეტრეს ძე, ციციშვილი იასონ დავითის ძე, მაჭავარიანი დავით როსაბის ძე, ბაკურაძე ნესტორ მღვდელი, სონდულაშვილი იროლიონ თომას ძე, 15) ჩიჯავაძისა თამარ, ზრამელაშვილი ეგნატე მამუკას ძე, მაჭავარიანი დავით პაატაას ძე. ირემაძე თევდორე გიორგის ძე, ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, 20) მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, ალხაზიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ქარუმიძე პავლე ივანეს ძე, გურიელი ივანე დავითის ძე, ანდრიაში ივანე მღვდელი, 25) იოსელიანისა მარიამ კოსტანტინეს ასული (ეჭიმი), ერისთავი ნიკოლოზ რევაზის ძე, კლდიაშვილი ალექსანდრე, ლალიძე მიხეილ ერპალაშის ძე, ახვლედიანი ვარლამ (პროვიზორი), 30) ახვლედიანისა დარია, დიასამიძე დავით ნიკოლოზის ძე, ღამბაშიძე ტრიფონ გიორგის ძე, გურიელი ვახტანგ დავითის ძე, მაჩაბელი ანემპოდისტე იესეს ძე, 35) მაჩაბელი ზურაბ ანემპოდისტეა ძე, ორბელიანი გიორგი ილიას ძე (გენერალი), იურკეიჩი ვასილ ნიკოლოზის ძე, კაჭახიძე კონსტანტინე ფირანის ძე, რამიშვილი ირაკლი ივანეს ძე, 40) ტურიაშვილი კონსტანტინე ლაზარეს ძე, კვირიკაშვილი პეტრე პავლეს ძე, იაგულაშვილი ალექსანდრე იოსების ძე, კილასანიძე დავით დიმიტრის ძე, იზაშვილი პავლე იაკობის ძე, 45) იზაშვილი ილია იაკობის ძე, ფარფაროვსკი ს. ვ. (მასწავლებელი), ბარიკალაშვილი ივანე, ციციშვილი გიორგი დავითის ძე, ტაყაეაძისა კნ. ოლღა თადეოზის ასული, 50) ფალკანდიშვილი ალექსანდრე დავითის ძე, ჯავახიშვილისა მარიამ და-

ეთის ასული, ამირაჯიბი კონსტანტინე მიხეილის ძე, ქიქოძე ტიტე სვიმონის ძე (ექიმი), ერისთავი მიხეილ გიორგის ძე, ვეზირიშვილი გიორგი დიმიტრის ძე, 56) ღირბი.

№ 33

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, მაისის 27-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე, სამეურნეო. ბანკის დარბაზში (სახსლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი), ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ შემდეგი ნამდვილი წევრები ივ. ჯავახიშვილი, კნ. მარიამ ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა, გენ. გ. მუსხელიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, მღვდ. ი. შუბლაძე, სოფ. შუბლაძისა, იოს. მერკვილაძე, იროდ. სონდულაშვილი, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, მასწავლ. ა. ჯვარიშვილი, გერ. იმნაიშვილი, ვას. რ. ყიფიანი, მღვდ. ქრ. ციციშვილი, პ. სურგულაძე, შიო დედაბრიშვილი, დ. კარიბაშვილი, ი. აბულაძე, მასწავლ. ტ. რცხილაძე, კ. ტყაყაძე, ს. გორგაძე, ივ. აფხაზი, მღვდ. ზაქ. გულისაშვილი, გრ. ყიფშიძე, ალ. ყიფშიძე, ექ. დ. ახვლედიანი, ე. ნაკაშიძე, დეკ. კ. ცინცაძე, მთავარდ. ნ. ოქროშქედლიშვილი.

I. პირველათ კრებას მოხსენდა წინანდელ კრებათა ოქმები, რომელნიც მცირეოდენის შესწორებით (მღვდ. ვას. კარბელაშვილისა და დ. კარიბაშვილის მხრით) კრებამ დაამტკიცა.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა პრიატ-დოცენტის ივ. ალ. ჯავახიშვილის მოხსენება: „საქართველოს ეკონომიური ვითარება მონგოლების დროს“. წინასიტყვაობაში რეფერენტმა შენიშნა, რომ ეს მოხსენება დამთავრებულ შრომას არ წარმოადგენს, იგი მხოლოდ მთელი შრომის ერთი თავის ნაწილიაო. პირველათ მომხსენებელი შეეხო საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას მონგოლების შემოსევიდან მე-XIII საუკუნის დამლევამდე. შემდეგ ვრცლათ შეჩერდა მონგოლების მიერ დაწესებულ ბეგარაზე: ხარკზე და სამხედრო ბეგარაზე. ბოლოს აღნიშნა, რა გავლენა ჰქონდა ამ საბეგრო სისტემას საქართველოს გაღარიბებაზე და მამულების „ამოძრავებაზე“ (გაყიდვაზე, სხვის ხელში გადასვლაზე), აგ-

რეთვე ძველი დიდი გვარების ჩამოქვეითებაზე და მათ ნაცულათ ახალი გვარების გაძლიერებაზე და სხვ.

რეფერატი დამსწრე საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა და თავმჯდომარემ პატივცემულს რეფერენტს მადლობა გადაუხადა. რეფერატს კამათი არ გამოუწვევია.

სალამოს 10 საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დასურა და არაჩვეულებრივი გახსნა.

№ 34

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, მაისის 27-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილისავე თავმჯდომარეობით, სალამოს 10 საათზე, იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

I. პირველათ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა: თავადი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი მუზეუმისათვის ჩვენს საზოგადოებას უთმობს უსასყიდლოთ თავის საკუთარს ერთს დესტინა (2400 ოთხკ. საყ.) მიწას ქართული გიმნაზიის მახლობლათ, ვერაზე. ეს მიწა ბანკში ყოფილა დაგირავებული 12,000 მანეთად. შემომწირველი წინადადებას იძლევა: მიწა „საზოგადოებამ“ ახლავე დაიმტკიცოს, ხოლო ამ ვალის სარგებლის შეტანას ბანკში მევე ვიტვირთებ, როგორც დღემდე მიტვირთნია, სანამ მთელი ვალის გადახდას შევძლებდე; როცა ვალს სრულიად გადავიხდი, მხოლოდ მაშინ ჩამთვალეთ ამ მამულის შემომწირველადო. ეს წინადადება, როგორც თავმჯდომარემ ბრძანა, წერა-კითხვის საზოგადოების მიერ არჩეულს მუზეუმის აღმშენებელ კომისიასაც განუხილავს. განხილულია იგი ჩვენი საზოგადოების საბჭოს სხდომაში და ორგანვე მოწონებულია. კომისიისა და საბჭოს წევრებს ნანახი აქვთ ის ადგილი და მუზეუმისათვის შესაფერად მიჩნიათ. ამ მამულის დამტკიცება თავის სახელზე საზოგადოებას შეუძლია საბოძვარი წვრილით, რაც მცირე ხარჯს მოითხოვს. საბჭო სთხოვს საზოგადო კრებას, ნება დაგვართოს ამ სასარგებლო საქმის შესრულებაზე. მცირე კამათის შემდეგ კრება დარწმუნდა, რომ ეს საქმე საზარალის არაა: წარმოადგენს, პირიქით დიდათ სასარგებლოა, და ერთხმათ

დაადგინა: „საზოგადოების“ საბჭოს მიეცეს ნება აღნიშნული მამული შეიძინოს თავ. პ. ი. თუმანიშვილისაგან და დაიმტკიცოს „საზოგადოების“ სახელზე.

II. შემდეგ კრებამ ალ. სარაჯიშვილისა და ირ. სონღულაშვილის წინადადებით აირჩია შემდეგი ნამდვილი წევრები: მრეველიშვილი გიორგი რომანის ძე, ნასიძე პეტრე ზაქარაის ძე, მესხიშვილისა ოლა ნიკოლოზის ასული, მოწამეთის არქიმანდრიტი ყუბანეიშვილი, ავალიანი დავით, ახვლედიანი გიორგი ალექსის ძე, უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე, კენაძე იასონ, ფურცლაძე ბესარიონ მღვდელი, აბაზაძე ალექსანდრე ლევანის ძე, შიუჯაშვილი ნიკ. ივანეს ძე, გრიგოლაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, მღვდ. ლევან ზაქარიაშვილი, მღვდ. მიხეილ ყულაშვილი, თავ. გიორგი კონსტ. ჩიჩუა, დადიშევილიანი ოთარ თენგიზის ძე, ციციშვილი ივანე გიორგის ძე, ედილაშვილი ზაქარაა ერმალოზის ძე, წვერაევა სამსონ ივანეს ძე, წერეთელი პაეღე გრიგოლის ძე, გორაძე გიორგი თედორეს ძე, ჩხეველი კოსტანტინე, ჭელიძე ივანე ალექსის ძე, ოქრომჭედლიშვილი გიორგი ილიას ძე და ჭყონია სამსონ შერშადინის ძე. ღამის 11 საათზე კრება დაიხურა.

№ 35.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება 1910 წელს, ნოემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა ექვთიმე სვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით თავდაზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ., № 2), საღამოს 8 საათზე. დაესწრენ საზოგადოების წევრნი: ალ. ი. სარაჯიშვილი, მ. გ. ჯანაშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, ი. ი. აბულაძე, მღ. ეას. კარბულაშვილი, დ. გ. კარბიჭაშვილი, ალ. მირიანაშვილი, მღვდ. გ. ასათიანი, ექიმი აბელ იაშვილი, გერას. იმნაიშვილი, იროდ. სონღულაშვილი, ნიკ. მერ. ლორთქიფანიძე, დეკ. დავ. ღამბაშიძე, მასწავლ. ათ. ჯვარიშვილი, ექიმი მიხ. გედევანიშვილი, ვასილ ბ. კახიძე, გრ. თ. ყიფშიძე, თამარ ჩიჯავაძისა, ილია გიორგის ძე კარგარეთელი, ს. რ. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულის მსახიობის ნატალია მჭრამბის ასუ-

ლის გაბუნია-ცაგარლისა და საზოგადოების წევრის გიორგი ივანეს ძის ნატრამის ხსოვნას.

II. შემდეგ ალექსანდრე ივანეს ძემ სარაჯიშვილმა კრებას გააცნო მის მიერ ქართულათ ნათარგმნი ორი ვარიანტი ავარულის სიმღერისა: „ბრძოლა რაჩბადინ-გმირისა ერეკლემეფესთან“⁴. როგორც მოხსენებელმა შენიშნა, ეს სიმღერა ფრიად საყურადღებოა თავისი შინაარსით: იგი გვიხატავს ჩვენი მეზობელი მთიულების განწყობილებას ქართველებთან მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. აქ აწერილი ბრძოლა ერეკლე მეფის ერთი იმ მრავალ ბრძოლათაგანი უნდა იყოს, რომელნიც ქართულ წყაროებში მოხსენებულნი არ არიან. რადგან სიმღერაში ლევან ბატონიშვილია მოხსენებული († 1781 წ.), ამიტომ რეფერენტი ჰფიქრობს, რომ ამ ბრძოლას ადგილი უნდა ჰქონოდა მე-XVIII საუკუნის 70-იანს წლებში. სიმღერა დიდ ინტერესს წარმოადგენს თავისი ფორმითაც: ბევრი მისი ადგილი ნამდვილ-პოეტური შემოქმედების ბეჭედს ატარებს.

მოხსენებამ მცირეოდენი კამათი და აზრთა გაზიარება გამოიწვია.

ე. თაყაიშვილმა შენიშნა: ჩვენთვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორი შეხედულობის იყვნენ და არიან ჩვენი მეზობელნი ხალხნი საქართველოზე და ამ მხრით მოსმენილი რეფერატი საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ეს პირველი მაგალითია ამგვარ თქმულებათა ქართულად გადმოთარგმნისა. უნდა დაიბეჭდოს როგორც ავარული ტექსტი, ისე ქართულიც.

III. დასასრულ კრებამ მოისმინა იუსტიციის ირაკლის ძის აბულაძის რეფერატი: „ბარამ-გულიჯანიანი და რუსთველის პოეტური შემოქმედება“⁵. რეფერენტმა საზოგადოებას მოკლეთ გააცნო „ბარამ-გულიჯანიანის“ შინაარსი, აღნიშნა პარალელური ადგილები ამ ნაწარმოებსა და „ვეფხისტყაოსანში“ და ბოლოს დაასკვნა, რომ ამ ორის ნაწარმოების რომანიული სიუჟეტი არსებითად არ განირჩევა ერთი მეორისაგან, რაც ამტკიცებს იმას, რომ ამ ორ თხზულებას აქვს საერთო წყარო, რომლისგანაც ისინი გამომდინარებენ. თავისი რეფერატის მეორე ნაწილში ბ-ნი აბულაძე შეეხო საკუთრივ რუსთველის პოეტურ შემოქმედებას და, დასასრულ, დაასკვნა, რომ, თუმცა რუსთველს სპარსული სიუჟეტით უსარგებლნია, მაგრამ ის სიუჟეტი არ ყოფილა მაღალ-პოეტური ქმნილება, რუსთველის გენიას კი იგი შეჟუცვლია, გარდაუქმნია და პოეტური შემოქმედების ობოლ მარგალიტად უქცევია.

რეფერატმა აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია.

ე. ს. თაყაიშვილი. როგორც თქვენი მოხსენებიდან სჩანს, „ბარამ-გულიჯანიანის“ დედანი სპარსულენაზე არ მოიპოვება. რაც შეეხე-

ბა იმ გარემოებას, რომ „ბარამ-გულიჯანიანისა“ და „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტები ერთმანეთსა ჰგავს, ეს მსგავსება, ჩემის ფიქრით, უნდა აიხსნებოდეს თვით „ვეფხის-ტყაოსნის“ ძლიერი გავლენით „ბარამ-გულიჯანიანის“ ავტორზე, და არა იმით, ვითომც ორისავე თხზულების წყარო ერთი ყოფილიყოს. ქართულ „ბარამ-გულიჯანიანის“ ავტორზე გავლენა ჰქონია არა თუ ვეფხის-ტყაოსანს, არამედ თეიმურაზ ბატონიშვილის „ვარდ-ბუბულ-ანსაც“ *).

დ. გ. კ ა რ ი ქ ა შ ე ი ლ ი. ბ-ნის აბულაძის რეფერატის მთავარი მნიშვნელობა, ჩემის აზრით, შემდეგია: ამ რეფერატმა ერთხელ კიდევ ნათელ-ჰყო ის აზრი, რომ ის სიუჟეტი, რომლითაც რუსთველს უსარგებლნია, ყოფილა „ბარამ-გულიჯანიანის“ მსკაესი: საშუალო ღირსების თხზულება და არა მაღალ-მაკეტური ქმნილება, როგორც აკადემიკოსს ნიკ. მარსსა ჰგონია.

მ დ ღ ე. ვ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ე ი ლ ი. არ შემიძლია დავეთანხმო რეფერენტის აზრს, ვითომც „ვეფხის-ტყაოსანი“ სპარსულ სიუჟეტზე აგებულს ნაწარმოებს წარმოადგენდეს. რამდენათაც ამ პოემის შინაარსის ღრმა განხილვა გვიჩვენებს, მთელს პოემაში გატარებულია ქრისტიანული ზნეობრივი მოძღვრების უმთავრესი პრინციპები: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. მეგობრისათვის თავის გაწირვა—რა არის, თუ არა ნამდვილ ქრისტიანული სიყვარული? ან კიდევ რით სულდგმულობენ ამ პოემის გმირები თავისი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში, თუ არა ქრისტიანულის სასოებით ღვთისა და მისი განგებისადმი? მოიგონეთ აეთანდრის ლოცვა ტარიელთან დაბრუნების წინ, და ადვილად დამეთანხმებით, რომ მის გულში ღრმა სარწმუნოების გრძნობა ღვივის. მართალია, პოეტს გმირები არაბებად და ინდოელებად გამოჰყავს, მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირია, პოემის დედა-აზრი კი, მთელი მისი შინაარსი, არსებითად, წმინდა ქრისტიანულ პრინციპებზეა აგებული.

მ ო ს ე გ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ი. ძლიერ ვწუხვარ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს მკვლევართა შორის „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ ერთმა არასასურველმა მიმართულებამ მოიკიდა ფეხი: თითქმის ყოველი ახალგაზდა მკვლევარი სცილობს დაამტკიცოს, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოები არაა, და, თუმცა ეს. აზრი ჯერ-ჯერობით ვერც ერთს მათგანს ვერ დაუმტკიცებია, მაინც ყოველი მათგანი თავს მოვალედ რაცის თავისი უხეირო ჰიპოტეზა მთელს ქვეყანას ხმა-მაღლა აცნობნობოს, დაურიდებლათ გაიძახის, სწერს და ბეჭდავს ამის შესახებ, თი-

* ამის შესახებ იხ. Описание рукописей общества грамотности, т. I, стр. 561.

თქმს ამ ეროვნულს თავის დამცირებაში რაღაც სიამოვნებას ჰპოულობსო. მე, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არა ვარ, პირიქით დიდთაჲ თანავუგრძნობ, რომ „ვეფხისტყაოსანს“ რაც შეიძლება მეტი მკვლევარი გამოუჩნდეს, მაგრამ მკვლევარი აუჩქარებელი, დინჯი, რომელიც ასჯერ გაზომავს და ერთხელ გადასჭრის, თავის ჰიპოტეზას მანამ არ გამოჰყენს საქვეყნოდ, სანამ ურყველის ფაქტებით არ ნათელ-ჰყოფს მას და ნამდვილ ქეშმარიტებად აქცევს. თორემ რასა ჰგავს, ბატონებო: ჯერ ჩვენი თავისათვისაც არ დაგვიმტკიცებია ჩვენი ეროვნული სიაწყის („ვეფხისტყაოსნის“) უორიგინალობა და ვიჩქარით კი მთელს ევროპას ვაცნობთ: ნუ გგონიათ, ორიგინალური რამე მოგვეპოებოდეს, რაცა გვაქვს, სულ უცხოელებისგან გვაქვს ნასესხებო! ამგვარი მიმართულება ჩვენთა სიძველეთა კვლევის საქმეში ფრიად მავნებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ არ შემძლია, ამ მოვლენის გამო ჩემი გულითადი მწუხარება არ გამოვსთქვა. დიდათ ეწუხვარ, აგრეთვე, რომ ბროსე-ჩუბინა-შვილის მიერ გამოთქმული და შემდეგ ჩემ მიერ ვრცლათ დასაბუთებულ-თებული აზრი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ დღეს თითქმის ყველასაგან უყურადღებოდ დატოვებულია. ჩემის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველმა თამარის დროინდელი საქართველოს ნამდვილი ისტორიული მდგომარეობა და მეზობელ მუსულმან სახელმწიფოებთან მისი განწყობილება დაგვიხატა: როსტევენი, თინათინ და აუთანდილ—გიორგი მესამე, თამარ მეფე და დავით სოსლანია, ხოლო ტარიელ, რომელსაც აუთანდილი 80,000 ჯარით ეხმარება და ინდოეთის ტახტზე გაამეფებს,—ეს სულთანი ამირ-მირმანია, რომელიც, ტარიელის მსგავსათ, ერთხანად უტახტოთ ვხეტებოდა და, ბოლოს, 80,000 ქართველი მეომრის დახმარებით კვლავ ტახტი დაიბრუნა.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი ე . ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი . არ ეთანხმება მოსე ჯანაშვილს, არც რეფერენტის აზრს, ვითომც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი დაწერილი მოთხრობა ყოფილიყოს. მისი აზრით რუსთაველმა სიუჟეტად ზეპირ-მოარული ამბავი აიღო, მხოლოდ ამ ამბავს ჩაუდგა სრულიად ახალი სული და, აი, სწორეთ ამ „ახალი სულის“ გამორკვევა უნდა შეადგენდეს რუსთაველის უკუდავი პოემის ყოველი მკვლევარის უმთავრეს მიზანს.

ს ე რ გ ე ი ნ ე ს ტ ო რ ი ს ძ ე კ ა კ ა ბ ა ძ ე . კამათის დროს პატიეცემულმა რეფერენტმა, სხვათა შორის, გამოსთქვა აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანსა“ და სარგის თმოგველის „ვისრამიანს“ შორის დამოკიდებულება არსებობსო, ეს გარემოება, ჩემის ფიქრით, დიდათ საყურადღებოა, რადგან ამ ბოლო დროს ჩნდება ისეთი ცნობები, რომელნიც მოწმობენ, რომ დამოკიდებულება თმოგველსა და რუსთაველს შორის უფრო ძლიე-

რი ყოფილა, ვინემ ეს დღემდე ეგონათ. სახეში მაქვს ერთის ზელნაწერი „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლო-მინაწერი, სადაც დაახლოებით შემდეგია ლექსად ნათქვამი: ეს ამბავი სარგის თმოგველს დარჩენოდა გაულექსავი, ხოლო როცა თმოგველობა გაუქმდა (ჩემი ანგარიშით არა უადრეს მე-XIV საუკუნისა), მე (ე. ი. რუსთველმა) ვოვე ეს ამბავი და ლექსად გავაწყეო. ამგვართ ირკვევა, რომ რუსთველს უნდა ეცხოვროს არა თამარის დროს, არამედ მე-XIV საუკუნეში.

ე. ს. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. „ვეფხის-ტყაოსნის“ უძველეს ვარიანტში ეგ მინაწერი არ მოიპოვება. ამას გარდა ძნელი წარმოსადგენია, მე-XIV საუკუნის, ე. ი. კულტურული დაცემის პერიოდის მწერალს შესძლებოდეს რუსთაველური ენით წერა და „ვეფხის-ტყაოსნისთანა“ დიდებული ნაწარმოების შექმნა. ყოველ შემთხვევაში, თუ ამ საგნის შესახებ რეფერატს დაგვიმზადებთ, დიდის სიამოვნებით მოვისმენთ.

სალამოს 10 საათზე თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა და არაჩვეულებრივი გახსნა.

№ 36.

სარაჩეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, სექტემბრის 20-ს

კრება გაიხსნა სალამოს 10 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა მონაწილეობით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

იროდიონ სონღულაშვილის და ალ. სარაჯიშვილის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები:

1. ლობჯანიძე ნესტორ ანტონის ძე, 2. ელიაძე სტეფანე სვიმონის ძე, 3. ჟოსეფ რები (Joseph Reby), 4. კაკაბაძე სერგეი ნესტორის ძე, 5. გელოვანი თავადი იასონ, 6. გელოვანი თავადი ერმალოზ, 7. გამყრელიძე ილარიონ, 8. ეგნატე გიორგის ძე გაბლიანი (ლატალის სოფლის მასწავლებელი სვანეთში), 9. ნიკოლაძე იაკობ ივანეს ძე, 10. დიშკელიანი თავადი ლევან ნიკოლოზის ძე, 11. მღვდელი იოანე სონღულაშვილი.

სალამოს 10¹/₂ საათზე კრება დაიხურა.

№ 37.

**ჩვეულებრივი საზოგადო კრება,
1910 წელს, ოქტომბრის 2-ს.**

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე დაე. გ. კარიჭაშვილის თავმჯდომარეობით თავდაზნაურთა სადემუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2). დაესწრენ შემდეგი ნამდვილი წევრები: ექიმი მიხ. გედევანიშვილი, გენერალი გ. მუსხელიშვილი, ალ. ი. სარაჯიშვილი, ათ. ჯვარიშვილი, პ. მირიანაშვილი, ალ. მირიანაშვილი, ექიმი აბ. იაშვილი, ი. აბულიძე, ს. კაკაბაძე, ქ. ეკატორინე მესხისა, ანასტასია თუმანისვილის-წერეთლისა, ალ. მიქაბერიძე, ე. ხრამელაშვილი, ეგ. იოსელიანი, გერ იმნაიშვილი, დიმ. ფაულენიშვილი, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება

I. პირველათ კრებას მოჰსენდა წინა კრებათა ოქმები, რომელნიც საზოგადოებამ უკამათო დაამტკიცა.

II. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა სერგეი ნესტორის ძის კაკაბაძის რეფერატი: „როლის გარდაიცვალა თამარ-მეფე?“ რეფერენტმა კრიტიკულათ გაარჩია და უარჰყო ვახუშტისა, ბროსესი და თ. ყორღანის თარიღები; შემდეგ შეეხო „ქ.-ცხოვრების“ იმ ადგილს, სადაც თამარის მეფობაზე მოთხრობილი, მოკლეთ აღნიშნა, რომ ეს ადგილი სამი სხვა და სხვა დროის ავტორისგან უნდა იყოს შედგენილი, სახელდობრ ამ ადგილის უკანასკნელი ნაწილი (რომლის ცნობებზედაც დღემდე ჩვენი მკვლევარი ამყარებდნენ თამარის გარდაცვალების თარიღს) უნდა შეედგინოთ არა უადრეს მე-XIV საუკუნისა; მოიტანა ცნობები სომხის ისტორიკოსის ვარდანისა, ლაშა გიორგის გუჯარისა, ორი ახალი ცნობა სიონის საეკლესიო მუზეუმის ქართული ელნაწერისა (თამარი გარდაიცვალა 1211 წელს, 27 იანვარს); შეუდარა ეს ცნობები „ქ.-ცხოვრების“ ცნობებს თამარის მეფობის შესახებ და საბოლოოთ დაასკვნა, რომ თამარი უნდა გარდაცვალებულიყოს 1211 წელს, 27 იანვარს.

რეფერატის შემდეგ გაიმართა მცირე კამათი. ილაპარაკეს პეტრე გრ. მირიანაშვილმა და დაე. კარიჭაშვილმა. უკანასკნელმა შენიშნა, რომ, თუმცა ბ-ნ კაკაბიძის მიერ დადგენილი თარიღი თამარის გარდაცვალები-

სა წინანდელ თარიღებთან შედარებით უკეთ არის დასაბუთებული, მაგრამ ვერც ეს თარიღი ჩაითვლება უკანასკნელ სიტყვად აღნიშნული საგნის შესახებ; მიუხედავად ამისა რეფერენტის მოხსენება ფრიად მნიშვნელოვან ცდას წარმოადგენს, რისთვისაც მომხსენებელი მადლობის ღირსიაო.

ბოლოს რეფერატი უნდა წაეკითხა ბ-ნს იუსტ. ირ. აბულაძეს, მაგრამ, რადგან უკვე 10 საათი იყო, ხოლო მისს რეფერატსა და შემდეგ კამათს სულ მცირე ორი საათი მაინც დასჭირდებოდა, კრებამ უმჯობესად სცნო ამ რეფერატის წაკითხვა სხვა დროისათვის გადაეღო. ამიტომ თავმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახურა და არა-ჩვეულებრივი გახსნა.

№ 38.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, ოქტომბრის 2-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 10 საათზე დაე. კარიკაშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვალ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

კრებამ ს. გორგაძისა და დაე. კარიკაშვილის წინადადებით აირჩია ახალი ნამდვილი წევრი—ვართაშენის მღვდელი მამა ვლადიმერ ივანიცკი. საღამოს 10 საათსა და 10 წუთზე კრება დაიხურა.

№ 39.

წლიური კრება.

1910 წელს, ნოემბრის 21-ს.

კრება გაიხსნა ნაშუადღევს პირველი საათის ნახევარზე, ექ. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2).

დაესწრენ შემდეგი ნამდვილი წევრები: ექიმი მიხეილ გედევანიშვილი, შ. დედაბრიშვილი, გრ. ყიფშიძე, გენერალი გიორგი ნ. ყაზბეგი, დ. გ. კარიკაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ყიფშიძე, ი. აბულაძე,

პ. იეზოვი, ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე, პ. როსელიანი, მღვდ. პ. კარბელა-
შვილი, იოს. მერკვილაძე, ივ. დ. აფხაზი, შინ. ლ. ჯინორიძე, ეგნ.
იოსელიანი, ტარასი რეხილაძე, თავ. ვლადიმერ მაცაშვილი, იროდ.
სონღულაშვილი, ექიმი აბ. იაშვილი, ს. ჭყონია, ივანე გ. რატიშვილი,
მღვდ. არჩილ გორგაძე, კოსტ. ტყეაძე, ანტ. ივ. ნატროშვილი, კ. ზ.
მაცაშვილი, სე. კლდიაშვილი, მოსე გ. ჯანაშვილი, ირაკლი რამიშვილი,
ალ. ბეს. მდივანი, ბ-ნი დაკიშვილი, ვახტ. დ. ლაშვაშიძე (ექიმი), დავ.
ჯორჯაძე, ვლად. ელიავა, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე და გარეშე
საზოგადოება.

1. პირველათ, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგომით
პატივი სცა საზოგადოების აწ გარდაცვალებულის წვერების გაბრიელ
საყვარელიძისა და ელისაბედ ნიკოლოზის ასულის ყაზბეგის ხსოვნას.

II. შემდეგ კრებას მოხსენდა: 1) საზოგადოების 1909 წლის მოქ-
მედების ანგარიში*, 2) იმავე წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში, 3)
1910 წლის საეკლესიო ანგარიში შემოსავალ-გასავლისა და 4) სარევი-
ზიო კომისიის აქტი, რომელნიც აქვე მოგვაქვს:

ა ნ ტ ა რ ი ძ ი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოე- ბის მოქმედებისა 1909 წელს.

I. საზოგადოების გამგებობა. 1909 წელს საზოგადოების საქ-
მეს განაგებდა საბჭო, რომელსაც შეადგენდნენ: 1) თავმჯდომარე საბჭო-
სი და საზოგადოების ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი, 2) თავმჯდო-
მარის ამხანაგი დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი, 3) ხაზინდარი ალექ-
სანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, 4) მდივანი სერგი რომანოზის ძე გორ-
გაძე, 5) მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, 6) დეკანოზი კალისტრატე ცინ-
ცაძე, 7) მღვდელი პოლიექტოს კარბელაშვილი, ხოლო, როცა იგი
თბილისიდან გადაიყვანეს, მის მაგივრათ ერთი სამ კანდიდატთაგანი—
დეკანოზი კორნელი კვეციანი, 8) ალექსანდრე თედორეს ძე ყიფშიძე,
და 9) იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე. საანგარიშო წელს საბჭოს ჰქონ-
და 12 სხდომა.

II. საზოგადოების წევრები. 1909 წლის დამდევს საზოგადო-

* შემოშწინებულთა სიებით.

ეხას ჰყავდა: 1. საპატია, 435 ნამდვილი და 20 დამხმარე, სულ 455 წევრი. საანგარიშო წელში შეიძინა 76 ახალი ნამდვილი და 1 დამხმარე წევრი, ხოლო დაქარგვა სამი ნამდვილი წევრი: 1) ეპისკოპოსი პეტრე, 2) თავადი დავით ზაქარის ძე მელიქიშვილი (დამფუძნებელი) და 3) გრიგოლ ვოლსკი. ერთი ნამდვილ წევრთაგანი, პროფესორი ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი, საზოგადოებამ აირჩია საპატია წევრად (იხ. ოქმი № 24).—1910 წლის პირველი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა: 2 საპატია, 507 ნამდვილი და 21 დამხმარე, სულ 528 წევრი.

III. საზოგადოების აგენტები. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყავდა აგენტები: 1) ქუთაისში—იოსებ იოსების ძე ოტხელი, რომელსაც, მისი თხოვნის თანახმად, საბჭომ დაუნიშნა თანაშემწედ რადენ დათეშიძე (საბჭ. ოქმის № 41); 2) ბათუმში—ტროფიმე გიორგის ძე ინაქაჩიძე, 3) ბაკოში—ივანე სპირიდონის ძე ვლიაშვილი, 4) კავკავში—თავ. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, 5) ართვინში—ექიმი ნიკოლოზ თომას ძე ერისთავ-შარვაშიძე და 6) მოსკოვში—ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი.

IV. საზოგადოების კრებანი. 1909 წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 12 საზოგადო კრება (ხუთი ჩვეულებრივი, ექვსი არაჩვეულებრივი და ერთი წლიური). ამ კრებებზე წარმოებენ მოხსენებანი და რეფერატები შემდეგმა პირებმა:

1. მიხეილ ქაიხოსროს ძემ ყიფიანმა: „წაცვალსახელოვანი ელემენტები ქართულს ენაში და მათი მნიშვნელობა სიტყვებისა და ბრუნვების წარმოებაში“ (ოქმი № 19).

2. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა: „ქალაქის მოურავის სარგო და უფლებანი“ (ოქმი № 19).

3. მანვე: „ზაალ ორბელიანის არზა ირაკლი მე-III-ისადმი“ (ოქმი № 21).

4. ალექსანდრე სოლომონის ძემ ხახანაშვილმა: „სახელების შემოკლება უძველეს ქართულ ხელნაწერებში“ (ოქმი № 21).

5. იუსტინე ირაკლის ძემ აბულაძემ: „არსის-წაცვალებრივი ელემენტების როლი ქართულ კანკლეობაში“ (ოქმი № 21).

6. სერგეი ნესტორის ძემ კაკაბაძემ: „მეფის კურთხევის წესი და განგება მე-XIII საუკუნეში“ (ოქმი № 23).

7. მანვე. „კრიტიკა მე-XXIV—XXV საუკუნის იმერეთის მწვეთა ან მიღებულ გენეალოგიისა“ (ოქმი № 25).

8. მოსე გორგის ძემ ჯანაშვილმა: „სტოვრება ზარზმის ტაძრის აღმაშენებლის სერაპიონისა“ (ოქმი № 27).

9. დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ: „ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობის სამეცნიერო მნიშვნელობა“ (ოქმი № 27).

10. სერგი რ. მ. გორგაძემ: „მირიან-მეფე და მისი უახლოესი მემკვიდრეები“ (ოქმი № 29).

V. საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმი. საანგარიშო წელს საზოგადოებრივ მუზეუმში და წიგნთსაცავი თან და თან მდიდრდებოდა საბჭოს მიერ შეძენილის და სხვა და სხვა პირთაგან შემოწირულის ნივთებითა და წიგნებით. მუზეუმში 1908 წლის დამლევს იყო 24 საარქეოლოგიო ნივთი, 1909 წლის განმავლობაში შემოვიდა 55 ნივთი, გახდა სულ 79 ნივთი *). ამავე წლის განმავლობაში მუზეუმში შემოვიდა „237“ ძველი ფული.—წიგნთსაცავში 1908 წლის დამლევს იყო 44 ხელთნაწერი წიგნი. 1909 წელს შემოვიდა 107, გახდა 151 წიგნი **); 1908 წლის დამლევს იყო 100 სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი („113“ ცალი); 1909 წელს შემოვიდა 145 სხვა და სხვა სახელწოდებისა („265“ ცალი); გახდა სულ 245 სახელწოდება („378“ ცალი ***). ამავე წელს საზოგადოებამ შეიძინა მრავალი სიგელ-გუჯარი.

VI. საზოგადოების ზამოცემანი. საანგარიშო წელს საზოგადოებამ გამოსცა: ა) „საქართველოს სიძველენი“ ტ. II, ბ) დიდი პალეოგრაფიული ალბომი და გ) კრებული „ძველი საქართველო“ ტ. I. ეს გამოცემანი უსასყიდლოდ დაურიგდა საზოგადოების ნამდვილ წევრთ, ვისაც 1908 და 1909 წლის საწევრო გადასახადი ჰქონდა შემოტანილი.

VII. საარქეოლოგიო მოგზაურობანი. 1909 წელს საზოგადოების თავმჯდომარემ და ხაზინადარმა იმოგზაურეს ქართლის სხვა და სხვა სოფელში: ახალქალაქში, დოესში, ოთარქენში, მუჯერისხეში, იკორ-

*) დღეს კი, ამ ანგარიშის კითხვის დროს, მუზეუმში 140-მდე საარქეოლოგიო ნივთია.

**) დღეს კი წიგნთსაცავში 200-მდე ხელთნაწერია.

***) ამჟამად კი ნაბეჭდი წიგნების რიცხვი წიგნთსაცავში 460 სახელწოდებად (ანუ „680“ ცალიმდე) აღწევს.

თაში, ხელთუბანში, ქალაქ გორში, კასპში, ლამისყანაში, ოძისში, ქსო-ერისში და მუხრანში (იხ. საბჭოს ოქმი № 37 და № 38); შეჭკრიბეს მრავალი სიგელ-გუჯარი, რამდენიმე ხელთნაწერი წიგნი და საარქეოლო-გიო ნივთი. ამ მოგზაურობამ ცხად ჰყო, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში, ქართულს ოჯახებში, მრავალი სიგელ-გუჯარი და საარქეო-ლოგიო ნივთია, მაგრამ უყურადღებოდ მიტოვებულია: წიგნებს ბშირათ თაგვები სტამენ, ან წვიმა და მტვერი აფუჭებს. საჭიროა მთელი საქარ-თველოს მოვლა და ამ ძვირფასი საუნჯის პატრონობა, თორემ დღევან-დელ პირობებში ადვილ შესაძლოა ეს დაუფასებელი საუნჯე სამუდამოთ დაიღუპოს.

1909 წლის შემომწირველთა სია.

ა) საარქეოლოგიო ნივთები:

1. ივანე თევდორეს ძემ ნიქარა ძემ შემოსწირა—საპირის-წამლე (სვანეთიდან).

2. რაქდენ დათეშიძემ: ა) უტარო რკინის ხმალი, ბ) უტარო შუბი, გ) ყურიანი ქოთანა.

3. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა: ა) შუშის სა-ცრემლე და სადაფები, ბ) ხუთკუთხედი აგური ხუცური წარწერით, გ) ქვის ლორთინი, რომელზედაც არჩილ მეფის გუჯარია წარწერილი, დ) მარმარილოს პატარა ფიცარი მხედრის სურათით, ე) სპილენძის შანდლის თავი, ვ) სალესი ქვა, ზ) ხის კარის ორი სამკაული, ც) პატარა დასა-კეცი ხატის ცალი კარი, თ) ობსიდიანის იარაღების ნატეხები (წალკაზე შეკრებილი).

4. მიხეილ სვიმონის ძემ ზედგინიძემ: ა) ბრინჯაოს პა-ტარა ცული, ბ) ქვის პატარა ცული, გ) ქვის ჩაქუჩი, დ) სადაფის ფირ-ფიტა, ე) სპილენძის საჭრაქე, ვ) სპილენძის ჭურჭლის თავი, ზ) თიხის კოკობი, ც) თიხის საჭრაქე, თ) თიხის საცრემლე, ი) სპილენძის ბალთა ცხენის სამკერდულისა, ია) რკინის პატარა უტარო ხანჯალი, იბ) ივე-თივე უფრო პატარა ხანჯალი, იგ) ხანჯლის ტარისა და ქარქაშის სპი-ლენძის მორთულობა, იდ) ორი ისრის პირი (რკინისა და სპილენძისა),

იე) ბრინჯაოს სამაჯურების ნამტვრევები. ივ) მამონის კბილების ნამტვრევები.

5. ილარიონ გამყრელიძემ: ა) სპილენძის პიტარა ცული, ბ) სპილენძის სამაჯურის ნატეხები.

6. თავ. დავით ზურაბისძემ ანდრონიკა შვილმა: ვერცხლით შეჭედილი და პატარა წითელის ქვით შემკული ხის ჯვარი.

7. სეთ ლუარსაბისძემ იაშვილმა: ა) ბრინჯაოს პატარა ცული, ბ) ბრინჯაოს სამაჯურები, გ) ბრინჯაოს დიდი ქინძისთავი, დ) რკინის ორი ლურსმნისა და ბურღის ნატეხები—ყველა ს. ჭიათურაშია ნაპოვნი.

8. თავ. თათარხან თენგიზისძემ დადიშკელიანმა: ხის „დასტაგი“ (სვანეთიდან).

9. კენიანამ ნინო ყოლოყაშვილისამ: ა) სპილენძის ერთი წყვილი დიდრონი უზნაგი, გარდამოცემით დავით აღმაშენებლისა, და ბ) ბრინჯაოს პატარა ლომი.

10. კნ. ბარბარე იაკობის ასულმა ერისთავისამ: ა) მარიამ ბატონიშვილის (სოლომონ II-ის ქალის) ნაშთი ჯვარი, ბ) მისივე ნაშთი—თითბრის ყავის საფქვევი, გ) ვარლამ ექსარხოის ნაქონი ფაიფურის ჯამი, დ) მისივე ნაქონი აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ტილო, ე) მისივე ნაქონი, თეთრი ძაფით ნაქარგი, პირსახოცი და კვერთხის ჩამოსაცმელი, ვ) ლეჩაქის პრესი.

11. ექიმმა ნიკოლოზ თომასძემ ერისთავ-შარვაშიძემ: ა) ყურიანი თიხის კოჭობი და სხვა და სხვა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბ) პირმომტვრეული თიხის კოჭობი—ყველა ართვინის მაზრაში, ფორჩხის ციხეშია ნაპოვნი.

12. თაყაძმა ვასილ ალ. თარხნიშვილმა: ა) რკინის ხანჯლის პირი, ბ) რკინის ლაგამი. გ) ბრინჯაოს რგოლი.

13. ივ. ალ. ზედგინიძემ: ა) თიხის ლიტრა, ბ) იგეთივე ლიტრა.

14. თავ. იოსონ დავითისძემ ციციშვილმა: ხატი მეფე არჩილისა, დავით-აღმაშენებლისა და ლუარსაბისა (ეს ხატი ანტონ II-ის ნაქონი ყოფილა და შემდეგ ერეკლე მეფის ასულს მარიამ ბატონიშვილს, ესტატე ციციშვილის დედას, ჰქონია).

გ) ხელნაწიები წიგნები:

1. ქ-ნმა ალექსანდრე მირზაშვილისამ (მიხეილ საბინინისეული წიგნთსაცავიდან): ა) ოზითა წმიდისა ნინოსი, ბ) ნაწილი წმ. გიორგის ცხოვრებისა, გ) ნაწილი ლექსთა კრებულისა, დ) ნაწილი ზნეობრივი შინაარსის კრებულისა, ე) „Предисловіе“ (о Грѣшн) — რომელიდაც ზომისა.

2. აფრასიონ კოსტანტინეს ძემ ჯაფარიძემ — „როსტომიანი“.

3) თ. გიორგი ოთარის ძემ ამილახვარმა ა) „ზამეტყველება“ ანტონ I-ისა, ბ) ლექსთა კრებული, გ) ირაკლი II-ისა და ეკატერინე II-ის ხელშეკრულება (ქართულათ).

4. ალექსანდრე ილარიონის ძემ მიქელაძემ — „წიგნი საზღვართა“ დავით ფილოსოფოსისა.

5. ალექსანდრე სეიმონის ძემ ჯამრეკელმა — „სამეფო ქარტა ანუ ტომარი“.

6. პოლკოვნიკმა დიმიტრი ივანეს ძემ ამილახვარმა და მისმა მეუღლემ ანატოლსა რევაზის ასულმა: ა) „როსტომიანი“, ბ) ნაწილი „თომარაიანისა“ და „ხობრძე-სიყურისა“, გ) ნაწილი „ეფთრამიანისა“, დ) „შეკობრე-შუამავალი“.

7. ალავერდის ეპისკოპოსმა დავითმა — ზურათიანი „დავითი“.

8. ზურაბ აბდუშელიშვილმა: ა) „ყარამაიანი“, ბ) „ბარამიანი“.

9. მონაფემ ვასილი ციციკიშვილმა: ა) „სამთვარიო და საეტლო“, ბ) „ანბანთ კება“, გ) მოთქმა მოძღურისა მიერ იმერთ მეფეს სოლომონსა ზუდა (ლექსად), დ) ზეუფლი ასომთავრული.

10. კნეინა მარიამ გიორგის ასულმა ავალიშვილისამ: ა) საბა ორბელიანის „ლექსიკონი“, ბ) ჯამნი, გ) თთენი, თ) კრებული ხალეთისმეტყველო წერილებისი, ე) საეკლესიო წესთა წიგნი.

11. კნ. ანნა ალექსანდრეს ასულმა ამილახვარისამ — „დაუჯდომელი“.

12. იოსებ მერკვილაძემ — „ყოვლადწმიდის მიცვალება“.

13. ხ ა ქ ა რ ი ა კ ი კ ი ნ ა ძ ე მ — სხვა და სხვა ლექსთა კრებულ .

14. ალექსანდრე ივანეს ძემ ხ ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ მ ა : ა) «Материалы по вопросу объ устройствѣ областей Кавказскаго Края съ мусульманскимъ населеніемъ», ბ) «Краткій взглядъ на Кавказскій Край въ промышленномъ и торговомъ отношеніи».

15. თავ. ვასილ ალექსანდრეს ძემ თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ მ ა და მის-
მა დამ ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა თ ა რ ხ ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა მ : ა) საღმრთო წერილის სხვა და სხვა ადგილები ქრისტეს შესახებ, ბ) იოანე დამასკელის „სიტყვა ღვთისმცობლის შობასა ზედა“, გ) „სტოფრება და ქადაგება მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა“, დ) „დიდმოფრაეიანი“. ე) „სამეფო ტომარი“, ვ) ნაწილი „მილორდიანისა“, ზ) ნაწილი „მარიამ ეგვიპტელის (ხოვრებისა“, ი) „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონი“.

16. თეოდორე პავლეს ძემ რ ა ხ ი კ ა შ ვ ი ლ მ ა : ა) სხვა და სხვა ლექსთა კრებულები, ბ) სხვა და სხვა შინაარსის „კრებული“ (შვიდ რვეულად), გ) ხალხური ლექსები და დ) „ტასო შეშლილი“ — გიორგი ერისთავის პოსედიან.

17. კენინა ელისაბედ დავითის ასულმა ვ რ ი ს თ ა ვ ი ს ა მ — „კარაბაღინი“ და მასთან ერთად „ქვირფას თვალთათვის“.

ბ) ნახმარები წიგნები:

(სხვა და სხვა სახელწოდებისა ქართულსა და უცხო ენებზედ)

1. იაკობ სვიმონის ძემ ზედგინიძემ	2 ცალი.
2. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა	2 "
3. ეკატერინე იოსების ასულმა იურიევისამ და ელისა- ბედ იოსების ასულმა ფიცხელაურისამ.	70 "
4. ნიკოლოზ იაკობის ძემ მარამა	6 "
5. ვლადიმერ სტეფანეს ძემ შიქელაძემ	1 "
6. სერგი რომანოვის ძემ გორგაძემ	1 "
7. დიმიტრი არაყაშვილმა	1 "
8. ალექსანდრე ივ. ხარაჯიშვილმა	77 "
9. ალექსანდრე სვიმონის ძემ გამრეკელმა	7 "

10. მღვდელმა იოანე გვარამაძემ 1 „
 11. მღვდელმა ვლადიმერ გველიშვილმა 1

დ) ძველი ფულიანი:

1. მიხეილ სვიმონის ძემ ზე დ გ ი ნ ი ძ ე მ: ა) 79 ვერცხლის ფული (აქათში: 1 კოლხიდური, 5 რომაული, 8 სასანიდური, 2 არშაქიდული, 21 რუსულ-ვეროპული, 33 მუსულმანური და 9 რუსულ-ქართული); და ბ) 80 სპილენძის ფული (აქათში: 18 ქართული, 5 ბიზანტიური, 31 მუსულმანური და 31 რუსულ-ვეროპული).

2. ეფემია გრიგოლის ასულმა გიორგიევისამ 25 სპილენძის ფული.

3. მოწაფემ ცხოვრება შევიღმა—ნ სპილენძის ფული ლაშა-გიორგისა.

4. მღვდელმბ პოლიეექტოს კარბელაშვილმა—ოთხი ვერცხლის ფული (ორი ქართული და ორი ბიზანტიური) და ხუთი სპილენძისა (ორი ქართული და სამი მუსულმანური).

5. ვლადიმერ სვიმონის ძემ ხუციშვილმა—ოთხი ვერცხლის ფული (1 ქართული, 1 ფრანგული და 2 მუსულმანური)

6. ექიმმა ვახტანგ დავითის ძემ ღამბაშიძემ—სოფ. ატენში ნაპოვნი შეედური სპილენძის ფული მე-XVII საუკუნისა.

7. ბ-ნმა იოსებ ქუთათელაძემ—ერთი სასანიდური ვერცხლის ფული (საზოგადოებას გადმოსცა ექიმმა ვახტანგ ღამბაშიძემ).

8. კნეინა ნინო ჩოლოყაშვილისამ—4 ძველი ფული (ორი ქართული და ორი მუსულმანური).

9. თავ იასონ დავითის ძემ ციციშვილმა: 27 სპილენძისა და ერთი ვერცხლის ფული

10. ზურაბ აბდუშელიშვილმა: ერთი სასანიდური ვერცხლის ფული.

ე) სიხელ-გუჯრები და მიწერ-მოწერა.

1. თავადმა არსენ ივანეს ძემ ბებუთაშვილმა—50 წერილი ირაკლი II-ისა, გიორგი XII-ისა, იულონისა, ალექსანდრე ბატონიშვილისა და დარეჯან დედოფლისა.

2. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა — მრავალი სიგელ-გუჯარი.

3. კოსტანტინე დიმიტრის ძემ ეგაძემ — ორი მისი საგვარეულო გუჯარი.

4. სერგ. რ. გორგაძემ — შვიდი გუჯარი.

5. იოსებ მერკვილაძემ — ორი გუჯარი.

6. თავ. ვასილ ალექსანდრეს ძემ თარხნიშვილმა და მისმა დამ ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა თარხნიშვილისამ — მრავალი სიგელ-გუჯარი, წერილები და მიწერ-მოწერა.

7. თავ. რევაზ ერისთავმა — რამოდენიმე სიგელ-გუჯარი.

8. თავადის ასულმა ბარბარე თუმანიშვილისამ — რამოდენიმე სიგელ-გუჯარი.

9. კნ. ერისთავისამ — რამოდენიმე სიგელ-გუჯარი.

10. თავ. გიორგი ოთარის ძემ ამილახვარამ — რამოდენიმე სიგელ-გუჯარი.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1909 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

1. კ ა ს ა

1 იანვარს 1909 წ. იყოს	10 მ. 85 კ.	
1909 წლის განმავლობაში შემოვიდა	<u>5307 — 81</u>	5318 — 66
„ „ „ „ გავიდა		<u>5255 — 39</u>
1 იანვარს 1910 წ. დარჩა		63 — 27

II. სახელდახელო ანგარიში

1 იანვარს 1909 წ. იყო სამეურნეო ბანკში	601 — 94	
წლის განმავლობაში მიემატა	2104 — 98	
ზედ შეეკცა 1909 წ. სარგებელი (4 ⁰ / ₁₀₀)	<u>12 — 82</u>	2726 — 28
წლის განმავლობაში გამოტანილია		<u>2320 — „</u>
1 იანვარს 1910 წ. დარჩა სამეურნეო ბანკში		406 — 28

III. % ძალაღებები

1 იანვარს 1909 წ. იყო 10 ას-მანეთიანი 5 ⁰ / ₁₀₀ - იანი გირავნობის ფურცელი ტფილისის სა- თავადაზნაურო ბანკისა	683—80
წლის განვალლობაში ნაყიდა იმავე ბანკის და იმავე ღირსების 4 ფურცელი	<u>322—</u> „
1 იანვარს 1910 წ. დარჩა 14 გირავნობის ფურ- ცელი	1005—80

IV. % ძალაღებების სარგებელი

1 იანვარს 1909 წ. იყო კუპონებისა	23—75
მიეცა 1909 წ. ნაყიდის გირავნობის ფურცლე- ბის კუპონებისა	2—50
ამავე წელს მიემატა	<u>49—75</u> 76—
მიღებულია წლის განმავლობაში.	<u>47—50</u>
1 იანვარს 1910 წ. დარჩა მისაღები	28—50

V. კაედიტორიკები

ნასესხია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო- გადოებისაგან წიგნების დასაბუჭლად	600—
1 იანვარს 1910 წ. დარჩა.	600—„

VI. წიგნების ბეჭდვა

დაიხარჯა წიგნების ბეჭდვაზე	2630—32
მიღებულია 890 ცალი „საქართველოს სიძვე- ლენისა“ II ტ.	910—67
„ 650 ცალი „ძველი საქართველოსი“ I ტ.	<u>929—65</u> 1840—32
მისაღებია წიგნები	790—„

VII. შემოსავალი

თანხების სარგებელი	62—57
წლიური საწევრო გადასახადი	642—„

შემოწირულობა	1329—50	
ლექციები	186—58	
დაბრუნებული ხარჯი (საფოსტო)	<u>13—32</u>	
		<u>2233—94</u>

VIII. მასხვარი

საკანცელარიო ხარჯი	149—96	
საფოსტო	99—38	
სამგზავრო	77—40	
ბიბლიოთეკა	229—10	
მუზეუმი	151—75	
ლექციების გამართვა	155—16	
მოსამსახურეებს	41—	
1/10 კადალდების შენახვა	1—45	
ინვენტარი	10—73	
დაურიგდა წევრებს 443 ცალი წიგნი	545—49	
სხვა და სხვა ხარჯი (მუზეუმის 2 ჯერ გადატანა)	<u>21—55</u>	1488—97
შემოსავალს გადარჩა		<u>750—97</u>
		<u>2233—94</u>

IX. იწვევები

1 იანვარს 1909 წ. იყო	40—05	
წლის განმავლობაში შეძენილია	<u>67—20</u>	107—25
გამორიცხულია 10% ღირებულებისა		<u>10—73</u>
1 იანვარს 1910 წ. დარჩა		96—52

X. წიგნები

შემოვიდა: 890 ც. „საქართველოს სიძველენისა“ II ტ.	910—67	
„ 650 ც. „ძველი საქართველოსი“ I ტ.	<u>929—65</u>	1840—32
დაურიგდა წევრებს: 220 ც. „საქართველენისა“ II ტ.	226—60	
„ 223 ც. „ძველი საქართველოსი“ I ტ.	318—89	

გაიყიდა	12—40	
გაეგზავნა აგენტს საკომისიოდ ათ-ათი ცალი .	24—53	582—42
1 იანვარს 1910 წ. დარჩა 1073 ცალი.		1257—90

IX აგენტები

გაეგზავნა ქუთაისის აგენტს: 10 ც. „საქართ სიძველ.“ II ტ.	10—23	
„ 10 ც. „ძველ. საქართ.“ I ტ.	14—30	24—53
1 იანვარს 1910 წ. დარჩა.		24—53

XII. მართლმადიდებელი საზოგადოებების გადასახადი

1 იანვარს 1909 წ. იყო.	500—„
წლის განმავლობაში მიემატა .	150—„
1 იანვარს 1910 წ. არის.	650—„

XIII. სახარჯო თანხა

1 იანვარს 1909 წ იყო	1671—83
წლის განმავლობაში მიემატა	750—97
1 იანვარს 1910 წ. დარჩა	2422—80

აქტივი	XIV. ბალანსი	პასივი
კასა	63—27	კრედიტორები 600 — „
სახელდახელო ანგარიში	406—28	ერთდროული საწევრო
„ ქალაქები	1005—80	გადასახადი 650—„
% ქალაქების სარგე-		სახარჯო თანხა 2422—80
ბელი	28—50	
წიგნების ბეჭდვა	790—„	
ინვენტარი	98—52	
წიგნები	1257—90	
აგენტები	24—53	
	3672—80	3672—80

1909 წლის სავარაუდო ანგარიშის ასრულება

I შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

1909 წლისათვის მოველოდით თანხების სარგებელს 70 მან., შემოვიდა 62 მ. 57 კ — 7 მ. 43 კ ნაკლებ. დააკლდა სახელდახელო ანგარიშის სარგებელს, იმიტომ რომ თანხა დიდხანს არ შენახულა სამეურნეო ბანკში,

წლიური საწევრო გადასახადი ნავარაუდვეი იყო 800 მან. შემოვიდა მხოლოდ 642 მ. და ისიც დიდის გაჭირვებით. ქალაქს გარეთ მცხოვრებს წევრებს ვუგზავნიდით ფას დადებით კვიტანციებს. გავგზავნეთ 67 კვიტანცია, მოგივიდა 42 კვიტანციის ფული, 25 კი დაგვიბრუნეს. ერთდროული საწევრო გადასახიდიც ნაკლებ შემოვიდა, მხოლოდ 150 მ. სამის წევრისაგან

სამაგიეროდ 1329 მ. 50 კ. შემოწირულობამ ბევრად გადააჭარბა ნავარაუდევს 200 მან. ამ შემოწირულობიდან უმეტესი ნაწილი 1000 მ. თავად-აზნაურობის შემწეობაა.

წიგნების გაყიდვიდან მოველოდით 100 მან., მაგრამ შემოვიდა მხოლოდ 12 მ. 40 კ.; ამას იქით წიგნების გაყიდვის დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს. ისეთი საქონელი არ არის ჩვენი გამოცემანი, რომ ერთბაშად დაიტაცონ. ჩვენის წიგნების გავრცელებას აბრკოლებს ჯერ მათი სიძვირე, და მერე ისა, რომ მათი მკითხველი ჩვენის საზოგადოების წევრიცაა.

II. გ ა ს ა ვ ა ლ ი

ნავარაუდევს საკანცლარიო ხარჯს 140 მანათს ბევრად არ გაცილებდა 1909 წელს დახარჯული 149 მან 96 კ.

საფოსტო ხარჯიც 90 მან 38 კ. თითქმის იგივე იყო, რამდენიც ეივარაუდეთ, — 100 მან.; მოსამსახურეების გასამრჯელოდ 41 მან დაიხარჯა, ნავარაუდვეი იყო 60 მან.

სამგზავრო ხარჯის 100 მან. ნავარაუდვეიდან დაიხარჯა მხოლოდ 77 მან. 40 კ.

წიგნების ბეჭდვის ხარჯს მოველოდით 1000 მანათამდე, მაგრამ დაიხარჯა მხოლოდ 790 მან.

სამაგიეროდ წიგნების და ნივთების შესაძენად დაეხარჯეთ 380 მან. 55 კ. ნაფარუდები გვექონდა 260 მან.

ბოლოს და ბოლოს 1909 წ. ნამდვილი შემოსავალი აღემატება ნაფარუდებს 542 მანათით და 15 კაპეიკით, და ნამდვილი ხარჯი ნაფარუდებზე ნაკლებია 208 მანათით და 82 კაპეიკით.

საფარაულო ანგარიში 1910 წლის შემოსავლისა და გასავლისა

შემოსავალი	გასავალი	
1909 წლის დარჩენილი.	469—55 საკანცელარიო ხარჯი.	300—„
თანხების სარგებელი	79—„ საფოსტო „	100—„
საწვერო გადასახადი .	700— ს. მგზავრო „	20—„
შემწეობა თავდაზნაუ- რობისაგან .	წიგნების გამოცემა	1200—„
შემოწირულობა .	ნივთების და წიგნების შეძენა.	400 —„
	ინვენტარი .	260 —„
	მოსამსახურეები.	50—„
	მოულოდნელი ხარჯი .	18 - 55
2348—55		2348—55

საფარაულო ანგარიშის განმარტება

1. შემოსავალი

ა.—1910 წ. 1 იანვრისათვის ნაღდი ფული იყო: კასაში 63 მან. 27 კ. და სახელდახელო ანგარიშზე 406 მ. 28 კ., სულ 469 მ. 55 კ., რომელიც შეტანილია საფარაულო ანგარიშში როგორც 1909 წ. დანარჩენი.

ბ.—ჩვენა გვაქვს 1400 მანათის ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის 5⁰ ი-იანი გირავენობის ფურცლები, რომლის კუპონებმა წრეულს უნდა მოგვეცეს,—სახელმწიფო გადასახადის გამოკლებით,—66 მ. 50 კ. სამეურნეო ბანკში სახელდახელო ანგარიშით მიბარებულის თანხისაგან 1909 წ. შემოვიდა 12 მ 82 კ. სარგებელი (4⁰/₆), 1910 წელშიაც რომ ამდენივე შემოვიდეს, სულ თანხების სარგებელს უნდა მოველოდეთ 79 მანათამდე.

გ.—შარშან წლიური საწევრო გადასახადი შემოვიდა 642 მ.; რადგანაც წევრების რაოდენობამ იმატა, იმედია წრეულს საწევრო გადასახადი 700 მანათს ქვეით არ ჩამოვა.

დ.—ეს ორი წელიწადია რაც თავდა-აზნაურობა გვაძლევს შემწეობას: 1908 წელს მოგვცა 3000 მან. (ამ ფულიდან 20¹/₁₀ მ. განსაკუთრებით ნუმისმატიურის კოლექციის შესაძენად) და შარშან 1000 მ.; წრეულსაც ვითხოვეთ შემწეობა და სრული იმედი გვაქვს, რომ თავდა-აზნაურობა ახლაც გავვიძლია თავს ხელს ჩვეულებრივის სიუხვით. ხოლო, რადგანაც შემწეობის რაოდენობა ჯერ არ არის გადაწყვეტილი, სავარაუდოდ ანგარიშში შევიტანეთ, წარსულ წლების მიხედვით, minimum-ი 1000 მან.

ე.—შარშან შემოწირულობამ მიაწია 329 მ. 50 კ-ს. წრეულისთვის ვერ ვივარაუდებთ ამდენს შემოწირულობას, რადგან არა გვგონია, რომ ახლანდელს გაქირვების დროს საზოგადოებამ იგივე სიუხვე გამოიჩინოს. ამიტომ სავარაუდოდ ანგარიშში შევიტანეთ მხოლოდ 100 მან.

ამ გვარად 1910 წ. მოსალოდნელია 2348 მ. 55 კ-ის შემოსავალი.

II. გასჯავალი

ა.—საკანცელარიო ხარჯი 1909 წ. იყო 149 მან 96 კ.; წრეულს ეს ხარჯი ერთი ორად იქცევა, რადგანაც მარტო საქმის მწარმოებელის ჯამაგირს უნდება 240 მან. წელიწადში, დანარჩენი 60 მან. საკანცელარიო მასალას მოუნდება.

ბ.—საფოსტო ხარჯს წრეულს იმდენსავე მოველით, რამდენიც შარშან იყო ნავარაუდენი და რამდენიც ნამდვილად დაიხარჯა, ე. ი. 100 მან.

გ.—სამგზავრო ხარჯი უსახსრობის გამო წლეუანდელს სავარაუდოდ ანგარიშში ნაკლებად არის ნაჩვენები, მხოლოდ 20 მან.

დ.—სამაგიეროდ გაძლიერებულია წიგნების გამოსაცემი ხარჯი 1200 მანათამდე, იმიტომ რომ წრეულს იბეჭდება ორი წიგნი: „საქართველოს სიძველენი“ III ტ., რომელიც წრეულს გამოვა და „ძველი საქართველო“ II ტ., რომელიც გამოვა 1911 წ.; ამ ორის წიგნის დასაბეჭდად 1909 წელში დაიხარჯა 790 მან. და რადგან თითო ტომის ბეჭდვას, ორთა შუა რიცხვით, უნდება 900 მ. იმ ორის ტომის დასრულებას, რომელიც ახლა იბეჭდება, დასჭირდება კიდევ 1200 მან. და ეს თანხა შეტანილი ჩვენს სავარაუდოდ ანგარიშში.

ე.—შარშანდელს სავარაუდო ანგარიშში ჩვენ შევიტანეთ ნივთების და წიგნების შესაძენად ხარჯი 260 მან. და ვთხოვეთ საზოგადო კრებას ნებართვა მოეცა, მეტიც დაგვეხარჯნა, თუ ვინიცობაა ნავარაუდევზედ მეტი შემოსავალი მოგვესლოდა. საზოგადო კრებამ მოგვცა დასტური და ჩვენც 1909 წ. განმავლობაში შევიძინეთ 380 მანათის წიგნები და ნივთები. ამ ხარჯის მიხედვით შევიტანეთ 1910 წლის სავარაუდო ანგარიშშიაც 400 მან.

ვ.—მუზეუმის და ბიბლიოთეკის გადიდებას გამოიწვია ინვენტარის გადიდებაც. საქირ.ოა შკაფები, მაგიდა და სკამები, რომელსაც მოუნდება 260 მანათამდე.

ზ.—მოსამსახურეების გასამრჯელო 50 მან. და მოულოდნელი ხარჯი 18 მ. 55 კ. თითქმის იმდენივეა ნავარაუდევით, რამდენიც ნამდვილად დაიხარჯა შარშან.

სარევიზიო კომისიის აქტი.

1910 წელს, ოქტომბრის 19-სა და 24-სა, ჩვენ „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ სარევიზიო კომისიის წევრებმა, „საზოგადოების“ საბჭოს მოწვევით, **განვიხილეთ:**

1. „საზოგადოების“ 1909 წლის მოქმედების ანგარიში,
2. „საზოგადოების“ შემოსავალ-გასავლის იმავე წლის ანგარიში,
3. შემოსავალ-გასავლის წიგნები, საბუთები და თანხები,
4. 1910 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა,
5. „საზოგადოების“ წიგნთსაცავი და მისი ორი კატალოგი (ხელთ-ნაწერისა და ნაბეჭდი წიგნებისა),
6. „საზოგადოების“ მუზეუმის კატალოგი და თვით საარქეოლოგო ნივთები,
7. „საზოგადოების“ გამოცემათა საწყობი და თვით გამოცემანი,—
და ვპოვნით:

1. საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოები,
2. თანხები სრულიად დატულნი,
3. სავარაუდო აღრიცხვა წესიერად შედგენილი,
4. საარქეოლოგო ნივთები და წიგნები წესიერათ აღნუსხულნი და დატულნი,

5. „საზოგადოების“ გამოცემათა რაოდენობაც სრულიად დაცული, რასაკვირველია, იმ ცალეების გამოკლებით, რომელნიც საზოგადოებას გაუყიდა ან წევრებისათვის და აგენტებისათვის დაურიგებია.

„საზოგადოების“ მუზეუმი, წიგნთსაცავი და საწყობი მოთავსებულია სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობის ერთ-ერთ ოთახში (მეორე სართულში), რომელიც გიმნაზიის გამგე კომიტეტს დროებით უსასყიდლოდ დაუთმია ჩვენი საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს ოთახი პატარაა, და საჭიროა „საზოგადოებამ“ იზრუნოს უფრო დიდი ბინისათვის.

სარევიზიო კომისიის
წევრები:

ივანე დიმიტრის ძე აფხაზი,
გრ. ყიფშიძე, კ. მაყაშვილი.

ანგარიშები კრებამ განიხილა და, მკირეოდენის კამათის შემდეგ, დაამტკიცა. მათი განხილვის დროს გამოითქვა სურვილი (შოა დედაბ-რიშვილი და სხვ.), რომ საზოგადოების ანგარ.იშები წინდაწინვე იბეჭდებოდეს და წევრებს კრებამდე ურიგდებოდეს გასაცნ-ბად. კრებამ მიიღო სახეში საზოგადოების საღსართა სიმკირე და დაადგინა: შემოსავალ-გასავლის ანგარიშები დაიბეჭდოს ხოლმე ადგილობრივს გაზეთებში, უკეთ რედაქციები საამისოდ სასყიდელს არას მოითხოვენ.

ამას გარდა ზოგიერთმა წევრმა (გრ. ყიფშიძემ, პ. შირიანაშვილმა, ივ. დ. აფხაზმა და სხვ.) გამოსთქვა სურვილი, რომ, რადგან საზოგადოებას ცოტა ფული აქვს, საბჭო ძლიერ კარგს ინებებს, უკეთუ სიგელ-გუჯრების („საქართველოს სიძველენი“) ბეჭდვაში ზომიერებას დაიცავსო, სახელდობრ: უმჯობესი იქნება .ჯერ-ჯერობით გადაიდოს მეორე და მესამე ხარისხოვანი ღირსების სიგელ-გუჯართა ბეჭდვა და უპირველესად ისეთი საბუთები დაიბეჭდოს, რომელნიც საისტორიო კვლევა-ძიებისათვის უფრო მეტს ინტერესს წარმოადგენსო. ამ წინადადებამ თავმჯდომარის მხრით შენიშვნები გამოიწვია. არსებითათ მისი აზრი ასეთი იყო: „ყოვლად შეუძლებელია საზოგადო კრება შევიდეს იმის განხილვაში, თუ რა მასალა არის საინტერესო და მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევისათვის და რა—არა. ეს საქმე მხოლოდ საბჭოს უნდა ეკუთვნოდესო“. თავმჯდომარის აზრს არსებითათ აღ. ბეს. მდივანიც დაეთანხმა, რის შემდეგაც კრებამ დაადგინა: ამ საქმეში საბჭოს მიეცეს თავისუფლება.

გამოითქვა, აგრეთვე, სურვილი (გრ. დიასამიძე, პ. მირიანაშვილი), რომ ჩვენმა საზოგადოებამ მომავალი წლიდან მაინც გადასდოს მცირეოდენი თანხა პოპულიარულათ დაწერილის სახელმძღვანელოებისა და წერილების დასაბეჭდად საქართველოს ისტორიიდან და ეთნოგრაფიიდან.

III. შემდგომ კრებამ მოისმინა ექვთ. სე თაყაიშვილის რეფერატი: „სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში“, რომელსაც კამათი არ გამოუწვევია. რეფერენტი საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა.

IV. დასასრულ, საზოგადოების წესდების მე-38 მუხლის თანახმად, კრება შეუდგა საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევას.

კრებამ ჯერ საბჭოს იმავე (ძველს) წევრებსა სთხოვა დარჩენილიყვენ თავთავიანთ თანამდებობაზე, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებსაც. უკანასკნელნი თანხმობას აცხადებენ. საბჭოს წევრთაგან კი უარს ამბობენ: თამეჯდომარის ამხანაგი დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი და დეკანოზი კალისტრატე ტინცაძე, თავისუფალი დროის უქონლობისა გამო. კრება განმეორებით სთხოვთ, დარჩნენ თანამდებობაზე, რის შემდეგაც დ. კარიჭაშვილი თანხმობას აცხადებს.

თავმჯდომარე: „ეთხოვ კრებას მხოლოდ თამეჯდომარე, მისი ამხანაგი და ხაზინადარი დასახელოს, მდივანს კი დასახელებით ნუ აირჩევს; არამედ აირჩიოს მხოლოდ საბჭოს დანარჩენი ექვსი წევრი, ხოლო საბჭოს მისცეს უფლება მდიენობა იმას მიანდოს, ვინც მის წევრთა შორის უფრო თავისუფალი იქნება“.

კრებამ ეს წინადადება მიიღო.

მდივანი სერგი რ. გორგაძე უარს ამბობს როგორც მდიენობაზე, ისე საბჭოს წევრობაზე. სიზოგადოება განმეორებით სთხოვს დარჩეს ს. გორგაძე საბჭოს წევრად.

დასასრულ არჩეული აღმოჩნდნენ:

ა) საბჭოში:

1. საზოგადოებისა და საბჭოს თამეჯდომარედ—ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი,

2. თამეჯდომარის ამხანაგად—დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი,

3. ხაზინადრად—ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი,

4. წევრებად: მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი,
5. „ ალექსანდრე თვედორეს ძე ყიფშიძე,
6. „ მღვდელი პოლ. კარბელაშვილი,
7. „ იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე,
8. „ სერგი რომანოზის ძე გორგაძე,
- და 9. „ სერგეი ნესტორის ძე კაკაბაძე.

მათ კანდიდატებად:

1. დეკანოზი კოჩნოი კეკელიძე,
2. ანტონ ივანეს ძე ნატროშვილი,
3. გერასიმე სოფროძის ძე იმნაიშვილი.

ბ) სარევიზიო კომისიაში:

1. გრიგოლ თვედორეს ძე ყიფშიძე,
2. ივანე დიმიტრის ძე აფხაზი,
3. კოსტანტინე ზაქარეას ძე მაცაშვილი.

ნაშუადღევს ვ საათზე თავჯდომარემ წლიური კრება დახურულათ გამოაცხადა და არაჩვეულებრივი საზოგადო კრება გახსნა.

№ 40.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, ნოემბრის 21-ს.

კრება გაიხსნა ნაშუადღევს ვ საათზე იმავე ნამდვილ წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

კრებამ დაადგინა: ძალაში იქნეს მოყვანილი წესდების მე-18 მუხლი, რომლითაც ნამდვილი წევრის უფლებას ჰკარგავენ ის წევრნი, რომელნიც ორი წლის განმავლობაში არ შემოიტანენ ყოველწლიურს გადასახადს, — და შემდეგ, იოსებ მერკვილაძისა და იროდიონ სონღულაშვილის წინადადებით აირჩია 45 ახალი ნამდვილი წევრი: 1. მამულაშვილი ილია დავითის ძე, მანისურაძე გიორგი იოსების ძე, ევანიაშვილი იოსებ ანდროსის ძე, ჩიკვაძე ნიკოლოზ მიხეილის ძე, გულიაშვილი ლაზარე დავითის ძე, ყაჭარდუზაშვილი გიორგი ქაიხოსროს ძე, ყუშიტაშვილი პავლე ზალის ძე, კვეხერელი-კოპაძე ივანე ნიკოლოზის ძე, ღურ-

გლიშვილი ილია გლახას ძე, 10) გველესიანი ილია სვიმონის ძე, თუ-
შიშვილი აბრამ ანდრეას ძე, რატიანი ნესტორ გიორგის ძე, კუტავაძე
ბესარიონ ტარიელის ძე, ზორავა ნიკოლოზ თეიმურაზის ძე, ყავრიშვი-
ლი დავით იოსების ძე, კუპრაძე ივანე ლუკას ძე, ჩიქოძე ზურაბ გიორ-
გის ძე, წერეთელი ბეჟან დავითის ძე, ჯორჯაძე ალექსანდრე ლევანის
ძე, 20) ლეონიძე ალექსანდრე ივანეს ძე, ლეონიძე დავით ივანეს ძე. ყიფ-
შიძე ილია თევდორეს ძე, ისარლიშვილი რაფიელ პეტრეს ძე, მაჭავარი-
ანი კოსტანტინე დავითის ძე, წულუკიძე პეტრე, კობახიძე იონა სოლო-
მონის ძე, ვეინგერტერი ივანე, ნიკოლაიშვილი იასონ ივანეს ძე, თვალ-
კრელიძე პარმენ ივანეს ძე, 30) დაფქვიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე,
ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე (ექიმი), კლიშიაშვილი ნესტორ მი-
ხეილის ძე (ექიმი), ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე, ალექსი-მესხიშვილი
შალვა ვლადიმერის ძე, წულეისკირი ნეტორ, ჯაჯანაშვილი არჩილ რა-
უდენის ძე, შიქლაძე შალვა (ექიმი), მუენარგია კაპიტან (ექიმი), ბერე-
ჟიანი ვასილ (ექიმი), 40) ფალიაშვილი ანტონ პეტრეს ძე (ექიმი). სონ-
დულაშვილი გრიგოლ (მღვდელი), მეძმარიაშვილი ივანე სოლომონის ძე,
ავალიშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე, ამირაჯიბი შალვა გიორგის ძე და
45) ბეიშვილი იოსებ სვიმონის ძე.

ნაშუადღევის 8^{1/2} საათზე არა¹ვეულებბრევი კრება დაიხურა.

№ 41.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, დეკემბრის 1-ელს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე თავად-ახნაურობის დეპუტატთა
საკრებულოში ექ: თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ
საზოგადოების შემდეგი წევრნი: დ. კარიჭაშვილი, გ. ყაზბეგი, ალ. სა-
რაჯიშვილი, ს. გორგაძე, ლიუბოვ ვეაძისა, ათ. ჯვარიშვილი, ჯ. კე-
კელიძე, ს. კაკაბაძე, ი. აბულაძე, ალ. ყიფშიძე, გრ. ყიფშიძე, ი. მერ-
კვილაძე, გ. იმნაიშვილი, პ. მირიანაშვილი, ირ. სონდულაშვილი, მ.
გედევანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, პოლ. კარბელაშვილი, ვას. კარბელაშვი-
ლი, ვახტ. ღამბაშიძე და გარეშე საზოგადოება.

პირველათ თავმჯდომარემ კრებას აუწყა გარდაცვალება საზოგადოების წევრის ვაჰან დავითის ძის გაბინიანცისა და წინადადება მისცა ფეხზე აღგომით პატივი ეცა მისი ხსოვნისათვის, რაც კრებამ შეასრულა. ამის შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საზოგადო წლიურ კრებაზედ მის მიერ წარმოთქმული იყო სურვილი საბჭოს ახალ წევრთა არჩევნების დროს, რომ მდივნის - რჩევის უფლება კრებას საბჭოსათვის დაეთმოებინა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად თავმჯდომარე ახლა დამატებით აცხადებს, რომ ეს სურვილი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ საზოგადოების მაშინდელ მდივანს სერი გორგაძეს, მისივე განცხადების თანახმად, დრო ნებას არ აძლევდა საზოგადოების საქმეები ფაქტიურად ეწარმოებინა, რის გამო, უკანასკნელ წელს, საბჭოს მოწვეული ყვდა ცალკე საქმის მწარმოებელი. მაგრამ რაკი ს. გორგაძის ნაცოფიერი მუშაობა საბჭოსათვის ძლიერ ხელშემწყობი და სასარგებლო იყო, საბჭომ სთხოვა მას, დარჩენილიყო საბჭოს წევრად.

ს. გორგაძემაც თავისს მხრივ მწუხარება განაცხადა იმ პატარა გაუგებრობისა გამო, რომელმაც გამოიწვია მის მიერ უარის თქმა საბჭოს წევრობაზედ, და დასთანხმდა ახალ საქოში დარჩენაზედ. ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მადლობა განუცხადა ს. გორგაძეს მდივნობის დროს სასარგებლო და ნაცოფიერ მუშაობისათვის.

შემდეგ მოსმენილ იქნა ს. ჭორგაძის რეფერატი: „ნიკოლოზ მარრი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა“. პირველათ რეფერენტი შეეხო იმ არა-საკეთილო პირობებს, რომელშიაც მოუხდა მარრს თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყება, და ქართულ-სომხურ ფილოლოგიის საერთო ნიადაგის გარკვევის შემდეგ, გადავიდა მარრის სამეცნიერო ღვაწლის დაფასებაზედ კერძოდ ქართულ ფილოლოგიის წინაშე: ვრცლათ შეეხო მარრის შრომებს ლინგვისტიურსა და ისტორიულ-ლიტერატურულსა და, აგრეთვე, მისს არქეოლოგიურ მოღვაწეობას.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მადლობა გადაუხადა რეფერენტს საინტერესო და შინაარსიან მოხსენებისათვის. ამის შემდეგ ჩვეულებრივი კრება დაიხურა და გაიხსნა არაჩვეულებრივი კრება.

№ 42.

არაჩვეულებრივი კრება.

1910 წელს, დეკემბრის 1-ელს.

არაჩვეულებრივი კრება გაიხსნა საღამოს ათს საათზედ იმავე პირთა თანადასწრებით, რომელნიც მოხსენებულნი არიან წინანდელს ოქმში. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ გიორგი და ალექსანდრე რომანის ძეთა მრევლი შეიღებმა შემოსწირეს საზოგადოებას ხუთი ათასი მანეთი სახსოვრად თავისის განსვენებულ ძმის, ექიმის სოლომონ იოსების ძის მრევლი შეიღისა, იმ პირობით, რომ ეს ფული უნდა შეტანილ იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკში და, ვიდრე ათი ათასი მანეთი არ გახდება, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. შემდეგ კი ამ ფულის სარგებლით უნდა გამოიკეს წიგნები განსვენებულ სოლ. მრევლი შეიღის სახელობაზე. კრებამ დაადგინა, უღრმესი მადლობა გამოეცხადოს შემომწირველთ. შემდეგ, საზოგადოების ნამდვილ წევრად არჩეულ იქნა ოლივერ უორდრაოპი. ამის შემდეგ კრება დახურულად გამოცხადდა.

№ 43

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1910 წელს, დეკემბრის 14-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8¹/₄ საათზე თავდაზნსურობის დეპუტატთა საკრებულოში ექ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ საზოგადოების შემდეგი წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, ი. სონღულაშვილი, მ. გედევანიშვილი, ა. დიასამიძე, ქ-ნი დეკანოზიშვილი, გ. იმნაიშვილი, ივ. ავალიშვილი, ი. ქვიშვილი, დავ. ჯორჯაძე, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, პოლ. კარბელაშვილი, ვას. კარბელაშვილი, ეგნ. იოსელიანი, ს. კაკაბაძე, ს. გორჯაძე, პ. იოსელიანი, დეკანოზი დ. ღამბაშიძე, თ-დი ჩიჩუა და გარეშე საზოგადოება.

მდივანი კითხულობს წინანდელ კრების ოქმს. პ. მირიანაშვილი აუცხადებს, რომ ოქმში შეტანილი არაა მისი განცხადება სერგი გორგაძის რეფერატის შესახებ, რომ პროფ. მაროი: სამეცნიერო მოღვაწეო-

ბისათვის რეფერენტს სასურველია კრიტიკულის თვლით შეეხებოდა, მაშინ გადავიღებოდა კამათი რეფერატის შესახებ. ამის შემდეგ კრებამ ოქმი დაამტკიცა,

შემდეგ კრებამ მოისმინა სარგის კაკაბაძის რეფერატი „თამარ მეფის შინაურ პოლიტიკის“ შესახებ. პირველათ რეფერენტი მოკლეთ შეეხო ბაგრატიონთა დინასტიის განმტკიცებას და საქართველოს გაერთიანების ისტორიას დავით აღმაშენებლის გამეფებადის. ტახტის დამკვიდრების შემდეგ საქართველოს—უკეთ აფხაზეთის—მეფეთა შინაური პოლიტიკა მიმართული იყო ცენტროფუგალურ ძალებთან ბრძოლაზედ. მეფენი სცილობდნენ დიდებულთა ძალა აელაგმათ, რადგან ეს ძალა მათ საშიშრად მიაჩნდათ თავიანთ უფლებათათვის. დიდებულთა აჯანყება, რომელიც მოხდა თამარის გამეფების მეორე წელს, იყო შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ადგა საქართველოს მთავრობა ფეოდალების შესახებ. სპარსეთის პოლიტიკურ იდეათა ზედგავლენით დიდებულთ ამ აჯანყების დროს თან წარიძღვანეს ლეიტმოტივად მოთხოვნილება კარავის დადგმისა და განსაზღვრულ კანონმდებლობით უფლებათა ბოძების შესახებ. მთავრობა ამ ხანად გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან და საქართველოს სამეფოს კონსოლიდაციისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. მსახურთუხუცესი, რომელიც აქამდის იყო მეფის მადგილზე საკუთრივ აფხაზეთის სამეფოში, ახლა გახდა მთელი საქართველოს ერისთავთა განმგებელად. პოლიტიკას სახელმწიფოს შინაურ გაერთიანებისას ადგა თამარ მეფე თავისი პეფობის უკანასკნელ წლებამდისაც. ამ პოლიტიკის შედეგი უნდა ყოფილიყო ათაბაგობის დაარსება საქართველოში, რომელიც რეფერენტის აზრით უნდა მომხდარიყო 1201—1206 წლებში. ათაბაგი იყო უზენაესი გამგე შინაურ საქმეებისა და ვაზირთა უნუცსი, როგორც მას უწოდებს მონგოლების მემკვიდრე. მაგრამ, როგორც სჩანს მთავრობის მოწინააღმდეგე ფეოდალების პარტიასაც არ ეძინა, რადგან მთავრობა იძულებული გახდა აფხაზეთის სამეფოს დიდებულთათვის ეკლესიურს სფერაში მიიხილათ დაეთმო. რეფერენტის გამოკვლევით, პირველათ ამ დროს (1200—1206 წლებში) უნდა დაარსებულიყო პოლიტიკურის მოსახრებით დამოუკიდებელი აფხაზეთის საკათალიკოზო.

რეფერატმა რაოდენიმე კამათი გამოიწვია. პ. მირიანაშვილმა ყუ-

რადღება მიაქცია კახეთის მთაწერების „ქორიკოზების“ წოდებას, რომელიც მისის აზრით ბერძნულია და მართეულს ნიშნავს. მისსავე შეკითხვებზედ რეფერენტმა განმარტა, რომ სიტყვა „თავადი“ არ უნდა იხმარებოდეს მე XIV საუკუნეზედ უფრო ადრე, როგორც ეკვერეალენტი ცნებისა „დიდებულისა“-ა.

ამის შემდეგ კრება დაიხურა.

ა ნ ზ ა რ ი შ ი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1910 წელს.

I. საზოგადოების გამგეობა. 1910 წელს საზოგადოების საქმეებს საბჭო განაგებდა, რომელსაც შეადგენდნენ: 1) თავმჯდომარე საბჭოსი და საზოგადოებისა ექვთიმე სეიშონის ძე თაყაიშვილი, 2) თავმჯდომარის ამხანაგი დავით გიორგის ძე კარიბაშვილი, 3) ხაზინადარი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი, 4) მდივანი ს. რ. გორგაძე 21 ნოემბრამდე (იხ. ოქმი საზოგადო კრებისა № 39), შემდეგ სერგეი ნესტორის ძე კაკაბაძე, 5) ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე, 6) მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, 7) იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, 8) მღვდელი პოლიექტოს კარბელაშვილი და 9) დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც 21 ნოემბრიდან თავი დაანება საბჭოს წევრობას (სახ. კრ. ოქმი № 39), ხოლო მის ნაცვლად საბჭო იწვევდა ხოლმე ერთ სამ კანდიდატთაგანს—გერასიმე სოფრომის ძეს იმნაიშვილს. საანგარიშო წელს საბჭოსს ჰქონდა 13 სხდომა.

II. საზოგადოების წევრები. 1910 წლის დამდეგს საზოგადოებას ყავდა 2 საპატიო, 507 ნამდვილი და 21 დამხმარე, სულ 530 წევრი; საანგარიშო წელს შეეძინა 138 ახალი ნამდვილი წევრი, ხოლო გამოირიცხა (სიკვდილის გამო და წესდების § 18-ს ძალით)—392 წევრი (იხ. სახ. კრებ. ოქმი № 40);—1911 წლის 1-ელს იანვარს საზოგადოებას ჰყავდა: 2 საპატიო და 274 ნამდვილი, სულ 276 წევრი.

III. საზოგადოების აგენტები. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყავდა აგენტები: 1) მოსკოვში—ალექსანდრე ნიკოლოზის ძე

ჯავახიშვილი, 2) კაკაბაშვილი—თავ. იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე, 3) ბაქოშვილი—ივანე სპირიდონის ძე ელიაშვილი, 4) ბათუმში—ტროფიმე გიორგის ძე ინასარიძე და 5) ქუთაისში—იოსებ იოსების ძე ოცხელი და რაქდენ დათეშიძე.

IV. საზოგადოების კომისია. 1910 წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 13 საზოგადო კრება (ერთი წლიური, ექვსი ჩვეულებრივი და ექვსი არარეგულარული), რომელზედაც რეფერატები წაიკითხეს შემდეგმა პირებმა:

1. ს. რ. გორგაძემ: „ივერიის მეფე ვახტანგ I და მისი დრო“*.) (იხ. საზოგადო კრების ოქმი № 31).

2. მანვე: „ნიკოლოზ მარტი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა“ (ოქმი № 41).

3. ივანე ალექსანდრეს ძემ ჯავახიშვილმა: „საქართველოს ეკონომიური ვითარება მონგოლების დროს“ (იხ. ოქმი № 33).

4. ალექსანდრე ივანეს ძემ სარაჯიშვილმა: „ბრძოლა რაჩბდინ-გმირისა ერეკლე მეფესთან, ავარული სიმღერა“ (ოქმი № 35).

5. სერგეი ნესტორის ძემ კაკაბაშვილმა: „როდის გარდაიცვალა თამარ მეფე?“ (ოქმი № 37).

6. მანვე: „თამარ მეფის შინაური პოლიტიკა“ (ოქმი № 43).

7. ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა: „სამეფო კარის გარიგება ძველ საქართველოში“ (ოქმი № 39).

8. იუსტ. ირ. აბულაძემ: „ბარამ-გულიჯანიანი და რუსთველის პოეტური შემოქმედება“ (ოქმი № 35).

V. საზოგადოების წიგნთსაცავი და მუზეუმი. საანგარიშო წლის დამდგეს მუზეუმში იყო 79 საარქეოლოგიო ნივთი, წლის განმავლობაში შემოვიდა (ნაყიდი და შემოწირული) 86 ნივთი, გახდა 165 ნივთი. წიგნთსაცავში წლის დამდგეს იყო 151 ხელნაწერი წიგნი, შემოვიდა 41, გახდა 192 ხელნაწერი; წინა წლის დამდგეს იყო 245

*) დაბეჭდილია „ძველი საქართველო“-ს მე-II ტომში, წინა წლის რეფერატთან (ოქმი № 29) ერთად სათაურით: „საქართველო მეოთხე და მეხუთე საუკუნეში ქრ. შემდეგ“.

სხვა და სხვა სახელწოდების ნაბეჭდი წიგნი (178 ცალი), 1910 წელს შემოვიდა 264 სხვა და სხვა სახელწოდებისა (264 ცალი), გახდა სულ 509 სახელწოდება (642 ცალი). ამავე წელს საზოგადოებამ შეიძინა მრავალი ძველი ფული და სიგელ-გუჯარი*).

VI. საზოგადოების გამორტყვანი. 1910 წელს საზოგადოებამ გამოსცა „საქართველოს სიძველენი“ ტომი III და შეუდგა „ძველი საქართველოს“ მე-IV ტომის გამოცემას. ეს გამოცემა უსასყიდლოთ დაურიგდა ყველა ნამდივლ წევრს, ვისაც 1910 წლის საწევრო ფული ჰქონდა გადახდილი.

VII. საარქეოლოგიო მოგზაურობანი. საანგარიშო წელს საბჭოს თავმჯდომარემ ექვთ. სვ. თაყაიშვილმა იმოგზაურა სვანეთში და ყვირილის ხეობაში, საიდანაც საზოგადოების მუზეუმ-წიგნთსაცავში ჩამოიტანა მრავალი საარქეოლოგიო ნივთი და ხელნაწერ-ნაბეჭდი წიგნები.

1910 წლის შემომწირველთა სია:

1. კნ. ბარბარე იაკობის ასულმა ერისთავისამ—ა) „დაბადების“ ძველათ ნაბეჭდი სურათები, ბ) ნიკ. ბარათაშვილის ხელნაწერი ლექსები, გ) წერილი სომეხთა პატრიარქისა, დ) სპილენძის სამგზავრო ჭურჭელი: 2 მათლაფა, 1 თეფში და 1 ქვაბი.

2. კნ. ნინო ჩოლაყაშვილისამ—„ვეფხისტყაოსნის“ სურათები, ზიჩის მიერ ნახატნი.

3. ექვთ. სვ. თაყაიშვილმა: ა) *Этюды по армянской диалектологии*, ბ) *Армянская серия № 1 и № 2*, გ) ჟურნალი „*Зод-ვი*“ 1909 წლისა.

4. ალ. ციმაკურიძემ—ა) 16 ნასყიდობის წიგნი მე-XV—XVIII საუკუნისა, ბ) ქართლის აღწერა (ხელნაწერი).

5. ალ. იაკ შირაქოვმა: ა) „ნაბერწყალი“, ბ) „მოლა-ნასრედინას მოსწრებული სიტყვები“, გ) „*De Vladikawkaz a Tiflis*“ par

*) აქ აღნიშნულ ნივთთა და წიგნთაგან დიდი ნაწილი სხვა და სხვა პირთაგან შემოწირულია, რომელთა სიაც ცალკე მოგვყავს ამ ანგარიშის ბოლოში.

1. Mourier, დ) Юбилейный сборник და ე) სურათები შუშანიკისა და დიმ. ბაქრაძისა.

6. სოფიო პავლეს ასულმა და ილია და პავლე იაკობის ძე იზაშვილებმა: ა) ხელნაწერი „დაბადება“ 1851 წ., ბ) ლექსები ვახტანგ VI და არჩილისა და გ) ათი სიგელი.

7. სპირიდონ ლოსაბერიძემ—ნოტებზე გადაღებული საგალობლები 18 რვეული.

8. ნიკ. იაკ. მარამა—ა) „Ифетический К въ армянскомъ языкѣ“ ბ) „Ифетическое происхождение армянскаго слова Margareu—пророчъ“.

9. თავ. დიმიტრი ერასტის ძემ ჩოლაყაშვილმა: ა) სოფ. კიაურაში ნაპოვნი 13 თხის ტურბელი და ბ) 78 სიგელი.

10. თავ. ივანე გიორგის ძემ ციციშვილმა: ა) ქართული „თეთრი“ 4 და ბ) სიგელი 110, ზანდუკით.

11. თავ. არსენ ივანეს ძემ ბებუთაშვილმა: ა) Дневникъ путешествія за границей 1847 г. кн. 3. О. Бибутова და ბ) „ცნობა თუ ვითარის წარმატებითა დასაჯა კავკასიის მთასა შინა მცხოვრებნი ხალხნი 1832-სა წელსა მთავარმართებელმა... ბარონმა როზენმა პირველმან“.

12. კ. ფ. კატაზიძემ—ბიზანტიური ფული იოანე I კომნენის დროისა (XIII საუკ.).

13. ოლღა ნიკოლოზის ასულმა მესხიშვილისამ: ა) ხელნაწერი „სამეფო ტომარი“, ბ) „დავითნი“, გ) ხელნაწერი „დაუჯდომელი“ და „უამნი“, დ) ხელნაწერი (ხუტური) „დაუჯდომელი“ და „ლოცვანი“, ე) ხელნაწერი „კონდაკი“, ვ) სომხური ლოცვანი ქართული ასოებით, ზ) სომხური ტექსტი ქართული ასოებით, ც) სახარების ნაწყვეტები, ლოცვები და ავგაროზი-ხელნაწერი, თ) რუსული ნაბეჭდი წიგნი—9, ი) ორი ნაბეჭდი ფრანგული და ერთი ინგლისური წიგნი, ია) სიგელ-გუჯარები და სიგელთა პირები.

14. დეკანოზმა კორნ. კეკელიძემ—მისი გამოკვლევა „Синевонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ“.

15. ხაქარია ჭიჭინაძემ: ა) „მრეწველობა-ვაჭრობა-ხელოს-

ნობა საქართველოში“ ნაწ. I, ბ) „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“ და გ) „ცხოვრება საქართველოსი გიორგი სააკაძის ამბებით“.

16. რ ა ე დ ე ნ ყ ა რ . და თ ე შ ი ძ ე მ: ა) ხელნაწერი „დღისა და ღამის გაბაასება“ თეიმურაზ მეორისა, ბ) თოფის საპიროსწამლე და გ) რქის ხატი, რომლის ერთ გვერდზე ამოჭრილია ხარება

17. ნ ი კ . ი ე . ტ ლ ა შ ა ძ ე მ—ჩაკაში ნაპოვნი ძველი ფულები: 4 მუსულმანური და 2 ქართული.

18. თ ა ვ . ე ლ ა დ ი მ ე რ ა თ ა ნ ა ს ე ს ძ ე მ მ ა ყ ა შ ვ ი ლ მ ა: ა) ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, ბ) ხელნაწერი „შობა და მიცვალება ლეთისმშობლისა“, გ) „ქეთევან დედოფლის წამება“, დ) სიტყვანი იოანე ოქროპირისა, ვასილი დიდისა და სხვათა (მხედრ. ხელნაწერი); ე) არჩილ მეფის თაოსნობით ნათარგნი „ხრონოგრაფი“ (მხედრ. ხელნაწერი); ვ) რომაული მედალიონი.

19. ბ ა რ ო ნ - დ ე - ბ ა ი მ — მ ი ს ი ო რ ი წ ი გ ნ ა კ ი: ა) En Imeretie და ბ) Les Juifs des montagns et les Juifs géorgiens.

20. რ ა მ ო დ ე ნ ი მ ე პ ი რ მ ა (უ მ თ ა ვ რ ე ს ა თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ე ბ მ ა): მხატვრის გიორგი გაბაშვილის ო ნ ხ ა ხ ა ტ ი: ა) ხვესური ქალი, ბ) მოქალაქე, გ) იმერელი, დ) კრუა და ე) ქალაქელი.

21. ა ლ . ი ე . ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ მ ა: 12 ფრანგული წიგნი (ბარონ დე-ბაის თხზულებანი); კიდევ სხვა 8 ფრანგული წიგნი.

22. ო თ ა რ თ ე ნ გ ი ზ ი ს ძ ე მ და დ ი შ კ ე ლ ი ა ნ მ ა: ა) შვიდი რუსული წიგნი, ბ) ორი რკეული „მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა“, გ) ისტორიული განხილვა სიტყვებისა: არმენისა, ჰაიასტანისა და სომხეთისა, დ) ვანტანგის სამართალი (ხელნაწერი), ე) ალბომი ქართულ და რუსულ ლექსებისა, ვ) სხვა და სხვა შენიშვნები და ნაწერები თაუხან დადიშკელიანისა, ზ) საკითხავი სახარებათა, ც) საბა ორბელიანის ლექსიკონი, გადაწ. 1755 წ., თ) ხელნაწერი გრაგნილი ავგაროზი, ი) გრაგნილი „ეჰმის წირვა“, ია) სხვა და სხვა ნაწერების ნაწყვეტები, იბ) რკინის პატარა თოხები—2, იგ) რკინის პატარა ცული, იდ) სპილენძის პატარა ცული, იე) რვა ქვის კვირისტავი, ივ) რკინის წერაქვების ნატეხები, იზ) თიხის ჭურჭლის ნატეხები, იძ) ბრინჯაოს ცული, კ) ვერცხლის ჩაფრასტი (სვანური), კა) ხანჯლის ტარი, კბ) სამი ქართული ფული (ერთი ვერცხლისა).

23) მ დ ვ. ი ო ა ნ ე ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა: ა) ხელნაწერი „ცხოვრება მოდგამობითი გონება-მახვილისა ესოპესნი“ და თვალმარგალიტის შესახებ, ბ) ისტორია დარღვევისათვის იერუსალიმისა და სხვ. (ხელნაწერი), გ) ქართული ანბანი 1863 წ., დ) 11 სხვა და სხვა რუსული წიგნი.

24. მ დ ვ. გ რ ი გ ო ლ ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა: ა) ხევესურული შემფუერი და ბ) საყრდნობი ჯოხი მათარით.

25. ლ ა ზ ა რ ე ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ო ჯ ა ხ მ ა — ო რ ი რ კ ა ნ ი ს მ ა შ ხ ა ლ ა.

26. ი რ ო დ ი ო ნ ს ო ნ დ უ ლ ა შ ვ ი ლ მ ა — საბარა ურმის მოდელი.

27. რ ე ვ ა ზ ა ლ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ მ ა — ნ ა ბ ე მ დ ი „მოკლე მსოფლიო ისტორია ბატონიშვილის მირიანისა“.

28. თ. შ ა მ ა დ ა ე ლ ე ა ს ლ. ე რ ი ს თ ა ე მ ა — ა) ხუცური ხელნაწერი „რვა ხმის სძლისპიჩი“ და ბ) ერთი სიგელი.

29. ი ვ ა ნ ე ს ვ ი მ ო ნ ი ს ძ ე მ ბ ა ქ რ ა ძ ე მ — ერთი მხედრული ხელნაწერი („სიბრძნე ჰაჰლაფარისა“, „გვირგვინი“ და სხვანი).

30. ე გ ნ ა ტ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ე მ გ ა ბ ლ ი ა ნ მ ა — გ რ ა გ ნ ი ლ ი „უამის წირვა“.

31. კ ნ. ე ლ ი ს ა ბ ე დ გ ი ო რ გ ი ს ა ს უ ლ მ ა წ ე რ ე თ ლ ი ს ა მ — ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს სამართალი (მხ. ხელნაწერი).

32. მ დ ვ დ. ბ ა კ უ რ ა ძ ე მ — თიხის პატარა ქოთანი (მიწაში ნაპოვნი).

33. თ ა ე. დ უ შ ი კ ო გ ი ო რ გ. ფ ა ლ ა ე ა ნ დ ი შ ვ ი ლ მ ა — თიხის სურა, კნოლევში ნაპოვნი მიწის თხრის დროს.

34. კ ნ. თ ე კ ლ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს უ ლ მ ა ა ბ ა შ ი ძ ი ს ა მ: ა) მინანქრიანი სურა და ბ) ოქროთი მოვარაყებული დანა.

35. თ ა ე. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი ვ. ლ ე ო ნ ი ძ ე მ: ა) სპილენძის თასი წარწერით „ელიზბარისი“, ბ) სპილენძის პატარა ქვაბ-ქოთანა, გ) სპილენძის ოთხკუთხი ფიცარი, დ) რვა სიგელ-გუჯარი (ოთხი თათრულია), ე) ძველი ფულები: არაბული, კოლხური და ბარბაროსული.

36. ნ ი კ. ა ლ. ჯ ა ნ დ ი ე რ მ ა: ა) მიწაში ნაპოვნი თიხის ქოთანი და ბ) კახეთში ნაპოვნი ბრინჯაოს წვერმოტეხილი მახვილი.

IV. % ქალაქების სარგებელი

1 იანვარს 1910 წ. იყო კუპონებისა	28—50	
1910 წ. მიეცა ნაყიდის გირაუნობის ფურცლების (3) კუპონებისა	26— „	
იმავე წელს მიემატა	66—62	121—12
მიღებულია წლის განმავლობაში		<u>61—75</u>
1 იანვარს 1911 წ. დარჩა მისაღები		59—87

V. წიგნების ბეჭდვა

1 იანვარს 1910 წ. იყო დაწარჯული წიგნების ბეჭდვაზე	790— „
1910 წ. განმავლობაში დაიხარჯა	<u>1159—54</u>
მისაღებია წიგნები	1949—54

VI. შემოსავალი

თანხების სარგებელი	74—90
წლიური საწევრო გადასახადი	725— „
ლექციები	78—75
თავადა-აზნაურობის შემწეობა	1700— „
შემოწირულობა	102— „
დაბრუნებული ხარჯი (საფოსტო)	<u>5—22</u>
	2685—87

VII. გასაცემი

საკანცელარიო ხარჯი	292—09
საფოსტო	96—52
სამგზავრო	12—30
ბიბლიოთეკა	156—14
მუზეუმი	248—87
ლექციების გამართვა	9—34
მოსამსახურეები	41— „
% ქალაქების შენახვა	2—50
ინვენტარი	36—27

დაურიგდა წვერებს 99 ცალი წიგნი	124—48	
მიწის ჩუქების წიგნის დამტკიცება	40—45	
მოულოდნელი ხარჯი	9—43	1069—39
შემოსავალს გადარჩა		<u>1616—48</u>
		2685—87

VIII. იხივბარი

1 იანვარს 1910 წ. იყო	96—52	
წლის განმავლობაში შექმნილია	266—18	362—70
გამორიცხულია 10 ⁰ / ₀ ღირებულებისა		<u>36—27</u>
1 იანვარს 1910 წ. დარჩა		326—43

IX. წიხვბი

1 იანვარს 1910 წ. იყო 1073 ცალი		1257—90
დაურიგდა წვერებს: „საქართველოს სიძველენი“		
II ტ. 42 ც.	42—97	
„ძველი საქართველო“ I ტ. 57 ც.	81—51	
გაიყიდა 8 ცალი	25—	<u>149—48</u>
დარჩა 1 იანვარს 1911 წ. 966 ც.		1108—42

X. ახივბი

1 იანვარს 1910 წ იყო ქუთაისის აგენტზე:		
10 ც. „საქართ სიძველ.“ II ტ.	10—23	
„ 10 ც. „ძველ. საქართვე.“ I ტ.	14—30	24—53
1 იანვარს 1911 წ. დარჩა.		<u>24—53</u>

XI. ხივანხული ფული

შეტანილია სამეურნეო ბანკში შესანახად	5000—	„
1 იანვარს 1911 წ. დარჩა	5000—	„

XII. საგანხეგო თიხა

დოქტორის მრეველიშვილის ფონდი	5000—	„
1 იანვარს 1911 წ. დარჩა	5000—	„

XIII. კრედიტორები

ნასესხია წ.-კ. გამაერთელებელ საზოგადოებში- საგან წიგნების დასაბეჭდად	600— „
1 იანვარს 1911 წ. დარჩა	600— „

XIV. ერთდროული საწევრო გადასახადი

1 იანვარს 1910 წ. იყო	650— „
წლის განმავლობაში მიემატა	835— „
1 იანვარს 1911 წ. დარჩა	1485— „

XV. სახარჯო თანხა

1 იანვარს 1910 წ. იყო	2422—80
წლის განმავლობაში მიემატა	1616—48
1 იანვარს 1911 წ. დარჩა	4039—28

XVI. ბალანსი

აქტივი		პასივი	
კასა	14—25	კრედიტორები	600 — „
სახელდახელო ანგარიში	660—94	ერთდროული საწევრო გადასახადი	1485— „
% ქალაქები	1980—80	საგანგებო თანხა	5000— „
%/0 გირავენობის ფურ- ცლებისა	59—37	სახარჯო თანხა	4039—28
წიგნების ბეჭდვა	1949—54		
ინვენტარი	326—43		
წიგნები	1108—42		
აგენტები	24—53		
შენახული ფული	5000 — „		
	11124—28		11124—28

ნავარაუდები და ნამდვილი შემოსავალი და
გასავალი 1910 წლისა.

შემოსავალი	ნავარაუდები	ნამდვილი	+ თუ —
1909 წლის დარჩენილი	469—55	469—55	„ „
თანხების სარგებელი	79— „	74—66	— 4—34
საწევრო გადასახადი	700— „	725— „	+ 25— „
შემწეობა თავად-აზნაურობისაგან.	1000— „	1700— „	+ 700— „
შემოწირულობა	100— „	102— „	+ 2— „
	<u>2348—55</u>	<u>3071—21</u>	<u>+ 722—86</u>

გ ა ს ა ვ ა ლ ი

საკანცელარიო ხარჯი	300— „	292—09	— 7—91
საფოსტო „	100— „	91—30	— 8—70
სამგზავრო „	20— „	12—30	— 7—70
წიგნების ბეჭდვა	1200— „	1159—54	— 40—46
ნიეთების და წიგნების შექმნა	400— „	405—01	+ 5—01
ინვენტარი	260— „	266—18	+ 6—18
მოსამსახურეები	50— „	41— „	— 9— „
მოულოდნელი ხარჯი	18—55	9—43	— 9—12
	<u>2348—55</u>	<u>2276—85</u>	<u>— 71—70</u>

ნავარაუდო ანგარიში 1911 წლის შემოსავ-
ლისა და გასავლისა.

შემოსავალი	გ ა ს ა ვ ა ლ ი
1910 წლის დარჩენილი	675—19
თანხების სარგებელი	135— „
საწევრო გადასახადი	700— „
შემწეობა თავად-აზნაუ- რობისაგან	6800— „
შემოწირულობა	100— „
	<u>8410—19</u>
საკანცელარიო ხარჯი	300— „
საფოსტო „	100— „
სამგზავრო „	500— „
წიგნების ბეჭდვა .	1400— „
მუზეუმი ღ ბიბლიოთეკა	3800— „
ინვენტარი	500— „
ფრესკების გადაღება .	1000— „
ეკლესიების შეკეთება .	600— „
მოსამსახურეები	50— „
მოულოდნელი ხარჯი .	160—19
	<u>8410—19</u>

სავარაუდო ანგარიშის განმარტება.

I. შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

ა, 1911 წლის 1 იანვრისათვის ნაღდი ფული იყო: 14 მან. 15 კ. და სახელდახელო ანგარიშზე 660 მ. 94 კ. სულ 675 მ. 19 კ.

ბ, ჩვენა გვაქვს 2500 მან. ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის 5% გირაუნობის ფურცლები, რომლის კუპონებმა უნდა მოგვეცეს,—სახელმწიფო გადასახადის გამოკლებით,—118 მ. 75 კ.; სახელდახელო ანგარიშზე მიბარებულმა ფულმა შარშან მოგვეცა 15 მ. 94 კ. სარგებელი. წრეულსაც მოსალოდნელია 16 მანეთამდე სარგებელი, ამიტომ სავარაუდო ანგარიშში შევიტანეთ თანხების სარგებელი—135 მან.

გ, წლიური საწევრო გადასახადი წარსულს წელს შემოვიდა 725 მ., 1911 წლისათვის ეს შემოსავალი ვივარაუდეთ 700 მან.

დ, 1910 წ. თავად-აზნაურობამ მოგვეცა 3500 მანათის შემწეობა და დაგვეალა ამ ფულიდან 500 მან. ძველის ტაძრების შეკეთებისათვის მოგვეხმარებინა, და დანარჩენი 3000 მან. წიგნების გამოცემისა და ფრესკების გადაღებისათვის. ხსენებულის 3500 მანათიდან მივიღეთ შარშან 1700 მან. და ამ 1911 წლის იანვარში—დანარჩენი 1800 მან.; წრეულსაც უნდა ვთხოვოთ თავად-აზნაურობას ჩვენის საქირობის შესაბამი შემწეობა. ხოლო, რადგანაც წელს ვაპირებთ საჯაროთ მუზეუმის გახსნას, საქიროა მუზეუმი შევავსოთ სხვა და სხვა საისტორიო და საარქეოლოგიო ნივთებით, სურათებით და ფრესკებით და ბიბლიოთეკა ვავამდიდროთ ხელნაწერებით. ყველა ამას ჯეროვანი თანხა სჭირია, და ამიტომ ჩვენ წელს უნდა ვთხოვოთ თავად-აზნაურობას 5000 მანეთი და სრული იმედი გვაქვს, თავად-აზნაურობა ჩვენს თხოვნას შეიწყნარებს. ამგვარად შარშანდელის შემწეობის დანარჩენი 1800 მან. და წრეულს მოსალოდნელი 5000 მანათის შემწეობა შეიქმს 6800 მან., რომელიც შეტანილი გვაქვს სავარაუდო ანგარიშში.

ე, შემოწირულობა ვივარაუდეთ 100 მან., ესე იგი იმდენი, რამდენიც შარშან შემოგვივიდა.

II. ' გ ა ს ა ვ ა ლ ი

ა და ბ, საკანცელარიო ხარჯი 300 მან. და საფოსტო 100 მან. ნავარაუდევია იმდენი, რამდენიც გასულს ორს წელიწადში იხარჯებოდა.

გ, განზრახვა გვაქვს ამ ზაფხულს გავგზავნოთ კახეთს და იმერეთს საბჭოს რამოდენიმე წევრნი, რომელთაც უნდა მოსძებნონ ოჯახებში ხელნაწერი წიგნები, სიგელ-გუჯრები და სხვა სიძველენი. ამისათვის გადავდევით სამგზავრო ხარჯად 500 მან.

დ, 1911 წლის განმავლობაში დაიბეჭდება სამი წიგნი: „ძველი საქართველო“ II ტ., „საქართველოს სიძველენი“ IV ტ. და „სამართლის წიგნი“. ამ საბურობებისდაგვარად წიგნების გამოსაცემი ხარჯი ავწიეთ 1400 მანათამდე.

ე, მუზეუმის და წიგნთსაცავის გასადიდებლად გადავდევით 3800 მ. ამას გარდა განზრახვა გვაქვს, რაც კი სხვა ხარჯს გადაჩემა, ამ საგანს მოვახმაროთ.

ვ, მუზეუმის და წიგნთსაცავის ზრდასთან იზრდება ინვენტარის საჭიროებაც. წრეულს დაგვეჭირდება რამდენიმე შკაფი და ვიტრინა, რისთვისაც გადავდევით 500 მან.

ზ, წრეულს განზრახვა გვაქვს გავგზავნოთ მხატვარი ძველს ტაძრებში დაჩენილის შეფუჭებისა და დიდებულების სურათების გადმოსაღებად და ამისათვის დაგვეჭირდება ჯერ-ჯერობით 1000 მან.

ც, 500 მან. ძველის ტაძრების შესაკეთებლად შეტანილია სავარაუდო ანგარიშში თანახმად თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დავალები. წელს ჩვენ ვაპირებთ ამ თანხას მივუშალოთ 100 მანეთი, სულ იქმს 800 მანეთს.

თ, მოსამსახურეების გასამრჯელო ხარჯი ნავარაუდევია წინა წლების ხარჯის მიხედვით.

ი, მოულოდნელი ხარჯი ნავარაუდევია 160 მან. და 19 კაპ.

ს ი ა

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრებისა 1911 წლის 1-ლი იანვრისათვის.

I

საზოგადოების თავმჯდომარე—ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი;

თავმჯდომარის ამხანაგი—დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი;

საზოგადოების ხაზინადარი და მუზეუმ-ბიბლიოთეკის მცველი—ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი;

საზოგადოების მდივანი—სერგეი ნესტორის ძე კაკაბაძე;

საბჭოს წევრები:—მღვდ. პოლიევქტოს კარბელაშვილი;

მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი;

ალექსანდრე თევდორეს ძე ყიფშიძე;

იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე;

სერგი რომანოზის ძე გორგაძე.

II

საპატიო წევრები:

1. წერეთელი აკაკი როსტომის ძე,
ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე.

III

ნამდვილი წევრები:

ა

- აბაზაძე ალექსანდრე ლევანის ძე,
აბდუშელიშვილი დავით ნიკოლოზის ძე, .
აბულაძე იუსტინე ერეკლეს ძე,
აბულაძე პლატონ ქრისტეფორეს ძე,

- ავალიშვილისა მარიამ გიორგის ასული,
 ავალიშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე,
 ავალიშვილი არჩილ ნიკოლოზის ძე,
 10. ალხაზიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,
 ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე,
 ამბროსი არქიმანდრიტი (ხელაია),
 ამირაჯიბი კოსტანტინე მიხეილის ძე,
 ანდრიაშვილი სოლომონ ანტონის ძე,
 ანდრიაშვილი ივანე (მღვდელი),
 ანთაძე კონსტანტინე (მღვდელი),
 ანტონ არქიმანდრიტი (გიორგაძე),
 არაყიშვილი დიმიტრი,
 არჯევანიძე ანტონ ივანეს ძე,
 20. არჯევანიძე ნიკოლოზ ივანეს ძე,
 აფხაზი ივანე დიმიტრის ძე,
 ახვლედიანი დიმიტრი თომას ძე,

ბ

- ბარათაშვილი ივანე გიორგის ძე,
 ბაქრაძე დავით ნიკოლოზის ძე,
 ბაქრაძე კოსტანტინე დიმიტრის ძე,
 ბაქრაძე სპირიდონ იოსების ძე,
 ბეგთაბეგიშვილი ილია დიმიტრის ძე,
 ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე,
 ბერელაშვილი ვასილ ზურაბის ძე,
 30. ბურჭულაძე გრიგოლ იესეს ძე,
 ბებუთაშვილი არსენ ივანეს ძე,
 ბუჭურაული ივანე ალექსის ძე,
 ბილანიშვილი ზაქარია,
 ბერეჟიანი ვასილ ივანეს ძე,
 ბერიძე ვუკოლ მიხეილის ძე,

ზ

- გაბაშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე,
 გაბლიანი ეგნატე გიორგის ძე,
 გამრეკელი სეით (მღვდელი),
 გამრეკელი ალექსანდრე სვიმონის ძე,
 40. გამყრელიძე ივანე ევდოკიმის ძე,
 გამყრელიძე ილარიონ ოტიას ძე,
 გაჩეჩილაძე სევესტი მიხეილის ძე,
 გედევანიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე,
 გელოვანი იასონ დავითის ძე,
 გვამიჩავა რაჟდენ ბართლომეს ძე,
 გვარამაძე იოანე (მღვდელი),
 გველესიანი იოსებ იოსების ძე,
 გიორგი ეპისკოპოსი იმერეთისა,
 გიორგიევი მიხეილ გრიგოლის ძე,
 50. გოგებაშვილი იაკობ სვიმონის ძე,
 გოგტიძე ნიკოლოზ გიტოს ძე,
 გოგჩიანიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე,
 გორგაძე სერგი რომანოზის ძე,
 გორგაძე ანთიმოზ ბესარიონის ძე,
 გრიგოლაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე,
 გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე,
 გურგენიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე,
 გუბრიელი ვახტანგ დავითის ძე,

დ

- დადიანი იოსებ იულონის ძე,
 60. დადიშკელიანი ოთარ თენგიზის ძე,
 დადიშკელიანი ჯანსუყ თენგიზის ძე,
 დათეშიძე რაჟდენ ყარამანის ძე,
 დათუნაშვილი იაკობ კირილეს ძე,

- დავით ეპისკოპოსი ალავერდისა,
 დაკიშევი ივანე მიხეილის ძე,
 დედაბრიშვილი შიო,
 დეკანოზიშვილი ერეკლე გრიგოლის ძე,
 დემიდოვი ვასილ ალექსანდრუს ძე,
 დიასამიძე დავით ნიკოლოზის ძე,
 70. დირრი ადოლფ მიხეილის ძე,
 დოდაშვილი კოსტანტინე ივანეს ძე,
 დოსითეოს არქიმანდრიტი (ბერძენიშვილი),

2

- ეგაძისა ლუბოვ კოსტანტინეს ასული,
 ედილაშვილი ზაქარია ერმალოზის ძე,
 ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე,
 ელიაძე სტეფანე სვიმონის ძე,
 ერისთავისა ელისაბედ დავითის ასული,
 ერისთავი დიმიტრი კოსტანტინეს ძე,
 ერისთავი ნიკოლოზ რევაზის ძე,
 80. ერისთავი მიხეილ გიორგის ძე,
 ერისთავი რევაზ,
 ერისთავისა ბარბარე იაკობის ასული,
 ერისთავისა ელისაბედ ზაალის ასული,
 ესაძე ბორის სპირიდონის ძე,
 ეჯიბია ბენედიქტე ბოგდანის ძე,

3

- ვართავაძე ივლიტე პეტრეს ძე,
 ვაშაკიძე ექვთიმე სვიმონის ძე,
 ვაწაძე სპირიდონ იოსების ძე,
 ვეზირიშვილი გიორგი დიმიტრის ძე,
 90. ვირსალაძე სპირიდონ სვიმონის ძე,

ზ

ზალიშვილი მიხეილ ყარამანის ძე,
 ზაქარიაშვილი ლევან (მღვდელი),
 ზდანოვიჩი გიორგი ფელიქსის ძე,
 ზედგინიძე მიხეილ სვიმონის ძე,
 ზედგინიძე იაკობ სვიმონის ძე,
 ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე,

თ

- თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე,
 თავდგირიძისა ნინო მერაბის ასული,
 თალაკვაძე ნიკიტა (დეკანოზი),
 100. თარხან-მოურავი ვასილ ალექსანდრეს ძე,
 თაქთაქიშვილი მიხეილ ივანეს ძე,
 თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე,
 თვალჭრელიძე პარმენ ივანეს ძე,
 თიკანაძე ოვანე ელიშუღის ძე,
 თოთიბაძე ანტონ (დეკანოზი),
 თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია მიხეილის ასული,
 თუმანიშვილისა ბარბარე დავითის ასული,
 თუმანიშვილი პავლე იოსების ძე,

ი

- იავულაშვილი ალექსანდრე იოსების ძე,
 110. იაშვილი აბელ ოქროპირის ძე,
 იზაშვილი (ეზოვი) ილია იაკობის ძე,
 იზაშვილი (ეზოვი) პავლე იაკობის ძე,
 იმნაიშვილი გერასიმო სოფრომის ძე,
 იოსელიანი ეგნატე ონისიმუს ძე,
 ირემაძე თეოდორე გიორგის ძე,
 ისარლიშვილი რაფიელ პეტრეს ძე,
 იურკევიჩი ვასილ ნიკოლოზის ნე,

კ

- კაკაბაძე სერგეი ნესტორის ძე,
 კაკუბავა რაჟდენ ივანეს ძე (ინჟინერი),
 120. კარბელაშვილი პოლიექტოს (მღვდელი),
 კარბელაშვილი ვასილ (მღვდელი),

კარიკაშვილი დავით გიორგის ძე,
 კაქაზიძე კოსტანტინე ფირანის ძე,
 კახიანი გიორგი ნიკოლოზის ძე,
 კახიძე ვასილ ბესარიონის ძე,
 კელენჯერიძე მელიტონ (მღვდელი),
 კეზერელი-კობაძე ივანე ნიკოლოზის ძე,
 კვირიკაშვილი პეტრე პავლეს ძე,
 კიკნაძე ნიკოლოზ პავლეს ძე,

130. კილოსანიძე დავით დიმიტრის ძე,
 კლდიაშვილი სვიმონ გრიგოლის ძე,
 კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე,
 კირიონ ეპისკოპოსი.
 კუპრაძე ივანე ლუკას ძე,

ლ

ლალიძე მიტროფანე,
 ლეონიდ ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი,
 ლეონიძე ალექსანდრე ივანეს ძე,
 ლობჯანიძე ნესტორ ანტონის ძე,
 ლომაური გიორგი ივანეს ძე,
 140. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე,
 ლოსაბერიძე სპირიდონ მიხეილის ძე,

მ

- მამინაიშვილი ნიკიფორე იესეს ძე,
 მანსვეტაშვილი იაკობ ალექსანდრეს ძე,
 მანსვეტაშვილი ვასილ მიხეილის ძე,
 მარჩი ნიკოლოზ იაკობის ძე,
 მაცაშვილი დიმიტრი ივანეს ძე,
 მაცაშვილი ვლადიმერ ათანასეს ძე,
 მაცაშვილი კოსტანტინე ზაქარეას ძე,
 მაჩაბელი ზურაბ ანემპოდისტეს ძე,
 150. მაჭავარიანი დავით პაატას ძე,
 მახარაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე,
 მელიქიშვილისა ალექსანდრა მაკარის ასული,
 მელიქიშვილი პეტრე გრიგოლის ძე,
 მერკვილაძე იოსებ ნიკოლოზის ძე,
 მესხიშვილისა ოლგა ნიკოლოზის ასული,
 მეუნარგია იონა მიხეილის ძე,

- მირზაშვილი ალექსანდრე გიორგის ძე,
 მირზაშვილისა ალექსანდრა,
 მირიანაშვილი ალექსი ივანეს ძე,
 160. მიქაძე ივანე როსტომის ძე,
 მიქელაძე ვლადიმერ სემონის ძე,
 მიქელაძე შალვა,
 მონადირიშვილი იოსებ გიორგის ძე,
 მოსეშვილი იასონ,
 მრეელიშვილი გიორგი რომანოზის ძე,
 მრეელიშვილი ალექსანდრე რომანოზის ძე,
 მუსხელიშვილი გიორგი ივანეს ძე,

ნ

- ნაკაშიძისა ადელაიდა ლეონის ასული,
 ნასიძე პეტრე ზაქარიას ძე,
 170. ნებიერიძე სერგი იოსების ძე,
 ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე,
 ნიკოლაიშვილი იასონ ივანეს ძე,
 ნიჟარაძე ბესარიონ (მღვდელი),

ო

ორბელიანი გიორგი ილიას ძე,
 ორბელიანი მარიამ ვახტანგის ასული,
 ორბელიანი იაკობ იოსების ძე,
 ოკრომჭედლიშვილი ნიკოლოზ (მთავარ-დიაკონი),
 ოპანეხოვი გრიგოლ იოსების ძე,

პ

- პაპიტაშვილი გრიგოლ ნიკოლოზის ძე,
 180. პაზომოვი ევგენი ალექსანდრეს ძე,
 პეტრიაშვილი ნესტორ ივანეს ძე,
 პიროს არქიმანდრიტი (ოკროპირიძე),
 პოლუმორდვინოვი ივანე ტიმოთეს ძე,

ჟ

ჟორდანია თევდორე დავითის ძე,
 ჟურული გიორგი დურმიშხანის ძე,

რ

რაზიკაშვილი ლუკა პავლეს ძე,
 რაზიკაშვილი თევდორე პავლეს ძე,

- რამიშვილი ერეკლე ივანეს ძე,
 რატიშვილი ბეჟან იოსების ძე,
 190. რატიშვილი ივანე გიორგის ძე,
 რცხილაძე ტარასი გრიგოლის ძე,
 რურუა ვეგენი (მღვდელი),

ს

- სარაჯიშვილისა ეკატერინე ივანეს ასული,
 სარაჯიშვილი დავით ზაქარიას ძე,
 სარაჯიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე,
 სარაჯიშვილი მიხეილ პეტრეს ძე,
 სარაჯიშვილი აპოლონ პეტრეს ძე,
 სარაჯიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,
 სარაჯიშვილი ალექსანდრე თეოდორეს ძე,
 200. სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე,

ტ

- ტატიშვილი იპოლიტე ზურაბის ძე,
 ტატიშვილი დიმიტრი ლუკას ძე,
 ტურაშვილი აბრამ ილიას ძე,
 ტურიაშვილი კოსტანტინე ლაზარეს ძე,
 ტყავაძე კოსტანტინე იასეს ძე,
 ტყემალაძე მარკოზ (დეკანოზი),

ფ

- ფავლენიშვილი დიმიტრი ალექსანდრე ძე,
 ფანცხავა იაკობ სპირიდონის ძე,
 ფარფოროვსკი სერგი ვასილის ძე,
 210. ფიფინაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე,
 ფორაქაშვილი ალექსანდრე დავითის ძე,
 ფორაქაშვილი დავით ილარიონის ძე,
 ფორაქაშვილი სვიმონ ილარიონის ძე,
 ფურცელაძე ანტონ ნიკოლოზის ძე,
 ფურცელაძე ლევან ანტონის ძე,
 ფურცელაძე ისაია იოელის ძე,
 ფურცელაძე ბესარიონ (მღვდელი),

ქ

- ქადაგძე დავით ნიკოლოზის ძე,
 ქარუმბიძე პავლე ივანეს ძე,

220. ქიქოძე მოსე ათანასეს ძე,
ქუთათელაძე დავით ვასილის ძე,

ლ

ლამბარაშვილი მაქსიმე გრიგოლის ძე,
ლამბაშიძე ტრიფონ გიორგის ძე,
ლამბაშიძე ვახტანგ დავითის ძე,
ლოლობერიძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე,

ქ

- ყაფრიშვილი კოსტანტინე იოსების ძე,
ყაფრიშვილი დავით იოსების ძე,
ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე,
ყაზბეგი რაფეიელ ნიკოლოზის ძე,
230. ყიფიანი ვასილ როსტომის ძე,
ყიფშიძე ზაქარია თევდორეს ძე,
ყიფშიძე გრიგოლ თევდორეს ძე,
ყიფშიძე ილია თევდორეს ძე,
ყიფშიძე ალექსანდრე თევდორეს ძე,
ყორღანაშვილი ვასილ დავითის ძე,
ყულაშვილი მიხეილ (მღვდელი),

რ

შიუკაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე,

ჩ

- ჩიქოიძე ზურაბ გიორგის ძე,
ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე.
240. ჩიჩუა გიორგი კოსტანტინეს ძე,
ჩოლაყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე,
ჩოლაყაშვილი დიმიტრი ერასტის ძე,
ჩხენკელი კოსტანტინე,

ც

ცაგარელი ალექსანდრე ალექსის ძე,
ციციშვილი ივანე გიორგის ძე,
ციციშვილი იასონ დავითის ძე,
ციციშვილი ქრისტეფორე (მღვდელი),
ცხაკაია პართენ (მღვდელი),

წ

წერეთელი საელე გრიგოლის ძე,

ჰ

250. ჰავჭავაძე მიხეილ დავითის ძე,
 ჰავჭავაძისა ოლგა თადეოზის ასული,
 ჰანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე,
 ჰარაია პეტრე გიორგის ძე,
 ჰელიძე ივანე ალექსის ძე,
 ჰიჭინაძე ალექსი ბესარიონის ძე,
 ჰყონია ილია მირიანის ძე,
 ჰყონია სამსონ შერმადინის ძე,

ხ

- ხარაშვილი ილია მიხეილის ძე,
 ხახუტაშვილი დიმიტრი (დეკანოზი),
 260. ხელაია პორფირი (მღვდელი),
 ხორავა ნიკოლოზ თეიმურაზის ძე,
 ხოშტარია დიმიტრი თომას ძე,
 ხრამელაშვილი ეგნატე მამუკას ძე,

ჯ

- ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე,
 ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე,
 ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე,
 ჯავახიშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე,
 ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე,
 ჯანდიერი ლევან გიორგის ძე,
 270. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე,
 ჯაოშვილი ეპიფანე (მღვდელი),
 ჯაფარიძე სერგეი დავითის ძე,
 ჯაფარიძე აფრასიონ კოსტანტინეს ძე,
 ჯვარიშვილი ათანასე თევდორეს ძე,
 ჯინორიძე მირონ ლუკას ძე,
 276. ჯორჯაძე დავით გიორგის ძე.

№ 44.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, თბილისის 9-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8¹/₄, საათზე, თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში, ექვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ საზოგადოების წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, სერ. გორგაძე, გ. იმნაიშვილი, ანტ. ფურცელაძე, ი. სონღულაშვილი, ი. ავალიშვილი, ალ. ყიფშიძე, დ. კარიჭაშვილი, იზაშვილი, ჯგერაიშვილი, გრ. დიასამიძე, კ. დოდაშვილი, ე. ხრამელაშვილი, მრეველიშვილი, ს. კაკაბაძე და გარეშე საზოგადოება.

I. მდივანი კითხულობს წინანდელი კრების ოქმს (№ 43), რომელსაც კრება ამტკიცებს.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა გრ. ყიფშიძის მოხსენება ქართულ ლექსთა-წყობის შესახებ. რეფერენტი ვრცლათ შეეხო ძველსა და ახალს ლექსთაწყობას და აღნიშნა უმთავრესი თვისება ქართული ლექსისა: რომ ქართული ლექსი აშენებულია მარცვალთა თანაბარ რაოდენობაზედ, მაგრამ იმავე დროს არც მეტრიულია და ვერც სილაბიურად ჩაითვლება. ძველი მოლექსენი ლექსს „ორ ფეხად“ ყოფდენ, ახალმა პოეტებმა კი შექნეს „სამ ფეხიანი“ ლექსი. თითო „ფეხი“ განიხილება გამოთქმის მხრივ როგორც ერთი მთლიანი სიტყვა. თითო „ფეხს“ აქვს თავისი მახვილი მესამე მარცვალზედ ბოლოდან.

რეფერატმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ს. გორგაძემ, კ. დოდაშვილმა, ე. ხრამელაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა და ექ. თაყაიშვილმა.

სერ. გორგაძის აზრით, წინააღმდეგ რეფერენტის დებულებისა, სიტყვის მახვილი ქართულში მოძრავია. ტერმინს „ფეხს“ ბ-ნი გორგაძე ამჯობინებს „მუხლს“, როგორც უფრო კეთილზმოდანს და უკვე მიღებულისაც. ოპონენტი არ ეთანხმება რეფერენტის აზრს, თითქოს ქართულში შეუძლებელი ყოფილიყოს რვა და შვიდ-მარცვლიანი ლექსი. მოყავს მაგალითად აკაკის ლექსი („ბულბული ვარდს მაშინ დაყეფს, როცა ეშხით მთვრალია“) და უმატებს, რომ დ. გუჩაიშვილს აქვს 8 და 6 მარცვლიანი ლექსიც. ბ-ნი გორგაძისავე აზრით 14 მარცვლოვან ლექსს, რომელსაც რეფერენტი ბარათაშვილისეულს უწოდებს, უნდა დაერქვას ბესიკური, რადგან ამ ზომის ლექსი ბარათაშვილზედ ადრე ბესიკს აქვს ნახმარი.

კ. დოდაშვილის განმარტებით ორს სიტყვას ორ-მარცვლოვან ქართული ენა უყურებს როგორც 1 სიტყვას (თამბრ-მეფე) ერთის მახვილით. ამავე გარემოების მიხედვით ნ-ზედ მეტს მარცვლოვან სიტყვას აქვს 2 მახვილი (სასმწარკვეთილება).

ე. ხრამელაშვილი ბ-ნ გორგაძეს უპასუხებს. მისის აზრით ქართულში მახვილი მოძრავი არ უნდა იყოს.

დ. კარიჭაშვილის აზრით კი მახვილი ქართულ სიტყვებში დაუდგარია. თითო სიტყვას თავისი განსაკუთრებული მახვილი არა აქვს და ამიტომაც ეს მახვილი ლაპარაკში დიდს ცვლილებას განიცდის.

ე. თაყაიშვილის აზრით ქართული ენის აქსენტუაცია ვეროპულ ენათა შორის უფრო უნდა უახლოვდებოდეს ბულგარულ ენას, სადაც მახვილი სიტყვაში — ისე როგორც ქართულშიაც — თანაბრად არის დანაწილებული მარცვალთა შორის (მეფე, სახლი).

11 საათზედ კრება დაიხურა.

№ 45.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, თებერვლის 9-ს.

არაჩვეულებრივი კრება დაიწყო საღამოს 11 საათზედ იმავე პირთა თანადასწრებით, რომელნიც წინანდელ კრების ოქმში არიან მოხსენებულნი. კრებამ, ალ. სარაჯიშვილის და ს. კაკაბაძის წინადადებით, ამოიჩინა საზოგადოების ნამდვილ წევრებად შემდეგნი პირნი: გველესიანი გრიგოლ ივანეს ძე, ნიჟარაძე იასონ ნიკოლოზის ძე, მუსხელიშვილი იაკობ ლევანის ძე, ერისთავი კოსტანტინე დავითის ძე, აბაშიძე გრიგოლ კოსტანტინეს ძე, კახიძე ტიტე ბენედიქტეს ძე, საგინაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, მაღალაშვილი ივანე გრიგოლის ძე, ლაღიძე მიხეილ ერმალოზის ძე, აბაშიძე ნიკოლოზ ილიას ძე.

ამის შემდეგ არაჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 46.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, თებერვლის 26-ს.

კრება დაიწყო 7³/₄ საათზედ, თავდაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში, ექვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ საზოგა-

დღეების წევრნი: დ. კარიჭაშვილი, ი. ავალიშვილი, ი. სონდულაშვილი, მრეველიშვილი, გ. იმნაიშვილი, ივ. ციციშვილი, ალ. ყიფშიძე, ილია ნაკაშიძე, მიხ. გედევანიშვილი, დ. ჯორჯაძე, ალ. სარაჯიშვილი, ს. კაკაბაძე, ია კარგარეთელი, ა. მიქაბერიძე, გრ. ყიფშიძე, კ. ტყავაძე, თ. ფაველენიშვილი, ალ. მირიანაშვილი.

1. თავმჯდომარის წინადადებით მდივანმა წაიკითხა წინანდელ კრებათა ოქმები (№№ 44 და 45), რომელნიც კრებამ დაამტკიცა.

II. ამის შემდეგ ექვე. თაყაიშვილმა წაიკითხა თავისი მოხსენება: „დარბაზობა მეფისა და სიგელის გაცემის წესისა ქართველ ოში“. თავის მოხსენებას რეფერენტმა საფუძვლად დაუდო მის მიერ აღმოჩენილი ტექსტი „კარის გარიგება“, რომელიც, მისის აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მე-XIII საუკუნის დასასრულს, ან მე-XIV საუკუნავევარს, მოხსენებელი ვრცლად შეეხო სიგელის მიცემის და ბეჭდის დასმის წესს მე-XIV საუკუნეში და შეუდარა ეს წესი მე-XVII საუკუნეში არსებულ წესს. შემდეგ რეფერენტმა მოიყვანა ვრცელი ცნობები მეფის დარბაზობის შესახებ იმავე „კარის გარიგებიდან“.

რეფერატმა კამათიც გამოიწვია. ს. კაკაბაძის აზრით ეს „კარის გარიგება“, მოყვანილ ცნობების მიხედვით, უნდა ეკუთვნოდეს უფრო მერმინდელ დროს. სიგელზედ ბეჭდის დასმა უნდა შემოღებულ იყოს მე-XV საუკუნეში. უძველესი ძეგლი ქართულ სფრაგისტიკისა უნდა იყოს „მცნება სასჯულთა“ მე-XV საუკუნის 70-იან წლებისა, რომელზედაც დასმულია აფხაზეთის კათალიკოზის ბეჭედი. საზოგადოდ, როგორც ეტყობა, „კარის გარიგება“ უნდა იყოს დაწერილი არა უადრეს მე-XV საუკუნის ნახევრისა, როდესაც მთელი საქართველო გაერთიანებული იყო აფხაზეთის ბაგრატიონთა უფლების ქვეშ.

ექვე. თაყაიშვილი უპასუხებს, რომ ბეჭდის დასმა სიგელზე უნდა ყოფილიყოს მე-XV საუკუნეზედ უფრო ადრეც და ზოგიერთს ამ ეპოქაზე უადრეს სიგელს ცხადად ეტყობა კიდევ ამისი კვალი, და კიდევ რომ ამ გვარ სიგელს ჩვენამდის არ მოედწიოს, ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ ბეჭდის დასმა სიგელზედ მე-XV საუკუნეზედ უადრეს არ ყოფილიყოს. გარდა ამისა „კარის გარიგების“ წესი ბეჭდის დასმისა (ჯორის ნალის მსგავსი) არც მე-XV საუკუნეშია მოხსენებული და არც შემდეგ საუკუნეების სიგელებიდან სჩანს.

შემდეგ კრებამ მოისმინა ალ. სარაჯიშვილის მოხსენება: „თავადიშვილის მეურნეობა ამ ასის წლის წინადად“. რეფერენტმა გააცნო კრებას მის მიერ თარხნიანთ ქალაღლებში ნაპოვნი მემორანდუმი თავად დავით თარხნიშვილისა, რომელიც, ბნ სარაჯიშვილის გამოძიებით, ცხოვრობდა 1765—1839 წლებში. მემო-

რანდუმში ვრცლად მოხსენებულია დავით თარხნიშვილის ღვაწლი თავისი სახლისა და მამულის გარიგების შესახებ.

ამას შემდეგ ჩვეულებრივი კრება დაიხურა და გაიხსნა არაჩვეულებრივი კრება.

№ 47.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, თებერვლის 26-ს.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება გაიხსნა 10 საათზედ იმავე წვევითა თანადასწრებით, რომელნიც წინანდელ ოქმში არიან მოხსენებულნი. კრებამ, თავმჯდომარისა (ეკვთ. თაყაიშვილის) და ალ. სარაჯიშვილის წინადადებით, საზოგადოების წამდვილ წვევებად აირჩია: ლუკაშვილი ზაქარია (მღვდელი), ქელიციძე ალექსანდრე იოსების ძე და ნინო იოსების ასული ნაკაშიძისა.

ამას შემდეგ არაჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 48.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, მარტის 8-ს.

კრება გაიხსნა თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში სალამოს 8¹/₄ საათზედ ეკვ. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ საზოგადოების წევრნი: მღ. ვ. კარბელაშვილი, კ. ტყავაძე, დ. კარიჭაშვილი, გრ. ყიფშიძე, გ. ყაზბეგი, ს. იაშვილი, ილ. ნაკაშიძე, ნინო ნაკაშიძისა, არჩ. ავალიშვილი, ირ. სონღულაშვილი, ს. გორგაძე, ს. კაკაბაძე, მ. გედევანიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ა. ჯვარიშვილი, მემარიაშვილი, გრ. დიასამიძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა წინანდელ საზოგადო კრებათა ოქმები (№ № 46 და 47).

II. შემდეგ კრებამ მოისმინა მამა პოლ. კარბელაშვილის რეფერატი: „მადნის წარმოების საქმე საქართველოში ერეკლე II-ს დროს“. მომხსნებელი თავის რეფერატში შეგნო მოკლედ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას მე-XVIII საუკუნეში და შემდეგ გადავიდა მადნის წარმოების დასურათებაზედ ერეკლე მე-II-ის

დროს. მოიტანა აგრეთვე ცნობები ფულის ჭრის შესახებ საქართველოში მე-XVIII საუკუნეში. ამის შემდეგ რეფერენტმა მოიხსენია, თუ რა პირობებით გაიცემოდა ხოლმე ჩვენში მადნები იჯარით და, ამის დასასურათებლად, წაიკითხა რამოდენიმე საინტერესო დოკუმენტი, მის მიერ პოვნილი. რეფერატმა კამათიც გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ-ნ მეძმარიაშვილმა, ს. კაკაბაძემ და ე. თაყაიშვილმა. ე. თაყაიშვილმა შენიშნა, რომ რეფერენტის მიერ მოხსენებული ცნობები ფულის მოჭრის შესახებ ვერ არის სისწორით გადმოცემული და შესაფერისად უნდა შეცვლილ და შესწორებულ იქნესო.

III. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა სერგი გორგაძის ზეპირი მოხსენება ქართულ ლექსთა-წყობის შესახებ*). პირველად რეფერენტმა განმარტა მახვილის თვისება ქართულ ენაში, რომელიც, მისის აზრით, თავისებურს კანონს ემორჩილება (ორ-მარცვლოვანს სიტყვაში მახვილი პირველ მარცვალზედაა, სამ და ბევრ მარცვლოვანში კი მესამეზედ ბოლოდან) და აღნიშნა სინტაქსიურ ჯგუფის არსებობა მახვილის კანონისათვის („მამბ ჩემი“, „შაფი მიწა“). ამის შემდეგ რეფერენტმა დაწერილებით განმარტა ქართულ ლექსთაწყობის კანონები და აღნიშნა ის გვარები, რომელიც, მისის აზრით, არსებობს ჩვენებურ ლექსთა წყობაში, სახელდობრ: შეთელური, შაირი ჩახრუხაული, შაირი რუსთაველური, აკაკური, ბაიათი, დიდი გურამული I, დიდი გურამული II, მცირე გურამული, ბესიკური და ბარათაშვილური.

რეფერატმა კამათიც გამოიწვია. გრ. ყოფიშვიმ აღნიშნა, რომ, წინააღმდეგ რეფერენტის აზრისა, მახვილი ქართულში არაა მოძრავიო.

სალამოს 11 საათზედ ჩვეულებრივი საზოგადო კრება გათავდა და გაიხსნა არაჩვეულებრივი კრება.

№ 49.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, მარტის 8-ს.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება დაიწყო 11 საათზედ იმავე წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინანდელ ოქმში არიან დასახელებულნი. კრებამ საზოგადოების წევრებელ ამოიჩინა: ივანე სიხარულიძე,

*) დაიბეჭდა კრებულ „გრდემლში“, ტ. I, (თბილისი 1912 წ) სათაურით: „ქართული წყობილსიტყვაობა“. რამოდენიმე ცალი ცალკე წიგნადაც გამოიცა.

ალექსანდრე არჩ. ლეჟევა და ვლასი ლუკას ძე კონტრიძე. ამას შემდეგ 11¹/₄ საათზედ არაჩვეულებრივი კრებაც გათავდა.

№ 50.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, სექტემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე, ე. ს. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თავად-ანანურთა სადეპუტატო საქრებულოში (ბელინსკის ქ. № 2). დაესწრნენ შემდეგი ნამდვილი წევრები: დავ. კარიბაშვილი, აბ. იაშვილი, გიორგი ალ. მუსხელიშვილი, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, დავ. ჯორჯაძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ალ. მირიანაშვილი, დეკ. ნიკიტა თალაქვაძე, გვრას. იმნაიშვილი, ს. კაკაბაძე, იუსტ. აბულაძე, სერგ. გორგაძე, გიორგი დაფქვიაშვილი, მიხ. გედევანიშვილი, იოს. მონალირიშვილი, არჩილ ავალიშვილი და გარეშე საზოგადოება.

I. პირველად კრებამ, თავმჯდომარის წინადადებით, ზეზე ადგომით პატივი სცა საზოგადოების გარდაცვალებულ წევრთა: დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილისა და მღვდლის (ისტორიკოსის) მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინანდელ კრებათა ოქმები (№ № 48 და 49).

III. დასასრულ საბჭოს წევრებმა საზოგადოებას გააცნეს მათი საარქეოლოგია მოგზაურობის ანგარიში გასულ ზაფხულს. იმოგზაურეს: თავმჯდომარემ ე. თაყაიშვილმა და ალ. ივ. სარაჯიშვილმა—ქართლ-კახეთში, ს. გორგაძემ—ზემო იმერეთში (ჩხერიმელის ხეობაში) და იუსტ. აბულაძემ—ქვემო იმერეთში.

ქართლსა და კახეთში საბჭოს წევრებს მოუვლიათ მრავალი სოფელი და შეუგროვებიათ: ძველი ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნები, ძველი ფულები, საისტორიო პირთა სურათები და სხვა საარქეოლოგია ნივთები, სულ 800-მდე საარქეოლოგია საგანი. აგრეთვე დაუთვალაიერებიათ მრავალი ტაძარი როგორც ქართლში, ისე კახეთში.

ზემო-იმერეთში საბჭოს წევრს მოუვლია უმთავრესად მდ. ჩხერიმელის ხეობაში შემდეგი სოფლები: ნუნისი, პატარა ხარაგაული, ზვარე, ჩრდილი, ნებოძირი, მოლითი, დვისი, ვახანი, დიდი ხარაგაული, ჩხერი, ფარცხნალი (კახორითურთ) და ვანი; ამთ გარდა ყვირილის მახლობლად სოფ. ტაბაკინი. აქ შეუგროვებია: ხელნაწერი წიგნი—10, ნაბეჭდი—20, ძველი ფული—23, სხვა საარქეოლოგია ნივთი—13,

სულ მს საარქეოლოგია საგანი; გაუცვნია და აუწერია: ძველი ტაძარი ან ტაძრის ნანგრევი 10, რომელთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ნუნისისა, კახორისა და ტაბაკინის ტაძრები (ორს უკანასკნელში კედლის მხატვრობაცაა დატული), და 2 ციხე: ჩხერისა და ეახანისა.

საბჭოს წევრის იუსტ. ირ. აბულაძის მოგზაურობის ანგარიშის მოსმენა შემდეგი კრებისათვის გადაიდო.

სალამოს 10 საათზე ჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 51.

ბარჩვეულმებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, სექტემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 10 საათზე იმავე წვერთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

კრებამ ს. გორგაძისა და ალ. სარაჯიშვილის წინადადებით აირჩია 51 ახალი ნამდვილი წევრი: 1. დეკანოზი ერმალოზ ვეფხვაძე, დეკანოზი რომანოზ დეკანოზიძე, მღვდ. რომანოზ გორგაძე, მღვდ. ბესარიონ კელენჯერიძე, მასწავლ. პარმენ სვ. კელენჯერიძე. მთ.-ღიაკონი ანანია კიკნაძე, მღვდ. იასონ მხატვრიშვილი, მღვდ. ძოსიმე გველესიანი, ნიკოლოზ შამბერაშვილი, 10. მღვდ. ისიდორე დევედარიანი, კოდრაცი ნაჭყებია, მღვდ. იაკინთე გორგაძე, მღვდ. კირილე კელენჯერიძე, თეოდორე რევაზის ძე სვანიძე, ვახტანგ სოლომონის ძე მუხსელაშვილი, კოსტანტინე პლატონის ძე კანდელაკი, ემერენტიაანა მიხეილის ასული ჯაკელია, გიორგი სტეფანეს ძე ჯაკელი, იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე, 20. ივანე დიმიტრის ძე ქიტიაშვილი, ლევან დიმიტრის ძე ფაულენიშვილი, დავით კოსტანტინეს ძე ჩოლაყაშვილი, ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავისა, ალექსანდრე ნიკოლოზი: ძე ერისთავი, პოლკოვნ. პაულე ნიკოლოზის ძე სტროვევი, ივანე დავითის ძე უთნელიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გველესიანი, კაპიტანი ალექსანდრე როსტომის ძე აბაშიძე, 30. ბარბარე ალექსანდრეს ასული ვერშიშვილისა, ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე, ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი, ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილი, გიორგი ნიკოლოზის ძე ვეზირიშვილი, ნიკოლოზ ივანეს ძე სულხანიშვილი, ვასილ გიორგის ძე მანაბელი, რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე, სვიმონ სვიმონის ძე ვაჩნაძე, მღვდ. იოსებ ახალშენიშვილი, 40. მიხეილ ალექსანდრეს ძე გვიმყრელი, იოსებ ალა-

წლიური კრება.

1911 წელს, ნოემბრის 13-ს.

კრება გაიხსნა დილის 11 საათზე, ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2).

დაესწრნენ ნამდვილი წევრები: გენერალ-გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, დავ. კარიბაშვილი, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი, იუსტ. ირ. აბულაძე, დეკანოზი კორნ. კეკელიძე, ს. რ. გორგაძე, გერ. იმნაიშვილი, შალვა ამირეჯიბი, ალ. ქვლივიძე, ტრასი რცხილაძე, ივანე თიკანაძე, ათ. ჯვარიშვიშვილი, ეგნატე ხრამელაშვილი, მირონ ჯინორიძე, ვლ. ელიავა, გრ. ბურჭულაძე, აბ. იაშვილი, არხ. ავალიშვილი, ლ. ბოცვაძე, პ. იზაშვილი, დავ. ჯორჯაძე, იოსებ მერკვილაძე, მიტროფ. ლალიძე, ირაკლი რამიშვილი, ალ. მიქაბერიძე, მღვდ. ვასილ კარბელაშვილი, გრ. ყიფშიძე და გარე-შე საზოგადოება.

I. პირველად, თავმჯდომარის წინადადებით, კრებამ ზეზე ადგილ-მით პატივი სცა საზოგადოების ახლად გარდაცვალებული წევრის ნიკოლოზ ცხვეთაძის ხსოვნას.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა 20 სექტემბრის კრებათა ოქმები და უცვლელათ დაამტკიცა.

III. მერე კრებას მოხსენდა: 1) 1910 წლის საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, 2) შემომწირველთა სია, 3) 1911 წლის საეგარაუდო ანგარიში*) და 4) სარევიზიო კომისიის აქტი შემდეგი შინაარსისა:

*) ანგარიშები და შემომწირველთა სია დაბეჭდილია ზემოთ, ამავე განყოფილებაში, გვ. 74—86.

„1911 წელსა, ოქტომბრის 30-სა დღესა, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერთა, სარევიზიო კომისიის წევრებმა, საზოგადოების საბჭოს მოწვევით, განვიხილეთ:

1. საზოგადოების 1910 წლის მოქმედების ანგარიში,
2. შემოსავალ-გასავლის ანგარიში იმავე წლისა,
3. შემოსავალ-გასავლის წიგნები, საბუთები და თანხები,
4. 1911 წლის სავარაუდო აღრიცხვა შემოსავლისა და ხარჯებისა,
5. წიგნთსაცავი და მისი ორი კატალოგი (ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნებისა),
6. მუზეუმის კატალოგი და საარქეოლოგიო ნივთები,
7. გამოცემათა საწყობი და თვით გამოცემანი,—და ვპოვეთ:
 1. საანგარიშო წიგნები წესიერათ ნაწარმოები,
 2. თანხები სრულიად დაკულნი,
 3. სავარაუდო აღრიცხვა წესიერათ შედგენილი,
 4. საარქეოლოგიო ნივთები და წიგნები წესიერათ აღნუსხულ-დაკულნი,
 5. საზოგადოების გამოცემათა რაოდენობაც სრულიად დაკული, იმ ცალკების გამოკლებით, რომელნიც საზოგადოების საბჭოს გაუყიდნია ან წევრთათვის და აგენტებისათვის დაურიგებია“.

სარევიზიო კომი- } კ. მაყაშვილი,
სიის წევრები: } გრ. ყიფშიძე.

1910 წლის ანგარიშები კრებამ მოიწონა და დაამტკიცა.—დაამტკიცა, აგრეთვე, 1911 წლის სავარაუდო ანგარიშიც. ამ უკანასკნელთან ერთად კრებამ განიხილა საბჭოს მოხსენება (საბჭოს უფრალი № 63, მუხლი 7): დაინიშნოს სასყიდელი საზოგადოების გამოცემათა რედაქტორობისა ყოველ ნაბეჭდ გვერდზე (ჩვენი გამოცემის ფორმატისა)—ხუთი შაური, კორექტურისა—იმავე ანგარიშით იმდენივე და ხელნაწერთა გამოწერისა იმავე ანგარიშით იმდენივე; აგრეთვე: საზოგადოების მდივანს თვეში ოცდახუთი მანათი და მის თანაშემწეს, ე. ი. საქმის მწარმოებელს—ოცდახუთი მანათი.

კრებამ საბჭოს მოხსენებაც მიიღო და დაამტკიცა დაე. კარიჭაშვილის განმარტებით, სახელდობრ: სასყიდელი რედაქტორობისა, გადმოწერისა და კორექტურისა ხუთ-ხუთი შაური მარტო maximum-ად იყოს მიღებული; მაგრამ დაევალოს საბჭოს, სადაც შესაძლო იქნეს და მოხერხდებოდეს, რედაქტორ-გადამწერ-კორექტორთან წინასწარი შეთანხმებით ნაკლები ხარჯი გაიღოს ხოლმე.

IV. დასასრულ, კრებამ მოისმინა მოსე გიორგის ძის ჯანაშვილის მოხსენება ქართული „დაბადების“ შესახებ“. მთელი მოხსენება ხუთ თავად იყო გაყოფილი: 1-ლ თავში რეფერენტმა საზოგადოებას გააცნო ქართული „დაბადების“ ხელნაწერები; მე-2 თავში მოკლეთ შეეხო ქართული „დაბადების“ დაბეჭდვის ისტორიას, შედარებით დიდხანს შეჩერდა მოსკოვის გამოცემაზე (1743 წლის); მე-3 თავში მრავლათ უჩვენა განსხვავებანი „დაბადების“ ალექსანდრიულის ბერძნულის, რუსულის, სომხურის და ქართულის ტექსტებისა; მე-4 თავში მომხსენებელი შეეცადა კრებისათვის გაეცნო ის მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყვეს „დაბადების“ მრავალგვარის (თითქმის 400-მდე) ვარიანტის წარმოშობას და მე-5 თავში გამოსთქვა მოახზება იმის შესახებ, თუ საიდან, რომელი ენიდან, უთარგმნიათ ქართული „დაბადება“. რეფერენტის აზრით, ადრეა ჯერ იმისი მტკიცება, ვითომც ქართული დაბადება სომხურიდან უთარგმნოს; მისი აზრით ქართული „დაბადება“ ბერძნულის ლეიძლი შვილია.

მომხსენებელი კრებამ ტაშით დააჯილდოვა.

ნაშუადღევს 2 საათზე წლიური კრება დაიხურა და მის ნაცვლათ თავმჯდომარემ გამოაცხადა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

№ 53.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, ნოემბრის 13-ს.

კრება გაიხსნა ნაშუადღევს 12 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე წვერთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

აღ. სარაჯიშვილისა და ს. გორგაძის წინადადებით კრებამ აირჩია 12 ახალი წამდელი წევრი: 1. ფორაქაშვილი ადამ ივანეს ძე, ყორღანია გიორგი თევდორეს ძე, ცინცაძე იაკობ თომას ძე, ღამბაშიძე სერგო გიორგის ძე, ნ. ტარასი მღვდელმონაზონი, გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე, გაბაშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, ნაზარი არქიმანდრიტი (ლევავა), თავ. არღუთაშვილი-მხარგრძელი ნიკოლოზ ვასილის ძე, 10. იოსებ ჩიტაძე (მღვდელი), კაპანაძისა ანნა გრიგოლის ასული და 12, შავარდნაძე დიმიტრი ირაკლის ძე.

ნაშუადღევს 2 საათზე და 10 წუთზე კრება დაიხურა.

№ 54.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1911 წელს, დეკემბრის 23-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე დაე. კარიკაშვილის თავმჯდომარეობით, თავდაზნაურთა დეპუტატების საკრებულო დარბაზში. დაესწრენ შემდეგი ნამდვილი წევრები: გენერ. გიორგი ნიკ. ყაზბეგი, ალ. ივ. სარაჯიშვილი, ალ. თ. ყიფშიძე, ივ. ალ. ჯავახიშვილი, რევაზ გაბაშვილი, იუსტ. აბულაძე, გერ. იმნაიშვილი, ექიმი გ. გაბაშვილი, არჩ. ავალიშვილი, ათ. ჯვარიშვილი, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№ № 52 და 53).

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა საბჭოს წევრმა იუსტიციის ი. აბულაძემ შესახებ თვისის მოგზაურობისა ამ ზაფხულს იმერეთში, სახელდობრ, საკრეულო-ახანის-წყლის ხეობებსა და უხუთხეინდარში. მოხსენებელმა დაწვრილებით გააცნო საზოგადოებას შედეგები თავისის საარქეოლოგიო მოგზაურობისა: მას უნახავს და აუწერია მრავალი ტაძარი და მათი ნანგრევები, აუწერია მათი მხატვრობა, აგრეთვე ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნები, ძველი ნივთები, რომელთაგან ზოგნი მოუპოებია ჩვენი საზოგადოების მუზეუმისათვის.

მოხსენება დასწრე საზოგადოებამ ჰპოვა ფრიად შინაარსიანად და მომხსენებელს მადლობა გადაუხადა. აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და კამათის დროს გამოითქვა ორგვარი სურვილი:

ზოგნი (დაე. კარიკაშვილი და სხვ.) ამტკიცებდენ: ჩვენი საზოგადოების მიერ გაგზავნილი მოგზაურები მარტო საარქეოლოგიო ცნობებს არ უნდა სჯერდებოდენ, არამედ თავის მოხსენებაში გეოგრაფიულს, ლინგვისტიურს და ფართო ფილოლოგიურს მასალასაც უნდა გვაწვდიდენ ხოლმეო.

სხვები კი (ივ. ჯავახიშვილი, ს. გორგაძე და თვით მომხსენებელი) იმ აზრს იცავენ, რომ უმჯობესია მოგზაური მტკიცეთ განსაზღვრულის პროგრამით ხელმძღვანელობდეს, და ყველაფერს ან ბევრს რასმე ნუ გამოეკიდება, თორემ იმასაც ვერ გააკეთებს რიგიანათ, რისი გაკეთებაც შეუძლიაო. კერძოთ ივ. ჯავახიშვილმა გამოსთქვა სურვილი, რომ: ა) ჩვენმა საზოგადოებამ ფოტოგრაფიული აპარატები შეიძინოს და ყოველს საგანგებოდ გაგზავნილს მოგზაურს თან გააყოლოს ხოლმე მტოდნე სპეციალისტიც საყურადღებო შენობებისა და საარქეო-

ლოგო ნივთების გინდ ტიპების სურათების გადმოსაღებად, ბ) აგრეთვე, რადგან ქართული საარქეოლოგო ტერმინოლოგია ჯერ-ჯერობით გამოკვლეული არაა და ყოველი მოგზაური საქუთარს ტერმინებსა სთხვავს, საქირია ქველი ხელნაწერებიდან ტერმინები გამოირკვეს, რომ მოგზაურები ერთგვარის ტერმინებით სარგებლობდნენ, თორემ შესაძლოა ისეთი არეულობა გამოიწვიოს ამგვარმა მდგომარეობამ, რომ ახლო მომავალში ერთმანეთისაჲ ველარაფერი გავიგოთო.

ბოლოს მოხსენება უნდა წაეკითხა გიორგი თევდორეს ძეს ქორდანიას, მაგრამ საოჯახო მიზეზთა გამო მომხსენებელი კრებას ვერ დაესწრო, რაჲ მან წერილობით აცნობა თავმჯდომარეს და კრების წინაშე ბოდიში მოიხადა.

საღამოს 11 საათზე თავმჯდომარემ კრება დახურა.

№ 55.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, თბილისის 13-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით თავ.-ან. დეპუტატების საკრებულო დარბაზში. დაესწრნენ შემდეგი ნამდვილი წევრები: გიორ. ნიკ. ყაზბეგი, დავ. კარიჭაშვილი, ალ. ივ. სარაჯიშვილი, იუსტ. აბულაძე, ათ. ჯვარიშვილი, სეით იაშვილი, გრ. ყიფშიძე, დევ. ანტ. თოთიბაძე, გერას. იმნაიშვილი, ალ. მდივანი, ალ. მირიანაშვილი, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, კოსტ. ყიფიანი, გრ. დიასამიძე, გრიგ. გაბაშვილი, ალ. მიქაბერიძე, არჩ. ავალიშვილი, გიორგი დაფქვიაშვილი, ილია კარგარეთელი, ალ. ყიფშიძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრების ოქმი (№ 54) და დაამტკიცა.

II. შემდეგ თავმჯდომარემ ექვთიმე სვიმონის ძემ თაყაიშვილმა კრებას გააცნო თავისი მოხსენება: „რას წარმოადგენდა, ეგრეთ წოდებული, აფხაზეთის ისტორია, რომლითაც უსარგებლნია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოზს“. მომხსენებელი პირველათ შეეხო დოსითეოზის ცხოვრებასა და განწყობილებას საქართველოსთან: საქართველოში მოგზაურობას და ქართველ კათალიკოზ-მღვდელმთავრებთან მიწერ-მოწერას; და ბოლოს გადავიდა მოხსენების უმთავრეს საგანზე—„აფხაზეთის ისტორია“ ბატრატ მეფისა (X საუკ.), რომლითაც უსარგებლნია დოსითეოს პატრი-

არქს (XVII საუკუნეში). მოიყვანა ცნობები დოსითეოზის „ისტორიიდან იერუსალიმის საპატრიარქოსისა“ (ბროსეს მიერ ნათარგმნი და ამოკრებილი) და მეგრ გააცნო დამსწრეებს ერთი ახლათ აღმოჩენილი ხელნაწერი¹⁾, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა კოსტანტინე მე-II-ის († 1414 წ.) მიერ განახლებული ტექსტი ბაგრატ მე-III-ისაგან შედგენილის აფხაზეთის მეფეთა სიისა (ანოსიდან ლეონ II-მდე და აქედან ბაგრატ III-მდე), რომელიც იგივეა, რაც ბროსეს მიერ გადმოცემული სია დოსითეოზისა. მომხსენებელმა დაასვენა, რომ ეს სია და დოსითეოზის მიერ მოხსენებული ბაგრატის „ისტორია აფხაზეთისა“ ერთი და იგივეა.

მომხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი მოხსენების საგნის შესახებ. მოკამათეთა უმრავლესობა მომხსენებლის აზრს ეთანხმებოდა (დ. კარიჭაშვილი, მღვდ. ვ. კარბელაშვილი, ს. გორგაძე); ზოგი კი (ს. კაკაბაძე) იმ აზრს ადგა, რომ დოსითეოზის მიერ მოხსენებული „აფხაზეთის ისტორია“ უნდა ყოფილიყო ვრცელი საისტორიო წყარო, სახელდობრ „აფხაზთა ცხოვრება“ და არა მოკლე სია აფხაზთა მეფეებისაო. კერძოთ ამ სიის შესახებ ბ-ნმა კაკაბაძემ შენიშნა, რომ იგი უნდა განეაზღვებინოს არა კოსტანტინე მე-II-ეს, როგორც მომხსენებელს ჰგონია. არამედ დღემდე უცნობს მეფეს კოსტანტინეს, რომელიც გარდაიცვალა 1439 წელსაო²⁾.

სალამოს 10 $\frac{1}{2}$ საათზე თაიმჯდომარემ ჩვეულებრივი კრება დახუროა³⁾ და არაჩვეულებრივი გახსნა.

¹⁾ მომხსენებელმა შენიშნა, რომ ამ ხელნაწერში არის ერთი საყურადღებო ცნობა შესახებ იოანე პეტრიწისა, სახელდობრ შესახებ მისი წოდებისა კირკიმელად: იგი იყო დაბა კირკიმელი დანო.—პ. მირიანაშვილი თხოულობს, რომ ეს ახალი ცნობა ოქმში შეტანილ იქმნას.

²⁾ კაკაბაძე თხოულობს ამ ოქმს დავმატოს: „სია დოსითეოზისა და ახლად აღმოჩენილი წყაროსი ერთმანეთს არ უდრის სასებთაო“.

³⁾ ამ ოქმის წაკითხვის დროს (1912 წლის მარტის 5-ს) მდივანმა ს. გორგაძემ შემოიტანა შემდეგი განცხადება, რომელიც კრების ნებართვით უნდა ჩატანილ იქმნას ამ საქმის შესავსებლად (იხ. ოქმი № 57):

„როგორც დამსწრე პირებს ესომებათ, კრებაზე (1912 წელს, 13 თებერვალს) ჩემთან კამათის დროს ბ-ნმა კაკაბაძემ მიპასუხა: ა) ვითომც ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი არას ამბობდეს შესახებ მეფეობის მოსპობისა ივერიაში სპარსელების მიერ მე-VI საუკუნეში (თვითონ კაკაბაძე იმ აზრს ადგა, რომ იმ პერიოდში ქართველებს მეფე არა ჰყოლიათო); და ბ) ვითომც მე-VIII საუკუნის მეორე ნახევარში, ახო ტფილელის წამების წლის მახლობლათ, ბაღდადის საზა-

№ 56.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, თებერვლის 13-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 10¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილისავე თავმჯდომარეობითა და იმავე ნამდვილ წევრთა თანდასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

აღ. სარაჯიშვილისა და თავმჯდომარის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ნამდვილი წევრები:

1. სოფიო ნიკოლოზის ასული მიქელაძისა, მიხეილ დიმიტრის ძე ნასიძე, კოსტანტინე ივანეს ძე ჯაფარაძე, გიორგი დომენტის ძე მაჭარაშვილი, ნ. მოსე ივანეს ძე თოიძე, ნინო თევდორეს ასული ბარონესა

ლიფოს ისტორია არ იცნობდეს ხალიფას მ ა ჯ დ ი ს და ვითომც ეს სახელი არც „აბო ტფილელის ცხოვრებაში“ იყოს მოხსენებული.

ამ შენიშვნებზე მე მაშინვე განვაცხადე, რომ მზად ვარ ჩემ მიერ მოტანილი ცნობების სინამდვილე შესაფერის ციტატებით დაეამტკიცოთეთქი. ვასრულებ ამ დაპირებას:

ა) პროკოპი კესარიელი (VI საუკ.) მოგვითხრობს: 523 წელს სპარსეთის მეფემ კობადმა ივერიას დიდძალი ლაშქარი შეუსია ბოის წინამძღოლობით; ივერთა მ ე ფ ე გ უ რ გ ე ნ ი მთელი სახლობითა და წარჩინებული ივერიელებით ჯერ ლაზიკაში გადავიდა და შემდეგ ბიზანტიაში იმპერატორ იუსტინესთან (იხ. Прокопій Кесарійскій—„Исторія воннъ римлянъ съ персами...“ т. I, переводъ Сп. Дестуниса, Спб. 1862 г. i. стр. 54—58). კობადის შემდეგ სპარსეთის ტახტი ხოსრომ დაიჭირა, ხალა ბაზანტიაში, იუსტინეს შემდეგ, იუსტინიანე გამეფდა. 532 წელს მათ შორის მოხდა ზავი (იხ. იქვე გვ. 111—118; შედ. გვ. 272; 281—282); ამ ზავის შემდეგ ბიზანტიაში შეხიზნულ ივერიელებს ნება მიეცათ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ (იხ. გვ. 117 და სხოლო მე-69); მეფის ყოლის ნებას კი სპარსელები ივერიელებს ამას შემდეგაც არ აძლევდენ. აი თვით პროკოპის სიტყვები: «Съ тѣхъ поръ, какъ внятнѣйшіе изъ ивировъ вмѣстѣ съ царемъ Гургеномъ замыслили объ отпаденіи отъ персовъ, какъ выше было упомянуто, персы не позволяли имъ имѣть своего

კლეისტ-მირიმანოვისა, იოსებ ივანეს ძე პაიქაძე (ნაფიცი ვეკილი), დომინიკა ერისთავისა (განდეგილი), ი. ანნა ტარასის ასული წუწუნავასი.

№ 57.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, მარტის 5-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8 $\frac{1}{2}$ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ შემდეგი წევრნი: გენერალი გიორგი ნიკ. ყაზბეგი, ა. ბ. მდივანი, სპ. ბაქრაძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. ი. სარაჯიშვილი, ათ. ჯვარიშვილი, მიხ. გიორგაძე, გრ. ყიფშიძე, პ. მირიანაშვილი, ი. აბულაძე, ს. გორგაძე, ალ. მიქაბერიძე, ნიკ ავალიშვილი, ალ. მირიანაშვილი, გიორგი დაფქვიაშვილი, ალ. ყიფშიძე, არჩ. ავალიშვილი, ს. კაკაბაძე და გარეშე საზოგადოება.

п а р я, и ивиры покорствовали персамъ противъ воли» (იქვე, გვ. 284, შეად. გვ. 283 და შენიშვნა მე-145). ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

ბ) რაც შეეხება მ ა ჰ დ ი ს, აბო ტფილელის „ცხოვრებაში“, რომელიც მე-VIII—IX საუკუნეშია შედგენილი, ჩვენ ვკითხულობთ:

„მეფობასა კოსტანტინენ-პოლის ქალაქსა მას დიდსა ქრისტიანეთა ზედა კოსტანტინესსა, ძისა ლეონისასა, სარკინოზთა შორის მეფობასა მ ო ს ე ამირა მუმნისასა, ძისა მ ა ჰ დ ი ს ა“ და სხვანი: „შევისწავეთ მარტკლობაჲ წმიდისა და ნეტარისა ამის მოწამისა და კეთილად მოღვაწისა ჰაბოასი, ქალაქსა ტფილისს“ (იხ. „წმ. მოწამე აბო ტფილელი“, გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, 1899, ტფილისი, გვ. 22—23). აქ მოხსენებული ხალიფა „მ ო ს ე“ ანუ მ უ ს ა-ა-ლ-ჰ ა დ ი ბაღდადის ტახტზე იჯდა 785 წლის 3 აგვისტოდან 786 წლის 15 სექტემბრამდე (Brosset—Additions... p. 135—136). რაც შეეხება მამა-მისს მ ა ჰ დ ი ს (775—785 წლ.), ამაზე ისტორია მეტათ კაი აზრს იძლევა: „Золотой вѣкъ арбасидской династїи,—ვკითხულობთ ჰენრიხ შურცის თხზულებაში „Западная Азія въ эпоху ислама“,—начался только съ того времени, когда... достоинство халифа досталось М а х д і ю“ (Гельмольтъ—Исторія Человѣчества, т. III, стр. 306; 307).

საზოგადოთ უნდა შეენიშნო, რომ ჩვენი საზოგადოების ღირსება და თვით მოკამათეთა პირადი ინტერესი მოითხოვს, რომ კამათის დროს ერთმანეთის მიმართ მეტს ნდობასა და პატივისცემას ვიჩინედეთ“.

ს. გორგაძე.

I. პირველათ კრებამ მოიხმინა წინა კრებათა ოქმები (№ 55 და 56) და დამტკიცა რამოდენისამე შეესებითა და შესწორებით (იხ. მე-55 ოქმის სხოლიოებში).

II. შემდეგ კრებას მოხსენდა დღე გ. კარიკაშვილის რეფერატი: „საქართველოს წარმართი ღმერთები ჩვენს მატიანე-ში“. ავტორის მთავარი დასკვნანი ასეთი იყო: წარმართობის დროს საქართველოში სამგვარი კულტი ყოფილა: ა) საბერძნეთიდან შემოტანილი კულტი აფროდიტისი, ბ) ზოროასტრისა ანუ მაზდაიანობა და გ) ასურულ-ბაბილონურის ჩამომავლობის ღმერთთა თაყვანისცემა. კერძოთ მაზდაიანობის ნაშთებს წარმოადგენს ჩვენი მატიანის ცნობა: არმაზსა, ზადენსა, გაცისა და გაიმზე; არმაზი—ეს იგივე აურმაზდი ანუ აპურამაზდაა; ზადენი—საღეთო წიგნი „ზენდი“, რომელსაც თვით მაზდაიანებიც ისე უტკუროდენ, როგორც ღვთაებას; გაცი—ზენდის ერთ-ერთი საგალობელია, სახელდობრ „გათა“; გაიმი—მაზდაიანობის კულტის ერთ-ერთი საღეთო ნივთიერება (სასმელი)—„ჰაომა“, რომელსაც ღვთისმსახურების დროს ხმარობდენ.—რაც შეეხება მატიანეთა „აინინა-დანანას“, ამათში რეფერენტი ჰპოებს სამის ასურ-ბაბილონური ღვთაების გადამახინჯებულ სახელს. ეს ღვთაებანია: ა=აი, ნინა და ნანა*).

რეფერატმა აზრთა გაცელა-გამოცელა გამოიწვია.

3. მირიანაშვილი. საჭირო იყო პატივცემული რეფერენტი სხვა ქართულ ღმერთებსაც შეჰხებოდა: „ამირანსა“ და „ბოჩის“. პირველი, ჩემის ფიქრით, ეპონიშია ერთ-ერთი ქართველი ტომისა: იმერისა=ივერისა=ურისა. ბოჩი კი მოგვაგონებს ინდოურს ღმერთს ვაჩეს; მას რომ შვიდი ხელი ჰქონია, ეს სიმბოლურს გამოხატულებას წარმოადგენს მთელი მაშინდელი კავკასიის შვიდის ტომისას; დღეს, ხალხის წარმოდგენაში, ის „ბოჩო“ ქცეულა ბოროტ სულად „ოჩო-პენტრედ“, რომელიც ტყეში დახეტიალობს.—კერძოთ რეფერენტის შესახებ ბ-ნი მირიანაშვილი შენიშნავს, რომ დღევანდელ რეფერატში ბევრი ისეთი ახალი აზრი გამოითქვა, რომელთაც ამიერიდან ჩვენმა ისტორიკოსებმა ანგაჩიში უნდა გაუწიონო.

ი. აბულაძე ამტკიცებს, რომ ნიკ. მარჩის აზრი ამავე საგნის შესახებ უფრო დასაბუთებელია და მისაღები, ვინემ რეფერენტისაო. ბ-ნი რეფერენტს ავიწყდება, რომ მარჩს ძალიან მკვიდრი საფუძველი აქვს, როდესაც იგი სთვლის ქართველ საწარმართო ღმერთების სახელებს მწიგნობრულის საშუალებებით შემოსულად ჩვენს მატიანეში. მთელი მისი

*) აღნიშნული რეფერატი შემდეგ ავტორმა დაბეჭდა გაზ. „თემში“ 1812 წელს.

თუხისი იმაში მდგომარეობს, რომ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში ყველაფერი ნასესხებია. ეს სრული ტეშმარიტებაა. აიღეთ თუნდ აფრიღონ, რომელმაც მიაბა გველთა უფალი ბეგრასფი დემავენდს; იგივე ითქმის ღმერთების შესახებაც, რომელნიც სპარსთა პანთეონიდან არიან შემოტანილი. ბ-ნ კარიკაშვილის რეფერატის პირველი და თითქმის უმეტესი ნაწილი ბ-ნ მარის აზრის განმეორებას და გადასხვაფერებას წარმოადგენს; მხოლოდ მეორე ნაწილში აუღია და ასურო-ბაბილონური ღმერთები: აი, ნინა და ნანა პირწმინდად მიუღია ქართველ საწარმართო ღმერთებად. საზოგადოდ რეფერენტს არ აქვს არავითარი ფილოლოგიური და ისტორიული საფუძველი.

ს. კაკაბაძე. დღევანდელს რეფერატს შემდეგი სუსტი მხარეები აქვს: ა) მომხსენებელი არ იცნობს თუ საჭიროდ არა სცნობს ანგარიში გაუწიოს იმ კრიტიკულს ლიტერატურას, რომელიც უკვე არსებობს ჩვენი საისტორიო წყაროების შესახებ და კერძოდ იმ წყაროთა შესახებ, რომელთაგანაც რეფერენტს თავისი ცნობები ამოუკრებიან ძველ ქართულ ღმერთებზე. როგორც კრიტიკამ გამოარკვია, ეს წყაროები („ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაი ქართლისაი“) შედგენილია პირველი არა უადრეს მე-XI საუკუნის მეორე ნახევრისა, ხოლო მეორე არა უადრეს მე-X საუკუნისა, და, მაშასადამე, ყოველად შეუღლებელია მე-X—XI საუკუნის ქართველ მწერალს რაიმე რეალური სარწმუნო ცნობა ჰქონოდას ხელთ ძველი ქართული წარმართობის შესახებ. რეფერენტი კი იმ „ცნობებს“ უკრიტიკოდ ემყარება. ბ) ამას გარდა რეფერენტი სპეციალისტი არაა, მან არ იცის არც ერთი აღმოსავლური ენა (გარდა ქართულისა); კერძოდ, იგი არ იცნობს სპარსულსა და ძველ ზენდურს; ამიტომ ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია მის ფილოლოგიურს მოსაზრებებს ვერწმუნო და მარრის გამოკვლევა ამავე საგნის შესახებ უარგვესო. რეფერენტთან, რადგან მან აღმოსავლური ენები არ იცის, მე ამ საგნის შესახებ კამათიც კი შეუძლებლად მიმაჩნია.

ე. თაყაიშვილი—არ ეთანხმება კაკაბაძეს, ვითომც ქართული წყაროები იმდენათ საფუძვლიანათ იყოს შესწავლილი, რომ შეიძლებოდეს გადაჭრით დადგენა მათის შედგენის თარიღისა. როცა სტუდენტად ვიყავი, მეც ბევრი რამ მჯეროდა იმ მკვლევართა, რომელნიც „ქართლის ცხოვრებას“ თითქმის მე-18 საუკუნის ნაწარმოებად სთვლიდენ. მაგრამ

მას შემდეგ, რაც მარიამ დედოფლის ვარიანტი, „ქართლის მოქცევა“ და სხვა წყაროები აღმოჩნდა, ჩემთვის ცხადი შეიქნა, რომ ჩვენი მატრიანის შემდგენელს ხელთ ბევრი სხვა უუძველესი წყარო ჰქონია; გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ ძველი წყაროების შემდგენელთ კიდევ უფრო ძველი წყაროები ექნებოდათ. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში მრავალი ნასესხები ზღაპარი და თქმულება მოიპოვება (მაგალ. ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლანის შესახებ და სხვანი), მაგრამ თქმა იმისი, ვითომც იქ ყველაფერი მწიგნობრულათ ნასესხები ან ზღაპარი იყოს და არავითარი რეალური ცნობა არ მოიპოვებოდეს, ჯერ-ჯერობით მე ძლიერ აჩქარებულ აზრად მიმაჩნია. პირიქით, ჩემის აზრით, იქ ზღაპართან ერთად რეალური ცნობებიც თავს იფარავს და ჩვენი მოვალეობაა ამგვარი ცნობების გამოკვევის ხელი შევეწყობოთ. დღევანდელი რეფერატი სწორეთ ამ საქმეს ემსახურება და რამოდენათმე მიზანსაც აღწევს.—მართალია ბ-ნი რეფერენტი წყაროებს კრიტიკულად არ შეეხო, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს მას საჭიროდ არ მიაჩნდეს წყაროთა კრიტიკა ამგვარი კვლევის დროს, ან თითქოს არ იცნობდეს არსებულს კრიტიკას, არამედ მხოლოდ იმას, რომ რეფერენტს თავისი განსაზღვრული შესწავლა აქვს ამ წყაროთა ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ, და ეს შესწავლა ბევრს შემთხვევაში არ ვთანხმება ჩვენი საისტორიო წყაროების კრიტიკოსთა შეხედულებას.

დ. კ ა რ ი ჭ ა შ ვ ი ლ ი: ა) მართალია, ჩემი რეფერატისათვის წინ არ წამიძღვანებია ჩვენი საისტორიო წყაროების ისეთი კრიტიკა, როგორსაც ბ-ნი კაკაბაძე თხოულობს; მაგრამ განა შესაძლებელია და საჭიროა, ყოველს პატარა მოხსენებას წინ მუდამ იმ სიგრძე კრიტიკა წყაროებისა წარვუძღვანოთ ხოლმე, როგორც დღეს ჩემმა ოპონენტმა წარმოგვიდგინა?! ამას არ სჩადის არც ჩემი ოპონენტის მასწავლებელი ნიკ. მარტი თავის პატარა გამოკვლევაში ამავე საგნის შესახებ („*Вопросы древней истории Грузии*“), რომელსაც დღეს ესარჩლება ბ-ნი კაკაბაძე; მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, ვითომც ბ-ნის მარტის საჭიროდ არ მიაჩნდეს წყაროების კრიტიკა, ან მათ შესახებ თავისი განსაზღვრული შეხედულება არა ჰქონდეს... კერძოდ, ჩვენი წყაროების შესახებ იმ აზრისა გახლავართ, რომ ყოველად შეუძლებელია მემატრიანეს ფაქტები და სახელები განვებ შეეთხზას: უეჭველია მას ხელთ ექნებოდა უფრო ძველი

მწერლობითი წყარო ან გადმოცემა, ხალხში დარჩენილი. ჩემთვის სულ ერთია, როდესაც უნდა ჩაეწერათ ეს გარდამოცემა. შეიძლება იგი მე-X საუკუნეშიაც ჩასწერეს (და კი არ შესთხვეს, როგორც ჩემს ოპონენტსა ჰგონია); მაგრამ ამით ჩვენ საფუძველი არ გვესპობა იმ გარდამოცემათა რეალური ისტორიული მნიშვნელობა აღვიაროთ. მარტისა ჰგონია, წარმართი ღმერთების სახელები ჩვენს წყაროებში მწიგნობრულათ იყოს შემოტანილი უცხო ენებიდან; ჩვენ კი გვგონია, რომ იგინი ჩვენი ხალხის რეალურ გარდამოცემიდანაა შემოტანილი მემატიანის მიერ. და მეცნიერულის მხრით, ბ-ნი მარტის „მგონიაობა“ (ჰიპოტეზა) სრულებითაც არაა ჩემს „მგონიაობაზე“ (ჰიპოტეზაზე) უკეთ დასაბუთებული. ბ) მართალია, მე სპეციალისტი არა ვარ და არც როდის მიწოდებია ჩემი თავისთვის „სპეციალისტი“, მართალია, არც სპარსული ენა ვიცი, სწორედ ისე, როგორც არ იცის იგი არც ჩემმა მოკამათემ; მაგრამ ხელში მაქვს ძველი სპარსული და ქართული რამოდენიმე საღეთისმეტყველო ტერმინი და შემიძლია მათს ფილოლოგიურს მსგავსებაზე ვიქონიო მსჯელობა. აქ ენების დიდი ცოდნა არ არის საჭირო: საკმარაა შედარების ნიჭი და ლოდიკურ სისწორით მსჯელობა. კერძოდ, ამ საკითხის კვლევაში, ფილოლოგიურ შედარებათა დროს, მე იოტის ოდნადაც არ მილაღატნია იმავე მეთოდისათვის, რომელსაც ადგა თავის გამოკვლევაში ჩემი მოკამათის მასწავლებელი ბ-ნი მარტი. ამიტომ არ ვიცი, რად დასტორდა ჩემს მოკამათეს ის მედიდური და შეურაცხყოფელი კილო, რომლითაც თავისი საოპონენტო სიტყვა დაათავა!..

კამათის დასასრულს თავმჯდომარემ რეფერენტს მადლობა გადაუხადა მისი თავისებური და საინტერესო მოხსენებისათვის და ღამის 11 საათზე ჩვეულებრივი კრება დახურა.

№ 58.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, მარტის 5-ს.

კრება გაიხსნა საღამოს 11 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

ალ. ივ. სარაჯიშვილისა და გიორგი დაფქვიაშვილის წინადადებით კრებამ აირჩია სამი ახალი წამდელი წევრი: 1. დავით დავითის ძე პარკაძე, 2. თინათინ გიორგის ასული ფორაქაშვილისა, 3. კალისტრატე არეტის ძე ღვებუაძე.

სალამოს 11 საათსა და 10 წუთზე კრება დაიხურა.

№ 59.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, აპრილის 29-ს.

კრება დაიწყო სალამოს 8¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრენ შემდეგი წევრნი: ალ. სარაჯიშვილი, სპ. ბაქრაძე, ალ. ყიფშიძე, ტარ. რცხილაძე, ალ. მიქაბერიძე, ს. იაშვილი, ს. კაკაბაძე, სეე. განიჩილაძე, გ. დაფქვიაშვილი, ირ. სონღულაშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. გორგაძე, დავ. კარიჭაშვილი, პ. მირიანაშვილი, ალ. მირიანაშვილი, ალ. მირზაშვილი, აბ. იაშვილი, იოსებ მერკვილაძე, გიორგი ჯავახიშვილი და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებას მოხსენდა წინა კრებათა ოქმები, რომელნიც კრებამ მტკიროდენის შესწორებითა და შევსებით დაამტკიცა.

II. შემდეგ კრებამ მოისმინა პირველი ნახევარი სეკსტი მიხ. განიჩილაძის რეფერატისა: „ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ ი ის ტ ო რ ი ა და პ ს ი ნ ო ლ ო გ ი ა მ ი ს ი ზ ე პ ი რ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ის მ ი ხ ე დ ე ი თ“.

მოკლე შესავლის შემდეგ, რომელშიაც რეფერენტი შეეხო ფრანგ-ინგლისელ მეცნიერთა ღვაწლს სოციალური მეცნიერების წინაშე, მომხსენებელი პირდაპირ გადავიდა თავისი რეფერატის უმთავრეს საგანზე; გაარჩია ჩვენი ხალხის (უმთავრესათ სოფ. წვევაში შეკრებილი) ზეპირ-თქმულებანი მ ზ ი ს და ბ ნ ე ლ ე ბ ა ზ ე, ც ა და დ ე და მ ი წ ა ზ ე, ტ ა რ ი ე ლ ა ს ტ ა ნ დ ი ლ ზ ე (ავთანდილზე), საერთოთ ბ უ ნ ე ბ ა ზ ე და ს ა ი ქ ი ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა ზ ე; და თან აღნიშნა, რომ ამ თქმულებებში მრავლათ მოიპოვება მასალები ჩვენი ხალხის წარსული სოციალური ცხოვრებისა და სოფლმხედველობის გამოსარკვევად; სახელდობრ,

ამ მასალებიდან ვტყობილობთ, რომ უუძველეს დროში ქართველ ერს მატრიარქალური წყობილება ჰქონია, რომელიც შემდეგ შეცვლილა პატრიარქალურ წყობილებით და ფეოდალობით; ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისეთი ხანაც ყოფილა, როცა მას ადამიანის ხორცის ტამა ჰქონია ჩვეულებად; ხოლო მისი სარწმუნოება ერთ დროს დრუიდიზმი (ხე-ტყის თაყვანისცემა) ყოფილა და სხვანი.

რადგან მოხსენება ვრცელი იყო, მისი მეორე ნახევრის წაკითხვა შემდეგ კრებამდე გადაიდვა. წაკითხულის შესახებ მცირე აზრის გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თავმჯდომარემ კრება დახურა საღამოს 11¹/₂ საათზე.

№ 60.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, აპრილის 30-ს.

კრება დაიწყო საღამოს 8¹/₂ საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარებით. დაესწრენ შემდეგი წევრები: თავ. იასონ ციციშვილი, ს. გაჩეჩილაძე, მოსე ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, გრ. ყიფშიძე, ს. გორგაძე, სპ. ბაქრაძე, ირ. სონღულაშვილი, გერ. იმნაიშვილი, იუსტ. აბულაძე, არჩილ ავალიშვილი და გარეშე საზოგადოება.

1. პირველათ კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წინა კრების ოქმი (№ 59).

2. შემდეგ ს. გაჩეჩილაძემ კრებას მოახსენა თავისი რეფერატის მეორე ნახევარი, რომელშიაც შეეხა ჩვენი ერის შეხედულებას ქრისტიან-დემოკრატზე, ალტრუიზმზე და ქრისტიანულს საიქიოზე; გააჩნია რამოდენიმე არაკი, რომლებშიაც გამოხატულია ჩვენი ხალხის ეთიკა, ან უკეთ, მისი შეხედულება ქურდობაზე და მეგობრობა-გამტანობაზე; კერძოდ, ქართული არაკი ქურდობის შესახებ შეუდარა ბერბერების (კაბილების) თქმულებას ამავე საგანზე და დაასკვნა, რომ ჩვენი არაკი უფრო ძველი უნდა იყოს, ვინემ ბერბერულია; დასასრულ, მთელს რეფერატს დაურთო საკმაოდ ვრცელი განმარტება-რეზიუმე, რომლის შინაარსიც მოკლეთ ასე შეიძლება გადმოვეცეთ:

ა) თეორია. რომელიც საფუძვლად უძევს ჩემს გამოკვლევას, გახლავთ ევოლიუციონური თეორია: ყოველივე ნაირდება, ნირს იცვლის, ვითარდება, ფაქტი ფაქტს, ფორმა ფორმას, სისტემა სისტემას ენაცვლება.

ბ) სისტემა, რომელზედაც დაწყობილი მაქვს ჩვენი ფოლკლორის გარჩევა, გახლავთ ამგვარი: ჯერ ვირკვევ, რა შეხედულობა ჰქონია ჩვენს მასსას ბუნებაზე, მერე—კაცზე და ბოლოს—მათს ურთიერთობაზე.

გ) ჩვენი ერის სოციალური ფორმების განვითარების კვლევის დროს მე ვადგივარ დიალექტიურს მეთოდს, ხოლო მისი ფსიხოლოგიის გამოკვლევაში—სოციოლოგიური მეთოდით ვსარგებლობ.

დ) ბუნება, ჩვენი ხალხის შეხედულობით, შობილია ქალისაგან—„მზის დედისაგან“, დრუიდისტულ დედისაგან; დედა-მიწა კალოსავით მრგვალია; ცალურჯი ქვისა და დედამიწაზე ძალიან ახლოა (ერთი ისრის სროლის მანძილზე, ან უფრო ახლო: ირმის გრძელი რქების სიმაღლეზე); ცას ზღუდეები მიწის გარშემო ზღვაში აქვს ჩადგმული და სხვანი.

ე) პირველი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც ჩვენს ხალხში გასახულა, იყო ოჯახი—ჯერ მატრიარქატული და მერე პატრიარქატული; მატრიარქალურ ცხოვრებაშივე ჩაისახა და შესდგა „ბუნე“ (რეფერენტის განმარტებით „ბუნე“ ოჯახისა და თემის საშუალო კრებულა); ბუნური ცხოვრება შემდეგ შეიცვალა „მეფობად“—ფეოდალური სისტემის პირველ ფორმად, თვით მეფობაც თანდათან იცვალა და მივიდა თეოკრატიულ რეჟიმამდე და სხვ.

ვ) ძველ ქართველ კაცს სწამს, რომ ბუნების ძალნი ღმერთები არიან და ცოცხალ არსებად წარმოუდგენია იგინი: მზე—ქალად, მთვარე და ღამის მნათობები მამაკაცად, ღრუბლები—დევებად, ტყე—ქაჯად; ზღვა—გრიგალია, მთა და გორები—ალი და სხვ.; მას ეშინია ბუნებისა და ღმერთებს მოსამადლიერებლად ვევედრება, ლოცულობს, მსხვერპლსა სწირავს.—ჩვენი ხალხია გამომღები სხვა და სხვა სარწმუნოების პრიმიტიული ფორმებისა: დრუიდიზმისა, კოსმოგონიისა, პანთეიზმისა, ფატალიზმისა და სხვათა. საიქიო ცხოვრება ხალხს წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც გაგრძელება სააქაო ცხოვრებისა.

ხ) რაც შეეხება საზოგადოებრივს ზნეობას, ჩვენი ფოლკლორის განხილვამ დამარწმუნა, რომ, რამდენათაც უფრო პრიმიტიულია „ბუნური“ ცხოვრება, მით უფრო ძლიერია მასში ალტრუიზმი. რომელიც შემდეგ თანდათან სუსტდება, მაგრამ მთლათ კიდევ არა ჰქრება: მდაბიო კაცი, მასსა, ფეოდალურ სისტემის დროსაც, როცა იგი განდევნილია საზოგადო ასპარეზიდან, თავის ვიწრო წრეში იმავე ალტრუიზმით იბრუნებს სულს; პატრიარქატის განვითარების დროსაც, მამაკაცი, თუმცა სრული პატრონია თავისი ოჯახისა, არ ივიწყებს ზნეობრივ პრაქტიკულს ფილოსოფიას: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჭონდეს და გამოჭონდეს; განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს“ და სხვ. ამასთან ერთად ჩვენი ფოლკლორის განხილვამ იმ დასკვნაზე მიმიყვანა, რომ თავისუფლებისადმი მისწრაფება ყოფილა ქართველი ხალხის, მასის, სულის ჩამდგმელი და უკვდავად მქცევი. ესევე ნათლათ დაამტკიცა 1905 წლის მოძრაობამაც, რომელმაც ისეთი ღრმა ნიადაგი ჰპოვა განსაკუთრებით ჩვენის მასის, მდაბიო ხალხის, ერის გულში.

ც) საზოგადოთ ჩემი დასკვნა კი ის გახლავთ, რომ ჩვენი ქიეყანა, ამიერკავკასია და კერძოთ საქართველო, არის პირველი ბუდე თეთრკანიანის, კავკასიური რასისა (აქ რეფერენტმა მოიყვანა ლეტურნოს ახრი ამავე საგანზე); ჩვენი ერი და სამშობლოა წარმომშობი როგორც პირვანდელი სოციალური ფორმებისა (ოჯახი, მატრიარქატი, პატრიარქატი, ბუნე, სამეფო და სხვ.), ისე პირველყოფილის ზნეობისა, სარწმუნოებრივ ფორმათა და მრავალგვარ თქმულებათა. რომელნიც შემდეგ აქედან გაუტანიათ თეთრკანიან ხალხებს, როცა ამ პირვანდელ სამშობლოდან დაძრულან, და მოუფენიათ მთელს ევროპასა და აზიაში. ამ ჩემს უმთავრეს დასკვნას მე ვამყარებ, როგორც დაინახეთ, ერთი მხრით ანთროპოლოგების გამოკვლევაზე (ლეტურნო და სხვ.) და მეორე მხრით, ქართული ფოლკლორის განხილვაზე.

თ) ამიტომ, დრო არის ჩვენმა მეცნიერებმა ხელი აიღონ იმ აზრზე, ვითომც ჩვენ ყველაფერი ნასესხები გვქონდეს, სხვათაგან მითვისებული და გადმოღებული. პირიქით, მეცნიერებას არაფერს აენებს და დიდს სარგებლობასაც მოუტანს, უკეთუ ამიერიდან ჩვენნი მკვლევარნი მეტს გამბედაობას გამოიჩინენ და კაცობრიობას თვალს აუხელენ იმ ქეშმარიტებაზე, რომ ჩვენი ხალხია ის დედა-ხალხი, რომლისგანაც თეთრკანია-

ნები წარმოიშენენ და ქართული ენა არის ის დედა-ენა, რომლისგანაც ინდო-ევროპიული ენები ჩამომავლობენ. დაეწაფეთ, ბატონებო, ქართული ფოლკლორის დიად სულს და მის ძვირფას სამკაულს, უკვდავი ხალხის უკვდავ ენას, და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იგი კაცობრიობას ბევრს ახალს რასმე ამხელს!..

ი) დასასრულ, არ შემოძლია ამავე რჩევით არ მიემართო ჩვენს მგონებსა და საერთო ბელეტრისტებს. დიდი ხანია ჩვენს ინდივიდუალურს ლიტერატურაში ერთგვარმა მიდრეკილებამ მოიკიდა ფეხი, სახელდობრ: ჩვენებური მგონანი დაიბადება—ტირის, კვდება—ტირის, იცინის და—მინც ისევ ტირის! ამ დაუსრულებელ ტირილს ბ-მა შან-შიაშვილმა ხოტბაც კი შეასხა. ეგ ღნავილა კილო ჩვენის მგონებისა მოთენთილობის, სულით დაცემის მომასწავებელი მოვლენაა. დაეწაფონ, ბატონებო, ჩვენს ფოლკლორს, ამ ჩვენი ერის უკვდავების წყაროს, —იქ პოეზებენ ძლიერს სულს, საჭირო იდეალს და აღმაფრენას!..

მოსხენების წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი.

გ რ . ყ ი ფ შ ი ძ ე : ჩემის ფიქრით ძლიერ გაბედულად უნდა ჩითვალოს ბ-ნის რეფერენტის აზრი, ვითომც ქართველები უუძველესი ხალხი იყოს მთელს ხმელეთზე. ასეთი აზრის დასასაბუთებლად მარტო ფოლკლორის განხილვა არა კმარა.

მ . ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს : შესაძლოდ მიაჩნია ქართველების ნათესაობა ბერბერებთან და სასურველად სთვლის ამ საგნის გამოსაკვლევად აფრიკაში მყოფენ კაცი გაიგზავნოს ჩვენი საზოგადოებისაგან.

ს . კ ა კ ა ბ ა ძ ე : შეუწყნარებლად სთვლის იმ აზრს, ვითომც ქართველები უუძველესი ხალხი იყოს დედამიწაზე, გინდ თეთრკანიანთა შორის. უუძველესი კულტურული ხალხი სემიტები არიან. მათს ზეპირსიტყვაობაში (მაგალ. არაბებისაში) ჩვენ ვხდებით ისეთს თქმულებებს, რომელნიც ჩვენი ხალხის ფოლკლორშიაც მოიპოვება, მაგალ.. შეხედულებას მთვარეზე, როგორც კაც-ღმერთზე და მზეზე—როგორც ქალ-ღმერთზე და სხვ. ქართველები სემიტებთან შედარებით ბევრათ უფრო გვიან გამოვიდნენ საისტორიო ასპარეზზე; ქართველები ახალი ხალხია. ამიტომ, ცხადია, —დაასკვნა ოპონენტმა, —აღნიშნული თქმულებანი ქართველებს უნდა შეეფთვებინათ სემიტებისაგან და არა პირიქით, სემიტებს—ქართველებისაგან.

ი. ა ბ უ ლ ა ძ ე ს—მოხსენება მიაჩნია ფრიად საინტერესოდ და ყურადღების ღირსად, განსაკუთრებით ის ზეპირსიტყვაობითი მასალა, რომელშიაც დატულია თქმულებანი ხისა და, საერთოდ, ბუნების კულტურე და მისთანანი. ეს ხის კულტი გვიადვილებს აუხსნათ ისეთი საინტერესო-გეოგრაფიული ტერმინები, როგორცაა, მაგალ., „ჰუონდიდი“, „ჰუონდიდელი“ და სხვანი.—მაგრამ დიდ ღირსებებთან ერთად რეფერატს სუსტი მხარეებიცა აქვს. შეუძლებელია დავეთანხმოთ ბ-ნის რეფერენტის აზრს მის მიერ აღნიშნულ თქმულებათა თავისებურობის (ორიგინალობის) შესახებ. რეფერენტს ორიგინალურად მიაჩნია, მაგალ., თქმულება ძალთა-პირობაზე, ე. ი. კაცის-მჭამლობაზე; მაგრამ მსგავსივე თქმულებანი სპარსულ ფოლკლორშიაც მოიპოვება (მაგალ., საღსარებზე, ე. ი. ძალთაძველებზე და სხვ.). სანამ ამგვარ თქმულებათაგან რაიმე გადაჭრილ დასკვნას გამოვიტანდეთ მათი თავისებურობის შესახებ, ჯერ საჭიროა მათი ღრმა ანალიზი და შედარებითი შესწავლა, რასაც, რეფერენტს, რასაკვირველია, ვერ მოვთხოვთ და არც შეძლო. ამას გარდა ბ-ნ აბულაძეს ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნია მწერლობიდან ხალხში გადასულად და არა. პირაქეთ, ხალხიდან—მწერლობაში.

ს. გ ო რ გ ა ძ ე: ბ-ნის სევასტის რეფერატს მე წინათაც გავეცანი ხელთნაწერში, აქაც განსაკუთრებული ყურადღებით ვისმენდი და საჭიროდ მიმაჩნია გამოვსთქვა რამოდენიმე მოსაზრება, როგორც თვით ამ რეფერატზე, ისე, საზოგადოთ, ჩვენს ფოლკლორზე, როგორც ჩვენი ერის წარსული ცხოვრების საინტერესო წყაროზე: ა) ის ზეპირსიტყვიერი მასალა (ზღაპარ-არაკები და ლეგენდები), რომელზედაც ეს რეფერატი დამყარებული, ბ-ნის რეფერენტს, როგორც თვითონ განაცხადა, მარტო ერთს სოფელში, წევაში, აქვს შეკრებილი. ამ სოფელს მე კარგად ვიცნობ (რადგან ბავშობა იქა მაქვს გატარებული), ვიცნობ, როგორც ყოფილს სავაჭრო ცენტრს, სადაც უძველესი დროიდან ადგილობრივი მკვიდრნი აღებ-მიცემობას ეწეოდნენ და სადაც დღესაც წელიწადში ერთხელ (15—20 ივლისს—კვირიკობას) „იარმუკობა“ იმართება ხოლმე; ამ ბაზრობაზე მიდიან ვაჭრები თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან. თვითონ წეველს ვაჭრებსაც მუდამ მისვლამოსვლა ჰქონდათ კავკასიის უმთავრეს ქალაქებთან (ტფილისთან, ბათუმთან, ფოთთან, ტრაპიზონთან, ერევანთან, განჯასთან, ყარსთან და

სხვ.); ამას გარდა ეს სოფელი ზედ აკრავს (ნახევარი ვერსის მანძილზე) უუძველეს მსოფლიო სატრანზიტო გზატკეცილს მდინარე ძირულის პირას; ერთი სიტყვით, წვეა ისეთს პუნქტს წარმოადგენს, რომლის მკვიდრთ ყოველი მზრით გზა გახსნილი ჰქონდათ და, მაშასადამე, ძნელი დასაჯერებელია, იქაური ფოლკლორი წმინდა ქართული ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი იყოს; პირიქით, მე მგონია, წვეურს ფოლკლორში ორიგინალურს ელემენტზე უფრო მეტი შემოტანილი ელემენტი უნდა იყოს. ამიტომ, სანამ ეს ფოლკლორი კრიტიკულ-შედარებითი მეთოდით შესწავლილი და გარჩეული არ არის, მათზე რაიმე ფართო საისტორიო დასკვნათა დამყარება ჩვენი ერის წარსული სოციალური ცხოვრების განვითარების, საზოგადოებრივ ფორმათა ცვლის, შესახებ, ჯერ-ჯერობით მაინც, ძლიერ გაბედულ და აჩქარებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს: ამგვარის ნაბიჯით შესაძლოა ჩვენ უფრო დავშორდეთ ისტორიულ სინამდვილეს, ვინემ დაეუახლოვდეთ. ამ შემთხვევაში სამეცნიერო ინტერესი მოითხოვს მეტს სიფრთხილესა და აუჩქარებლობას დასკვნებში. ვინემ ეს დღევანდელს რეფერატს ემჩნევა. ბ) მაგრამ მე მგონია, ესევე ფოლკლორი საკმაოდ საიმედო მასალას უნდა წარმოადგენდეს თვით ჩვენი ხალხის ზნეობრივ ფიზიონომიისა და სოფლმხედველობის, გამოსარკვევად, დღეს ან უახლოეს წარსულში: ყოველ ზღაპარსა და არაკში, ყოველ ლეგენდასა და ანდაზაში გატარებულია რაიმე ზნეობრივი იდეა, რომლითაც ხალხი დღეს ან უახლოეს წარსულში ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს თავის ყოფაქცევაში ან სხვათა ყოფაქცევის შეფასების დროს. ამ სამი წლის წინათ „ძველი საქართველოს“ პირველ ტომში ჩვენ დაებუქდეთ ბნის რეფერენტის მიერ იმავე წვეაში შეკრებილი 15 ზღაპარი (განყოფ. IV, გვ. 1—56) და ანდაზები (იქვე გვ. 97—100); და მათი განხილვა ნათლათ ამტკიცებს ჩვენს მოსაზრებას (შეად. იქვე სარჩევი, გვ. XI—XIII): ყოველ ზღაპარში განსაზღვრული მორალური დედა-აზრია გატარებული. შესაძლოა ეს ზღაპრები ორიგინალური ქართული არ იყოს, მაგრამ ჩვენი ხალხი მათის დედა-აზრით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს თვის ყოფა-ქცევაში; და, ცხადია, მკვლევარს საფუძველი ეძლევა გამოიყენოს ამგვარი თქმულებანი როგორც მასალა ჩვენი ხალხის ზნეობრივი სოფლმხედველობისა და ფიზიონომიის

გამოსარკვევად დღეს ან უახლოეს წარსულში.- ამ მხრით კი ბ-ნის რეფერენტის მოხსენება ტეშმარიტათ საყურადღებოა და მოწონების ღირსი.

ე. თაყაიშვილი: დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი სევესტი გაჩეჩილაძე, რომელიც ასე მუყაითად ჰკრებს და იცვლევს ჩვენი ხალხის ზეპირსიტყვიერებას. ამ მრავალ-მნიშვნელოვანი მასალის ერთი ნაწილი ჩვენ უკვე დაბეჭდვით ჩვენი საზოგადოების გამოცემაში „ძველი საქართველო“ (ტ I და III). იმ მასალას თანვე დაეურთეთ პროვინციალური სიტყვების განმარტება, და, ვისაც იგი წაუკითხავს, უეჭველია დაგვეთანხმება, რომ ამ მასალის ლინგვისტიური მნიშვნელობა ტეშმარიტათ დიდი და დაუფასებელია. ამავე მასალაში ისეთი ნაწარმოებნიც გვხვდება, რომელნიც ხელოვნების მხრით ნამდვილ შედეგებს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალ., ზღაპარი „გველ-ვაკი“ (იქვე, განყოფ. IV, გვ. 6-10; შეად. სარჩევი, გვ. XI). ერთი სიტყვით, ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ჩვენს ხალხურს სიტყვიერებას დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს და მათი დროიანათ შეკრება და გამოცემა ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს უნდა შეადგენდეს ისეთი სამეცნიერო საზოგადოებისას, როგორც ჩვენი საზოგადოებაა. ძვირფასი ზეპირსიტყვიერი მასალა აქვს ჩართული თავის მოხსენებაში ბ-ნის რეფერენტს. ამ მასალაში განსაკუთრებულს ყურადღებას იქცევს ხალხური „ვეფხისტყაოსანი“ ანუ „ტარიელ-ასტანდილის“ არაკი, რომელსაც სიამოვნებით დაბეჭდავს ჩვენი საზოგადოება „ძველი საქართველოს“ მე-III ტომში, რომელიც ამ მოკლე დროში უნდა გამოვიდეს.—რაც შეეხება ბ-ნ რეფერენტის გაბედულ დასკვნებს იმის შესახებ, ვითომც კავკასია იყოს დედა-ბუდე ყველა თეთრ-კანიანი ხალხისა და თვით ქართველი ხალხი იყოს უუძველესი ერი ამ ხალხთა შორის,— შიუძლებელია ასეთს კათეგორიულს დასკვნას დავეთანხმოთ. ასეთი დასკვნისათვის არა კმარა მარტო ფოლკლორის შესწავლა. ფოლკლორს გარდა საჭიროა ღრმად შესწავლა ჩვენი ერის ანთროპოლოგიისა, ენისა, სარწმუნოებრივ თქმულებათა და სხვ. ჩვენი ერის ანთროპოლოგიური და ლინგვისტიური შესწავლა კი, როგორც ვიცით, ჯერ სულ ახლათ დაწყებულია და პირველ საფეხურს არ გასცილებია. ამასთანავე არც ის უნდა დაგვიწყობთ, რომ მეცნიერებას ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, რომელი კუთხე უნდა ჩაითვალოს ადამიანის პირვანდელ სამშობლოდ: შუა-აზია, სამხრეთი აზია, წინა და მცირე აზია, კავკასია, თუ

ჩრდილო ვეროპა (სკანდინავია). არც ის არის გადაწყვეტილი, რომელი ხალხია უძველესი კულტურული ხალხი: სემიტები თუ სხვა მოდგმის წარმომადგენელი ტომები. კერძოდ სემიტების შესახებ ვიცით, რომ სანამ იგინი შუამდინარეში გაჩნდებოდენ, აქ უკვე ცხოვრობდა უძველესი კულტურული მკვლარი ხალხი თურანულის მოდგმისა, რომლისგანაც სემიტებმა შეითვისეს მზა-მზარეული კულტი და კულტურა. ერთი სიტყვით, მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის გადაჭრით არც პირვანდელი სამშობლო კაცობრიობისა და არც ის დედა-ხალხი, რომელმაც შექმნა უძველესი კულტურა და ცივილიზაცია, რომელმაც შეიმუშავა პირველი თქმულებანი ბუნებაზე, ღმერთებსა და ადამიანზე. ამიტომ შეუძლებელია მარტო ქართული ფოლკლორის შესწავლაზე დავამყაროთ ისეთი გაბედული და გადაჭრილი დასკვნა ჩვენი ერის უძველესობის შესახებ, როგორსაც ბ-ნი რეფერენტი იძლევა. გაბედულობა აზრისა კარგია, მაგრამ გაბედულობაც არის და გაბედულობაცა!.. გაბედულობასაც თავისი ზომა და საზღვარი აქვს, რომელსაც ვერცერთი მეცნიერი ვერ გადასცილდება.

ს. გაჩეჩილაძე თავის მოკამათებებს მოკლე პასუხს აძლევს, რომელშიაც ურყვევლათ ადგას იმავე აზრს, რომელიც თავის რეფერატის დასკვნაში აქვს გამოთქმული. სხვათა შორის, განმეორებით დასძენს, რომ აღნიშნულ დასკვნას იგი ამყარებს არა მარტო ფოლკლორზე, არამედ ანთროპოლოგების გამოკვლევებზედაც (ლეტურნო და სხვ.); და ადგია იმ აზრს, რომ ფოლკლორის განხილვა—მხოლოდ ავსებს ერთ-ერთს ხარვეზს (პრობელს) ჩვენი ერის თეთრი რასის დედა-ერობის დამტკიცების საქმეში. რაც შეეხება ლინგვისტიურს მეთოდს ამავე აზრის დამტკიცებისას, საამისოდ ხომ იგივე ქართული ფოლკლორი და ენა საუკეთესო მასალას აძლევს ჩვენს ლინგვისტებს. ამიტომაც შე ყველა დარგის მეცნიერთ მიემართე მოწოდებით—დაეწაფონ ამ დაუშრეტელ წყაროს, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ბევრს ახალს ამცნებს კაცობრიობას! მეცნიერება, ჩემის აზრით, ჯამი კი არ არის ჭეშმარიტებათა, არამედ არის მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი. ამიტომ გამბედაობა აქ არამც თუ საქმეს არ აენებს, პირიქით, დიდ სარგებლობასაც მოიტანს!

საღამოს 11¹/₂ საათზე ჩვეულებრივი კრება დაიხურა.

№ 61.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, აპრილის 30-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე წვერთა დასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

კრებამ აღ. სარაჯიშვილისა და ირ. სონღულაშვილის წინადადებით აირჩია ერთი ახალი წევრი—ქ. ნი ეკატერინე ფურცელაძისა.

სალამოს 12 საათზე კრება დაიხურა.

№ 62.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, სექტემბრის 20-ს

კრება დაიწყო ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, სალამოს 8^{1/2} საათზე თავად-აზნაურთა საკრებულო დარბაზში (ბელინსკის ქ., № 2). დაესწრენ წევრები: ივ. რატიშვილი, მიხ. გედევანიშვილი, დეკან. კ. კეკელიძე, მოს. ჯანაშვილი, მღვდ. ვას. კარბელაშვილი, დეკ. ნ. თალაქვაძე, აღ. ციმაკურიძე, გერ. იმნაიშვილი, ირ. სონღულაშვილი, პაულე იაკ. იზაშვილი, სევ. გაჩეჩილაძე, დ. კარბიჭაშვილი, აღ. ყიფშიძე, არჩ. ავალიშვილი, ი. აბულაძე, მღვდ. ზაქ. გულისაშვილი, დეკ. ანტ. თოთიბაძე, მღვდ. ქრ. ციციშვილი, ვას. კახიძე, აღ. მირიანაშვილი, გ. დაფქვიანაშვილი, ს. კაკაბაძე, ს. გორგაძე და გარეშე საზოგადოება.

I. პირველათ კრებამ მოისმინა წინა კრების ოქმები (№ № 60 და 61) და უკამათოდ დაამტკიცა იგინი.

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა დეკანოზმა კორნელი კეკელიძემ: „ო რ ი კ ვ ი რ ა გ ე ლ ა თ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ შ ი“ (წინასწარი ანგარიში) შემდეგის პროგრამით: გელათის მონასტერი წარსულში. აქ დაუღალ ხელნაწერთა კოლექცია და მისი მნიშვნელობა საქართველოს წარსულის შესასწავლად. ცნობები დღემდე უცნობ მწერალ-მთარგმნელთა და ნათარგმნო-ორიგინალურ ნაწარმოებთა შესახებ. ახალი ლექსიკური, გრამატიკული და სამუსიკო მასალები. გელათის ჰაგიოლოგიური კრებული და მისი

მნიშვნელობა: საზოგადოთ მეცნიერებისა და კერძოთ საქართველ ოს ისტორია-გეოგრაფიისათვის. ლაზიკა მე-III, V და VII საუკუნეში წმმ. ორენტი, დანიელ მესვეტე და მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრებით“. აღმოსავლეთი საქართველო მე-VI საუკუნეში წმ. სვიმეონ მესვეტის ცხოვრების ცნობებით. ეხლანდელი მდგომარეობა გელათის მონასტრისა.

მოხსენება საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა. რეფერატს კამათი არ გამოუწვევია. მომხსენებელს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და სალამოს 10 საათზე ჩვეულებრივი კრება დახურულად გამოაცხადა.

შემდეგ გაიხსნა არაჩვეულებრივი კრება.

№ 63.

არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, სექტემბრის 20-ს.

კრება გაიხსნა სალამოს 10 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით და იმავე ნამდვილ წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებული.

I. პირველად კრებამ მოისმინა თავმჯდომარის შემდეგი მოხსენება:

„თავადი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი ჩვენი საზოგადოების დაარსებიდან მხურვალე მონაწილეობას იღებს მის წარმატებაში: ა) შემოსწირა და დაუმტკიცა ჩვენს საზოგადოებას ვაკეში, ქართული გიმნაზიის ახლოს, ერთი დესეტინა მიწა, რომელშიაც მიუცია 28,800 მანეთი; ეს მიწა საადგილმამულო ბანკშია დაგირავებული 12,000 მანეთად, მაგრამ ყოველწლიურს გადასახადს, 800 მანეთამდის, იხდის თითონ პ. თუმანიშვილი; ბ) შემოსწირა „ქართულ მუზეუმს“ 2500 ტომზე მეტი წიგნი კავკასიის შესასწავლად და შეკვეთილი აქვს კარადები ამ წიგნებისათვის; გ) განზრახული აქვს, მუზეუმის ერთი დარბაზი თავის სახელობაზე მოაწუოს მის მიერ შექმნილ საარქეოლოგიო ნივთებითა და სურათებით; ამ მიზნით უკვე გადმოგვცა ძვირფასი სურათები, მაგალ., გრ. გაბაშვილისა, 1000 მანეთზე მეტათ ღირებული; შემზადებული აქვს გადმოსაცემად ძვირფასი ალბომები (საქართველოს არქეოლოგიიდან და ეთნოგრაფიიდან), რომელნიც ფოტოგრაფ ერმაკოვს აქვს შეკვეთილი და იშვიათ კრე-

ბულს წარმოადგენენ; გადმოცემული აქვს საქართველოში ნამყოფ იტალიელ მისიონერთა ზელთნაწერების სურათების ალბომი, ისტორიკოს მ. თამარაშვილის მიერ შედგენილი; იქნენ ჩვენი მუზეუმისათვის ძვირფას ნუმიზმატიკურს კოლექციას.—როგორც ხედავთ, ბატონებო, თავილი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი საზოგადოების დაარსების დღიდან არის მისი ფაქტიური წევრი მზრუნველი; ამიტომ საზოგადოების საბჭო გთხოვს ეს წოდება მიუთვისოთ მას ჩვენი წესდების § 7-ის ძალით და მიართვათ შესაფერი დიპლომი, რაც მან დიდიხანა დაიმსახურა.

საბჭოს წინადადება კრებამ სიამოვნებით მიიღო და პ. ი. თუმანიშვილი აირჩია საზოგადოების მზრუნველ წევრად.

II. შემდეგ ს. გორგაძისა და ირ. სონღულაშვილის წინადადებით კრებამ აირჩია შემდეგი ახალი ნამდვილი წევრები: 1. დავით ბესარიონის ძე ცინცაძე, მართა დიმიტრის ასული გეურქოვისა, იოსებ პეტრეს ძე ჩიტაია, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დადიანი, ნ. ელენე იაკობის ასული თარხან-მოურავისა, მღვდ. დავით სუხიაშვილი, მღვდ. ანტ. კვანტრიშვილი, მღვდ. ვასილ გორგაძე, დიმიტრი ზურაბის ძე მაჭავარიანი. 10. დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძე, კნ. ანნა აბაშიძისა, მღვდ. ფარნაოზ ვეფხვაძე, ისიდორე გიორგის ძე კოსტავა, ერისტო სვიმონის ძე საბაშვილი, 15. მარიამ ზაქარიას ასული გარსიაშვილისა და 16. შალვა ალექსანდრეს ძე ქარუმიძე.

სალამოს 10^{1/2} საათზე თავმჯდომარემ კრება დახურა.

№ 64.

ჩვეულებრივი საზოგადო კრება.

1912 წელს, ოქტომბრის 24-ს.

კრება დაიწყო სალამოს 8 საათზე ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით. დაესწრნენ ნამდვილი წევრები: გ. ნიკ. ყაზბეგი, ათ. ჯვარიშვილი, ი. კარგარეთელი, დეკ. კორნ. კეკელიძე, მღვდ. რომანოზ გორგაძე, ალ. ივ. სარაჯიშვილი, დეკ. ანტ. თოთიბაძე, ირ. სონღულაშვილი, იოს. მონადიროშვილი, ს. გორგაძე, აბ. იაშვილი, პ. იზაშვილი, გრ. ბურჭულაძე, მ. გიორგაძე, დეკ. ნიკ. თალაქვაძე.

I. პირველათ კრებამ წინამდინა და დამტკიცა წინა კრებათა ოქმები (№ № 62 და 63).

II. შემდეგ მოხსენება წაიკითხა ილია გრიგოლის ძემ კარგარეთელი: „ქართული საეკლესიო მუსიკა და საგალობელთა ზელთნაწე-

რები“. მოკლე შესავალის შემდეგ მომხსენებელმა პერიოდებად დაჰყო ქართული გალობის ისტორია, აღნიშნა გალობის კილოები (ხელმწიფეკ., გავარჯიშებული და მრავალგვარი), ჩამოთვალა მრავალი დღემდე უცნობი ქართული სამუსიკო ტერმინი (სამუსიკო ნიშნებისა) და აღწუსა ის გზა, რომელსაც უნდა დაადგენ ჩვენი გალობის მკვლევარნი, როცა ამ ნიშნებს იკვლევენ. დასასრულ, რეფერენტმა დაასკვნა, რომ ეს გალობის ნიშნები (ხაზ-ნოტები) ქართველებს ბერძნებისაგან არ უნდა ჰქონდესთ ნასესხები, არამედ საკუთარი მათი გამოგონილი უნდა იყოს; აქვე წარმოუდგინა კრებას მის მიერ სამეგრელოში მოპოებული მგალობელ ქალაგანიძისაგან რეველი, რომელშიაც ნახმარია თვით მოხუც ქალაგანიძის მიერ გამოგონილი მსგავსი ნიშნები*). ზოგიერთი დებულება თავისი მომხსენებისა ბ-ნმა კარგარეთელმა იქვე დაასურათა მგალობელთა გუნდის შემწეობით.

რადგან რეფერატის კითხვას ბევრი დრო დასჭირდა, კამათი აღარ გამართულა. თავმჯდომარემ რეფერენტსა და მგალობელთა გუნდს კრების მხრით მადლობა გამოუცხადა. კრებამ რეფერენტი ტაშით დააჯილდოვა**).

ჩვეულებრივი კრება დაიხურა საღამოს 11 საათზე.

№ 65.

პრაქციულუბაჰიზი საზოგადო კრება.

1912 წელს, ოქტომბრის 24-ს.

კრება გაიხსნა ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით საღამოს 11 საათზე იმავე წევრთა თანადასწრებით, რომელნიც წინა ოქმში არიან მოხსენებულნი.

ე. თაყაიშვილისა და ალ. სარაჯიშვილის წინადადებით კრებამ ერთხმად აირჩია ნამდვილ წევრად—კოსტანტინე დავითის ძე მესხი.

*) სამეგრელოში ი. კარგარეთელმა იმოგზაურა ჩვენი საზოგადოების ხარჯითა და მინდობილობით.

**) ამ ოქმის კითხვის დროს პ. მირიანაშვილმა შენიშნა: გამიგონია, რომ ქველათ, საგალობელ წიგნზე გამონატული ყოფილა ყური და ხელიო.

შემომწირველთა და შემოწირულობათა სია

1911 წელს:

1. თინათინ რვეზის ასულმა ფორაქაშვილსამ შემოსწირა: ა) „ნაკაზი მის იმპერატორობითის დიდებულებისა ეკატერინე მეორისა თვითმპყრობელისა ყოვლის რუსეთისა, მიცემული კომისისისათვის აღწერად ახლისა ულაცენის პროექტისა“ (ნათარგმნი არქიმ, გაიოზის მიერ ჩღვ), ბ) „ამბავი დასაწყისი ჩინეთის ხელმწიფისა“, გ) „ამბავი ბარამისა და გულანდამისა“;
2. სვიმონ ილარიონის ძემ ფორაქაშვილმა—გოზაური;
3. ვახტანგ დეკანოზიშვილმა—სპარსული ძველი შავი ფული;
4. დავით ჯავრიშვილმა—ქართული შავი ფული.
5. მღვ. გიორგი ასათიანმა—სასანიანთ დროის ვერცხლის ფული, ბიზანტიური ფული ვერცხლისა და მუსულმანური შავი ფული;
6. მღვ. ალექსანდრე ფხალაძემ—რუსუდანის ფული;
7. დიდმის მცხოვრებმა ივანე აბრამის ძემ გუნებაშვილმა—რუსუდანის ფული;
8. ალექსანდრე იოსების ძემ ქვლივიძემ—სურამის ციხეში ნაპოვნი ტყვიის ყუმბარის ნატეხი და მხედრული ხელნაწერი: ნაწყვეტები „ქილილა და დამან“-იდან;
9. თავადმა ბიძინა გრიგოლის ძემ მაყაშვილმა: მე-XVIII საუკუნის სიძველენი: ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომიანი“, „ზილიხანიანი“ და „ლეილ-მეჯნუნიანი“;
10. კოსტ. დიმ. ყიფიანმა—ძვირფასი წიგნი: წიგნი გამოცემულია პეტერბურგში 1862 წელს, რუსეთის არსებობის 1000 წლის გამო, და სათაურად აქვს: „Description ethnographique des peuples de la Russie, par T. de Pauly“;
11. ივანე ნიკოლოზის ძე მაჭავარიანმა—მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის „არჩილიანის“ ხელთნაწერი;
12. მღვდელმა სვით გამრეკელმა: „შემოკლებული საღმრთო ისტორია ეკლესიისა, ძველისა და ახლის აღქმისა“, „საზრდელი ყმებრივთა გონებათათვის“ ანუ ახალი როსიული ანბანი—ერთ წიგნად, თარგმნილი რუსულიდან და გადაწერილი 1824 წ. და „პირველი სასწავლო ყრმათა“, რომელიც შედგენილი და დაბეჭდილი ყოფილა მოსკოვს, ბაქარ მეფის ბრძანებით, 1739 წელს: და აქედან გადმოუწერია 1820 წელს დიმიტრი ოქროაშვილს;

13. მღვდელმა ალექსანდრე ფხალაძემ—სპილენძის თერთმეტი და ვერცხლის ხუთი ფული;

14. ისინი დავითის ძე ნაკაშიძემ—ცხრა ვერცხლის ფული რაქაში ნაპოვი;

15. სვიმონ ფხალაძემ—ერთი შავი ფული;

16. სოფ. სორის მასწავლებელმა მინდელმა—ვერცხლის ორი ფული, რაქაში ნაპოვნი;

17. თაე. ვარლამ გელოვანმა—მედალი, ეკატერინე მე-2-ის დროს ჩამოსხმული, საქართველოსთან 1783 წლის ხელშეკრულობის აღსანიშნავად;

18. რაქდენ ყარამანის ძემ დათეშიძემ—ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ მე-17 საუკუნისა;

19. გაბრიელ ბეჟანის ძის საყვარელიძის მემკვიდრეებმა—ვახტანგის მიერ შეკრებილი „სამართლის წიგნი“ და 60 ძველი ფული (31 ვერცხლისა, 29 სპილენძისა);

20. ნიკოლოზ ივ. ანბეტელაშვილმა—სოფ. კერემში ნაპოვნი ერთი არაბული ფული;

21. კონსტანტინე ქუთათელაძემ—ფრანგული წიგნი „Petite Larousse illustré“;

22. ნიკოლოზ როსტომის ძემ კიკნაძემ—ხელთნაწერი „სამოთხის კარი“ საბა ორბელიანისა;

23. ლეონარდ ივანეს ძემ ზუბალაშვილმა—14 ხელთნაწერი;

24. სამსონ ლავერენტის ძემ ბაიდაშვილმა: ა) ხელთნაწერი სამდივნო წიგნი, ბ) წიგნი ზეციდაპ ბოძებულის, გ) მედალი, ყმების განთავისუფლების აღსანიშნავად მოჭრილი და დ) 60 სიგელ-გუჯარი;

25. სოლომონ ესტატეს ძემ ჯავრიშვილმა—ხელთნაწერი „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“;

26. ვასილ ავთანდილის ძემ გარაყანიძემ—ერთი სპილენძის ფული განჯის ხანისა;

27. ვახტანგ ნიკოლოზის ძემ კანდელაკმა—ორი ძველი თეთრი ფული: ქართული და სპარსული;

28. ივანე ანდრიას ძემ გულისაშვილმა—ორი მუსულმანური შავი ფული;

29. ნინო დავითის ასულმა შატბერაშვილისამ—ერთი შავი რუსული ფული;

30. ელისაბედ ანდრიას ასულმა გულისაშვილისამ—მანდილოსნის თმის გასაყოფი;

31. ნატალია სვიმონის ასულმა გოგიბედაშვილისამ: ა) ხელთნაწერი „ბეჟანიანი“ და ბ) თეიმურაზ I-ის თხზულებანი;

32. ალექსანდრა ლევანის ასულმა გარაყანიძისამ—,დავითნი“ და-
ბეჭდილი 1824 წელს (მხედრული);

33. ოლღა მიხეილის ასულმა კურბატოვისამ—თმის გასაყოფი (ვერ-
ცხლისა);

34. ნატალია ივანეს ასულმა ჯავრიშვილისამ—სავარცხლის ბუდე,
ოქრომკედით ნაკერი;

35. გიგო ყარანგოზიშვილმა—რამდენიმე სიგელ-გუჯარი;

36. ნუშო ალექსის ასულმა ქარხელიძისამ—ერთი ბელგეუჭი თეთ-
რი ფული;

37. ევა ივანეს ასულმა კვესაძისამ: ა) წამლით დახატული ხატი
ღვთის-მშობლისა და ბ) სადაფი;

38. ბარბარე გიორგის ასულმა გარაყანიძისამ—ოქრომკედით ნაკე-
რი თავსაკრავი;

39. ვასილ გიორგის ძემ ნახუცრიშვილმა—ერთი თეთრი სპარსული
ფული;

40. ლიღია ალექსანდრეს ასულმა ბოტეხატისამ—ერთი ძველი რუ-
სული ათშაურაინი (1816 წლისა);

ამ სიის 22, 24—34 და 36—39 მუხლებ ქვეშ აღნიშნული ნიე-
თები „საზოგადოებას“ გადმოსცა ქანმა ანა კაპანაძისამ;

41. მასწავლებელმა სერგო გიორგის ძემ დამბაშიძემ—სოფ. მო-
ლითში მიწის თხრის დროს ნაპოვნი, ორი დიდი გაქვავებული ლოკოკინა.

42. თამარ კონსტანტინეს ასულმა გორგაძისამ—სამი ძველი ფული:
ერთი მუსულმანური, ერთი ქართული და ერთიც რუსული;

43. მღვდ. იოსებ ჩიტაძემ: ცხრა შავი ფული (ქართული და ბი-
ზანტიური), ოთხი ქართული თეთრი, ერთი დამბაჩა, აგურის ორი ნატე-
ხი ქართული წარწერით და ალექსანდრე-ბატონიშვილისეული იარაღი:
1 თოფი, 2 დამბაჩა და 1 ბებუთი;

44. ქეთევან დიმიტრის ასულმა ჯანდიერისამ—თოფის საწამლე ხი-
სა და სავარცხლის ბუდე;

45. ენო ბერბიჭაშვილმა—გუთნის მოდელი;

46. გენერალმა არსენ ივანეს ძემ ბებუთოვმა—ორი ნამსახურობი-
თი სია (რუსულათ): ა) გენერლის თავ. ვასილი ბებუთოვისა და ბ) თავ.
გრიგოლ ოსეფის ძის ბებუთოვისა;

47. იოსებ ივანეს ძემ პაიჭაძემ—ათი თეთრი ფული (ქართული,
იაპონური, სპარსული და ოსმალური) და ორიც შავი.

48. დუიკო ფალავანიშვილმა—8 სიგელი.

49. გიორგი ნიკოლოზის ძემ ყაზბეგმა—პეტრეს დროის ძველი მა-
ნეთიანი.

50. მღვდელმა იასონ მხატვრიშვილმა—ოთხი ძველი ვერცხლის ფული: I ქართული და III მუსულმანური;

51. გენერალმა სპირიდონ ნიკოლოზის ძემ ანდრონიკაშვილმა: ორი ძველი სპილენძის ჯვარი სლავიანურის წარწერით და 24 ოქროს ღილი ქათიბისა;

52. ალექსანდრე პეტრეს ძემ სარაჯიშვილმა—ძველებური დიდი სკივრი, გარედან რკინა-გადაკრული *).

1912 წელს:

1. ანა გრ. ასულმა კაპანაძისამ: ა) სპილენძის სამკლავე ოქროს ზარნაშით, ბ) ოქრომკედის ქაზარი ვერცხლის აბზინდით, გ) ირაკლი II-ის შავი ფული;

2. თებრანია თავ. იორამ თარხნიშვილის ასულმა: ა) ვეფხის ტყაოსანი ლურჯ ქალღმერთზე გადაწერილი, ბ) ძველი ნაბეჭდი სვალობელი და სამოციქულო, გ) ზუცური, ნაბეჭდი კონდაკი, დ) ორი სპილენძის ჯვარი, ე) ნაბეჭდი ქართულ-ოსური ლოცვანი;

3. მარიამ გიორგის ასულმა თავად თარხნიშვილის მეუღლემ: ა) თავისი ხელით გადაწერილი ვეფხის ტყაოსანი 1869 წ., ბ) ქართულ-რუსული სახარება, ნაბეჭდი, გ) მხედრული ნაბეჭდი ლოცვანი 1826 წლისა, დ) მხედრული ხელნაწერი—მოთხრობანი იესო ქრისტეზე, ე) ანბანთ ქება, მხედრული ხელნაწერი;

4. თინათინ (ცაცა) დავითის ასულმა კეზელისამ—ხელნაწერი ვეფხის ტყაოსანი მე-17 საუკუნისა (ნაკლული);

5. მაგდან ზურაბის ასულმა იმედაშვილისამ: ა) ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერი ნაწვეტი, ბ) ბარამ-გულიჯანიანი (ხელნაწერი);

6. სოფია ზაქარეას ასულმა ფირალოვისამ: ა) აბესალომ და ეფერის ამბავი (ხელნაწერი), ბ) კითხვა ღვთისმშობლისა კაცისა სულისათვის, გ) აპოკრიფული მოთხრობანი (ხელნაწერი);

7. ელისაბედ ღვანეს ასულმა ბარისოვისამ: ა) ოცდაოთხი სიგელ-გუჯარი, ბ) მძივით ნაქსოვი ქისა;

8. ბარბარე იოსების ასულმა ოქრუაშვილისამ: ა) ორი შავი რუსული ფული, ბ) მედალი;

9. ევა სოლომონის ასულმა მაღალაშვილისამ—ხელნაწერი მოთხრობა (თავი აკლია);

10. თავად ლევან თარხნიშვილის ასულმა ელენემ—ძველი ვერცხლის ჩოფი (უმარლისა და ინა-ბასმის საწყაო);

*) ეპისკ. კირიონის შემოწირულობა იხ. ქვემოთ გვ. 142.

11. მაგდან დავითის ასულმა ქულუევისამ — ორი ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავი;
12. მარიამ მალაქიას ასულმა ნაცვლიშვილისამ — ერთი თეთრი და ორი შავი ძველი ფული;
13. მელანია თევდორეს ასულმა ხუციშვილისამ: ა) მღვდლის ოლარის ნაჭერი, სირმით ნაკერი, ბ) ტოტ-ბაბთები (ქალების წინდების შესაკრავი) აბრეშუმის ძაფით ნაკერი მუდხედ, გ) თმის გასაყოფი ვერცხლისა;
14. პელაგია ივანეს ასულმა ამილბარაშვილისამ: ა) სპილენძის სამკარიანი ხატი, ბ) მხედრული ხელნაწერი „დაუჯდომელი“;
15. ელისაბედ გიგოს ასულმა გოგობერიძისამ: ქართული ორ-აბაზიანი;
16. თავად თარხნიშვილის მუხღღემ ივლიტე დიმიტრის ასულმა — ვერცხლის საბურნუთე;
17. ელისაბედ ვრიგოლის ასულმა მამალოვისამ — ძველი კულა ხისა;
18. ეფემია მათეს ასულმა ბატკუაშვილისამ — ძველი ხელის ყუთი;
19. სოფიო თევდორეს ასულმა დავითაშვილისამ — ოქრომკედით ნაკერი თავსაკრავი;
20. მარიამ გეორქას ასულმა მამალოვისამ — თათრული ფული სპილენძისა;
21. ვარინკა მოსეს ასულმა გოზალოვისამ — ჩინური შავი ფული;
22. ანნა გიორგის ასულმა გულისაშვილისამ — პატარა ხატი ვერცხლისა;
23. ოლა ალექსის ასულმა გულისაშვილისამ — სპილენძის მგდალიონი;
24. მარიამ ივანეს ასულმა არაქელაშვილისამ — სპარსული შავი ფული;
25. ნუშა იოსების ასულმა გოჩიტაშვილისამ — სპილენძის ვეტონი;
26. მარიამ იოსების ასულმა კაპანაძისამ — ერთი ვერცხლისა და ერთი სპილენძის ფული ინგლისის დედოფლის ვიქტორიასი;
27. ელისაბედ ანდრიას ასულმა გულისაშვილისამ — ვერცხლის ფული;
28. ანტონ დავითის ძემ თაბუაშვილმა (ოსმა) — ძველებური ხმალი;
29. ზაქარია ნიკოლოზის ძემ მაღალაშვილმა — ორი ტყავისა და ერთი ქაღალდის სიგელი;
30. ვასილ ილიას ძემ აბულაძემ — სამი შავი ფული;
31. სიკო ოპანუხას ძემ მუხურნოვმა — ვერცხლის სპარსული ფული;
32. ვასილ ალექსის ძემ პაპიძემ — ვერცხლის ფული;
33. გიგო იოსების ძემ ნოზაძემ — სამი ძველი შავი ფული;
34. თედო გაბრიელის ძემ ქელესაშვილმა — სპილენძის ზოდის ნაჭერი, ახალქალაქში მიწაში ნაპოვნი;
35. მიხეილ სარქიის ძემ ახაროვმა — ოთხი შავი ძველი ფული და ერთი თეთრი სპარსული;

36. იოსებ დავითის ძემ საყვარელიძემ—31 სიგელ-გუჯარი;
37. გალუსტა იოსების ძემ ზუციევმა—სამი ქართული შავი ფული;
38. დავით გიორგის ძემ ნაზარბეგიშვილმა—ორი პატარა ვერცხლის ფული;
39. მღვდელმა სვიმონ კასრაძემ—ერთი ქართული თეთრი და ერთი შავი რუსული ფული;
40. ალექსანდრე იოსების ძემ ერმალოვმა—შავი სპარსული ფული;
41. ნიკოლა იოსების ძემ დანდუროვმა—ძველი სპარსული ფული;
